საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

ვ. ბარდაველიძე

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საგზაგადოებრივ-საკულტო ძეგლები

ტომი I

ფშავი

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1974

902.7 (C 41)
902.7 (47 922)
ბ 264

პროფ. ვერა ბარდაველიძის ნაშრომი „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები“ გამოვა სამ ტომად. პირველი ტომი წარმოადგენს იმ საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლების მეცნიერულ პუბლიკაციას, რომლებიც მიკვლეული და ფიქსირებულია ხანგრძლივი საექსპედიციო მუშაობის შედეგად ფშავში. ამ ძეგლებს, როგორც საისტორიო პირველწყაროს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ძეგლების გამოქვეყნებას ახლავს, გარდა ადგილზე შეკრებილი დიდძალი სატექსტო მასალისა, არქიტექტურული ანაზომები, ტოპოგრაფიული გეგმები და ფოტოგადაღებები. ტომში აგრეთვე მოცემულია ძეგლთა პირველადი შესწავლის წინასწარი შედეგები. პირველ ტომში გამოქვეყნებულ ძეგლთა შორის მთავარი ადგილი უჭირავს ფშავის ლაშარის, თამარ მეფ-სა და კვირიას სახატო კომპლექსებს. მეორე ტომში გამოქვეყნდება ხევსურეთის, თუშეთის, მთიულეთისა და ხევის საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ხოლო მესამე ტომი ეძღვნება სამეცნიერო კვლევის შედეგებს.

1 — 6 — 2
117—73 «დგ.
M — 607

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1973 წ.

შესავალი

წლების მანძილზე ჩვენ მიერ წარმოებულმა საველე ეთნოგრაფიულმა მუშაობამ დაგვანახვა, რომ ხალხის ყოფაში შემონახულია მდიდარი და მრავალმხრივი მასალა, რომელიც წარმოადგენს ძვირფას ისტორიულ წყაროს ქართველი ხალხის კულტურის ისტორიის საკვანძო საკითხების გასარკვევად, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში თუ რომ ეს მასალა სათანადო მეთოდით იქნება შეგროვებული და კრიტიკული მიდგომით შესწავლილი.

ქართველი ეთნოგრაფები ვიკვლევთ საქართველოს მთასა და ბარს ერთმანეთისაგან მოუწყვეტლად, რადგან მათი ამგვარი შესწავლის საფუძველზე ხერხდება მთისა და ბარის კულტურისათვის საერთო და სპეციფიკურის დადგენა და იმის გარკვევა, თუ რა როლი შეასრულა და რა წვლილი მიუძღვის თითოეულ მათგანს საერთო ქართული კულტურის შექმნასა და განვითარებაში. ამ მხრივ ბითის მნიშვნელობა მცირე არ არის თუ გავითვალისწინებთ მისი კულტურის ისტორიულ წარსულს, რომელსაც ავლენს როგორც არქეოლოგიური, ენობრივი და ისტორიული, ისე ეთნოგრაფიული კვლევა-ძიება.

რელიგიური გადმონაშთების შეგროვებაზე მუშაობა დავიწყეთ 1929 წელს. შემდეგ წლებში ამ საქმემ სტაციონარული და სისტემატური კვლევის ხასიათი მიიღო და ფართოდ გაიშალა ჯერ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ხოლო შემდეგ ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში, რომელსაც ამჟამად ეწოდება ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. ამ ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილებამ შემოიკრიბა საქართველოს სხვადასხვა კუთხის მხარეთმცოდნეები, რომლებმაც საგანგებოდ შედგენილი პროგრამა-ინსტრუქციითა და ვრცელი კითხვარით[1] შეიარაღებულებმა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შეკრიბეს მასალები. ამ მუშაობას ეწეოდნენ: არს. ონიანი, დარ. მარგიანი, ალ. დავითიანი, ალ. ოჩიაური, მელ. ბალიაური, მალ. გობეჯიშვილი, მიხ. ქიქოძე, შ. თვალჭრელიძე, ან. აფხაზავა და სხვ. ამავე პროგრამა-კითხვარით ველზე აგროვებდნენ მასალებს ხსენებული განყოფილებისა და შემდეგში ეთნოგრაფიის სექტორის საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილების ახალგაზრდა მეცნიერი თანამშრომლები.

მუშაობის გაშლის პირველსავე საფეხურზე გამოიცა I ტომი ჩვენ მიერ ადგილზე შეგროვილი სვანური ხალხური დღეობების წლიური ციკლისა, რომელშიც ასახულია სვანეთის ყველა თემის და ზოგ შემთხვევაში ამა თუ იმ თე-

[1] ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, პროგრამა-კითხვარი ქართული ხალხური სარწმუნოების შესახებ მასალის შესაგროვებლად, 1937 წ.

ვის შიგნით რამდენიმე სოფლის მონაცემები[2]. ამ გამოცემაზე ერთი წლით ადრე გამოქვეყნდა სხვა კრებული — ქართველ მთიელთა სასულიერო ტექსტები[3]. ორივე გამოცემის მასალა ფართოდ შევიდა სამეცნიერო ხმარებაში და მნიშვნელოვანი აღმოჩნდა სამეცნიერო კვლევა-ძიების თვალსაზრისით[4].

ველზე მოპოვებული მასალის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ ქართველი ხალხის სარწმუნოებაში ჯერ კიდევ შემონახული ყოფილა მაგიის, ტოტემიზმის, ანიმისტური მსოფლმხედველობისა და კულტის უხვი გადმონაშთები; ამასთანავე ნათელი გახდა, რომ მათი მნიშვნელოვანი ნაწილი იმ საყოველთაოდ ცნობილი პარალელური ინსტიტუტების დარია, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი თავისი წარმოშობით, როგორც ცნობილია ზოგადი რელიგიის ისტორიიდან, პირველყოფილთემური საზოგადოების ზედნაშენს განეკუთვნება. ამას გარდა დადგინდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიელების სარწმუნოებაში ასტრალური პანთეონის ორი საფეხურის არსებობა: ერთი, პირველყოფილთემური წყობილების რღვევის ხანისა — ჩვენ შევეცადეთ, ნათელგვეყო, რომ მისი გამოსახულება თრიალეთის თასზეა აღბეჭდილი და მეორე — წარმოდგენილი ღვთაებათა უზენაესი ტრიადისა (მორიგე ღმერთი, მზექალი, კვირია) და ე. წ. ღვთისშვილებისაგან პანთეონის ამ უკანასკნელი საფეხურის მონაცემების მთელი ერთობლიობა გვიჩვენებს, რომ ამგვარი პანთეონი წარმოადგენდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიელების სარწმუნოებრივ ზედნაშენს მათი საზოგადოებრივ-ისტორიული განვითარების ადრეკლასობრივ საფეხურზე. ეს მონაპოვარი ახლებურად აშუქებს არა მარტო ქართველი ხალხის ისტორიულ განვითარებას, არამედ უნდა ვიფიქროთ, სხვა კავკასიელ მთიელთა ისტორიულ წარსულსაც[5].

ამგვარად, ველზე მოპოვებული ახალი მასალა და მისი შემწეობით ახლებურად გაშუქებული ძველი მასალები საფუძვლად დაედო ჩვენს დებულებას, რომ (წინააღმდეგ მეცნიერებაში აქამდე დამკვიდრებული შეხედულებისა — თითქოს ქართველ მთიელებში, მათ შორის უწინარეს ყოვლისა ხევსურებში მუდმივი გვაროვნული წყობილება, თუ მისი გადმონაშთები სუფევდა) მთის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური წყობილება ერთ წერტილზე გაყინული არასოდეს არ ყოფილა, რომ იგი როგორც სხვა ისტორიული მოვლენა, განიცდიდა ცვლილებებს, ვითარდებოდა და რომ კერძოდ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებმა განვლეს საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა საფეხურები, მათ შორის ადრეკლასობრივი საფეხური. მთის მოსახლეობის ისტორიის ამგვარი გაგების დადგენაში დიდად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა (როგორც ვხედავთ), ამ მოსახლეობის რელიგიური გადმონაშთების შესწავლა.

---

[2] ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, 1. ახალწლის ციკლი, თბილისი, 1939.

[3] ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელების სასულიერო ტექსტები საქართველოს ეთნოგრაფიის მასალები, I, 1938.

[4] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბილისი, 1950; С. П. Т о л с т о в-ის რეცენზია წიგნზე «Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен», საქართველოს ეთნოგრაფიის მასალები, ტ. XI—XIII, 1963, გვ. 423 შმდ.

[5] В. Б а р д а в е л и д з е, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен. Тбилиси, 1957.

მაგრამ ამავე დროს ნათელი გახდა, რომ საჭიროა ამ ხაზით წარმოებული მუშაობის კიდევ უფრო მეტად გაფართოება და გაღრმავება. საჭირო შეიქმნა ჩვენ მიერ დადგენილი ზედნაშენური მოვლენების მატერიალური ბაზისა და საზოგადოებრივი ურთიერთობის ანარეკლთა ძველ ყოფაში კიდევ უფრო სრული ფიქსაცია და შესწავლა.

ამჯერად საკითხი ეხებოდა საქართველოს მთიელების საზოგადოებრივ-საკულტო ნაგებობების სისტემატურ კვლევა-ძიებას.

მთიელების საკულტო ძეგლების ფიქსაცია-შესწავლას ჩვენ ყურადღებას ვაქცევდით გზადაგზა დაწყებული 1929 წლიდან, როდესაც სხვადასხვა რიგის რელიგიურ გადმონაშთებზე ვმუშაობდით.

ჯვარ-ხატების[6] (ასე ეწოდება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საოთემო ღვთაებებს — ღვთისშვილებს და ამ ღვთაებების ადგილობრივ საზოგადოებრივ-რელიგიურ ცენტრებს) და მათი უძრავ-მოძრავი ქონების განსაკუთრებით მათი ნაგებობების მეცნიერული ფიქსაცია აღიარებულ იქნა ჩვენს უპირველეს და უახლოეს ამოცანად იმიტომაც, რომ მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა მათი ამ ნაგებობების), როგორც სამეცნიერო-საკვლევაძიებო წყაროს გადარჩენა მომავალი თაობებისათვის. იმის შემდეგ რაც ძეგლებს მატერიალური ბაზა ძირფესვიანად გამოეცალა, ისინი უჩვეულო სისწრაფით ირღვევიან და ქრებიან.

დასახული მიზნისა და ამოცანის შესაბამისად 1962 წლის მარტში ჩვენ მივმართეთ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიურ-მეთოდურ საბჭოს მოხსენებითი ბარათით, რომელშიც სხვათა შორის ვწერდით: „საბჭოთა საქართველოში მრავალი ისტორიული მნიშვნელობის მქონე ძეგლი აღრიცხულია და ბევრი მათგანის დაცვა და მოვლა სახელმწიფო ზრუნვის საგნად არის გამხდარი. ყურადღების გარეშეა დარჩენილი ერთი წყება ძეგლებისა. რომლებიც ჩვენი ხალხის წარსულის შესწავლისათვის უაღრესად მნიშვნელოვან ობიექტებს წარმოადგენენ. ამ ხასიათის ძეგლები, მცირე გამონაკლისის გარდა, ჯეროვნად აღრიცხულიც კი არ არის.

ამ კატეგორიის ძეგლებს განეკუთვნებიან ხალხურ რელიგიასთან დაკავშირებული საჯვარხატო ნაგებობანი: სამლოცველო დარბაზები, საზარე, სასანთლე, სადროშე, კოშკები, ბეღლები, საქვაბე-სალუდეები და მისთ. ასეთ ნაგებობებს მოიცავენ მაგალითად, ლაშარის ჯვარი და თამარის ხატი, გუდანის ჯვარი და ხახმატის ჯვარი და სხვა მრავალი.

ამ სახის ძეგლები უმთავრესად გადარჩენილია ხევსურეთსა, ფშავსა და თუშეთში, ხოლო შედარებით მცირე რაოდენობით მოიხელება მთიულეთ-გუდამაყარსა და ხევში.

ამჟამად ეს ძეგლები ირღვევა და მოკლე დროში მათი კვალის მიგნება შეუძლებელი იქნება.

ამ რიგის ძეგლების მეცნიერული აღნუსხვა, აგეგმვა და ფოტოფიქსაცია მეტად საშური საქმეა.

ყოველივე ზემოთქმულს მოგახსენებთ იმ რწმენით, რომ აღნიშნულ გარემოებას მიაქცევთ ჯეროვან ყურადღებას და დასახავთ სათანადო ღონისძიებებს ხალხური საკულტო ძეგლების მეცნიერული ფიქსაციის მიზნით“.

---

[6] დაწვრილებით ამ ტერმინების შესახებ იხ. აქვე, ქვემოთ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიურ-მეთოდურმა საბჭომ თავის დადგენილებაში აღნიშნა, რომ ეს საქმე საშურია და რომ საჭიროა მოეწყოს ისტორიის ინსტიტუტის ერთობლივი ექსპედიციები საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა და საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების მონაწილეობით.

ამის შედეგად, მართლაც, დაწყებული 1962 წლიდან განხორციელდა კომპლექსური ეთნოგრაფიული ექსპედიციები ფართო შემადგენლობით, რომელთაც ჩაატარეს ინტენსიური მუშაობა ხევსურეთში, ფშავში, თუშეთში, გუდამაყარში, მთიულეთში, ხევში, აგრეთვე ჩრდილო ოსეთსა და ინგუშეთში. წლების მიხედვით მუშაობა ჩატარდა: 1962, 1963 და 1968 წწ. ხევსურეთში; 1963 და 1968 წწ. ფშავში; 1965 და 1966 წწ. თუშეთში; 1965 წ. ხევში, ჩრდილო ოსეთსა და ინგუშეთში; 1967 და 1968 წწ. მთიულეთ-გუდამაყარში. ყველა ექსპედიციაში მონაწილეობა მიიღეს, ეთნოგრაფებმა, არქიტექტორებმა, ტოპოგრაფმა, მხატვრებმა, ფოტოგრაფებმა და პრაქტიკანტებმა — ასპირანტებმა და სტუდენტებმა. იმუშავეს ეთნოგრაფებმა: ვ. ბარდაველიძემ (ექსპედიციების ხელმძღვანელი), დ. გიორგაძემ, მ. გუგუტიშვილმა, ჟ. ერიაშვილმა, მ. კანდელაკმა, ნ. მაისურაძემ, ჯ. რუხაძემ, თ. ოჩიაურმა, გ. ჩიგოგიძემ, გ. ჩიტაიამ, ი. ჭყონიამ და გ. ჯავახიშვილმა (ექსპედიციების ხელმძღვანელის მოადგილე); არქიტექტორებმა და მხატვრებმა: თ. ალავერდაშვილმა, შ. ასანიშვილმა, თ. ბოჭორიშვილმა, რ. გაჩეჩილაძემ, ვ. გიგაშვილმა, გ. დავითაშვილმა, გ. ზამთარაძემ, მ. კაკაბაძემ, ლ. საფრაზიანმა, რ. სუხიშვილმა, ზ. წერეთელმა, ვლ. წილოსანმა, კ. წულაიამ, ნ. ჭადაშვილმა (ტოპოგრაფი), გ. ჯაფარიძემ და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერული ათეიზმის კაბინეტის გამგემ მ. ხუციშვილმა.

ადგილებზე დიდი დახმარება აღმოუჩინეს ექსპედიციებს: ბ. ბადრიშვილმა, ნ. და მ. ბალიაურებმა, ი. და დ. თურმანაულებმა, პ. და გ. კუწაშვილებმა, ალ. ოჩიაურმა, ილ. ჯაბანაშვილმა (ფშავში), სტ. ალიბეგაშვილმა, დ. კობაიძემ, გ. მირიანაშვილმა (ხევში), ლ. ბაიხოიძემ, შ. ბაკურაძემ, ა. ბახტურიძემ, ვ. კრიტიულმა, ფ. ქავთარაძემ (თუშეთში), ა. მაგომედოვმა (ჩრდილო-ოსეთში) და სხვ. ჩვენს მუშაობას ხელს უწყობდა ადგილობრივი პრესა—დუშეთის, ახმეტისა და ყაზბეგის რაიონული გაზეთები.

ექსპედიციებს მიზნად ჰქონდათ დასახული აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ყველა დასახელებული თუ გავერანებული პუნქტის ჯვარხატებში დაცული თუ ნაშალი ძეგლების ფიქსაცია, აგრეთვე ოსეთი ძეგლების აღრიცხვა-შესწავლა, რომლებიც მაღალ მთის წვერებზეა დაარსებული, ზღვის დონიდან 2300—3000 მ სიმაღლეზე. ბევრი სხვა საკულტო ძეგლიც მიუვალ ადგილებზე აღმოჩნდა. აქვე უნდა აღინიშნოს რომ ექსპედიციების მიერ დასახული მარშრუტები ზოგ შემთხვევაში სრულდებოდა მთელი შემადგენლობის მონაწილეობით, ხოლო ზოგჯერ ცალკე ჯგუფების მიერ. ამას გარდა, ერთი და იგივე მარშრუტი ორჯერ, სამჯერ და ზოგჯერ მეტჯერაც არის გავლილი, როგორც ამას მოითხოვდა საჭიროება. ექსპედიციას მოუხდა აგრეთვე შედარებითი მასალის მოსაპოვებლად ინგუშეთსა და ჩრდილო ოსეთის საკულტო ცენტრებისა და მიწისზედა აკლდამების ადგილებზე შესწავლა და ამასთან დაკავშირებით მეტად გრძელი მარშრუტების ჩატარება (ყაზბეგი-ორჯონიკიძე, ალაგირი, რეკომი-ცეი, ორჯონიკიძე-გიზელდონი-დარვაზი და ყაზბეგი-ამხის ხეობა).

დღეისათვის დაგროვილია მეცნიერულად დიდად ღირებული მასალა. ექსპედიციების მიერ შესრულებული გადათეთრებული მასალა შეიცავს: დღიურების — 1624 ხელნაბეჭდ გვერდს, 700-ზე მეტი ობიექტის არქიტექტურულ ანაზომებს (გეგმა, ჭრილი, ფასადი, ინტერიერი, დეტალები, სიტუაციური და გენერალური გეგმები და მისთ.), 50 ობიექტის (ჯვარ-ხატებისა და შერჩევით ამა თუ იმ ჯვარისა თუ ხატის საყანის, სათიბის, ტყის) ტოპოგრაფიულ გეგმას, 20-მდე მხატვრულ სურათს და დიდი რაოდენობით ფოტოანაბეჭდს. ამას გარდა დამზადებულია რამდენიმე ძეგლის დიაპოზიტივები.

ამ ექსპედიციებზე ადრე ჩვენ მიერ ფიქსირებული იყო შემდეგი საკულტო ძეგლები: 1929 წელს ფხიტურის გადასავალზე ფუძის ანგელოზის ნიში, ხევსურეთში გაზომილი და შესწავლილი იყო ხახმატის ჯვარი სოფელ ბისოში, ღვთისმშობლის, მთავარანგელოზისა და ადგილისდედის ჯვრები, ე. წ. „ბურჯი“ — ეკლესიის ნანგრევი სოფელ ლებაისკარში და ამ სოფლის სამთო სალოცავი ნახარელა; კვირიას ჯვარი სოფელ ატაბეში, პირქუშის ჯვარი სოფელ ბაცალიგოში, სანაღელეს ჯვარი ძველი ჭორმეშავის ნასოფლარში, ნახარელა ღვთისმშობლის ჯვარი გუდანში და საღმრთო გუდანის ჯვარი სოფელ ზენუბანში. 1932 წელს შევისწავლეთ მთათუშეთის მრავალი საკულტო ძეგლი და სოფ. წაროს აკლდამები, რომელთა ნაწილი აზომა და ჩახატა უჩა ჯაფარიძემ. 1939 წელს აღვწერეთ და შევისწავლეთ ივრის ფშავლების საკულტო ძეგლები, ხოლო მხატვარმა ნ. ბრაილაშვილმა და არქ. ირ. ქავთარაძემ შეასრულეს ამ ძეგლების ნახატები და არქიტექტურული ანაზომები. 1940 წელს არქ. ირ. ქავთარაძემ შეადგინა შატილის საფეხნოს გეგმა. 1945 წელს ჩვენთან ერთად მთიულეთ-გუდამაყარში იმუშავა მხატვ. ვ. ბრაილაშვილმა, რომელმაც გაზომა და ჩახატა მრავალი საკულტო ძეგლი (ჩოხის წმ. გიორგის ხატი, პირიმზე ფუძის ანგელოზის ხატი გუდამაყარში; ხუცურთ საღმრთოს ხატი, ქოროღოს და ყოვლადწმინდის სახელობის ეკლესიები და წკერეს აკლდამა ხადაში, „დევისპინები“ მთიულეთ-გუდამაყრის გზაზე, ნაღორევის კვირიას ხატი მთიულეთში, ჭართლის ღვთისმშობლის ეკლესია და საჯარე და სხვ.). 1946 წელს შესწავლილ იქნა ხევსურეთში სოფელ აკუშოს ჯვრები, ხოლო მათი შენობებიდან კოპალას ჯვარის დარბაზი აღწერეს თ. ოჩიაურმა და ჯ. რუხაძემ. 1947 წელს აღწერილი იყო არხოტის თემის სოფელ ახიელისა და ამღის, ხოლო ლიქოკის ხეობაში ჭალაისოფლის ჯვრები. ამავე ჯვრების შენობების განაზომები და შინაგანი მოწყობილობის სურათები და ფოტოგადაღებები შეასრულა ჩვენი თხოვნით მიხ. გეგეშიძემ. ამას გარდა იმავე 1947 წელს ჩვენივე თხოვნით ი. და გ. ოჩიაურებისა და ვ. კორძახიას მიერ შესრულებულ იქნა სრულიად ფშავის საზოგადოებრივ-საკულტო ცენტრის ლაშარის ჯვრის სიტუაციური გეგმა და აიგეგმა ამ ჯვარის დაფარებული საჯარე და საზარე მარანი; ამავე მხატვრების მიერ 1950 წელს შესრულდა სრულიად ფშავის მეორე საზოგადოებრივ-საკულტო ცენტრის თამარღელის ხატის სიტუაციური გეგმა და ცალკე აიგეგმა გოგოლაურთ თემის ხეთანას მთავარმოწამის ხატის ბეღელი.

1950 წელსვე არქ. ჯიბლაშვილმა შეასრულა შემდეგი ხევსურული საკულტო ცენტრების შენობების ანაზომები: ბარისახოს კვირიას ჯვარისა, ლიქოკის ხეობაში ჭალაისოფლის შუბნურის ჯვარის, კოპალა კარატის ჯვარისა და იახსრის ჯვარისა; წყალსიქითის ხეობაში დიდგორის ჯვარისა და გაღმაროშკის

მთავარანგელოზის ჯვარისა; სოფელ გუდანში ნახარელა ღვთისმშობლის ჯვარისა და სოფ. ღულში კოპალას ჯვარისა[7].

1951 წელს ჩვენ მიერ ხელახალი აღწერა-შემოწმებისა და დამატებითი მასალის შეგროვების გარდა, არქ. თ. თოდუას მიერ შესრულდა: ფშავში კვლაჭ ლაშარის ჯვარის, თამარღელის ხატისა და საკვირაოს სიტუაციური გეგმები და აზომილ იქნა ამ ჯვრების ცალკეული ნაგებობები; ხოლო ხევსურეთში თ. თოდუამ შეასრულა შემდეგი ჯვრების შენობების არქიტექტურული სამუშაოები: წყალსიქითში სოფ. გაღმა როშკის მთავარანგელოზის ჯვარის ბეღლისა, გორშეღმის პეობაში. სოფ. ატაბეს კვირიას ჯვარისა, ლიქოკის ხეობაში სოფ. მაღრაანის ღვთისმშობლის ჯვარისა და ჭალაისოფლის შუბნურის ჯვარისა, სრულიად ხევსურეთის საღმრთო გუდანის ჯვარისა სოფ. გუდანში და ხევში სოფ. ჯუთის ჯვრებისა.

ეს სამუშაოები შეავსო და გაამდიდრა სისტემატურმა ექსპედიციებმა. რომლებიც ჩატარდა 1962—1968 წწ. მრავალრიცხოვანი კოლექტივის თანამშრომლობის საფუძველზე.

ამ ექსპედიციების მონაწილეთა შორის განსაკუთრებით დავალებული ვართ ჩვენი ახალგაზრდა თანამშრომლების მ. კანდელაკის, ნ. მაისურაძის, ჟ. ერიაშვილის, დ. გიორგაძის და გ. ჯავახიშვილისგან, რომელთაც აღწერეს მრავალი საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლი ხშირად მეტად მძიმე პირობებში, როდესაც ესა თუ ის ჯვარი თუ ხატი მოთავსებული იყო ძნელად მისადგომ ან თითქმის მიუვალ ადგილებში. საერთოდ სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ექსპედიციების წევრებმა, გამოუკლებლივ ყველამ, დიდი პასუხისმგებლობით. მონდომებითა და დაუღალავად იმუშავეს საკმაოდ მძიმე პირობებში და ძვირფასი და მდიდარი მასალა შეგროვდა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ექსპედიციის წევრთა ერთსულოვნება, დაუზარებლობა და სიბეჯითე.

ვსარგებლობ შემთხვევით და უღრმეს მადლობას მოვახსენებ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექციას, ამავე აკადემიის აკად. ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის დირექციას და საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმს, რომელთაც დიდად შეუწყვეს ხელი ჩვენი ექსპედიციების წარმატებით ჩატარებას.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ცენტრების კორპუსის გამოცემა დაგეგმილია 3 ტომად. ამათგან პირველ ორ ტომში გამოქვეყნდება მასალა სათანადო კომენტარებით, ხოლო მესამე ტომი ეთმობა გამოკვლევას. 1—2 ტომი შეიცავს ძეგლების აღწერას, მათ ფიქსაციას ტოპოგრაფიულად, არქიტექტურულად, ფოტოგრაფიულად და ძეგლების ფუნქციასთან დაკავშირებულ მასალას. ამ მასალას ახლავს ძეგლის გაგებისთვის საჭირო კომენტარები და შედარებითი განხილვის შედეგად მიღებული ზოგიერთი წინასწარი დასკვნები. კორპუსის პირველი ტომი ეძღვნება ფშავის ტრადიციულ საზოგადოებრივ-საკულტო ცენტრებს.

---

[7] პლანშეტები დაცულია საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის სტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის სექტორის საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილებაში.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთიდან ჩვენი არჩევანი შეჩერდა, უწინარეს ყოვლისა ფშავზე იმის გამო, რომ საზოგადოებრივ-საკულტო ცენტრები — ჯვარ-ხატები, ამ მხარეში ყველაზე მძლავრად განვითარებული აღმოჩნდა.

აღსანიშნავია, რომ სრულიად ფშავის ცენტრალური ჯვარი — ლაშარის წმ. გიორგი, იყო არა მარტო ფშავის სალოცავი, არამედ მას ეევედრებოდნენ აღმოსავლეთ საქართველოს სხვა მთიელები, ბარიდან ამოსული ქართველები და არაქართველი ტომებიც. აქვე უფრო მეტად, ვიდრე ხევსურეთსა და თუშეთში გვხვდება ქრისტიანული ხანის შედარებით ადრინდელი ძეგლები. ფშავლები წერილობით ძეგლებში VII საუკუნიდან არიან ცნობილი *փոխք* ფორმით[8] რომელსაც შეესატყვისება ქართული ფხოველნი, ფხოვნი.

ამასთანავე ფშავი მთისა და ბარის საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიური მჭიდრო კავშირის ცოცხალი მაგალითი იყო. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია დავასახელოთ მეცხოველეობის დარგში ბარისა და მთის საძოვრების გამოყენების საჭიროება როგორც ერთი, ისევე მეორე მხრივ. ან კიდევ მევენახეობა-მეღვინეობის ხაზით მთიელთა საქმიანობა, მათი როლი და მონაწილეობა კახეთის მეურნეობაში. კარგადაა ცნობილი მთის მნიშვნელობა სამშობლოს დაცვის საქმეში. საყურადღებო ფაქტია, რომ ფშავის ხატები ბარის საქართველოს ავბედობის ხანაში დატყვევებული ქართველების ტყვეობიდან გაქცევისახსნელად თავიანთი საგანძურიდან სახსრებს აძლევდნენ დამპყრობლებს.

მნიშვნელოვანი წვლილი აქვთ შეტანილი ფშაველებს ქართული კულტურის საგანძურშიც. მაღალ შეფასებას იმსახურებს ფშაური ზეპირსიტყვიერება, რომელშიც მკაფიოდ და მხატვრულადაა ასახული ხალხის მსოფლმხედველობა, მისი პოეტური ნიჭი და გემოვნება. სამეცნიერო ლიტერატურაში დასმულია საკითხი იმის თაობაზე თუ რა წილი მიუძღვის ფშაურ სატრფიალო პოეზიას ქართულ ლიტერატურაში წარმოდგენილ ქალის კულტის შემუშავებაში (ვეფხისტყაოსანი). ჩვენ არას ვამბობთ იმის შესახებ, თუ რა მაღალ დონეზეა ფშაურ პოეზიაში კარგ ყმათა, resp. პიროფლიანთა კულტი, რომელსაც დიდი ადგილი ეჭირა ფშავლების რელიგიაში და საერთოდ ფეოდალურ საქართველოში.

უაღრესად საყურადღებოა ფშავლების ხატები, რომელთა მშენებლობა მძლავრი ტრადიციის ზეგავლენით ქრისტიანობაზე ადრინდელი ხანიდან უნდა მომდინარეობდეს და რომლებიც საკულტო, საცხოვრებელ და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობათა სახით უხვად არიან შემორჩენილი ფშავის არაგვის ხეობის ზემო ნაწილში. იმავე ხეობაში ამგვარი ხასიათის ძეგლებთან ერთად მოიპოვება ქრისტიანული ეკლესიები, რაც რელიგიური სინკრეტიზმის არსებობაზე მიუთითებს. ხოლო აქ წარმოდგენილი რელიგიური სინკრეტიზმი რთული სოვლენაა, რომლის ცალკეული შრეების დადგენა მრავალმხრივ კვლევა-ძიებას მოითხოვს[9].

სანამ ჯვარ-ხატების ნაგებობათა აღწერაზე გადავიდოდეთ, საჭიროა დაზუსტდეს ცნებები ჯ ვ ა რ ი და ხ ა ტ ი, რომლებსაც ფართო მნიშვნელობა მოუპო-

---

[8] Ս. Երեմիան, Հայոստանը ըստ «Աշխարացույց». Երեվան, 1963, էջ. 88.

[9] შდრ. И. М. Моторин, К вопросу метсдологии изучения религиозного синкретизма; С. Фольденбург, Сборник статей, Ленинград, 1934, стр. 337, შდ.

ვებიათ და დიდი როლი დაკისრებიათ ხალხური რელიგიის სფეროში. ეს ხელს შეუწყობს და გააადვილებს შემდეგი თხრობის გაგებას.

ფეოდალური ხანის სარწმუნოებრივი იდეოლოგიის მძლავრი ზეგავლენით დღეს ჯვარი და ხატი გვესმის როგორც ქრისტიანული სიმბოლოების სახელწოდებანი. მაგრამ ქართველი ხალხის ისტორიული განვითარების სხვადასხვა უფრო ადრეულ საფეხურებზე, ეს ტერმინები სხვა შინაარსის მატარებელი ყოფილა.

თავის დროზე ნ. მარმა ენობრივი მონაცემების ანალიზის საფუძველზე დაადგინა, რომ ჯვარი — ძელს, ხოლო ხატი — ხაჩ — ხეს აღნიშნავდა. მანვე გაარკვია, რომ ჯვარი და ხატი ჩვეულებრივი ძელი და ხე კი არ იყო, არამედ სათაყვანებელი ობიექტი, წმინდა ხე დაკავშირებული კოსმიურ და ასტრალურ მსოფლმხედველობასთან. კონკრეტულად ასეთი ხეებია მუხა და ცაცხვი[10].

ენობრივი მასალის შესწავლის შედეგად მიღებული ეს დებულება კიდევ უფრო მეტად განამტკიცა ქართველ მთიელებში მოპოვებულმა ეთნოგრაფიულმა მასალამ. აკად. ივ. ჯავახიშვილმა თავის მხრივ ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ მასალაზე დაყრდნობით გამოავლინა ძველ საქართველოში ხეთა მსახურებისა და მცენარეულობის მძლავრი კულტის არსებობა[11]. ერთ ჩვენს ნაშრომში, რომელიც დაიბეჭდა 1957 წ., მთური მასალების მიხედვით გამოვლენილია, რომ თავდაპირველად ჩვენში ხის ესა თუ ის სახეობა ამა თუ იმ ტომის ტოტემური მცენარე უნდა ყოფილიყო, რომელიც შემდეგში შედარებით გვიან, სათაყვანებელ არსებად იქმნა მიჩნეული[12]. ამას გარდა, გარკვეულია ისიც, რომ ქართველ ხალხს შემუშავებული ჰქონდა წარმოდგენა ხეზე, როგორც ცოცხალ, ადამიანის მსგავს არსებაზე, რომელსაც საკუთარი სული გააჩნდა[13]. უეჭველია, ამავე დროს, როგორც ეს დამახასიათებელია პირველყოფილთემური საზოგადოების სარწმუნოებისათვის, სათაყვანებელ ხესთან ერთად არსებობდა მრავალი სხვა ანთროპომორფული ქმნილებები, რომლებიც დროდადრო მეტამორფოზას განიცდიდნენ და ღებულობდნენ ცხოველის ან ბუნების სხვა საგნისა თუ მოვლენის სახეს.

რელიგიის ისტორიიდან კარგადაა ცნობილი, რომ ადამიანებმა მათ მიერ შექმნილი ეს უხილავი ქმნილებები ცაზე გადაასახლეს, ზეციურ არსებებად აქციეს, ხოლო დედამიწაზე კი მათ ამქვეყნიური დროებითი საბრძანისი მიუჩინეს. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ზეციურ არსებათა ამქვეყნიურ საბრძანისს ჯვარი ან ხატი ეწოდება, რაც ამ სახელების მნიშვნელობის მხოლოდ ერთ-ერთი ატრიბუტია. იმავე სახელებით მოიხსენებიან თვით ზეციური არსებანი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თემური წარმოშობის ჯვარ-ხატების ჩა-

---

[10] Н. Марр, Еще о слове «челеби» (К вопросу о культурном значении курдской народности в истории Передней Азии), Зап. Вост. отд. русск. общ., т. XX, 1910, СПб., 1912, стр. 112—117; მისივე, О религиозных верованиях абхазов, XB, IV, I, стр. 125—127; მისივე, Кавказоведение и абхазский язык, Петроград, 1916, стр. 25 და სხვ.

[11] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, თბილისი, 1928, გვ. 86.

[12] В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования..., Тбилиси, 1957; მისივე, სოცხლისა და სიუხვის ხე ქართველთა სარწმუნოებაში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. XIV, 1968, გვ. 44—54.

[13] ვ. ლომია, ხის კულტისათვის საქართველოში, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, თბილისი 1927, ტ. III, გვ. 164.

მოყალიბება და მათი იერარქიულად დაწყობა უნდა მომხადრიყო იმ დროს, როდესაც საზოგადოებაში წარმოიშვა მდიდრი და ღარიბი თემები, მძლავრი და სუსტი გვარები, რაც ემთხვევა საზოგადოების განვითარების სამხედრო დემოკრატიის საფეხურს.

შემდეგ საფეხურზე, ცივილიზაციის გარიჟრაჟზე, ზეციური არსებები — ჯვარ-ხატები ასტრალურ ღვთაებებად გარდაიქმნენ (ვარსკვლავებს განასახიერებდნენ), გაუჩნდათ უზენაესი ტრიადა (მორიგე ღმერთი, მზექალი, კვირია), რომლის მორჩილების ქვეშ აღმოჩნდნენ ისინი. ეს დამორჩილებული ასტრალური ღვთაებები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ღვთისშვილებად მოიხსენებიან. თავის მხრივ ღვთისშვილებს დაუმორჩილდნენ ის არქაული დროიდან მომდინარე რელიგიური პერსონაჟები, როგორიცაა — მწევარნი, ლაშქარნი, დობილნი, ეს პერსონაჟები თუმც სულებად არიან მიჩნეულნი, მაგრამ არ განდიდებულან იმ დონემდე, რომ ზეციურ არსებებად გარდაქმნილიყვნენ.

როგორც ვხედავთ, ჯვარი და ხატი, რომლებიც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში სინონიმებია, აღნიშნავდნენ როგორც ამა თუ იმ ტომისა და თემის მფარველ და ბატონ-პატრონ ღვთისშვილებს, ისე ამ ღვთისშვილის მიწიერ საბრძანისს. ამ პოლისემანტიკურ ცნებებს, სხვა მნიშვნელობაც აქვთ, რომელთა კვლევა-ძიებას ჩვენ აქ არ შევუდგებით. დაწვრილებით ამის შესახებ საუბარია ჩვენს ადრეგამოქვეყნებულ ნაშრომებში[14]. ამჟამად ჩვენი კვლევის საგანია ზეციურ არსებათა მიწიერი საბრძანისები ფშავში.

ქართველი ხალხის საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრების ადრეკლასობრივ საფეხურზე, როგორც ამას აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სათანადო უხვ ეთნოგრაფიულ მასალაზე დაკვირვება გვიჩვენებს, ჯვარ-ხატების მსახურებამ უმაღლეს განვითარებას მიაღწია. ამ დროს ჯვარ-ხატები, როგორც ღვთისშვილთა მიწიერი საბრძანისები, წარმოადგენდნენ ადგილობრივი თეოკრატიული მმართველობის ცენტრებს[15]. თითოეული მათგანი მოიცავდა არა მარტო ნაგებობებს, არამედ ვრცელ ტერიტორიას (საყანეებს, სათიბებს, საძოვრებს, ტყეს, წყაროს) და სათანადო შენობებს. უკანასკნელ საუკუნემდეც კი მსხვილ ჯვარ-ხატებს უძრავი ქონება გააჩნდათ საკუთარი საბრძანისების გარდა, როგორც თავის „სამფლობელო" სოფლებში, ისე სხვა სოფლებშიც — მახლობელსა თუ შორეულში, მთასა თუ ბარში, კახეთში, ქართლში და სხვ. ეს ვრცელი ტერიტორია წარმოადგენდა განვითარებულ სატაძრო მეურნეობას[16], რომლის ხვედრითი წონა თავის დროზე ქართველი ხალხის ეკონომიურ ცხოვრებაში, უეჭველია დიდად მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო. ყოველივე ამას ნათლად წარმოაჩენს ფშავის ჯვარ-ხატების შესწავლა.

ძირითადი ფშავი, რომელიც ფშავის არაგვის ხეობაშია, შედგება 12 თემისაგან, ამათგან, საკუთრივ ფშავლების გარდა მეთორმეტე თემს შეადგენდ-

---

[14] В. Бардавелидзе. Земельные владения древнегрузинских святилищ, СЭ, I, 1949, стр. 92; მისივე. Главное божество древнегрузинского пантеона Гмерти, ВЭК. Тбилиси, 1952, стр. 315—317.

[15] შდრ. Кавказский этнограф. сборник, 2, Тбилиси, 1963.

[16] შდრ. ს ტ რ ა ბ ო ნ ი.

ნენ პირიქითელი ხევსურები — ფშავის ლაშარის ჯვარში ყმად გაფიცული ხახაბოელნი.

ფშავლების თემები შემდეგია: 1. ქისტაურნი, 2. უძილაურნი, 3. გოგოჭურნი, 4. გოგოლაური, 5. წოწკურაულნი, 6. ზურაბაულნი, 7. გაბიდაურნი, 8. ჭიჩოელნი, 9. გოდერძაულნი, 10. წითელაურნი და 11. უკანაფშაველნი,

ამ თემებიდან თითოეულს ცალკე გააჩნდა თავისი სათემო ხატი ნაგებობა-ია კომპლექსებით და სათანადო მეურნეობით, რომლებიც თემის ადგილობრივ საზოგადოებრივ-საკულტო ცენტრებს წარმოადგენდნენ.

ანგვარი ცენტრებია: 1. იახსრის ხატი ქისტაურებისა სოფელ შუაფხოში, 2. კოპალას ხატი უძილაურებისა სოფელ უძილაურთაში, 3. მთავარანგელოზის ხატი გოგოჭურებისა სოფელ ცაბაურთაში, 4. წმინდა გიორგის ხატი გოგოლაურებისა სოფელ გოგოლაურთაში, 5. მოხარნადე[17] ღვთისმშობლის ხატი წოწკურაულებისა სოფელ მუქუში, 6. მთავარანგელოზის ხატი ზურაბაულებისა სოფელ მათურაში, 7. სახუთმეტო ძელის ანგელოზის ხატი გაბიდაურებისა სოფელ ხოშარაში, 8. პირცეცხლის ხატი ჭიჩოელებისა სოფელ ჭიჩოში, 9. პირკუშის ხატი გოდერძაულებისა სოფელ ახადში, 10. კოტიას ხატი წითელაურებისა სოფელ ნაკვალესავის მახლობლად კოტიას გორზე და 11. წყაროსთაული ხატი უკანაფშავლებისა უკანაფშავის თემებში.

გარდა სათემო ხატებისა, თემში შემავალ თითოეულ სოფელში წარმოდგენილი იყო ადგილობრივი მნიშვნელობის ერთი, ორი ან მეტი ხატი. ამ ხატების ჩიცხვში აუცილებლად შედიოდა „ადგილისდედა ღვთისმშობელი". ბევრს, სათემო თუ სასოფლო ხატების გარდა, გააჩნდა აგრეთვე სამთო სალოცავი მაღალ მთის წვერზე, სოფლიდან დიდი მანძილის სიშორეზე, სადაც თავდაპირველად პატარა ნიშები ყოფილა აგებული. ერთ ასეთ სამთო სალოცავში ხის შენობა მდგარა, რომელშიც ბერს უცხოვრია.

თემში შემავალი სოფლები, გარდა ფშავის არაგვის ხეობისა, დაფუძნებული იყო სხვა ხეობებშიც, — იორზე, კახეთის ალაზანზე და შირაქში.

ამ სოფლების წარმოშობა დაკავშირებულია ბუდე ფშავიდან ფშავლების გადასახლებასთან. გადასახლება ძირითადად ორგვარი პროცესით წარმოგვიდგება: მოსახლეობის გადასვლა ჯგუფებად და გაჟონვით, როდესაც სოფლიდან ჯერ ერთი ან რამდენიმე სახლისკაცობა თუ მამიშვილობა მიდის და შემდეგ მის ცალკეული ოჯახები მიჰყვებიან ხოლმე.

ამ სოფლების მცხოვრებნი, მამა-პაპიდან მომდინარე წესისამებრ, სათემო ხატში სალოცავად მიემგზავრებოდნენ მის დღეობებზე, თუმცა ახალ სამოსახლო ადგილებში ისინი თავიანთ სათემო და სასოფლო ხატების ნიშნებს იშენებდნენ.

ბუდე ფშავში ზემოდასახელებულ სათემო ხატებთან ერთად არსებობდა საერთო საფშავლო ხატები — ლაშარის ჯვარი ხმელგორზე, საკვირაო წაწადის

---

[17] როგორც ირკვევა, ნ ა დ ი ძველი სიტყვაა, რომელიც მომდინარეობს საერთო ქართულიდან, როდესაც სვანური და ზანური ჯერ კიდევ არ იყო გამოყოფილი საერთო ქართულიდან; ქართ. ნ ა ღ ი, მეგ. ნ ო დ ი, ჭან. ნ ო დ ე (რ) ი, სვ. ნ ა დ ვ. ნ ე დ. ამ სიტყვის არაბულიდან (ნ ა ‍ د ‍ ‍ ‍

ხევზე, თამარის ხატი ღელეზე და დამასტურის ხატი მათურხევზე. პირველი სამი ხატის ნიშები ბევრგან იყო აგებული, მაგრამ ყველაზე რთული (ნაგებობის სახით ამ საერთო ხატების ნიშები წარმოდგენილი იყო ივრის ხეობაში სოფელ ყვარასთან (ლაშარი და თამარი), და სოფელ ტუშურებში, სადაც ერთ-ერთი ნიშის თავზე ქვისაგან გამოთლილ ქანდაკებას ლაშას სახელით იხსენიებდნენ[18].

წინამდებარე ტომში მოთავსებულია ძირითადად ის მასალა, რაც სპეციალური ექსპედიციების დროს იქნა მოპოვებული. აქვე ჩართულია ის მონაცემები, რომლებიც 1929 წლიდან დაწყებული მოვიპოვეთ ველზე მუშაობის სხვადასხვა დროს და ჩვენი განყოფილების კორესპონდენტების ალ. ოჩიაურის, მ. ბალიაურისა და სხვათა მიერ ჩვენი სისტემატური კონსულტაციებისა და პროგრამა-კითხვარების საფუძველზე შეგროვებული მასალები. აქვე გათვალისწინებულია მასალა, რომელიც ლიტერატურაში მოიპოვება ამ მხარის ძეგლების შესახებ (გ. რადესი, ნ. ხიზანაშვილის, პ. უვაროვასი, გ. თევდორაძის, ს. ბაკალათიასი, გ. ნიორაძისა და სხვ). სამწუხაროდ, ლიტერატურული ცნობები ძალზოგადოებრივ-საკულტო ნაგებობათა შესახებ მეტისმეტად ზოგადი და ფრაგმენტულია; მათში უგულებელყოფილია ძეგლის ფიქსაციის ელემენტარული მოთხოვნილებებიც კი. გამოვიყენეთ აგრეთვე ვაჟა-ფშაველას ნაშრომებიც[19].

ძნელია იმის თქმა, რომ ჩვენმა ექსპედიციებმა ამომწურავად შეისწავლა ყველა საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლი. გვგონია არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ მთავარი და ძირითადი მაინც აღნუსხული, აღწერილი და ფიქსირებულია. არ არის გამორიცხული, რომ კუნჭულებში კიდევ დარჩა შეუცნობი ძეგლები, რომელთაც ჩვენი მომდევნო თაობა მიაკვლევს, დააფიქსირებს და შეისწავლის.

ამ ტომში წარმოდგენილი მასალა აღძრავს მრავალ საკითხს და მრავალი საკითხის დასმისა და გადაჭრის საშუალებასაც იძლევა. მაგრამ ამ მასალის გამოყენება თავისი შედეგებით უფრო მნიშვნელოვანი იქნება, როცა იგი შეისწავლება ერთობლივ ამის ტოლფარდ ხევსურეთის, თუშეთის, გუდამაყარხევისა და მთიულეთის მასალებთან ერთად. ამიტომ, ვიდრე დაბეჭდილი არ არის ამ შრომის მეორე ტომი, მასალის ყოველმხრივი შეფასებისაგან თავს შევიკავებთ. შევაჯამებთ მხოლოდ ამ ტომში წარმოდგენილი ძეგლების აღწერის დროს გზადაგზა ჩვენ მიერ წარმოებულ დაკვირვებებს, რა თქმა უნდა, ჩვენს ხელთ არსებული შედარებითი მონაცემების გამოყენებით.

1. ფშავის ტიპიური ჯვარი ანუ ხატი საკმაოდ ფართო ტერიტორიას მოიცავს. ამ ტერიტორიაზე მეტ-ნაკლებად სწორ, ე. წ. ბუსნო ანუ ბორტვ ადგილას, „წმინდა“ ხეებს შორის, არაიშვიათად აგრეთვე ხატის წყაროს, ღელისა თუ ხევის მახლობლად გაშენებულია სხვადასხვაგვარი და სხვადასხვა ფუნქციის შემსრულებელი ნაგებობები.

ეს ნაგებობები მათი დანიშნულების თვალსაზრისით სამგვარია: ა) საზოგა-

---

[18] ქანდაკების სურათი გამოქვეყნებულია სათანადო ექსპედიციის დღიურში, იხ. ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე , ივრის ფშაველებში, ენიმკის მოამბე, ტ. XI, თბილისი, 1941, გვ. 162—163.

[19] შდრ. ი ვ ა ნ ე ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი , ვაჟა-ფშაველა და ძველი ქართული ენა, თბილისი, 1968 წელი.

დოებრივ-საკულტო, ბ) სამეურნეო და გ) დროებითი სადგომ-საცხოვრებელი შენობები.

ა) საზოგადოებრივ-საკულტო ნაგებობებს განეკუთვნებიან: დ ა რ ბ ა ზ ი ანუ ს ა ბ ე რ ო, სადაც სრულდებოდა, სადღესასწაულო ღვთისმსახურების წესები, ამავე დროს ამა თუ იმ დიდი ხატობის დღეებში ცენტრალური ხატის, სახელდობრ ლაშარის ჯვარის დარბაზში და მის მახლობლად საგანგებო ადგილას, რომელიც ხალხური სამართლის წარმოების ადგილი იყო და ამისდა შესაბამისად ბეჭე-ხევისბერთა საბჭო ერქვა, რჯულის საკითხებს არჩევდნენ და გამოჰქონდათ განაჩენი თემის რთულ და ძნელად გადასაჭრელ საშინაო საქმეებზე. აქვე არიგებდნენ საგარეო საქმეებსაც.

საზოგადოებრივ-საკულტო ნაგებობებს განეკუთვნება აგრეთვე რიგი სხვა შენობებისა: კ ვ რ ი ვ ი — ღვთისშვილის მთავარი „საბრძანისი კოშკი, „ამიტომ ყველაზე მძიმე ადგილი", ე. წ. ს ა ს უ ფ ე ვ ე ლ ი — საკურთხეველი სხვადასხვა ფორმისა (დაბალი, ქვის სკამის მსგავსი, ან ბრტყელი მოგრძო სიპი, სპილენძის მოგრძო ოთხფეხა ანდა მრგვალი სამფეხა ტაბლა): ს ა ს ა კ ლ ა ო ქვის სამსხვერპლო, ან ფიქალი ქვით ამოგებული ორმო შეწირული ცხოველების დასაკლავად და მათი სისხლის დასაგროვებლად, სხვადასხვა დანიშნულების კოშკები, სახელდობრ დ რ ო შ ა თ ს ა ბ რ ძ ა ნ ი, ს ა ს ა ნ თ ლ ე, ს ა ზ ა რ ე.

ბ) სამეურნეო ნაგებობებია: ს ა უ ნ ჯ ე, სადაც ინახებოდა ხ ა ტ ი ს უ ნ ჯ ი — ვერცხლისა და სპილენძის ჭურჭელი, რომელიც ხატის საკუთრებას შეადგენდა, ბ ე ღ ე ლ ი მისი დღევანდელი მნიშვნელობით, ე. ი. მარცვლეულის საცავი შენობა, ს ა ლ უ დ ე, სადაც ლუდის გამოხდა ხდებოდა, ს ა კ ო დ ე. სადაც ხის დიდი კოდებით ლუდი ინახებოდა (გავრცელებულია ხევსურეთში, ნაკლებად გვხვდება ფშავში), მ ა რ ა ნ ი და ს ა კ უ ლ უ ხ ე — ღვინის საცავი შენობები, ს ა პ უ რ ე — ხატის ახალი მოსავლის მარცვლეულის დროებითი საცავი (ვიდრე მოსავალს მთლიანად გალეწავდნენ და ერთბაშად ბეღელში დააბინავებდნენ), კ ა ლ ო — ხელოვნურად მოსწორებული, დატკეპნილი და მთის დაფერდების მხარეზე ყორით შემაგრებული მოედანი, ფ ა რ ე ხ ი — ხატის საქონლის საზამთრო სადგომი, ბ ა კ ი — ხატის ცხვრის სადგომი, ხ ა ტ ი ს ს ა მ ჭ ე დ ლ ო და ხ ა ტ ი ს წ ი ს ქ ვ ი ლ ი, რომელსაც მდინარის პირას აგებდნენ.

გ) დროებით სათავსოებსა და საცხოვრებლებს განეკუთვნებიან: ხ ე ვ ი ს ბ რ ი ს ს ა ხ ლ ი ანუ ს ა ბ ე რ ო — თავხევისბრის და ხევისბრების სადგომი ხატის ტერიტორიაზე, ს ა დ ა ს ტ უ რ ო — სადაც ე. წ. წ ლ ი ს ბ ე რ ნ ი ანუ დ ა ს ტ უ რ ე ბ ი წლობით ცხოვრობდნენ, ღ ი ა (საზაფხულო) და დ ა ფ ა რ ე ბ უ ლ ი (საზამთრო) ს ა ჯ ა რ ე ე ბ ი, სადაც მეთემეები ჯარდებოდნენ სახატო დღეობების დროს.

2. ხატების დიდ ნაწილს ფშავში შერჩენილი აქს მთავარი გალავნისა და შიდა გალავნების ნაშთები. მთავარი გალავანი ხატის ტერიტორიას ორად ყოფდა — გალავნის გარე და შიდა ნაწილებად. მთავარი გალავნის შიგნით ნაწილში მოთავსებული იყო შიდა გალავნები, რომლებიც შემოვლებული ჰქონია ამა თუ იმ შენობას.

მთავარი გალავნის გარეთ მდებარეობდა და დღესაც მდებარეობს ხ ა ტ ი ს კ ა რ ი, საჯარეები და სამეურნეო ნაგებობანი.

ხატისკარზეა: სამსხვერპლო — სისხლიანი მსხვერპლის („საკლავის") შესაწირავად, ფშაური ტერმინოლოგიით სასაკლაო ანუ სასაკლავენი; საკურთხეველი — უსისხლო მსხვერპლის შესაწირავად, ფშაური ტერმინოლოგიით სასუფეველი, ქადა-კვერის საწირი ანუ ქადა-პურის დასაჭრელი, სასანთლე კოშკი და ამ ნაგებობათა ირგვლივ ხემხვივანნი[20] — იფნი, მუხა, ქორაფი; იქვეა საჯარეები, საყეინო, რამდენადმე მოშორებით დიაცთ-სასვენი — ქალების სადგომად, და სამეურნეო ნაგებობანი, — სალუდე, საპურე ბეღლები, კალოები, სადასტურო.

მთავარი გალავნის შიგნით მოქცეულია: საბერო (რომელშიც ფშავში, უმრავლეს შემთხვევაში, ხევსურეთში დარბაზად წოდებული შენობა იგულისხმება), საზარე, სასანთლე, დროშათ საბრძანი კოშკები, კვრივი ანუ სვეტი, საუნჯე, საკულუხე და მარანი, სამნები, მოძმე ხატებისა და არაიშვიათად სოფლის ხატის კოშკები და სრულიად საფშავლო ხატში, მაგალითად, ლაშარის ჯვარის წინგარდაში დაფარებული საჯარის მახლობლად ბჭე-ჭევისბერთა საბჭო.

3. როგორც ვხედავთ, ხატების კომპლექსში ნაირი დანიშნულების ნაგებობებია წარმოდგენილი, მაგრამ ამ ნაგებობებს კონსტრუქციული თავისებურებების მიხედვით რიგი საერთო ნიშნები ახასიათებს, რომლებიც ადვილად დასანახია და კარგად ჩანს საილუსტრაციო მასალიდან — მათი არქიტექტურული განაზომების — გეგმების, ჭრილებისა და ფასადების მიხედვით.

ა) პირველი, რაც უნდა აღინიშნოს ის არის, რომ ფშავის, საზოგადოდ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სატაძრო არქიტექტურაში სამშენებლო მასალად, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, ფიქალი ქვაა გამოყენებული, კედლებს წყობა მშრალად ან (შედარებით იშვიათად) ლამით თუ ლამკირით ამოყვანილი და ბინალ ნიადაგზეა დაფუძნებული.

ბ) ფშაური ხატის ნაგებობათა კომპლექსი თავისი კონსტრუქციით ორ დიდ ჯგუფად გაიყოფა. ერთ ჯგუფს მივაკუთვნებთ ხატის ყველა ნაგებობას, რომლებიც სათავსოებს წარმოადგენენ, ხოლო მეორე ჯგუფს განეკუთვნებიან მკვრივი, გულამოვსებული, სვეტისმაგვარი ძეგლები[21].

სათავსოების ჯგუფის ცალკეულ შენობათა შესწავლამ დაგვანახა, რომ ეს ჯგუფი თავის მხრივ ორი ტიპის შენობებს მოიცავს. ერთ ტიპს შეადგენენ: დარბაზი ანუ საბერო, სალუდე, მარანი, საუნჯე, ხევისბრისა და დასტურთა ბინები და სხვა სათავსოები, გარდა ბეღლებისა; ხოლო ეს უკანასკნელნი მეორე ქვეჯგუფს მიეკუთვნებიან. პირველ ქვეჯგუფში ყველაზე ტიპობრივი დარბაზია. დანარჩენი ნაგებობები მისგან განსხვავდებიან ძირითადად შინაგანი გეგმარებითა და მოწყობილობით (დგამეულით, ჭურჭლეულით), რაც ყველა ამ ნაგებობაში შესასრულებელ კონკრეტულ ფუნქციაზე დამოკიდებულებით განისაზღვრება.

---

[20] ხემხვივანნი, იხ. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен. Тбилиси, 1957, стр. 54 შმდ.

[21] ზოგიერთი წინასწარი შედეგები იხ. ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლების ისტორიული ფესვები, საისტორიო წერილები, II ტომ., 1971.

თუნცა ფშავის საბეროს ანუ დარბაზს ახასიათებს რიგი გადახრები (იგი გეგმაში შედარებით განიერი მართკუთხა ფორმისაა, კარი დატანებული აქვს ვიწრო კედლის ცენტრიდან რამდენადმე დაცილებით, კერის ადგილზე აღმართულია კუნა, რომლის წყობიდან გამოწეული დიდი სიპის კონსოლი საკურთხეველს წარმოადგენს), მაგრამ ამავე დროს იქვე შემორჩენილია ისეთი შენობებიც, რომლებიც ხატის ტიპობრივ დარბაზებს განეკუთვნებიან.

ეს დარბაზი გეგმაში მოგრძო მართკუთხა ფორმის ნაგებობაა, რომელსაც ნიგნივებზე ფიქალი ქვით გაწყობილი ორქანობიანი სადა სახურავი აქვს, მოკლე კედელში კარი, შენობის შუაში ღია კერა, ზოგჯერ კერასთან საძირის ქვაზე დაბჯენილი ხის სვეტი, კედლებში დატანებული სასანთლე და სათასე ნიშები. მახლობლად ქვის დაბალი საკურთხეველი და კედლების გასწვრივ ჩამწკრივებული ქვის სკამები.

ამგვარ დარბაზებს შორის იმავე ფშავში ჩვენმა ექსპედიციებმა დააფიქსირა ისეთი საბერო, რომელიც წარმოადგენს ე. წ. ტაძარს ანტებში. ეს საბერო გრძელი მართკუთხა ფორმის ფიქალი ქვისაგან შშრალი წყობით ნაგები შენობაა, რომელიც ორიენტირებულია სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. საბეროს გრძივი კედლები წინაა წამოწეული (ანტები) და სამხრეთ-დასავლეთის მხარეს ქმნიან შენობის წინგარდას (პორტიკი). წინგარდის კიდეზე თავისუფლად დგას (საძირის ქვაზე შეყენებული) ხის ორი სვეტი. შენობა წარმოდგენილია ორი განსხვავებული ფორმის სახურავით. ცენტრალურ ნაგებობას, საკუთრივ საბეროს აქვს ბრტყელი ჭერი და ყარტით დაფარებული ორქანობიანი სახურავი; ხოლო წინგარდას კრამიტის ცალფერდა სახურავი, რომელიც დამრეცია ფასადის მხარეს აქ სვეტის საყბეურებში ჩამჯდარ კოჭს ემყარება.

დარბაზი ანტებში მეტი რაოდენობით შემორჩენილია ხევსურების ჯვრებში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნაგებობის ეს სახეობა — დარბაზის სახელწოდებით შემონახული ტაძარი ანტებში, წარმოშობილი ჩანს ქართულ ნიადაგზე, რამდენადაც თავისი ფესვებით იგი უნდა უკავშირდებოდეს უძველესი ფორმის მეგარონს, რომელიც აღმოჩენილია არქეოლოგიური გათხრების დროს ურბნისში ქვაცხელების ნამოსახლარზე და თარიღდება ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისით კერძოდ, მისი პირველი ნახევრით[22].

მეორე ქვეჯგუფის სათავსოები — ბეღლები მთლიანად ქვით ნაგები და ქვით გადახურული შენობებია. ამავე დროს თავისი გეგმარებით, კონსტრუქციითა და ფუნქციით ბეღლები ორგვარია. მათი გავრცელების ადგილის მიხედვით ერთი ტიპისას ხევსურულ ბეღლებს ვუწოდებთ, მეორეს — ფშაურს.

ხევსურული ბეღელი დანიშნულებით, გეგმარებითა და შინაგანი მოწყობილობით დარბაზს ემთხვევა. იგი ტაძარ-ბეღელია ფიქალი ქვით ლამკირის ხანარზე ნაგები. გეგმაში, როგორც წესი, მოგრძო სწორკუთხა ფორმისაა, კარი ერთ-ერთ ვიწრო კედელში გაჭრილი, შუაში აქვს კერა, კედლებში დატანებულია ნიშები და კედლების გასწვრივ ჩამწკრივებულია ქვის „სკამები“.

---

[22] ალ. ჯავახიშვილი, ლ. ღლონტი, ურბნისი I, ქვაცხელების (ლეღვეპია-ქოხის) ნამოსახლარზე 1954—1961 წწ. ჩატარებული გათხრები, თბილისი, 1962, გვ. 58—64.

ბეღლის როგორც ხევსურულ, ისე ფშაურ ნაირსახეობათა დამახასიათებელი თავისებურებაა მათი გადახურვის სისტემა და ფორმა. ტაძარ-ბეღელს აქვს ქვის ორფერდა, მაგრამ არა დარბაზივით სადა, არამედ იარუსებიანი სანაწვთებიანი სახურავი და კამაროვანი ანუ შეისრული ქვის ჭერი, რომელიც აშენებულია წყობის რიგების თანდათანი წინ წაწევით. საჭირო სიმაღლემდე აყვანილი ვერტიკალური კედლები შენობის ორივე გრძელ მხარეს სიმეტრიულად გეგმის სიგრძივი ღერძისკენაა გადაწეული. ამასთან, ქვის წყობის ყოველ საფეხურს დაფარებული აქვს ფიქალის ფილები, რომლებიც ოდნავ დამრეცია და საფეხურების წყობიდან წინ წაწეული. ამის გამო მიიღება ორქანობიანი, მაგრამ არა სადა, არამედ მრავალიარუსიან-სანაწვთებიანი სახურავი და ცრუკამაროვანი ან შეისრული ჭერი.

ფშავში ტაძარ-ბეღლის ტიპი ჩვენ მიერ დამოწმებულია ხოშარის სახუთმეტო ძელის, ანგელოზის ხატში საბეროს სახელწოდებით. ხევსურული ბეღლის ტიპი, ოღონდ ფშაური ბეღლისათვის დამახასიათებელი ფუნქციის მატარებელი, ერთეულ შემთხვევებში ჩვენ მიერ ფიქსირებულია ჭიჩოს სათემო ხატებში, გოგოლაურთის მთავარმოწამის ხატში, მუქუს თემის ტერიტორიაზე მდებარე მოკვერათ ხატში და მათურის მთავარანგელოზის ხატში, აგრეთვე მთათუშეთში, სოფელ საჩიღოლოში.

ფშაური ბეღელი ამ ტერმინის პირდაპირი მნიშვნელობით იყო ბეღელ-ამბარი, სადაც ხატის მინდვრებიდან აღებულ მარცვლეულს ინახავდნენ. ბეღლის ეს ტიპი გეგმაში კვადრატული ფორმისაა, კედლები ნაგებია ფიქალი ქვით კირის ხსნარზე. იატაკი დაფენილია ფიქალის ფილებით. კარი გაჭრილი აქვს კედლის ცენტრში. ბეღელში ჩაშენებულია ხის აკოები, — ორი-სამი აკო. მათში ინახებოდა წინასწარ დახარისხებული მარცვლეული. ბეღლის სახურავს მრავალსაფეხურიანი ორწახნაგოვანი პირამიდის ფორმა აქვს. აქ საფეხურები ისეთივე სისტემისაა როგორც ტაძარ-ბეღელში. შიგნით გადახურულია ცრუგუმბათით ან გლეხის დარბაზისმაგვარი, ოღონდ ქვაში გამოყვანილი გვირგვინით. ამასთან, დამოწმეუბლია როგორც კუთხური, ისე პარალელური წყობის გვირგვინი (უკანასკნელი განსაკუთრებით დამახასიათებელია საზარე კოშკებისათვის). ცრუგუმბათის უმაღლეს წერტილს კრავს სხვადასხვა ზომისა და ფორმის ჩამკეტი ქვა.

ანალოგიური არქიტექტურული ნაგებობა ჩვენ დავაფიქსირეთ მთათუშეთში, სოფ. ომალოში, სადაც იგი გამოყენებული იყო არა სამეურნეო სათავსოდ — ხატის ბეღლად, არამედ „წმ. მარიამის“ სახელობის ტაძრად.

ქვის საფეხუროვან-გვირგვინიანი გადახურვის სისტემა საქართველოში არსებობდა არამარტო მაღალმთიან რაიონებში. თავდაპირველად კუთხური წყობის ქვის გვირგვინი ცრუკამარის სახით გვხვდება საქართველოს ციკლოპურ ნაგებობებში, მაგრამ მისი უფრო სრულყოფილი ნიმუშები დამოწმებულია ბორჯომის ხეობის სოფლებში: ლიკანში, თორში, საკოჭაოში (ზემო ქართლი), თეთრიწყაროს რაიონში (ქვემო ქართლი — ქვისა და ხისა)[23], შიდა ქართლში XI ს. წირქოლის ტაძარში და ლარგვისის XVIII ს. გამაგრებული კომპლექსის საცხოვრებელ კოშკზე (მდ. ქსნის ხეობა)[24]. მრავალიარუსიან-სანაწვთებიანი

[23] ირ. ციციშვილი, ქართული არქიტექტურის ისტორია, ლექციების მოკლე კურსი, თბილისი, 1955, გვ. 27—28.

[24] Л. Сумбадзе, Грузинские дарбази, Тбилиси, 1960, стр. 21—22.

პირამიდული ფორმის გადახურვა ცრუკამაროვანი ჭერით დამახასიათებელი ელემენტია აგრეთვე საბრძოლო კოშკებისათვის, რომლებიც ფართოდაა გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიან რაიონებში და ერთეულის სახით გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს ბარში.

ზემოთ ჩვენ მიერ აღწერილ ბეღლის ორივე სახეობას მოეპოვება პარალელები როგორც ჩრდილო-კავკასიის მთიანეთში (ინგუშეთი, ჩრდილო-ოსეთი) საკულტო ძეგლებისა და მიწისზედა აკლდამების სახით, ისე შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე აკლდამების სახით. ჩრდილო-კავკასიაში აღმოჩენილი ამგვარი მიწისზედა აკლდამები მათში ნახული ნივთების მიხედვით თარიღდება ძვ. წ. II—III სს[25], ხოლო მცირეაზიური ძეგლები ძვ. წ. IV—III სს[26].

ჩვენ მიერ ბეღლის ცრუგუმბათოვანი ჭერის კონსტრუქციასთან დაკავშირებით მითითებული ეს დათარიღება ჯერ კიდევ არ წყვეტს ცრუკამაროვან თუ ცრუგუმბათოვან შენობათა წარმოშობის პრობლემას, თუმცა ამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტისათვის კავკასიისა და მცირე აზიის მასალას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიაში ამ პრობლემის გადაწყვეტას ართულებს ის გარემოება, რომ აქ ცრუგუმბათს და ცრუკამარას თან ახლავს მრავალიარუსიანი სახურავის მქონე შენობაში თითოეული იარუსის სანაწვთეებით გაწყობა, რაც ამ ტიპის ნაგებობათა ორიგინალურ თავისებურებას წარმოადგენს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ბეღელი ქართულ ენაში მეტად ძველი ტერმინია. ლინგვისტური მონაცემებით ბეღელი ქართულ-ზანურ ენობრივ ერთიანობის ხანას მიეკუთვნება[27]. იგი აისახება მითოლოგიაში დევი-ბეღელას სახელით. ეს ტერმინი გვხვდება როგორც საწესო საფერხულო სიმღერების სახელწოდება — „ქორბეღელა“, „ბეღლისკრული“. დაბოლოს, ამ ტერმინიდან ნაწარმოებია ბეღლის გადახურვის სტრუქტურასთან დაკავშირებით მეტად საყურადღებო ტექნიკური ხერხის აღმნიშვნელი ზმნა — დაბეღვლა და ქორბეღელად დაწყობა. მოათუშეთში სახლში მოტანილ საფიცრედ გამზადებულ „ნათხალს“ — დასამუშავებელ ფიცრებს „ქორბეღელად“ ან გარდიგარდმო დააწყობდნენ, ხოლო ფშავსა და ხევსურეთში დადასტურებული მასალის მიხედვით ფიცრების ერთმანეთზე დაწყობას, მათ შორის ხის ტოტების ან ჯოხების გადებით, „დაბეღვლას“ უწოდებენ[28].

ამგვარად, ფიცრების გარდიგარდმო დაწყობას ქორბეღელად დაწყობა ეწოდება. ხოლო დაბეღვლა ისაა, როცა ფიცრების დაწყობის დროს მათ შორის ტოტებს ან ჯოხებს გადებენ. ვფიქრობთ, საჭიროა ადგილზე გაირკვეს

---

[25] П. Уварова, Могильники Северного Кавказа, МАК, вып. VIII, М., 1900, стр. 95.

[26] Dr. Arif Müfid Mansel. Trakya kirklareli Kubbeli Mazarlari vesalte kubbe ve Kemer Problemi — «Türk Torih Kurumu gayilarindan», Veseri, 2, Ankara, 1943, გვ. 48.

[27] Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, М., 1964, стр. 50.

[28] ლ. ბ ე ღ ლ ე კ ი ძ ე, ხალხური ავეჯი, 1967, წ., ხელმანქანით ნაბეჭდის გვ. 45—46; შდრ. ლ. ბ ე ღ ლ ე კ ი ძ ე, ქართული ხალხური ავეჯი (ფშავ-ხევსურული კიდობანი), თბილისი, 1964, გვ. 12.

ქვის მასალის ამ ხერხით დაწყობასაც შეიძლება თუ არა ეწოდოს ქორბეღელად დაწყობა და დაბეღვლა. ამ საკითხის გარკვევა და დაზუსტება მეტად მნიშვნელოვანია, რადგან საკულტო ბეღლის გადახურვის ხერხი ქორბეღელად დაწყობასა და დაბეღვლას უახლოვდება, მაგრამ არა ფიცრების დაწყობას, არამედ ქვისას, რამდენადაც საკულტო ბეღელი მთლიანად ქვის ნაგებობაა.

უკანასკნელად ნაგებობათა კიდევ ერთ მხარეს შევეხებით. ესაა საჯვარხატო შენობების მოცულობის საკითხი.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის, კერძოდ ფშავის სატაძრო მშენებლობაში შინაგანი მოცულობის აღქმის მიხედვით ოთხი ძირითადი ტიპის სათავსოებია ჩვენამდე შემორჩენილი:

ა. გ რ ძ ე ლ ი ტ ი პ ი ს შ ე ნ ო ბ ა — გეგმაში გრძელი ანუ მოგრძო ფორმის ნაგებობა, შესასვლელი კარით მოკლე კედლის ცენტრში, ნაგებობის მთავარ ღერძზე. როდესაც ამ ტიპის შენობაში შევდივართ, ერთბაშად აღვიქვამთ შენობის მთელ სივრცეს, მის მთელ მოცულობას. ამასთანავე გრძელი ტიპის შენობაში განსაკუთრებით ძლიერია სიღრმის პერსპექტიული ზემოქმედება. ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას აძლიერებს შენობის სიღრმეში მოთავსებული საღვთისმსახურო ობიექტები — საკურთხეველი, სათასე, სასანთლე და მის., რომლებიც თავიდანვე, კარებში შესვლისთანავე ჩვენს თვალთახედვის არეში არიან მოქცეული.

ბ. კ ვ ა დ რ ა ტ უ ლ ი ტ ი პ ი ს შ ე ნ ო ბ ა — როცა კვადრატული მოხაზულობის შენობის კარი ერთ-ერთი კედლის ცენტრშია დატანებული. ამ შენობაში შესვლისთანავე ჩვენ მთელ სივრცეს, მთელ მის მოცულობას ერთბაშად აღვიქვამთ.

გ. მ ხ ა რ თ ს ა ქ ც ე ვ ი ტ ი პ ი ს შ ე ნ ო ბ ა — ეს ტიპი გეგმაში მართკუთხა ფორმის ნაგებობაა, რომლის მთავარი განფენილობა, როგორც წესი, ხატისკარის წინ ან ხატში სასიარულო გზის პირადაა მოქცეული, ხოლო მისი შესასვლელი კარი დატანებულია გრძელი კედლის ბოლოზე. ამ ტიპის შენობაში შესული კაცი შიგნიდანაც კუთხის მახლობლად აღმოჩნდება და აქ მან აუცილებლად უნდა მხარი იბრუნოს, პირშექცევით დადგეს ან იწყოს სვლა მოპირდაპირე მოკლე კედლისაკენ, რომ აღიქვას შენობის მთლიანი სივრცე და საღვთისმსახურო ობიექტები დაინახოს. მხართსაქცევი ტიპის შენობაში, როგორც ვხედავთ, სივრცის აღქმა კონტრასტზეა აგებული, — პირველი აღქმა სივრცისა თითქმის არსდება ანდა ნაწილობრივია, ხოლო მეორე საფეხურზე ხდება მთლიანი მოცულობის აღქმა.

დ. გ ა ნ ი ე რ ი ტ ი პ ი ს შ ე ნ ო ბ ა — გეგმაში მართკუთხა ფორმისაა და მას მთავარი შესასვლელი კარიც გრძელი კედლის შუა ნაწილში აქვს და არა მის ბოლოში. ამ ტიპის შენობაში შესული პირის პირდაპირ აღმართულია პარალელური გრძელი კედელი, ისე, რომ აქ, თავისთავად ცხადია, მოკლე სიღრმის სივრცეა. ასეთ მდგომარეობაში მყოფი პირი ან სულაც ვერ აღიქვამს შენობის ამ სივრცეს, ან იმდენად ნაკლებად, რომ მისი ეფექტი მეტად მცირეა მხატვრული აღქმის თვალსაზრისით. ფსიქოლოგიური ეფექტი განსაკუთრებით უმნიშვნელოა მაშინ, თუ ეს პირი თავის წინ მოპირდაპირე კედელთან ვერც საკულტო თუ საღვთისმსახურო ობიექტებს იხილავს.

ზემოთქმული, ნაგებობათა შინაგანი მოცულობის მთლიანი თუ დანაწევრებული აღქმის შესახებ, დაკავშირებულია შენობის განათების საკითხთან. მაგრამ საკითხის ეს მხარე, რომელიც მოითხოვს აღმოსავლეთ საქართველოს ჯვარ-ხატების ნაგებობებში კერის როლის გამოკვეევას, ცალკე შესწავლის საგანია.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ ამ და სხვა ჯვარ-ხატების ნაგებობათა შესახებ და მათთან დაკავშირებით წამოჭრილ საკითხებზე მსჯელობა გვექნება ამ გამოცემის მესამე ტომში.

ა. ფშავის ცენტრალური ხატები

1. ლაშარის ჯვარი

ლაშარის ჯვარი მდებარეობს ფშავის არაგვის ზემო წელში, დასახლებული ადგილებიდან რამდენადმე დაშორებით, ხოშარის და წითელაურთის თემებს შორის, ე. წ. ხმელგორზე ანუ ლაშარის გორზე, რომელიც იწყება წითელაურთის თემში სოფელ ნაკვალესავიდან და მიემართება არაგვისაკენ. ამ გორის ფერდობები შეფენილია მუხის, იფნისა და ადგილ-ადგილ ცაცხვის ხეებით. იქ, სადაც არაგვის მარჯვენა მხარეს ხმელგორი ჭალას უახლოვდება, მის ოდნავ დავაკებულ ადგილზე ლაშარის ჯვარია გაშენებული. ლაშარის ჯვარი ზღვის დონიდან საშუალოდ 1640 მ სიმაღლეზე და მას 0,75 ჰა ფართობი უჭირავს (ტაბ. 1ა).

ლაშარის ჯვარის რიგი საზოგადოებრივ-საკულტო ნაგებობები სამხრეთ-აღმოსავლეთის, აღმოსავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან ყორის გალავნითაა შემოვლებული. გ ა ლ ა ვ ა ნ ი ამჟამად ადგილ-ადგილ ჩამლილია. ჯვარში ასასვლელი ბილიკი ხმელგორის სამხრეთ-აღმოსავლეთის ფერდობს მიჰყვება, ფერდობს აათავებთ, გორის თავზე ორიოდე ნაბიჯს წინ წადგამთ და ე. წ. ჯ ვ ა რ ი ს კ ა რ შ ი მოექცევით.

ჯვარისკარი გალავნის გარეთაა, მის სამხრეთ-აღმოსავლეთით, რამდენადმე ვაკე ადგილზე. საფიქრებელია, ეს ადგილი, ვიდრე გალავანში „გადასაქდომამდე", ოდესღაც ხელოვნურად მოსწორებული იყო.

ლაშარის ჯვარისკარს ამშვენებს უზარმაზარი იფნისა და ქორაფის ხეები.

გალავანში „გადასაქდომის" მახლობლად იფნის ხის ტოტებზე ჩამოკიდებულია სწორკუთხა მოყვანილობის თეთრი ჩითის თავსაფრები, ე. წ. ს ა კ ა დ რ ი ს ე ბ ი, ვიწრო და გრძელი თეთრი ნაჭრები ზედ მიბმული ზანზალაკებითა და ირმის რქები. იქვე მეორე ბებერ იფანზე ჰკიდია ე. წ. ჯ ა ლ ა მ ბ ა რ ი ანუ ჯ ა ლ ა ბ ა უ რ ი ს ჯ ა ჭ ვ ი — დიდი, მასიური; მისი სიგრძე 3,62 მ, ჯაჭვის რგოლების დმ 10—11 მმ (სურ. 1; ტაბ. 2).

ლაშარობას ლაშარის ჯვარის ყმანი მისი საბრძანისის კარზე მირეკავდნენ სამსხვერპლო ბატკნებს, ცხვრებს, ჭედილებს, დიდ-დიდ ნაყოჩრებსა და კურატებს. ამათგან ნაყოჩრებსა და კურატებს კისერზე შებმული ჰქონდათ საკადრისები და ზარაკები, დანარჩენ სამსხვერპლოებს კი გრძელი და ვიწრო ნაჭრები, ზედ შებმული ზანზალაკებით. ხევისბერი ლაშარის ჯვარს მსხვერპლად შესწირავდა თუ არა ცხოველებს, კისერზე შებმულ საგნებს ჩამოხსნიდა და იქვე ხეზე ჩამოჰკიდებდა. ირმისა და ჯიხვის რქების შეწირვა მონადირეების მოვალეობას შეადგენდა. რაც შეეხება ჯალამბარს, მასთან დაკავშირებულია საყუ-

რადღებო თქმულება და გარკვეული სადღესასწაულო წესის შესრულება, რომლებიც ამ ჯაჭვის ოდინდელ როლსა და მნიშვნელობაზე მიუთითებენ.



სურ. 1. ლაშარის ჯვარი. ჯალაბაურის ჯაჭვის (ჯალამბრის) საქედური, 1964 წ.

აღნიშნული თქმულების ლიტერატურაში აქამდე უცნობი ვარიანტის თანახმად, თამარ მეფის მიერ დატყვევებულ და ფშავში თავის სახელობის ხატში მოყვანილ მჭედელს, რომელიც თქმულებაში ორი სახელით იხსენიება— მისრია და ჯალაბაური, ეს ჯაჭვი ქედზე ედო. თავხევისბერმა ბიჭურ ბადრიშვილმა, რომელიც 1964 წლის ზაფხულს ფშავის ჯვარ-ხატებზე მუშაობის დროს თან გვახლდა იახსრის ჯვარსა და ლაშარის ჯვარში, ეს თქმულება შემდეგნაირად მოგვითხრო: „მისრეთში გაუვლია თამარ-ნეფესა და ცხენები დაუნალვინებია. ის კაცი მოსწონებია, საუკეთესო მჭედელი ყოფილა. მემრე ცხენების ლურსმანი გრდემლზე დაუკრავ და გრდემლში ჩასულა. მემრე ჭმალი ამაუღია იმ ჯალაბაურსა, ამაიღო თურმე ეს ჭმალი, დაკეცილი ჰქონდა ჯიბეშია, — ამაიღო ჯიბიდანა და გაიშალა ჭმალი! ამაზე ლექსია:

„ჭმალმა თქვა მისრეთს ნაკვერმა
— მისრეთს მისრიამ გამკვერა,
ამამამღერა პატრონმა,
ჩამაგო, ჯვარი დამწერა“.

მაეწონა თამარსა, მემრე წამაიყვანა თამარ-ნეფემა; არ მაჰყვებოდა, და აი ამ ჯაჭვით დაბა: თითონ იმისივე ნაქედია. მემრე თქვა: „ჯალაბაურის ჯაჭვიაო“. ალბათ, კისერზე დაადო. დღესაც — უნდა გითხრა, რომ მისრიანებში მჭედელი გამოულეველი იყო, საუკეთესო მჭედლები იყვნენ“.

ბიჭურ ბადრიშვილის მარტო ამ უკანასკნელი სიტყვებიდანაც ნათელია, რომ ლეგენდარული მჭედელი, რომელიც თამარ მეფის ხატმა მისრეთში დაატყვევა, ქედზე თვით ამ მჭედლის გამოკვერილი ჯაჭვი დაადო და თან წამოიყვანა, — ფშავლების მიერ მისრაშვილების ახუ მისრიანების წინაპრადაა მიჩნეული.

ხალხური შეხედულებით რომ მისრელი მჭედელი მისრაშვილების ეპონიმია, ამაზე პირდაპირი მითითებაა ამავე ლეგენდის — აგრეთვე აქამდე გამოუქ-

ვეყნებელ, მეორე ჩანაწერში. „მისრიათ პაპა ჯალაბაური — ნათქვამია ამ ვარიანტში, განთქმული მჭედელი ყოფილა; თურმე მისრეთში ყოფილა მჭედლად. მერე ის თამარ-ნეფეს გზაში შეხვედრია, თამარ-ნეფეს უკითხავს: ვინა ხარ და სად მიდიხარო. იმან უთხრა: მე მჭედელი ვარო. ამოიღო მჭედელმა ჯიბიდან თავის გაკეთებული ხმალი, დაგირგვლული ყოფილიყო და ჯიბეში სდებიყო, გახსნა და გაიშალა, გასწორდა; დაგირგვლა და ისევ ჯიბეში ჩაიდო თამარ-ნეფემ ჯერ უთხრა — ჩემთან წამოდი და იქ იმუშავეო. რომ არ დათანხმდა, დაიჭირა და წამოიყვანა. მისულმა ცოტა ხანს კი იმუშავა და გაიპარა. წავიდა თამარ-ნეფე და მივიდა იმასთან. — ერთი დიდი ჯაჭვი გამიკეთეო, უთხრა. გაუკეთა იმანაც ჯაჭვი. თამარ ნეფემ ეს ჯაჭვი კისერზე დაადო, წამოიყვანა და ლაშარის ჯვარში დაბა. მანამდე ყავდა დაბმული, სანამ ფიცი არ მისცა — აღარ წავალო. შეფიცვის შემდეგ წამოიყვანა და თავის ადგილში დაასახლა. რადგან ის მისრეთით მოყვანილი იყო, ამიტომ მათი (იგულისხმება: ჯალაბაურის შთამომავლობის, ვ. ბ.) გვარი მისრიაშვილია და სოფელი მისრიაანთკარი. შემდეგ დაიწყო აქ მჭედლობა და იმათ გვარში მას აქეთ არ შეიძლება, რომ ერთი მაინც კარგი მჭედელი არ იყოს და ერთი კევისბერი. ეს ორივე მოდენილობით აქვთ მილოცვილი თამარ-ნეფისა და ლაშარის ჯვარისაგან“. (ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის სექტორის საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილების არქივში დაცული ხელნაწერი მასალა (მანუსკრიპტი=) M[1], 83, რვ. 29, გვ. 349—350).

მისრიანები ანუ მისრიაშვილები თამარ მეფის ხატის გვერდზე, ამ ხატის მიწაზე. ზემოხსენებულ მისრიაანთკარში ცხოვრობდნენ სულ უკანასკნელ დრომდე ისე, რომ მათი ნასახლარები და სოფლის საზოგადო ნაგებობათა ნანგრევები დღესაც შემონახულია. საყურადღებოა, რომ ვაჟა-ფშაველა ერთ-ერთ თავის წერილში ფშავის თორმეტ თემზე ლაპარაკის დროს, როცა ამ თემ-გვართა სახელებს ჩამოთვლის, მეთორმეტე თემად მისრიაანებს ასახელებს[1]. ამის გვერდით არსებობს გადმოცემა, რომ ისინი ჯალაბაურის გვარს ატარებდნენ ხევსურეთიდან არიან ფშავში გადასახლებული (მითით. არქივი, M[1], 83, რვ. 29, გვ. 348; M[1], დამატ. რვ. 1, გვ. 2)[2] და რომ ეს ჯალაბაურნი ლაშარის ჯვარში გაფიცული მეთორმეტე თემია ფშავისა.

ამ თემს, ფშავის დანარჩენი 11 თემის მსგავსად, ლაშარის ჯვარში თავისი ღია საჯარე ჰქონდა, სადაც მისი წარმომადგენელნი, ისევე, როგორც ფშავის

---

[1] ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, ფშაველები (მათი სხვადასხვა ჩვეულება და ხატები), თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტ. V, პუბლიცისტიკა და ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1961, გვ. 25.

[2] როგორც წესი, ჩვენში — და არა მარტო ჩვენში (ქართველებში) — იმ წინაპრის სახელი, რომელიც თავისი თანადროულებისაგან ან გარეგნული ნიშნით ან ზნეობრივი (ავი თუ კარგი) მხრით გამოირჩეოდა, მისი შთამომავლობის გვარად იქცეოდა. ასეთი წარმოშობისაა გვარსახელი ჯალაბაური, რომელიც ზემომოტანილ ლეგენდებში გამოჩენილი მისრელი მჭედლის საკუთარი სახელია. რაც შეეხება მეორე გვარსახელს, მისრიანი ანუ მისრაშვილი, მისრიაშვილი, — იგი, უეჭველია, მიღებულია იმავე გამოჩენილი მჭედლის შერქმეული სახელიდან „მისრია“. „მისრია“ რომ ამ მჭედლის შერქმეული სახელია, კარგად ჩანს ზემომოტანილი ლექსიდან: „ჭმალმა თქვა მისრეთს ნაკვერმა — მისრეთს მისრიამ გამკერა....“ ადგილის, ქვეყნის ან ტომობრივი სახელისაგან საკუთარი სახელისა და გვარსახელის წარმომავლობის მაგალითები ისეთი, როგორიცაა ქართლიდან საკუთარი სახელი ქართლოსი და გვარსახელი ქართველიშვილი ანდა მეგრელიდან-საკუთარი სახელი მეგრელაური და გვარსახელი მეგრელიშვილი — მრავლად მოიპოვება.

დანარჩენი თემებისა, ლაშარობას თავ-თავის საჯარეზე სადღესასწაულო სუფრას აწყობდნენ და დროს ატარებდნენ ჭამა-სმასა და მხიარულებაში.

ამგვარად, მოტანილი თქმულების ვარიანტებიდან ჩანს, რომ ჯალაბაურის მიერ გაკვერილი ჯაჭვი თავის დროზე თვით ამ მისრელი მჭედლის ტყვეობის იარაღად იქცა, ეს მნიშვნელობა ტყვეობის თუ ტყვე-მონის იარაღისა მას ხალხის თვალში მტკიცედ დაემკვიდრა. ამ უკანასკნელ გარემოებას და დამატებით საკნის ახალ გაგებას ჯალამბრით ნასრულები ღვთისმსახურების წესი გამოავლენს. ლაშარობას ფშაველი კაცი თუ ქალი, რომელსაც ავადმყოფობის დროს, მისგან თავის ან შვილის გადარჩენის მიზნით „მონობაზე“ აღთქმა ჰქონია მიცემული, ჯალაბაურის ჯაჭვს კისერზე იდებდა და დაოთხილი გარს უვლიდა სასანთლე კოშკს, რომელიც ლაშარის ჯვარის კარზე იყო და დღესაც არის აღმართული.

ფშაველი, რომელიც კისერზე დადებული მძიმე ჯაჭვით ჯვარის კარზე დაოთხილი მოძრაობს, თვალნათლივ წარმოგვიდგენს ღვთაებისადმი ტყვე-მონად შეწირვის რიტუალს.

ჯალამბარის, როგორც ტყვე-მონის იარაღის გაგებას კიდევ უფრო დამაჯერებელს ხდის პირქუშის ჯვართან დაკავშირებული გადმოცემა და სათანადო მსახურების წესი, რომელსაც პირქუშის ყმანი, ახადელ-ბაცალიგველი ფშავხევსურნი ასრულებდნენ.

გადმოცემის თანახმად, „პირქუში წინწინ კაც ყოფილ, მჭედელი. ის ყოფილ მგელაის შვილი დავითი, ნაწილიან ყოფილ. რახან დაიძინისავ, მჯართ შუაშიით შუქ ამავარღისაოდ გაანათისავ იქიობაივ. სხოდაც მანათის ოდნად ხქონდისავ მჯართ შუაშიავ თეთრ კვერივ. ლამაზიც იმით ყოფილ, რო ნაწილიან ესეთაი ას, ყველაზე ძალიან ლამაზი; ისით ჯორცი ხქონდ, რო მზესავით შუქთ უშობენ.

პირქუშს უთქომ, რომ ახმეტას წავედით ვენაჯის მოსავლელადაოდ, რო მაევედივ (ნიშნავს: დავბრუნდი, ვ. ბ.) — გრდემლზე ეწერავ, რო მგელაიშვილ დავითივ ამა და ამ დღეს უნდა მაკვდასავ. ვიწვალეე — უთქომ პირქუშს. რამთვენჯერამავ გრდემივ ცეცხლში ჩავაგდიოდ მაინც არ წაიშალავ; მე მინდოდავ, რო ის დაწერილ წაშლილიყვავოდ, არ მამკვდარიყავივ, მაგრამ მაინც არ იქნავ. როსაც დალიშნულ იყვავ დროივ, სწორად იმ დროს ამომივიდავ სულივ. ესრ მჭედელ ყოფილ პირქუშიდ, ისით წმიდა კაც ყოფილ რო, რო მამკვდარ, ხთის ნასახად გადაქცეულ! მემრ რო სულწმიდად გადაქცეულ, აჭადს (ფშავის ერთ-ერთ სოფელში) მასულასად იქ დაარსებულ. მაშინ ბაცალიგველნიც იქ მდგარანად ძმობა ხქონივ აჭადელთან.

პირქუშ რომ დაარსებულ აჭადს, მკითხავ გაუქადაგებაად, მაუთხოვიან ყმანი ბაცალიგველ-აჭადელთ სცოდნივ, რო პირქუშივ კაც იყვავ მჭედელიოდ — იმას რაკელ დავეყმნათავ, უთქომ. არ დახყმობიონად გამწყრალ ძალიან პირქუში, ზოგისად ცეცხლ გაუჩენავ, ზოგ აოდ გაუჭდავად ისრ შაუშინებიან

რო, ბოლოს, პირქუშის ყმათ ჯარჯ-გირკლიანებს უდენავ[3]; გაუკეთებავ აკად

პირქუშის კოშკი, დარბასიდ საქვაბეი, დაუწყავ ლუდის დუღილიდ ლოცვა პირქუშისა. პირქუშს ყმან ისით დახუთულნი ხყვანიონ, რო დღეობა რო მავიდისავ, ყველას ხქონდისავ ჯარჯ-გირკალივ დამზადებული კაცებსავ. ჯვარჩიაც ჯარჯ-გირკლიანებ დადიოდიანავ, ღამითაც ჯარჯ-გირკლიანებ იძინებდიანავ. დღეობაშიავ, თუ ვინ ჯარჯ-გირკალს მაიშორებდ, მაშივ აოდ უჭდავად, უმიზეზებავ ჯვარს, — პირქუშს. ბოლოს, სრუ სალოცავ ძლივრ ჯვარად გადაიქცავ უბრალო კაცივ, იცოდიან. ჯვარჩი რახა ჯარზე დასხდიანავ პირქუშის ყმანივ, ჯარჯ-გირკალსავ ჯღარ-ჯღურ გახქონდისავ; იცოდიან როსაც ჯარჯ-გირკალს ჩაისხეჭდესავ, მაშიავ იარაღი სრუ დაყარიანავ პირქუშის ყმათავ.

ჯარჯ-გირკალივ პირქუშმავ იმით გაუწესავ, რო წინ-წინ რო არ დაღმორ-

ჩილდესავ მაშინ დაემუქარავ—დაგიმორჩილებთავ კი არაოდ ს ა ქ ო ნ ი ვ ი-
თ ა ვ ჯ ა რ ჯ-გ ი რ კ ლ ი ა ნ ებ ს გ ა დ ე ნ თ ა ვ ო დ (ხაზი ჩვენია — ვ. ბ.)
შეუსრულებიებავ კიდეც ყმათად ეს მუქარაი. მაშინდელ ჯარჯ-გირკალი ნელო-

ბამდინ ხქონივ შამანახული ხალხს. ბოლოს ჯვარჩი მიუტანიდ იქით ას დაკარგული" (მითით. არქივი, M[1], 17, რვ. 18, გვ. 372—374).

ჩვენ აქ საგანგებოდ გავხაზეთ მონობის გაგებაში ჯარჯ-გირკლის მნიშვნელობა. ბაცალიგველ-ახადელნი მარტო მორჩილნი კი არ ხდებიან პირქუშის ნება-სურვილისა, ღვთისშვილის წინაშე მორჩილება მისი ყმების მოვალეობაა. ესენი კი პირქუშს მონებად უქცევია. ჯვარში ისინი ტანზე იარაღ-აყრილნი და „ქედზე" ჯარჯ-გირკალ დადებულნი დაიარებიან, ღამითაც დღეობაზე ჯარჯ-გირკლიანები იძინებენ, ხატის ჯარზეც ჯარჯ-გირკლიანები სხდებიან და ყოველ მათ მოძრაობას „ჯღარ-ჯღური" თან სდევს.

მოტანილი გადმოცემებისა და ახლო წარსულამდე რეალურად არსებულზე მონათხრობთა მიხედვით, საფიქრებელია, რომ ხატის მონობის ატრიბუტი თავდაპირველად ხის უღლიანი „ჯაქვი — ჯარჯ-გირკალი ყოფილა[4], რაც შემდეგში ლითონის საქედურიან ჯაჭვში გადაიზარდა. აქვე აღვნიშნავთ, რომ ღვთაება ბარბარეს მონები წნელის უღლებს, — ყელზე ჩამოსაცმელ — სადა რკალებს ატარებდნენ[5]. ასეთსავ სახატო უღლებს, მაგრამ რკინისაგან დამზადებულს ატარებდნენ ხატის მონები მთიულეთსა და ქართლ-კახეთში. ვიმოწმებ ლიტერატურულ ცნობას მთიულთა ძველი ყოფიდან, რომელიც სხვა ქართველ მთიელებზე, კახელებსა და ქართლელებზეც ვრცელდება, რამდენადაც აქ. ყველგან ამ საგანზე ზოგადად ერთნაირი შეხედულება და რელიგიური პრაქტიკა არსებობდა. როდესაც მთიული დედაკაცი ავად ხდება, ამას ის „ხატის მიზეზად

---

[3] ჯარჯ-გირკალი მსხვილფეხა საქონლის დასაბმელი იარაღია. ამ იარაღის ერთი შემადგენელი ნაწილი — გირკალი მუხის ან არყის ხისაგან გაკეთებული რკალია. მას ყელზე ამოცვამენ პირუტყვს და ქედზე დაუმაგრებენ. გირკალზე ცალი წვერით ჯარჯი მაგრდება. ჯარჯი ჯაქვის მსგავსი რგოლებისაგან შემდგარი დაგრეხილი წნელია, რომლითაც მსხვილფეხა საქონელს აბამენ, — შდრ. ალ, ჭ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ ი , ხევსურულის თავისებურებანი ტექსტებითა და ინდექსით, თბილისი, 1960. გვ. 287.

[4] შდრ. ხუნდი-ფენის ბორკილი, რომელიც აგრეთვე ხისა იყო იხ. საქ. სახ. მუზეუმის ეთნოგრ. განყ-ის კოლექცია.

[5] ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე , ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ), თბილისი, 1941, გვ. 51 და სურ. 7, 8.

სთვლის“. სნეული ქალი მჭედელს ხატის უღლის დამზადებას შეუკვეთავს „და მას თითოეულ უღლის გაკეთებაში თეთრ აბაზიანს აძლევს“. ხატის ეს რკინის უღელი სხვადასხვა ზომისა და სიმსხოსია.

დედაკაცი აიღებდა ამ უღელს, რომელიმე ძლიერ ხატს თავს შეავედრებდა და აღუთქვამდა, რომ ამ უღელს განკურნებამდე ყელზე მოუხსნელად ატარებდა. ხატის უღლის ტარების ხანგრძლივობა დამოკიდებული იყო ავადმყოფობისა და შეცოდების სიმძიმეზე. ჩვეულებრივად კი მას დაახლოებით სამ წლამდე ატარებდნენ.

ზოგი მთიული დედაკაცი ორ-სამ ხატის უღელს ატარებს.

ამ დღიდან ხატისუღლიანი დედაკაცი ხ ა ტ ი ს მ ო ნ ა დ ითვლება (ხაზი ჩვენია — ვ. ბ.). დადებული ვადის გასვლისას ყელუღლიანი ქალი მიდის იმ ხატს დღეობაში და თან მიაქვს ნაზუქი, კელაპტარი და თეთრი ფული. ამ „საწირს“ მას აქ დეკანოზი ჩამოართმევს და დაამწყალობნებს. დალოცვის შემდეგ დეკანოზი დედაკაცს ყელიდან უღელს შეხსნის და ხატის ნიშში შესდებს. ამასთანავე დედაკაცი უღლის „საცვეთში“ დეკანოზს თეთრ ორშაურიანს აძლევს. ამის შემდეგ დედაკაცი ხატის მონობისაგან თავისუფალია[6].

ავადმყოფობის გამო შეთქმა და ყელუღლიანისა და მუცელსარტყლიანის სიარული ფშავის ლაშარის ჯვარშიც სცოდნიათ. მკითხავის რჩევით ლაშარის ჯვარისაგან დამიზეზებული ავადმყოფი უღელსა და სარტყელს რკინისას, ზოგი კი რკინის ნაცვლად წნელის უღელს იკეთებდა[7].

წნელისა და რკინის ხატის უღლების მრავალი ნიმუში დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდებში, მათ ნაწილს აქვე ვაქვეყნებთ (სურ. 2). ამასთან ერთად საყურადღებოა ერთი მეგ-



სურ. 2. შარნა. ხატის უღელი.
საქართველოს ს.ხ. მუზ. კოლექცია.

რული კოლექცია, რომელიც სხვა ეთნოგრაფიულ კოლექციებთან ერთად 1904 წელს თედო სახოკიამ საქართველოდან პარიზში ჩაიტანა და ფრანგულ ანთრო-

[6] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, მთიულეთი, თბილისი, 1930, გვ. 145—146 და სურ. 58—59.
[7] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ფშაური, თბილისი, 1934, გვ. 202.

პოლოგიურ საზოგადოებას გადასცა იმავე 1904 წელს 19(6) მაისს თ. სახოკიამ მოხსენება წაიკითხა აღნიშნული ანთროპოლოგიური საზოგადოების კრებაზე. მოხსენება სამეგრელოს ეთნოგრაფიული კოლექციის ახსნა-განმარტებას შეეხებოდა. ამ კოლექციიდან ჩვენთვის საყურადღებოა აბრეშუმის ნაჭერში ჩაკერილი გახვრეტილი ქვა, რომელიც — თ. სახოკიას განმარტებით — ერთ მეგრელ ქალს კისერზე ეკიდა. მას ქმარი ავად ჰყოლია და აღთქმა დაუდვია, ღმერთო, თუ მომირჩენ ჩემ ქმარს, ამ ქვას კისრით ვატარებ და შენი მონა ვიქნებიო[8].

თამარის ხატისა და ლაშარის ჯვარის ჯალამბარს ანალოგები მოეპოვება არა მარტო ზემოთ მითითებული წნელისა და რკინის უღლების სახით, არამედ სავსებით მათი მსგავსია ლომისას ხატისა, გერის წმ. გიორგისა, გორის ჯვარისა და აწყურის თეთრი გიორგის ეკლესიების საქედურიანი ჯაჭვები[9]. აქვე აღვნიშნავთ, რომ აწყურის ეკლესიის საქედურიანი ჯაჭვები ამჟამად დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში (სურ. 3—5).



სურ. 3. სოფ. აწყური, ახმეტის რაიონი „ტყვემონის“ ჯაჭვი. თეთრი გიორგის ეკლესიიდან. საქართველოს სახ. მუზ. კოლექცია 16 — 23/26.

ხილო ლომისას ჯაჭვი გამოქვეყნებულია ს. მაკალათიას მიერ[10]. ანალოგია კიდევ უფრო შორს ისტორიულ სივრცეში მიდის და ერთიმეორეს უკავშირებს ისეთ სამლოცველო ცენტრებს, როგორიცაა ერთი მხრივ წარმართული ხანისა და წარმართული ხასიათის მთვარის ტაძარი ალბანეთ-კახეთის საზღვარზე, და მეორე მხრივ აწყურის თეთრი გიორგის ეკლესია კახეთში, გორის ჯვარისა და

---

[8] Presentation d'objets ethnografiques de la Géorgie par Th. Sakhokia, paru dans les Bulletins et Memoires de la Société d'Anthropologie de Paris (Seance de 19 mai, page 370, 1904); ი. ნ - ძ ე. წერილი პარიზიდან (ლექცია საქართველოზე), „ცნობის ფურცელი“, 1904, 1/VI, № 2511.

[9] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, თბილისი, 1928, გვ. 47, 49.

[10] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, მთიულეთი, სურ. 70. აქვე აღნიშნულია ჯაჭვთან დაკავშირებული საღვთისმსახურო წესი: „ვისაც აღთქმა აქვს დადებული, ამ ჯაჭვს ყელზე დაიდებს და ტაძარს ხოხვით სამჯერ შემოატარებს“ — ი ქ ვ ე, გვ. 173.

გერის წმ. გიორგის ეკლესია ქართლში, ლომისას ხატი მთიულეთში და ლაშარის ჯვარი ფშავის არაგვზე.

ნიშანდობლივია, რომ სტრაბონის (ძვ. წ. 63 — ახ. წ. 20) აღწერილობაში, რომელიც ალბანეთ-იბერიაში მთვარის ღვთაებისადმი განკუთვნილ წესებს ეხება, აღნიშნულია ყელზე დასადები ჯაჭვი, რომელიც სამსხვერპლო მონისათვის იყო განკუთვნილი. ამგვარივეა ის საქედურიანი ჯაჭვები ლაშარის ჯვარისა, ლომისას ხატისა, აწყურის თეთრი გიორგისა, გორის ჯვარისა და გერის წმ. გიორგისა, რომლებსაც ღვთაებისადმი შეწირული მონები ატარებდნენ, იმ განსხვავებით, რომ მსხვერპლად შეწირვა შეცვლილია სიმბოლურად ჯაჭვის ტარებით[11]. უნდა ხაზგასმით ითქვას, რომ არც საკულტო ჯალამბარსა თუ ჯაჭვს, და არც საკულტო ჯარჯს ქრისტიანულ სარწმუნოებასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ისინი და მათთან დაკავშირებული რიტუალი ხატის მონობის სიმბოლური გამოხატულებაა და ქრისტიანობაზე ადრინდელი რელიგიის კუთვნილება უნდა იყოს. ისიც საგულისხმოა, რომ გარდა ზემოაღნიშნული რიტუალის თანხვედრილობისა, მჭიდრო კავშირი არსებობდა მთისა და ბარის საკულტო ცენტრებს შორის სხვა მხრივაც. ჩვენი ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალების მიხედვით ირკვევა, რომ ბოლო დრომდე ფშავის ერთ-ერთი თემი — უძი-





სურ. 4. სოფ. აწყური. ტყვემონის ჯაჭვი. თეთრი გიორგის ეკლესიიდან. საქართველოს სახ. მუზ. კოლექცია 16—23/27.

ლაურთა სამსხვერპლო კურატებს სწირავდა ერთდროულად როგორც თავის სათემო ხატს კოპალას, ისე აწყურის თეთრი გიორგის ხატს კახეთში. გარდა ამისა, იმავე თემს შემოდგომით რთველში შესაწირავი კურატები მიუდიოდა კახეთში, სოფელ ახმეტას კოპალას ზვარის მარანში[12].

---

[11] შდრ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი , დასახ. ნაშრ., გვ. 47.

[12] 1964 წლის ფშავის კომპლექსური ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიური, გვ. 107.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, ცხადია, რომ ჯალამბარი[13] და მისი მსავსი ჯაჭვები თავისი წარმოშობით სტრაბონისა და მასზე ადრინდელი ხანის როგორც ბარის, ისევე მთის იბერიას უნდა უკავშირდებოდეს, როდესაც აქ, იბერიაში არსებობდა საზოგადოებრივი ეანვითარების გარკვეული, სახელდობრ ადრეკლასობრივი წყობილება და მისი შესაფერისი ასტრალური რელიგია ღვთაებრივი ტრიადით.

ჩვენ უკვე ვახსენეთ სასანთლე კოშკი, რომელიც აღმართულია ლაშარის ჯვარის კარზე (ტაბ. 3, 2, 2ა, ბ, ტაბ. 4, ტაბ. 5). იგი ფიქალი ქვისაგან ლამით ნაგები კვრივია[14], გარედან ლამ-კირით შელესილი, აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხარეზე ორ სართულად დატანებული შუკუმებით, ორფერდა სამიარუსიან-სანაწვთებიანი სახურავით, რომლის კეხზე დევს ქვის ბროლის ნაჭერი. ლაშარის ჯვარში ყოფნის დროს სასანთლის ზედა შუკუმაში შედგმული იყო რუსული ხელობის პატარა ხატი[15], მრავალი ზარაკი და შუშის ქილა ზედაშით. ქვედა შუკუმაში ელაგა პატარა ყანწები, იდგა იაფფასიანი შანდალი და ბოთლები, ეყარა უამრავი შუშის ნამსხვრევი, ხისა და თუნუქის ნამტვრევები, პატრუქის ნაგლეჯი, ცვილის ნაჭრები, ურიცხვი სანთლის ნამწვები. ხევისბერ ბიჭურ ბადრიშვილის ცნობით „ეს სასანთლე ლაშარის ჯვარს ბიჭუა და გიორგი ხახაშვილებმა გაუკეთეს“.



სურ. 5. სოფ. აწყური. ტყვემონის ჯაჭვი. თეორი გიორგის ეკლესიიდან. საქართველოს სახ. მუზ. კოლექცია 16—23/21, 22, 23.

სასანთლეს ჩრდილოეთის მხრიდან აკრავს საკურთხეველი (ტაბ. 3, 3) — ფიქალი ქვისაგან მშრალად ნაგები დაბალი, გეგმაში სწორკუთხოვანი

---

[13] ჯალამბარი — სპ. ჯოლომბორ (جلنبر), оборванец, чумазый, — Б. В. Миллер, Персидско-русский словарь, М., 1960.

[14] ამ ტერმინს მე ვხმარობ გულსავსე, ყრუ შენობის აღსანიშნავად. ამ მნიშვნელობით იხმარება იგი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. შდრ. ს ა ბ ა: „კურივი ულრუო და უნაჭვრეტო“, ნ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი (1961 წ. გამოცემა ალ. ღლონტის რედაქციითა და გამოკვლევით): „მკტრივი სავსე და გატენილი თჳნიერ ფუღუროებისა“.

[15] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, „წმ. გიორგის უბრალო ხატებსა და ჯვრებს“ ასახელებს, — იხ. მისი ფშავი, გვ. 197.

მოცულობა, რომელსაც ზემოდან ბრტყელი სიპი აფენია. ესაა ერთ-ერთი სახეობა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საკულტო ცენტრებში შემონახული ნაირგვარი საკურთხევლებისა. მათ ქადა-კვერის საწირი, ანუ სასუფეველი ეწოდება. ხევისბერი ამ სიპზე დღეობაში მოტანილ ქადა-პურებს ლაშარის ჯვარის სახელზე შესწირავდა, დანით მათ ჯვარედინად გარდიგარდმო გადასერავდა და თითოეული ქადა-პურის ნათხალს თავისთვის იტოვებდა.

საკურთხევლიდან ორიოდე ნაბიჯზე მისგან აღმოსავლეთის მიმართულებით მოწყობილია სამსხვერპლო (ტაბ. 3, 1, ტაბ. 6), ფშაველთა ტერმინოლოგიით სასაკლაო ანუ სასაკლავე — სწორკუთხოვანი ფორმის ორმო, რომლის კედლები ამოყვანილია მშრალად ნაშენი ფიქალი ქვის წყობით. მასთან ხოცავდნენ შეწირულ ცხოველებს ისე, რომ მათი სისხლი ორმოში დაგროვილიყო. სამსხვერპლო ორმო გადაფარებული ყოფილა დიდი ზომის ორი ბრტყელი ფიქალით, რომლებიც ჩვენი იქ ყოფნის დროს ნაწილობრივღა ფარავდა მას. სამსხვერპლო ორმოს და მისი საფარის შესახებ საყურადღებო ცნობები აქვს შემონახული მეცნიერ-მოგზაურს ნ. დინნიკს, რომელიც წერს: „Шагах в 6 от большого ясеня, обвешенного разными предметами, находится яма глубиною, как говорят, сажени в две и шириною в аршин. Сверху она более или менее покрыта каменными плитами, причем между ними остается квадратное, величиною в пол-аршина отверстие. Над этой ямой режут всех жертвенных животных, кровь которых через упомянутое отверстие стекает в яму и, по словам пшавов, в самый разгар празднества наполняет ее почти до краев»[16].

ამ ცნობიდან ირკვევა, რომ XIX საუკუნის 90-იან წლებში ლაშარის ჯვარის სამსხვერპლო ორმოზე გადაფარებულ ფიქალის ბრტყელ ქვებს საგანგებოდ დატანებული ჰქონია ნახევარი არშინის ზომის კვადრატული ნაჩვრეტი, რომელთანაც ხდებოდა სამსხვერპლო ცხოველების დაკვლა ისე, რომ მათი სისხლი ნაჩვრეტიდან პირდაპირ ორმოში იღვრებოდა.

ჯვარისკარის ჩრდილო-აღმოსავლეთის კიდეზე მოთავსებულია ფიქალი ქვისაგან მშრალი წყობით ნაგები სალუდე, გეგმაში სწორკუთხოვანი ფორმისა. სალუდის მთავარი ფასადი, რომლის კედელშიც ამჟამად მხოლოდ კარის ღიობსღა ვამოწმებთ (უკაროდ), ჩრდილო-დასავლეთის მხარეზე გამოდის. დანარჩენი სამი კედელი მიწაშია ჩამჯდარი, სახურავი ჩაქცეულია და ნაშალზე ამოსულია ბალახი და ხეები. მიუხედავად ამისა, შეიძლება ამ შენობის გადახურვის რეკონსტრუქცია და მისი ძირითადი ინვენტარის გათვალისწინება.

საქმე იმაშია, რომ ამ შენობის მთავარი ფასადისა და მისი მოპირდაპირე კედლების წყობა სამკუთხა ფორმით მთავრდება, რაც იმის მაჩვენებელია, რომ სალუდე, ორქანობიანი სახურავი იყო გადახურული. ასეთი კონსტრუქციის ნაგებობა ტიპურია ფშავის ხატებისა და ხშირად გვხვდება ხევსურეთის ჯვრების არქიტექტურაში. აქ ზემოაღნიშნულ მოპირდაპირე კედლების ყველაზე ვიწრო წერტილებზე დაყრდნობილია თავხე (კეზი ანუ კესი), რომელზეც წივწივის (ყავის) ცერად დახრილი თავია გამოდებული (შდრ. ტაბ. 9, ტაბ. 17); კავის მეორე თავი ეყრდნობა ან პირდაპირ კედელს, ანდა გრძივ კოჭს (ს ა გ ვ ე რ დ უ ლ ხეს), კავებზე დაფენილია სიპები.

---

[16] Н. Д и н н и к, Путешествие по Пшавии и Тушетии, Зап. Кавк. отд. Имп. Русск. Географ. Общества, кн. XV, Тифл., 1893, стр. 141.

ჯაგებით ამოვსებულ სალუდეში საკმაოდ მკაფიოდ გაირჩევა ჩრდილო-დასავლეთის კუთხეში ფიქალი ქვისგან მშრალი წყობით ამოყვანილი საცეცხლური, რომელშიც ჩადგმულია სალუდე ქვაბი, სპილენძის ფურცლებისაგან შეკერილი სპილენძისავე ლურსმნებით. ქვაბს შერჩენილი აქვს წყვილი რკინის ყურშატი და მათზე შესაბმელი და ზემოთ (ამჟამად არარსებულ) დირეზე ჩამოსაცმელი რკინის საკიდელი. ამას გარდა სამხრეთ-აღმოსავლეთის კედლის გასწვრივ პირდაღმა დამხობილია ასევე სპილენძის ფურცლებისაგან შეკერილი დიდი ზომის ნავი — ი ს ა რ ნ ა, რომელშიც თავის დროზე, სადღესასწაულო ლუდის დამზადებისას მის ზემოთ დამაგრებულ ბალნის ტომრებში ჩასხმულ ფორის და ქერის ფქვილის გამონახარში წვენი იწურებოდა.

1951 წლის ზაფხულშიც, როდესაც ჩვენ ლაშარის ჯვარს პირველად ვეწვიეთ, სალუდეს სახურავი ჩაქცეული იყო. მაგრამ ისარნა და სალუდე ქვაბი დაუზიანებელი ვიხილეთ (და მიუხედავად ჩვენი დიდი მცდელობისა, — უგზოობისა და უსახსრობის გამო, მათი ფშავიდან გამოტანა და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მოთავსება, სამწუხაროდ, ვერ მოგვიხერხდა).

სალუდეს მახლობლად საყეინო ანუ საყეენოა. ლაშარის ჯვარში საყეენო წარმოდგენილია პირდაპირ მიწაზე დაგებული ბრტყელი სიპით. ფშავის ხატებში წესისამებრ ასეთი საყეინოა. მაგრამ ზოგან ჩვენ განსხვავებული საყეინოც დავამოწმეთ (იხ. აქვე უძილაურთ სათემო ხატის საყეინოს აღწერილობა, ფოტო და არქიტექტურული განაზომები).

ზაფხულის დღეობებში აქ ხ ა ტ ი ო ნ ნ ი საყეინოს წესს აწყობდნენ. ეს წესი სრულდებოდა კახეთში, სოფელ ახმეტაში მდებარე ლაშარის ჯვარის ვენახში მოწეული ღვინით. ამ ღვინოს ფშაველი მთხრობლები დღეს კ უ ლ უ ხ ს უწოდებენ.

კულუხის მოსატანად ლაშარის ჯვარიდან მიემგზავრებოდა ცხენებითა და ღვინის ჭურჭლით (ტიკებით) ამ ჯვარის ხატიონი გარკვეულ პირთა შემადგენლობით. ახმეტაში ისინი ღვინის ქვევრების დალოცვის შემდეგ ღვინით სავსე ჭურჭლით იტვირთებოდნენ და უკან ლაშარის ჯვარში ბრუნდებოდნენ. ამ მგზავრობას, რომელიც საზეიმო პროცესიის ხასიათს ატარებდა, ერთხელ და სამუდამოდ ვამომუშავებული მარშრუტი ჰქონდა და ადრიდანვე შერჩეული პუნქტები, სადაც პროცესია გზადაგზა სადგურდებოდა და ადგილობრივ მლოცველებსა და ხატის შეთქმულ პირებს (ზოგიერთი მათგანი პროცესიას ფეხშიშველი აცილებდა) ამწყალობებდა. ლაშარის ჯვარში ატანილ კულუხს უკანასკნელ დროს — ფშავლების ცნობით, ამ ჯვარის სალუდეში ინახავდნენ.

ზაფხულის დღეობაზე, ნაშუადღევს დასტურ-ხევისბრები საყეინოზე დიდ სპილენძის გობს დადგამდნენ და მას კულუხის ღვინით ავსებდნენ. ამ დროს თავხევისბერი საყეინოს მახლობლად დროშას „დააბრძანებდა“ და მოკლედ იხუცებდა. შემდეგ მივიდოდა საყეინოსთან, აქ ხმამაღლა ლოცვა-კურთხევით მოიხსენიებდა „ლაშარის ჯვარის პიროფლიანთ“, ე. ი. იმ სახალხო გმირებს, რომლებმაც თავი გასწირეს ხალხისათვის, და მათ სახელზე სულმოუთქმელად დალევდა გობიდან ღვინოს. ამის შემდეგ მეთემენი რიგრიგობით მიდიოდნენ საყეინოსთან, ხმამაღლა წარმოსთქვამდნენ „ლაშარის ჯვარის პიროფლიანთა“ შესანდობარს, შემდეგ დაიჩოქებდნენ, ღვინიან გობში თეთრ ფულს ჩააგდებდნენ და დაოთხილნი და წელში მოხრილნი ღვინოს დაეწაფებოდნენ. თითო თე-

თრის ჩაგდებაზე მეთემეს, წესის თანახმად, უფლება ჰქონდა მხოლოდ იმდენი ღვინო დაელია, რამდენსაც ერთ ამოსუნთქვაზე მოასწრებდა. ამ დროს საყეენოს მიჩენილი ჰყავდა დასტური; ის დროდადრო, საჭიროების მიხედვით ასხამდა ღვინოს გობში იმ ტიკებიდან, რომლებიც მას მომარაგებული ჰქონდა საყეენოს წესის შესასრულებლად. აქვე აღვნიშნავთ, რომ საყეენოს წესს ლაშარის ჯვარის პიროფლიანთა სახელზე ასრულებდნენ როგორც დანარჩენ ცენტრალურ ხატებში — თამარის ხატსა, საკვირაოსა და დამასტურში, ისე ფშავის ყველა სათემო ხატში. იმავე წესის შესრულება ხევსურეთის ჯვრებშიც ხდებოდა, სახელდობრ, ხახაბოს ერთ-ერთ ჯვარში. აქ საყვენოს წესის შესრულების დროს, მეთემენი ლაშარის ჯვარის პიროფლიანთ შემდეგი სიტყვებით მოიხსენიებდნენ: „შაუნდნას, მააჯმარას ღმერთმ ლაშარის ჯვარის ლაშქარში დაჭოცილთ, მუკლით მაშვრალთ, პირით მწყურვალთ“ (M[1], 18, 1939 წ., რვ. 4, გვ. 38). ანალოგიური წესის შესრულება, ოღონდ სახლებში და არა ჯვარ-ხატში, სვანეთშიც სცოდნიათ ს ა ყ ჲ ნ ი ს ანუ ლ ი ს ყ ა ნ ე ლ-ი ს სახელწოდებით, როგორც ეს ჩვენ დავამოწმეთ ზემო სვანეთში ეთნოგრაფიული ექსპედიციის მუშაობის დროს ჯერ კიდევ 1935 წელს.

ჯვარისკარის ირგვლივ საკმაოდ დიდ ფართობზე მოწყობილია ღია საჯარეები, რომელთა რიცხვი 12 ყოფილა, ლაშარის ჯვარის 12 თემის შესაბამისად. თავხევისბერ ბიჭურ ბადრიშვილისაგან მიღებული ცნობებით ლაშარის ჯვარის მეთორმეტე თემს, რომელსაც ხახაბოელი ხევსურები შეადგენდნენ, თავისი საჯარე მოწყობილი ჰქონია ჯვარისკარის სამხრეთ-აღმოსავლეთით აღმართული გორაკის თავზე. აქ მის მეზობლად უკანაფშავის თემის საჯარე მდებარეობდა. დანარჩენი (სახელდობრ: წითელაურთა, ახადელთა, ჭიჩოელთა, გაბიდაურთა, წოწკურაულთა, მათურელთა, გოგოლაურთა, ცაბაურთა, უძილაურთა და ქისტაურთ) თემების ღია საჯარეები უფრო ქვემოთ იყო მოწყობილი ერთიმეორის მიყოლებით, სიგრძეზე აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და ჩრდილო-დასავლეთისაკენ ვიდრე ჯვარის გალავნამდე. ამჟამად ამ საჯარეების დიდი ნაწილი ჯაგებითაა დაფარული. ხოლო ჩვენ მიერ ნახული საჯარეებიდან (ისინი დატანილია ლაშარის ჯვარის გენგეგმაზე, ტაბ. 1 ა). თითოეულის ფართობი ხელოვნურადაა მოსწორებული და ფერდობის ჩაჭრილი კიდური, ქვებითაა შემაგრებული.

ლაშარის ჯვარში ამოსული მედღეობე მეთემენი თავ-თავის საჯარეში ჯარდებოდნენ. გარდა სათემო თუ სასოფლო საკლავისა (ასე ეწოდებოდა თემის წევრებისაგან საკუთარი ოჯახებიდან მორიგეობითი წესით ერთ წელს ერთი ოჯახიდან, მეორე წელს მეორისა და ასე შემდეგ გამოყოფილ საუკეთესო ცხვარს ან ჭედილას), რომელიც დღეობაზე პირველად დაიკვლებოდა ლაშარის ჯვარში, — ფშავლებს თავ-თავისი სახლებიდან შეთქმული საკლავები მოჰყავდათ, საჭმელ-სასმელი მოჰქონდათ და მათ თავის სათემო საჯარეში აბინავებდნენ. აქედან წარეკავდნენ საკლავებს სამსხვერპლოზე დასაკლავად, თავის სათემო საჯარესთან მოხარშავდნენ საკლავის ხორცს და იქვე, საჯარეს სიგრძეზე გაშლიდნენ სადღესასწაულო სათემო სუფრას. ჯერ ერთი თემის სუფრა გაიშლებოდა და ყველა საჯარიდან ხალხს იქ მიიპატიჟებდნენ, შემდეგ მეზობელ საჯარეში გაშლილ სუფრაზე გადაიპატიჟებდნენ ყველას და ასე გრძელდებოდა დღეების განმავლობაში ერთმანეთის გადაწვევა-გამასპინძლება

სათემო სუფრებზე. საჯარეში ჭამა-სმას თან სდევდა ლხინი, ფშაური სიმღერებისა და ფერხულის შესრულება და ასე შემდეგ (M[1], 83, 1947 წ., რვ. 30, გვ. 363—364; 369—370).

ლაშარის გორის ჩრდილოეთის მხარეს დგას დიდი ფართის დაფარებული საჯარე (ტაბ. 7, 1, ტაბ. 8) — გეგმაში გრძელი, მეტ-ნაკლებად მართკუთხა ფორმის შენობა, ფიქალი ქვისგან მშრალი წყობით ამოყვანილი კედლებით. ამჟამად შენობის სახურავი მთლიანად ჩაწოლილია და კედლებიც დანგრეული. უკეთ შემონახული ჩანს აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლები. მათი მოყვანილობა ამეღავნებს, რომ, სალუდეს მსგავსად, საჯარეც ორქანობიანი სახურავით ყოფილა გადახურული. ამას ადასტურებს ამ შენობის ძველი, 1947 წ. არქიტექტურული განაზომები — ჭრილი და გეგმა, რაც საშუალებას იძლევა სახურავთან ერთად აღვადგინოთ შენობის დეტალები. საჯარის გრძივ ღერძზე განლაგებული ყოფილა სამი ხის სვეტი და კულა. კულასა და ხის სვეტებზე გადიოდა კეზი, რომელსაც ეყრდნობოდა ჭერები. ამასთანავე ჭერები ბოლოზე გამოთლილი კავებით კეზზე იყო გამოდებული და დამაგრებული (ტაბ. 9). შენობის აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლებში გაჭრილია თითო კარის ღიობი, ხოლო დასავლეთისა და ჩრდილოეთის კედლებში თახჩებია დატანებული.

ზამთრის დღეობებში, მეტადრე ახალწელიწადს ყველა თემის მედღეობე მამროვანნი ამ საჯარეში იყრიდნენ თავს. აქ მათ გამართული ჰქონდათ „საალეები", რომლის ძირშიც ცეცხლს ანთებდნენ. შენობის სამხრეთ-დასავლეთის მხარე მიჩნეული იყო წმინდა და საპატიო ადგილად, — იმ მხარეს დგებოდნენ ხევისბრები და იქ, კედლის გასწვრივ განლაგებული ქვის მერხები მათ განკარგულებაში იყო. ამ მერხებიდან შუათანა ყველაზე დიდი მერხი თავხევისბრის საჯდომს წარმოადგენდა. სხვა კედლების გასწვრივ მდებარე ქვის მერხები კი თემის თავკაცებს ეჭირათ. დღეობაზე სახმარ თასებსა და ლაშარის ჯვარის სხვა განძეულს დასტურ-ხევისბრები სამხრეთ-დასავლეთის კედლის თახჩებში აწყობდნენ. თავხევისბერ ბიჭურ ბადრიშვილის ცნობით ამ დაფარებული საჯარის მშენებლობაში ყველა, ე. ი. ლაშარის ჯვარის თორმეტივე თემის ხალხი მონაწილეობდა.

ლაშარის ჯვარში მედღეობე თემები თავს იყრიდნენ გარკვეული, უეჭველია, ძველიდან მომდინარე წესით. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვან ლაშარის ჯვარის ერთ-ერთი დღეობის — ახალკვირის მოკლე აღწერილობას. ამასთან ერთად, ეს წესი და დღეობა ისევე, როგორც ლაშარის ჯვარის რიგი ნაგებობანი — ბეხევისბერთა საბჭო, ღია საჯარეები რიცხვით 12, დიდი მოცულობის დაფარებული საჯარე და სხვა ფაქტები, ლაშარის ჯვარს წარმოაჩენენ ფშავის მსხვილი საზოგადოებრივ-საკულტო ცენტრად.

„ახალკვირეს გომეწრის სასოფლო ხატის კოპალას ქევისბერი ჭელმჭარს ჭაინათლავდა, დროშას „ააბძანებდა" და ლაშარის გზას დაადგებოდა. დროშას მოჰყვებოდა ლაშარის ჯვარის მლოცავი ხალხიც. ყველას მოჰყავდა საკლავები ისე, რომ კარგა ბლომად მოიყრიდნენ თავს ცხვრები და მლოცავები. მათ ერთად მოერეკებოდნენ დროშის წინამძღვრობით. პროცესია გზადაგზა ისვენებდა და მისი მონაწილენი სმასა და სიმღერა-თამაშობაში ატარებდნენ დროს. როცა პროცესია შუაფხოში მივიდოდა, მლოცავი ხალხი ჭალაზე დაბინავდებოდა, ხოლო დროშიონი პირდაპირ იაკსარში „წაბძანდებოდა".

კოპალას დროშის ზარის ხმას იაკსრის ხატის „გამძღონი“ გაიგონებდნენ, მედროშე დროშას „აბძანებდა“, ყველანი გარეთ გამოვიდოდნენ და სტუმრებს გზაში გაეგებებოდნენ. მოსული მედროშე ხმაამოუღებლად წინ წამოდგებოდა და იაკსრის მედროშე ხალხზე წინ წადგებოდა. დროშებს მხრიდან ჩამოიღებდნენ და მათ ჯვრებს ერთიმეორეს დაამთხვევდნენ. ამ დროს კოშით ლუდს გამოიტანდნენ და მედროშენი სიტყვებით: „გამარჯვება ბატონ-ყმათ, გწყალობდესთ ბატონიო“ — ერთმანეთს ხელს ჩამოართმევდნენ, პირზე აკოცებდნენ და მიულოცავდნენ.

დასტურ-ჯევისბრების მიერ ლაშარის ჯვარის ყმების დამწყალობნების შემდეგ მედროშავენი დროშას წამოაბრძანებდნენ. იაკსარში დროშის საბრძანი კოშკია და იქ მიაბრძანებდნენ დროშებს. შეიძლება უძილაურთის კოპალას დროშას იაკსარში მისვლა მიესწრო და ისიც ამავე წესით შეხვდებოდა იაკსრის დროშასაც და გომეწრიდან მოსულ კოპალას დროშასაც. იაკსარში მისულ დასტურ-ჯევისბრებს კარგად გაუმასპინძლდებოდნენ, მერე ააბრძანებდნენ დროშებს და გაემართებოდნენ ლაშარისაკენ (ლაშარი შუაფხოდან დაახლოებით ათი კილომეტრით იქნება დაშორებული). მნიშვნელობა არ ჰქონდა რომელი დროშა გაუძღვებოდა წინ პროცესიას. მნიშვნელობა მედროშის ხნოვანებას ჰქონდა: პროცესიას გაუძღვებოდა ის მედროშე, რომელიც ხნით უფროსი იყო.

აქედან წასულებს გზაში შეხვდებოდა ცაბაურთ თემის მთავარანგელოზის ხატის დროშა. ამ დროშების შეხვედრაც აღნიშნული წესით ხდებოდა: შეხვედრისას ჯერ დროშებს დაამთხვევდნენ ერთიმეორეს და მერე ჯევისბრებიც ერთმანეთს გადაჰკოცნიდნენ. ამავე წესით შეხვდებოდნენ პროცესიას გოგოლაურთ წმინდა გიორგის დროშა, მუქუს ღვთისმშობლის დროშა, მათურის მთავარანგელოზის დროშა, ჯოშარის თამარ მეფის დროშა, ჭიჩოს პირცეცხლის დროშა, აჭადის პირქუშის დროშა, წითელაურთის კოტიას წმინდა გიორგის დროშა, უკანაფშავის წყაროსთაულის დროშა და, თუ მთაზე გზა იქნებოდა გამოსული, ხახაპოს წმინდა გიორგის დროშაც გამოვიდოდა და ყველანი ლაშარს წავიდოდნენ. რაც სალოცავები გზადაგზა შესვდებოდათ, მიმავლები, ყველგან დაანთებდნენ სანთლებს (მაგალითად, მათურჯევს დამასტურში, ჯოშარას სახუთმეტოში) და ადიდებდნენ ხატებს. მერე დროშებით კვლავ განაგრძობდნენ გზას და, ბოლოს, ყველანი ლაშარს მოიყრიდნენ თავს.

ლაშარის ჯვარის კარზე მისულებს ამ ჯვარის თავჭევისბერი გამოეგებებოდა თავისი დროშით, აქ ამბორით მისალმების წესს შეასრულებდნენ და დროშებს იქვე განიერ სასანთლე კოშკზე დააბრძანებდნენ. ამნაირად თორმეტი თემის დროშები ლაშარს მოიყრიდნენ თავს და მეცამეტე ლაშარის ჯვარის დროშა აქ დახვდებოდა. ეს იყო მთლიანად ფშაველთა სალოცავი და ყველა სათემო სალოცავებზე უფროსი. პირველად მარჯვენა მხარეს, ლაშარის ჯვარის დროშა დაბრძანდებოდა, მერე კოპალას დროშა, მერე იაკსრისა და ასე შემდეგ მიყოლებით. ცოტას შეისვენებდნენ.

ამის შემდეგ ლაშარის ჯვარის თავჭევისბერი ყველა თემის ჯევისბრის მოტანილ სანთელს სასანთლეში აანთებდა და ახსენებდა ჯერ ლაშარის ჯვარს და მერე ყველა „ხთიშვილთ“, რომლის დროშებიც ლაშარის ჯვარში ბრძანდებოდა. ამას მოყვებოდა „დიდი სამღთო“. ეს სამღთო დაწესებული იყო „ჭირვეუ-

ლობის", ქარ-სეტყვისა და მიწისძვრის თავიდან ასაცილებლად. ამით თხოვდნენ ლაშარის ჯვარს და ყველა „ხთიშვილს", რომ ეშუამდგომლათ იმ ანგელოზთან, რომელსაც მილოცვილი ჰქონდა ამ ავი საქმის ქვეყნად მოვლენა. ყველა თემს ჰყავდა მორეკილი თითო ღირებული საკლავი ლაშარის ჯვარისათვის, რომელსაც საღმრთოს მეორე დღეს საკვირაოში გადაუხდიდნენ, და მეორე საკლავი დამასტურისათვის. ამ უკანასკნელის სახელზე საღმრთოს გადაიხდიდნენ მათურხევს, დამასტურის ხატში, როცა ლაშარიდან და საკვირაოდან უკან ბრუნდებოდნენ. ყველა საკლავებს ლაშარის ჯვარში მისი თავჭევისბერი დაკლავდა. საკლავები დაიკვლოდა ლაშქრის ჯვარისათვის, ლაშარის ჯვარის ყმათ სამხვეწროდ. მერე სათემო საკლავებს თავ-თავისი ხატებისათვის მათი ჭევისბრები დაკლავდნენ, მათივე დასტურები გაატყავებდნენ თავის სალაშარო და სათემო საკლავებს და მათ ხორცსაც ისინი მოხარშავდნენ".

„როგორც ზემოთ ითქვა, საჯარეებში იმართებოდა პურობა და ლხინი. საკვირაოში წასვლამდე ლაშარის ჯვარში საბჭო იკრიბებოდა. საბჭო რომ მოათავებდა გასარჩევ საქმეებს, მედროშე ჭევისბრები დროშებთან მივიდოდნენ და თავ-თავის დროშას ააბრძანებდნენ. ლაშარის ჯვარის თავჭევისბერი ერთ თასსადიდებელზე და სანთელზე ადიდებდა ჯერ ლაშარის ჯვარს და მერე ფშავის ყველა ღვთისშვილს და ანგელოზს. ამ სადიდებლის დროს თავ-თავისი დროშა ყველას ხელში ეჭირა და ნელა აწკარუნებდა დროშის ზარს. ეს სადიდებელი ყველა ჭევისბერს ჩამოურიგდებოდა და ისინიც ამწყალობებდნენ ლაშარის ჯვარის ყმათ. ეს წესი რომ მოთავდებოდა, ყველანი მხარზე გაიდებდნენ თავ-თავის დროშას და წამოვიდოდნენ საკვირაოსკენ. წინ გამოუძღვებოდათ ლაშარის ჯვარის დროშა, მერე კოპალას დროშა მიყვებოდა, ამას იაკსრისა და სხვების დროშები. დროშები რომ გაუძღვებოდა, ხალხი ფერჭისას დაიბამდა და გაემართებოდა ლაშარიდან საკვირაოსაკენ" (M[1], 83, 1947 წ., რვ. 30, გვ. 363, 370; რვ. 31, გვ. 371).

1947 წელს შედგენილი გენგეგმით (ტაბ. 1 ბ, ტაბ. 3, 4) ჯვარის მთავარი გალავანი ლაშარის გორზე, მის სამხრეთ ნაპირას იწყება და უწყვეტ ხაზად მიემართება ჯერ ჩრდილოეთისაკენ, შემდეგ უხვევს ნახევარწრიულად ჩრდილოდასავლეთისაკენ და დაფარებული საჯარის აღმოსავლეთის კედელთან მთავრდება. ლაშარის ჯვარის ნაგებობათაგან დაფარებულ საჯარეს უკიდურესი ჩრდილოეთის ნაწილი უჭირავს. ამ ნაგებობის სამხრეთით მდებარეობს შიდა გალავანის ნაშთი, რომელიც იწყება სამხრეთის მხრიდან, მიემართება ჯერ ჩრდილოეთით და შემდეგ პარალელურად გასდევს დახურული საჯარის სამხრეთ კედელს. ამ შიდა გალავნის ჩრდილოეთ ნაწილში ჩატანებულია საზარე-მარანი, ბჭეხევისბერთა საბჭოს კედელი საკუთარი საკურთხევლითა და ქვის გრძელი მერხით, რომელსაც დასავლეთიდან საბეროს კედელი ესაზღვრება.

ლაშარის გორის სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარე, სადაც „წმინდა" იფნების ჩრდილში სასანთლე კოშკი, საკურთხეველი და სამსხვერპლო მდებარეობს, ჯვარისკარის ცენტრალურ ადგილს წარმოადგენს. გალავანში „გადასაჯდომიც" აქვეა.

ამ შესასვლელთან გალავნის შიგნით დგას ს ა ზ ა რ ე კ ო შ კ ი (ტაბ. 3, 5; ტაბ. 10, ტაბ. 11). საზარე გეგმაში წარმოადგენს მართკუთხა მოყვანილობის ბა-

ქანს, მის კუთხეებში აღმართული ოთხწახნაგოვანი სვეტებით, ხოლო აღმოსავლეთის მხარეს სვეტებს შუა ამოყვანილია სამი საფეხური ზარებთან მისასვლელად. სვეტების თავები შეკრულია მათ შორის გადებული ფიქალის ფილებით და ამით სვეტების თავებზე შექმნილ ოთხკუთხა მოყვანილობის ჩარჩოზე დადგმულია გუმბათი სპილენძის ფურცლებისაგან შეკერილი სპილენძისავე ლურსმნებით და შემკული ამობურცული ორნამენტებით. გუმბათს თავზე აქვს ბუშტი. ბუშტზე დამაგრებულია სპილენძის ჯვარი, ჯვარის სამ მხარზე — ზემო და გვერდით მხრებზე, კვლავ სინით ჩამოკიდებული წვრილი ჯვრებია და სპილენძის ბუშტულები, გვერდით მხრებზე თითო-თითო ზარაკიც ჰკიდია; ამათგან ერთი ზარაკი წარწერიანია. საზარე, გარედან ლამკირითაა შელესილი. გუმბათის გარშემო „ბზიდაკი“ ჩარჩოს ნაპირზე შემოწყობილია წვრილი ფიქალის ნაჭრები. სპილენძის გუმბათზე შიგნიდან დამაგრებულია სპილენძისავე კეტი, რომელზეც ყურებით ჩამოკიდებულია დიდი ზარი. ზარზე შემდეგი წარწერაა: „ქ. ესე ზარი შემოგწირეთ ლაშარის წმინდა გიორგისათვის ჩუნ ერთობლივ თერთმეტ თემთა თავისი სამწყალობნით და თავის სასულიეროთ მამუკამა და ელისბარმა და ბერიძემა. ვითავეთ და ვიყიდეთ ჩუნ სამწყალობნოთ წელსა ჩყმΘ-სა“.

აღნიშნული სპილენძის კეტისა და დიდი ზარის გარდა, საზარის დასავლეთის სვეტებს შორის გადებულია, ამ სვეტების თავებზე გამაგრებული ძელი, რომელზეც შედარებით მომცრო ორი ზარი ჰკიდია. ამათგან ერთი ზარი უწარწერია, ხოლო მეორე უმცირეს ზარს აქვს შემდეგი წარწერა: „ქ:. შეწევნითა:. ღათ.: შენითა.: მე.: სახლთუხუცესმა ბებერი.: შვილის.: პაუას.: შემომიწირავს.: ზარი.: ესე.: ფშავს:. ლაშა:. გიორგისათვის:. მისახსენე:. ბლად:. და:. შესანდობლად:. ცოდვათა:. ჩვენთ:. ამინ:. ქ ⁓ ⁓ ⁓

იქ ამ ორი სამნის მეტი სხვა ვერ ვნახეთ, — შესაძლებელია დღეს ისინი მიწის ქვეშაა მოქცეული.

საზარიდან ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით ბატარა მოგრძო სწორკუთხა მოყვანილობის ჩაღრმავებული ადგილია, სიპით გადახურული და ზემოდან მიწით დაფარებული. ბიჭურმა მას ვარაუდით დ ა რ ა ნ ი უწოდა.

ამ ე. წ. „დარანიდან" ჩრდილო-დასავლეთით, ზემოთ უკვე მოხსენებული შენობათა კომპლექსი მდებარეობს — საზარე-მარანი, ბჟე-ხევისბერთა საბჭოს საკურთხეველი, ქვის საჯდომები ბჟე-ხევისბერთათვის და საბერო.

საზარე-მარანი (ტაბ. 14, ტაბ. 15) ფიქალი ქვისაგან მშრალად ნაგები კვადრატული ფორმის ოთხსვეტიანი შენობაა. სვეტებზე გადაყვანილია ცრუ თაღები, რომელსაც ეყრდნობა ათიარუსიან-სანაწვთებიანი ოთხფერდა სახურავი. სახურავის წვერზე აღმართულია მთის ბროლის სათაურას ქვა. სვეტებს შორის არე აღმოსავლეთით, დასავლეთით და სამხრეთით ამჟამად ამოშენებულია ყორით. შიგნიდან სვეტებ შორის დატანებულ ორ გათლილ ძელზე გადებულია ხარიხა. ამ უკანასკნელზე ჰკიდია ქართული ზარი, რომელსაც აქვს შემდეგი წარწერა: „ქ:. ესე:. ზარი:. შემოგწირე:. მე:. ერისთავმა:. რევაზ:. შენ წმინდას გიორგის ლაშარეს:. ღმერთო:. აღღეგრძელ:. მისი დამწერი". აქვე მიწაში ჩაფლულია ოთხი ქვევრი. ბიჭურ ბადრიშვილი ასეთ ახსნა-განმარტებას გვაწვდის: ამ ქვევრებში ინახებოდა ლაშარის ჯვარის დღეობებში, განსაკუთრებით ახალწელიწადს და სერობას სახმარი „საზედაშე" ღვინო, რომელიც სერობისათვის ამოჰქონდათ ახმეტიდან, სადაც ლაშარის ჯვარის ზვარი და მარანი იყო. ეს საზარე ძველისძველია, თორმეტი თვის ნაშენია. ეს ზარი კი ზურაბ ერისთავის შვილისშვილის შეწირულია. ლაშარის ჯვარმა იმისი ოჯახი დაამიზეზა — ავადმყოფობდნენ. ზურაბმა რომ ბერმუხა მოაჭრევინა, ამიტომ დაამიზეზაო.

ხალხის მახსოვრობაში შემონახული რევაზი ისტორიული წყაროების მიხედვით შეიძლება იყო ზურაბ ერისთავიანთ ოჯახის — ზურაბის ძმის ნუგზარ ერისთავის შვილი რევაზი, ან ნუგზარის მეორე შვილის ზაალის შვილისშვილი რევაზი, რომელიც იხსენიება 1720-იანი წლებიდან[18].

საბერო (ტაბ. 1 ბ, 2; ტაბ. 16, 1, ტაბ. 17) გეგმაში მოგრძო სწორკუთხა ფორმის შენობაა ფიქალი ქვისაგან მშრალად აგებული. მისი სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლების ზედა მახვილკუთხა ნაწილზე და შენობის ცენტრალურ ადგილას მდებარე შუაბოძზე გადებული კეზი. შენობას ნაწილობრივ შემორჩენია სახურავის კოჭები (ნივნივები) და მათზე ორფერდად გაწყობილი სიპები. ამ ნაწილის გამოკლებით სახურავი ჩაშლილია. დასავლეთის კედლის გასწვრივ, მთელ მის სიგრძეზე სიპის „სკამების" მწკრივია. ასეთივე ქვის სკამების მწკრივი უნდა ყოფილიყო სამხრეთისა და აღმოსავლეთის კედლების გასწვრივაც, სადაც ამჟამად მხოლოდ რამდენიმე ქვის სკამია მოჩანს, ხოლო აღმოსავლეთის კედელში გაჭრილია კარის ღიობი და სამიეე კედელში დატანებულია თახჩები.

ფშაური საბერო თავისი აღნაგობით და ნაწილობრივ დანიშნულებითაც ხევსურულ დარბაზს ემთხვევა, ამასთანავე აქ მას საბეროსაც ეძახიან და დარბაზსაც. დარბაზთან საერთო ფუნქციების გარდა ლაშარის ჯვარის საბეროს განსაკუთრებული დანიშნულებაც ჰქონდა. ამ მხრივ მას რამდენადმე საერთო სახევსურეთო საკულტო ცენტრის — საღმრთო გუდანის ჯვარის დარბაზი ჩა-

[18] ვსარგებლობ მამისა ბერძნიშვილის მიერ დადგენილი ზურაბ ერისთავიანთ შთამომავლობის გენეალოგიური ცხრილით, რომელიც მან თავაზიანად გაგვაცნო.

შოგავს. ლაშარის ჯვარში სასამართლო საქმეების გარჩევის დროს ბჭე-ხევისბერნი პირველად საბეროში იკრიბებოდნენ და წინასწარი საქმის გაცნობა, სჯა-ბაასი და აზრთა ჭიდილი იქ მიმდინარეობდა.

საბჭოს სახელწოდებით ცნობილი იყო საბეროს კარი და მის გაყოლებაზე ის ვიწრო ფართი, რომელიც საზამთრო საჯარესა და საზარე-მარანს შორის მდებარეობს. აქ (ტაბ. 1 ბ. 3, 4; ტაბ. 16, 2—4 ტაბ. 18) საბეროს კარის ღიობიდან ვიდრე საზარე-მარნამდე აგებულია ყორის სქელი კედელი, კედელში დატანებულია სიპის სკამები, სკამების აღმოსავლეთით სიპებისაგან მშრალად ნაგები ბაქანია, რომელსაც ბიჭურმა „ქადა-კვერის დასაჭრელ-დასამწყალობნები სიპი“ უწოდა. ამ ბაქანზე გამართულია ქორედი საკურთხეველი — ზემო ნაწილში ვერცხლის თასების გასარიგებელი ნიშით, ქვემოთ უფრო დიდი ნიშით სანთლების ასანთებად და ქადა-კვერის გასაწყობად. ბიჭური გვიხსნის: აქ ჯერ სანთლებს დაანთებდნენ, თასებს დადგამდნენ, ქადა-კვერს დაალაგებდნენ. თავკევისბერი დალოცავდა, იმათ გაადიდებდა, მამჩივარნი აქ დაიფიცებდნენ და მერე იმათ გაასამართლებდნენ. თორმეტი თავკევისბერი ასამართლებდა. მოსაკვეთს მოიკვეთდნენ, გასაძეებელს გააძევებდნენ, თუ დიდი დამნაშავე იყო, ჩაქოლავდნენ. კევისბრები დანიშნავდნენ დროს და დამნაშავესაც დაიბარებდნენ. იმათ მუდმივ შეეძლოთ იქ მისვლა. ჩემობას მოკვეთა იყო. არც წისქვილში. არც თავის სახლში შეეძლო მისვლა — მოიკვეთავდნენ. სისხლის აღების რჯული ჩემობას აღარ იყო. ბჭე სხვაა, კევისბერი სხვაა. შესაძლებელია ბჭე არც ყოფილიყო კევისბერი. ყველა კევისბერი ბჭე ვერ იქნებოდა. თემი ბჭედ გონიერ კევისბერს ირჩევდა. ბჭენიც თორმეტნი იყვნენ; ბჭენი არჩეული იყვნენ ფშავის თორმეტი თემისაგან და ისინი აქ კევისბრებთან ერთად მუშაობდნენ. ბჭე-კევისბერნი არჩევდნენ საქვეყნო საქმეებს, ბჭობდნენ ამ საქმეებზე და გადაწყვეტილებებს იღებდნენ. საბჭო იყო ლაშარის ჯვარში, აი აქ ამ ადგილას, ამას საბჭო ჰქვიან“.

ბერმუხის „საფენი“. საბეროს მახლობლად, მისგან სამხრეთ-დასავლეთით არის ადგილი, სადაც ბერმუხა მდგარა (ტაბ. 1 ბ, 7).

როგორც ზემოთ არაერთგზის, ისე აქაც ჩვენ ოდნავ გადავუხვევთ ჩვენი თხრობის ძირითად გეზს, და მოვიყვანთ ბერმუხასთან დაკავშირებით ზოგიერთ ცნობებს.

ბიჭურ ბადრიშვილი აღნიშნავს: „ლაშარის ჯვარის ბერმუხას დიდი სახელი ჰქონია. ეს მუხა ისეთი მაღალი და გამხვევებული ყოფილა, რომ მზის ამოსვლისას ის ხოშარაში ფორის საფენს ჩრდილავდა (მანძილი ლაშარიდან ხოშარამდე სწორი ხაზით დაახლოებით 2 კმ იქნება). ზურაბ ერისთავი ედავებოდა ფშავს. ხალხი არ ეყმო ზურაბს და მოჭრა მუხა; მუხა აფციაურმა მოჭრა, ერისთავმა იმას მოაჭრევინა. ახლაც ამ გვარს არავინ ქალს არ აძლევს. აფციაურს ჩვენი ქალი არ მიეცემა და არც იმათი ქალი მოჰყავთ. აფციაური ვერ ჭრიდა ბერმუხას და — შალიგაურები რომ იყვნენ, იმათ შავშალვამ, აკადელმა შავშალიკამ ასწავლა: ციცა დაკალი, იმისი სისხლი მოასხი, ხე მოიჭრებაო. ამის მერე მოღალატეს ეწყევლიდით: ახალწელიწადს კევისბერი დაიძახებდა — „შაუნდე შავშალიკას შავი ბალღითა, შავი სანთლითა, შავი ციცაითა და შავი ძაღლითაო!“ და ხელუკუღმა თასს გადააყუდებდა, ღუდს გადაღვრიდა“.

ბიჭური განაგრძობს: „ბერმუხა რომ მოუჭრიათ, იმისი წვერი ლაშარის გო-

რის პირდაპირ, ჭევს გაღმა კლდეს დასცემია და იქ ფშავლებს ბერმუხის სახელზე კოშკი აუგიათ. ჭევის გაღმა კლდეზე დღესაც მოსჩანს სახატო კოშკიო".

თვით ლაშარის ჯვარში, იქ სადაც ბერმუხა მდგარა, ამჟამად სიპი ქვებია დაწყობილი „საფენად". ბიჭურის თქმით, ეს „საფენი ჩაბრუნებულია" და საფენის კიდეებზე გარშემოვლებულ ნაყარ ქვებთან ერთად იგი იცავს ბერმუხის ფესვებს ზედმეტი ნამისა და დალპობისაგან.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ ერთადერთი ძეგლი, რომელსაც ჩვენ აქ კიდევ ვნახულობთ, ეკლესიის ნანგრევია. იგი მდებარეობს ლაშარის ჯვარის გალავნის შიგნით. სამხრეთ-დასავლეთის კუთხეში (ტაბ. 1 ბ, 6, ტაბ. 19).

ლაშარის ჯვარში ქრისტიანული ძეგლი ძველი დროიდან არსებობს. ვახუშტი წერს: „აქ ფშავსა შინა არს ეკლესია მეფის ლაშასაგან აღშენებული, რომელსა შინა არიან მრავალნი ხატნი და ჯვარნი ოქრო-ვერცხლისანი, ჭურჭელნი და წიგნნი, და უწოდებენ ლაშას-ჯვარს და აქუთ სასოება მას ზედა ფრიად, რამეთუ ვერც ფშავი, ვერც ჭევსური, უკმთუ იშოვნოს ოქრო ანუ ვერცხლი ვერარაიდ იხმარებენ თავისად, არამედ მიუძღვნის ლაშას-ჯვარსა"[19].

გარდა ამ საყურადღებო ცნობისა, ჩვენ მოგვეპოვება ხალხში დამოწმებული გადმოცემები ამავე საგანზე. ერთ-ერთი გადმოცემის მიხედვით, ლაშარში დაცული ყოფილა „ნაწილიანი" ჯვარი. როცა ფშავლები სალაშქროდ მიდიოდნენ, ეს ჯვარი მიჰქონდათ და ამიტომ იმარჯვებდნენ მტერზე (მთხრობელი ხოშარელი მოხუცი ივანე ნაკვეთაური). ხოლო მეორე გადმოცემის თანახმად: ერთხელ ლაშარის გორზე ფშაველთა დღეობის დროს, სადაც „მთელი ფშავი შეკრებილიყო, მოვიდა ლაშა გიორგი თავისი მხლებლებით. ფშაველები იმას კარგად გაუმასპინძლდნენ და, როცა გიორგი წავიდა, (თავისი სატახტო ქალაქიდან ფშავლებს) ოქროს ჯვარი გამოუგზავნა. ის ჯვარი შიგნით ოქროსი იყო და გარედან ვერცხლი ჰქონდა გადაკრული, (ზომით) ძალიან დიდი იყო და ინახებოდა ლაშარის ჯვარში. მას შემდეგ დაერქვა ამ სალოცავს ლაშარის ჯვარი. ბოლო დროს ეს ჯვარი ერთმა ბერმა სადღაცა წაიღო და დაიკარგა, ეს ბერი ახადელი ილარიონი იყო. ფშავლები მას ენდობოდნენ და იმან კი ხალხს ეს ჯვარი დაუკარგა" (M[1], 83, რვ. 32, გვ. 382, 383).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ლაშარის ჯვარის განძიდან ზოგიერთ ბოლო დრომდე შემონახულ ანდა ბოლო დრომდე მოღწეულ და უკანასკნელ ხანში დაკარგულ ძეგლებზე ქვემოთ, წყაროსთაული ხატის აღწერის დროს გვექნება საუბარი.

შევაჯამოთ ზემომოტანილი აღწერილობითი მასალის მონაცემები.

ლაშარის ჯვარის მაგალითზე ნათლად ჩანს, რომ ამ საზოგადოებრივ-საკულტო ცენტრში სავსებით გამომუშავებულია ხმელგორის ფართობის გამოყენების პრინციპი, ჯვარის ტერიტორიაზე ძეგლების გეგმური განლაგება და ნაგებობათა ცოტად თუ ბევრად მწყობრი სისტემა, რომელშიც მტკიცედ არის გამოკვეთილი თითოეული მათგანის როლი და როგორც საღვთისმსახურო, ასევე სამეურნეო და საზოგადოებრივი მნიშვნელობა.

მთავარი გალავნით ლაშარის ჯვარი გაყოფილია ორად, — გარე და შიდა ნაწილებად. გალავნის გარეთაა ერთი მხრივ საკუთრივ ჯვარისკარი მასში შემა-

---

[19] ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია) თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1941, გვ. 92.

ვალი რიგი ნაგებობებით, რომლებიც წარმოაჩენენ მის (ჯვარისკარის) ძირითად ფუნქციას. ესენია: სამსხვერპლო (სასაკლაო), საკურთხეველი (ქადა-კვერის საწირი ანუ სასუფეველი) და სასანთლე კოშკი, ხოლო ამ ნაგებობათა ირგვლივ წმ. იფნები, რომელთა ტოტებზე ჩამოკიდებულია მსხვერპლის ნაწილები და შეწირულებანი (რქები, საკადრისები, ზარაკები); მეორე მხრივ, ლია და დაფარებული საჯარეები, განკუთვნილი ფშავის თერთმეტი ძირითადი თემისა და ლაშარის ჯვარში გაფიცული ხახაბოელ ხევსურთა მეთორმეტე თემისათვის. აქვეა სალუდე საკოდითურთ და საყეენო. გალავნის შიდა ტერიტორიაზე, რომელიც ჯვარის წმიდათა-წმიდა ნაწილს წარმოადგენდა და სადაც ხატიონის გარდა, ვერავინ შევიდოდა, მოთავსებულია: საზარე კოშკი, სამნები, ოდესღაც სათაყვანებელი ბერმუხის „საფენი", ამ უკანასკნელის მახლობლად შენობის ნანგრევი, რომელიც შესაძლებელია უნჯის საცავი ე. წ. საუნჯე იყო, საბერო, საზარე-მარანი თავისი გალავნით (შემონახულია ნაწილობრივ) და ბჭე-ჭევისბერთა საბჭოს ნაგებობა, რომელიც მოიცავს ზღუდეს აღნიშნულ საზარე-მარანს, ქორედ საკურთხეველს, ბჭე-ხევისბერთა სკამებს.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად ბოლოს უნდა აღვნიშნოთ, რომ ლაშარის ჯვარი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-საკულტო ცენტრი იყო, არა მარტო ფშაველებისა და საერთოდ მთიელებისათვის. მას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ბარის საქართველოსთან როგორც რელიგიური ხაზით, ისე პოლიტიკური და ეკონომიური თვალსაზრისით. აქვე მოგვაქვს ამის დამადასტურებელი გვიანფეოდალური ხანის ისტორიული დოკუმენტები, ის რაც გადარჩენია ავბედით ჟამთა სრბოლას.

ზოგიერთ დოკუმენტს ვურთავთ გოგოლაურთ წმინდა გიორგის სათემო ხატის თავხევისბრის 92 წლის დავით ჭრელას ძე თურმანაულის შენიშვნებს, რომელიც მან ჩვენი დოკუმენტების წაკითხვის დროს მოგვაწოდა.

1) იმამ ყულიხანი სწირავს ლაშარის ჯვარს ყმას თავისი მიწა-წყლითა და ვენახითა:

ჭ. ნებითა და შეწევნითა ღვთისათა: ესე ამიერით უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებლად წყალობის წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენ, ღვთივ ზეცით აღმატებულმა და ღვთივ ზეცით დამყარებულმან, ღვთივ ზეცით გვირგვინოსანმან. იესიან დავითიან სოლომონიან პანკრატიონმან, მეფეთ-მეფემა და დიდისა ცამდის ამაღლებულის, ბედნიერის ირანის ხელმწიფის შვილურად აღზრდილმან და მათგანვე დაკელმწიფებულმან მეფემ და თვით ჭელმწიფემან პატრონმა იმამ ყულიხან, დედამან ჩვენმან დედოფალთ დედოფალმან პატრონმა ანნამ, და ძმამან ჩვენმან სასურველმა პატრონმა მაჰამად ყულიმ და პატრონმა თეიმურაზ თქვენ, ჩვენსა დიდათ ერთგულათ ჭირნახულად ნამსახურსა ჩვენის ძმის ლაშარის-ჯვრის ყმათ და ჩვენს ყმათ ერთობით ფშაველთ, ასე და ამ პირსა ზედან ბატონს მამა — ჩვენს თიანეთით ერთი კომლი კაცი თავისის მამულით ჩვენის მოძძის ლაშარის — ჯვრისთვის შეუწირავ და წიგნი არა ქონიათ, და ხელახლა წიგნითა ამით დაუმტკიცეთ და შემოვსწირეთ ალაჯნით ჩვენს მოძმეს ლაშარის — ჯვარს ფიცხელაური პატარა და მაწაწია თავისის მამულით და მიწაწყლითა, ვენახითა. არაოდეს არ მოეშალოს არც ჩვენგან და არც შემდგომთა ჩვენთა ნათესავთა მეფეთა და მეპატრონეთაგან.

აწე გიბრძანებთ კარისა ჩვენისა ვექილ და ვეზირნო და თიანეთის მოურაო. ბრძანება და ნიშანი ესე ჩვენი თქვენც ასე დაამტკიცეთ და ნუ მოუშლით თვინიერთან დგომითა და შემწეობისაგან ვიდენ. დაიწერა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობრის გორჯასპისათა. დაიწერა იანვრის ვა-ს ქკს

ტ ქვ |ъ|

ქ: ჩვენ მეფეთ მეფემან და თვით ჭელმწიფემან პატრონმა მაჰმად ყულიხან ჩვენც ასე დაგიმტკიცეთ როგორათაც ამ ჩვენის იმამყულიხანის ნაბოძებს ფარმანსა შიგან ეწეროს ქეს-ია. |ъ| |ъ|

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის
ფონდი, Sd, № 2944

2) შანშე ერისთავი ეფიცება ლაშარის ჯვარს ეთგულებას*

ქ. ნებითა და შეწევნითა მღვთისათა მეოხებითა პატიოსნის ჯვარისათა ესე წიგნი და პირი მოგართვით ჩვენ ქსნის ერისთავმან შანშემან, ძმამან ჩვენმან იოსებ და რევაზ, შვილმა ჩვენმან იოვანემან და სახლისა ჩვენისა მამაცალმან თქვენ დიდსა და ამაღლებულს და აღმატებულსა, ზღვითი ზღვამდე გათქმულსა, მთისა და ბარისა სალოცავსა, პატიოსანსა და მრავალჯერ მესასოესა, კეთილად გამარჯვებულსა დიდსა ლაშარის ჯვარსა გიორგისა და სულ ერთობით თქვენს სალოცავთა და თქვენს კარგს ყმათ ფშაველთა: ასე რომ ჩვენი მამით-პაპამდინ თქვენის ერთ-გულობისა და სამსახურისა მე და შენი ვყოფილვართ. ახლა ეს ფიცი და პირი მოგართმევთ ჩვენ თქვენის გაკეთების და სიმდიდრის მცდელნი ვიყვნეთ, არცა სიძულობა ჩვენგან გამოვიდეს, ისე ერთგულ ვიყვნეთ, და მოსამსახურენი, თქვენის მტრისა მტერნი ვიყოთ, და კარგს მდომისა ერთგული და კარგის მდგომელნი. არც ჩვენს სიცოცხლეში მან მანამდინ ჩვენის მამის — თესლი ამ ქვეყანას ვიყვნეთ, — არც თქვენს სამსახურზედ და ერთ-გულობაზედ ჭელი ავიღოთ. რამაც მონათესავთ ეს პირი გაამტყუნოს, იმასამც რისხავს ღმერთი და ყოველნი მისნი წმინდანი და თქვენი პატიოსანი

თავი, და ნუ მიეცა გამარჯვება |ъ| |ъ| |ъ|

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა
ინსტიტუტის ფონდი, Sd, № 2954

3) კონსტანტინე მეფე ლაშარის ჯვარსა და ფშაველთ უბოძებს სოფელ მარილისის ნახევარს

ქ. ნებითა და შეწევნითა ღ-თისათა, ჩვენ ღვთივ აღმატებულმან., ღვთივ დამყარებულმან და ღვთივ ზეცით გვირგვინოსანმან, იასიან-დავითიან-სოლო-

* შანშე ქსნის ერისთავი ერისთაობდა 1718 წლიდან, გარდაიცვალა 1753 წელს.

მანიან პანკრატონმან, ქართველთა და კახთა ჴელმწიფისა, დიდის ჴელმწიფის მუსაიბისა და კარის ყულარაღასის მეფის ერეკლეს პირმშომან, ძემან, თვით მისვე ბედნიერის ერანის ჴელმწიფისაგან შვილურად აღზრდილმან და მათგანვე გაჴელმწიფებულმან, ქართლისა და კახეთის მეფემან, განჯისა და ყარაბაღის ბეგლარბეგმან და მჴირავმან შამშადინოსა და ყაზახის მქონებელმან და მპყრობელმან მეფეთ მეფემან და თვით ჴელმწიფემან პატრონმან კონსტანტინე და თანამემცხედრემან ჩვენმან, შამხლის ასულმან, შირაზისა, ფარსისა და ბანდრეპის ბეგლარ-ბეგისა და სრულიად ირანის სპასალარის დამან, დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან ფერიჯან ბეგუმ, სასურველმან და საყვარელმან ძმამან ჩვენმან ბატონიშვილმან პატრონმან თეიმურაზ, ძმისწულთა ჩვენთა სასურველთა ძამადა მირზამ, ალი მირზამ, ერეკლემ და დავით — ესე უკუნისამდე ჟამთა და წელთა გასათავებელი, და შეუცვალებელი ნათესავთა, ძეთა კაცთასა უცილობელი სამკვიდროდ და საბოლოოდ გამოსადეგი და მტკიცედ დამტკიცებული, მოუშლელი ძღვენი და შესაწირავი მოგართვით და შემოგწირეთ თქვენ ყოვლად დიდებულსა და ყოვლად ქებულსა მხედარსა მეუფისა ღ~უთისასა, მოძმესა ჩვენსა წმინდასა გიორგის ლაშარის ჴვარსა და კვალად მოუბოძეთ მოყმეთა, მოლაშქრეთა, დეკანოზთა, ქადაგთა და სრულიად ფშაველთა ამა პირსა ზედან რომე: კურთხეულის ამის ჩვენისათვის მეფის ერეკლესათვის მრავალი სამსახური დაგედვათ და ჭირნახულობა მოძმისა ჩვენისა ლაშქართა ფშაველთ ქართლის დაჭერაში და მრავალჯერ მისთჳს ომი გექმნათ და გაგემარჯვებინათ შეწევნითა მოძმისა ჩვენისა გიორგისათა და მრავალჯერ კურთხეულისა და სანატრელისა და ყოველთა მეფეთა უმჯობესისა პაპის ჩვენისა ბატონის თეიმურაზისათვის თავი არ დაგეზოგათ სამსახურზედ და მრავალი გემსახურათ. კიდევ ნამეტნავი სამსახური ჩვენს ძმასთან მეფე იმაყულიხანთან დაგედვათ და გეჩვენებინათ, მრავალჯერ მის წინ ომში ყოფილიყავით, და გაგემარჯვებინათ. სიკვდილითაც ბევრი მომკვდარიყავით; ხოლო აქედან ოდეს მოვიწიენით სამყოფთა ჩვენთა საქართველოში, ჩვენ და შანაოზ მეფის შვილები ერთმანეთზედ ვლაშქრობდით, თქვენ თან გვახლდით მუდამ გაუყრელად და მრავალი ომი გარდიჴადეთ. ჩვენს წინა შეებენით, კვალად ოდეს მოვიდნენ ურუმნი საქართველოდ, ვილაშქრეთ მათ ზედან, თქვენ მოძმისა ჩვენისა ლაშქარნი და დროშა სრულ ფშაველნი თან გვახლდით. ოდეს ერთმანეთს შევებენით, მრავალნი მოკვდით ჩვენ წინა ურუმთაგან; ხოლო ოდეს არღა იყო დგომა ჩვენი საქართველოში არცა ერისთავების ალაგებში ეგებოდა ჩვენი დგომა, რამეთუ ურუმთა დაიჭირეს იგი ადგილები, ხოლო ინება მოძმემან ჩვენმან და არა განგვწირა; არამედ წარმოგვიძღვა ადგილად თვისად და მოგვაგება ლაშქარნი და მოყმენი თვისნი ფშაველნი წინაშე ჩვენსა, რომელთა იტკრთენით ბარგნი ჩვენნი ზურგითა და მჴრითა თქვენითა და მოგვიძეღით ადგილად თქვენდა სამყოფსა მოძმისა ჩვენისასა ფშავს და გ(ვ)სახურეთ მსახურებითა დიდითა, ვითარცა მსახურებთ მოძმესა ჩვენსა ერთგულად, ეგრეთვე ჩვენ მისსა მოძმესა; არამედ არა ეგებოდა ვითარცა ესეოდენთა ამათ მსახურებათა თქვენთა არა გავრჯილ ვიყავით შესაწირავითა და მსახურებითა მოძმისა ჩვენისა წ~-ს გიორგისათა და წყალობითა თქვენთათვის, არამედ შევსწირეთ ლაშარის ჴვარსა და შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენცა მისთა მოყმეთა სრულიად ფშაველთა ნახევარი მარილისი ოთარის კერძი, გარდა გარსევან მოურავისა და ალავერდის კერძისა, რისაც მქონებელი

მამულისა მარილისში ოთარი ყოფილ-იყოს ლაშარის ჯვრისათვის, შეგვიწერავს და თქვენ ფშაველთა-თვის გვიბოძებია: სასახლე, ზვარი და მარანი საკვამლო კაცითა აქამდე; შენითა და უშენოთა. რადგან გარსევან მოურავის ყმად იყო ის ალაგი და გამოვართვით და თქვენ მოგეცით; მოურავად ისევ გარსევან მოურავი იყოს იმ თქვენის წილის ალაგისა, გქონდესთ და გიბედნიეროსთ ღ-თნ, ჩვენს ერთგულებაში და სამსახურში არ მოგეშალოსთ ჩვენგან არცა შემდგომთა ჩვენთა მეფეთა და დედოფალთაგან, მოყმეთა და ნათესავთა ჩვენთა უკუნისამდე.

აწ გიბრძანებთ კარისა ჩვენისა ვექილო-ვეზირნო თქ-უჲნც ასე დაამტკიცეთ, რომელი ფარვანსა ამას შინა წერილ არს დაიწერა წიგნი ესე და ბრძანება თთვესა მაისის ცხრამეტსა

ქკს უიბ-ს |ъ| |ъ| |ъ|

საქ. სსრ მეც. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის
ფონდი, Sd, 2940/5160

4) პირობის წიგნი ერთობით მთის კაცთა მიერ ოთარ ამილახვრის შვილისადმი*

„ქ. ესე წიგნი მოგეცით ჩვენ, არაგვის ერისთვის მთის კაცმა ციხიბერას ზეითმა ციხისთავმა ბერმა ჩოფიკაშვილმა ყაზიბეგ, ღუდუშაურმა ლომინამ, ჭევის ნაცვალმა ალუღიმ, ქარჩადეემ თათარმა, ჭადის ნაცვალმა ზამამ, გუდამაყრის ნაცვალმა პაპიმ, ნადიბაიძემ გივმა, ამირიძე კურციკმა, ბურდულმა ბეჟან, ნაზღაიძემ ავთანდილ. ჭელი ერთპირათ მთ(ი)ელთა, მოჭეევეთა და გუდამაყრელთა, კიდევ ჭართლიანის ნაცვალმა გივმა, ჭადას ნაცვალმა გამახარემ, პავლეურთ ციხიძირმა, თრუსოელთა, ღუდელთა, რაც ჭევის ოსი ვართ, იმათა ჭორვილე(ლ)თ (?) და ფშოელთა თქვენ, ამილახვრის-შვილს ოთარსა და ბარძიმს; — ასე რომ თქვენ ჩვენს ბატონს ერისთავს ბარძიმს ოთხის ქესას თავდები დაუდექით რევაზის ვალზედ და ჩვენ ეს მთის კაცი სულ თქვენი თავდები შავიქენით. ორ თვეში ეს ოთხი ქესა მოგართვათ. ამას გარდა ხუთი ქესა ბარძიმ თავისი გაიღო, რევაზის ვალი რომ ბარძიმს და(ა)დვეს. გრიმ? ფაშასთან მივიდა და ერისთობაზედ ჭელი აიღო. ახლა ჩვენ ამისთვის არა ვქენით, რომ ისინი სულ მთის კაცს დატყვე(ე)ბას უპირებდეს. ეს პირობა დაგვიდებია, რომ ოთხი ქესა ვადაზედ მოგართვათ. დაიწერა იანვრის კ, ქ(ორონი)კ(ონ)ს უკ. +++

საქ. ცენტ. არქ. ფონდი 226, № 341

5) გრიგოლ ჩოლოყაშვილი სახლთუხუცესი სწერავს ლაშარის ჯვარსა და ფშაველთ თავის წილ მამულს მარილისში

ქ. ესე წიგნი მოგართვით ლაშარის ჯვარსა და იმის ყმათ ერთობილ ფშაველთ ჩვენ ჩოლოყაშვილმა სახლთუხუცესმა გრიგოლ, ოთარ და სირიდან შვილთა და მომავალთა სახლისა ჩვენისათა, ასე რომე ბატონმა ჩვენი წილი მამული მარილისში შემოგწირა, ახლა იმის თაობაზედ ჩვენც ბევრი თქვენი საწყენო

* იხ. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, მასალები საქ. სოც. ისტ., I, გვ. 233.,

საქმე ვქენით და თქვენც ვაგვიწყერით, საბატონოდ გახდა და თქვენს მოძმესთან ვილაპარაკეთ. რაც ბატონს შემოეწირა, ისევ ბატონმაც შემოგწირათ და ჩვენც ისევ შემოგწირეთ. ჯურუმი დაგვედვა და ჯურუმიც გადავიხადეთ. ისევ შემოგირიგდით და ისევ მწყალობელი შეიქენით, თქვენი ყმანიც ისევ ერთგული შეიქნენ და ჩვენც მწყალობელ ვიყოთ. ამას იქით აღარა ვსტყუორა შენზედ და არცა რა დავაშაო. ასათიშვილის დემეტრეს ბევრი დანაშაული ჰქონდა ჩვენზედ და თქვენთვის გვიპატიებია. თუ ამას იქით არა სტყუარა ჩვენზედ, არცა ჩვენ უსაყვედუროთ რა ამას და არცა შვილთა და მომავალთა ჩვენთა. ამ დანაშაულზედ თუ ამას რამ გადახდეს, ჯულაბის მომცემი ჩვენ ვიყვნეთ. და თუ სხვა რამ დააშავა. პასუხი თქვენც მისცეთ და ჩვენც გადავახდევინოთ. არის ამის მოწამე პირველად ღმერთი და ყოველნი მისნი წმინდანი, წმინდა გიორგი, კარისა ღუთის-მშობელი, ცხრა კართა ღ~უთის-მშობელი და ბატონისა ჩემისა შემცოდე ვიყვნეთ. არის ამის მოწამე დამხდური და მოწამე ჩოლოყაშვილი, ჭიაურთ მოურავი, ომან მღუდელი, გრიგოლ კობიაშვილი, მღუდელი ბარამ თანგაშვილი, პაპუა ნაცვალი, კუსრა მოსახლე ჭიჭო., მე გარსევან მიწობლიანს დამიწერია და მოწამეც ვარ. დაიწერა ღვინობისთვის თორმეტს გასულს ქკს უკთ |ъ| ქ. ჩვენ მეფემ თეიმურაზ ასე ვამტკიცებთ |ъ|

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა
ინსტიტუტის ფონდი, Sd, № 2941

6) განაჩენი ერეკლე II-ისა სახლთუხუცესის საქმეზე*

„ქ. ეს განაჩენის წიგნი დაგვიდვია ჩვენ, მეფე ერეკლეს; — ასე რომ გრიგოლ სახლთუხუცესი გავგზავნეთ ფშავს ჩვენი მოძმის კარზე იყო და ფშაველთ სტუმარი იყო წამოსვლაში იმასთან გოდერძი იყო ასათაშვილი, დემეტრე ვედრაული, პაპა კუსრა ნაცვალი. გზაზე გოგოლაური ჩეშჯდომოდა, თოფი რომ უნდა დაეკრა, სასხეპი მოსტყდომოდა, ვეღარა ექნა, რა. რადგან რომ მთის კაცსში სასტუმრო დადებული არის თექვსმეტი ჯარი, ეს ჯერ რომ იყო თავადიშვილი იყო, მერმე ჩემი გაგზავნილი და მოძმის კარიდამ წამოსული იყო. ახლა ჩვენ გაგვიპჭვია: სასტუმროც ის არის, ჩვენიც ჯარიმაც შიგ არის, — თოთხმეტ-ჯერ თექვსმეტი ჯარი უნდა მისცეს და, თუ ის კაცი ჩვენ ჩავიგდევით, იმისი კიდემ ჩვენ ვიცით. ამ სახლთ ხუცეს და (ა)მ კაცს სამართალს ჩვენ უზამთ და თუ სიტყვა ქონდეს... ჩვენ მოგვახსენოს იმ გოგოლაურმა. დაიწერა იანვარს იზ, ქ(ორონი)კ(ონ)ს ულე.

საქ. მუზ., № 2217 ჩd

7) საჩივარი ფშავლებზე და ჯულაშვილებზე, რომლებიც იკლებენ და სცარცავენ მატნელებს

ქ. ღ~თან ბედნიერების ქელმწიფის ჭირი მისცეს ერთობილთ მატნელებს თქვენის მოწყალებით აგერ ორმოცდა ათი წელიწადია იქ გალავანი აშენებულა და იქ ვსდგევართ. თქვენც გემსახურებით და ქვეყანასაც და რაც შეგვიძლია

* იხ. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი , მასალები საქ. სოც. ისტ., ტ. I, გვ. 417.

მტერსაც პასუხს ვაძლევთ., იქამდინ მოსვენებით ვიყავით. ეს ორი-სამი წელიწადია, რომ მარილელნი და ნამეტნავად ჯუგაშვილი და იმისი შვილი ესენი მოვიდნენ ქაიხოსრო სახლთხუცესთან. ისიც მოებირებინათ, ფშაველებს გამოსძღომოდნენ და ნახევარი მატნის მამული ეჩვენებინათ, რომ ეს მამულები ხატის შეწირული არისო და თქვენს მამულს ნუ დაანებებთო. მას აქეთ ორჯერ-სამჯერ ფშავლები შეყრილნი მოგვეხდომიან და გვაწიოკებენ. ვინც ან ბახჩას გავაკეთებთ, ან ბოსტანს-ისინი გვიხდენენ. ვეღარ მოვხანით რა და ვერ ვიკეთილეთ რა. ჩვენვ გული გვიხდება. მუდამ აკლებას გვიქადიან და სიკვდილსა. ჩვენ თუ ერთი ბინა და წყალობა არ დაგვემართა რა თქვენგან, ჩვენ იქ დგომა არ შეგვიძლიან. ეხლაც ავიყარენით სულ ერთიანათ. და თქვენი ოქმი და ბრძანება მოგვივიდა და ესეც მოვედით. და თუ რამ ნამუშევარი გვქონდა, გაგვიფუჭდა. იმათის მიზეზით ეხლაც გუთნები ვერ შეგვიბამს, სულ კომლთ კაცნი აქ გახლავართ. ეხლა თუ ერთი გზა და მიჯნა არ გვებოძა, იქ ვერ დავსდგებით. და კახეთში ყველგან ჩვენი მამული არის, იქ ვიცხოვრებთ. ეს ჩვენი ამრევი მარშული და ჯუგაშვილი არის და იმისი შვილი. ის ჯუღაშვილი არის, რომ ლეკებს მოუძღვა. და შეუტყვით და ლეკები დაუხოცეთ. ის დაჭერილი გყვანდათ, თვალებს სთხრიდით და გაგაშვებინეთ. მას დღეს იქით აგვიმტერდა და მტრად გარდაგვეკიდა, მოგეხსენებათ მტრის ალაგზე და გზაზე ვდგევართ. კომლზედ კაცნი აქ გახლავართ, წყალობათ ვითხოვთ — ამ არზის პასუხი დროზედ გვებოძოს, სექტემბრისიმ ქკს უპ.

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა
ინსტიტუტის ფონდი, Sd № 2836/3678

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. მარილისი არ ვიცი, მაგრამ ეგ ადგილი ის უნდა იყოს მატანს რომ აბია პანკისისაკენ, საპანკისო გზა ზედ გაუვლის. იქ არის ლაშარის ნიში, ზვარიც იქ არის. აი იმ ადგილას ფშავლები ცხოვრობენ. ზოგნი ივრიდან გადასულები არიან, ზოგნი აქედან. იმ ადგილებს, სადაც ფშავლები არიან, სახელად ქვიათ: ბაყილოვანი, საკობიანო, კოშკები. იქ არის ადგილი კაკლიანჭალა—დიდი ადგილია, 100 კომლის საცხოვრებელი ყოფილა. ძველად იქ თავადებიდან ყიდულობდნენ მამულებს და ცხოვრობდნენ. 2 კომლი უკანაფშაეიდან იყვნენ ჩასულები, ეხლა 10 კომლია. მატნელებს არ უნდათ, რომ იქ ფშავლები არიან. ეხლაც ედავებიან ისინი ერთმანეთს მამულებზედა განსაკუთრებით კაკლიან-ჭალაზედა. ეხლაც ერთმანეთის ჯაროვანს იჭერენ და ჩხუბობენ (75 წლის დავით თურმანაული, 1950 წლის 7 აგვისტო).

8) შეწირულობის წიგნი

ქ. ჩვენ ჩოლოყაშვილმა სახლთ-უხუცესმა და საგარეჯოს მოურავმა მეფის სიძემ გიორგიმ შემოგწირე ლაშარის ჯვარს ჩვენის ყმის ვენახიდამ მოვსჭერ და რაერთიც ალაგი შემოვსწირე მოჭრით მიჯნებიც ჩავსხით და მოგართვი სულისა და ხორცისა ჩემის შემწეთ და ეს მამული ისევ ლაშარის ჯვრის ზვრის გვერდზედ არის და ჩვენის ყმის მარიამყულის მამულის მონაჭერი არის, არავინ იყოს იმისი მოცილე და მოდავე. არის ამისი მოწამე თავათ ღმერთი და კაცთაგან მო-

ქალაქე აფრიამშვილი ზურაბა და ჩვენი ყმა მახატელი ბეჟან. დაიწერა მარტის კ. ქკს უპვ.

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა
ინსტიტუტის ფონდი, Sd, № 2947

9) გიორგი მეფე ავალდებულებს გილდაშვილს ლაშარის ჯვარის სამსახურს

ქ. ჩვენი ბრძანება არის გილდაშვილო*) ავთანდილ, მერე ჩვენი მოძმის ლაშარი-ჯვრის სამსახური შენაგდები ორი ცხვარი და ერთი ცხენი საპალნე ღვინო და ახლაც ყოველთვის უნდა ემსახურო ასე. რადგან ამ რიგად იმის სამსახური გდებია, ახლაც უნდა ემსახურო.

თებერვლის კბ, ქკს უპᲫ [ბ]

საქ.სსრ მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა
ინსტიტუტის ფონდი, Sd, № 2952

10) მარილელების გადასახადების შესახებ

ქ. წყალობითა ღვთისათა ესე პირობის წიგნი მოგართვით ჩვენ ლაშარის-ჯვრის ყმებმა ერთობლივ მარილელებმა თქვენ ჭელმწიფეს ლაშარის-ჯვარსა და ერთობლივ ფშავლებსა რომ ჩვენ ძველადგანაც ლაშარის-ჯვრის ყმანი ვყოფილვართ და ეს მარილისიც ლაშარის ჯვრის მამული ყოფილა. მისმა უმაღლესობამ მეფე გიორგიმ და პირმშომან მის ძემან დავითმან გაუახლა, დაუმტკიცა თვის მოძმეს ლაშარის-ჯვარს და ახლა დაგვედვა წელიწადში კომლზედ კოდი პური და ათ-ათი ჩაფი ღვინო. ყოველ წელიწადს ამას გამსახურებდეთ და ამის გარდა თქვენგან ჩვენ აღარა გვეთხოვებარა. და თუ ამ გამოღებაში და სამსახურში ჩვენ ვიმტყუნოთ, ასი თუმანი ლაშარის-ჯვარს მივართოთ და ორმოცი თუმანი მოურავს მივართოთ. და სხვა რაც სათქვენო სახელმწიფო მოგვადგება, კოდის პურს და კულულს გარდა, ამისა რაც ხატისა და სხვა ეკლესიის ყმა ემსახურება, ჩვენც ისე ვემსახურებით. და კოდის პურს და კულულს ყოველ წლივ ლაშარი-ჯვარს მივართმევთ. არის ამისი მოწამე სახლთ-ხუცესი ქაიხოსრო ჩოლოყაევი [ხ], ჩოლოყაშვილი დიმიტრი, საგინაშვილი გივი, ჩოლოყაშვილი რევაზ, კობიაშვილი ლუარსაბ, ნაცვალი პაატა+, ნაცვალი მათურელი ბესო+, ნაცვალი სისოური ივანე, მე გრიგოლს დამიწერია და მოწამეცა ვარ. ამისი მთის საბალახე და ღალა ლაშარის-ჯვრისათვის უნდა მოგაბაროთ ყოველ წლივ, ძველი წიგნებიც ასე აცხადებდა, მეფე გიორგის ბრძანებაც ასე არის, დაიწერა მარტის ვ-ს ქკს უპᲫ

ქ. მე თიანეთის მოურავი ბატონის სიძე ჩოლოყოი დიმიტრი მოწამე ვარ მარტის კს ქს უპᲫ [ᲯᲚ]

---

* თავხევისბერი დავით თერმანაული შენიშნავს: გელდიაშვილი იქნებოდა. ამ გვარის ხალხი ხოდაშნელები არიან. ხოდაშნელი გელდიაშვილი ჩვენი ხატის სასხლავების მეზვრე იყო.

ქ. ჩვენ ბატონის შვილი დავითი ამას ვამტკიცებ რომ კოდის პურსა და კულუხს გარდა საქმე არა სხვა არავის მარილელთან დეკემბრის იგ ქ. უპთ. [კ]

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა
ინსტიტუტის ფონდი, Sd, № 2942

11) გიორგი მეფის ბრძანება ლაშარის ჯვარის ვენახისა და მამულის კუთვნილების თაობაზე

ქ. ჩვენ მაგიერად თიანეთის მოურავს ჩოლოყაშვილს დიმიტრის ასე ეუწყოს,: მერე ალაჯანს ერთი საკომლო მამული, პატარა კაცისა და ბაწაწურისა ნაქონი მამული რომ არის შეწირული ჩვენის მოძმის ლაშარი — ჯვრისათვის თავის სახნავით და სათესით, შესავლით და გასავლით, ყველა უკლებრივ უნდა ფშაველთ მიაბარო სამართლიანის საქმითა. ეს ასე უნდა აღასრულო. თებერვლის ებ-ს, ქკს უპᲂ (1800 წ) ახმეტის სასხლავი არის შეწირული და თიანეთის სახნავი, ეს ასე რიგიანად უნდა მიაბარო.

მეფე სოლიად ბართლისა და კახეთისა და სხვათა გიორგი

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის
ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი, Sd, № 2946

12) ბატონიშვილის (?) ბრძანება მარილისის მამულების ღალისა და საბალახოს გაცემის შესახებ

ქ. ჩვენი ბრძანება არის: ჩვენო უნჯნო ერთობრივ ფშაველნო, მერმე ჩვენის მოძმის მიწებს მოხნავდეთ ხოლმე მარილისს და თავის დასტურს ღალასაც მისცემდეთ. როგორც მთაში საბალახე დებულ-იყოს, საბალახესაც მისცემდეთ გაუსჯელად. და თუ სიტყუა გექნებოდესო ვისმე, ჩვენ მოგვახსენებდეთ, თუ არა და ღალას მისცემდეთ და საბალახესაც.

თებერვლის კბ, ქკპ უპᲂ. ამისი ძველი წიგნი გქონდათ კურთხეული ბატონი მამის ჩვენისაგან ნაბოძები, და ეხლაც ჩვენ გიბოძეთ [ъ]

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა
ინსტიტუტის ფონდი, Sd, № 2958

13) გიორგი მეფის ბრძანება ფშავლებისათვის წართმეული მამულის დაბრუნების შესახებ

ქ. ჩვენი ბრძანება არის: ჩოლოყაშვილო დიმიტრი, მერე ამ ფშავლების მამული დავით ტუსიშვილს რომ უჭირავს, როგორათაც ჩვენის მამა-პაპისაგან ნაბოძების წიგნებში უცხადებდეს, ის მამული ამ ფშავლებს უნდა დაანე-

ბო და მოაშორო ახლავ ამათი არის ეგ მამული, მაგას საქმე არა აქვს, ახლავ ამ ფშავლებს უნდა მიაბარო. ძველი წიგნებიცა აქვთ და ჩვენგან ნაბოძები ოქ-ბებიც, ანათი ხარეზი რომ წაურთმევიათ იასაულებს, იასაულებს ისიც გამოუ-რთვი და მიეც ახლავ. აპრილს გ. ქკს უპ℔ [ъ]. მე ჩოლოყაშვილს დიმიტრის ამ ჩვენის ჯელმწიფის ბრძანებით ეს ტუსიანთ მამული ამ ფშავლებისათვინ მიმიბარებია. ბრძანებაც ასე მქონდა. აპრილის ათსა, ქკს უპ℔ [ъ]

ქ. ჩვენი ბრძანება არის: ერთობლივ ფშავლებო, მერე თქვენ დასტური გაქვსთ ჩვენგან ტუსიშვილის დავითის ავათ მოპყრობისა. თუ გაწყენინოთ რა-მე ავათ მოეპყარით და თუ არას გაწყენინებთ, თავისთვის იქნება. აპრილის გ — ქკს უპ℔

და დაგეხსნებათ და თუ არ დაგეხსნათ დასტური გაქვსთ მაგის ავად მოპ-ყრობისა [ъ]

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა
ინსტიტუტის ფონდი, Sd, $\frac{2945}{5162}$

14) დავით ბატონიშვილის ბარათი ხევისბრისადმი

ქ. დიდის იმპერატორის ნებით ჩვენ, ს"დ საქართველოს მემკვიდრე დავით გიბრძანებთ ჩვენო უნჯნო ყმანო ფშავის ხევის. (?) ხევისბერებო. მერე: რატომ არ ჩამოხვედით აქამდინა და არა გვნახეთ. ახლავ ჩამოდით აქ, თქვენთან საქმე გვაქვს. თუ არ ჩამოხვალთ, მაშინ შევიტყობთ, რომ ჩვენი ბატონ-ყმობა არ გნდომებიათ და მერე ჩვენს ძალასაცა სცნობთ. თებერვლის კ. ქკს უ (verso)

პთ. [ ]

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა
ინსტიტუტის ფონდი, Hd, № 5547

15) ფშავლების საჩივარი კულუხის თაობაზე

მათს წარჩინებულობას უფალს დეისტვიტელის შტათის სოვეტნიკს, სა-ქართველოს მმართველს პეტრ ივანიჩს კავალენსკის ერთობლივ ფშავლების მოხსენება. არაგვის პირს ჩვენის წმიდის გიორგის კულუხი ედვათ და ყოველ-თვის გვაძლევდნენ და ახლა აღარ მოგვცეს. წყალობას ვთხოვთ დუშეთის კა-პიტანის პრავნიკს ებრძანოს — როგორც უძლევიათ, ის მოგვცენ ჩვენი დებუ-ლება რაც ზდებიათ, წმიდის გიორგის. დეკენბერს თ"სა ქკს უქ.

ამ აზრის პატრონების ნებით ამ საჩივარს ხელი მოუწერე მეარზე იოსებ ქანანაშვილი

საქ. სსრ მეც. აკადემიის ხელნაწერთა
ინსტიტუტის ფონდი, Sd, № 2953

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: არაგვისპირელები, კუპრიაანთკარელები და არანისის გვერ-დზე რო ქადაგიანთკარია, იქიდანაც მოდიოდნენ აქ ლაშარის ჯვარში სალო-

ცავად. ქადაგიანთკარელები აქაც მოდიოდნენ (გოგოლაურთ) წმინდა გიორგის ჯვარშია (დავით თურმანაული).

16) ფშავლების საჩივარი გადასახადის თაობაზე

მათ წარჩინებულობას უფალს დეისტვიტელის შტატის სოვეტნიკს, საქართველოს მმართველს პეტრ ივანიჩს კავალენსკის.

ერთობლივ ფშავლების მოხსენება

გუდა-მაყარს სოფელში ლუთხუმს ჩვენი დებულება აქვთ და აღარ იძლევიან წყალობას. ვითხოვთ დუშეთის კაპიტნის პრავნიკს ებრძანოს, რომ ჩვენი დებულება სრულებით მოგვცენ. და თუ ერთი წერილი რამ აქვთ, კაპიტნის პრავნიკმა გაგვირჩიოს და ჩვენი დებულება იმან მოგვაბაროს ყოველს წელიწადს რაც აძევსთ იმ სოფელს.

დეკენბრის თ-ს, ქკს უე

ამ არზის პატრონების ნებით ამ საჩივარს ხელი მოუწერე მეარზე იოსებ ქანანაშვილი.

საქ. სსრ. მეც. აკადემიის ხელნაწერთა
ინსტიტუტის ფონდი, dS, № 2955

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ლუთხუმლები ძველად აქ მოდიოდნენ და ლოცულობდნენ ჩვენს (გოგოლაურთ) წმინდა გიორგის ჯვარშიაც და ლაშარის ჯვარშიც. ისინი ყმობით მოდიოდნენ, თუმცა ძირად უფრო ჰევსურები უნდა იყვნენ. ეხლა კი მარტო აფშოში დადიან ფშარაოს ხატში სალოცავად. აფშო ორწყალს ქვემოთ არის, ხომის პირდაპირ, მოწმაოს ესაზღვრება (დავით თურმანაული).

17) შეწირულების წიგნი

ქ. ჩვენ მეფის ძემ ფარნაოზმან შენ ჩვენს მოძმეს და ჩვენს მფარველს ლაშარის-ჯვარს შემოგწირეთ ჩვენის ძმის მეფის ბძანებით ზემო ხოდაშენში ორი კომლი კაცი თავისის მამულით., როდესაც ღმერთი და შენი მადლი ჩვენს ქვეყანაში ჩასვლას გვაღირსებს, მაშინვე შენს დეკანოზს მივაბაროთ. სეკდენბრის ეთ ქკს უებ [ъ]

საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა
ინსტიტუტის ფონდი, Sd, № 2950

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: თავხევისბერი დავით თურმანაული გადმოგვცემს: „გოგოლაურთ ხატებს წმინდა გიორგისა და მთავარმოწამეს ზემოხოდაშენში მიწები ჰქონდათ თავისი მიჯნებითა 8—9 დესეტინა სასხლავი იყო და 15 დღის ბარულის სახნავი მამულები. ჩვენი სასხლავები სამად იყო დაყოფილი: ერთი — $3^1/_2$ დესეტინა, მეორე — $2^1/_2$ დესეტინა და მესამე — 1 დესეტინა; — ეს სულ წმინდა გიორგისა იყო და ერთი მამულიც $1^1/_2$ დესეტინა მთავარმოწამისა იყო. ყველა ესენი სასხლავები იყვნენ. ამ სასხლავებს ჩვენ ვამუშავებდით. დაყოფილი გვქონდა — თურმანაულებს, გომეწარსა, ქალილოს და სხვებ-

სა — მთელ ჩვენ თემსა. ხოდაშენში მეზვრეებს ვქირაობდით. ისინი ქართველები იყვნენ, ხოდაშნელები. თითო მამულს თითო მეზვრე ჰყავდა. ამ მეზვრეებს მოსავლის შესამედს ვაძლევდით. ჩვენ კიდევ დასაბარავში და ჭიგვის ფულში ვეშველებოდით. დანარჩენი იმათი იყო. ჩვენ იქ ჩავიდოდით თებერვალშია, კომლზე თითო კაცი მივდიოდით. თუ კაცი სახლში არ იქნებოდა, ფული უნდა გაეგზავნა — ორი ძროხის ფასი, 15 მანეთი. ყველანი თავ-თავისი საგძლით მივდიოდით და იქ 2-3 კვირა დავრჩებოდით. დავბარავდით, ჭიგოს ვიყიდავდით და შაუდგამდით. ჭიგოს თავ-თავის ფულზე ვყიდულობდით. ჭიგო სამნეირი იყო. ზოგი ჭიგო დაბალი ხარისხისა 100 ცალი 7 მანეთი ღირდა, ზოგ 100 ცალ ჭიგოში 15 მანეთს ვიხდიდით და კარგ ჭიგოში 100 ცალზე 28 მანეთს ვაძლევდით. სასხლავებს სამი ათასამდე ჭიგო მაინც დასჭირდებოდა. ღობესაც ჩვენ შამოვავლებდით. იქ ვიყიდავდით, მანაზე ჯაგის ღობეს ვქსოვდით. თითო მამულს ათი თუმანი მაინც უნდოდა ღობისთვის. სასოფლო მთებში რო ფულს ვიღებდით თავისი სოფლებიდანა — 100 ცხვარზე 5 მანეთსა, ამ ფულს დავაქუჩებდით და იმით ვიყიდავდით. სასხლავებიდან წლის მოსავალი 15 საპალნე ღვინო დგებოდა (ერთ საპალნეში 30 ჩაფია და ჩაფში 9 კელადა). მარანიც იქვე სასხლავებში გვქონდა და ღვინოს იქ ვინახავდით. მარანში ქვევრები იყო ჩაყრილი და ეს ქვევრები შაწირული იყო, — ერეკლეს შაწირული თუ იყო. იქიდან ღვინო ჩვენი ხატების დღეობებში მოგვქონდა — პეტრე პავლობაში და შობაში. წავიდოდით აქედანა და ამ კულუხს მოვიტანდით. ძველად ჩვენ ხატებში ხოდაშნის სასხლავებიდან 60 ცხენი კულუხი მოდიოდა. მე-კი მოვესწარ 20 ცხენის კულუხს, მერე კი 10 ცხენამდე ჩამოვიდა (ერთი ცხენი 5 ჩაფ ღვინოს აიკიდებს).

ხატის სახნავებს ხოდაშნელები თითონ ხმარობდენ უფასოდ. თუ ჩვენები ჩავიდოდა ვინმე და ჩადგებოდა ამ მამულებში — ისინი ვერას ეტყოდენ. იქ ჩამდგარი ფშაველი ხატში, — ჩვენი ხატის დღეობებში ზედაშეს გამოგზავნიდა. ზედაშე სამიდან ნახევარ ჩაფამდე (54 ბოთლიდან — 9 ბოთლამდე) ღვინო იყო".

18) შეწირულობის წიგნი

რადგა ხელმწიფემ ლაშარის-ჯვარმა ჩვენი მამა-პაპითგან სამოცის წლის დაკარგული ფშავის ხევზედ მოურაობა ინება და გამიახლა და მიბოძა თავის ერზედა მოურაობა, მე ფშავ-ხევსურეთის და თიანეთის მოურავმა თავადმა გრიგოლმა ჩოლოყაშვილმა ამ წყალობის სანუფქოთ მოგართვი და შემოგწირე მარილში ჩემი მკვიდრი ყმის მარიამ ყულის ნაჭერი ვენახი თავისის სამართლიანის მიჯნითურთ, ამასთანავე ჩვენ მეოხეთა ვერცხლის თასი; ივლისის იე — ს ქკს ფ

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა
ინსტიტუტის ფონდი, Sd, № 2948

19) წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისა ფშაველ ხევისბერებისადმი

ქ. მეფის ძე ალექსანდრე ძმურის სიყვარულით მოგიკითხავთ ერთობით ფშავის ხევის ბერებო, უფროს უფროსნო და ფშაველებო. მერმეთ: თქვენი ყო-

ვლიფერი საქმე კარგად გაშინჯული გვაქვს და შადილს ყოფაშიაც კარგად გვმსახურეთ. ვინც კარგად იმსახურენით, ჩვენგან წყალობა დაგემართებათ და ვინც ურჩად მოიქცა, ჩვენის მოძმეებისათვის გვიპატივებია და ახლა რიგიანად მოიქეცით. ორგულთათვის რისხვა და ერთგულთათვის წყალობა ორივ გამზადებული არის. ვიცით, აქაურს ამბავს იკითხავთ, ყეენის წიგნები მოგვივიდა რომ განჯას მობრძანებულა, კნიაზი დაუტერიათ და რაც იქ რუსი ყოფილა, სულ გაუწყვეტიათ. თქვენთვისაც წყალობა და ჯამაგირის წიგნი უბძანებია. შაჰზადა ერევანს ფანბაკზედ მოვიდა. ერთი შაჰზადა მამად ალი ხან შაქსა და შირვანში მოვიდა, თორმეტი ათასი კაცი ჯარის ჭირშიც ქისიყს რაც რუსი არის იმას გაუსიეთ და ჩვენც მთელის დაღისტნის ჯარით ოთხპირად შილდას და ამ ძირობაზედ მოვედით. ახლა თქვენც ამისთვის მოგწერთ, რომ რას წამს ეს წიგნი მოგვიდესთ მაშინვე მდევრულად კომლზედ კაცი უნდა ჩვენთან წამოხვიდეთ. სამსახურის დროც ეს არის და წყალობის მიღებისაც. რუსთაგან ნულარ გაბრიყვდებით. გეყოფათ. ღთ´ით ამ არს დღეზე ჩვენ და რუსებს დიდი ომი მოგვიხდება; ახლავ და ახლავ მდევრულად საჩქაროდ უნდა აქ ჩვენთან შილდას მოხვიდეთ და ვინც წინ სოფლები დაგჰვდეთ, თან გამოიყოლეთ (verso) და თუ ურჩობასა და მიზეზს იტყვით რასმე, გაზაფხულივით, მაშინ ოთხი ხუთი ათასი კაცი არც თქვენთვის გვეშურება და ჩვენ უვალონი ვიქნებით და თქვენ იცით. ახლავ და ახლავ მდევრულად გამოსწიეთ, დღეს რომ ორშაბათი არის, სწორამდის მოგელით და ახლა თქვენ როგორც გიჯობდეთ ისე

საჩქაროდ მოაშურეთ შილდას. აგვისტოს კვ. ქ´კს ფა | ალექსანდრე |

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა
ინსტიტუტის ფონდი, Hd, № 5692

20) ნასყიდობის წიგნი

ჩყნა-ს წელსა სეკდენბრის ზ. მოგყიდეთ ჩვენ სათემო ფშავის ხევთ კაპიტან თავად ოთარი ჩოლოყაევმა და პოდპორუჩიკმა თ. ალექსანდრე ჩოლოყაევმა ჩვენი საკუთარი მამული, რომელიც მდებარეობს ლაშარის-ჯვრის ვენახის გვერდზედ ნახევარის დღის სავენახე მიწა ათ თუმნათ თეთრ ფულად, რომელზედაც ხელს ვაწერთ თ´ ოთარ ჩოლოყაევ, თ´ ალექსანდრე ჩოლოყაევ.

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა
ინსტიტუტის ფონდი, Sd, № 2949

2. საკვირაო

როგორც ითქვა, ფშავში ცენტრალური ხატებია, გარდა ლაშარის ჯვარისა, კვირიას სახელობის სალოცავი, საკვირაო და თამარ მეფის ხატი. ოდესღაც შემუშავებული და ძლიერი ტრადიციით განმტკიცებული წესის თანახმად, ლაშარის ჯვარის მედღეობენი ლაშარის ჯვარიდან ლიტანიითა და ფერხისული სიმღერით მიემართებოდნენ საკვირაოში, სადაც ღამეს ათევდნენ და იქიდან რიგი საერთო დღეობის დროს ადიოდნენ თამარ მეფის ხატში. საკვირაო მთავარი საკულტო ცენტრი იყო კვირაღვთისშვილისა და ღვთაება კვირასი ფშავ-

ში. უკანასკნელ ხანს მას საკუთარი დასტურ-ხევისბრები არ ჰყავდა. აქ ხევისბრობდა ლაშარის ჯვარის თავხევისბერი.

კვირას სალოცავი საკვირაო თამარის ხატში მისასვლელ მთავარ ბილიკზე მდებარეობს. ხოლო თამარ მეფის ხატი ლაშარის ჯვარის პირდაპირ მთის ფერდობზეა გაშენებული.

საკვირაოს ჩრდილოეთით არაგვი მიედინება, აღმოსავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით მას წაწადისწყალი ჩამოუდის. საკვირაო გაშენებულია ტყიან კონცხზე და მის ძირში აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ვაკეზე, რომელსაც წაწადისწყალი საზღვრავს.

ძირითადი საზოგადოებრივ-საღვთისმსახურო ნაგებობანი კონცხის თავზეა. აქ (ტაბ. 20) მცირე ზომის მოგრძო პლატო ხშირი ტყითაა გარშემოზღუდული. მას მისასვლელი დასავლეთის მხრიდან აქვს, პლატოზე გაშენებულ ნაგებობათა საპირისპირო მხრიდან. პლატოს დიდი ნაწილი საკვირაოს კარს უჭირავს. საკვირაოს კარზეა საზარე, სასანთლე, საკურთხეველი და საბერო-დარბაზი თავისი კარით.

საზარე ფიქალი ქვებით მშრალად ნაგები შენობაა. იგი შედგება სწორკუთხა კვარცხლბეკისა, მის კუთხეებზე აღმართული ოთხი სვეტისა და ორიარუსიან-სანაწვეთებიანი ოთხფერდა სახურავისაგან, რომელსაც თავზე ადგას სპილენძის გუმბათი წვერზე აღმართული ჯვრის გამოსახულებით. საზარეში ჩამოკიდებულია დიდი ზარი შემდეგი წარწერით: „აქ. ჩყმე წელსა შემოგწირე ესე ზარი ლაშარისა ღელეს შუა ბატონო, კვირა ცხოველო მე სოლომონ ჰაუშტროვმა ჩემად საბედიანოთა და ჩვენ სასულივ-სასულიეროთა ამინ



საზარეს მთავარი ფასადის მხარეს ძელზე, ორ სვეტს შუა ჰკიდია მეორე, შედარებით უფრო მცირე ზარი წარწერით, რომელიც ასე იკითხება: „ქ. აფშინათ შვილებმა ხუთძმათ ნადირს და ელისბარს და ბერიძეს და მარადოს დათვიას შემოგწირეთ კვირა პატიოსანისა თვსათ ცოცხალის სადღეგრძელოთ კვდრს სასულიერო ჩყკთ წელსა“. ეს თარიღი სტრიქონში ვერ ჩატეულა და მის თავზე მოუთავსებიათ.

საზარესთან, მისგან აღმოსავლეთის მხარეს ყორით ნაგები სასანთლეა თავზე გაწყობილი ბროლის ქვებით და სანთლების დასანთები ნიშით, რომელიც მოზრდილი თხელი ფიქალი ქვითაა გარედან წაფარებული.

საზარესა და სასანთლეს შუა ძალზე ბებერი მუხა დგას და ამ მუხის (მიწის პირად ამოჩენილ) ფესვებზე დაშენებულია საკურთხეველი (ქადა კვერის დასაჭრელი). საკურთხეველი წარმოადგენს ფიქალი ქვისგან მშრალად ნაგებ მეტად დაბალ კვარცხლბეკს, რომელზეც დაგებულია ბრტყელი ფიქალი.

საკვირაოში საგანგებოდ ნაშენი სამსხვერპლო არ ჩანს.

საკვირაოს კარის აღმოსავლეთი მხარე უჭირავს საბეროსკარს — მცირე ფართობს კარგად დატკეპნილი ქაზდარით. მის ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს ყორის მოგრძო ბაქანია, ხოლო პირდაპირ — საბერო ანუ დარბაზი.

დარბაზი გეგმაში სწორკუთხა მოყვანილობისაა, თუმცა ამასთან ერთად ცხადად შეიმჩნევა, რომ მისი უკანა კედელი კუთხეებმომრგვალებულია. იგი

მშრალად ნაგები შენობაა, სიპით გადახურული ორფერდა სახურავით. მთავარი ფასადი მიმართულია ჩრდილო-დასავლეთის მხარეს. ფასადის ამ მხარეს დარბაზში შესასვლელი კარი ფიცრისაა და კარის ზემოთ სახურავზე, ცენტრალურ ადგილას მთის ბროლის ორი ქვა ძევს.

როგორც ფშავის ყველა სხვა ხატი, კვირას სახელობის ეს ხატიც მიტოვებული და გაპარტახებულია. ამასთანავე საკვირაო ხატის დარბაზი ანუ საბერო სრულიად ცარიელია.

დარბაზის უკან, ტყიანი კონცხის აღმოსავლეთის კიდურზე აგებული ყოფილა კვრივი, რომლის ნაშალი ჯერ კიდევ შეინიშნებოდა 1951 წელს ჩვენი იქ ყოფნის დროს. ალექსი ოჩიაურის აღწერილობით აქ კვრივი იმდენად დიდი ნაგებობა ყოფილა, რომ მასზე მიყუდებულ თორმეტი თემის დროშებს იტევდა.

ქვემოთ, საკვირაოს ვაკეზე ერთი საერთო სათემო დაფარებული საჯარე და მის გვერდით სასანთლე კოშკი იდგა. დღეს მათი ნაშთები ძლივს შეინიშნება. ამ ერთ საჯარეში თორმეტი თემის მედღეობენი დგებოდნენ, ვისაც სად შეხვდებოდა, მაგრამ ცალკე თავ-თავისი თემების მიხედვით. ზამთრის დღეობებში აქაც, ლაშარის ჯვარის მსგავსად, სათემო სუფრები დაფარებულ საჯარეში იმართებოდა.

ახალკვირას ლაშარიდან ჩამოსული თორმეტი დროშიონისა და მედღეობე თემების პროცესია, საკვირაოს რომ მოადგებოდა, თემების რიგითი წევრები კონცხის ძირში გაჩერდებოდნენ, ხატიონნი კი ხატის კარზე ავიდოდნენ; იქ დროშებს კვრივზე „დააბძანებდნენ“ და მაშინვე სადიდებელთ ჩვეულებრივ ყველა ხევისბერი ჩამოირიგებდა და ამწყალობნებდა მთლიანად ფშაველთ. ხატებისა და ხალხის დამწყალობნების დროს ხევისბერი საზარეში ზარს რეკავდა. თემების მიერ მოტანილ კელაპტრებს ლაშარის ჯვარის ხევისბერი სასანთლეში დაანთებდა, კვლავ ზარსა რეკავდა და ამწყალობნებდა თავის ყმებს. ამ დროს მედღეობე რიგითი მეთემენი ქუდმოხდილნი და პირით ხატისაკენ მიბრუნებულნი პირჯვარს იწერდნენ და ხმადაბლა კვირას ეევედრებოდნენ ღმერთთან და ღვთისშვილებთან შუამდგომლობას და დახმარებას.

სადიდებელი რომ მოთავდებოდა, დაიწყებოდა სათემოდ მოყვანილი საკლავების შეწირვა ლაშარის ჯვარის ხევისბერის ხელმძღვანელობით. როგორც ზევით თავის ადგილას აღინიშნა, ეს საკლავები სათემო ან სასოფლო იყო. ამ საკლავებს სწირავდა ლაშარის ჯვარის ხევისბერი და მათ დაკვლაში მას იმ სათემო ხატის ხევისბერი ეხმარებოდა, რომელი თემისაც საკლავი იყო. ამ ზღვნობა-სანთლობას დიდი საღმრთო ანუ ფშაველთა საღმრთო ეწოდებოდა. როცა სათემო ზღვნების დაკვლა მოთავდებოდა, კერძო „ზღვნობა“ იწყებოდა, ე. ი. მეთემეთა მიერ თავ-თავის ოჯახიდან მოყვანილი საკლავის შეწირვა. სათემო საკლავებს ატყავებდნენ და ხორცს ხარშავდნენ შესაბამისი თემის ხატის დასტურნი, ხოლო კერძო საკლავებს მათი პატრონი მეთემენი მოუვლიდნენ. ყველას თავ-თავისი ქვაბები ჰქონდა მოტანილი, ცალ-ცალკე ანთებდნენ ცეცხლს და ხარშავდნენ ხორცს. გაამართებოდა ცალკე სათემო სუფრები და ცალკე კერძო პირებისა. მარაგი ყველას თავ-თავისი სახლიდან ჰქონდა მოტანილი. სათემო სუფრებს დალოცავდნენ შესაბამისი თემის ძველ ხევისბერ-დასტურებისა და იმ გამოჩენილი პირების სახელზე, რომლებიც „იყვნენ და აღარ არიან“. კერძო სუფრებს კი თავ-თავისი ოჯახის მიცვალებულთა სახელზე დალოცავდნენ.

შემდეგ საჯარეში იმართებოდა ჭამა-სმა და მოლხენა-სიმღერები, თამაში. აქ მედღეობე ქალი და კაცი ერთად იყო, ხოლო დასტურ-ხევისბრები საკვირაოს ხატში ცალკე ატარებდნენ დროს.

უნდა აღინიშნოს, რომ, აქ, საკვირაოში ისევე, როგორც ლაშარის ჯვარსა და თამარის ხატში, დღეობების დროს, სადაც მთელი ფშავი იყრიდა თავს, ახალგაზრდა ქალ-ვაჟნი, მათი მშობლები და ნათესავები ერთმანეთს უთვალთვალებდნენ ანდა ადრევე საამისოდ შერჩეული ოჯახის წარმომადგენლებთან ჭოილაპარაკებდნენ ურთიერთთან დამოყვრების თაობაზე. დღეობაზე შეყრილი ქალ-ვაჟნი ერთმანეთს ლექსავდნენ და ეხუმრებოდნენ. შეიძლება ზოგიერთ მათგანს დაძმობილების სურვილი ჰქონდა და ამ სურვილს ერთმანეთს ლექსებითაც აგებინებდნენ. მაგალითისათვის მომყავს შემდეგი ლექსი:

-ქალებს ჭრელებ კაბები სცვავ, ბულულაით ნაყიდები,
ყელზე კერცხლის შიბებ უსხავ, ბოლო-ბოლო საკინძები,
რაბან ეზაში შამხვდებიან გამწყრალიეთ გავსცილდები,
ოა გავსცილდა, გადმოვბენებ — ობოლავთ აეტირლები".

მეორე დღესაც გრძელდებოდა ერთმანეთის სათემო და კერძო სუფრებზე გადაპატიჟება და პატივისცემა. ნაშუადღევს ლაშარის ჯვარის ხევისბერი საკვირაოს სასანთლეში კვლავ სანთლებს აანთებდა, დარეკავდა ზარს და ფშაველებს, ლაშარის ჯვარის ყმათ, დაამწყალობნებდა. აიშლებოდნენ მედღეობენი და პირჯვრის წერით ცხენებს კაზმავდნენ. თითოეული თემის მედროშე ხევისბერი თავის სახატო დროშას „ააბძანებდა". ისინი, ლაშარის ჯვარის მედროშე ხევისბერს დაემშვიდობებოდნენ და გზას დაადგებოდნენ თავ-თავის თემისაკენ. ლაშარის ჯვარის ხევისბერი და დროშა წავიდოდნენ ისეთ წვრილმან სალოცავებში, როგორიც მისთვის სათემო ხატებია (M[1], 83, რვ. 31, გვ. 373—378).

3. თამარ-ღელის ხატი

თამარის ხატი გაშენებულია ე. წ. ღელის ქედზე, საკმაოდ გაშლილ და დაბალებულ ადგილზე, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 1773, 14 მ. თამარ-ღელის ხატი, ირგვლივ მოთავსებული მისი სახნავებით, 20 ჰა ფართობს მოიცავს (ტაბ. 21). ამ ფართობზე ხატის ნაგებობათა კომპლექსი მდებარეობს ერთმანეთისაგან დაცილებულ სამ სხვადასხვა ადგილას: ღელის ქედის ცენტრალურ ნაწილში, ეკიდურეს სამხრეთით და ცენტრიდან დასავლეთით.

ცენტრალური ადგილი (ტაბ. 22) მაღალი გალავნითაა გარშემოვლებული. გალავნის შიგნით მოთავსებულია: საზარე, სასანთლე, სასაკლაო, საბერო, ძველი ეკლესია, ახალი ეკლესია, ილარიონ ბერის საცხოვრებელი, რიგი გაურკვეველი ნაგებობების ნანგრევები, შიდა გალავნის ნაშთები და მთავარი გალავნის გარეთ — ღია საჯარე. ამ შენობებს, დაწყებული ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ვიდრე სამხრეთით საჯარემდე, ირგვლივ შემოვლებული აქვს, როგორც ითქვა, ყორის გალავანი. გალავანში შესასვლელი საჯარედანაა, რომელიც მის სამხრეთ-აღმოსავალეთით მდებარეობს.

საჯარე ღია, დიდ ფართობზე გაშლილი მოედანია, რომელსაც დასავლეთიდან მაღალი სალი კლდე ესაზღვრება; კლდის პირის ქვედა ნაწილი შეეულად არის ჩაჭრილი, მთელ სიგრძეზე ყორით შემაგრებულია და ყორის ძირზე

მწკრივად გაწყობილია ქვის საჯდომები; ხოლო საპირისპირო აღმოსავლეთის მხარეს დიდი იფნის ხეებია ჩარიგებული. ზაფხულის სახატო დღეობებში აქ, ამ ღია საჯარეში მლოცველები ბანაკდებოდნენ.

უეჭველია, თამარ-ღელის ხატში დაფარებული საჯარეც იქნებოდა, სადაც მეთვმეებს თავი უნდა შეეფარებინათ ზამთრის სახატო დღეობებში. შესაძლებელია ეს საჯარე გაშენებული იყო მთავარი გალავნის შესასვლელთან იქ, სადაც ამჟამად ილარიონ ბერის ნასახლარია.

ილარიონ ბერის ნახევრად ქალაქური ტიპის საცხოვრებელი სახლი ლამკირით ნაგები ორთვალიანი შენობაა, რომელთაგან ერთი თვალი ჩაქცეულია, მეორე ოთახს აქვს ფიცრის კარი, ხის ჩარჩოში ჩასმული სარკმელი, ბუხარი, დილეგი, ფიცრებისაგან ნაგები საწოლი და სხვ. ჩვენი ხოშარელი მთხრობლის 58 წლის იმედა ხოშურაულის ცნობით, რომელიც თამარ-ღელის ხატში გვახლდა. ილარიონ ბერის სახლის წინ თამარის ხატობებში საყეინო იმართებოდა, მაგრამ თვით ნაგებობა საყეინო (ანუ საყეენო) — დაბალი კოშკი ან უბრალოდ მიწაზე დაგებული სიპი, რომელზეც ღვინით სავსე გობი იდგმებოდა ხოლმე საყეენოს წესის შესრულების დროს, აღარ მოიპოვება არც მითითებულ ადგილას და არც სხვაგან თამარის ხატში.

ილარიონ ბერის სახლის ჩრდილოეთის კედლის კუთხესთან იწყება შიდა გალავანი, რომლის ნაშთები სწორი ხაზით მიემართება ჩრდილოეთით, შემდეგ დასავლეთით და იქ იკარგება. შიდა გალავნით შემოზღუდული და შემავრებულია მთის ფერდობის მაღალი ნაწილი, რომელსაც ვუკავშირდებით გალავნის წყობაში ჩატანებული ქვის კიბის საფეხურებით.

ამ გალავნის შიგნით მოქცეულია ახალი, 1910 წელს აშენებული ეკლესია (ეს თარიღი თვით ეკლესიაზეა გარედან აღბეჭდილი).

ახალი ეკლესიის ჩრდილოეთით, შიდა გალავნის მეორე მხარეს მდებარეობს საზარე (ტაბ. 23) ლამკირით ნაგები და კირით შელესილი. სამრეკლო დაფუძნებულია სწორკუთხა ფორმის მაღალ კვარცხლბეკზე, რომელიც ერთი მხრიდან შეჭრილია ათსაფეხურიანი კიბით ზარებთან ასასვლელად. კვარცხლბეკის კუთხეებში აყვანილია მრგვალი სვეტები. სვეტის თავები შეკრულია ქვის ფილებით, რომლებზეც ხუთიარუსიან-სანაწვთებიანი ოთხფერდა სახურავია მოწყობილი. სახურავზე სპილენძის კონუსის მოყვანილობის სახოვანი გუმბათია თავზე ბუშტითა და ჯვარით. სამრეკლოში სამი ზარი ჰკიდია — ერთი დიდი და ორი პატარა. მათზე უამრავი საკადრისებია ჩამოკიდებული. დიდი და ერთი პატარა ზარი წარწერებიანია. დიდი ზარის წარწერა ასე იკითხება: „ქ. ჩყმე წელსა შამოგწირეთ ბატონო თამარ ნეფეო ჩვენ თერთმეტმა თემა ფშაველმა ამ ზარში შვიდი თუმანი ჩვენ მივეცით ხუთი თუმნი საკუთრივ აფშინა ქავთარამ მივეცი ჩემდა და ჩემის სადღეძლოთ. ხევისბერმა ელისობას — ჩოლაგაურვ ბეწინა ბერი". პატარა ზარის წარწერაა: „შემოგწირეთ თამარ მეფეს ხუთმეტი მანეთის ზარი ზურაბ ქეშიკაშვილმა მისმა ძმამა საღირ-მა თავსა საბედნიეროდა და საწყალობლოდა ამაზე ხელს ვაწერ გელაძე ღვდელი მუქუს ღთისშობლის ეკლესიის აღმშენებელი 1871 წელსა თიბათვის კთ".

სამრეკლოს სამხრეთ-აღმოსავლეთით სასანთლე კოშკია — პატარა, სწორკუთხოვანი ფორმის, ზემოდან ორიარუსიან-სანაწვთებიანი ორფერდა თავხურვით და სამხრეთის კედელში დატანებული დიდი ზომის ნიშით, რომელსაც აქვს სიპის საფარი. სასანთლეს თავზე მთის ბროლის ორი ქვა ადევს.

სასანთლის გვერდით საკურთხეველია — ქვაყრილზე დაგებული მოგრძო სიპი, რომელზეც ჩვენი იქ ყოფნის დროს ოთხი ზარაკი ეყუდა.

საკურთხეველსა და სასანთლე კოშკთან იფნის ხის ტოტებზე ჩამოკიდებულია დიდი რაოდენობის თეთრი საკადრისები. იქვე, საკურთხევლის დასავლეთით სამსხვერპლოა, ე. ი. ადგილი, სადაც შესაწირავი ცხოველების მსხვერპლად მიტანა ხდებოდა.

სამრეკლოსა და სასანთლე კოშკის აღმოსავლეთით საბერო მდებარეობს. ზემოაღწერილი საბეროებისაგან იგი განსხვავდება მთავარი ფასადის კედლიდან გარეთ გამოსული სიპის კარის შუბლით, კარის თავით, შენობაში ჩასასვლელი ორსაფეხურიანი ზღურბლით, შენობის შიგნით, ქასდარში ჩაჭრილი სამალავი ორმოთი და სიპებით მოპირკეთებული იატაკით; საბეროს კართან და მის შიგნით მოთავსებულია უზარმაზარი ხის კოდი, დიდი კიდობანი, ხელქვაბი, ვარცლი, საარაყე ქვაბი. საბეროს — კარზე ჩრდილო-დასავლეთის მხარეს მთის გასამაგრებლად ყორის ბაქანია მოწყობილი. საბეროსკარის დასავლეთის ნაწილში საფუტკრე ყოფილა გამართული. ამჟამად იგი ჩაშლილია. იმედა ხოშარაულის თქმით, ეს ილარიონ ბერის საფუტკრე უნდა ყოფილიყო.

საბეროს აღმოსავლეთით ამჟამად ნაწილობრივ შემონახული ყორის გალავნის შიგნით აღმართულია პატარა, ე. წ. ძველი ეკლესია (ტაბ. 24) ქვა-კირით ნაგები, რვაიარუსიან-სანაწვთებიანი ორფერდა სახურავით, აღმოსავლეთის კედელში დატანებული სარკმლით და სამხრეთის კედელში კარით. ეკლესიას ამავე სამხრეთის მხრიდან მოწყობილი აქვს სტოა („დარიფანი"), რომელიც გადახურულია სიპი ქვით გაწყობილი ცალფერდა სახურავით. სტოას დასავლეთით აქვს ფიქალი ქვის მშრალად ამოყვანილი კედელი. ამგვარად, ეკლესიაში მიმსვლელი ჯერ მოხვდება სტოაში და ეკლესიის კარის გავლით შედის ეკლესიაში. ეკლესიის კედლები შიგნიდან კირითაა შელესილი, იატაკი და ძალზე დაბალი ჭერი გათლილ-დარანდული ფიცრებით არის გაწყობილი, კარი და სარკმლის ჩარჩოც ხისაა. კარზე წითელი საღებავით გამოსახული ჯვარია. სარკმელთან კედელში გამოღებულია ქვები ამ ღიობში ღუმლის მილის ჩასადგმელად; პატარა ოთხკუთხედად შეკრილ ჭერზე შედგმულია ფერადი საკადრისებით სავსე ხის სკივრი.

ძველი ეკლესია, როგორც ვხედავთ, მეტად საყურადღებო ძეგლია. ქრისტიანული ეკლესიისათვის მახასიათებელ კონსტრუქციულ ელემენტებთან ერთად, იგი ითავსებს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის უაღრესად ტრადიციული საკულტო-სამეურნეო და წმინდა საკულტო ნაგებობათა — ბეღლებისა და ე. წ. კოშკების ისეთ ორიგინალურ ელემენტს, როგორიცაა მრავალიარუსიან-სანაწვთიანი ორფერდა გადახურვა. ასეთივე კონსტრუქციის ეკლესია დამოწმებული აქვს რადეს, ხევსურეთში, სოფელ ბლოში. ამასთანავე იქაც ეს ქრისტიანული ძეგლი მოქცეულია ჯვარ-ხატის ნაგებობათა კომპლექსში, ე. ი. ორივე შემთხვევაში ეკლესია უშუალო კავშირსა და სიახლოვეშია წარმართულ საკულტო ძეგლებთან.

გ. რადე სიტყვა-სიტყვით წერს შემდეგს: „В роще, лежащей к востоку от сел. Бло, в нашу бытность, варили пиво для приближающегося празднества, почему я и отправился туда, чтобы видеть весь этот процесс. Там, поодаль от пивоварни, стоит церковь, стены которой также возведенные из массивных шиферных плит, сбли-

жаются между собою с половины высоты семью уступами и заканчиваются к верху широким каменным карнизом. Внутри церковь представляет пустое пространство, в которое ведет очень узкая дверь. Церковь, пивоварня и окрестный лес посвящены св. Михаилу. Как здесь, так и и возле жертвенника св. Георгия, на грубо сколоченных из брусьев подпорках висят русские колокола. В них звонят и в дни языческих праздников. Из пивоварни Св. Михаила беспрерывно клубится дым. Там делают солод, и дым, исходящий из сырого хвороста, служащего топливом, вместе с паром, окутывает низкую пивоварню»[20].

საბეროს მახლობლად და საზოგადოდ შიდა და მთავარ გალავნებს შორის რამდენიმე გაურკვეველი ნაგებობის ნანგრევია.

ხატის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში, თამარის ერთ-ერთ ხოდაბუნთან გაშენებულია ხატის ბეღელი, სასანთლე-სამწირველო და ხატის კალო (ტაბ. 21, ტოპოგრ. გეგმა).

ხატის ბეღელი (ტაბ. 25) ქვაკირით ნაგები სწორკუთხა შენობაა, ათიარუსიან-სანაწვთიანი ორხფერდა სახურავით და მთავარი ფასადით აღმოსავლეთის მხარეს, სადაც მას კარი აქვს დატანებული. კარი მუხისაა და იქვე ბეღელთან აგდია. იგი შესანიშნავი ოსტატობის ნიმუშია. ხის ლურსმნებით („ჩხირებით") არის შეკრული და ხის ფირფიტებით („თირკმლებით") გამაგრებული. კარის სწორი ფიცარი გვერდებიდან შვეულადაა ჩათლილი, შუაგულის ნაწილი რელიეფს იძლევა. ცენტრში ორი მხრიდან ცერად ჩაჭრილი ნაჩვრეტის საშუალებით სახელურია გამოჭრილი. კარი ყუნწებით ჩადგმული იყო კარის ზღურბლის საყუნწურში და „კედით" იკეტებოდა; კარის ჩარჩო ხისაა, კარის თავი ხისა და ქვისა, ხოლო ზღურბლი ქვისა. ბეღლის იატაკი სიპით არის მოწყობილი და ზემოდან კირწაყრილია მღრღნელების საწინააღმდეგოდ. ბეღელში გაწყობილია ხის სამთვალიანი ამბარი; ამბრის ორი გვერდითი თვალი გრძელი სწორკუთხა მოყვანილობისაა, კარის პირდაპირ მდებარე თვალი კი პატარა სწორკუთხა ფორმისაა. ამბარი დაყოფილია სამ თვალად. თვლები ერთურთისაგან გამოყოფილია ტიხრებით, რომელთა ფიცრები მოძრავად ჩადგმულია ხის სვეტების გრძივ ღარში. გარედან მთავარი ფასადის მხარეს გაწყობილია სიპების მერხი და იქვე, ბეღლის კედელზე მიყუდებულია სწორი თხელი სიპი, რომელსაც ნადში სუფრად იყენებდნენ.

ბეღლის გვერდით, სამხრეთ-დასავლეთის მხარეს პატარა სასანთლე კოშკია სწორკუთხა მოყვანილობის. ბრტყელი გადახურვით, სამხრეთის კედელში დატანებული ორი დიდი ზომის ნიშით.

სასანთლის წინ გამართულია საკურთხეველი — დიდი ზომის ბრტყელი სიპი, რომელიც მცირე სიმაღლის ქვაყრილზეა დამაგრებული. ნადში, სახნავსა და სამკალზე ხევისბერი სასანთლეში სანთელს ანთებდა და საკურთხეველზე ქადა-პურს გასერავდა.

ბეღლისა და სასანთლე-საკურთხევლის სამხრეთით, ხოდაბუნებში ხატის კალოა, — ჩვეულებისამებრ მოსწორებული და დატკეპნილი მრგვალი არე.

ხატის ცენტრალური ნაწილიდან დასავლეთის მიმართულებით ვიდრე მდ. არაგვის ნაპირამდე კვლავ თამარის ხოდაბუნებია მიყოლებით განლაგებუ-

[20] Г. Радде, Хевсурия и хевсуры, Тифлис, 1881, стр. 205—206.

ლი. ამ მიმართულებით ყველაზე მახლობელი ხოდაბუნის თავზე ორი ნაგებობაა — თამარის საუნჯე და სალუდე.

საუნჯე (ტაბ. 23) ნაგლეჯი ქვით მშრალად ნაგები სწორკუთხა ფორმის ვრცელი შენობაა, სიპით დაფარული ორფერდა სახურავით და დასავლეთის კედელში დატანებული ცრუთაღოვანი მოყვანილობის კარის ღიობით. საუნჯის შიგნით ორი გვერდითი და ერთი შუაბოძია. შუაბოძზე კეზია გადებული, ხოლო გვერდით ბოძებზე საგვერდულები. საგვერდულებზე დაყრდნობილი ყოფილა საალე ხე მასზე გამობმული საკიდლით. ამჟამად სახურავის ერთი ნაწილი გვერდით ბოძებთან ერთად ჩაქცეულია, ხოლო საალე და საკიდელი შუაბოძის მახლობლად აგდია.

საუნჯის გვერდით, მისგან ჩრდილოეთის მხარეზე სალუდეა (ტაბ. 26) — გეგმაში სწორკუთხა, ფლეთილი ქვისაგან მშრალად ამოყვანილი შენობა, სიპით დაფარებული ორქანობიანი სახურავით, მთავარი ფასადით დასავლეთის მხარეს, სადაც მას კედლის შუა ნაწილში დატანებული აქვს ცრუთაღოვანი კარის ღიობი და ღიობის აქეთ-იქით გვერდებზე კედლიდან გარეთ გამოსული წყვილ-წყვილი სიპის სწორკუთხოვანი შვერილები. კარის ღიობში ჩასმულია სქელი ხის ორკარედი. სიპი ქვის შვერილები — მთხრობლის განმარტებით — იხმარებოდა ხურჯინის, ტანსაცმლის და მისთ. ჩამოსაკიდებლად. სალუდეში ორი საქვაბეა მათში ჩადგმული ლუდის მოსახარში ორი სპილენძის ქვაბით — დიდი და მცირეთი. აქვეა სპილენძის ისარნა, მასზე გამართული საკიდლებით, ჭუჭკებითა და კედებით. კარის მახლობლად კუთხეში დგას ორი კოდი და იქვე კედელთან მიდგმულია დიდი ქვევრი ხაჭოს კვერების შესანახად, ქვევრი 200 ხაჭოს კვერს იტევს.

საუნჯისა და სალუდის მახლობლად, ოღონდ მათგან უფრო ქვემოთ ხატის ხეების ჩრდილში თ ა მ ა რ ა ქ ი მ დ ე დ უ ფ ლ ი ს წ ყ ა რ ო ა. ამ ანკარა და ცივ წყაროს ხალხი სამკურნალო თვისებებს მიაწერს.

უკანასკნელად მოკლედ შევჩერდებით თამარ-ღელის ხატის დაარსების შესახებ ჩვენს ხელთ არსებულ გადმოცემებსა და ხალხურ სარწმუნოებრივ შეხედულებებზე. 1947 წლის ჩანაწერის თანახმად, „ღელეში წინათ ხატი არ იყო და მაშინ იქ გაბიდოურები ცხოვრობდნენ. ერთი ხნიდან ღამე რომ კალოს ლეწავდნენ, ხარებს რქებზე ცეცხლი უჩნდებოდა. შეშინდნენ გაბიდოურები და მიმართეს მკითხავს. მკითხავის თქმით აქ თამარ მეფის ხატი გაჩნდა...

ზოგის თქმით თამარ მეფემ შესწირა ხატი და ამაზე ილოცავენ

ზოგის თქმით აქ იყო ერთი საფლავი, რომელსაც თამარ მეფის კუბოს ეძახოდნენ და ამაზე გააჩინეს სალოცავი". შემდეგ მოთხრობილია თუ როგორ აიყარნენ გაბიდოურნი, გადასახლდნენ ხოშარაში, მათი ადგილ-მამული კი ღელეში თამარის ხატის ხოდაბუნებად გადაიქცა (M[1], 83, რვ. 28, გვ. 344).

პირველი თქმულება, როცა ამა თუ იმ ადგილას თავის დაარსებას ღვთისშვილი სასწაულებრივი მოქმედებით გამოავლენს და ხალხს მკითხავისა თუ ქადაგის პირით ამცნობს, — ჯვარ-ხატების დაარსების თქმულებათა ყველაზე მეტად გავრცელებული ვარიანტია. ასეთია, მაგალითად, ხალხური გადმოცემები საღმრთო გუდანის ჯვარის, ლიქოკის, შუბნურის ჯვარის, ცაბაურთის ხეთანას ხატისა და ფშავ-ხევსურეთის სხვა მრავალი ჯვარ-ხატების დაარსების შესახებ.

მეორე თქმულებასა და ხალხურ სარწმუნოებრივ შეხედულებასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით თამარ მეფის მიერ ფშაველებისათვის ბოძებულ ხატს სალოცავად იხდიან, უნდა შემდეგი აღინიშნოს. ჯერ კიდევ XIX საუკუნის 90-იან წლებში პროსკოვია უვაროვას, მისი მუშაობის დროს უკანაფშავის ხეობაში, ლაშარის ჯვარის ხევისბერმა ქერჩო გოდერძაულმა უკანაფშავის თემის ეკლესიიდან წამოღებული ოქროთი დაფერილი ვერცხლის სამი ჯვარი უჩვენა. ამ ჯვრებიდან გოდერძაულის ცნობის მიხედვით, ორი, რომლებსაც ქართული წარწერები ჰქონია, ლაშარის ჯვარს ეკუთვნოდა; ხოლო მესამე, იმავე გოდერძაულის მტკიცებით, თამარ მეფის შეწირული იყო ღელის თამარის ხატისათვის. „Священик уверял нас — წერს პროსკოვია უვაროვა, — что этот крест пожертвован описанному святилищу (იგულისხმება თამარ ღელის ხატი) самой царицей Тамарой и в доказательство того, указывал на изображение Богоматери, смешивая видимо, Богоматерь с великой грузинской царицей»[21].

1947 წელს ფიქსირებულ ხალხურ „თქმას“ ღელეში ერთი საფლავი იყო, რომელსაც თამარ მეფის კუბოს ეძახდნენ და ამაზე სალოცავი გააჩინესო, — ესიტყვება შემდეგი გადმოცემა, რომელიც ჩვენ 1964 წლის ფშავის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დროს ჩავიწერეთ თავხევისბერ ბიკურ ბადრიშვილისაგან: „თამარ მეფის ხატში სოლომონის გამოქვაბულია, იმის ნამყოფს ეძახიან, „სოლომონის ნამყოფიაო“. ის ქალაქიდან წამოსულა, კურეტს გამოჰყოლია. ხალხი როცა იყო მანდა (თამარ-ღელის ხატში), შემოვიდოდა, სვეტად განათდებოდა. ნათელი ადგებოდა... ძველი ნაწერი მოვკელე — განაგრძობს ჩვენი მთხრობელი — „გწერ მე შენ სოლომონიო. გამიხარდი მისრაშვილო, თამარ დედოფლის საფლავის მცველო“ (რვა კუბო გამოვიდაო). როცა თამარი გარდაცვლილა, აქედანაც წასულა იმ დროს ხალხი და, რომელ კუბოში ესვენა, ეგ არ იციან. რვა მხარეს წავიდა კუბოები და რომელს გაჰყვა იმისი გვამი, არ იციან“.

აშკარაა ეს გადმოცემაც იმას ვარაუდობს, რომ მეფეთ მეფის საფლავი ღელის თამარის ხატშია და რომ ამ საფლავის მცველები იქვე მცხოვრები, ცივი იარაღის საუკეთესო მჭედლები მისრიანები ანუ მისრიაშვილები იყვნენ.

ამ ზეპირსიტყვიერ მასალებს პარალელი მოეპოვება წერილობით წყაროებში. ფ. სხვიტორელის წერილში მოტანილია ორი ამონაწერი მის ხელთ არსებული ისტორიული დოკუმენტებიდან — ერთი, კახეთის მეფე თეიმურაზის წყალობის წიგნიდან, ხოლო მეორე ალექსანდრე ბატონიშვილის ბარათიდან. თეიმურაზისეულ დოკუმენტში წერია:. „ჩვენის მოძმის[22] საფლავის დეკანოზო ხახავ, მაგ ჩვენს სასოებას თამარის საფლავს, ვსწირავ ვენახს ადარნაზესეულს“. ხოლო ალექსანდრე ბატონიშვილი წერს: „თამარის საფლავის დეკანოზო გამიხარდი. ეს არის ჩემი გაჭირვება და თუ ღმერთმა მამა ჩვენის ტახტზე დაგვსვა — სამაგიერო წყალობას მიიღებთ, რაც შეიძლება მალე მამაშველე ფშავის თერთმეტი თემი“[23].

---

[21] Графиня Уварова, Поездки в Пшавию, Хевсуретию и Сванетию, МАК, т. X, М., 1904, стр. 14.

[22] დაბეჭდილია შეცდომით „მოწმის“.

[23] ფ. სხვიტორელი, თამარის საფლავი, გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1915, № 257.

ვაჟა-ფშაველაც აღნიშნავს, რომ მას დიდი ხანია სწამს და სჯერა თამარის საფლავის არსებობა ფშავში და არასდროს არ ეთანხმებოდა ჩვენი მემატიანეს ცნობას „ვითომც და თამარის სავანე გელათში იყოს“[24].

4. დამასტური, წმ. გიორგის ხატი

დამასტური მდებარეობს ფშავის არაგვის მარჯვნივ, ფერდობზე, მათურ-ხევში. დამასტური, რომელსაც დარ-ავდრის მოწესრიგების ფუნქცია მიეწერება პირობითად შეგვყავს ფშავის ცენტრალურ ხატებში, რამდენადაც იგი ძირითადად ე. წ. ფშავის ხევის (დღევანდელი უკანაფშავის სასოფლო საბჭოს) საერთო სალოცავად გვევლინება. ამ ხატს ფშაველები, პირველ რიგში ხევისბრები შემდეგი სახელწოდებით მოიხსენიებდნენ: „დამასტე მარიამი დარ-ავდრის უფროსი“, „მათურკევის მარიამ-წმიდა გიორგი დარ-ავდრის მოურავი“, ან კიდევ „მგზავრისად მყოლი ანგელოზი“.

დამასტეს ხატი წარმოდგენილია ნაგებობათა შემდეგი კომპლექსით: ხატში მისასვლელი ბილიკის მახლობლად იფნის ხე მდგარა და აგებული ყოფილა სალუდე. ამჟამად იმის გამო, რომ ფერდობი ჩამოშლილა ამ იფნის კვალიც კი არ ჩანს; დაქცეულა სალუდეც.

გაკდებით ამ ნაშალს და ცოტა ზემოთ, ფერდობზე ყორის გალავანია — ამჟამად აქა-იქღა შემონახული, გალავნის შიგნით მოთავსებულია: საბერო, საზარე, სასანთლე და კვრივი.

საბერო ანუ დარბაზი (ტაბ. 27) ძალზე დაზიანებული შენობაა — კედლები დანგრეული აქვს, სახურავი ჩაქცეული. მაგრამ ნაგებობის გეგმის მიხედვით დამასტურის საბერო მხართსაქცევი ტიპის შენობებს გვაგონებს. საბეროში ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს ძევს სალუდე ქვაბი, კარის პირდაპირ კი, სამხრეთ-დასავლეთის კუთხეში ჩაშლილი ცეცხლის საგზები საბუდარია სალუდე ქვაბისათვის. უნდა ვიფიქროთ, იმის შემდეგ, რაც სალუდე დაიქცა. მისი ფუნქცია საბეროსთვის დაუკისრებიათ.

დარბაზის კარის წინ დგას ხის ოთხ სვეტზე აღმართული, სპილენძისგუმბათიანი საზარე (ტაბ. 28), რომელსაც ირგვლივ ყორის ახალი გალავანი არტყია. დამასტური ხატისათვის შეწირულ ზარზე ამოტვიფრულია ქართული წარწერა, რომელიც იკითხება ასე: +შემოვწირეთ:. ჩვენ:. (აქ სტრიქონს ზემოთ წერია) წოწეთრულმა:. (წოწკურაულმა? — ვ. ბ.) ჩქიფას:. შვილებმა: თავათ: გიორგი:. ბატონის:. ნათლულმა:. პავლემ:. ბერიძემა:. და:. ვაჟიკამა:. და:. გამიხარდიმ:. და: ხუზანმა:. წმიდა:. დამასტის:. მარიამისათვის:. სამწყალობლოდ:.

---

[24] ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა , თამარის საფლავის გამო, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტ. V, პუბლიცისტიკა და ეთნოგრაფიული წერილები, თბილისი, 1961 წ., გვ. 322; თამარ მეფის საფლავის შესახებ (საკითხი, რომელიც, თავისთავად ცხადია, ცალკე უნდა იქნას დასმული და გამოკვლეული), მითითებულის გარდა, იხ. შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი , ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961, გვ. 378; კ. გ რ ი გ ო ლ ი ა , თამარ მეფის საფლავის საიდუმლობა, ჟურნ. „ცისკარი“, 9, 1966, გვ. 91, მითითებულია სათანადო ლიტერატურა; იხ. აგრეთვე საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის საზოგადოების ქუთაისსა და გელათში გამსვლელი სესიის მასალები შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილესადმი მიძღვნილი 1966 წლის. ოგლისის თარიღით.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ წარწერაში მოხსენებული პავლე ჩქიფას შვილის ნათლია გიორგი ბატონიშვილი ერეკლე მეორის ვაჟია, რომელიც საქართველოში მეფობდა 1796—1801 წწ. ზარიც XVIII საუკუნის მეორე ნახევარს უნდა ეკუთვნოდეს.

დარბაზის ანუ. საბეროს მახლობლად აგებულია მართკუთხა ფორმის სასანთლე კოშკი (ტაბ. 28, 1). მას აქვს წყვილი, ერთი მოდიდო და მის თავზე მეორე, უფრო მცირე შუკუმი. სასანთლე დაზიანებულია, მეტადრე ზემო ნაწილში.

დარბაზიდან იმავე, ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით, ოღონდ მისგან რამდენადმე მოშორებით, ვიდრე სასანთლეა, მდებარეობს კვრივი (ტაბ. 28, 2). კვრივიც მართკუთხა ფორმისაა, მაგრამ აქვს უჩვეულოდ დიდი ზომის შუკუმი, ორფერდა სადა სახურავი და სახურავის წვერზე მრგვალი მთის ბროლის ქვის სათაურა.

სასანთლე კოშკი და კვრივი წმინდა იფნის ხეების ახლოს აუგიათ. ამ ხატის ყველა შენობა, ჩვეულებისამებრ ფიქალი ქვისაგან მშრალი წყობითაა აგებული (ტაბ. 29, ტაბ. 30).

დამასტეს ხატის მთავარი დღეობა ყველიერის კვირა დღეს მოდიოდა. მაგრამ ამას გარდა საკვირაოს დღეობის მეორე დღესაც.

ამ უკანასკნელ დღეობაზე საკვირაოში შეკრებილი ფშავის ყველა თემის მედროშე ხევისბრები თავიანთ დროშებს ააბრძანებდნენ და გაემართებოდნენ დამასტურის ხატისაკენ. წასვლის წინ დროშიანები გამოემშვიდობებოდნენ ლაშარის დროშას, რადგან იგი (ლაშარის დროშა) ასეთ პროცესიებში არ მონაწილეობდა. პროცესიაში მონაწილეობდნენ სათემო ხატების დროშები — შუაფხოს, უძილაურთის, ცაბაურთისა და სხვ. და აგრეთვე გომეწრის ხატის დროშაც.

დამასტურში ხოცავდნენ საკლავებს და საღმრთოს იხდიდნენ. ამას გარდა, ხანგრძლივი წვიმიანობისა და გვალვის დროსაც დამასტურში იხდიდნენ რიგგარეშე საგანგებო საღმრთოს. დანიშნული დღისათვის კრეფდნენ სალუდე სვეფორს, ამზადებდნენ ლუდს, საკლავებს და დამასტურში ლოცულობდნენ. ამ დროს ყველა თემი არ მოდიოდა სალოცავში, არამედ რომელ თემსაც შეხვდებოდა რიგით, ის გადაიხდიდა საღმრთოს თორმეტივე თემის ჭირნახულის სამხვეწროდ და ხალხის სამწყალობოდ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ხატში იხდიდნენ არა მარტო საერთო, საფშავლო საღმრთოს დანიშნულ დროს, არამედ სხვა მეზღვნენიც ამ დროს მიდიოდნენ საკუთარი ჭირნახულის სამხვეწრო საკლავით.

როცა დამასტურში დროშებს მოაბრძანებდნენ, — ტაბლაზე თასებს დადგამდნენ, თასებს ლუდით აავსებდნენ და იქვე მათ გვერდით ანთებულ კელაპტარს დააკრავდნენ. დამასტური ხევისბერი ადიდებდა ამ ხატს, შეახვეწებდა ფშაველთ ჭირნახულს, საქონელსა და ხალხს, თხოვდა ეშუამდგომლა ყველა ღვთისშვილთან, რომ ჭირიანობაც („ჭირვეულობაც") ასცილებოდა ხალხს თავიდან და, თუ ღვთისპირს გადმოსული იყო აქ ჭირიანობის („ჭირვეულობის") გაჩენა, ღვთიშვილთა და ანგელოზთა დახმარებით გადაეტანა სადმე სხვა კუთხის ხალხზე და აქ მშვიდობა ყოფილიყო. ამ სადიდებელ ლუდს ჯერ დამასტურის ხევისბერი დალევდა, მერე სხვა ხევისბრები დაილოცებოდნენ, დაამ-

წყალობნებდნენ ლაშარის ჯვარის ყმებს მთლიანად და აქ, ამ ხატში მისულ მლოცავთ.

დამასტურში ხევისბრობა „პაპიდანვე“ მგელათ მოუდიოდათ. გადმოცემის მიხედვით, მგელათ წინაპარი გამოქცეულა ბატონისაგან და ამანათად შესულა გოგოლაურთ ხატსა და თემში. ბატონს მიუკვლევია ყმისათვის, მისულა გოგოლაურთაში და წაუყვანია თან. მაგრამ ყმა ისევ გამოქცეულა და, როცა ბატონს ხელმეორედ მიუგნია მისთვის და წაყვანა დაუპირებია, აღარ დამორჩილებია მის სურვილს და მოთხოვნას.

იქვე გოგოლაურთის მახლობლად, მათურხევს იმ ხანად დაარსებული ყოფილა დამასტური. ეს სალოცავი მოსული ყოფილა კახეთიდან, სახელდობრ იმ ადგილიდან, რომლის მახლობლად ბატონ-ყმა ცხოვრობდა. ბატონს ეს კარგად სცოდნია. რადგან ყმა ვეღარ დაუმორჩილებია, მისულა დამასტურში და მას შეხვეწნია: „დალოცვილო დამასტურო, ეს კაცი მე ვეღარ დავიმორჩილე და შენთვის შემომიწირავს, შენ დაიყმეო“. ამის შემდეგ დამასტურმა დაიჭირა მგელათ პაპა და იმის შემდეგ მაგათი გვარის თითო კაცი მუდამ არის დამასტურში ხევისპერი“ (M[1], 83, რვ. 31, გვ. 377—378).

ყოველივე ზემოთქმულს დავძენთ, რომ ხატის მახლობლად გამვლელ-გამომვლელი მგზავრი დამასტურის წმ. გიორგის თუ ღვთისმშობელს ლოცვა-ვედრებით მიმართავდა ხოლმე. დიდად საყურადღებო ფაქტად მიგვაჩნია, რომ საქრისტიანო მოძღვრების ერთ-ერთი ბურჯის იოანე დამასკელის კულტი ასეთი სახით შემონახულა ჩვენს მთაში.

საგულისხმოა, რომ „დამასტეს ხატი“ მართლაც არსებულა კახეთში, როგორც ეს ჩანს სათანადო ლიტერატურიდან, „საქართველოს სსრ კულტურის ძეგლებ“-ში (თბილისი, 1959 წ.) აღნიშნულია „დამასტეს ხატი“ სოფ. ჩაბანოში, და შუა საუკუნეებით თარიღდება. სოფ. ჩაბანო თიანეთის რაიონშია და ახალსოფლის სასოფლო საბჭოში შედის (შდრ. საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, თბ., 1966, გვ. 56).

ბ. სათემო და სასოფლო ხატები

I. ქრისტიანურ თემი

ა) იახსრის სათემო ხატი (სოფ. შუაფხო)

ქრისტიანურების სათემო იახსრის ხატი მდებარეობს სოფელ შუაფხოს დასახლებული ნაწილიდან დასავლეთით, მთის ფერდობზე. იგი ორი სახელწოდების ტერიტორიას მოიცავს — ავისგორსა და ნინახს, რომლებსაც ერთმანეთისაგან ჰყოფს პატარა ხევი, ე. წ. ხატისხევა. ხატისხევას მარცხნივ ავისგორია, შედარებით უფრო მაღალი ფერდობით, ზღვის დონიდან 1387, 79 მ და მარჯვნივ ნინახი. შუაფხოდან ხატში მიმავალი ბილიკი პირველად ავისგორს მიადგება სამხრეთიდან, სადაც გზა ორად იყოფა. ერთი ბილიკი უხვევს ჩრდილოეთისაკენ და იქ ხატის სხვადასხვა ნაგებობათა შორის იკარგება. მეორე ბილიკი ეშვება ხევისაკენ. გადალახავს ხატისხევას და ნინახში შედის. იახსრის ხატის საერთო ფართობი 10 ჰა შეადგენს (ტაბ. 31).

ავისგორზე იახსრის ხატის შემდეგი ძეგლებია: ადგილისდედა ღვთისმშობლის კოშკი, საყეენო, საჯარე, საჯარე მეორე, სალუდე, ქადა-პურის დასაჭრელი, საზარე, საკულუხე, საბერო, სასანთლე, სამნები, ლაშარის კოშკი, მთავარანგელოზის კოშკი, კვრივი, სადროშე კოშკი, ყორე, ციხე, გალავანი, სამალავი კვრივი, ნახოლარები მრავლად, იფნები, აკლდამები.

ავისგორზე, იახსრის ხატის სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვარზე დგას ყორის გალავნით გარშემორტყმული ღვთისმშობლის ეკლესია, XIX საუკუნეში აშენებული. ამჟამად იგი თავმოყრილია და მთლიანად ძალზე დაზიანებული. ამ ეკლესიაში პ. უვაროვას 1896 წელს უნახავს იახსრის ხატიდან გადმოტანილი ვერცხლის ჯვრები მაცხოვრის, ღვთისმშობლისა და წმ. გიორგის გამოსახულებებით. ერთ-ერთ ოქროში დაფერილ ჯვარში, მკვლევარის ცნობით, წმ. გიორგის ძვალი ყოფილა დაუნჯებული. ამ ჯვარის ზურგზე პ. უვაროვას უნახავს მხედრული ხელით შესრულებული ვრცელი ქართული წარწერა[1].

იახსრის ხატის უკიდურეს სამხრეთით ავისგორზე შუაფხოს სასოფლო საფლოცავია — ადგილისდედა ღვთისმშობლის ხატი. წარმოდგენილი ერთადერთი შენობით — სასანთლე კოშკით (ტაბ. 32, ტაბ. 33). სხვა სასანთლე კოშკების მსგავსად, იგი კვრივია, ფიქალი ქვისაგან მშრალად ნაგები, ბრტყელი თავით, რომელზეც წყვილი მთის ბროლის ქვა ძევს და აქვს თითო შუკუმი სამხრეთ-დასავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს; კოშკის სამხრეთ-აღმოსავლე-

[1] П. Уварова, დასახ. ნაშ რ., გვ. 86.

თია შუკუმაში ჩვენ ვნახეთ სანთლების ნამწვავი და საკლავის ძვლები, ხოლო სამხრეთ-დასავლეთის უფრო მცირე შუკუმაში ბამბის პატრუქში შეხვეული ცვილის ნაჯრები ელაგა.

ადგილისდედა ღვთისმშობლის ხატიდან ჩრდილოეთით ფერდობი თანდათან მაღლდება და ამ მხარეზე იახსრის ხატის მთავარი ნაგებობებია განლაგებული. ხატის მთელ მიდამოში ბრავალი ნახოლარია ძველი იფნისა და ცაცხვის ხეებში ჩამალული. იახსრის ხატის თავხევისბრის ბიჭურ ბადრიშვილის განმარტებით და ჩვენი ძველი ჩანაწერების თანახმად, აქ და სხვაგან ფშავის ხატებში იფნები დიდ უმრავლეს შემთხვევაში ხალხის დარგული და გახარებულია.

ფერდობზე ხატში მიმავალი პირველად მიადგება საყეენოს. ესაა პირდაპირ მიწაზე მოთავსებული საკმაოდ დიდი ზომის სიპის ფილა.

საყეენოს მახლობლად ჩრდილოეთის მხარეს მდებარეობს დაფარებული საჯარის ნანგრევები. ხოლო ამ საჯარის აღმოსავლეთით მეორე საჯარეა. პირველი საჯარე თავისი თავდაპირველი გეგმით განიერი ტიპის შენობაა, ჩრდილო-სამხრეთის ღერძზე მიმართული. მისი ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლები ზედა ნაწილში ცენტრისაკენ მახვილკუთხად იწვერება, რაც მიგვანიშნებს, რომ საჯარეს ორქანობიანი სახურავი ჰქონია. ამას გვიდასტურებს თავხევისბერი ბიჭურიც და დასძენს, რომ ამ შენობის ორფერდა სახურავი ფიქალით იყო გადახურულიო. უფრო გვიან საჯარეში ყორის კედელი ამოუყვანიათ და იგი ორ თვალად გაუყვიათ. ყორის კედლის ნაშთი ამჟამადაც აშკარად მოჩანს[2]. გარედან შესასვლელი კარი აღმოსავლეთის (გრძელ) კედელშია დატანებული. კარის ღიობს კედლის წყობაში კარის ქუდად ჩატანებული აქვს გრძელი ქვა. აღმოსავლეთის კედლის სიგრძეზე ფიქალი ქვის საჯდომია. ასეთივე ქვის საჯდომები გამართულია დასავლეთისა და ჩრდილოეთის კედლების გასწვრივ. კედლების წყობის უდიდესი ნაწილი მეტად მცირე სიმაღლეზე გადარჩენია დროჟამის დამანგრეველ ძალას ისე, რომ კულტის შესასრულებელი მოწყობილობის (სათასე და სასანთლე შუკუმაები, თაროები და სხვ. მისთ.) და მათი ადგილმდებარეობა ჩვენთვის, სამწუხაროდ გაურკვეველი რჩება.

მეორე საჯარე კვადრატული ტიპის შენობაა. ფიქალი ქვით მშრალი წყობით ნაგები. ამ საჯარისაგან მხოლოდ სამი კედლის ქვედა ნაწილიღა გადარჩენილა. კედლისა და ჩამლილი სახურავის ნანგრევებს შორის შენობაში ამოსულია იფნის ხეები და მათ ტოტებზე ჩამოკიდებულია მორწმუნეთაგან შეწირული საკადრისები. საჯარეს და სალუდეს შორისაც იფნი ხარობს და იმაზეც საკადრისები ჰკიდია.

მეორე საჯარის გვერდით საქობე ან სალუდეა (ტაბ.34 ა, ბ, ტაბ. 35 ა, ბ) ფიქალი ქვისაგან მშრალი წყობით ნაგები. იგი არის ე. წ. მხარსაქცევი ტიპის შენობა, თავისი მთავარი ფასადით მიმართული დასავლეთის მხარეს. მას აქვს სიპით დაფარებული ორქანობიანი სახურავი. კედლის მთელ სიმაღლეზე ვიდრე სახურავის პირამდე შენობაში დატანებულია კარის ღიობი. ღიობს აქვს ხის ჩარჩო და ქვის ზღურბლი. ჩარჩოში გამაგრებულია ხის კარი „საყუნწურებით", რომლებიც ჩასმულია ჩარჩოს ქვედა და ზედა ფოსოში კარს თავისუფლად

[2] შდრ. პირველშის ხატის დაფარებულ საჯარეს. თუმცა ეს უკანასკნელი შიგნიდან კედლით გადატიხრული არ ყოფილა, მაგრამ იგი ნორმალურად ორად იყო განაწილებული. ფართობის ერთი ნაწილი ხატონის საფეხმს შეადგენდა, მეორე ნაწილში კი ერისგანნი ჯარდებოდნენ ისე, რომ მათ არ შეეძლოთ აქ ხატიონთა საფეხმის საზღვარი „ელახათ".

ამოძრავებს. სალუდეს ჭერი არ მოეპოვება, — თავზე და თავზესა და გრძელი კედლების თავებზე გაწყობილი კავები (ნივნივები) შიგნიდან ღიად არის დარჩენილი. თავზე შუაბოძსა და უკანაბოძს ეყრდნობა. სალუდეს აქვს წინაბოძიც, რომელიც კარის მახლობლად სამხრეთ კედელთანაა აღმართული.

კარის მახლობლად, მისგან მარჯვნივ სამხრეთის კედელთან ყორით ნაგები ცეცხლის შესაგზები მოწყობილობაა. ამ მოწყობილობას ჩვენი მთიელები, კერძოდ ფშავლებიც სხვადასხვა ტერმინით მოიხსენიებენ, მათ შორის ტერმინით ქ ვ ა ბ ი ს ს ა ბ უ დ ა რ ი. აქ ქვაბის ქვეშ ივარაუდება საცეცხლურში ჩადგმული სალუდე ქვაბი. უკანასკნელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ფართოდ გავრცელებული მასალისა და ფორმისაა — სპილენძის ფურცლებისაგან სპილენძისავე ლურსმნებით შეკერილი, ოვალური ფორმისა, სალუდე ქვაბს აქვს წვეტიანი ბოლო, ე. წ. მთვარე და ორი ლამაზი ფორმის სახელური, რომლებზედაც წამოცმულია მასიური ჯაჭვის კავები. ამ კავებით ქვაბი ჩამოკიდებულია კედელსა და ბოძს შორის გადებულ ძელზე. თავხევისბერი ბიჭურ ბადრიშვილი გვარწმუნებდა: „ამ სალუდე ქვაბს დაწერილი აქვს — მე შავსწირე ქალმან მანიამა მეფე ერეკლეს დროსაო“. სალუდე ქვაბში მოთავსებულია ხისტარიანი და რკინის ბრტყელპირა სარეველი (სიგრძე პირიანად — 1,70 სმ; პირის ზომა 14 სმ, განი პირისა — 9 სმ, ვიწრო ნაწილი — 3 სმ).

როცა სალუდეში შემსვლელი ამ შენობის ზღურბლს გადააბიჯებს და იქვე ოდნავ მხარს იქცევს მარცხნივ, — უმალ დაინახავს აღმოსავლეთის კედელთან მოწყობილ კერას და კერის ზემოთ ერთ-ერთ ნივნივზე ჩამოკიდებულ კავიან ჯაჭვს. ამ კავზე სახატო დღეობებში ქვაბი ეკიდა და შიგ მეთემეთაგან მსხვერპლად მოტანილი შინაური პირუტყვის ხორცი იხარშებოდა. ამასთან ერთად კაცს თვალში ეცემა კერასთან მოთავსებული ხატიონთ საჯდომები — ხის მორი და ქვის სკამები. ხევისბერს ცალკე დასაჯდომი ადგილი სალუდეში არ ჰქონდაო, განგვიმარტა ბიჭურმა და აღნიშნული სკამებიდან ერთ-ერთზე მიუთითა — აი ჩემი სკამი ეს არისო.

დასახელებული პირი თუ უფრო მეტად მხარს იქცევს მარცხნივ, ადვილად შეამჩნევს, რომ იმავე აღმოსავლეთის კედელში ორი ფიქალის თაროა, რომელთაგან ერთ სათასე თაროზე ამჟამად (1964 წ.) დგას თუნუქის სასმისი და ბოთლი, იქვე ცვილის ნამწვრებიც აწყვია, ხოლო მეორე სასანთლე თაროზე მოთავსებულია ღვთისმშობლის ხატი, თუნუქის პატარა სასმისი, პატარა თუნუქის ჯამი და ზანზალაკები (სამი ცალი). იქვე კედელში გარჭობილია შამფური, რომელზეც ქართული ხელობის პატარა ზარი ჰკიდია. ამ ზარის ყურზე წამოცმულია ზარაკი. მახლობლად თუნუქის ძველი, დაზიანებული საყვირია მოთავსებული. კვლავ აღმოსავლეთის კედელთან დაყუდებულია ძველი სალუდე ქვაბი, ხოლო უკანა ბოძთან არის მესამე სალუდე ქვაბი ცილინდრული ფორმისა წყვილი სახელურით. ამ უკანასკნელის შესახებ ბიჭურ ბადრიაშვილი შემდეგ ახსნა-განმარტებას გვაწვდის: „ეს სანახარშე ქვაბია. ლუდს ამაში ვადუღებდით ბოლოხანს; სპილენძისაა და წინათ ხორცი ამაში უხარშიათ. ქისტეთიდან არის მოტანილი. ძალით წართმეულია. რაკი ისენი გვეცემოდნენ ხოლმე“. ამ სალუდე ქვაბში, ჩვენი იქ ყოფნის დროს ინახებოდა ორი ძველი კოში სპილენძისა და ორი ხელქვაბი. ერთ-ერთ ხელქვაბში ეწყო საკადრისები და ქვაბს ზემოდან ფიქალის ფილა ეხურა. უკანა ბოძზე მიკრული იყო ირმის რქის ჩხა, რომლის ტოტებზე ეკიდა თიხის სურა, ორი ხელადა, სპილენძის დაღესტნური ხელობის

მაღალფეხიანი სურა, საკადრისები, სპილენძის საწვნე, ვერცხლის ძეწკვი, ზარის ენა, ზანზალაკების შეკვრა და მარლის ფუთა.

ფუთაში აღმოჩნდა სამი ვერცხლის სასმისი, ერთი მათგანი შემკული გოთური სტილის სახეებით და წარწერით: „მინა ვარდანაშვილი“, ორ დანარჩენს მცენარეული ორნამენტი ამკობდა. გარდა ამისა ფუთაში ვნახეთ შეწირული პატრუქები და პატრუქებდახვეული ცვილის ნაჭრები. კერისა და საღვთისმსახურო წესების შესასრულებელი. სათასე და სასანთლე თაროების საპირისპირო მხარეს, ე. ი. დასავლეთის კედლის გასწვრივ აგებულია ფიქალი ქვის მოგრძო ბაქანი, ამ ბაქანზე შედგმულია მთლიანად ხისგან გათლილი დიდი ისარნა, იქვე ოთფეხიანი და უფეხო რკინის ტაბლები (2 ცალი), ჭიქები, ქაფქირი, ორფეხიანი სპილენძისა და ერთი ხის ჯამი. „აქ ისარნის ზემოთ — ამბობს ბიჭურ ბადრიშვილი — ტომრები უნდა ჩამოკიდებულიყო. ტომრებიც გვქონდა, საპირეებიც — პირის მოსაკრავი წნელები, კოდებიც გვქონდა“.

ისარნას ბოლოში ჩრდილო-დასავლეთის კუთხესთან დგას ხის ყუთი, რომელშიც აწყვია ხელქვაბი (2 ცალი), საკადრისები (5 ცალი) და ცვილის ნაჭრები. მიწის პირად მდებარე ფიქალზე ბოთლები და თიხის ორი ქილა აწყვია. ჩრდილოეთის კედელში ამოსაღები ჩანგალი და შამფურია გარჭობილი, აქვეა ჯიხვის რქის ჩხა[3]. მეორე შამფურზე ჩამოკიდებულია ლითონის ორი ჭურჭელი. ჩრდილოეთის კედელთან მიწაში ჩაფლულია წყვილი ქვევრი, რომლებსაც პირზე ფიქალი ქვის ფილები ადევთ. უწინ ქვევრები ივსებოდა კულუხის ღვინით. ბიჭური გვიხსნის: „ახმეტიდან რო ღვინო მოქონდათ, ალბათ, აქ ინახავდნენ. არყებსაც აქ ინახავდნენ. შემოდგომის გიორგობას მოგვქონდა ღვინო ახმეტიდან და ინახებოდა ახალწლისათვის. ორი პაპა არ იყო დაბადებული, ეს ქვევრები რომ მიწაში იყო ჩაფლული. გიორგობას ღვინით დაავსებდნენ და ინახებოდა ახალწლისათვის. ჯევისბერი აქედან დაილოცებოდა. თასები დაეწყობოდა და სეფისკვერი დაიდებოდა. როცა სანთელს ავანთებთ, ზარი დაირეკება. ჟამისწირვა ჩვენ არ ვიცით. ღამისთევა და კოდის გახსნა ვიცით. კოდი არ გაიხსნება თუ დრო არ არის“.

უკანასკნელად 1964 წელს იახსრის ხატში მუშაობისას, სალუდეში საცეცხლურის თავზე ეწყო ღვინის ბოთლები, ორი ნაჭერი ქვამარილი და ქაზდარზე შეშები ელაგა. „ეს ყველაფერი რაც ხატშია — კვლავ აღნიშნავს ბიჭური, — თას-განძი, სანთელი და სხვა, ეს ყველაფერი ხალხის შეწირულია“.

სალუდის კარზე ფიქალი ქვის მშრალი წყობაა, დაბალი და მოგრძო, ბაქნის მსგავსი. ეს არის საკურთხეველი, ფშაურად ქადა-პურის საჭრელი ანუ სასუფეველი.

აღწერილი შენობების ჩრდილოეთით მდებარეობს საზარე კოშკი (ტაბ. 36ა, ბ). საზარე ქვითა და ლამით ნაგები და გარედან კირით შელესილი შენობაა. იგი შედგება კვარცხლბეკის, მის კუთხეებში აღმართული სწორკუთხოვანი სვეტებისა და სახურავისაგან. სვეტის თავები ერთმანეთთან დაკავშირებულია ფიქალი ქვის ფილებით და ასე მიღებულ კვადრატულ ჩარჩოს ემყარება იარუსიან-სანაწვეთებიანი ოთხფერდა სახურავი, წვერზე დამშვენებული ბროლის ქვის სათაურა-

[3] აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ყველა ჯვარ-ხატის შენობებს, რომლებიც ფლეთილი ფიქალი ქვისაგან მშრალადაა ნაგები და გარედან შელესილი არ არის, კედლების წყობა ეტეხერი აქვს.

თი. სახურავს შიგნიდან გვირგვინის მოყვანილობა აქვს, საზარეში ორი მოპირდაპირე სვეტის თავზე ძელია გადებული, ძელზე ორი დიდი რუსული ზარი ჯაჭვებითაა დამაგრებული. ზარის ენაზე გამობმულია თეთრი საკადრისები, იქვე სვეტის თავებთან ნადირის რქები აწყვია. ეს საზარე თავხევისბერ ბიჭურ ბადრიშვილს თავისი ხელით აუშენებია.

საზარე უკანასკნელი ძეგლია, რომელთანაც ამჟამად ხატიონს მიესვლება. აქედან ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით ავისგორის მიდამო მიჩნეულია წმიდათაწმიდა ადგილად, სადაც სახატო დღეობებშიც კი კაცს შესვლა ეკრძალება. ხევისბერი ბადრიშვილი, რომელიც ჩვენი იახსრის ხატში მუშაობის დროს თან გვახლდა და გულწრფელ დახმარებას გვიწევდა, აღნიშნულ საზარის ზემოთ აღარ ამოვვყვა. ამის მიზეზი მან მოკლედ განმარტა — ამის იქით არავის შეესვლებაო.

საზარის გვერდით იფნის ხეზე ისევ საკადრისებია ჩამოკიდებული. იქვე იფნებში ძველი საზარე კოშკია (ტაბ. 37 ა, 1, ტაბ. 37 ბ, 1) ფიქალი ქვით მშრალად ნაგები, ოთხ სვეტზე შეყენებული, ორფერდა ექვსიარუსიან-სანაწვთებიანი სახურავით, რომელსაც წვერზე მთის ბროლის სათაურა ადევს. საზარეს ამჟამად ზარი არ გააჩნია.

ძველი საზარის გვერდით საკულუხეა (ტაბ 37 ბ, 2) კვადრატული მოხაზულობის გეგმის შენობა, ფიქალი ქვისაგან მშრალად ნაგები, ძალზე დაზიანებული და სახურავჩაქცეული. აღმოსავლეთის კედელში სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხესთან გაჭრილია კარის ღიობი. გარედან საკულუხეს კარის მახლობლად სიპებისაგან მოწყობილი მერხია. კულუხი ახმეტიდან მოჰქონდათ და ღვინით სავსე ტიკებს აქ, საკულუხეში აბინავებდნენ.

საკულუხეს მახლობლად, მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით დგას საბერო ანუ დარბაზი, ჩვეულებისამებრ ფიქალი ქვისაგან მშრალად ნაგები. შენობის სახურავი ჩაქცეულია, მაგრამ როგორც ვიწრო კედლების მოყვანილობა გვიჩვენებს, მას ორქანობიანი სახურავი უნდა ჰქონოდა

საბერო (ტაბ. 37 ა, 3,37ბ, 3) არის გრძელი ტიპის შენობა, ორიენტირებული სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. ამ ტიპის შენობებს გარედან შესასვლელი კარი უკეთდებოდა, როგორც წესი, კედლის შუა ნაწილში. იახსრის კარი კი მოთავსებულია სამხრეთ-დასავლეთის კუთხის მახლობლად და არა სამხრეთის კედლის ცენტრალურ ხაზზე. ამას გარდა, დასავლეთის კედელი საბეროს იმდენად მრუდე აქვს, რომ მისი სამხრეთის კედელი შესამჩნევად უფრო გრძელია, ვიდრე ჩრდილოეთის კედელი.

ამ თავისებურებასთან ერთად მეტად საყურადღებოა საბეროს შიდამოწყობილობა. მის გრძელ კედელში დატანებულია თახჩები ანუ შუკუმები, — ერთი დიდი სათასე შუკუმა დასავლეთის კედელში და ორი ასევე დიდი სასანთლე შუკუმა, ამათგან ერთი ორსართულიანი, აღმოსავლეთის კედელში. საბეროში დასავლეთის კედლის გასწვრივ გარიგებულია ორიგინალურად მოწყობილი სკამები. — ესაა საჯდომის სიმაღლეზე კედლის წყობიდან გამოწეული ბრტყელი ფიქალი ქვის ფილები (კონსოლები), სულ შვიდი ცალი.

ფშაურ ხალხურ დღეობათა კალენდარში, რომელიც 1947 წელს ალექსი ოჩიაურმა აღწერა ჩემ მიერ შედგენილი პროგრამის მიხედვით და ჩემი უშუალო კონსულტაციით, იახსრის ხატის დარბაზთან ანუ საბეროსთან დაკავშირებით შემდეგს ვკითხულობთ: „საბეროში იყო შვიდი ქვის სკამი. ეს სკამები ეკუ-

თვნოდა ძველ ჰევისბრებს, ვინც იყვნენ ხატის უფრო რწმუნებულები, ხატთან ღაალლებულები და რომლებიც ითვლებოდნენ უფრო წმინდა ჰევისბრებად. ამ სკამების პატრონები პირველად ახსოვდა ხალხს, რომელი სკამი რომელ ჰევისბერს ეკუთვნოდა ის იცოდნენ. მერე თანდათან დაავიწყდათ; ხოლო იციან, რომ ეს შვიდი სკამი არის წმიდა ჰევისბრების კუთვნილი. იციან გადმოცემით ისიც — ვინი წინაპრები იყვნენ ეს ჰევისბრები. სწორედ ასეთი ჰევისბრების წინამძღვრებს მკითხველები ხშირ შემთხვევაში ავალებდნენ თავისი წინაპარი ჰევისბერის სკამის ნათვლას და საკლავის ხორცით ამავე ჰევისბერისათვის სუფრის დადგმას ამ ხატში, იაკსარში. იმასაც მკითხავივე აღნიშნავდა, რომელ დღეობაში შავსრულებია ეს სამსახური. მერე ამ დღეობაში, რომელშიც ფშაველს მკითხავმა დაავალა, ის მიიყვანდა საკლავს და ქადას, პურს, მარილს, სანთელს და ღობსაც თავისას მოიტანდა. საკლავს ჩვეულებრივად ჰევისბერი დაკლავდა იაკსარისათვის და ამდროს დიდებაში ჩაურთავდა: „მოუყვანია, ლაღო იაკსარო. სამსახური შენდა სადიდებლად და შენის რწმუნებულის (სახელი იმ ძველი ჰევისბერისა, რომლის სკამის სანათლავადაც არის საკლავი მოყვანილი) სკამის სანათლავად და იმის სულის გასანათლებლად. ღირსეულად შეიწირე, ლაღო იაკსარო, ეს შემოზღვნობილი ზღვენი, შენ იდიდე და იძლიერე და იმ სულწმიდას კი განათლება მიეცი და ზღვნის შემომწირველს კი მიეც შენი წყალობა, დაეკმარე, შენი სახელის ჭირიმე, ველთაც და შინაცა, ცხვარშიც და საწყენსოშიც“. დანარჩენი დიდება ჩვეულებრივი იყო, საკლავს ჩვეულებრივ ყელს გამოსჭრიდნენ და მეზღვნეს დაამწყალობნებდნენ. საკლავის დაკვლის დროს აქ იდგა პატარა სპილენძის თასი, რაშიც გროვდებოდა საკლავის სისხლი. საკლავის სისხლს ზემოხსენებულ შვიდს სკამს ე. ი. ჰევისბერების ყველა სკამებს ასხურებდნენ“ (M[1] 83, რვ. 8, გვ. 94—95).

საბეროს სამხრეთის კედელთან დგას პატარა სასანთლე კოშკი (ტაბ. 37 ა, 4, ტაბ. 37 ბ, 4) — ფიქალი ქვისგან მშრალად ნაგები, მთავარი ფასადით დასავლეთის მხარეს, სადაც მას სართულებად განლაგებული სამი თახჩა აქვს. სასანთლის თავი მოწყობილია ხუთიარუსიან-სანაწვთებიანი ორფერდა სახურავის სახით. სახურავს ზემოდან მთის ბროლის სამი დიდი ქვა აძევს.

სასანთლე კოშკის დასავლეთით მოთავსებულია ლაშარის კოშკი (ტაბ. 38 ა, მარცხნივ) — ფიქალი ქვისაგან მშრალად ნაგები კვრივი, რომელსაც სანთლების დასანთები შუკუმი დატანებული აქვს ჩრდილოეთის მხარეს. ლაშარის კოშკის თავი ხუთიარუსიან-სანაწვთებიანია.

ლაშარის კოშკის გვერდით, აღმოსავლეთის მხარეზე მ თ ა ვ ა რ ა ნ გ ე ლ ო ზ ი ს კ ო შ კ ი მდებარეობს. (ტაბ. 38 ა, მარჯვნივ). ეს კოშკიც კვრივია, ფიქალი ქვებისაგან მშრალად ნაგები, ჩრდილოეთის მხარეს აქვს სასანთლე თახჩა და ხუთიარუსიან-სანაწვთებიანი თავი. მთავარანგელოზის კოშკი ნაწილობრივ დარღვეულია.

საბეროს ანუ დარბაზსა და ლაშარის კოშკს შუა მიწაში ორი სამანია ჩაგდებული. გადმოცემით ისინი არხოტიდან გადმოსული და იახსრის ხატში გაფიცული ხევსურების სამნებია. ბიჭურ ბადრიშვილის ცნობის თანახმად, სხვა სამნებიც ყოფილა ავისგორზე, ხატის ტერიტორიის ჩრდილოეთის საზღვართან. იქ, მაღლა — დასძინა თავხევისბერმა — ბევრი ნახოლარები და ძველი აკლდამებიაო.

მართლაც, აღწერილი ძეგლების ჩრდილოეთით დავადასტურეთ მრავალი

ნანგრევი, მათ შორის ძველი საზარის, სასანთლის, სადროშისა და სხვა კოშკებისა, აგრეთვე რამდენიმე კვრივი შენობა, რომელთაგან ერთ-ერთს, მთაზე გაშენებულს, ყორის გალავანი არტყია. ეს კვრივი ხატისხევას დასცქერის. ბიჭურის ცნობით, მას ციხე ეწოდება. იქვე კლდის ფერდობზე აკლდამების ნაშთები მოჩანს.

იახსრის ხატს წინათ ყორის გალავანი ჰქონია. აღნიშნულ ადგილებში, ფშაური გადმოცემით, უწინ გამხვეურთ დევის 9 ვაჟიშვილის სასახლე მდგარა და იგი იახსარს დაუნგრევია.

„ჯერ კიდევ ჩემს ბავშვობაში — გვიყვება ბიჭურ ბადრიაშვილი — უფროსებისაგან გამიგონია, რომ იახსრის ხატი ჯერ დაარსებულია სადაც გ ა ღ მ ი თ ა ხ ა ტ ი ა. მერე იქედან გადმოსულა ავისგორს, სადაც გამხვეურა დევის შვილებს შეებრძოლა და სასახლე დაუშალა. აქ აშენდა საზარე, საბერო, სალუდე და სხვა". ხატის ამ ადგილს — განაგრძობს ბიჭური — „ავისგორი იმიტომ ჰქვიან, რომ დეევები ავები ყოფილან, შამფურებს ესროდნენ ხალხს და ხოცავდნენ. იაკსარი და დეევები მანდ შეყრილან. დეევებს უთქვამთ იაკსრისათვის უნდა შეგვამითო. იაკსარმა უთხრა — აბა ვნახოთო. მაშინ დეევებმა უთხრეს — ამ ქვას თუ აიღებო. იაკსარს უთქვამს — ჯერ ცხრა ძმათ ასწიეთ და მერე მე მაცადეთო. დაუწვნენ დეევები და ვერ აუღიათ. — აბა შენ ასწიეო. გაუყრია იაკსარს ერთი ხელი და დაუდვია მაღლა. მერე კოპალაც დაშველებია. კოპალა და იაკსარი ძმებია".

ნინახზე, მდინარე ხატისხევას მახლობლად, იახსრის ხოდაბუნების დასავლეთის საზღვართან, ხატის საეეურნეო ნაგებობები მდგარა: ხატის კურატების საზამთრო სადგომი — სახარბაკე, იქვე, მის გვერდით ხართსალოცავი ანუ მოხარნადე ანგელოზის კოშკი თუ საბრძანისი ანდა საძხვეწრო და ციხე, რომლებთანაც „წმინდა" ხეები ხარობდა და იქვე მახლობლად ხატის კალო იყო გამართული.

ამ ნაგებობათაგან აღმოსავლეთით, ერთიმეორის მიყოლებით გაშენებული ყოფილა სალუდე, საბერო, ყორის გალავანი და ღვთისმშობლის ხატი.

ჩამოთვლილ ნაგებობათაგან ამჟამად უმნიშვნელო ნაშალი და ნაციხარიღა მოიპოვება; იქვეა დატოვებული დაპტვრეული და ჩაჟანგებული სალუდე ქვაბი, წვრილი ჭურჭლისა და დგამეულის ნამსხვრევები და მისთ.

ნინახის საეხრეთის საზღვართან დეევების სამჭედლოა. ადგილზე დათვალიერებისას ჩვენ ვნახეთ ერთმანეთზე მიყრილი სამიოდ დიდი ლოდის ნაჭერი. აქ იახსრის ხატის მსახურმა იოსებ ელიზბარაშვილმა 1966 წლის გაზაფხულზე რკინის წიდები, სამჭედლოს იარაღები და დამწვარი ხორბლის ნაშთები იპოვა.

იოსებ ელიზბარაშვილისა და ბიჭურ ბადრიაშვილის ცნობით, ნინახში ერთი სამანია მიწაში ჩაყუდებული.

დაბოლოს, ნინახის უკიდურეს დასავლეთით ხატის ტყე და ხოდაბუნებია. ხატის ტყის მახლობლად „იახსრის საყუჩი" — საყარაულოა. ასე ეძახიან ფშავლები იმ ადგილს, სადაც დღესაც დგას ქორბუდიანი მუხა — ერთ ძირზე ამოსული ოთხი მუხის ხე.

„ამ მუხათანით — მოგვითხრობს ალექსი ოჩიაური ფშაურ გადმოცემას — ყარაულობდა იაკსარი ერთ დიდსა და მდიდარ დევს გამხვეურას. გამხვეურა ამ დევს იმიტომ ექვივნა, რომ ის გახვეებული (გამრავლებული, გამდიდრებული) იყო ცოლ-შვილითაც და ცხოვრებითაც. ეს დეევი ცხოვრობდა იაკსრის

საცხოვრებლიდან დასავლეთის მხარეს. იმ ადგილას შემდეგ დაერქვა გამხვეურთკარი დევის სახელწოდებიდან".

„გადმოცემაა, — აღნიშნავს იქვე, ა. ოჩიაური — რომ დევებთან ბრძოლა ჰქონიათ იაკსარსა და კოპალას ნინახში. იაკსარი და კოპალა გმირებად ითვლებოდნენ. იაკსარს ლახტი უსროლია და გამხვეურთკარს მოხვედრია... და დევები დაუხოცნია. იაკსარს ნინახში ჰყოლია მოძმე ანგელოზი. იაკსარს მის პატივსაცემად ნინახის მედარბაზე ანგელოზი დაარქვეს. იქ დევების ნასოფლარი ყოფილა, ეხლა ნახოლარია" (M[1], 83, რვ. 6, გვ. 61—62).

სოფელ შუაფხოში, მის ჩრდილო-დასავლეთის განაპირა ნაწილში იახსრის ხატის თავხევისბრის დიდი სახლი და ხატის მარანია (ტაბ. 38 ბ). როგორც ყველა სხვა დიდი სახლი, იახსრის თავხევისბრის დიდი სახლიც ორსართულიანი ნაგებობა იყო, ბანიანი სახურავით, სანაპიროზე სიპებით გაწყობილი, ქვემო სართულში გომი იყო გამართული. გომში საქონელი ეყენათ, გარდა მოსაგები ძროხისა, — სხვას აქ არ გააჩერებდნენ. ზემო სართულში, რომელსაც საკუთრივ სახლი ეწოდებოდა, იახსრის ხატის თავხევისბერი ცხოვრობდა.

თავხევისბრის სახლს მთავარი ფასადი სამხრეთის მხარეს ჰქონდა. აქ კედელში გაჭრილი იყო გომის კარის ღიობი ზემო ნაწილში ოვალური მოყვანილობისა. ფიცრის კარის ქუდით და ფიცრისავე კარით, რომელიც საკედურით იკეტებოდა. ხოლო ზემო, საცხოვრებელ სახლში ფასადის მხარეს წყვილი „საკომე" იყო დატანებული. იქვე ზემო სახლის უკანა ნაწილში მოთავსებული ყოფილა ქვევრები, რომლებსაც თავხევისბერი თავისი ოჯახის საჭიროებისათვის იყენებდა.

უკანასკნელად შუაფხოს ამ დიდ სახლში ბიჭურ ბადრიშვილი ცხოვრობდა. მისი ცნობით, ეს სახლი ხევისბერ შალვა შიოლაშვილს აუშენებია, მის დამთავრებას შვიდი წელიწადი მოუნდაო. შიოლაშვილი გვარად ქისტაური იყო, ამჟამად მისი შთამომავლები საქისტაუროში შემავალი ქოჩანი ყოფილან.

თავხევისბრის დიდ სახლს დასავლეთიდან ორსართულიანი ნაგებობა აკრავს, სამხრეთის მხარეს, მთავარი ფასადის კედელში დატანებული კარით. ეს ნაგებობა მთელ შენობას საბძლიანი სახლის სახეს ანიჭებს. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ნაგებობის ზედა სართული იყოფოდა ტიხრით ორ ნაწილად, რომელთაგან წინა ნაწილში მოთავსებული ყოფილა ხატის საფუტკრე ხოკრებით. საფუტკრეს სამხრეთის მხარე სავსებით ღია ჰქონია. მეორე ნაწილის აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლებში დატანებული იყო კარები. აღმოსავლეთის კარით ნაგებობის ამ ნაწილს უკავშირდებოდა სახლი. საკუთრივ მარანი სწორედ ამ ნაწილს ერქვა. აქ იდგა ხატის ამბარი ანუ აკო (ტაბ. 38ა), დიდი ორთვლიანი ხის ჭურჭელი, რომელიც ბოლო ხანებში ხატის ბეღლის ფუნქციას ასრულებდა, ვინაიდან იახსრის ხატში ბეღელი დაშლილი იყო. აკოში ინახებოდა „წმიდა" ანუ ხატის პური, — ხატის ხოდაბუნებიდან მოწეული ხორბალი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იახსრის ხატის ხოდაბუნებში მოწყობილი იყო სახარბაკე და ხატის კალო. ყანების მომკის შემდეგ კალოზე მოტანილ ძნებს დასტური გალეწავდა. ხორბალს აკოში ჩაყრიდნენ, ჩალის ნაწილი დასტურს რჩებოდა, ნაწილს კი ხატში შეინახავდნენ სალუდე კოდების დასაფარებლად და ზამთრის სახატო დღეობებში მისული დასტურ-ხევისბრების სალოგინედ.

იქვე, ზემოაღნიშნულ ხატის მარანში დაცული იყო ხატის უნჯი. უნჯს განეკუთვნებოდა, ხატის განძისაგან განსხვავებით, სასანთლე ცვილი, ქვაბები და

სხვ. მისთ. ხოლო რაც შეეხება განძს, ხატის თას-განძი მეთასგანძე ხევისბერს ებარა, რომელიც მას, როგორც წესი, ხატში, საგანგებო სამალავში ინახავდა. ბოლო ხანებში, თავხევისბერ ბიჭურ ბადრიაშვილის დროს, იახსრის ხატის განძს შეადგენდა 26 ვერცხლის თასი და ალვისტანი — ოქროთი დაფერილი ჯვარი. გადმოცემის მიხედვით, ეს ალვისტანი სამასი წლისა ყოფილა.

ჩვენ მიერ ძეგლების ფიქსაციის დროს თავხევისბრის სახლი და ხატის მარანი ძალზე დაზიანებული იყო, მათ სახურავი და სართულების გამყოფი ნაწილები ჩაქცეული ჰქონდა, ხოლო ამ ნაგებობებში დაცული საგნებიდან ჩვენამდე მოღწეულია მხოლოდ აკო, რომელიც ხატის მარნიდან მეზობელ სახლში გადაუტანიათ.

მას შემდეგ, რაც ჩვენ საქისტაუროს სათემო ხატის აღწერა დავამთავრეთ და ამ ხატის დაარსებასთან დაკავშირებით გადმოვეცით სიტყვიერი მასალა დევების წინააღმდეგ იახსრის ბრძოლის შესახებ, საიდანაც ჩანს, რომ ხატის ტერიტორია — ნინახი და ავისგორი, ამ ბრძოლის შედეგადაა მოპოვებული, აქვე მოვიტანთ გადმოცემებს, რომლებიც იახსრის ხატის პირველ ხევისბერსა და მომდევნო ხევისბრების ზოგიერთ საქმიანობას შეეხება, საყმოს საპირისპიროდ და საკუთრად მისი, მისი ხატისა და თეოკრატიულ ხელისუფლების სასარგებლოდ რომ იყო მიმართული. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ხევისბერ-ქადაგები და მკითხავები ძველი გადმოცემების საუკეთესო შემნახველები და გამავრცელებლები იყვნენ. ამა თუ იმ გადმოცემას ისინი ხალხს ხატის სახელით მოუთხრობდნენ და ამ გზით მათზე თავის იდეოლოგიურ ზემოქმედებას აძლიერებდნენ. ამ რიგისაა შემდეგი ფშაური გადმოცემები.

1. „იაკსარი მკითხავის პირით ხშირად იტყოდა: „მე ჩემი ყმანი გავამრავლენ და ზოგმა ხთიშვილმა თავისი ყმანი სულ ამოწყვიტნაო. პირველად დამბადებელმა, ყმანი რომ გაგვინაწილნა, ყველა ხთიშვილს ხუთ-ხუთი ყმა გვერგოო და ჩემს ყმებში მეხუთე ხუცი ხუცურაული იყოვო[4].

„ხუცი ხუცურაული პირველი ჭევისბერი ყოფილა[5] იაკსრის ყმებიდან. პირველად მას დაუწყია იაკსარში ჭევისბრობა და ხატის ქონებისათვის ხელმძღვანელობა. ამ ხუცურაულიდან და დანარჩენი ოთხი ყმიდან იაკსრის ყმანი მალე გამრავლებულან. იაკსრის ყმათაში წულიანობა ბევრი ყოფილა და სიკვდილიანობა ნაკლები. ამიტომ სხვა ხატების ყმებზე ორჯელ და სამჯერაც მალე მეტნი გახდნენ. დაიწყეს ლოცვა და ჩამოაყალიბეს ყველა წესები, რაც იაკსარმა მკითხავის პირით უბრძანა. შესწირეს თას-განძეული, ქვაბები, ააშენეს დროშა და ყველაფერი მოწყობილობა, რაც კი საჭირო იქნებოდა ლუდის დუღების მოწყობილობიდან ვერცხლის თასებამდინ. შესწირეს ცხვრები ცოცხლად, აგრეთვე სახარე ხბოები და კურეტები.

მეცხვარეობა, ე. ი. ცხვრის მოვლა იაკსარმა ხუცურაულებს ჩააბარა. ცხვარი იმათ ხელში ისე გამრავლდა, რომ ერთ-ერთი მეცხვარის, გვარად მტყუანაიშვილისობას — საბატკნე ცხვარი ათასი სული იყო. ამ თავისი საკუთარი

---

[4] გადმოცემის ჩამწერი ალ. ოჩიაური განმარტავს: ხუცურაულები პირველად ცხოვრობდნენ ერთს ვიწრო ჭეობაში, ვანჭეში და აქედან გადასახლდნენ სხვადასხვა სოფლებში. უფრო ბევრნი ცხოვრობენ ჭორჭში და იქიდანაც ემსახურებოდნენ თავის ბატონს იაკსარს.

[5] შდრ. Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тбилиси, 1959, стр. 405—406 („ხუციანდაბილ-ძე").

ცხვრიდან დღეობებში იხოცებოდა საკლავები განსაზღვრული რაოდენობით: ზოგ დღეობაში მეტი, ზოგში ნაკლები; ზოგ დღეობაში არჩეული საკლავები, ზოგში უფრო მდარე. ეს საკლავების რაოდენობისა და მათი დაკვლის წესი იაკარის ბრძანებით დააწესეს. იაკსარი ხევისბერის პირით იტყოდა — ამა და ამ დღეობაში ამდენი საკლავი უნდა დაიკლას ჩემი ფარიდანო, ან არჩეული ჭედილა. ან ბატკანი და სხვ. ამას იხსომებდნენ და იდებოდა შემდეგი წლებისთვისაც წესად.

მატყლი, საკლავი, ყველი და სხვა რაიმე ბანდი ცხვრის შემოსავლისა იქცეოდა ფულად, ხმარდებოდა ისევ ცხვრის მწემსებისათვის ხელფასად, შირაქში ბინების ასაშენებლად, საზამთრო და საზაფხულო საძოვრების გადასახადად, მატყლისათვის ბარდანების მოსაქსოვად, ცხვრის მწველავების და მპარსავების დასაქირავებლად, ყველის ამოღების მოწყობილობაზე და ყველის გამკეთებლების ხელფასზე, დუქარდებზე ცხვრების გასაპარსად და მრავალ ასეთ ხარჯებზე. რაც ამ ხარჯებს გადარჩებოდა ახლა ცოტ-ცოტას სხვადასხვა საქმეებისათვის მოიკმარებდნენ და დანარჩენით მრავლდებოდა ცხვარი.

ბოლო ხანებში ცხვარმა თანდათან იზარალა და დაიწია რიცხობრივად. უკანასკნელად იყო პაპა ხუცურაულის ხელში. იმის ხელიდან გადავიდა სხვებზე, არა ხუცურაულებზე და, ბოლოს, ვერავინ გაიგო როგორ და სად გაქრა ამდენი ცხვარი. გამრავლებული იყო უფრო ნათავარი დოლისთავის შენაწირით" (M[1], 83, რვ. 7, გვ. 81—82).

2. „ხალხის რწმენითა და გადმოცემებით, კოპალა და იაკსარი ერთიმეორის მეგობარი ხატები იყვნენ. კოპალა პატრონობდა მთელ უძილაურთის მიწებს და იაკსარი შუაფხოსას ისე, რომ სხვა თემის ხალხს არ აძლევდა თავის ყმების ადგილში შემოქრის უფლებას.

ორივე ხატს თავ-თავისი სოფლის ტერიტორიიდან კი უფრო, მისაკუთრებული ჰქონდა საუკეთესო ადგილის მამულები და სანადოებად ჰქონდა გადაქცეული"[6].

უძილაურთის ადგილი იყოფოდა ორ ნაწილად: „უძილაურთა მაღლა მთის ძირში და მუხრიანი, მუხის ტყით დაფარული ადგილი, დაბლა. სახნავი მიწები მუხრიანშიც არის და ზემო-უძილაურთაშიც. სათიბი მთა კი (უძილაურთას) სულ მაღლა მთაზე აქვს, ირენთ-კალოს უფრო ზევით. დაბლა მუხრიანში ზოგს მუდმივ საცხოვრებელი სახლი ჰქონდა, ზოგს კი მაღლა, უძილაურთას და მუხრიანში, ორივე ადგილას ჰქონდა სახლები. ზამთრობით, შემოდგომით და გაზაფხულზე ყველანი მუხრიანში ჩამოდიოდნენ, რადგან აქ მზიანი ადგილიც არის და ტყეც იყო ძროხებისათვის მოსაკაფავად.

მაგრამ კოპალას უჩუქებია თავისი ადგილის ბოლო მხარე იაკსრისათვის და იაკსარმა ააყრევინა სახლები და მცხოვრებლებიც ახყარა აქედან. კოპალას უთქვამს იაკსრისათვის — ჩემთ ყმათ ადგილს კალთათ[7] შამოვჭარი და შენ გაჩუქებო. წამოსულა ქადაგი დროშით და გაუმიჯნავს კოპალას მოცემული მამული იაკსარისათვის. მიჯნა დაწყებული იყო შუაფხოს და უძილაურთის

[6] ალ. ოჩიაური განმარტავს: „უძილაურთა და შუაფხო ერთიმეორის მოპირდაპირე მხარეებზე მოსახლეობენ. უძილაურთა უფროო ჩრდილო-დასავლეთ მხარეს და შუაფხო სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს. უძილაურთა უფრო მზისპირს ადგილია და შუაფსო ჩრდილო ადგილი მასთან შედარებით".

[7] „კალთან-", „კალთა" იმიტომ არის ნათქვამი, რომ ადგილის ბოლო მხარე იყო,— ალ. ოჩიაური.

საზღვრიდან, გულიკათ გორიდან; გაივლიდა მიჯნა და გავიდოდა ერთ-ერთ ნასახლართან უძილაურთის ძირს. ამ ნასახლარს ეძახიან იორამთ ნადგომს. მერე იაკსარმა ესენიც მოიშორა აქედან. ამ ნადგომში იყო ერთი მიჯნა (ალბათ ქვა იქნებოდა); აქედან გაივლის უძილაურთის ბოლოს და გავა ორწყალთ თავს. აქ ერთი დიდი ქვა იყო წითელი და ამას ეძახოდნენ წითელ კლდეს. ეს იყო სულ ბოლო მიჯნა; აქედან გორი წავა და ჩავა პირდაპირ ორწყალში.

ზოგები მაშინვე აუყრია უძილაურები იაკსარს და ზოგიერთები უფრო გვიან აიყარნენ ამ იაკსარისად ნაჩუქარი მიწიდან. მაგალითად, მადურანი იყო დიდი ოჯახი და კარგი მაცხოვრებელი. ამათ ჰქონდათ უძილაურთის ძირს, ხსენებულ ნაკვეთში საუკეთესო მამული და სახლ-კარი. მაგრამ ისინი ამ საუკეთესო ადგილიდან აიყარნენ და უფრო ზევით აიტანეს სახლი, იქ, სადაც იაკსრისათვის არ იყო მიწა მიცემული. ეს საუკეთესო, უძილაურთის გულიადგილი დარჩა უპატრონოდ.

მადურანი აიყარნენ იმიტომ, რომ ავადმყოფები ჰყავდათ და მკითხავებსაც ეს უნდოდათ; მათი ავადმყოფობა დააბრალეს იაკსარსა და მადურაშვილებს ურჩიეს აქედან აყრა, — თუ არა, იაკსარი სულ ამოწყვეტას გიპირებთო. მადურათ ადგილი გაბუსნოვდა და არის უპატრონოდ.

მკითხავები ხალხს არწმუნებდნენ: იაკსარი ნაჩუქარ მამულში უძილაურებს არ დაუშვებს და შუაფხოვლები თუ ვინმე დადგება ამ ადგილებში, იაკსარი კიდევაც ხელს შეუწყობსო. მაგრამ აღარც შუაფხოვლები დამდგარან ამ ადგილებში. მხოლოდ ზოგიერთ ახლომახლო მამულებს კი ხნავენ და ძნა გამოაქვთ იქიდან.

ამ კალთათ სამაგიეროდ იაკსარს კოპალასათვის უჩუქებია მ ა შ ა რ ა — საკურეტე ადგილი.

მაშარა ტყეველიანი ადგილია და (კოპალას) კურეტები იქ ედგა. აქ მეკურეტე (კურეტების მწყემსი) იყო და ის უვლიდა კოპალას კურეტებს.

მანამ იაკსარი კოპალას აჩუქებდა. ეს ადგილი საკნავ-სათიბად ჰქონდათ შუაფხოვლებს და კაი მოსავალი მოუდიოდათ.

განვლო კარგა ხანმა, რაც კურეტები მაშარას დადგა. შუაფხოვლებს თანდათან გაუქრა კოპალას შიში, თანაც ეს ადგილი სჭირდებოდათ; ადგნენ და ძალით გარეკეს კურეტები მაშარიდან და მოხნეს მამულები. ასეთი გადმოცემა ჰქონდა(თ) შუაფხოვლებს: ვინც მონაწილე ყოფილა კურეტების გარეკისა, იმ ხალხმა არავინ არ იხეირა, თითქმის მათი ოჯახები სულ ამოწყვეტილანო.

აქაც ისეთივე წესი ჰქონიათ: შუაფხოველ ხალხს აკრძალული ჰქონია ამ საკურეტე ადგილით სარგებლობა და უძილაურებს არა. ბოლოს, კურეტებიც გათავებულა და ისევ შუაფხოვლები დაპატრონებიან მაშარას. ზოგიერთებს სახლები ჰქონია აქ და ძალიან კარგი მოსავალი და სათიბი ბალახი მოუდიოდა".

ალექსი ოჩიაური თავის მხრივ დასძენს: „აქვე არის ძველი ნასახლარები და პატარა ხატიც გაჩნდა, წელიწადში ერთხელ იციან ხატობა.

ნასახლარებში არის მიწაში დიდი ქვევრები, დღესაც. თქმულება ასეთი აქვთ: აქ ცხოვრობდა მდიდარი ხალხი. მათ უბისთავს ედგა საწველავი პირუტყვი. იქიდან მილები ჰქონია მოყვანილი და იქ მოწველილი რძე მილებით ამ ქვევრებში მოდიოდა და აქ დღეებავდნენ რძეს.

სინამდვილე კი არავინ იცის, რატომ იყო ეს უზარმაზარი ქვევრები აქ და

საიდან იყო ამ უგზო ადგილას მოტანილი. კაცი რომ ჩავიდეს ქვევრში, თავი არ გამოუჩნდება“ (M[1], 83, რვ. 44, გვ. 531—538).

3. იაკსარის ხატის „დანადები“ თავის საყმოს ყველა მამაზე მოდიოდა. ბადრიანების დანადების შესახებ ასეთი გადმოცემა არსებობს: „ქისტაურთ ხატს ყავდა დიდი კევისბერი გივი ფოცხვერაშვილი. ის ხატს ელაპარაკებოდა და იაკსარმა მისის პირით ბრძანა ავისგორს დაარსება მთავარი მისი საარსოსი და სამლოცველოსი. ამ გივი კევისბერმა (ნინახიდან) ხატის ქონება უფრო მეტი თავის ზურგით გადმოზიდა. როცა სალუდე ქობი დაიდო საბელზე და უნდა გადმოეტანა, წამოიწია და ვერ მოერია, ვერ წამოიკიდა. ამ დროს აქ ვინმე ბადრიშვილი იყო, სოფელ შუაფხოელიანი და იაკსარის ყმა. ამ ბადრიშვილმა წამოუწია ქობს და გივის წამოკიდა. ამაზე გახდა ავად, ჩავარდა ლოგინად და კინაღამ მოკვდა. ბოლოს იაკსარმა მკითხავის პირით შემოუთვალა: „შენ რად მიეშველე ქობის წამოკიდებაში, შენ ვინა გკითხავდა, მე ჩემს ყმას ვცდიდი აიკიდებდა თუ ვერა. მე თვითონ ან ავაყენებდი ჩემს ყმას, ან არა, მე თვითონ ვიცოდიო“. ამაზე ბადრიაანებს დანადები აძე: წელიწადში ერთი საკლავი და ერთი კოდი ქერის ლუდი — შობა დღეს“ (M[1], 83, გვ. 7, გვ. 78—79).

გადმოცემის თანახმად დევებთან ბრძოლების შედეგად იახსარს მოპოვებული ჰქონდა არა მარტო ნინახი და ავისგორი, სადაც მისი სათემო ხატი გაშენდა. შუაფხოს წარმოშობის შესახებ შემდეგი გადმოცემაა მოღწეული.

როცა ავისგორს გამრავლებულ დევებთან ბრძოლაში იახსარს კოპალა მიეშველა და აქ ის დევებსა ხოცავდა, იახსარი გაქცეულ დევებს დაედევნა, მათ „იორზე მიჰყვებოდა (და გზადაგზა), სადაც დევების ბინა იყო, ყველგან შეებრძოლა და ამოწყვიტა. იხინჭას ყოფილა დევების დიდი ოჯახი. იაკსარს ისინი გაუწყვეტია და იმ ადგილს თვითონ დაპატრონებია. მას აქეთ გაშენდა იქ იაკსრის სალოცავი[8]. შემდეგ იაკსარი აბუდელაურის ტბიდან[9] ლიქოკში მოფრენილა და ლიქოკის კარატის წვერზე მოუკიდებია კოჭი. მას აქეთ იქ იაკსრის კოშკი და საზარე აუგიათ[10]. აქედან იაკსარი უბისთავს გაფრენილა და აქაც საზარე და კოშკი აშენებულა. აქედან შუაფხოში ჩამოსულა და პირველად შუაფხოს პირდაპირ მაღალ მთაზე, კარატეს თავზე დაარსებულა. იქ ის მოიხსენება „იაკსარ, წვერის ანგელოზის“ სახელით. იქ ხე არ ხარობს დიდი სიმაღლის გამო. დაბოლოს, დევების ამოწყვეტის შემდეგ, იაკსარი ავისგორსა და ნინახზე სამუდამოდ დაფუძნებულა“ (M[1], 83, რვ. 44, გვ. 535).

ბ) სალოცავი ხატები

1) მოხარნადე ანგელოზის ხატი (სოფ. თხილიანა)

თხილიანა სოფ. შუაფხოდან დასავლეთით, გაღმა, მდინარე არაგვის მარცხენა მხარეზე მდებარეობს. მანძილი შუაფხოსა და თხილიანას შორის დაახ-

---

[8] იხინჭის ხატის აღწერილობა იხ. ცალკე, ქვემოთ, ამავე ტომში.

[9] აბუდელაურის ტბა, რომელთანაც დაკავშირებულია ვადმოცემები ღვთისშვილებისა და დევებთან ბრძოლის შესახებ, მდებარეობს ბუდე-ხევსურეთის ჩრდილო-დასავლეთის მხარეს. წყალსაცავია ქვითრის თემში, როშკის მახლობლად.

[10] ლიქოკის კარატის წვერის სალოცავი ბუდე-ხევსურეთშია, ლიქოკის ხეობაში ფშავის საზღვართან. კარატის წვერზე ფშავლები და ხევსურები დღესასწაულობენ ერთად.

ლოებით ორი კილომეტრია. თხილიანა დიდი ხნის განმავლობაში სოფ. შუაფხოს ნაწილს შეადგენდა, სადაც მდებარეობდა სათემო ხატის მამულების ნაწილი. ამ სახატო მამულს თემი ხნავდა „ხარნადით". წესის მიხედვით ხარნადის მონაწილეებს სახნავად გასვლის წინ სათემო ხატში სანთელი უნდა აენთოთ და ელოცათ. მაგრამ ხშირად ამ დროს ადიდებულ არაგვზე ხიდი არ იყო და თხილიანადან შუაფხოში წასვლა ჭირდა. ამიტომ თხილიანაში, სახატო მამულის თავზე ბოწმაოელ ხევსურს სასანთლე კოშკი ააგებინეს მოხარნადე ანგელოზის სახელზე. ამიერიდან ხარნადთან დაკავშირებული სავალდებულო ხატისმსახურების წესს ამ კოშკთან ასრულებდნენ.

დროთა ვითარებაში მოხარნადე ანგელოზის სასანთლე კოშკი ხატად გადაიქცეს, დააწესეს სახატო დღეობა მარიამობა, რომელსაც წელიწადში ერთხელ იხდიდნენ საკლავით, ლუდით, არაყით და მისთ (M[1], 83, რვ. 43, გვ. 524—525).

2) იახსრის ხატი (სოფ. ვანხევი)

ვანხევლები საქისტაუროს წევრები იყვნენ, სათემო იახსრის ხატს ეყმობოდნენ და ამ ხატის მამულების ხარნადში მონაწილეობას იღებდნენ. მაგრამ ისინი სადასტუროში ვერ დგებოდნენ უგზოობის გამო .

შუაფხოდან ვანხევი დაშორებული იქნება ჭალის გზით ათი კილომეტრით. ხოლო მთაზე გადასასვლელი ბილიკით, ოთხი კილომეტრით. მიუხედავად ამისა, ზამთარში დიდი თოვლის გამო მთაზე გადასვლა შეუძლებელია და ჭალის გზაც (ძველადაც) ჩაკეტილი იყო ზვავების გამო. ამიტომ ვანხევლებმა თავისი სოფლის თავზე იახსრის სახელობის ნიში დააარსეს.

პირველად აქ მარტო სასანთლე კოშკი ყოფილა, შემდეგში ეს სალოცავი ხატად უქცევიათ, აუგიათ სალუდე და დარბაზი, დაუწესებიათ დღეობა და სახატო წესების შესრულება (M[1], 83, რვ. 43, გვ. 526).

3) კარატის და იახსარ-კარატის ნიშები (სოფ. არახიჯა)

ამ სოფლის მახლობლად მაღალი მთაა, რომელსაც უბისთავი ეწოდება. უბისთავზე ორი, ერთიმეორის საპირისპიროდ მდებარე მაღალი ბორცვია და მათ შორის მოთავსებულია ფართო ტაფობი. ორივე ბორცვზე აგებულია საზარე კოშკები, — აღმოსავლეთით სათემო ხატის იახსარ-კარატეს სახელობისა, ხოლო დასავლეთით არახიჯის სასოფლო კარატე. ამ უკანასკნელთან მიწაში ჩაფლული იყო ორი ქვევრი, რომელთაგან ერთში საზედაშე ღვინო იდგა, მეორეში წყალი იყო მომარაგებული იმის გამო, რომ აქ წყალი შორსაა და მოტანა ჭირს.

არახიჯლები საქისტაუროს თემს ეკუთვნოდნენ, ყველანი სათემო ხატს ეყმობოდნენ და საკუთარ სასოფლო ხატსაც სახატო სამსახურს უწევდნენ. ისინი აქ, სასოფლო ხატშიც იახსარს მოიხსენიებდნენ. დღეობა სერობას სათემო იახსრის ხატიდან (შუაფხოდან) სახატო დროშა მოჰქონდათ, რომელსაც ხატიონთა პროცესია მოყვებოდა (M[1], 83, რვ. 43, გვ. 526: რვ. 43, 44, გვ. 507—527).

4) ღვთისმშობლის ხატი (სოფ. ნეძიხი)

ნეძიხი ფშავის სულ ბოლო სოფელია, რომელიც ამჟამად ჟინვალის სასოფლო საბჭოში შედის. აქ ცხოვრობს სხვადასხვა გვარისა და თემის მოსახლეობა, რომელიც გადმოსულია უმთავრესად ფშავის არაგვის სათავეებიდან და ხევსურეთის სხვადასხვა სოფლებიდან. ესენი არიან: ყეინიანები, რომლებიც საქისტაურის თემს ეკუთვნიან, შუაფხოდან გადმოსახლებულან და დაფანტულად ცხოვრობენ ნეძიხსა, ხეობასა და სხვა სოფლებში; ჩოხელნი — ნეძიხში გადმოსულან ჟინვალის სასოფლო საბჭოშივე შემავალ სოფელ ხორხიდან; ნეძიხში მოსახლე ოთხი სხვა გვარი — ხორნაულნი, გულმაგარნი, ყორიაულნი და ცაბაურნი ძირად ხევსურებია. ხორნაულნი ცხოვრობდნენ სოფელ ხორნაულთაში (ხევსურეთი), იქიდან მათი დიდი ნაწილი გადასახლებულა კაწალხევში. ხოლო კაწალხევიდან ერთი ნაწილი ნეძიხში გადასულა. ხევსურეთში დარჩენილი ხორნაულნი უკვე ახალი გვარის სახელს ატარებენ — ზარიძეს. გულმაგარნი არაბულების საგვარეულოს ბასხაჯაურთ თემის წევრნი არიან და ამ თემის პირველის ჯვარს ეყმობიან. ისინი ბუდე-ხევსურეთის სოფელ ბაცალიგოში ცხოვრობდნენ და იქიდან გადასულან სოფ. ნეძიხში საცხოვრებლად. ყორიაულნი ნეძიხში გადმოსახლებამდე სს. ჭორმეშავსა და ბუჩუკურთაში ცხოვრობდნენ, სადაც მათ გვარში სახელგანთქმული მეომრები ჰყოლიათ. ცაბაურნი შატილის თემის სოფელ ხახაბოდან პირველად კაწალხევში გადასახლებულან, ხოლო აქედან ერთი ნაწილი ს. ნეძიხში ჩამოსულა.

ამავე სოფელში ცხოვრობდნენ ორტოლანი, რომელთა გადმოსახლების შესახებ ცნობები არ მოიპოვება, ვიცით მხოლოდ ის, რომ ამ გვარიდან დგებოდა ნეძიხის სასოფლო ხატის ხევისბერი.

სოფ. ნეძიხში გადმოსახლებული გვარები თავდაპირველად თავიანთ ძირითად სათემო ხატებში დადიოდნენ და იქ ამ ხატებს ყოველგვარ სამსახურს უბრალებდნენ, რაც მათ მოეთხოვებოდათ, როგორც ამ ხატების სათემო საყმოს წევრებს. შემდეგში კი ნეძიხელებს ადგილობრივ გაუჩენიათ სასოფლო ხატი.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ სოფელში ძველადვე ყოფილა პატარა ეკლესია, რომელიც ნაწილობრივ დანგრეულია. ამ ეკლესიას, სახატო ბეღლის მსგავსად, თაღისებური მოყვანილობის ჭერი ჰქონია. იქვე იყო სალუდე და დარბაზი. ამ ნაგებობებს ღვთისმშობლის ხატი ეწოდებოდა.

ამ ხატს თავისი სანადო მამულები ჰქონია, რომელსაც სოფელი ამუშავებდა. სანადოები დაყოფილი ყოფილა ნაწილარებად. ყველა თავ-თავის ნაწილარს მოხნავდა, დათესავდა, დაფარცხავდა და მომკიდა ამ სამუშაოსათვის გამოყოფილ დღეებში. ხატის მამულში მომკილ ძნას დასტურები უვლიდნენ, კალოზე მიიტანდნენ, გალეწავდნენ და ხვავს სახატოდ შეინახავდნენ, დღეობებში ლუდს ადუღებდნენ და პურს აცხობდნენ.

ყოველწლიურად ორ-ორი დასტური დგებოდა. ძველი დასტურების გადადგომა და ახლების არჩევა ამ ხატის მთავარი დღეობის დროს — მარიამობას ხდებოდა (M¹, 83, რვ. 44, გვ. 535).

ა) კოპალას სათემო ხატი (სოფ. უძილაურთა)

უძილაურთის სათემო კოპალას ხატი გაშენებულია მთის ფერდობზე. იგი ზემოდან დასცქერის მდინარე ფშავის არაგვს სამხრეთით, ხოლო დასავლეთით თვალს უწვდენს ხევსურეთის არაგვს, რომელიც ფშავის არაგვს ორწყალში უერთდება, — ამ ხატის ხოდაბუნები ორწყლამდე აღწევდნენ. კოპალას ხატის ზემოთ, ჩრდილო-დასავლეთით, ხეებით დაბურულ გორაკზე კვირას სახელობის სასოფლო ხატია, ხოლო კიდევ უფრო ზემოთ, ჩრდილო-აღმოსავლეთით მაღალ მთაზე უძილაურთის სამთო სალოცავი, ე. წ. ირემთკალო მდებარეობს.

კოპალას სათემო ხატი სოფელ უძილაურთის ქვევით, მისგან დასავლეთის მხარესაა ზღვის დონიდან 1766, 54 მ სიმაღლეზეა. ხატისა და მისი სანადოების ანუ ხოდაბუნების საერთო ფართობი 35 ჰა-ს შეადგენდა (ტაბ. 39).

უძილაურთ კოპალას ხატი ნაგებობათა რთულ კომპლექსს მოიცავს, რომელიც განლაგებულია ფართო ტერიტორიაზე. ხატის ნაგებობებს გარს არტყია წმ. ხეები (მათ შორის პირველ ყოვლისა იფნები) და შუაზე ხევი ჩამოუდის.

ხატს მთლიანად გალავანი ჰქონია შემოვლებული, რომლისგან ამჟამად მხოლოდ აღმოსავლეთის ყორეა დარჩენილი. ხატის ნაგებობათა ერთ კომპლექსს საყეენოს ანუ საყეინოს საბრძანისი და სასანთლე კოშკი შეადგენს. ეს ნაგებობანი გალავნის შიგნითაა აღმოსავლეთის მხარეზე და დარბაზისკარის მახლობლად. მეორე ნაწილი საკრალურ-საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებისაა: დარბაზისკარი, დარბაზი, საზარეები, საბერო და სვეტი ანუ კვრივი. დანარჩენი ნაგებობები სამეურნეო დანიშნულებისაა: მარანი, სალუდე, ბეღელი, საპურე, კალო, კალოსთავი და საკურატე. თუ ამათ მიუმატებთ ხატის ხოდაბუნებთან ერთად, ხატის ტყეს, საძოვრებს, სათიბებს, რომლებიც ხატს დასავლეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან აკრავს, დავინახავთ თუ რამდენად მძლავრი საზოგადოებრივ-საკულტო ცენტრი ყოფილა ეს სათემო ხატი სულ უკანასკნელ წლებშიც კი, როდესაც იგი უკვე გადმონაშთის სახით არსებობდა, უნდა ვიფიქროთ, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ქრისტიანობის გამოცხადების ხანიდან თუ არა, იმ ხანიდან მაინც, როცა — თამარის ისტორიკოსის მოწმობით, „ფხოველნი ჯუარის მსახურნი არიან და ქრისტიანობასა იჩემებენ“[11].

საყეინოს საბრძანისი (ტაბ. 40 ა). თუმცა კოპალას ხატში არ შეინიშნება ხატისკარი, მაგრამ, საყურადღებოა, რომ გალავანში შესული კაცი პირველად საყეინოს (ანუ საყეენოს) საბრძანისსა და სასანთლე კოშკს ხვდება, რომლებიც, მაგალითად, ლაშარის ჯვარში, სადაც, ჩვენი აზრით დაცული უნდა იყოს ჯვარ-ხატების ნაგებობათა განლაგების უძველესი გეგმა, ხატისკარზეა მოწყობილი.

კოპალას ხატში საყეინოს საბრძანისი იფნის ხის ძირში აგებული მცირე კოშკურაა (ტაბ. 40 ბ). იგი ძირიდან შუაწელამდე წარმოადგენს ქვის კვადრე-

---

[11] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, გვ. 111.

ბის მშრალ წყობას. რომელსაც ფასადის მხარეს კოშკურიდან გამოეყოფა მცირე ბაქანის სახით სწორკუთხედი მოყვანილობის სიპის ფილა. საყეენოს საბრძანისი არსებითად კოშკურას ეს ბაქანია. რომელზეც ზაფხულის დღეობებში კულუხის ღვინით სავსე გობის მსგავსი მოყვანილობის ჭურჭელს დგამდნენ და საყეენოს წესს ასრულებდნენ.

ადგილობრივი სათემო და სასოფლო ხატების თავხევისბერმა 84 წლის ჭრელი გიორგის ძე კოპლიშვილმა, რომელიც უძილაურთ კოპალას ხატის შესწავლის დროს თან გვახლდა, შემდეგი მოგვითხრო: „ზაფხულის დღეობებში, საყეენოს საბძანისზე დასტური დიდ სუფთა ლანგარს დადგამდა, კულუხის ღვინით აავსებდა და სანთლებს აანთებდა. ჭევისბერი დარბაზიდან დროშას გამააბძახებდა, საყეენოს მარჯვენა მხარეს დააყუდებდა და დიდებას იტყოდა: „ვახსენოთ ღმერთი, ვახსენოთ, მერე კოპალა ჩვენიო! მწყალობელ იყოს თქვენი და ჩვენიო!“ მემრე შამოუვლიდით ფერჭისაით, სიმღერით:

მედ ჭირნლა შავიყარენით სამზღუარსა მუხრანისასა,
პურაი მთხოვა, მივართვი, ეურჩევდი თავთუბისასა,
ღვინო მამთხოვა, მივართვი, ეურჩევდი ბადაგისასა,
ხორცი მამთხოვა, მივართვი, ეურჩევდი ხოხობისასა,
წყალი მთხოვა და მივართვი, ეურჩევდი წყაროს წყლისასა,
ქემრე ცოლიცა მამთხოვა, მიმყვანდა სიდედრისასა,
გადმამწვდა, ჭელი გახკიდა შვიდად ნაჭაპსა თმისასა.
მასტირნა, თვალნი ჩემდდარჩნეს: „ეა, ცოლას ცუდის ყმისასა!“
ფოანგულზე ჭილი გავიცვლ. ნაჩუქარს ცოლისძმისასა,
ცხენ-მხედარნ დავაკვნეტრენენ, წვერი უწვდინა ქვეშასა.
მენ კი მოუდ ღედასა, ის იქავა ეამს მიწასა.

გათავების დროს უნდა: „კოპალას გამარჯვებისა, მწყალობელ იყოს თქვენი და ჩვენიო!“ ფერჭისა რომ დამთავრდებოდა, მერე დაიწყებოდა სმეულობა. სათითაოდ მივიდოდნენ საყეენოს საბძანისთან, ლანგარში ჩააგდებდენ ვერცხლის ფულს და ღვინოს დალევდნენ. ფული, რომელიც საყეენოდან შემოდის, ხატისაა. იმით ან მუშას ვამუშავებდით ხატის შესაკეთებლად, ან სხვა საჭირო საქმეს გავაკეთებდით“.

სასანთლე კოშკი. საყეენოს საბრძანისის მახლობლად, წმინდა ხეებს შორის დგას პატარა კოშკი სასანთლე შუკუმათი და ოთხფერდა, მრავალსანაწვთიანი სახურავით. მის ირგვლივ ხეების ტოტებზე სხვადასხვა ქსოვილის თავშლები და მიტკლის ნაჭრებია ჩამოკიდებული. თავხევისბერი კოპლიშვილი მათ შესახებ შემდეგ განმარტებას იძლევა: „ხის ტოტებზე რომ ნაჭრებია, ესენი შამოწირულია. ქალები მოიტანენ ჯიბეებით, ან თავზე მოხვეული აქვთ. კარგები ბაღდადებია, შანახული გვაქვ. აქ უნდა დადნეს ესენი, სახლში ვერ წავიღებთ“.

დარბაზისკარი (ტაბ. 41 ბ) დარბაზის წინ ღორღითა და მიწით ხელოვნურად ამაღლებული მოედანია. იგი სამი (აღმოსავლეთის, სამხრეთისა და დასავლეთის) მხრიდან შემაგრებულია ხის მორებით და საყრდენი კედლით. მეოთხე მხარეს დარბაზისკარზე — დარბაზის მთავარი ფასადი გამოდის.

დარბაზისკარზე ხატობის დროს მხოლოდ ხევისბრები ადიოდნენ. ერისგანნი კი მისი გალავნის წინ გროვდებოდნენ. აქაც ისევე, როგორც საყეენოს საბრძანისთან, წმ. ხეებზე ჩამოკიდებულია კოპალას ყმების ოჯახებიდან შეწირული ბაღდადები და მიტკლის ნაჭრები.

ამავე დროს საყმოს სადღეობო ბინები დარბაზისკარიდან რამდენადმე მოშორებით იმართებოდა, ხოლო ქალების სადგომი კიდევ უფრო ქვევით, სამხრეთის მხარეს იყო.

დარბაზი, საბერო და ძველი და ახალი საზარეები (ტაბ. 41 ა) წარმოდგენილია ერთიანი მასივის სახით, რომელიც დარბაზისკარის ჩრდილოეთით მდებარეობს.

დარბაზი ერთი შეხედვით განიერი ტიპის შენობად ისახება. მისი მთავარი, გარედან შესასვლელი კარი მოთავსებულია სამხრეთის კედელში. ამავე დროს ყურადღებას იქცევს ის, რომ კარის ღიობი დატანებულია ამ გრძელი კედლის ცენტრალური ხაზიდან რამდენადმე დაცილებით და არა მის შუა ადგილას, როგორც მოსალოდნელი იყო განიერი ტიპის შენობისათვის.

მაგრამ შენობის ტიპის დადგენის საკითხში ცალკე აღებულ კარის მდებარეობას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭება. ასეთად გვეელინება, ერთი მხრივ, მთავარი კარისა და, მეორე მხრივ. საკულტო საგანის თუ კულტის შესასრულებელი ობიექტის ადგილმდებარეობით განპირობებული მათი ურთიერთმიმართება: მორწმუნე, რომელიც კარის ზღურბლს გადააბიჯებს და განიერი ტიპის ტაძარში შევა, უმალ მის თვალთახედვაში ექცევა კარის პირდაპირ კედელთან მოთავსებული ღვთაების გამოსახულება თუ მისი სახელობის საკურთხეველი, ან სამსხვერპლო.

ამას გარდა, ქვემოთ მოტანილი აღწერილობიდან ნათლად დავინახავთ რომ, მაგალითად, დღეს დარბაზის შიგნით სხვადასხვა მხარეს არის მოთავსებული ძველი და ახალი სასანთლე შუკუმები, ძველი და ახალი საზარე კოშკები და სხვ. ეს ფაქტები თავის მხრივ ააშკარავებენ, რომ დარბაზი მნიშვნელოვნადაა გადაკეთებული, მანამდე, სანამ დღევანდელ სახეს მიიღებდა, და რომ ამ შენობის ტიპი ამჟამად დარღვეულია.

ამ ნაგებობის თავდაპირველი ტიპის გარკვევის თვალსაზრისით ისახება ორი ვარაუდი: შენობა შესაძლებელია თავიდანვე ყოფილიყო ან განიერი, ან მხარსაქცევი ტიპისა. ამ საკითხს განვიხილავთ მესამე ტომში, სადაც გამოვიყენებთ შედარებითი და სხვა სათანადო მასალებს.

დარბაზი ფიქალი ქვისაგან მშრალი წყობით ნაგები შენობაა. მის შუა ღერძზე გარიგებულია სამი — მთავარი და გვერდითა ხის სვეტები, რომლებიც საძირე ქვებზეა დაბჯენილი და რომელთა საყბეურებში ჩასმულია თავხე, თავხეზე ნივნივებია გაწყობილი და მათი კაუჭიანი თუ ხისსოლებიანი ბოლოებით დამაგრებული, ხოლო ნივნივებზე დაფარებული ფიქალი ქვების მეშვეობით მიღწეულია დარბაზის ორქანობიანი სადა გადახურვა.

დარბაზის აღმოსავლეთისა და დასავლეთის მოკლე კედლების დიდი ნაწილი ამჟამად ღიაა. აქ, ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხეში მოწყობილია ე. წ. ძველი სასანთლე, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხესთან — ძველი საზარე; მოპირდაპირე ჩრდილო-დასავლეთის კუთხესთან აგებულია საბერო, რომელიც კარის მეშვეობით უკავშირდება დარბაზს; სამხრეთ-დასავლეთის კუთხესთან ახალი საზარეა.

ძველი სასანთლე ორგანყოფილებიანია, ფიქალი ქვისგან მშრალად ნაგები ორ სართულად. სასანთლის თავზე ძევს ტაფის მსგავსი სპილენძის ჭურჭელი. იქვეა ირმის რქა, ძალიან ძველი, „უხსოვარი დროიდან შეწირული", მასზე მოთავსებულია ორთვლიანი ხის სასმისი, რომელსაც აქვს შემდეგი წარწერა

მეედრული ხელით: ერთ მხარეზე — „შენ“, ხოლო მეორეზე — „კოპალას შეუწირე“, აქვე ძევს წარწერიანი თასი: „1863 გოგაი 15“, ორი, სარძეულას ფორმის სპილენძის ჭურჭელი — დიდი და პატარა, ერთი ძველი ზარი და სამი ზარაკი. სასანთლის ზემო განყოფილებაში შედგმულია სპილენძის თასი, რომლის წარწერა დაზიანებულია. — მოხერხდა მხოლოდ სამი ასოს ამოკითხვა: „რას“. ქვემო განყოფილებაში ინახება სპილენძის თუნგი და სპილენძისავე ჯამი. ჯამში ძევს: ხუთი ვერცხლის ჯვარი. ამათგან სამი სადა, ორი თვლებით შოკვილი, ვერცხლის ძეწკვი, ყურიანი პატარა ვერცხლის სასმისი და ვერცხლის ჯამის ნატეხი; აქვეა ცილინდრული ფორმის ვერცხლისავე პატარა სასმისი გარეთა პირზე წარწერით: „აპრილი პაპილსეურაშვილი“.

ამ ძველი სასანთლის სანაცვლოდ შემდეგში ახალი სასანთლე გაუჩენიათ. — დარბაზის ჩრდილო-დასავლეთის კუთხესთან. კედელში ერთმანეთის გვერდზე დატანებულია ორი შუკუმა. ერთ შუკუმაში დგას შანდალი მრავლად სანთლის ნაღვენთით, მეორეში — სათასეა, რომელშიც აწყვია ერთი ვერცხლის სასმისი შემდეგი წარწერით: „შეწირულია აბდულა მეშველაშვილისაგან კოპალეს“, და დიდი ხის კოვზი. შუკუმაების ქვემოთ დგას სწორკუთხოვანი ქვა — საკურთხეველი, რომელზეც შანდალია შედგმული.

მთავარი კარის პირდაპირ ჩრდილოეთის კედელთან გრძელი და ვიწრო ხის მერხია, მერხზე დგას სკივრი, რომელშიც აწყვია: სპილენძის ტაშტი, სანთლის ნამწვავები, ბამბის ძაფი, ლანგარი, საკადრისები, ორი ვერცხლის სასმისი, რომელთაგან ერთს აქვს წარწერა: „ანდრია კოპლაშვილისაგან 1962 წ. 7/1“, ქსოვილში გახვეული თეთრი ფული, ვერცხლის ჯვრები, ვერცხლის ბალთის ნაწილი, სპილენძის ქართული ზარი; მერხზე ძევს სპილენძის თეფში, სპილენძისავე ქვაბი საკიდელით, ალუმინის ფიალა და ღრმა თეფშები, ორი ხის სასმისი, შუშის თეფში და ხის კოვზი.

დარბაზის სამხრეთის კედლის გასწვრივ გამართულია ერთიანი სიპის ქვის გრძელი მერხი. კარის აღმოსავლეთით, კუთხის მახლობლად დგას კიდობანი. იქვე კარის თავზე მოთავსებულია ხევისბრის ყავარჯნის თავი, ვერცხლგადაკრული და ორნამენტირებული (ტაბ. 41 ა). ყავარჯენი ანუ არგანი იყო ხევისბრის ინსიგნია, მისი უფლების ნიშანი. დროშის „გამობძანების“ დროს ხევისბერი ყავარჯნით ხელში ასრულებდა სახატო წესებს. როგორც ეს, ისე სხვა ჩვენ მიერ ფშავსა და ხევსურეთში ნახული ხევისბრის ყავარჯნები თავისი ფორმით მოგვაგონებენ, ერთი მხრივ ქრისტიანულ ეკლესიებში მიღებულ საეპისკოპოსო კვერთხს, ხოლო მეორე მხრით ყაზბეგის განძის იმ ბრინჯაოს კვერთხს, რომელიც ხელთ უპყრია ჯიხვების რქაზე მდგომ ანთროპომორფულ ფიგურას (ღვთაებას) და აგრეთვე ამავე განძის ბრინჯაოს კვერთხის თავს[12]. როგორც ბოლო ხანის გამოკვლევიდან ვიცით, ყაზბეგის განძი თარიღდება ძვ. წ. VII—V სს[13]. ამასთანავე აღვნიშნავთ, რომ ამგვარი კვერთხების ანალოგებს პრ. უვაროვა სკვითურ ყორღანებშიც ნახულობს[14].

---

[12] Гр. Уварова, Могильники Северного Кавказа, МАК, в. VIII, вз. 144, сур. 124, таб. LXX, 2.

[13] Л. Г. Шитлаладзе, Культура племен горной части Центрального Кавказа VI—I веках до н. э. по археол. памятникам, Автореферат Тб., 1967, стр. 9, 10.

[14] Гр. Уварова, Поездки в Пшавию, Хевсуретию и Сванетию, МАК, в. X, стр. 131.

აქვე უნდა ითქვას, რომ ხატის განძი ჩვეულებრივ სამალავში ინახებოდა მეგანძური ხევისბრის მიერ. ისინი სახმარად მხოლოდ დღეობებზე გამოჰქონდათ ხოლმე. ის ჭურჭელი, რომელიც დარბაზში ვნახეთ და აღვწერეთ, ხატის განძის უმნიშვნელო ნაწილია. თავხევისბერი ჭრელი ჩიოდა, რომ ხატის განძის ოცდახუთი ნაჭერი ჩამოგვართვესო.

დარბაზის სამხრეთის კედელში გაჭრილი კარის ღიობის თავზე დატანებულია ხის ქუდი. თვით კარი შედგენილია ორი ამყოლისა და მათ შორის ჩადგმული რამდენიმე კედისაგან; ერთ-ერთ ამყოლს ზემოთ და ქვემოთ აქვს საყუნწურები, რომელთაგან ზემოთა ტრიალებს ქუდის ნახვრეტში, ხოლო ქვემოთა — ფოსოში. კარის ქუდი იფნისაა, ამყოლი და კედები კი მუხისა. თავხევისბერ ჭრელის ცნობით დარბაზის ხის კონსტრუქციული ნაწილები — კეზი, ბოძები, კავები, ქუდი, ამყოლები, კედები და სხვ., შეწირულია კოპალას ხატის ყმებისაგან.

ძველი საზარე (ტაბ. 41 ა. ბ), რომელიც, როგორც ითქვა, დარბაზის აღმოსავლეთის მხარეს მდებარეობს, კვადრატული გეგმისაა, ქვა-კირით ნაგები და გარედან და შიგნიდან კირით შელესილი. მისი ჩრდილოეთის კედელი უკავშირდება ძველი სასანთლის ზურგის კედელს. სამხრეთის მხარეს აქვს ორი სვეტი, რომელთაგან დასავლეთის სვეტი დარბაზის კედელთან ამოყვანილია პირისპირ. საზარის სვეტები და კედელი ერთმანეთს თაღით ებმიან. საზარის სახურავი ორფერდაა, შვიდიარუსიან-სანაწვთებიანი, თავზე აღმართული მთის ბროლის სათაურათი, ხოლო შიგნიდან იგი ცრუგუმბათოვანი წყობისაა.

უკვე აღვნიშნეთ, რომ ახალი საზარე დარბაზს აკრავს სამხრეთ-დასავლეთიდან (ტაბ. 41 ა, ბ). იგი ფიქალი ქვისგან მშრალი წყობითაა აშენებული, გეგმაში კვადრატული მოხატულობისაა, აღმოსავლეთის მხარეს სავსებით ღია, თავზე ადგას ლითონის მრგვალი გვერდებდაფანჯრული გუმბათი, რომელსაც წვერზე ჩამოცმული აქვს ლითონის ბუშტი, მასზე აღმართული ლითონისავე სამმხრიანი ჯვრით. საზარის სამხრეთის კედელში გაჭრილია ორი სარკმელი (ერთ-ერთი სარკმლის რაფაზე ჩვენს იქ ყოფნის დროს შედგმული იყო სპილენძის თასი). დასავლეთის კედლის კუთხეში ჩვენ ვხედავთ სიპის რამდენიმე კონსოლს, რომლებიც ზართან მისასვლელ საფეხურებად იხმარებოდა. ზარი რუსულია, ენაზე გამობმული აქვს შეწირულების ნიშნად მიტკლის ნაჭერი. თავხევისბრის ცნობით ახალი საზარე და ზარი ადგილობრივ მოსახლეს ღვერაშვილს კოპალასთვის შეუწირავს „თავის სამწყალობნოდ“.

საბერო (ტაბ. 41 ბ) კვადრატს მიახლოებული გეგმის, ოღონდ რამდენადმე კუთხეებშეკვეცილი შენობაა, ფიქალი ქვით მშრალი წყობით აგებული. საბეროს ცენტრში შუაცეცხლია, შუაცეცხლთან საძირის ქვაზე ხის სვეტი დგას; ორი მოგრძო კედლის თავებსა და შუა სვეტის საყბეურში გადებულია თავხე, თავხეზე გაწყობილია წვერმოკაუჭებული ნივნივები (კავები) ისე, რომ კაუჭებით თავხეზე არიან წამოცმული და გამაგრებული; კავებზე სიპები აფენია.

არც საბეროს და არც კოპალას ხატის დანარჩენ ნაგებობებს ისევე, როგორც ფშავის ხატების არც ერთ სხვა საზოგადოებრივ-საკულტო შენობას, ბრტყელი ჭერი არ გააჩნია. აქ ჭერის მაგივრობას სახურავის შიდა ხედი ეწევა. ისევე, როგორც სხვა ხატებში, აქაც საბეროს იატაკი მიწურია (ქაზდარია) და კედლები უსარკმლო, ყრუ და ბნელი.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, საბეროს ერთადერთი კარი აქვს აღმოსავლეთის კედელში სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხესთან, რომლითაც გარე სამყაროს უკავშირდება დარბაზზე გავლით. დარბაზთან ასე უშუალო კავშირში წარმოდგენილი საბერო თავშესაყარი შენობა იყო მოწმინდარი ხევისბრებისა, რომლებიც იქ მხოლოდ დიდ დღეობებში შედიოდნენ და შესაფერის საღვთისმსახურო წესებს ასრულებდნენ. როგორც ადგილზე მუშაობამ დაგვანახვა, საბეროს ამ დანიშნულების შესაბამისი შიდამოწყობილობა რამდენადმე შემორჩენილი ჰქონია თავის გადმონაშთური არსებობის უკანასკნელ ხანამდე. 1964 წლის აღწერილობის თანახმად საბეროში დასავლეთის კედლის გასწვრივ მთელ მის სიგრძეზე დგას ხის მერხი, ხოლო ჩრდილოეთის კედელთან ხის გრძელი სასანთლეა; ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხეში ხევისბრების ქვის სკამებია, იქვე კედელში დატანებულია სასანთლე შუკუმები, რიცხვით სამი; მათგან ერთში დგას შანდალი, სამი პატარა რუსული ზარი და თასი, მეორეში — სპილენძის ქართული ზარი; მათ ქვემოთ მოთავსებულია თუნუქის პატარა ორფეხიანი სადგარი, რომელზეც შანდალია ზედ შემხმარი სანთლის ნაღვენთებით.

საბეროს შესახებ თავხევისბერი კოპლიშვილი შემდეგ განმარტებას გვაწვდის: „საბერო ჭევისბრების ადგილია, აქ მარტო ჭევისბრებს შაუძლიათ შამოსვლა. კარის პირდაპირ რომ სკამებია, იმაზე დასხდებოდნენ უფროსი კაცები, ვინც წმინდა იყო. ვინც წმინდობდა, აქ შამოსვლა იმას შაეძლო. ლიტანია საღამოს საბეროში აინთებოდა სანთლები, — სულ ავაყვავებდით სანთლებით! დღეობებში აქ ვერ დავიძინებდით, აქ ღამე დაძინება არ შეიძლება. დავიძინებთ საბეროს წინ, ბუსნოზე“.

სვეტი ანუ კვრივი (ტაბ. 40 ა) წარმოადგენს უხეშად ნათალი ქვებისაგან ლაბკირით აგებულ კოშკურას. მის ზემო ნახევარში სამხრეთიდან—ჩრდილოეთის მიმართულებით გაჭრილია ოთხკუთხა ფორმის ღიობი და ამასთან ერთად სანხრეთის მხარეზე ნაგებობაში ჩაშენებულია სიპის ფილა, რომელიც კედლის პირიდან დიდი ნაწილითაა გადმოწეული. კოშკურას აქვს ოთხიარუსიან-სანაწვთებიანი პირამიდული სახურავი, რომელსაც ზემოდან მთის ბროლის სათაურა ადევს.

ამ ე. წ. სვეტს ანუ კვრივს განსაკუთრებულ სიწმინდეს მიაწერდნენ. დარბაზის უკან, რომლის მახლობლადაც სვეტი დგას, თავხევისბერიც კი ვერ გაივლიდა, თუ არა გარკვეულ დღეობაში საგანგებო წესის შესასრულებლად.

ახალწელიწადს, ლიტანია საღამოს სვეტთან მიდიოდნენ ხევისბრები დროშით, „წმინდა გიორგის სურათით, კელაპტრებითა“ და თასებით. დროშას სვეტზე „დააყუდებდნენ“, „წმ. გიორგის სურათს „დააბძანებდნენ“ ფილის თაროზე, იქვე ლუდიან თასებს გაარიგებდნენ, სანთლებს დაანთებდნენ და თავხევისბერი სადიდებელს იტყოდა, ხატებს გაადიდებდა.

დასასრულ უნდა შემდეგი აღინიშნოს. უძილაურთ ხატის ნაგებობების მეორე კომპლექსში შემავალი ძეგლები, გარდა კვრივისა, სახელდობრ დარბაზი, ძველი საზარე, საბერო და ახალი საზარე, როგორც ზემოთ ითქვა, ერთიანი შენობაა, თუმცა მათ ცალ-ცალკე გადახურვა აქვთ. საბერო და ძველი საზარე უშუალოდ უკავშირდება დარბაზს კედელში გაჭრილი კარებით, რომელთაგან საბეროში შესასვლელი დღესაც მოქმედია, ხოლო ძველ საზარესთან დამაკავ-

შირებელი დარბაზის კარი ამჟამად არ არსებობს იმის გამო, რომ დარბაზის აღმოსავლეთის კედელი დაშლილია. დაზიანებულია საზარეც. რაც შეეხება ახალ საზარეს, იგი აგებულია იმასთან დაკავშირებით, რომ ადგილობრივმა მცხოვრებმა ღვერაშვილმა ხატს თუნუქის გუმბათი შესწირა. ახალი საზარეც დარბაზთან უშუალო კავშირშია ისევე, როგორც ძველი საზარე იყო დარბაზთან დაკავშირებული, ოღონდ პირველი აგებულია დარბაზის დასავლეთით. ამასთანავე უნდა შევნიშნოთ,რომ ლითონის გუმბათები მთიანეთის ჯვარ-ხატებში ის სიახლეა, როემლიც იქ ბოლო ხანებში (XIX საუკ.) უნდა იყოს შეტანილი.

მარანი (ტაბ. 42 ა, ბ) მდებარეობს ზემოაღწერილ საზოგადოებრივ-საკულტო ნაგებობათა დასავლეთით, ხევის პირად. მარანსა და მის გვერდით მდგომ სალუდეს შორის გავლებულია ყორის კედელი. მარანი გეგმაში მართკუთხა მოხაზულობის, ფიქალი ქვისაგან მშრალი წყობით ნაგები შენობაა. მას აქვს ორქანობიანი სახურავი, რომელიც ფშავის სატაძრო არქიტექტურაში გაბატონებული წესითა და მასალითაა მოწყობილი. მარნის შუა ღერძზე აღმართულია წყვილი ხის სვეტი, რომელიც საძირის ქვაზე არის დაბჯენილი. სვეტების საყბეურებსა და მოპირდაპირე კედლის თავებზე გადებულია თავხე, თავხეზე კავებია გაწყობილი და კავებზე დაფენილია ფიქალი; ამგვარად მიღებული სახურავის კეხზე გარიგებულია სიპის ქვები. მარანს იატაკი მიწური აქვს. აღმოსავლეთის კედლის ერთ კუთხეში დატანებულია შუკუმი, ხოლო მეორეში — კარი. კარი იფნისაა, გარედან შუა ნაწილზე ამოკვეთილი სახელურით. იმავე კედელში გამაგრებულ ხის შვერილზე ჩამოკიდებულია კერის ჯაჭვი საკიდლით და ცის ქვეშ საცეცხლურია გამართული. იქვე, კედლის ნაჩვრეტებში[15] შეწყობილია შამფურები, ხორცის საკიდელი და სახორცე ჩანგალი. ჩრდილოეთის კედელზე მოწყობილია თარო და ამ კედლის გასწვრივ სამ მეოთხედზე მასიური ხის მერხი. სამხრეთის კედელზე გამაგრებულია ხის სასანთლე, რომელშიც ამჟამად ორი თუნუქის თასი და ხის ქაფქირი აწყვია. ამავე კედლის ნაჩვრეტებში შეწყობილია შამფური, საკიდელი (ორი ცალი), ტარიანი საწვნე (ორი ცალი) და ჯოხი. იქვე, კუთხეში ხევისბრის ყავარჯენია მიყუდებული. აღმოსავლეთის კედლის მახლობლად მიწაში ქვევრები მარხია, მათ ზემოდან ქვა აფენია. წარსულში ამ ქვევრებში ინახავდნენ ე. წ. კულუხის ღვინოს, რომელიც ყოველ შემოდგომაზე მოჰქონდათ ახმეტაში გაშენებული ხატის ვენახიდან. გარეთ მარნის შესასვლელთან დაბალი ყორეა გავლებული სამხრეთის მიმართულებით.

თუ ზაფხულის დღეობებში ხევისბერები საბეროს მახლობლად ბუსნოზე იძინებდნენ, ზამთრის დღეობების დროს მათ მარანში ეძინათ.

საკულუხე ღვინოსთან და საყეენოსთან დაკავშირებით ადგილზე ჩავიწერეთ შემდეგი მონათხრობი: „ახმეტიდან რომ კულუხის ღვინო მოვიდოდა, იმით პირველად სადიდებო უნდა გვეთქვა, დავდგამდით სამ ღვინიან თასს — ერთს ღმერთის, მეორეს — კვირიას და მესამეს — კოპალას სახელზე; ერთ კელაპტარს ავანთებდით ღმერთისათვის, მეორეს — კვირიასათვის, ამაზე დიდებული ხატი არ არის! — მესამეს — კოპალასათვის. კიდევ დავანთებდით სანთლებს, სულ თერთმეტი უნდა ყოფილიყო ანთებული, კენტი უნდა იყოს. ამ თასებით

[15] ჯვარ-ხატის მშრალად ნაგებ კედლის წყობაში დარჩენილია მეჩხერი ადგილები, ნაჩვრეტები.

ჯერ სადიდებოს ვიტყოდით და ვემრე პიროფლიანნი უნდა გვეხსენებინა, იმათ სახელზე დაგველია. პიროფლიანნი ისინი იყვნენ, ვინც ხალხისთვის იბრძოდა, მტერს შეაკვდებოდა. ქისტეთში დადიოდა, ხალხის საქმეზე მოკვდებოდა. ლაშარი ჯვარი თავის კვეისბერა რომ დროშით წააბძანებდა, მაშინ ფშავლებს უნდა გაემარჯვათ: პიროფლიანნი მაშინდელი გმირებია, ჯვარისთვის და ხალხისთვის თავდადებულები".

სალუდე ანუ საქობის (ტაბ. 42 ა, 2, ტაბ. 43 ბ) კედლები ამოყვანილია მშრალი წყობით, რომელიც დასავლეთ ნაწილში საყრდენი კედლით არის გამაგრებული.

გეგმაში სალუდე გრძელი ფორმისაა. შენობის შუაში აღმართულია კულა ანუ ლომი, რომელიც მის მთელ სივრცეს ორ ნაწილად ყოფს. სამხრეთის ნაწილი უფრო განიერია; ჩრდილოეთის შედარებით ვიწრო ნაწილი მეკვლეთ სამყოფად იწოდება, რადგან საქობის ამ თვალში სოფლის მეკვლენი ახალწელს ღამეს ათევდნენ.

სალუდის გრძივ ღერძზე განლაგებულია სამი ბოძი, რომელთაგან შუაბოძი დგას ლომის პირისპირ, ხოლო წინა ბოძი გატანილია შენობის გარეთ, სალუდის კარზე. ამ ბოძების საყბეურებზე გადებულია თავხე, რომელიც ეყრდნობა აგრეთვე სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლებს. თავხესა და კედლებზე გაწყობილია კავები, რომელიც ფიქალი ქვითაა დაფარებული. ასე აგებული ორკანობიანი სახურავის კეხი აქაც, მარნის მსგავსად, წარმოადგენს სიგრძეზე გამაგრებული სიპი ქვების ვიწრო წყობას.

სალუდის სახურავის მზიდავი კონსტრუქციული ელემენტებისათვის ზემოაღნიშნული ლომი და წყვილი დამატებითი ბოძი ბოლო ხანებში დაუშვებელია, ჭ. კოპლიშვილის ცნობით, ლომი მან ერთ ხევსურს ააშენებინა. უფრო გვიან ამავე თავხევისბრის სურვილითა და ნებართვით, მეკვლეთ სამყოფში ხის დამატებითი კონსტრუქციული ნაწილებიც აუგიათ. უკანა ბოძის აქეთ-იქით მხარეს ახალი ბოძები დაუყენებიათ, მათი თავები კედით გადაუბამთ ერთმანეთთან და გაუმაგრებიათ, რის შემდეგ ამ ბოძების საყბეურებსა და ლომის თავზე ახალი თავხე გაუწყვიათ.

სალუდის იატაკი მიწურია. მეკვლეთ სამყოფში ორი მერხია გამართული — ერთი კულას გასწვრივ, მეორე განიერი და მასიური, დასავლეთის კედელს გასდევს და მის თავზე კედელში შუკუმაა დატანებული. ასეთივე ოღონდ შეწყვილებული შუკუმაა მოპირდაპირე კედელში. შუკუმებში მოთავსებულია სპილენძის თასები (ორი ცალი) და ზარაკები. ჩრდილოეთის კედელთან ბოძის წინ კერაა გამართული.

სამხრეთის კედელში ორფრთიანი კარია. კარიდან მარცხნივ აგებულია საცეცხლური ანუ საკუთრივ საქობე, რომელსაც ამ თვლის ნახევარი სივრცე უჭირავს. საქობეში ჩაკიდებულია დიდი სალუდე ქვაბი, რომელიც ჩვეულებისამებრ შეკერილია სპილენძის ფურცლებისაგან სპილენძისავე ლურსმნებით. მის ოვალური ფორმის ძირს („თუშური ქუდივით რო არი") მთვარე ეწოდება. სალუდე ქვაბს გვერდებზე მკლავები აქვს. მკლავებზე წვრილი ყურშატი ჰკიდია. ყურშატებში გაყრილია ჯაჭვი, რომლითაც ქვაბი ძელზე არის ჩამოკიდებული. ქვაბში ძევს ფოცხვი, საფხეკელი, სარეველა (წყვილი) და დაწნული „საკიდელი". მოპირდაპირე (აღმოსავლეთის) კედლის გასწვრივ დგას ისარნა

და კოდი, ორივე სპილენძის ფურცლებისგანაა შეკერილი. კოდის შესახებ აღნიშნავენ, რომ მისი მასალა — სპილენძის ფურცლები, ქისტეთიდანაა მოტანილი და კოდი აქ, ფშავში შეკერილიაო. კოდსა და ისარნას კედლის გასწვრივ ამ კედლის სიგრძის 2/3 სივრცე უჭირავს. ამ სივრცის უკიდურეს წერტილებში ორი ბოძი დგას და ამ ბოძებზე გადებულია ძელი. ძელზე, კოდისა და ისარნას ზემოთ გარიგებულია კედები, ჭუჭკები (ანუ ((ჭიბჭიები), ჩხირები, ლუდის ამოსაღები სპილენძის კოში და საკადრისები.

უძილაურთ კოპალას ხატში, თავხევისბრის ცნობით თითო დღეობისათვის ერთი ქვაბი ლუდი იხარშებოდა. დასახელებულ სალუდე ქვაბში სამი კოდი ქერი ჩადის. ერთი კოდი ქერიდან გამოდის საშუალოდ 150 ლიტრა ლუდი. ერთი ქვაბიდან დუღების შედეგად 450 ლიტრა ლუდს იღებდნენ.

სასაკლავე და კირჩხები. სალუდეს გვერდით მიწაში ჩასმული და გამაგრებულია ორი კირჩხა — გასხლული კაპიანი ხეები. ამ ადგილს საგორებლის ძირი ეწოდება. კირჩხების ზემოთ მთის ფერდობზე ხატის სასაკლაოა (სასაკლავე), — ადგილი, სადაც სისხლიან მსხვერპლს შესწირავდნენ, თავს მოკვეთდნენ და დაგორებდნენ, საგორებლის ძირში დაცემულ მსხვერპლს კირჩხაზე ჩამოკიდებდნენ და გაატყავებდნენ.

ბ ე ღ ე ლ ი (ტაბ. 43 ა, ბ) ქვა-კირით ნაგები, გეგმაში კვადრატული მოხაზულობის შენობაა, ცამეტიარუსიან-სანაწვეთებიანი პირამიდული სახურავით. შენობის შიგნიდან იგი იძლევა ცრუგუმბათოვან გადახურვას, რომელიც ერთმანეთზე ჯვარედინად გადებული ორი მოგრძო სიპით იკვრება (ტაბ. 44), თავხევისპერდა მიღვითითა — სიპებს შორის დატანებულიაო საკომე. იატაკი დაგებულია ფიქალით და მასზე დაყრილია კირი მღრღნელების საწინააღმდეგოდ.

ბეღლის მთავარი ფასადი სამხრეთითაა. აქ კედელში დატანებულია დაბალი კარის ღიობი ჩინებულად მორგებული კარით, რომელიც მუხისაა და შედგება ცულითნათალი სამი ფიცრისაგან. ფიცრები ერთმანეთთან დაკავშირებულია ბასკებითა და ხისავე ლურსმნებით. კარის შუაწელზე ამოკვეთილია სახელეური. იგი იკეტება კედით, რომელიც კედელში დატანებულ ღრუში მოძრაობს. კარის ცალ მხარეზე ღრუ მოკლეა, ხოლო მეორეზე მთელი კედლის სიგრძეს გასდევს ბოლომდე. როცა გრძელ ღრუში მოთავსებული კედი მოკლე ღრუში შედის, იგი მოქცეულია კარის ზურგის უკან და მაშინ ბეღლის კარი დაკეტილია. წინააღმდეგ შემთხვევაში კარი ღიაა. საკეტის გასაიდუმლოების მიზნით ღრუს ბოლოს, კედლის წყობაში ჩადგმულია ქვა, ღრუს შესაფერისი ზომისა და კედელთან შეხამებული. კარის თავსა და ქვედა სანაწვეთს შორის საშუბლეა — ნაწილობრივ კედელში ჩატანებული ფიქალის პატარა ფილა.

ბეღელში ჩრდილოეთის კედლის გასწვრივ აგებულია ხის სამთვლიანი ამბარი. ამბარი დიდია, მისი ბოძები ბეღლის კედლების სიმაღლეს წვდება. ბოძების ხაღარევში ჩასმულია ფიცრები, რომელთაგან ადგილზე ნაწილია შერჩენილი. ბეღლის შიგნით, კარის თავზე ერთი მთლიანი სიპი ქვაა გადებული, რომლის ზემოთ ორსართულიანი შუკუმაა. ერთ შუკუმაში შედგმულია მოზრდილი სპილენძის თასი გარშემოვლებული წყვილი რელიეფური ზოლით, და დიდი (70 სმ სიმაღლის) მთის ბროლის წოწოლა, რომელიც ბეღლის სათაურა უნდა იყოს.

ბეღლის კედლები გარედან კირითაა შელესილი. ბეღლის კარის წინ მიწა ხელოვნურად მოსწორებული და დატკეპნილია. შესასვლელთან ძევს ლოდი, რომელიც საფეხურის მოვალეობას ასრულებს. მის მახლობლად ერთიმეორეზე აწყვია ფიცრები, რომლებიც ამბრის თვლების ერთურთისაგან გამყოფი ტიხრების ნაშალია. იქვე დევს თოვლის სახვეტი იარაღი — დაზიანებული ხის არნადი.

ეშაური ხატის ბეღლების უმრავლესობა და მათ შორის კოპალას ხატის ბეღელიც წელიწადში მარტო ორჯერ იღებოდა. მისი გაღება — დახურვა მხოლოდ მეპურე ხევისბერს, უძილაურთაში კი მუდმივ დასტურს ჩორხაულს შეეძლო (რომლის გვარშიც ეს თანამდებობა შთამომავლობით გადადიოდა). ჩორხაული მას აღებდა ახალი მოსავლის დაბინავების დროს და მეორედ — აღდგომის სამშაბათს, როდესაც მას ბეღლიდან გამოჰქონდა სათესლე ხორბალი და ქერი ხატის ხოდაბუნების მოხვნა-დათესვის რიტუალური წესის შესასრულებლად.

ეს წესი სრულდებოდა სალუდეს ქვემოთ მდებარე ე. წ. ვაკე-გორზე. იმავე დღეს (აღდგომის სამშაბათს), თოვლიც რომ ყოფილიყო, ის უნდა გადაეხვეტა და გზა გაეკვლიათ; მერე ხევისბერი გუთანს გამოიტანდა, გუთნით კვალს გაავლებდა და ბეღლიდან გამოტანილ ქერს და ხორბალს დათესავდა. ამის შემდეგ რიგითი მეთემეებიც იქვე ცოტაზე მოხნავდნენ, ხოლო ქალები მეთემეების მიერ გამოტანილ 1—2 ლიტრა მარცვალს გაანიავებდნენ და დათესავდნენ. ამ წესის შესრულებაში რიგით მეთემეებთან ერთად მონაწილეობდნენ გოგოლაურთ თემის წევრები სოფელ ხომიდან[16]. ნადით ხვნის დროს, როცა ხატის ხოდაბუნები იხვნებოდა და ითესებოდა, სუფრასთან დაილოცებოდნენ ხოლმე — თესლის მომტანს გაუმარჯოსო.

აქვე აღვნიშნავთ, რომ სანამ სახატო საყანეების ხვნა-თესვა არ დამთავრდებოდა, მეთემეები სათემო და კერძო მამულებს ვერ მოხნავდნენ და ვერ დათესავდნენ. ასევე იყო მკისა და ლეწვის დროსაც[17].

ხატის პურის გალეწვის შემდეგ, იქვე კალოზე მეპურე ხევისბერი ურიგებდა მდუღეებს ქერის მარცვალს, რწყვით, რამდენიც მათ დასჭირდებოდათ საღღეობო ლუდის დასამზადებლად, ზამთრისა და გაზაფხულის დღეობებისათვის — საშობაოდ, საახალწლოდ, საგაზაფხულო გიორგობასა და სააღდგომოდ. მეორედ ბეღელი იღებოდა, როგორც ზემოთ ითქვა, აღდგომის სამშაბათს, როდესაც ბეღლიდან, გარდა სათესლე პურეულისა, მეპურე ხევისბერს გამოჰქონდა და მდუღეებს აძლევდა სალუდე ქერს ზაფხულისა და შე-

---

[16] ხომელების შესახებ იხ. ქვემოთ.

[17] ეს ვალმონაშთური წესი, რომელიც რამდენადმე იძულებით ხასიათს ატარებდა ძველ ყოფაში (ბუცეს-ქალ-გვები ამ წესის დარღვევას კრძალავდნენ და წესის დარღვევეს ხატის რისხვით ემუქრებოდნენ) და რომელიც, ვფიქრობთ საყურადღებოა ოდინდელი სატაძრო თემის სოციალურ-ეკონომიური ვითარების შესწავლის თვალსაზრისით, ჩვენ მიერ დადგენილია ყველგან ფშავ-ხევსურეთსა და საქართველოს ზოგ სხვა მთიან კუთხეში.

მოდგომის დღეობებისათვის — საამაღლებოდ, სათენგენოდ, სამარიამობოდ და შემოდგომის გიორგობისათვის.

ბეღლიდან ჩრდილო-დასავლეთით რიყის ქვებისაგან მშრალად ნაგები შენობის ნაშალია (ტაბ. 45). მას ხევისბერმა სიპის ბეღელი უწოდა. კოჭლიშვილის მამის ხევისბრობაში სიპის ბეღლის ნაცვლად ხატში უკვე საპურე (იხ. ქვემოთ) აუშენებიათ.

ხატისკალო (ტაბ. 45) სიპის ბეღლის ზემოთ, მთის ფერდობზეა გამართული. აქ ფერდობი ჰორიზონტალურადაა მოსწორებული და დატკეპნილი. ამ მოედნის კონტურზე მოყვანილია საყრდენი კედელი ფერდობის გასამაგრებლად. ჩრდილოეთის მხარეს ყორე მაღალზე ადის, რადგან აქ მთის ფერდობი უფრო შვეულია და მეტ სიმაღლეზეა მიწა ჩაჭრილი. აღმოსავლეთიდან კალოსთან მისასვლელი ბილიკია. კალოზე მიჩენილია სასუფრე ადგილი.

კალოს ჩრდილოეთის ყველაზე მაღალ ნაწილში მოთავსებულია ნახევარმთვარის ფორმის მოედანი ე. წ. კალოსთავი (ტაბ. 45), რომელიც ასევე ჩაჭრილია ფერდობში და გამაგრებულია დაბალი ყორით.

კალოსთავი ძნების დასაწყობი ადგილია. ამიტომ მას მეორე სახელად საძნოვარი ეწოდება. უძილაურთ კოპალას ხატის თავხევისბერი ჭრ. კოჭლიშვილი და ამავე ხატის მუდმივი დასტური ჩორხაული, რომელთა წინაპრები თავხევისბერნი და მეპურე ხევისბერნი განაგებდნენ ხატის მთელ მეურნეობას[18], გადმოგვცემენ: ხატის ყმები რომ ხოდაბუნებს მომკიდნენ, ძნებს კალოსთავზე წაიღებდნენ და იქ სერკვებად ააგებდნენ. შემდეგ კალოობის დღეებში 4—5 კაცი კალოსთავიდან ძნებს დათვლით კალოზე ჩაყრიდა და ჩორხაული გალეწავდა.

20—25 ძნიდან ერთი კალო გამოდიოდა, ერთ დღეს ორი ან სამი კალო გაილეწებოდა. თითო კალოს კოდნახევარი, — 15 ლიტრა, გამოსავალი ჰქონდა ქერისა. კოდი 10 ლიტრა მარცვალია. ჯვართ ენაზე ქერს ქერ-ოქრო ეწოდება (თავხევისბერი ჭრელის თქმით „კოპალა ქერს ეძახის „ქერ-ოქროს") მუდმივი დასტურის ჩორხაულის პაპა, რომელსაც სახელად ხუმარა რქმევია, ყევარი ხარით ორი კვირა უნდებოდა ხატის მოსავლის გალეწვას.

ხატის ხოდაბუნების მოხვნისა და მომკის დროს, ჩორხაული არაყს გამოხდიდა, ჭედილას დაკლავდა, სუფრას გაშლიდა იქ, სადაც კალოზე სასუფრე ადგილი იყო და ნადს გაუმასპინძლდებოდა. ამ დროს კალოზე საყმოს წევრების ოჯახებიდან ზღვნების მოტანა იცოდნენ. აქ, სუფრასთან, ლუდით კოპალას სადიდებელს წარმოსთქვამდნენ და ჩორხაულსაც, როგორც ხატის კარგ მსახურს, ადღეგრძელებდნენ. პურობის შემდეგ წამოიშლებოდნენ და მუშაობას განაგრძობდნენ. ასე ყოველდღე ვიდრე ხატის ხოდაბუნების მოხვნა არ დამთავრდებოდა. მეპურე ხევისბერი ნადს უმასპინძლდებოდა.

ხატის სანადოების მოსავალთან დაკავშირებით ჩორხაული წლის მანძილზე სამჯერ ადუღებდა ლუდს: ხოდაბუნების (ანუ სანადოების) ხვნის, მკისა და ლეწვის დროს.

საპურე ფიქალი ქვისგან მშრალად ნაგები დაბალი შენობაა. მას აქვს იმა-

---

[18] ჩორხაულების გვარიდან დამდგარი მუდმივი დასტური უძღვებოდა როგორც სამიწათმოქმედო მეურნეობას, ასევე მესაქონლეობასაც. იგი ითავსებდა მეპურე ხევისბრის, მეკერატე ხევისბრისა და აგრეთვე მეთასგანძე ხევისბრის ფუნქციებს.

ვე ფიქალი ქვით დაფარებული ორფერდა სახურავი და მოგრძო ოთხკუთხა მოყვანილობის ფიქალის კარი. შენობაზე გარედან მიყუდებული.

ვინაიდან ბეღლის კარი შემოდგომის პირზე ერთხელ მეტად არ იღებოდა და ამის გამო ვერ ხერხდებოდა მოსავლის ბეღელში ნაწილ-ნაწილ გადატანა, გალეწილი პური კალოდან საპურეში გადაჰქონდათ. აქ სახურავის ერთ-ერთ სიპს ახდიდნენ და ზურგით მოზიდულ მარცვლიან ტომრებს ზემოდან პირდაპირ საპურეში ჩაყრიდნენ.

საპურეში პურეულს დიდხანს არ აჩერებდნენ, რადგან მშრალი წყობით ნაშენები საპურე მარცვალს ვერ დაიცავდა ვერც ავდრისაგან და ვერც მინდვრის მღრღნელებისაგან. ამიტომ, როგორც კი ხატის მოსავლის ლეწვა დასრულდებოდა, სოფლის დასტურები (მდუღეები) საპურის კარს გააღებდნენ, ჩაყრიდნენ მარცვალს ტომრებში და ბეღლისკარზე გადაზიდავდნენ, მეპურე ხევისბერი ხელ-მხრის განათვლის შემდეგ ბეღლისკარიდან სავსე ტომრებს ბეღელში აიტანდა და ამბრის თვლებში დააბინავებდა, სათესლეს ცალკე და სალუდე ქერს ცალკე.

ს ა კ უ რ ა ტ ე, ყორის მიწურბანიანი ნაგებობა, ხატის ტყეში მდებარეობდა.

კოპალას ხატს გარდა საკუთარი კურატების ჯოგისა, ჰყავდა შეწიოული კურატებიც. ყოველწლიურად თავ-დღეობებში — ამაღლებასა და შობას, კოპალას ყმებს მოჰყავდათ 3—5 წლის კურატები ან საკურატე მოზვრები ყელზე შებმული ზარაკებით და ცოცხლად სწირავდნენ ხატს

ხატის კურატები ზამთრობით საკურატეში ეყენათ, დანარჩენ დროს კი გაშვებული იყვნენ მაშარის საძოვრებზე. მათ მეურნეობას, როგორც ითქვა, მეკურატე ხევისბერი ანუ მუდმივი დასტური ჩორხაული განაგებდა.

საკურატეში ხდებოდა სამსხვერპლო კურატების შერჩევა იმავე თავდღეობებისათვის. კოპალას ხევისბრებს შერჩეული კურატები ამ დროს მიჰყავდათ შესაწირავად არა მარტო თვით კოპალას და აგრეთვე იახსრის ხატებში, არამედ ისეთ ცენტრალურ ჯვარ-ხატებში, როგორებიც იყვნენ საერთო საფშავლო ხმელისგორის ლაშარის ჯვარი და თამარღელის ხატი, და კახეთის ალავერდისა და თეთრი გიორგის სალოცავები.

საკმარისია თვალი გადავავლოთ ზემოთ მოტანილ დესკრიპციულ მასალას, მიუხედავად ამ მასალის გადმონაშთური ხასიათისა, რომ ცხადი გახდეს, თუ რამდენად შეძლებული და აწყობილი მეურნეობის მქონე ხატთან გვაქვს საქმე. მას აქვს კომპლექსური მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის მეურნეობა. ერთი მხრით, ჩვენ ვაფიქსირებთ მიწათმოქმედებას სანადოებით თუ ნაყევრალებით უძილაურთაში, სადაც იგი თვით ამ ხატის საარსო მიწასთან ერთად, 35 ჰა შეადგენს და გარდა ამისა ციხეთგორს, ზემო — თიანეთში, სოფელ ტიღინაანების გვერდით, ე. წ. იხინჭაში (M[1], 83, რვ. 14, გვ. 165—166), ზვრებით ახმეტაში (M[1], 83, რვ. 14, გვ. 158; რვ. 16, გვ. 183), სათიბებითა და საბალახოებით მაშარაზე, შახვეტილაზე, — ივრის ფშავში (M[1], 83, რვ. 14, გვ. 158; რვ. 44, გვ. 538), სათანადო იარაღ-ხელსაწყოებით (გუთანი, არნადი, ლუდის მოსახარში, დასაწური და შესანახი ხელსაწყოები და სხვა მისთან) და ნაგებობებით — კალო, კალოსთავი, საპურე, ბეღელი, სალუდე, მარანი, აგრეთვე კურატები და საკურატე ნაგებობანი; ყოველივე ამასთან ერთად, მეურნეობის ხელმძღვანელები და მუშაკები მეთემეებისა და ტყვე-მოჯამაგირეების სახით.

მეორე მხრით, ჩვენ დავინახეთ ნაირი სახისა და დანიშნულების საზოგადოებრივ-საკულტო ნაგებობანი: დარბაზი და დარბაზისკარი, საბერო, საზარე, და სასანთლე კოშკები, კვრივი, საყეენო და სასაკლაო, აგრეთვე ყმების ინსტიტუტი, რომლებიც ხატს ემსახურებიან საკუთარი შრომითა და დანადებებით, და მათი მეთაურები — ვიწრო თეოკრატიული წრე, რომელიც თემისა და მისი ხატის სათავეში იყო მოქცეული და რომელიც თავისი მდგომარეობით და, უეჭველია, თავის დროზე მატერიალური შეძლებულობითაც მკვეთრად განსხვავდებოდა რიგითი მეთემე—ერისთაგან, რაც მიუთითებს თემისა თუ ხატის საყმოს შიგნით საზოგადოებრივ-ეკონომიურ დიფერენციაციაზე.

საზოგადოებრივ დიფერენციაციაზე მკაფიოდ მეტყველებს, სხვა არამცირე ფაქტებს შორის, ძველი ხალხური გადმოცემებიც. მაგალითად, ერთ-ერთი გადმოცემა მოგვითხრობს: „კოპალას ყმისშვილი ყოფილა მდიდარი კაცი. იმას უთქვამს: „ჩემი მუშაი ღვინოთი პირს იბანს და კოპალას მუშას წყალიც ენატრებაო“ ამაზე იმ კაცის ოჯახში ჭერაეით გველ ჩამოსულა[19], ხორცს რომ ხარშავდა, იქ ჩახარშულა მცურავი. ყველას უკამია. რძალს სხვა რომ დაუპურებია, მერე ის უნდა დაპურებულიყო. ბალღს აკვნიდან დაუძახია — ჭიაო. უნახავს მცურავი და არ უკამია. სხვები დახოცილან. იმას აუკიდია ქობები ორი ხარისთვის და აქ (ივარაუდება სოფელი უძილაურთა, — ვ. ბ.) წამოსულა, აქაური ყოფილა“ (ამ გადმოცემის ვრცელი ვარიანტი მოთხრობილია M^1, 83, რვ.).

გადმოცემიდან კარგად ჩანს, რომ კოპალას ყმისშვილი იმდენად აღზეეებულია, რომ უპირისპირდება კოპალას, resp. უძილაურთ თემის თეოკრატიულ ხელისუფლებას და თავს იმაზე მაღლა აყენებს. მაგრამ თემის თეოკრატიულ ხელისუფლებასთან ბრძოლაში აღზეეებული ყმისშვილი მარცხდება, ხატი ოჯახს ამოუწყვეტს, გადარჩება მხოლოდ რძალი და ძუძუმწოვარა ბავშვი და ამათაც აყრის და გადაასახლებს.

საბოლოოდ იმარჯვებს თეოკრატიული ხელისუფლება, რომელიც უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ერთპიროვნული მესაკუთრე — მეთემე.

ბ) სასოფლო ხატები

1) საკვირაო (სოფ. უძილაურთა)

სათანადო მაგალითებიდან კარგად ჩანს, რომ ფშავის ცენტრალური ხატების ნიშები დაარსებული იყო სათემო და სასოფლო ხატებთან, ხოლო, მეორე მხრივ, ცენტრალური ხატის ნიში ამა თუ იმ სამოსახლო ადგილას სასოფლო ხატს წარმოადგენდა. ამ უკანასკნელის მაგალითია უძილაურთის საკვირაო.

უძილაურთის სასოფლო ხატი საკვირაო მდებარეობს კოპალას ხატის

---

[10] ქართველი მთიელების რელიგიურ რწმენებსა და მითებში გველი წარმოდგენილია როგორც სათაყვანებელი ცხოველი და, მეორე მხრივ როგორც ღვთისშვილის (ჯვარ-ხატის) თანაშემწე და მსახური, რომლის მუდმივი მიწიერი სასუფეველი ღვთისშვილის სამფლობელოშია და რომელიც ამ ღვთისშვილის ნება-სურვილებს განუხრელად ასრულებს და ემორჩილება, — იხ. В. В. Бардавелидзе. Религиозние верования и графическое искусство грузинских племен, стр. 29, 30.

ჩრდილო-დასავლეთით მთის წვერზე, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 1900, 75 მ საკვირაოს ეპირა 0,75 ჰა ფართობი. აქ მუხის ხეებს შორის ორი კოშკია — სასანთლე და სადროშე.

სასანთლე კოშკი (ტაბ. 46, 47), სწორკუთხა მოყვანილობის კვრივია, ჩრდილოეთის კედელში დატანებული შუკუმათი და მის თავზე დადგმული დაახლოებით 60 სმ სიმაღლის ოთხწახნაგოვანი ლეგა ფერის ქვით. სასანთლე აგებულია მუხის ძირში. მუხის ტოტზე პატარა ზარი ჰკიდია, რომლის ენაზე საკადრისია გამობმული.

სადროშე კოშკი (ტაბ. 46, ტაბ. 47). აგრეთვე გეგმაში სწორკუთხა მოყვანილობის მშრალად ნაგები კვრივია, რომელიც თავისი ფორმით თუშურ მილიონაებს ემსგავსება: ძირთან განიერია და წვერისკენ თანდათან ვიწროვდება. სადროშე კოშკი კლდეზე აგებული და ამჟამად ძალზე დაზიანებულია.

ფშავის ცენტრალური საკვირაო ხატის მსგავსად, უძილაურთის ამ სასოფლო საკვირაოშიც მხოლოდ საღმრთოს იხდიდნენ თავდღეობა ამაღლებასა და პეტრე-პავლობას. აქ თავს იყრიდა სოფლის მოსახლეობა და შემოსწრებული სტუმარი.

2) სამთო სალოცავი, ირემთკალო

უძილაურთას სამთო სალოცავი გაშენებულია ირემთკალოს მთის წვერის დავაკებაზე, ზღვის დონიდან 2225,80 მ სიმაღლეზე. ხატი მოიცავდა 1 ჰა ფართობს.

ირემთკალოს სალოცავი გარშემოზღუდულია ყორის გალავნით, რომლის შესასვლელი სამხრეთიდანაა, ამჟამად გადაკეტილია ბრტყელი ფიქალით. გალავნის შიგნით ერთმანეთის გასწვრივ მდებარეობს სასანთლე და საზარე, ხოლო გალავნის გარეთ, მის წესასვლელთან საყეენოა.

სასანთლე (ტაბ. 48 ა, ბ, გ) ჩვეულებისამებრ სწორკუთხა მოხაზულობის ყორის პატარა კვრივია, სადა ორფერდა სახურავით. მას აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხარეს დატანებული აქვს თითო-თითო შუკუმა, რომელიც ჩასმულია ქვის ოთხკუთხა ფორმის ჩარჩოში. მთავარი ფასადი სასანთლე კოშკისა დასავლეთის მხარეზეა. ამ მხარეს მის შუკუმაში უამრავი სანთლის ნამწვავია, ხოლო სახურავზე ირმის რქა და მთის ბროლი დევს.

სასანთლის წინ აღმართულია მაღალი საზარე კოშკი (ტაბ. 48 ა, ბ, გ). მისი მთავარი ფასადი მიმართულია აღმოსავლეთისაკენ, საიდანაც მას ზართან ასასვლელი კიბე აქვს. საზარე ლამკირითაა აშენებული. ქვაში ნაგები მისი ჭერი თავისი აღნაგობით დარბაზის გვირგვინს გვაგონებს. აქ გარდიგარდმო გადებულ ორ ძელზე ჯაჭვით ჩამოკიდებულია რუსული ხელობის დიდი ზარი. საზარის ოთხფერდა სახურავის წვერზე პირდაღმა დაყუდებულია ძველი, მწვანე პატინით დაფარული ზარი. ზარში ჩადგმულია თუნუქის ჯვარი, რომელსაც ქვემო ღერძზე აქვს ორი დიდი და მცირე თუნუქისავე ბუშტი. დიდ ბუშტზე მხედრული წარწერაა: „ქ. შემოგვიწირამ ნაოგურს ბაზიერიშვილს შიო გოგიაშვილი სოსიკა აბრამიშვილი"; მეორე სტრქ.: „მამუკა პაპისშვილი. გულო კოჭლიშვილი ხუმრა ჩორხური, თევდორე თეგერაშვილი შემოგწირამ წმინდა გიორგისთვინ კოპლისთვინ".

საყეენო. როგორც აღვნიშნეთ, გალავნის გარეთ, მის შესასვლელის მახლობლად მიწაზე ძევს მოგრძო ბრტყელი სიპი, — იგი საყეენო ანუ საყეენოს საბრძანისია.

აქედან ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს მიწაში გამაგრებულია კირჩხაკაპიანი დგნალის ხე, რომელზეც მსხვერპლად შეწირულ საკლავს კიდებდნენ გასატყავებლად.

სადოღე (ტაბ. 49) ირემთკალოს მახლობლად, მისგან დასავლეთით მდებარეობს, ის წარმოადგენს კონუსის ფორმის კოშკს, ცალ მხარეს ყორის ბაქანით; სადოღეს წინ გაშლილი ველია, სადაც სახატო დღეობებში დოღი იმართებოდა ხოლმე.

ირემთკალოსთან დაკავშირებულია ფშავლებში ფართოდ გავრცელებული თქმულება კოპალასა და იახსრის დევებთან ბრძოლის შესახებ. მოგვყავს ამ თქმულების ნაწყვეტი, რომელიც ჩაწერილია 1947 წ. უძილაურთის მცხოვრების კოპალას ხატის თავხევისბრის 70 წ. ხევსურა თათარაშვილისაგან.

ადრე „დევები ცხოვრობდნენ ციხეთგორს[20] (და) კართანაში. მათ ერთი კემწიფე ჰყავდათ. მათი ფალავნები იყვნენ მუსა, ბეღელა და ავთანდილი. დევების კემწიფე იყო ციხეთგორს და აქედან სამართლობდა, კრებასაც აქ იწვევდა დევებისას. როცა დევებს რამე საბრძოლო გაუჩნდებოდათ, კემწიფე დაიბარებდა დევებს ციხეთგორს და იქ მოისაუბრებდნენ საერთო საქმეებზე. კიდევ იყო დევები იორზედაც. იქაური დევებიც აქაური დევების კემწიფეს ემორჩილებოდნენ და იმის ბრძანებას ასრულებდნენ.

კოპალა მივიდა ციხეთგორს და დევებს უთხრა: — წადით აქედანაო, ეს ადგილი დამიცალეთ, მე უნდა დავბინავდეო. დევებს გაუკვირდათ მისგან ეს ნათქვამი — ეს ვინ არის, რომ ასე გულდიდად გვეუბნებაო. ეს ბუკუკა (პატარა ბუზი) ჩვენ რას დაგვაკლებსო. კოპალამ გაუმეორა: — თუ არ წახვალთ, ძალით გაგრეკავთო. მერე დევებმა იმის ძალის გამოსაცდელად რკინის კუნძი დაუდეს წინ, ცულის ნაჯაჯი მისცეს და უთხრეს: — თუ ეგეთი ძალის პატრონი ხარ, რომ ჩვენ აყრას აპირებ, აბა ეს კუნძი დაჭერიო. კოპალამ დაჭრა ცული და კუნძი ორად გახეთქა. დევებს გაუკვირდათ და თანაც შეშინდნენ — ვინ არის ეს ასეთი ძალის პატრონიო.

მერე დევებმა უთხრეს: — ირემთკალოდან ციხეთგორისაკე ქვები გავკრათ და, ვინც ვაჯობებთ, ციხეთგორი იმას დარჩესო. დათანხმდა კოპალა. დევებმა დაიბარეს ფალავნები ჯაშრით ბეღელა, კართანით მუსა და ავთანდილი. სხვა დევები აქ იყვნენ. დანიშნეს დღე....

დანიშნულ დღეს ყველამ აქ (ირემთკალოზე, ვ. ბ.) მოიყარა თავი, ხოლო ჯაშრით ბეღელა არ მოვიდა. მას იაკსარმა შეუკრა საპარავის ყელში გზა და აქისაკე მომავალს ლახტი დაჰკრა და იქვე მოკლა. მერე ჩავიდა ჯაშარს იაკსარი და იქაც ამოწყვიტა დევები. თუ სადმე იორზე კიდევ იყო დევების ოჯახები იაკსარი დაჰყვა და ყველგან ამოწყვიტა...

ირემთკალოს, ახლა სადაც საზარეა, ისევ ეტყობა სიპებით დაზღვაეებული ადგილი. კოპალამ და დევებმა სიპები დააწყეს იმ ადგილზე, საიდანაც ქვები უნდა ესროლათ იმიტომ, რომ ქვების გასროლაში მიწა არ გაუძლებდა და რაბრუნდებოდა. ახლა იმ ადგილზე დგას კოპალას საზარე და გარშემო სიპე-

---

[20] ციხეთგორი მდებარეობს სოფ. აკუშოს ზემოთ, ფშაველისა და ხევსურეთის საზღვარზე.

ბი ისევ არის. დანიშნულ დღეს კოპალამ ნახა, რომ კართანის დევები მუსა და ავთანდილი მოდიოდნენ და მიწას ისე მოკვალავდნენ, როგორც ფიფქ თოვლსა. კოპალა ცოტა შეკრთა, რომ ასეთი დიდი დევები დაინახა, მაგრამ დამპალებელისა და თავისი ძალის იმედი ჰქონდა და გული გაიმაგრა. მოვიდნენ და დასხდნენ დანიშნულ ადგილზე. ერთი ქვა მოიტანეს, კოპალამ სიმსუბუქით დაუწუნა და უკან გადმოაგდო უძილაურთაკე; იქვე არის ის ქვა. მეორე ქვა მოიტანეს და ესეც ემსუბუქა. მერე ზედ დააკრეს მეორე ქვა ცომივით და დაამძიმეს. მესამე ქვაც მოიტანეს და ეს კი კარგი სიმძიმისა იყო. ქვადაკრულ ქვას გამოუწონეს ისიც. დევები ერთმანეთს უთვალზმუნობდნენ[21], — კოპალა რა არის და რა ქვას გაჰკრავსო. მერე გაღმა კვირა იყო, სამართლის შიმცემი.

პირველმა დევმა გაისროლა ქვა და გავარდა ციხეთგორს. მეორედ კოპალამ გაისროლა; შეიძლება დევის გასროლილ ქვამდინ ვერც კი მიეღწია, მაგრამ კვირამ მათრახის წვერი წამოკრა გასროლილ ქვას, შორს გაამალა და გადააჭარბა დევის გასროლილ ქვას.

მერე მკითხავის პირით იცის ბრძანება კოპალამ: „კვირა რომ არ დამშველებიყო და ქვა იმას არ გაემალა, შეიძლება მე ჩამოვრჩებოდიო, ქვების გასაშინჯად მე და დევები რომ წავედით, მივედით და ჩემს გასროლილ ქვას ქაჯები ეხვეოდნენ და ვერა ძრავდნენ, უკან გადმოწევა უნდოდათო. ჩვენ რომ გვნახეს, ქვას თავი ანებეს და გაიქცნენო“. იმ ქვას ეხლაც ეტყობა, რომ ნაბრძოლია უკან გადმოსაწევად, მაგრამ ვერ არის გადმოწეული, მოკერებულია სხვა ქვაზე. იმ ქვებს დღესაც შემოღობვილი აქვს სამნებით, — მაღალი ქვებით, გალავანი.

მერე დევები და კოპალა გაიყარნენ მტრობაზე: დარჩა კოპალას დევების ბინა ციხეთგორს. ამ სახლ-კარს პატრონობდნენ დევები და ახლა კოპალამ დაიპირა. ტახტიც, რომელიც დევების ხელმწიფეს ჰქონდა, კოპალას დარჩა. დევები აქედან ყველანი გადასახლდნენ ფშავის არაგვზე კართანას“ (M[1], 83. რვ. 13, გვ. 152—154).

3) კოპალას ხატი, კართანა

კართანა, სადაც ზემომოტანილი თქმულებით კოპალასთან ბრძოლაში დამარცხებული დევები გადასახლდნენ, ადგილის სახელია ფშავის არაგვთან მდინარე კოპალურას შესართავთან, მაღაროსკარის მახლობლად.

აქ, სოფელ მიგრიაულთას მთის ძირში, მდ. კოპალურას ხელმარცხნივ ამაღლებული მცირე ბორცვია, რომლის თავზე კოპალას ხატია გაშენებული. ბორცვის თავი წარმოადგენს პატარა მრგვალ მინდორს, რომელიც გარშემოვლებულია სხვადასხვა ჯიშის ხეებით — ნეკერჩხლით, მურყანით, მუხით, იფნით. ეს ხეები ყველა წმინდა ხეებად ითვლება; ქადაგ-მკითხავთა შთაგონებით, მათ მოჭრას ხატი კრძალავდა, მათგან დაცვენილი ხმელი ტოტების გადატანაც კი აღკვეთილი იყო.

---

[21] „უთვალზმუნებდნენ“ — ერთიმეორეს თვალით ანიშნებდნენ, თვალს უკილავდნენ და დასცინოდნენ.

კოპალას ხატის ნაგებობებიდან ჩვენამდე მოღწეულია მათი მცირე ნაშთები.

საზარე კოშკი — გეგმაში სწორკუთხა ფორმის სვეტებიანი ნაგებობა ყოფილა, რომლისგანაც გადარჩენილია მხოლოდ სვეტები და მათ მახლობლად მიწაზე მოთავსებული დიდი ზარი. საზარე კოშკი აუგიათ იფნის ძირში. დროთავითარებაში ბებერი იფნი წაქცეულა — მისი დამსხვრეული ნაწილებიც იქვე ყრია[22].

საზარეს გვერდით სიპის ქვისაგან მშრალად ნაგები დაბალი ზღუდეა, რკალისებურად მოყვანილი (ტაბ. 50 ა). ზღუდეს ჩრდილოეთის მხარეს დატანებული აქვს სასანთლე შუკუმა. სასანთლეში ბევრი სანთლის ნაღვენთებია და მრავალი ცვილის ნაჭერია შეწყობილი.

ზღუდის ცენტრში აღმართულია ხატის მთავარი საკულტო ობიექტი, — დიდი, წოწოლა ქვა უსწორმასწორო, ადგილ-ადგილ ჩაღრმავებული. ესაა ე. წ. კოპალას ქვა, ანუ კოპალას საბრძანებელი, რომლის ზედაპირზე ფშავლები ნაბილჩვარებისა[23] და ნასაბლარების ნაკვალევს ამჩნევდნენ.

კოპალას ხატის მახლობლად მიუთითებენ თვალსაჩინო ნივთიერ ობიექტებზე, რომლებიც, ხალხური რწმენის თანახმად, ამ დევებთან მებრძოლი ღვთისშვილის, კოპალას მძლეოსნობის ნაშთებს წარმოადგენენ. ესენია ე. წ. კოპალას ნალახტარი და გაქვავებული ავთანდილი.

კოპალას ნალახტარი (ტაბ. 50 გ) ეწოდება კოპალას ხატის ჩრდილოეთით, მის მახლობლად შვეული კლდის მოშიშვლებულსა და საკმაოდ გამოფიტულ ნაწილს, ჩამორეცხილი და ადგილ-ადგილ ატკეცილი ზედაპირით. ეს ანატკეცი ადგილები, მოხუც ფშაველთა რწმენით, კოპალას ლახტისაგან კლდის დაფშვნეტილი ადგილებია; როცა კოპალამ მუსა დევს ლახტი ესროლა, ეს ლახტი კლდეს მოხვდა და მას ზედაპირი დაუფშვნიტაო.

გაქვავებული ავთანდილი (ტაბ. 50 ბ). ასე ეწოდება უზარმაზარ ლოდს, რომელიც კოპალას ხატის პირდაპირ, ფშავის არაგვის გაღმა ნაპირას გდია. ეს, ხალხის რწმენით, ლოდი კი არ არის, არამედ კოპალას მიერ მოკლული და გაქვავებული დევი ავთანდილია.

კოპალას ხატისა და მის მახლობლად მდებარე ობიექტებზე არსებულ ხალხის სარწმუნოებრივ შეხედულებებს უპასუხებს შემდეგი ფშაური გადმოცემა:

„ერთხელ დევებმა მუსამ და ავთანდილმა მოილაპარაკეს — კოპალას სკამი მოვპაროთო. მუსამ უთხრა: „მე ქვას მოვპარავ და მოვიტან, შენ კი ნადირობად წადი და შეშა მოიტანეო“. წამოვიდა მუსა და, როცა კოპალა შინ არ იყო, მოპარა ეს ქვის სკამი; ე. ი. საბძანებელი, შეკრა საბლით, დააწყო საბელზე (ზურგზე აიკიდა) და წაიღო.

ეს გაიგო კოპალამ და თავისი ლახტით დაედევნა, სადაც ახლა არის ის ქვა, და კოპალას ქვას ეძახიან, იქ წამოეწია, ესროლა ლახტი, დაჰკრა და იქვე მოკლა. ქვას დევის ნაკელარი და ნასაბლარი ახლაც ეტყობა.

---

[22] როგორც გრ. უვაროვას აღწერილობიდან ჩანს, წარსული საუკუნის 90-იან წლებში, როდესაც მან ფშავ-ხევსურეთსა და სვანეთში იმოგზაურა, ეს წმ. ხე ჯერ კიდევ ცოცხალი მდგარა და საზარე კოშკიც დაუზიანებელი ყოფილა — იხ. Гр. Уварова, დასახ. შრომა, გვ. 10.

[23] ნაბილჩვარი — საბლისაგან შეკრული ზოლი ქვის ზედაპირზე.

იქ ერთ კლდეს კიდევ ეტყობა კოპალას ნალახტარი — ალბათ, ორჯელ ესროლა ლახტი, ერთი დევს მოხვდა, ერთი კლდეს, ან დევისად დაკრული მოხვდა კლდესაც.

იმ დროს, როცა კოპალამ მუსა მოკლა და ქვა გააგდებინა, გაღმით მკარეზე შემოჩნდა ავთანდილიც. ერთ მკარზე ირემი ჩამოეკიდა მოკლული და მეორე მკარზე ძირით ამოწვდილი წიფელი ედო, შეშად მოჰქონდა. კოპალას ხთის ბრძანება ჰქონდა, სადაც დევს ნახავდა, უნდა ყველა მოეკლა; ესროლა ლახტი და ავთანდილიც იქვე მოკლა.

მთის ფერდობზე დავარდნილი უსულო ავთანდილი გამოქანდა და ფშავ-ხევსურეთის არაგვში ჩაიდო — ახლაც იქა ძევს ქვად ნაქცევი. წიფელი გადმოვარდა გზის ძირში და მიწაშიავ დაეფლო. მერე ხატმა ბძანის: „ავთანდილის ხე ისევ განედლდაო, ავთანდილი კი ქვად გადაიქცა, როცა წყალში ჩავარდაო". „ხატმა ბძანის" ნიშნავს: როცა ქადაგს დასვამდნენ, ის კოპალას სიტყვებით ხალხს ელაპარაკებოდა" (M[1], 83, რვ. 13, გვ. 154—155).

„იმ ხანებში, როცა კოპალა კორციელად იყო, ციხეთგორიდან ერთმა დევმა სამლოცველოდან მოიპარა ტრაპეზის ქვა და მიჰქონდა ქვევით. კოპალა წამოეწია, ესროლა ლახტი და მოკლა დევი. ქვა იმ გზის თავზე აიტანეს სოფელ ხომში მცხოვრებლებმა და ახლაც იქ არის, სადაც ილოცავენ გმირ კოპალას (მთხრობლები ამბობენ: ნალახტარი კლდესაც ეტყობა და დევის ნასაბლარი იმ ქვასაც) ერთ დევს მიჰქონდა მოკლული ირემი. ერთ მხარეზე ძირიდან ამოწვდილი წიფლის ხე ედო. შეხვდა კოპალა, ესროლა ლახტი და მოკლა. დევი რომ მოკვდა, ქვად იქცა. ახლაც არაგვში გრძელი ქვა არის და ხალხის რწმენით ის ქვა მაშინდელი გაქვავებული ავთანდილ დევია. ამ დევს ავთანდილი ერქვა და ამ ადგილს ახლაც ავთანდილის საქანს ეძახიან.

მეორენაირადაც არის კოპალას ქვის ამბავი: დევები კართანაში ქვას აგროვებდნენ, აქ წყალი უნდა დაეგუბებიათ და ფშავ-ხევსურეთი წაელეკათ. გაიგო კოპალამ, წამოეწია დევს, რომელსაც ეს ახლანდელი კოპალას ქვა მიჰქონდა წყლის დასაგუბებლად, ესროლა ლახტი და მოკლა. ქვა გადაიქცა საფლავად და დაერქვა კოპალას ქვა" (M[1], 83, რვ. 6, გვ. 65).

ამავე კოპალას ქვას ანუ კოპალას, „საბძანებელ" ქვასთან დაკავშირებით ალეკსიანოვი ბიჭურ ბადრიშვილის მონათხრობს: „ნალახტევი როა, არც ხავსი ნოეკიდება, დამწვარია. ხიდი როა, იმის ზევით ნიშია. ქვა რო დაუგდებინებია, ის ქვა არის, როგორც ჩანს, ტრაპეზის ქვა; ის ეკლესიის ქვაა. მოუპარია ეგ ქვა დევსა. მასწევია კოპალა და დაუგდებინებია. ამ დროს ხომელები მოდიოდნენ გზაზე და ხარები დაუშველებიათ იმ ქვის მოსატანად და დასადგმელად უძილაურთ ხატის სახელზე კართანაში. მერე დანადებათა ჰქონდათ ხომლებსა: აღდგომის სამშაბათს მოვიდოდნენ უძილაურთ კოპალას ხატში ხარ-გუთნითა, ხატის ხოდაბუნების ნადს დაეშველებოდნენ, მოხნავდნენ და მერე ნადი რო გათავდებოდა, სავალდებულოდ ჰქონდათ, კოპალას ხატისათვის გუთან-უღელი უნდა შეეწირათ. ხარები უკან მიჰყავდათ და გუთან-უღელს სწირავდნენ. მაგალითად, იმან მაიტანა უღელი, ხარები არ მოუყვანია; ხარები ბანლაური (სოფელ უძილაურთელებისა) იყო, გუთნით კი მოხნაკდნენ და მერე შესწირავდნენ. ხომლებმა რო დააშველეს ხარები ქვის გადატანაში, ხატმა მაგათ ეს დანადები დაადო".

აქვე აღვნიშნავთ, რომ კოპალას ხატის ზემოთ მთის ფერდობზე არის ეკლესია. რომლის კედლებიღაა შემორჩენილი. სიბნელის გამო ამ ძეგლის დეტალური დათვალიერება ჩვენ ვერ შევძელით. წინასწარი შთაბეჭდილების მიხედვით ეს ნაგებობა VIII—X საუკუნისა უნდა იყოს. მაღაროსკარის საშუალო სკოლის დირექტორმა გიორგი თურმანაულმა გადმოგვცა, რომ ამ ეკლესიის კედლებზე „ჯვრებიანი წარწერები და ჯვრებია გამოყვანილიო“.

როგორც ცნობილია, გასული საუკუნის 80-იან წლებში ფშავში იმოგზაურა მ. კოვალევსკიმ, რომელსაც გზად მიმავალს ზემოაღწერილი კოპალას ხატი უნახავს.

მ. კოვალევსკი წერს. По желанию св. Нины в Пшавию для проповеди христианства был послан монах Копала, родом из Греции. «Он поселился на правом берегу Арагвы, в небольшом расстоянии от Чаргаля. Место это доселе носит в глазах не одних пшавов, но и их соседей хевсур характер святилища. Путь из Магароскари, самого южного из пшавских селений в Чаргал проходит мимо капища, сооруженного верующими в этом месте. Я имел поэтому возможность осмотреть его лично. Подобно другим однохарактерным святилищам, Копала Цминди (таково имя, под которым оно известно пшавам) не представляет ни малейшего сходства ни с церковью, ни с часовней. Четырехугольный необтесанный камень, окруженный природным полукругом таких-же камней, носящих все признаки сидения, и рядом сложенный из необделанных плит конусообразный свод с прикрепленным к нему металическим колоколом — вот все, что находит здесь путешественник, приготовленный ходячими описаниями к совершенно иному зрелищу. Никаких развалин древняго храма, о которых упоминает г. Сослани, здесь нет и помину[24]. Главным предметом почитания является уже упомянутый четырехугольный камень, стороны которого представляют заметные углубления. К его поверхности пшавы прикрепляют во время праздника несколько восковых свечей согласно обычаю доселе ходячему в восточной церкви. Для пшава Копала Цминди своего рода Киев или Рим. Здесь по преданию Копала вступил впервые в ожесточенную войну с злыми духами, т. н. деви»[25].

ამ ციტატასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ იგი მართლაც გამვლელის დაკვირვების შთაბეჭდილებას ტოვებს. მკვლევარს რომ თავი შეეწუხებინა და ხატიდან ცოტათი ზემოთ ასულიყო, ეკლესიასაც ნახავდა და აჩქარებით არ დაასკვნიდა «никаких развалин древного храма, о которых упоминает г. Сослани, здесь нет и помину». არც ის არის მართებული, თითქოს კოპალა პირველად აქ შეება დევებს. როგორც ზემოთ დავინახეთ, თქმულების თანახმად მანამდე კოპალა დევებს შეერკინა ირემთკალოზე და მათი ნაწილი იქვე დახოცა, გადარჩენილები შეეხიზნენ აქ კართანას. ხოლო თავდაპირველად, ერთ-ერთი ფშაური თქმულების მიხედვით, კოპალა ჯაშარის გამოსავალში, საპარავის ყელში ჩაუსაფრდება დევების მეფეს მუსას და ლახტით ჰკლავს მას. „აქედან იწყება კოპალას და იაკსრისაგან დევების ხოცვის ამბები“ (M[1], 83, რვ. 6, გვ. 63, 65).

---

[24] См. Новое обозрение, 1886, № 761.

[25] М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, М., 1890, т. II, стр. 66—68.

4) ლაშარის ჯვრის ნიში-მარანი და საზედაშე ქვევრები (სოფ. ბაზალეთი)

ბაზალეთი მრავალგვარიანი სოფელია. ერთ-ერთი გვარის — ნათელაშვილების წინაპარი წარმოშობით ფშაველია, უძილაურთ თემიდან. 1947 წლის ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მუშაობის დროს სოფელ ბაზალეთში ჩვენი მთხრობელი იყო 89 წლის ფარინე (გიორგი) ნათელაშვილი. ფარინეს სახლს აკრავს ნათელაშვილების მკვიდრი სალოცავი — ლაშარის ნიში — მარანი და საზედაშე ქვევრები, რომლებიც ჩვენ ადგილზე დავათვალიერეთ. ფარინემ თავის გვარისა და სალოცავის შესახებ შემდეგი მოგვითხრო: „ნათელაშვილები ფშაველები, გვარად უძილაურნი. მაგრამ თავდაპირველად ხევსურეთის სოფელ უკანახოდან ფშავში წამოსულან სამი ძმანი: გელანა, ბაგრატა და დათიკო. იქიდან ჯერ ჟინვალის მახლობლად, სოფელ ავენისში გადასახლებულან, ხოლო შემდეგში ბაზალეთში გადმოსულან.

როდესაც ეს სამი ძმა ბაზალეთში მოვიდა, აქ მათ დახვდათ ლალიაანი, ნატრაძიაანი და ეპიტაანი. იმათ უთქვამთ — ეს ძმები აქ დავაყენოთ, ლეკებს არ მოუშვებენო და დაუსახლებიათ ბაზალეთის წმ. გიორგისთვის შეწირულ ადგილებზე. ამიტომაც ნათელაშვილები ამ ხატს ჩაბარდნენ. იქაური სოფლელები საეკლესიო ყმები იყვნენ. ნათელაშვილებიც საეკლესიო ყმები გახდნენ, რადგან ისინიც საეკლესიო მიწაზე ესახლნენ და საეკლესიო მიწებს ამუშავებდნენ.

ნათელაშვილებსა და ნატრაძიანებს ერთმანეთში ნათელმირონობა ჰქონდათ ისევე, როგორც ლალიაშვილებსა და ნათელაძეებს.

ბაზალეთის წმ. გიორგის დეკანოზი ლალიაშვილებიდან და ნათელაშვილებიდან დგებოდა.

უძილაურების შთამომავლობის სამი ძმა ბაზალეთში უკვე ნათელაანთ გვარს ატარებდა და სამ საძმოდ იყო გაყოფილი. გელანას შთამომავლობა პაპაანი და დათიკოს შთამომავლობა — ძაღლაური ან დათიკაანი.

როდესაც ბაზალეთში ჩამოსულან, მაშინ გელანას თან ლაშარის ჯვარი გამოჰყოლია და მის სამოსახლო ადგილის გვერდით „დაბრძანებულა". იმ ადგილას ნათელაანთ ლაშარის ნიში და მარანი გაუშენებიათ (შდრ. M[1], 83, რვ. 29, გვ. 355):

ლაშარის ნიში, resp, მარანი მარტო ნათელაანთია. ამ გვარიდან დგებოდა ლაშარის ნიშის დეკანოზი და ერთი მნათე — რიგით. დეკანოზი ამავე დროს ქადაგის ფუნქციებსაც ასრულებდა.

ლაშარის მარანში, რომელიც ამასთანავე ლაშარის ნიშიც იყო, ჩვენ გვიჩვენეს სამი ქვევრი ე. წ. ზედაშე მიწაში დაფლული. ფარინე ნათელაშვილმა განმარტა: თითოეული ერთკოკიანი (—70 ლიტრა) არისო. ერთი ზედაშე ეკუთვნოდა თევდორაანთ, მეორე — პაპაანთ და მესამე ძაღლიკაანთ. ღვინოს ჭილურტში ყიდულობდნენ და ამ ქვევრებში ასხამდნენ. ზედაშედ წითელი ღვინო ერჩიათ. ამ ღვინოს ხარჯავდნენ ან საღმრთოში, რომელიც ხვნის წინ იმართებოდა, ან ლაშარის ჯვარის, გმირი კოპალეს, წმინდა გიორგისა და თამარ დედოფლის დღეობებზე, რომელიც მკათათვის პირველს მოდიოდა. ზედაშეებს მაშინ მოხსნიდნენ პირს. როცა ზედაშეებს საღმრთოში მოიხმარდნენ, მაშინ შეიძლება კიდევ ეყიდათ ღვინო და კვლავ ჩაესხათ ქვევრებში მომდევნო დღეობისათვის. საღმ-

რთოს გადახდისას სამივე ძმის შთამომავლობა საერთო საკლავს იყიდდა და მაცხოვრის სახელზე დააკვლევინებდა.

III. გოგოჭურთ თემი

ა) მთავარანგელოზის სათემო ხატი (სოფ. ცაბაურთა)

გოგოჭურების თემის ძირითადი ადგილსამყოფელი სოფ. ცაბაურთა იყო. აქედან წასული გოგოჭურები ბევრგან ცხოვრობენ — ფშავისხევის სოფლებს გარდა, ფშავის არაგვისა, მთიულეთის არაგვისა და ივრის ხეობებში.

სოფ. ცაბაურთა მდებარეობს ᲫᲗᲘᲡ შეფენებაზე, ზღვის დონიდან 2050,65 მ სიმაღლეზე. აღმოსავლეთით მისი მეზობელია სოფ. გოგოლაურთა, ხოლო დასავლეთით სოფ. უძილაურთა; სოფლის სამხრეთით, ქვემოთ მდ. ფშავის არაგვი მიედინება, ხოლო ჩრდილოეთით მაღალი მთებია აზიდული. სოფელს ორი ხევი ჩამოუდის: ღუნხევი და ნაროულასხევი.

სოფ. ცაბაურთის ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით რამდენიმე ხატია როგორც სათემო, ისე სასოფლო.

გოგოჭურების სათემო ხატი შენობათა ორ კომპლექსს მოიცავს. ამათგან ერთი კომპლექსი მდებარეობს სოფლის თავზე, ღუნხევთან*. აქ არის ორი გალავანი, თითოეული ორი ნაგებობით. ერთი გალავანი მდებარეობს მთის ფერდობზე, ხოლო მეორე იქვე, მთის ვაკე ადგილზე.

ამ უკანასკნელი გალავნის შიგნით მდებარე ნაგებობათაგან (ტაბ. 51ა) ჩრდილოეთის მხარეს ᲡᲐᲡᲐᲜᲗᲚᲔ ᲙᲝᲨᲙᲘᲐ — ფიქალი ქვისაგან მშრალი წყობით ნაგები კვრივი, გეგმაში კვადრატული ფორმისა, ექვსიარუსიან-სანაწვთებიანი პირამიდული თავხურვით და სამხრეთის მხარეს დატანებული საკმაოდ ღრმა შუკუმათი. სასანთლე კოშკის დასავლეთის მხარე ჩაქცეულია.

მეორე შენობა გაურკვეველი დანიშნულებისაა**. ისიც ფიქალი ქვისაგან მშრალი წყობითაა ნაგები და გეგმაში კვადრატის ფორმას უახლოვდება. აღმოსავლეთის კედელში გარედან დატანებულია ოთხკუთხა მოყვანილობის დიდი შუკუმი და ამავე კედლის თავზე გაწყობილია მთის ბროლის ქვები. დანარჩენი კედლები და სახურავი ჩამოქცეულია.

მთის ფერდობზე მდებარე მეორე გალავანშიც, როგორც ითქვა, ორი შენობაა (ტაბ. 51 ა, ტაბ. 52 ა) — საზარე კოშკი და ფერდობის ქვემო ნაწილში კვლავ გაურკვეველი დანიშნულების ნაგებობა.

* ამის გამო ხევისბრები ხუცობა-სადიდებლებში ცაბაურთას მთავარანგელოზის ხატს „ღუნ-ᲮᲔᲕ მაბურთალი ანგელოზის“ ეპითეტით მოიხსენიებდნენ.

** 1964 წელს, როდესაც ჩვენი ექსპედიცია ცაბაურთას ხატის დეტალურ აღწერას ახდენდა, სოფელში დარჩენილმა ერთადერთმა მოსახლემ ამ შენობის რაობაზე ვერაკითარი ცნობა ვერ მოგვაწოდა. მომდევნო 1965 წელს ივლისში ჩვენს ექსპედიციას გამოეყო ერთი ᲯᲒᲣᲤᲘ ექსპედიციის წევრებისა გ. ჩიტაიას. ი. ᲭᲝᲜᲘᲐᲜᲘᲡ, მ. ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲘᲡ, ᲔᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ, ნ. მაისურაძის და ვ. ბარდაველიძის შემადგენლობით, რომელთა მიზანს შეადგენდა ფშავის ხევიდან თიანეთის რაიონში გადასახლებულ მეთმეებთან მუშაობა, რათა დაგეზესტებინა საკითხების ის წყება, რომელთა შესახებ ადგილზე სათანადო მასალის შეგროვება ვერ მოხერხდა იმის გამო, რომ მცოცნე მთხრობლები ადგილზე არ აღმოჩნდნენ. კერძოდ საჭირო იყო ცაბაურთის სახატო ცენტრის ნაგებობების დანიშნულების გარკვევა. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ამ ᲯᲒᲣᲤᲛᲐ იმუშავა ცაბაურთიდან გადასახლებულთა ახალ ადგილსამყოფლებში და აგრეთვე ცაბაურთაში არაერთხელ ნამყოფ, 90 წლის ქადაგხევისბერ ნიკოლოზ დულუზაურთან ივრის ფშავის ლაშარის ᲯᲕᲐᲠᲨᲘ, საკითხი მაინც გაურკვეველი დარჩა.

საზარე კოშკი (ტაბ. 52 ა, ბ) შედგება კვადრატულ ფუძეზე ლამკირით ნაგები ოთხი სვეტისა, სვეტის თავებზე გადაყვანილი ცრუ თაღებისა და ხუთიარუსიან-სანაწვთებიანი ოთხფერდა სახურავისაგან. განსაკუთრებით საყურადღებოა ამ სახურავის გარეგან სახესთან ერთად მისი შინაგანი კონსტრუქცია, სახელდობრ ის, რომ იგი შიგნიდან კუთხური წყობის გვირგვინის მოყვანილობისაა, საზარეში თაღებს შორის გადებულია ძელი, რომელზეც ჯაჭვით ზარია ჩამოკიდებული. ზარზე ამოკაწრულია შემდეგი შინაარსის წარწერა: „შემოგწირეთ ეს ზარი ერთობლივ შენ ყმათ ცაბაურთას მთავარანგელოზს ქ ჩყლ3 წელს ჩვენს სამწყალობლოთა მოგვე შენი წყალობა“.

გაურკვეველი დანიშნულების შენობა (ტაბ. 51 ბ) ფიქალი ქვისაგან მშრალად ნაგები, გეგმაში სწორკუთხოვანი ფორმის სათავსოა, რომელიც ორიენტირებულია აღმოსავლეთიდან დასავლეთით. აღმოსავლეთის მოკლე კედლის კუთხეში დატანებული კარით სათავსოში შესული პირი ხედავს იქვე ხელმარჯვნივ ჩრდილოეთის კედელში დატანებულ შუკუმას, რომელ'ზიც — უეჭველია, ისევე, როგორც ფშავ-ხევსურეთის საკულტო ნაგებობათა ყველა სხვა მსგავს შუკუმაში — სახატო დღეობების დროს ღვთისშვილთა სადიდებელ თას-განძს აწყობდნენ, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხესთან ფიქალი ქვისგან მოწყობილ საჯდომს. შენობის სახურავი ჩაქცეულია და კედლებიც ძალზე დაზიანებული.

მთავარანგელოზის სათემო ხატის ნაგებობათა მეორე კომპლექსი გაშენებულია ღუნხევის აღმოსავლეთით, მთის დავაკებაზე, რომელსაც ბეღლისკარი ეწოდება. ბეღლისკარზე აგებულია: ძველი საზარე, სასანთლე კოშკი, რომელიც ამჟამად მთლიანად დანგრეულია, დაფარებული საჯარე, სალუდე, კვლავ საზარე კოშკი, დარბაზი, საბერო ბეღელი და გაურკვეველი ფორმისა და დანიშნულების შენობების ნაშალი, რომელთა თუნდაც მარტო გეგმების დადგენა საგანგებო გათხრებს საჭიროებს.

ბეღლისკარს სამხრეთიდან ესაზღვრება ე. წ. დედაკაცების გორი — მანდილოსნების სადგომი სახატო დღეობების დროს. დედაკაცებს არ შეეძლოთ ამ გორის ჩრდილოეთის საზღვარი გადაელახათ და ბეღლისკარზე, ღვთისშვილის ამ მიწიერ საბრძანისზე გადასულიყვნენ, ვინაიდან ქალი უწმინდურ არსებად ითვლებოდა.

დედაკაცების გორიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით ძველი საზარე კოშკია — ლამკირით აშენებული ოთხსვეტიანი ნაგებობა. ცრუ თაღებით ერთმანეთთან-დაკავშირებულ სვეტებზე აღმართული ხუთიარუსიან-სანაწვთებიანი ოთხფერდა სახურავით, რომელსაც შიგნიდან ქვაში გამოყვანილი პრიმიტიული გვირგვინის ფორმა აქვს (იხ. ტაბულაზე „ჭერის ხედი“). ძველ საზარეს ზარი აღარ გააჩნია.

დაფარებული საჯარე (ტაბ. 59ა) ფიქალი ქვისაგან მშრალი წყობით ნაგები, გეგმაში მოგრძო სწორკუთხოვანი ფორმის შენობაა. შენობის სიმეტრიის ღერძზე აღმართულია კულა და ორი ხის სვეტი. მას აქვს ნივნივებით გაწყობილი ორქანობიანი სახურავი, რომელიც ნაწილობრივ ჩაქცეულია.

ფშავის სხვა — მაგალითად, ლაშარისჯვარისა და სოფელ ახადის პირქუშის ხატის საზამთრო საჯარეების მსგავსად, ცაბაურთის მთავარანგელოზის ხატის დაფარებულ საჯარეს ორი შესასვლელი აქვს ერთმანეთის მოპირდაპირე მოკლე კედლებში დატანებული, — ერთი აღმოსავლეთის კედლის კუთხეში და მეორე დასავლეთის კედლის კუთხის მახლობლად. ორივე შესასვლელს შერჩენილი აქვს ხის კარი. ეს შენობა ძველად ორად ყოფილა გაყოფილი—აღმოსავლეთის და და-

სავლეთის მხარეებად. დასავლეთის მხარე განკუთვნილი იყო რიგითი მეთემეების სადგომად, ხოლო აღმოსავლეთის მხარეს ხევისბრები დგებოდნენ. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ამ ნაწილის შიდა მოწყობილობა. აქ, ჩრდილოეთის კედლის პირას ქვის დაბალი საკურთხეველია, ე. წ. ქადა-კვერის საჭრელი ანუ სასუფეველი, რომელიც ჯვარ-ხატის შენობებისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთ დგამეულის, ქვის მერხის მსგავსია. აქვე, აღმოსავლეთის კედელში დატანებულია წყვილი სასანთლე შუკუმა და მათ შორის კედლის წყობიდან გარეთ გამოზიდული ფიქალის თარო (კონსოლი) — სალუდე თასების გასარიგებლად „წმინდა" ლუდით ღვთისშვილთა გადიდების დროს. შენობის ამავე ნაწილში, ოთხივე მხარეს კედლებისა და კულის გასწვრივ, გაწყობილია სიპის მერხები და სვეტის მახლობლად შუაცეცხლია გამართული. შუაცეცხლთან მიწურ იატაკზე ჩვენ ვნახეთ ტაგრუცის ნამსხვრევები, შამფური, ხის ჯამი, ირმის რქები და იქვე დაყრილი ნასუფრალი — საქონლის ძვლები. ამის შემდეგ აშკარა უნდა იყოს, რომ დაფარებული საჯარის აღმოსავლეთი ნაწილი, ღვთისმსახურების მთავარი ადგილი და ქურუმთა სადგომი უნდა ყოფილიყო უძველესი ხანიდან, ვინაიდან ჩვენ მიერ საჯარეში ნახული სასუფეველი იმ არქაული ტიპის საკურთხევლებს განეკუთვნება, რომლებსაც ქვის საჯდომის ფორმა ჰქონდა.

სალუდე (ტაბ. 59) მდებარეობს დაფარებული საჯარის აღმოსავლეთით. იგი ფიქალი ქვის მშრალი წყობით ნაგები, გეგმაში სწორკუთხოვანი ფორმის შენობაა, ორქანობიანი სახურავით გადახურული და აღმოსავლეთის მოკლე კედელში დატანებული ორფრთიანი ხის კარით. ამჟამად სახურავის სამი მეოთხედიღაა გადარჩენილი.

სალუდეს ცენტრის ხაზზე აღმართულია ორი შეწყვილებული ხის სვეტი, რომლებსაც ზემოდან თავხე ეყრდნობა. ჩრდილოეთის კედლის გასწვრივ დგას სპილენძის ფურცლებისაგან სპილენძისავე ლურსმნებით შეკერილი დიდი ისარნა (მისი სიგრძეა 3,19 მ, სიგანე 0,74 მ, სიმაღლე 0,5 მ) ისარნას გარე პირი გეომეტრიული სახეებითაა დაჭრელებული. ამავე კედელში დატანებულია შუკუმი და ქვის თარო.

ისარნას გასწვრივ ხის გეჯა და დიდი კასრი დგას და იქვე შვიდი ცალი ხის კედია, — ლუდის წვენის დასაწურავი წნეხები. ისარნას თავზე მოწყობილია ხარიხა სალუდე ტომრების ჩამოსაკიდებლად. სალუდეს სამხრეთის კედლის გასწვრივ ორი საქობეა (||საცეცხლური) აგებული და მათში ჩადგმულია დიდი მოცულობის სპილენძის სალუდე ქვაბები (ტაბ. 59); ამათგან ერთი ყურშატებზე გამობმული ჯაჭვით სახურავის კავზეა (ნივნივზე) ჩამოკიდებული.

სალუდეს აღმოსავლეთით მდებარეობს მეორე საზარე კოშკი. ს ა ზ ა რ ე (ტაბ. 58) ქვა-კირით ნაგები, სვეტებიანი, გარედან შელესილი ნაგებობაა, ექვსიარუსიან-სანაწვთებიანი ოთხფერდა სახურავით და თავზე წოწოლა ქვით — საათაურათი. სვეტის თავები ერთმანეთთან დაკავშირებულია ცრუ თაღებით. კოშკის სამხრეთის ფასადის ერთ-ერთ სვეტში დატანებულია პატარა სასანთლე შუკუმა, რომლის ძირის ქვა კედლის არიდან კონსოლადაა გადმოწეული. საზარეს სახურავი შიგნიდან გვირგვინის მოყვანილობისაა. გვირგვინის შუაწელზე დამაგრებულ ძელზე ჯაჭვით ზარი ჰკიდია. ზარის ენაზე გამობმულია საკადრისი და საკადრისსაც თავის მხრივ მიბმული აქვს ზარაკი.

საზარე კოშკის სამხრეთ-აღმოსავლეთით შეიმჩნევა ძველი ყორის გალავანი, რომელიც თითქმის სავსებით დარღვეულია.

სახარე კოშკის მახლობლად დგას დ ა რ ბ ა ზ ი (ტაბ. 57 ა) — ფიქალი ქვისგან მშრალი წყობით ნაგები. გეგმაში სწორკუთხოვანი ფორმის შენობა, ოიბელიც დასავლეთ ნაწილში აღმოსავლეთ ნაწილზე დიდია, რადგან დასავლეთის კედელი სიგრძით 0,5 მ სჭარბობს აღმოსავლეთის კედელს. დარბაზს შემორჩენილი აქვს ორფერდა სახურავის ნაწილი კეზიანად დაა კეზზე დამაგრებული რამდენიმე კავით; კეზი გადებულია შენობის ცენტრში აღმართულ კულასა და მოპირდაპირე კედლების თავებზე. აქ, ამ გადარჩენილი სახურავის ქვეშ იატაკზე სიპები აგია და აქვე კედელთან გამართულია ქვის „სკამები“.

ამავე აღმოსავლეთის, ე. ი. ყველაზე მოკლე კედლის მარცხენა კუთხეში კარის ღიობია დატანებული. აქედან კარგად მოსჩანს მის პირდაპირ, დასავლეთის კედელში, ერთმანეთის გვერდიგვერდ ორი პატარა შუკუმა, შემოსასვლელთან ხელმარცხნივ სამხრეთის კედელში დატანებული მესამე შუკუმა, რომელშიც წყვილი ირმის რქა აწყვია, და კვლავ აღმოსავლეთის კედელში ხელმარჯვნივ კუთხესთან კიდევ ერთი, შედარებით დიდი ზომის შუკუმა.

ჯვარ-ხატების შუკუმაები უმთავრესად თჟს-განძის საცავებსა და სასანთლეებს წარმოადგენენ. ხოლო ღვთისშვილთა მსახურების მთავარი ადგილი დარბაზში ამ შენობის ცენტრია შუაცეცხლთან. აქ ამისათვის მოძრავი რკინის ან ხის მრგვალი ფორმის სამფეხა ან მოგრძო ოთხკუთხა ფორმის ოთხფერდა ტაბლა-საკურთხეველი იდგმებოდა ხოლმე; ზოგან კი მოძრავი საკურთხევლის ნაცვლად პირდაპირ შუაცეცხლზე დიდი ზომის თხელ სიპებს დააფენდნენ. ცაბაურთას ხატის დარბაზის ცენტრში, როგორც ითქვა, აგებულია კულა 2 მ სიმაღლის. ჩრდილოეთის მხარეს კულა ძირიდან 1/2 მ სიმაღლეზე უფრო განიერია, ვიდრე მის ზემო ნაწილში. ამ განიერ ნაწილზე დაყრდნობილია დიდი ზომის სიპი, რომელიც კედლის პირიდან გარეთაა გამოზიდული. საკურთხევლის როლი სწორედ ამ კონსოლს ჰქონდა დაკისრებული. უეჭველია, ამ საკურთხეველს ემსახურებოდა პატარა სასანთლე შუკუმა, რომელიც მარჯვენა მხრიდან კულას წყობაშია დატანებული.

დარბაზის მთავარი ფასადის წინ დარბაზისკარია. მას ყორის გალავანი არტყია. გალავნის გადაღმა გაურკვეველ ნაგებობათა ნაშალია.

დარბაზის მახლობლად, მისგან ჩრდილოეთით მდებარეობს მრავალმხრივ ამ დარბაზის მსგავსი შენობა (ტაბ. 57ბ), რომლის ფუნქციისა და სახელწოდების დადგენა ჩვენ ვერ მოგვიხერხდა. იგი ნაგებია ფიქალი ქვისგან მშრალი წყობით და გეგმაში სწორკუთხოვანი ფორმისაა; ამასთან ერთად მისი მთავარი ფასადის კედელი, დარბაზის მსგავსად, მოპირდაპირე კედელზე მოკლეა; ამ მოკლე კედლის მარცხენა კუთხეში კარის ღიობია დატანებული. ღიობიდან ჩვენ ნათლად ვხედავთ შენობის ცენტრში აღმართულ კულას, რომელიც აქაც, ისევე როგორც ზემოაღწერილ დარბაზში, ორგვარ ფუნქციას ასრულებდა. იგი იყო თავხის (კეზის) შუა წელის საყრდენი (კეზის ბოლოები კი დაყრდნობილი ყოფილა მოპირდაპირე მოკლე კედლების, ამჟამად ჯერ კიდევ შემონახულ ზედა მახვილკუთხა ნაწილებზე, რომელთა მიხედვით ცხადი ხდება, რომ შენობის აწ დაქცეული სახურავი ორქანობიანი უნდა ყოფილიყო), ხოლო მეორე მხრივ, კულა საღვთისმსახურო რიტუალის შესასრულებელ ადგილს წარმოადგენდა. დასავლეთის მხარეს კულაში დატანებულია სასანთლე შუკუმა, რომლის ძირის ფილა კულას წყობიდან კონსოლად არის გარეთ გადმოწეული. ამას გარდა, სხვადასხვა ზომის წყვილ-წყვილი შუკუმები დატანებულია სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლებ-

ში. დაბოლოს, ამავე ჩრდილოეთის კედლის გასწვრივ განლაგებულია ქვის „სკამები“ ფშავის საკულტო ნაგებობებში ფართოდ გამოყენებული კონსტრუქციული ფორმის: აქ „სკამებად“ იწოდება მოზრდილი სიპის ქვები, რომლებიც მშენებლობის დროსვე ნაწილობრივ კულას წყობაშია ჩამაგრებული და კედლის პირად კონსოლებად გადმოწეული.

ბეღლისკარის ჩრდილო-აღმოსავლეთით ბ ე ღ ე ლ ი ა. ფშავ-ხევსურეთის ჯვარ-ხატების ნაგებობებს შორის ეს ბეღელი ერთ-ერთი ბრწყინვალე არქიტექტურული ძეგლია, რომელიც დღემდე შედარებით კარგადაა შემონახული.

პირველად ეს ძეგლი 1949 წელს გამოვაქვეყნე ჩემს ნარკვევში „Земельные владения древнегрузинских святилищ“[26]. 1948 წელთან შედარებით, როდესაც ის პირველად ადგილზე შევისწავლეთ, ამ ძეგლს თითქმის არავითარი ცვლილება არ განუცდია. რამდენადმე გამკრთალებულია წითელი ფერის ჯვრების გამოსახულება სამხრეთის კედელზე.

ცაბაურთის ხატის ბეღელი (ტაბ. 55 ა, ბ; ტაბ. 56) გეგმაში კვადრატული ფორმის, ოღონდ შიგნიდან რამდენადმე კუთხეებმომრგვალებული, ქვა-კირით ნაგები და კირით შელესილი შენობაა. მას თავზე ადგია თორმეტიარუსიან-სანაწვეთებიანი პირამიდული სახურავი, რომელიც ბეღლის შიგნით ცრუ გუმბათის ფორმისაა. იატაკზე სიპის ბრტყელი ქვები აგია, რომლებსაც ზემოდან კირი აქვს მოყრილი.

ბეღლის მთავარი ფასადი აღმოსავლეთის მხარეზეა. აქ კედელში ჩვეულებრივზე მაღლა გაჭრილია კარის ღიობი. მასთან მისასვლელად გარედან კედლის პირად ძევს დიდი ლოდი, რომელიც საფეხურის ფუნქციას ასრულებს. კარის თავზე საშუბლეა — კედელში ჩაშენებული ქვის ფილა, რომელიც კედლის პირიდან წინაა გამოწეული. კარი მუხისაა, ორფიცრიანი, ფიცრები ხის ლურსმნებით დამაგრებული ბასკებითაა შეკრული. იგი თავისი საყუნწურებით ჩასმულია კარის თავისა და ზღურბლის ქვის ფოსოებში. კარის სახელური რკინის რგოლია, იკეტება გარედან ხის ურდულით, რომელიც კედელში დატანებულ ღრუში მოძრაობს.

ბეღელში აგებულია სამთვლიანი ხის ამბარი ანუ აკო, როგორც მას უფრო ხშირად უწოდებენ ფშაველები. შუა თვალი პატარაა, გვერდითი თვლები კი მოგრძო ოთხკუთხოვანი ფორმის ყუთებია. აკოს თვლის ხის სვეტები მთელ სიმაღლეზე ამოღარულია და ამ ღარებში ჩასმულია გათლილი ფიცრები, რომლებიც თავისუფლად მოძრაობენ. კარის სიმაღლეზე შიგნიდან კედელში დატანებულია შუკუმი. სამხრეთის ფასადის კედელზე წითელი საღებავით ჯვრებია გამოსახული.

ხატის ბეღელი ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს ადამიანზე. თავისი ფუნქციით იგი განკუთვნილია ხატის პურეულის შესანახავად. ამასთანავე იგი უწმინდეს ნაგებობად ითვლებოდა. ბეღელში შესვლა მხოლოდდამხოლოდ ერთ პირს შეეძლო, ე. წ. მეპურე ხევისბერს და ისიც მაშინ, როცა ის „მოწმინდარი“ იყო,

[26] ჟურ. «Советская этнография» (СЭ), в. I, Москва, 1949. ამ ნარკვევის გამოქვეყნების დროისათვის ავტორს ჯერ კიდევ არ გააჩნდა მასალები იმის თაობაზე, რომ სახატო ღღეობებზე ხატში დაგროვილი სურსათ-სანოვაგე და სასმელები არათანაბრად ნაწილდებოდა. მის დიდ ნაწილს ადგილობრივი თეოკრატიული ხელისუფლება იტოვებდა, ხოლო ამაოდან ყველაზე უფრო მეტი წილი ქადაგსა და ხუცეს-ხევისბრებს ხვდებოდათ ხოლმე.

უწინდელ დროში ამ კონსტრუქციის ნაგებობას სხვა დანიშნულებაც ჰქონია, როგორც ამას დავინახავთ ჩვენი ამ შრომის მომდევნო ტომში.

ბელლისკარის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ნაროულასხევის თევზე, მის მარჯვენა მხარეს **მ ზ ი ლ ა** მდებარეობს. მას შემდეგ, რაც ცაბაურთელები თავის სამთო მთაწმინდის სალოცავზე (იხ. ქვემოთ) აღარ ადიოდნენ, მზილაზე ააგეს დარბაზი, კვრივი და საზარე (რომლებიც ამჟამად დანგრეულია). ამიერიდან იქ, მზილაზე ასრულებდნენ ამ წესებს უმთავრესად ახალწელიწადთან დაკავშირებულს, რომლებიც მანამდე მთაწმინდაზე სრულდებოდა. მთავარანგელოზის ხატის მეპურე ხევისბრის დაყენებაც თავდაპირველად მთაწმინდაზე და შემდეგ მზილაზე ხდებოდა.

ბელლისკარისა და ღუნხევის ტერიტორიაზე აგრეთვე სხვა ხატების ნაგებობათა კომპლექსებია, მაგრამ ისინი სასოფლო მასშტაბისანი არიან. ამიტომ მათ ქვემოთ ცალკე აღვწერთ. აქ კი აღვნიშნავთ, რომ მთლიანად ცაბაურთის მთავარანგელოზის ხატსა და მის სასოფლო ხატებს სოფლის ტერიტორიის 24 ჰა უჭირავს.

ამ ფართობში არ ივარაუდება ცაბაურთელების **ს ა მ თ ო ს ა ლ ო ც ა ვ ი**, რომელიც სოფლის ჩრდილოეთით მაღლა მთაწმინდის მთაზე მდებარეობს. მთხრობელთა ცნობით ამ სალოცავში საზარე კოშკია, ხოლო წინათ საბეროც ყოფილა.

მთაწმინდის სალოცავთან შემდეგი გადმოცემაა დაკავშირებული:

„ახალწელიწადს დადენილან მეკვლენი, ‚ჭევისბერნი მთაწმინდას. ერთხელ როცა ახალწლის ღამეს იქ იყენენ, დიდი თოვლი მოსულა. მეორე დილას[27] ჭევისბერი ჩამოუძღვა მლოცველებს წინ თავის დროშით და იმას ფერჭისაით მოყვებოდა ხალხი.

ჭევისბერს (თურმე) დროშა ხელში უჭირავს, წილობები კალთაში მოაქვს და წინ მოდის თავჭევისბერი რომ იყო, (იქ) მოწყდა, გაუსკდა ზოვი, და ის წამოიღო ზოვმა; დიდი ქვა—სასუფრე, სატაბლე, რაზედაც აწყობდნენ (ტაბლებს), ისიც თან გამოაყოლა. როცა მზილას მოაღწია ზოვმა ის ქვა ცოტა ზენად დადგა, ის კაცი კი ჭევზე დააყენა. ზოვი რომ შეჩერდა, ჭევისბერი ფეხზე იდგა, დროშაც და წილობებიც რიგზე იყო, არაფერი დაბნევია. ჭევისბერი თოვლიანი იყო. დაიბერტყა თოვლი და უთხრა (მთავარანგელოზს) — დროშა გადაგირჩინეო. არ დაუფასა ჭევისბერმა და აქეთ შეედავა, — მე გადაგირჩინე დროშაო. მერე, რომ ვერ შეაგნებინა ხატმა. აღარ აჭევისბრა და მოკლა. იტირა იმისმა ნათესავმა (ასე):

ნეტაი შენა ბედსა შენსა,
ხოხორდაულო გამახარეო,
მთაწმინდით წამოგიღო ზოვმაო,
მზილას ფეხზედავ დაგაყენაო,
კალთას ნახევნი წილობანიო
ცოლ-შეილთაე მიეტანენ შინაო“.

და მერე მთაწმინდას აღარ მიდიოდნენ“.

განსაკუთრებით საყურადღებოა ამ თქმულების ვრცელი ვარიანტი, ფიქსირებული 1947 წელს მთავარანგელოზის თავხევისბრის 64 წლის ლევან თათარა-

[27] სიტყვასიტყვით მოთხრობილია ასე: „როცა ახალწლის ღამეს აქ იყენენ, მეორე დილას დიდი თოვლი მოსულა“.

შვილისაგან, რომელიც სოფელ ჩარგალში ცხოვრობდა. მოგვყავს მისი მონათხრობი:

„ერთხელ უძველეს დროს მთაწმინდას მეკვლეთ დიდი თოვლი მოუვიდა. ლიტანია დღეს ცოტას შეიცვალა ამინდი, მაგრამ მეკვლენი მაინც ავიდნენ მთაწმიდას. ყველა წესები შეასრულეს. დაიწყო ღამე თოვა, დილისათვის ყელამდინ თოვლი დაიქცა და წამოსვლა აღარ იცოდნენ როგორ მოეხერხებინათ. სადღეობო მთაწმინდა ისეთ გორაზე არის, რომ გარშემო სულ საზოვე ადგილები ახვევია და დაქანებული გვერდალი კლდეები. ხან ერთ მხარეს მოემზადნენ და ხან მეორეს (წამოსასვლელად), მაგრამ წამოსვლა ვერ გაბედეს. ბოლოს ჭევისბერი გააქადაგა მთავარანგელოზმა. ჭევისბერი გამახარე იყო ხოხორდაული. აიღო ხელში სამი ვერცხლის თასი, მხარზე დროშა გაიდო და ქადაგობით პირდაპირ საზოვე კლდეზე დაეშო პირთავქვე. ხალხი ვერ გადაყვა. გატყდა მთის დიდი ზოვი და წამოიღო ჭევისბერი. ზოვმა ერთი დიდი კლდე წამოიღო, თავზე განიერი იყო ეს კლდე და ჭევისბერი ამ კლდეზე ზედ მოხვდა დამჯდარივით. ზოვმა კლდე ვერსნახევარზე ისე წამოიღო, რომ გვერდი არ გადაუქცევია და ჭევისბერიც თან ჩამოიყოლა. ჩამოვიდა ხატი პირდაპირ ადგილობრ მზილას. ჭევისბერი, ისე მშვიდად ჩამოვიდა, რომ გულიც არ შეშინებია. ზოვი და კლდე რომ გაჩერდა, ჭევისბერი მშვიდად გადმოვიდა ზოვის ჩამოტანილ კლდეზეით და დროშის წკარუნით გამოვიდა ხატში. დროშაც მხარზე ედო და თასებიც ისევ ჭელში ეჭირა.

მთაწმინდას ხალხი შეშინდა და დაეშვნენ ნაზოვარზე პირთავქვე. რას წარმოიდგენდნენ თუ ჭევისბერი ცოცხალი დარჩებოდა. რომ ჩამოვიდნენ, ნახეს კვალი მოდის ბეღლისკარისკენ. გამოჰყვნენ და ნახეს გამახარე ჭევისბერი საბეროში იჯდა და მთაწმინდის ზოვის ამბებს უამბობდა. ჭევისბერმა რომ გამოიარა, მოვიდა დროშის საბძანთან, დროშა დაბძანა, ზარი დარეკა, მოვიდა მეკვლეთ ნარჩენ ხალხთან, გოგა[28] შეუგორა, ახალი წელი მოულოცა. ამ ხალხმაც დაინახა ზოვი და კლდეზე ნაჯდომი გამახარეც და დიდის მოკრძალებით შეხვდნენ იმის მოსვლას როგორც ხთიშვილისაგან გადარჩენილ კაცს და ამის შემდეგ გამახარეს ხთიშვილთან ერთად სცემდნენ პატივს. მეკვლენიც რომ მოვიდნენ, ამ ამბის მნახველთ მისი გადარჩენა სასწაულად ეჩვენებოდათ და არც კი სჯეროდათ, თუ ის მართლა გამახარე იყო.

ის კლდე, რომელზედაც გამახარე იჯდა და ზოვმა ისე ჩამოიტანა, ახლაც მზილას არის და იმის ახლოს მრეული ქალი არ გაივლის. პატივს სცემენ, როგორც წმინდა ადგილს.

ხოხორდაული რომ პირველად ზოვმა წამოიღო, მაშინ შამასძახნა: „მიშველე მთავარანგელოზო“-ო. როცა გადარჩა, იმის შემდეგ ხატმა ისევ გააქადაგა (ჭევისბერი) და სთქვა: „წინწინ რომ შამომძახე ერევანში ვიყავიო, მეორედ რომ შამომძახნე კახეთს ვიყავი და მესამედ რომ შამომძახნე მთაწმიდას ვიქენი და მოგეშველე კიდეცაო“. ლექსის მსგავსადაც არის აღნიშნული ეს ამბავი. ამბობს მთავარანგელოზი:

„წინწინ რომ იძახე მსახურო, ერევანს ვიყავ ყმისასა.
მეორედ რო იძახენ მსახურო, თავს ვიქენ კახეთისასა,
მესამედ რო მიძახენ, წვერს ვიქენ მთაწმიდისასა.
მალედავ ჩამოგეშველე, მადლსა იმ შენის ხთისასა“.

---

[28] სამეკვლეო პური.

მერე ამ ჯევისბერმა დაიკვეხნა: „მთავარანგელოზო, ჩემმა დავლათმა გიშველა, თორო დროშაც დაგეკარგებოდა, თასნიც და ჯევისბერიც მოგიკვდებოდაო“. ეს იწყინა მთავარანგელოზმა, რომ მე გიშველე და შენ კი იკვეხიო. ამაზე გამახარეს დალევა დაუპირა, მაგრამ ლაშარის ჯვარმა არ დაალევივა, უთხრა: „მე დასალევნი ყმანი არა მყვანანო“.

ეს ხოხორდაულნი ცხრანი ძმანი იყვნენ და ძალიან ამაყნი. არც ხატს ემორჩილებოდნენ ბევრად და არც ხალხს რამეს კითხავდნენ. ამიტომ მთავარანგელოზი მათზე კარგის გულით არ იყო, მაგრამ ამათ ლაშარის ჯვარი იცავდა, და, როგორც ვთქვით, ამათად ზიანის ნებას არ აძლევდა.

ბოლოს, მთავარანგელოზმა უთხრა: „ამ ცხრა ძმათ მოგცემ და შენთ ყმათაშიით ერთი კაცი მომეციო“. ლაშარის ჯვარმა ამ ცხრა ძმათაში ერთი კოჭლი კაცი მისცა. — მეჭედელი, ჯოშარელი და ეს ცხრა ძმანი ხოხორდაულნი ლაშარის ჯვარმა აიყვანა თავის ყმად. ახლაც არიან მისი მოდენილობის ხალხი, მეჭედლურები. ისინი ცხოვრობენ სოფელ აფშოში, ქუთხში და თითო-ოროლა სხვა სოფლებშიც ცხოვრობს“ (M[1], 83, რვ. 19, გვ. გვ. 226—228).

ბ) სასოფლო ხატები

1) კვირიას კოშკი (სოფ. ცაბაურთა)

ქისტაურების სათემო იახსრის ხატის მსგავსად, გოგოჭურების სათემო მთავარანგელოზის ხატის კომპლექსში შედის ღუნხევს მაბურთალი ანგელოზის ნაგებობათა ჩრდილოეთის საზღვართან მდებარე საერთო საფშავლო ხატის კვირიას სახელობის კოშკი.

კვირიას კოშკი ფიქალი ქვისაგან მშრალი წყობით ნაგები, ვეგმაში კვადრატული ფორმის კვრივია, სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს დატანებული დიდი შეკუმით და ოთხიარუსიან-სანაწვთებიანი ორფერდა სახურავით. სახურავის თავზე რამდენიმე მცირე ზომის ფიქალია ერთმანეთზე შეწყობილი და ზემოდან მაღ მთის ბროლის ქვა ადევს.

ბეღლისკარის ჩრდილოეთის მხარეს მთის ფერდობი მოფენილია ნახოლარებით — ნაგებობათა ნაშთებით. აღნიშნავენ, რომ ეს ნასოფლარი ადგილიაო. იქვე, ნასოფლარში და მის მახლობლად მდებარეობს ცაბაურთის სასოფლო ხატები: ადგილისდედა ღვთისმშობლის ხატი და ხიანღვთისმშობლის ხატი

2) ადგილისდედა ღვთისმშობლის ხატი (სოფ. ცაბაურთა)

ცაბაურთას ადგილისდედა ღვთისმშობლის ხატი შემდეგ ნაგებობებს მოიცავს: სასანთლე კოშკი, საყეინოს საბრძანისი, შენობის ნაშალი, რომელიც ჩვენი ვარაუდით უნდა ყოფილიყო ან საბერო (დარბაზი) ან დაფარებული საჯარე და საზარე კოშკი.

სასანთლე კოშკი (ტაბ. 53,1,2,3) ჩვეულებისამებრ ფიქალი ქვისგან მშრალი წყობით ნაგები კვრივია, მას სამი მხრიდან დაბალი ყორის გალავანი არტყია. თავისუფალი აღმოსავლეთის მხრიდან ჩვენ ვხედავთ კვრივის წყობაში დატანებულ ოთხკუთხა ფორმის შეკუმს, შიგ სანთლების დასანთებად და მის თავზე კედლის პირიდან გარეთ გადმოწეულ საშუბლე სიპს.

ᲧᲐᲡᲐᲜᲗᲚᲘᲡ მახლობლად უჩვეულო ფორმის დიდი ლოდია (ტაბ. 53,4) ზემოდასახელებული ივრისფშაველი ნიკო დულუზაურის ცნობით ეს ლოდი ხელოვნურად გათლილი შირიმის ქვაა, ს ა ყ ე ი ნ ო ს ს ა ბ რ ძ ა ნ ი ს ს წარმოადგენს და მას ხალხში „ღაჭაურის ქუდი“ ეწოდება. ღაჭაური საგოგოჭუროს თემის წევრი იყო. ღაჭაურის მეთაურობით ფშავლები აფხუშოსა და ჩარგალში მოთარეშე ლეკებს დაედევნენ, თავს დაესხნენ, 60 ტყვე ფშაველი ქალ-ვაჟი დააყრევინეს და თვით ლეკები ამოწყვიტეს[29]. სახატო დღეობებში, როცა ცაბაურთაში საყეენოს წესის შესრულებას შეუდგებოდნენ, პიროფლიანთა შესანდობარს ღაჭაურის ხსენებით იწყებდნენ.

საბერო ანუ დარბაზი თუ დაფარებული საჯარე (ტაბ. 54 ა, ბ) ფიქალი ქვისგან მშრალი წყობით ნაგები, გეგმაში გრძელი სწორკუთხოვანი მოხაზულობის შენობაა. იგი ორიენტირებულია აღმოსავლეთიდან დასავლეთით. ყველაზე მოკლე აღმოსავლეთის კედელში მარცხენა კუთხის მახლობლად გაჭრილია კარის ღიობი, ზემო ნაწილში ოვალური მოყვანილობის. იმავე კედელში გარედან დატანებულია ორი შუკუმი და მწკრივად ჩარიგებულია სიპის „სკამები“, რომლებიც მოწყობილია ფშაური ხატების არქიტექტურისათვის მახასიათებელი წესით: მშენებლობის დროს კედლის წყობაში ჩაშენებული და კედლის პირიდან კონსოლებად გამოწეულია ბრტყელი სიპები.

კარის ღიობიდან შიგნით მხოლოდ ერთი შუკუმაღა შეიმჩნევა ჩრდილოეთის კედელში, ვინაიდან სახურავი თითქმის მთლიანად ჩაქცეულია და შენობის შინაგან მოწყობილობას ზემოდან აფენია. სამაგიეროდ ხელუხლებლად შემონახული სახურავის ხისა და ქვის მასალა— კეზი, კავები, შუაბოძის ნაშთი და მრავალი ფიქალი ქვა, საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ შენობის მოკლე კედლებისა და შუაბოძის თავებზე გადებული იყო კეზი, კეზზე კავები და უკანასკნელი დაფარებული ფიქალი ქვით, რაც ორქანობიან სახურავზე მიგვანიშნებს.

ამ შენობისა და მისი სახურავის კონსტრუქციის საკითხთან დაკავშირებით აქ უნდა აღინიშნოს შემდეგი: ოთხი ტიპის ნაგებობათაგან, სახელდობრ — გრძელი, კვადრატული, განიერი და ᲗᲮᲐᲠᲘᲡᲐᲥᲪᲔᲕᲘ ტიპებიდან, რომლებიც ჩვენ ჯვარ-ხატების არქიტექტურაში დავადგინეთ და რომლებსაც დაწვრილებით ამ შრომის კვლევით ნაწილში ვიხილავთ, — ყველაზე გავრცელებული პირველი ორი ტიპია. ამასთანავე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ფშავის ხატებში გრძელი ტიპის შენობებს, როგორც წესი, ორქანობიანი სახურავი აქვთ.

საზარე კოშკი (ტაბ. 54, ა, ბ) აგებულია ფიქალი ქვისაგან ლამ-კირით და კირითაა შელესილი, იგი წარმოადგენს ოთხსვეტიან ნაგებობას, სვეტებზე გადაყვანილი ცრუ თაღებით და დაფარებული შვიდიარუსიან-სანაწვთებიანი ოთხფერდა სახურავით, რომელსაც შედარებით მოზრდილი ზარაკი სათაურად აძევს. შიგნიდან სახურავის წყობაში გამაგრებულია ძელი, რომელზეც ზარია ჩამოკიდებული, ზარის ენაზე კი თავის მხრივ საკადრისები გამოუბამთ, ზარზე ამოკაწრულია ორსტრიქონიანი წარწერა, რომელიც იკითხება ასე, 1-ელი სტრ.: „შემოგწირეთ ეს ზარი ჩვენ ოთხ კომლთ გედეხაურთ საბურთის ღვთისმშობელს ჩვენ სამწყალობლად“. მე-2 სტრ.: „მოგვე შენი წყალობა ჩუენსა წელსა“. საზარე კოშკი სამი მხრიდან შემოვლებულია დაბალი ყორის გალავნით, ხოლო მეოთხე მხარეს საბეროს კედლით ისაზღვრება.

---

[29] შდრ. ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა , ფშავი, თბილისი, 1934, გვ. 105.

3) ხიან ღვთისმშობლის ხატი (სოფ. ცაბაურთა)

სასოფლო ხიან ღვთისმშობლის ანუ ხეთა ღვთისმშობლის ხატიც, როგორც ქვა, ბეღლისკარზეა მოთავსებული. იგი ნახევრად დანგრეული სასანთლე კოშკია. როგორც ყველა სხვა სასანთლე კოშკი, ხეთა ღვთისმშობლის კოშკიც კვრივია, სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს დატანებული შუკუმათი. კოშკი აგებულია იფნისხის ძირში ფიქალი ქვისგან მშრალი წყობით. მის გარშემოც იფნის ხეები ხარობს.

ხიან ღვთისმშობლის ხატის დღეობა წელიწადში ერთხელ მოდიოდა — ამაღლებას. საყმოს ყველა ოჯახიდან ნათავრები მოჰქონდათ, ხატში სანთლებს დაანთებდნენ და ხიან ღვთისმშობელს ადიდებდნენ.

ხიან ღვთისმშობლის ხატის მიდამო მრავალი ნახოლარით არის მოფენილი. მათთან დაკავშირებით ადგილზე შემდეგი გადმოცემა ჩავიწერეთ:

„ადრე აქ სოფელი ყოფილა. სანამ ეს ხატი გაჩნდებოდა, აქ გედეხაურნი (შრდ. წარწერა ზარზე — ვ. ბ.) მდგარან. გედეხაურისათვის (ივარაუდება გედეხაურების უფროსი — ვ. ბ.) ხატს მკითხავის პირით უთქვამს — აქაურობას მოშორდიო. ის კაცი კერპი ყოფილა, არ მოშორებია. მაშინ საცეცხლურში იფნი ამოსულა. ამ კაცმა იფნი მოჭრა. მეორე დილით იფნი ისევ ამოსულა და ისევ მოუჭრია ეს იფნი. მესამე დღეს იფნი ჭერამდე ამოსულა და ზედ გველი იყო დახვეული. ამ კაცმა გველი მოკლა და გადააგდო. ამაზე გედეხაურნი ძალიან ავად გამხდარან. ხატს უთქვამს: გველი ჩემი იასაული იყო, რად მოკალიო! გედეხაურნი გასცლიან იქაურობას. ამის შემდეგ აქვთ დანადები: ამაღლება დღეს ერთი საკლავი უნდა მოეყვანათ ხიან ღვთისმშობელში და შეეწირათ“[30].

საგოგოჭუროს თემის წევრები, რომლებსაც თავიანთი წინაპრების თავდაპირველ ადგილსაცხოვრისად და სათემო ხატის სასუფევლად ცაბაურთა მიაჩნდათ, კომპაქტურად მოსახლეობდნენ ბეტისჩდილში, ქუთხში, აფშოში, ჩარგალსა და მიგრიაულთაში, სადაც მათ შემდეგში სასოფლო ხატები გაუჩნდათ.

4) ღვთისმშობლის ხატი (სოფ. ბეტისჩდილი)

ბეტისჩდილი პატარა სოფელია ფშავის არაგვის მარჯვენა მხარეს, გზის ზემოთ, ერთი კილომეტრის სიშორეზე. სოფელში სამი გვარის ხალხი ცხოვრობს: ხოშურაულები, ბეკურაულები, ჩიტოშვილები. ყველანი გოგოჭურების თემს ეკუთვნოდნენ და სათემო ცაბაურთის მთავარანგელოზის ხატს ეყმობოდნენ. თუმცა სოფ. ბეტისჩდილი ცაბურეთიდან 9—10 კილომეტრითაა დაშორებული, ახალიწლის (წელწდის) მეკვლენი აქედან მაინც ცაბაურთაში მიდიოდნენ, ღამეს თავის სათემო ხატში ათევდნენ და მეორე დღეს ბეტისჩდილში ბრუნდებოდნენ.

ამავე დროს ბეტისჩდილელთ თავისი საკუთარი სასოფლო ღვთისმშობლის ხატი ჰქონდათ. ეს სასოფლო ხატი წარმოდგენილი იყო ერთადერთი ძეგლით — კ ვ რ ი ვ ი თ. იგი მდებარეობდა სოფლის შუა ადგილას და გვერდით ე. წ. ხემხვიანი — იფნის ხე იდგა. სოფლის მოსახლეობა დაფანტულად ცხოვრობდა, სახ-

---

[30] ეს თქმულება ხატის გაჩენასთან დაკავშირებით საცეცხლურში (კერაში) გველდახვეული იფნის ამოსვლის შესახებ ფართოდ არის გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. იგი ფიქსირებულია ზოგიერთ ჩრდილოკავკასიელ მთიელთა შორისაც.

ლები შორიშორს იყო ერთმანეთისაგან აგებული ისე, რომ სოფლის ღვთისმშობლის ხატი „წმინდად“ იყო დაცული, რადგან მის ახლო „მირეული“ ადგილები არ იყო. სახატო დღეობები და სხვა საზოგადოებრივ-საკულტო წესები თითქმის ყველა, ამ კერივთან სრულდებოდა.

საკუთარი ხევისბერი სოფლის ხატს არ ჰყავდა. მას სხვა სოფლებიდან, უფრო ხშირად ცაბაურთიდან იწვევდნენ. ზოგჯერ ხევისბრის მოვალეობას ადგილობრივი ხნიერი კაცი ასრულებდა — დაკლავდა საკლავს, დაჭრიდა ქადას, სუფრას შენდობას ეტყოდა.

დასტურობდნენ მორიგეობით სოფლელები, თითო დღეობაზე ორ-ორი კაცი. ხატს სანადოები არ ჰქონდა და, მაშასადამე, მას თავისი არც პური ჰქონდა, არც ლუდ-არაყი და არც საქონელი გააჩნდა. დასტურები თავის ხვედრ ხატობაში სოფელსა და მის სტუმარს თავისი ხარჯით უმასპინძლდებოდნენ: საკუთარი მოსავლიდან გამოიტანდნენ წინასწარ გამოანგარიშებული რაოდენობის ქერს და მოამზადებდნენ დღეობისათვის ლუდსა და არაყს; სასოფლო საკლავი და სასოფლო ქადაც დასტურის გამოსაღები იყო.

პირველი და მთავარი დღეობა იყო ამაღლება. ეს დღეობა იწყებოდა ღამისთევით. ამაღლების წინა საღამოს დასტურები მოიტანდნენ კერივთან ქვაბით ლუდს (მას სოფელში ისეთ სახლში აფუვლებდნენ, რომელიც „ნალაკი“ არ იყო), სანთელსა და საწირავს; იქ მივიდოდა ხევისბერიც ან მისი მაგიერი მოხუცი კაცი. სანთელს მოანთებდნენ და „სადიდებულო“ ლუდზე ღვთისმშობელს ადიდებდნენ. ყველა იქ მყოფი „სადიდებულოს“ დალევდა, შემდეგ დასხდებოდნენ და სვამდნენ სასმელს. ხატში ნაბდებით მიდიოდნენ და ღამეს იქ ათევდნენ.

დილით სოფელი მივიდოდა. თითოეულ მეკომურს სავალდებული ქადა-საწირავი მოჰქონდა. დასტურნი უფრო დიდსა და გულიან „სასოფლო ქადას“ მოიტანდნენ, ხოლო ის, ვისაც შეთქმული ჰქონდა, წაიღებდა „ფურთნათავარის ქადას“. ამ ქადებსა და საწირავებს ხევისბერი სხვადასხვა სავედრებლებით შესწირავდა ხატს და განსხვავებული წესით დაანაწილებდა. დასტურების მიერ მიტანილი „სასოფლო ქადით“ ღვთისმშობელს ახვეწებდა მთელ სოფელს და თხოვდა მისთვის ბარაქიანი ზაფხულის დაყენებას; „სასოფლო ქადა“ მთლიანად დაიჭრებოდა და ნაჭრები სასოფლო საკლავის ხორცთან და საწირავის ნაჭრებთან ერთად დარიგდებოდა. სავალდებულო საკომლო ქადებზე ხევისბერი მათ მომტანსა და მის „კაც-საქონს“ ახვეწებდა ღვთისმშობელს; შემდეგ ქადის სამ მეოთხედს მის მომტანს უბრუნებდა, ხოლო ნაოთხალი ხატში რჩებოდა. ფურთნათავრის ქადას ხევისბერი გასჭრიდა, ცოტათი ზედა ქერქზე გაუსვამდა დანას, გასერავდა, განსაკუთრებით ფურებისა და ფურის ნაწველს შეახვეწებდა ხატს და შემდეგ ამ ქადას მთლიანად პატრონს დაუბრუნებდა.

რაც შეეხება დასტურების მიერ მორეკილ ორ „სასოფლო საკლავს“, ამ საკლავებზე მთელ სოფელს ახვეწებდნენ. ჯერ დაკლავდნენ ერთ საკლავს სასოფლოს წესით, ე. ი. როგორც იკვლებოდა სასოფლო საკლავი ყველა დღეობაში. მეორე საკლავი დაიკვლოდა უქმის საკვეთო. ამაღლებას კვეთდნენ უქმს და იხსნებოდა მაშინ, როცა ჭირნახული მოიმკებოდა. უქმედ კვეთდნენ ორშაბათ დღეს.

ხევისბერი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი პირი უქმის საკვეთო საკლავზე ახსენებდა ბეტისჩდილელებს, თხოვდა ღვთისმშობელს „ღალიან-ბარაქია-

ნობას ჯარის ნაჭნავისას, კაცის ნამაშვრალ-ნამუშევრისას და საქონლის ღალიან-ბარაქიანობას. აბვეწებდა იმათ, ვინც თავდადებული იყო სახატო და სახალხო საქმეში, ხატში ნაკვეთ უქმს ინახავდა და ასრულებდა ხატის ყველა წესს და სურვილს. არისხებდა ისეთ ურჩ ყმას, რომელიც არ ემორჩილებოდა ხატისა და ხალხის წესს, გასტეხდა (ე. ი. იმუშავებდა) ნაკვეთ დღეს". საკლავის დაკვლის დროს ხევისპერი სიტყვასიტყვით შემდეგს იტყოდა: „დალოცვილო ჩვენო სალოცავ დეღაო ღვთისმშობელო, სწყალობდი დაწესებული უქმის ორშაბათის შემნახველსა და წესის შემსრულებელსა! რისხავდი, ჩვენო სალოცაო, გამტეხსა დაწესებული უქმისასა, ხალხისა და ხატის პირის გამტეხსა! მადლი და ბარაქა დაულიე მის ნამაშვრალ-ნამუშევარსა! ნუ გამოულევ სახლში სენსა და სნეულებასა, მარცხსა და ფათერაკსა, შენი სახელის ჭირიმე!" ამის შემდეგ უქმის სამკვეთო საკლავსაც დაკლავდა.

დასტურები ორივე საკლავს გაატყავებდნენ, ხორცს მოხარშავდნენ და სუფრას გამართავდნენ: ქადა-საწირავების ნაჭრებს დაალაგებდნენ, ზედ დანაწილებულ ხორცს დააწყობდნენ, გვერდით სასმელს მაუდგამდნენ, აანთებდნენ სანთელს. მას სუფრაზე დააკრავდნენ და ერთ სანთელს ხევისბერს მისცემდნენ. ხევისბერი სახელს შასდებდა სუფრას ბეტისჩდილელ მიცვალებულთათვის, იმათთვის ვინც იყვნენ, ხატის წესრიგს ასრულებდნენ, სახატო და სახალხო საქმეში თავდადებულნი იყვნენ და აღარ არიან". ამასთანავე იმ მიცვალებულსაც მოიკსენიებდნენ, ვისაც მომგონე არ ჰყავდა, უპატრონო იყო, „შენდობას მოგვეღოდება და ჩვენ ვერ ვგონობდეთო", — იტყოდნენ. შასანდობარს ყველას დაალევინებდნენ და მერე დაურიგებდნენ ხორცსა და პურს და თან სასმელსაც — ლუდს და არაყს, მოაყოლებდნენ". ამ დროს დაიკვლებოდა — თუ ვინმეს ჰყავდა — სხვა რიგის საკლავი, მაგალითად, ზვარა.

ამაღლებას ბეტისჩდილში ასეთი საერთო სუფრის გამართვა იცოდნენ. მეკომურთა მიერ ცალ-ცალკე სუფრების გამართვა აქ წესად მიღებული არ იყო (M[1], 83, რვ. 39—40, გვ. 475—479. — აქ და ქვემოთ M[1]-დან მოტანილია მასალა შემოკლებით და ოდნავი გრამატიკული და სტილისტური შესწორებებით).

5) ღვთისმშობლის ხატი (სოფ. ქუთხი)

ქუთხი უბისათვის დასავლეთით მდებარეობს. ამჟამად იგი სამკომლიანი სოფელია. სოფლის ადგილი ძველად შუაფხოვლებისა ყოფილა და მათ კაცის სისხლში მიუციათ აფშოვლებისათვის. ახლაც ამ სოფელში აფშოდან გადასულები ცხოვრობენ, გვარად მჭედლურები.

სოფლის გვერდით, ჩრდილოეთის მხარეს ქუთხელების ღვთისმშობლის ხატია. ხატში ერთი სასანთლე კოშკი და იფნის ხე დგას. ეს კოშკი (ისე, როგორც ყველა სხვა სასანთლე კოშკი) კვრივად ნაგები ნიშია, რომლის ცალ მხარეს სასანთლე თახჩაა (შუკუმა) დატანებული.

ქუთხელები თავის სათემო ცაბაურთის ღვთისმშობლის ხატსაც ეყმობოდნენ და საოფლო ხატსაც. მაგრამ სასოფლო ღვთისმშობლის ხატში დასტურების დაყენება არ ხდებოდა. სახატო დღეობებს სოფლის ცალკეული მეკომურები რიგრიგობით უძღვებოდნენ საკუთარი ხარჯით. ხევისბრობას ამ დროს ვინმე ხელწმინდა (ჯელწმიდა) კაცი ასრულებდა. ხანდახან შუაფხოვლებიც გადადიოდნენ იმათ ხატობაზე (M[1], 83, რვ. 44, გვ. 527).

6) თამარ მეფის ხატი (სოფ. აფშო)

აფშოში მოსახლეობენ: ვოქიანი, ხუზაურანი, შამაქიანი, მჭედლურნი, ვარდანანი, დაქუზანი. ყველა ამათი საერთო გვარია გოგოჭური. ხოლო ჩამოთვლილი გვარები ნაწარმოებია ცაბაურთიდან პირველად გადმოსახლებული აფშოელების წინაპრების სახელებიდან. ამგვარად, აფშოელები საგოგოჭუროს თემს ეკუთვნიან და ცაბაურთ მთავარანგელოზის ყმები არიან. ამ სათემო ხატის ხევისბერი შეიძლება აფშოელი ყოფილიყო. ამავე ხატის სადასტუროში ყველა გვარის აფშოელი დგებოდა. ამ შემთხვევაში, როგორც სხვა, ისე აფშოელი დასტურები სვეს და ალაოს ამზადებდნენ, სახატო დღეობამდე ერთი კვირით .ადრე მიდიოდნენ ცაბაურთაში და იქ ხატის სალუდეში ლუდს ხარშავდნენ.

აფშოვლებს აფშოშიც ჰქონდათ თავისი სალოცავები. აფშო დაფანტული სოფელია და სოფლის შუა ადგილზე, ე. წ. სალოცავათ გორზე თამარ ნეფის ხატია. სალოცავათ გორი ოდნავ დავაკებული ადგილია, სადაც დგას დარბაზი, სალუდე, საზარე და სადასტურო. იქვეა ერთი იფნის ხეც. ამ შენობების გარდა, თამარ მეფის სანადოებში ხატის ბეღელი იდგა, რომელიც 1949 წელს ჯერ კიდევ დაუზიანებელი იყო. თამარ მეფის ხატს თავისი დროშაც ჰქონდა. ამ დროშას კვირისჯვრობას ლაშარს „მოაბძანებდნენ“ სხვა ხატების დროშებთან ერთად.

ჰევისბრები ვარდანათ გვარიდან გამოდიოდნენ. დასტურები კი ყველა გვარიდან დგებოდა. დასტურობა მორიგეობით იყო, ერთი წლით. დასტურხევისბრები „ნალაჯს“ ერიდებოდნენ. ბოლო ხანებში დასტურნი სადასტუროში აღარ ცხოვრობდნენ, მაგრამ დედაკაცებს არ ამყოფებდნენ იმ სახლში, სადაც დასტური ცხოვრობდა.

თამარ მეფეს ჰქონდა სანადო მამულები სოფლის აღმოსავლეთით. ამ მამულებს სოფელი ნადით ამუშავებდა. სანადოები დაყოფილი იყო ნაწილარებად და ყველა თავ-თავის ნაწილარს მოხნავდა, დათესავდა და დაფარავდა. ზაფხულშიც ყველა თავ-თავის ნაწილარს ადევნებდა თვალყურს, თუ სამარგელა ამოერეოდა, გამარგლიდნენ და იცავდნენ პირუტყვისაგანაც. შემოდგომაზე ისევ ნადი დაინიშნებოდა, ლუდს ადუღებდნენ, საკლავებს დაკლავდნენ და იმართებოდა ნადის წესი. თუ ვინმე ადრე მორჩებოდა თავის ნაწილარის სამკალს, სხვას მიეშველებოდა. მკის დროს ისვენებდნენ და სვამდნენ ლუდს. ხორცს დასტური მოხარშავდა. მკის მოთავების შემდეგ სუფრა გაიმართებოდა. სუფრას დალოცავდნენ იმ მიცვალებულებისათვის, რომლებიც „შარშან ნადში იყვნენ, სახატო საქმეში ერთგულად მუშაობდნენ და დღეს აღარ არიან“. შენდობის შემდეგ დაიწყებოდა ჭამა-სმა. მომკილ ძნას დასტური ჩაიბარებდა, გალეწავდა და პურს ბეღელში შეინახავდა (M[1], 83, რვ. 44, გვ. გვ. 528—530).

7) ლაშარის ჯვარი (სოფ. აფშო)

აფშოს მეორე ხატი იყო ლაშარის სახელობისა, რომელიც მდებარეობდა სოფლის ბოლოში აღმოსავლეთის მხარეს. აქ ტყიანი ადგილია და ტყეში ერთი პატარა მოედანია. მოედნის გარშემო ტყე დაცულია, ხარობს მუხა, წიფელი, იფნი და სხვა ხეები. მოედანზე სალუდე და საზარე იყო. საზარეზე ზარი ეკიდა და დღეობებში ირეკებოდა ჩვეულებრივი წესით.

სასოფლო ლაშარის ჯვარს და თამარის ხატს თავ-თავისი ხევისბერი ჰყავდა, მაგრამ მათ წესის ყენება ორივეგან შეეძლოთ. რაც შეეხება დასტურებს, თამარის ხატის დასტურები ლაშარის ჯვარის ხატშიც ემსახურებოდნენ, რადგან ცალკე „დასტურთ ყენება“ არ იცოდნენ. ლაშარის ჯვარის ნიშთან იმ დღეობებს იხდიდნენ, რასაც თამარ მეფის ხატში. დროშას, როგორც აღვნიშნეთ, თამარ მეფის ხატიდან „მოაბძანებდნენ“.

აფშოს ლაშარის ჯვარს სანადოები არ ჰქონდა. ბოლო ხანებში სახატო დღეობებისათვის — ლუდი სასოფლო თამარ მეფის ხატიდან მიჰქონდათ (M[1], 63. რვ. 44, გვ. 531).

8) ფშარაოს წმ. გიორგის ხატი (სოფ. აფშო)

მესამე სასოფლო ხატი სოფ. აფშოს თავზე ე. წ. ფშარაოს მაღალ მთაზე მდებარეობდა და მას ეწოდებოდა ფშარაოს წმინდა გიორგის ხატი. ჰავის სიმკაცრის გამო ფშარაოს მთაზე ტყე არ გვარობს. აქ ხატში ძველად აგებული ყოფილა საზარე და სასანთლე კოშკი. დროთა ვითარებაში საზარე დანგრეულა. ბოლო ხანებში ხის კირჩხაზე ეკიდა ზარი და ხატობაში ირეკებოდა.

ფშარაოს წმ. გიორგის ხატში დღეობის გადახდა წელიწადში ერთხელ იცოდნენ, — მარიამობას. ამ დღეს აფშოვლები თამარ მეფის დროშით მიდიოდნენ ფშარაოს ხატში, თან მიჰყავდათ სასოფლო საკლავი და ზღვნები, მიჰქონდა ქადაშესაწირი, კოშკში დროშას „დაბძანებდნენ“, შესაწირავებს იქვე შესწირავდნენ და ღამესაც იქ. მთაზე ათევდნენ.

აფშოს სალოცავებში დასტურთყენება მარიამობას იცოდნენ. დასტურთ დადგომა-გადადგომის წესები აქ სრულდებოდა ერთნაირად როგორც სათემო, ისე სასოფლო ხატებში. თითო „შასამავლო“ და თითო „გამოსამავლო“ საკლავი იყო დასტურებისათვის დადგენილი (M[1], 83, რვ. 44, გვ. 531).

9) ღვთისმშობლის ხატი (სოფ. ჩარგალი)

სოფელი ჩარგალი მაღაროსკარის სასოფლო საბჭოში შედის. ჩარგლელების სათემო ხატი ცაბაურთის მთავარანგელოზი იყო. დიდ დღეობებში ისინი ცაბაურთაში მიდიოდნენ და თავის სათემო ხატს ადგილზე უწევდნენ სამსახურს.

წულის გაყვანის, წულის სანთლის დანთებისა და რიგ სხვა მნიშვნელოვან წესებსაც ცაბაურთის სათემო ხატში ასრულებდნენ. ამასთან ერთად მათ სასოფლო ხატებიც გააჩნდათ, — ღვთისმშობლის სახელობისა და ორიც სხვა, რომლებიც ადგილობრივი ნიშები იყო ცენტრალური საფშავლო ხატებისა, ლაშარის ჯვრისა და თამარ-ღელის ხატისა.

ჩარგალი მეტად დაფანტული სოფელია, თითო-ოროლა კომლისაგან შემდგარი ჯგუფი ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებით ცხოვრობს, ხოლო სოფლის შუა ადგილი თავისუფალი მოედანია, სადაც მოთავსებულია სამივე ხატი ერთურთის მახლობლად.

ღვთისმშობლის ხატს ჰქონდა ს ა ზ ა რ ე და ს ა ქ ო ბ ე (ფშავლები ამგვარ შენობას სალუდეს უწოდებენ, მაგრამ ჩარგალში მას, ხევსურების მსგავსად, საქობეს ეძახიან; ოღონდ ხევსურები საქვაბეს იტყვიან, ჩარგლელები კი

საქობეს). „საზარე აშენებული იყო ბეღლის მსგავსად და შიგ ზარი ეკიდა“[31]. საქობის მახლობლად იფნის ხე იდგა.

ჩარგლის ღვთისმშობლის ხატს უძველეს დროს სანადოები ჰქონია. მაშინ სანადოებს თურმე ნადით ხნავდნენ და მკიდნენ, მომკილ მოსავალს დასტური კალოზე მიიტანდა, გალეწავდა და პურსაც ის შეინახავდა. შემდეგში სანადოები დაყოფილა გვარებზე, ხოლო გვარებს თავის შიგნით კომლებზე დაუნაწილებია და თითოეული კომლი მისთვის განკუთვნილ ნაწილს თავის ნებაზე ამუშავებდა. მიუხედავად ამისა ყოფილ ხატის მიწებს შერჩენია ძველი სახელი „სანადოები“.

სანადოების მსგავსად, სახატო დღეობებიც გვარებზე დანაწილებულა. მაგალითად, ბაიათ გვარს ერგო დღეობა ამაღლება. გვარი მას თავის შიგნით მორიგეობით იხდიდა — ერთ წელს ბაიათ გვარის ერთი კომლი თავისი ხარჯით შეასრულებდა სახატო წესებს, მეორე წელს — მეორე კომლი და ასე შემდეგ მანამდე, ვიდრე გვარის ყველა წევრი (ოჯახი) არ მოიხდიდა თავის რიგით მოვალეობას. ამის შემდეგ ბაიათ გვარის კომლები თავიდან იწყებდნენ რიგით ამაღლების გადახდას. გურასპაულთ ანუ მარცვალათ გვარს აღდგომის (აჟვსების) გადახდა ევალებოდა და ისინიც რიგრიგობით კომლურად ასრულებდნენ ამ დღეობის სახატო წესებს. პირქუშაანი სახუთშაბათო ამაღლებას იხდიდნენ. რაზიკაანი, ზურაბაანი და გორზამაულნი „ერთურთს მიმდგარნი იყვნენ“, ვინაიდან თითოეული მათგანი პატარა, მცირეკომლიანი გვარი იყო. ხატობა რომ მათ ცალ-ცალკე გვარების მიხედვით რგებოდათ, თითო გვარში შემავალ კომლებს დღეობის გადახდა, მრავალკომლიან გვარებთან შედარებით, ბევრად უფრო ხშირად უწევდათ, რაც მათთვის ძნელი იყო. აღნიშნული სამი გვარი ერთად მარიამობას (მარიანობას) უძღვებოდა კომლეურად თავ-თავისი ხარჯით.

დღეობების ამგვარად განაწილების გამო ჩარგალში დასტურის დადგომა და ძველი დასტურის ახლით შეცვლა შეუმჩნეველი იყო, რადგან გვარებმა წინასწარ იცოდნენ მათ შიგნით რომელ კომლს როდის უწევდა დასტურობა და ისინი, სადასტუროში დადგომის წესების შესრულების გარეშე, უბრალოდ ენაცვლებოდნენ ერთმანეთს (M[1], 83, რვ. 40, გვ. 480).

10) ლაშარის ჯვარის ნიში (სოფ. ჩარგალი)

ჩარგალში ლაშარის ჯვარის საზარე იყო აგებული. საზარესთან ხელოვნურად დარგული იფნები და მსხალი იდგა, ადრე პანტაც ყოფილა, შემდეგ კი ვიღაცას ნამყენიც გაუკეთებია.

ამ სასოფლო ხატის გარშემო სანადოები ყოფილა, მათ თურმე უძველეს დროში ნადით ამუშავებდნენ, მერე ისინიც დაუყვიათ გვარებზე და გვარებს კომლებზე დაუნაწილებიათ.

ამაღლებას ხევისბერი და დასტურები ლაშარის ჯვარის ნიშთან ღამეს ათევდნენ. მეორე დილით იქ სოფელიც მივიდოდა, სასოფლო საკლავს მიიყვანდნენ. საკლავი დაიკვლებოდა ჩარგალელთ სამწყალობნოდ და ამ დროს ზარიც დაირეკებოდა, სანთელს მოანთებდნენ და ახვეწებდნენ ჩარგალელთ „კაც-საქონს“. ამ წესებს ერთი ხევისბერი ასრულებდა, ვინაიდან ჩარგალში მეტი ხევისბერი არ იყო.

---

[31] ივარაუღება მათურას სათემო ხატის საზარეს მსგავსი ნაგებობა.

ლაშარის ჯვარის ხატობაზე ქალებიც მიდიოდნენ, მიჰქონდათ ქადა-საწირავი და სადიდებელი. მათ თავისი საჯარე ადგილი ჰქონდათ დანიშნული და იქ დაჯარდებოდნენ.

ლაშარის ჯვარისა და თამარ მეფის საზარეები ჩარგალში იმიტომ აუშენებიათ, რომ ფშაველთა ეს ორი საერთო ხატი ჩარგლიდან შორს იყო, ფშავის ხევს მდებარეობდა. იქ ყველა ვერ მიდიოდა და არც გზა იყო ყოველთვის მისასვლელი. ასეთ შემთხვევაში იქ შესასრულებელ წესებს სოფელში ასრულებდნენ, შესაწირავს აქ შესწირავდნენ და სხვა მისთ. ასე თანდათანობით ჩარგალში აუგიათ თავისი ცენტრალური ხატების ნიშები, გაუჩენიათ სანადოები, გადმოუტანიათ მათი დღეობები და, ბოლოს, ზაფხულის დღეობების გარდა, ლაშარის ჯვარსა და თაშაოლელის ხატში სხვა დროს ჩარგლიდან აღარავინ დადიოდა (M[1], 83, რვ. 40, გვ. გვ. 480—485).

11) თამარ მეფის ნიში (სოფ. ჩარგალი)

ჩარგალში თამარ მეფის ნიშის სახით გაშენებული იყო ბეღლის მსგავსი საზარე და შიგ ზარი ეკიდა[32].

თამარ მეფის ნიშთან „ხარობდნენ ხემხვივანნი“ — ამა თუ იმ პირის მიერ შეწირული ხელოვნური ნარგავები. ხატის ყმა რომ რაიმე ხიფათს გადაეყრებოდა ან ავადმყოფობის გამო შეეხვეწებოდა თავის სალოცავს: „ოღონდ გვიშველე და შენს ხემხვივანთაში ხემხვივანს მოუმატებო“. როცა ხემხვივანს დარგავდნენ, სხვა შესაწირავსაც რაიმეს მიაყოლებდნენ. თუ საკლავი ჰყავდათ, ხომ საკლავს შესწირავდნენ, თუ არა და სანთელ-საწირს მაინც მოიტანდნენ ხატში. ამგვარად თამარ მეფის ნიშთან იყო ხელოვნურად დარგული და გახარებული იფნები, ნამყენი მსხლები და ვაშლები.

სოფლის არც ერთ ხატს დროშა არ ჰქონდა. ჩარგალში ხევისბერი ერთი იყო. „ვისაც მოიკითხავდა ხატი „ხევისბრად ის — განურჩევლად გვარისა უნდა დამდგარიყო სამივე ხატში.

ჩარგლის თამარ მეფის ხატში მთავარ დღეობად ამაღლება ითვლებოდა. აქ ყველა სასოფლო ხატში ერთსა და იმავე დღეობებს იხდიდნენ. ეს დღეობები იყო: აღდგომა („აკვსება“), ამაღლება, მარიამობა („მარიანობა“) გიორგობა და ანალწელწადი („თევა-წელიწადი“), (ათენგენა არ იცოდნენ), არც რამე გარჩევა იყო ხატის წესებში. სამივე ხატში ყველა წესი ერთნაირად სრულდებოდა. ოღონდ ღვთისმშობლის ხატში უპირატესად მოდიოდა ფურთნათავარის ქადა და ზვარაც იქ იკვლოდა. ამას გარდა (დღეობების დროს), სასოფლო ლაშარის ჯვარსა და თამარ მეფის ხატში უფრო ხალხმრავლობა იყო, ვიდრე ღვთისმშობლის ხატში (M[1], 83, რვ. 40, გვ. გვ. 480—485).

12) მთავარანგელოზის ხატი (სოფ. მიგრიაულთა)

სოფელი მიგრიაულთა მდებარეობს ჩარგლის ჩრდილო-დასავლეთით და იგი მაღაროსკარის სასოფლო საბჭოში შედის.

---

[32] იხ. შენიშვნა აქვე (ზემოთ).

მიგრიაულთის მოსახლეობა საგოგოჭუროს თემს ეკუთვნის. უწინ სხვა გოგოჭურებთან ერთად ამ სოფლის მცხოვრებნი ცაბაურთის მთავარანგელოზის საყმოს შეადგენდნენ.

გარდა ამ სათემო ხატისა, მიგრიაულთელებს რამდენიმე სასოფლო ხატი გააჩნდათ: სოფლის თავზე — ადგილისდედის კოშკი, მისგან მარცხნივ მთაზე — მარიამ წმიდის კოშკი, უფრო შორის მთის წვერზე — საჯვარონი, ხოლო სოფლის ჩრდილო-დასავლეთით მთის ფერდობზე მთავარანგელოზის ხატი. ეს უკანასკნელი უეჭველია, მიგრიაულთის მთავარი ხატი უნდა ყოფილიყო. რამდენადაც იგი სათემო ხატის სახელს ატარებს. თავდაპირველად, ალბათ აგებული იყო, როგორც ცაბაურთის მთავარანგელოზის ხატის ადგილობრივი ნიში, მაგრამ ეს ძალიან დიდი ხნის ამბავი უნდა იყოს, რასაც გვაფიქრებინებს ის, რომ მიგრიაულთის მთავარანგელოზის ხატის მიდამო დაფენილია უზარმაზარი ბებერი იფნებით და მათ შორის აქა-იქ თელის ხეებიც მოჩანს.

ამ სასოფლო ხატის აღმოსავლეთ ნაწილში დგას ბ ე ღ ე ლ ი (ტაბ. 61)— კვადრატული გეგმის, ლამ-კირით ნაგები და კირით შელესილი შენობა, ხავსით დაფარული რვაიარუსიან-სანაწვთებიანი პირამიდული სახურავით და მის თავზე ბროლის სათაურათი. შიგნიდან ბეღელს აქვს ქვაში გამოყვანილი მრავალკუთხოვანი კუთხური წყობის გვირგვინი თუ ცრუგუმბათოვანი გადახურვა. სამხრეთის კედელში დატანებულია კარის თაღოვანი ღიობი, ქვის ქუდით, ზღურბლითა და საშუბლით. მას ხის კარი ჰქონია. კარი გარედან იკეტებოდა კედლის ხვრელში თავისუფლად მოძრავი ურდულით. ამჟამად კარი დაზიანებულია და იატაკზე აგდია. ბეღელში ჩაშენებული ყოფილა ამბარი, რომელიც მოშლილია. შენობას აქვს ხავსმოკიდებული ყორის გალავანი.

ბეღლიდან დასავლეთით ხატის მიდამო დაფენილია უამრავ ნაგებობათა ნაშალით. ამ ნაშალში ჩვენ ვნახულობთ შედარებით ნაკლებად დაზიანებულ ხატის სასანთლეს, საზარე კოშკსა და სალუდეს. დანარჩენ ნაგებობათა დანიშნულების დადგენა საგანგებო არქეოლოგიური მუშაობის წარმოების გარეშე ძნელია.

სასანთლე მდებარეობს ბეღლის დასავლეთით. იგი პატარაა, სამხრეთ-დასავლეთის მხარეს ღია, ხოლო დანარჩენ მხარეს ნაგლეჯი ქვისაგან მშრალად ამოყვანილი კედლებით და ზემოდან ბრტყელი ფიქალითაა გადახურული. ასეთივე ბრტყელი ფიქალი სასანთლის შიგნით მიწაზე აგია. ფიქალზე უამრავი სანთლის ნამწვავია დაღვენთილი, ფასადის მხარე, საიდანაც სასანთლეში სანთლებს ანთებდნენ, აფარებულია ბრტყელი სიპით.

საზარე კოშკი (ტაბ. 61, ტაბ. 62 ბ) მდებარეობს სასანთლის მახლობლად, მისგან დასავლეთით. იგი ლამით ნაგები ოთხსვეტიანი შენობაა, ექვსიარუსიან-სანაწვთებიანი ოთხფერდა სახურავით დამშვენებული, სვეტები ზემო ნაწილში თანდათან ფართოვდება და შეისრული ფორმის ცრუ თაღებად იკვრება. საზარე კოშკში ზარი ჰკიდია, რომელზეც მხედრული ხელით შემდეგი ორსტრიქონიანი წარწერაა: „ესე ზარი შამაგვიწირავს წმინდის გიორგისათვის წინაკარს მცხოვრებელთა და მიგრილელთა წელდისა წყალობის თვალით ბრძანდებდეს ბაქნელ ბეღანი“.

სალუდე საზარეს დასავლეთითაა. იგი ნაგლეჯი ქვისგან მშრალი წყობით ნაგები, გეგმაში მოგრძო სწორკუთხოვანი მოხაზულობის შენობაა ორქანობიანი სახურავით, რომელზეც მრავალი ირმის რქა აწყვია. სალუდე ორიენტირებულია სამხრეთიდან ჩრდილოეთით, ცენტრში აღმართულია შუაბოძი, ხოლო გრძელი

(დასავლეთისა და აღმოსავლეთის) კედლების გასწვრივ, ამ კედლებიდან რამდენადმე დაცილებით ჩამწკრივებულია უხეშად გათლილი ხის სვეტები. მოკლე კედლების თავებსა და შუაბოძზე გადებულია კეზი, სვეტებზე — საგვერდულები (მაუერლატი) და მათზე გაწყობილ კავებზე დაფენილია ბრტყელი ფიქალის ქვები. იატაკი ქასდარია (დატკეპნილი მიწა).

შენობის ვიწრო სამხრეთის კედელში აღმოსავლეთის კუთხესთან დატანებულია კარის ღიობი, რომელსაც შერჩენია წყვილი ფიცრისგან შეკრული კარი, გარედან ზემო და ქვემო ნაწილში ბასკებით გამაგრებული და სახელურიანი.

ღია კარიდან ჩვენ ვხედავთ მის პირდაპირ, ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხესთან სალუდის მორღვეული კუთხის ადგილას აგებულ ყორის საქობეს ანუ საცეცხლურს, რომელშიც მოთავსებულია სპილენძის ფურცლებისგან სპილენძისავე ლურსმნებით შეკერილი სალუდე ქვაბი, — იგი ჯაჭვით ჩამოკიდებულია კავზე. დასავლეთის კედლის გასწვრივ მოჩანს მთლიანი ხისგან გამოჭრილი დიდი ისარნა: ისარნაში აწყვია ხის ჩხუტი და სხვა—ხის ჭურჭელი, სპილენძის ქვაბი, ტარკოშები, ხატის უღელი, ძეწკვი, შამფურები და მისთ. ჩვენ ვხედავთ აგრეთვე შუაბოძის ბალიშზე ჩამოკიდებულ ირმის რქას; ჩრდილო-დასავლეთის მხარეს მოთავსებულ ძველ გეჯას, კოდს და ერთმანეთზე შეწყობილ ყუთებს. ერთ-ერთ ყუთში ინახება ხატის თას-განძი — სხვადსხვა ზომის თასები, ვერცხლის მაღალყელიანი სასმისები, აგრეთვე ზარაკები, ჯამები და სხვ., ხოლო მეორე ყუთში დაცულია ხ ა ტ ი ს უ ნ ჯ ი — ერთი მოზრდილი ზარი, საკადრისები დიდი რაოდენობით და აგრეთვე ჯვარი, რომელზეც იკითხება შემდეგი წარწერა: „შესწირ სულხანამ მაგრიაული ხარებას შვილმა თავისი და თავის ძმების სამწყალობოთ და თავის ოჯახის სამწყალობოთ თავის სოფის წმიდის გიორგისთვის წმიდა ჯვარი". აღმოსავლეთის კედელში მეჩხერ ადგილას მოთავსებულია ბამბის ძაფით შემოხვეული ორი კედი. კარის პირდაპირ ჩრილოეთის კედლის გასწვრივ გამართულია სიპის „სკამები". და ბოლოს, ჩვენს მახლობლად, სამხრეთის მხარეს მიწაში ჩასმულია ოთხი ცალი კირჩხა, რომელთაგან ერთზე სპილენძის ქვაბია ჩამოკიდებული.

დასასრულ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მიგრიაულთას ჩვენ მიერ აღწერილი ხატის კომპლექსი თავისი ძეგლების სიმრავლით იმდენად მნიშვნელოვანია, რომ საჭიროა არქეოლოგიური კვლევა-ძიება ჩატარდეს. ამ ხატში შემონახული ბეღელი მეტად ძველი ჩანს და თავისი სამშენებლო ტექნიკის მიხედვით თვალსაჩინო. არ არის გამორიცხული, რომ ეს ხატის კომპლექსი მომსახურებას უწევდა არა მარტო სოფელ მიგრიაულთას, არამედ მთელ ხეობას. ყოველივე ამასთან ერთად ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ ამ ხატში ჩვენი ყოფნისას ექსპედიციამ დაადასტურა სალუდეში ხატის კუთვნილი სარიტუალო თას-განძი.

IV. გ ო გ ო ლ ა უ რ თ თ ე მ ი

ა) წმ. გიორგისა და ხეთანას მთავარმოწამის სათემო ხატები (სოფ. გოგოლაურთა)

1) წმ. გიორგის ხატი

გოგოლაურთა ამჟამად სოფელია[33], ხოლო ძველად იგი იყო სოფლის თემი, რომლის შემადგენლობაში რვა სოფელი მოითვლებოდა, — თურმანაულთა, ჯიგ-

[33] იხ. საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, თბილისი, 1966, გვ.43.

რაულთა, ხიშმუ, ჭაფნაგა, ზარისუალა, ბინდაურთა, კადაჩალი და ხადო. ეს სოფლები, რომელთა უმრავლესობა დღეს დაცარიელებულია მისი მოსახლეობის თანდათანობით ბარად გადასახლების გამო, ფშავის ხევის მთაგორიან ადგილებში მდებარეობენ, მდ. არაგვის გაღმა-გამოღმა, ერთმანეთის საპირისპირო მხარეს.

უეჭველია, თავდაპირველად, როგორც სათანადო გადმოცემებიდან ჩანს, ამ თემის აბორიგენ მოსახლეობას — თურმანაულებს, ეჭირათ თურმანაულთა, ხიშმუ და სხვა მდინარე არაგვის მარჯვენა მხარეზე მდებარე სამოსახლო პუნქტები. თურმანაულნი, რომელთა წრიდანაც დგებოდნენ გოგოლაურთის სათემო წმ. გიორგის ხატის თავხევისბრები[34] და ხევისბრები, ყოველგვარი ღონისძიებით ცდილობდნენ თავისი თემი გაეძლიერებინათ და გაემრავლებინათ. გადმოცემები მოგვითხრობენ, რომ მათ დიდად ესახელებოდათ და ხალისით იერთებდნენ ამანათებს და „მოყვანილთ"[35] იჩენდნენ. ამ გზით მათ შემოუხიზნიათ შემდეგში სხვადასხვა მამების, საძმოებისა და გვარების სახელებით ცნობილთა წინაპრები, — თავისი ნებით მოსულები და ან ძალით დაპყრობილები, და დაუსახლებიათ მდინარე არაგვის როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა მხარეზე მდებარე საკუთარ მიწა-წყალზე.

ასე გამრავლებულა დროთა ვითარებაში გოგოლაურთის მოსახლეობა და ნამატი, რომელსაც ჩამოთვლილი სოფლები ვეღარ იტევდნენ, გადასახლებულა დღევანდელ მაღაროსკარის სასოფლო საბჭოს შემდეგ სოფლებში: გომეწარი, ქალილო, თვით მაღაროსკარი, ყოფჩა, გუდარახი, კუდო და ხომი[36].

ერთი სიტყვით, გოგოლაურთ თემი ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი და ძლიერი სოციალური ერთეული ყოფილა იმ თერთმეტ თემს შორის, რომლებიც ბუდეფშავში, შფავისხევში[37] ცხოვრობდნენ ძველთაგანვე.

---

[34] გოგოლაურთ წმ. გიორგის ხატის თავხევისბერ დავით თურმანაულის გადმოცემით: „იმის მემრე, რაც თურმანაულების გვარში სამი ძმა — ღერაყა, ბრიყვა და გარა სამ მამად გაკეთდა, — წმინდა გიორგის თავხევისბერი გარგის მოდენილობიდან დგება, მესუფრეობა (ანუ) სუფრაჯობა ბრიყვაის მოდენილობას ეკუთვნის, მეკვლეობა წელწაღს — ღერაყაის მოდენილობას, მესანთლე ჭეეისბერობაც თურმანაულთ ეკუთვნით და ღასტურობა ყველას მოუდის გოგოლაურთ თემის კაცსა მორჩენილი." (1964 წლის ფშავის ეთნოგრ. ექსპედიციის ღღიურიდან).

[35] მხცოვანი მთხრობელი დავით თურმანაული ამ ტერმინს ასე განმარტავს: „მოყვანილი იმას ჰქვია, რომ გარედან მოსულ კაცს ჩვენებური ხატები მამულს მისცემდნენ და ღაასახლებენნ. აი მუქუს ადგილი და მოკვერათ კარი პირველად გოგოლაურებისა არის. ძველ დროში ხევსურეთის სოფელ ბლოდან კაცი მოვიდა, იმას წოწკურა ერქვა და კაცის სახელზე წოწკურაულები არიან. ჩვენ ხატს იმისათვის (წოწკურასთვის — ვ. ბ.) მუქუს ადგილები მიუცია და დაუსახლებია. ეგენი (წოწკურაულების — ვ. ბ.) იმის მერე გოგოლაურები არიან".

[36] ფშავისხევის ჩამოთვლილი სოფლებიდან ამჟამად მოსახლეობა შერჩენილია მხოლოდ ხიშმუსა, ჭაფნაგასა და ბინდაურთაში.

[37] ფშავისხევი ნიშანდობლივ დასახლებული აქვს XVII ს. ავტორს ფეშანგის თავის პოემაში „შაჰნავაზიანი". იგი წერს, რომ ვახტანგ V შიკრიკი გაგზავნა მთიანეთში ჯარების მოსაშველებლად:

„კაცი გაგზავნეს სასწრაფოდ, სიტყვა დაეედრა ჭადელთა,
მოკვეეთა და მთიულთა, იმა ომისა მწადელთა.
ფ შ ა ვ ი ს ჭ ე ვ ს დიდად მებრძოლთა, მტერთ ჭმლითა დამამხობელთა,

.....ყუელანი იქმო აბჯრითა.... „ — შაჰნავაზიანი, § 677 და 678, შდრ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი , მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, ტ. III—IV, გვ. 275, თბილისი, 1962.

ფშავის ამ ძირითად თემებს წერილობითი წყაროების მეშვეობით ვიცნობთ იმ აზრის მიხედვით, რომელიც შედგენილია 1789 წელს. სიის მიხედვით: ქ: ფშავის ხევის სოფელნი ეს არიან: ქ: უკანა ფშავი ქ: ახადი ქ: წითელაურთა ქ: ხოშარა ქ: წიჩო: ქ: მუქუ ქ: მათურა ქ: გოგოლაურთა ქ: ცაბაურთა: ქ: უძილაურთა ქ: შუაფხო"[38]...

სიის შემდეგნელი სოფლის სახელებს ჩამოთვლის იმ რიგზე, რომ დასახელებას ფშავის არაგვის სათავიდან (უკანაფშავიდან) იწყებს და ხეობის ჩამოყოლებით ამ მდინარის ხევსურეთის არაგვთან შესართავის მახლობლად (შუაფხო) ამთავრებს. დღესაც ეს სოფლები ამ რიგითაა განლაგებული ხეობაში, სახელებიც იგივე შერჩენიათ მცირე განსხვავებით: სოფელ წიჩოს ამჟამად ჭიჩო ეწოდება.

ამასთანავე უნდა ითქვას, რომ სიაში სოფლებად აღნუსხული სახელები სათემო ცენტრებს აღნიშნავენ, სადაც ამა თუ იმ თემის ძირითადი ადგილსამყოფელი და მათი სათემო ხატების „საბრძანისია". ამას მოწმობს ის გარემოება, რომ სიაში მოხსენებული შუაფხო, გარდა საკუთრივ შუაფხოსი, მოიცავს, ერთი მხრივ, იმავე ფშავის ხევში მდებარე სოფლებს არახიჯას, თხილიანასა და ვანხევს, ხოლო მეორე მხრივ, ამჟამად დუშეთის რაიონის ჟინვალის სასოფლო საბჭოში გაერთიანებულ სტროფავსა, ნეძიხსა და სხვა ისეთ სოფლებსაც, სადაც შუაფხოს ანუ საქისტაუროს თემის წევრები შერეულად ცხოვრობდნენ სხვა თემისა თუ თემების წევრებთან; ცაბაურთა, გარდა საკუთრივ ცაბაურთასი, მოიცავს იმავე ფშავის ხევის ორ სოფელს — ბეტისჩდილსა და ქუთხს და მაღაროსკარის სასოფლო საბჭოში შემავალ სოფლებს: ჩარგალს, მიგრიაულთას, აფშოს; მუქუ, გარდა საკუთრივ მუქუსი, მოიცავს იმავე ფშავის ხევის სოფელ ფიჭვიანს და ფშავის ხევის გარეთ მდებარე შემდეგ სოფლებს არბაჩხანი (მაღაროსკარის სასოფლო საბჭო), ნოჯა (ლაფანაანთკარის სასოფლო საბჭო), ხეობა (ხეობის სასოფლო საბჭო), ჩაპანო (თიანეთის რაიონის ახალსოფლის სასოფლო საბჭო) და სხვ.; ასევე ითქმის გოგოლაურთ თემის შესახებ, რომლის შემადგენლობაში, როგორც ზემოთ ვნახეთ, რამდენიმე დასახლებული პუნქტი შედის; რაც შეეხება უკანა ფშავს, გოგოლაურთის მსგავსად, იგი თემის სახელია და მოიცავს რამდენიმე სოფელს, სახელდობრ ელიაგზას, ჩალახევს, ვაკისოფელს, ჭიდალს და მოქელს, ფშავის ხევში და მაღაროსკარის სასოფლო საბჭოში შემავალ შარახევსა და კუჭეჭას; ასევე თემის სახელია აღნიშნულ სიაში, სოფლად მოხსენებული წითელაურთა, რომელშიც შედის სოფლები ნაკვალესავი, ჭეშო და ქინო.

ამჟამად ისიც დადგენილია, რომ სიაში დასახელებული რიგი სათემო ცენტრების სახელებს უკავშირდებიან გარკვეული კონკრეტული სახის ერთობლიობები (მამანი, საძმოები), რომლებიც დროთა განმავლობაში გვარებად ჩამოყალიბებულან[39]. მაგალითად, ხოშარის თემს უკავშირდებიან გაბიდოურნი, გოგოლაურთ

---

[38] ვახტანგ მეფის დასტურლამალის ხელნაწერის მინაწერიდან. ეს მინაწერი გამოქვეყნებულია ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა ს წიგნში „ფშავი", 1934, გვ. 69.

[39] ამ ნათესაურ-სოციალურ ინსტიტუტებს (მამა, საძმო, გვარი) მიეძღვნა ჩვენი ნარკვევი „სახლისკაცობა და საგვარეულო ეთნოგრაფიული მასალის შეკრება", რომელიც მოხსენდა საქ. მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის სექტორის გამსვლელ სესიას გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმთან ერთად დაბა გეგეჭკორში 1962 წლის ოქტომბერს.

თემს როგორც თურმანაულთ — ხომი[40], ისე ამ თემში შემავალი სხვა გვარები, მუქუს თემს — წოწკურაულნი და სხვ.

გოგოლაურთ თემს, როგორც სათანადო მასალა არკვევს, ერთ რომელიღაც დროის მონაკვეთზე უფრო ფართო ტერიტორია სჭერია, ვიდრე სხვა ხანებში. ამ თემის კუთვნილება ზემოჩამოთვლილ სოფლებთან ერთად მთლიანად მუქუ და მოკვერათკარი უნდა ყოფილიყო.

მაგრამ გოგოლაურთ თემის ისტორიაში გადმოცემა ისეთ ხანასაც მოწმობს, როცა მისი უძველესი მოსახლეობა — თურმანაულნი ერთ კაცამდე დალეულან.

გადმოცემა მოგვითხრობს, რომ სოფელში უბედურება დატრიალებულა; ხომიდან თანდილაანთ სამი ვაჟი სოფელს უნდა ჩაექოლა, თუ დამაჯერებელ პასუხს ვერ გასცემდნენ თემის მიერ დასმულ კითხვებს. ძმები მოთათბირებიან მამას. მამას უთქვამს, რომ რჩევისათვის თემის უფროსს მიმართეთო. ამ უფროსის რჩევას გადაურჩენია ძმები სიკვდილისაგან. უფროსი თურმანაული იყო, უკვე მოხუცებული და ერთადერთი სათურმანაულოში დარჩენილი მამაკაცი — მასზე უნდა შეწყვეტილიყო ეს ძლიერი ავტოხტონური შტო გოგოლაურთ თემისა.

თანდილაანებმა იმ დიდი დახმარების სანუქფოდ, რომელიც თურმანაულმა გაუწია და სიკვდილს გადაარჩინა განწირული სამი ძმა, — გადაწყვიტეს ერთ-ერთი თანდილაანთ რძალი ცოლად მიეცათ თურმანაულისათვის[41]. მოხუც თურმანაულთან თანდილაანთ რძალს ერთი შვილი შეეძინა, ამას კიდევ სამი: დურაყაჲ ბრიყვაჲ და გარაჲ. დროთა ვითარებაში, გადმოცემის სიტყვებით რომ გავიმეოროთ „ესენი (ე. ი. ეს სამი ძმა) სამ მამად გაკეთდნენ“.

კიდევ უფრო გვიან დურაყათ მამიდან წარმოშობილა სამი ახალი მამა (სახელდობრ, თალანი, კაჭაროზანი, ღონიერანი), ხოლო დანარჩენი ორისაგან (ბრიყვანი და გარანი), ერთი ვერსიით, თერთმეტ-თერთმეტი მამა, მეორე ვერსია კი ჩამოთვლის ბრიყვთაგან მომდინარე შვიდი მამის სახელს და გარათაგან მომდინარე ექვსი მამის სახელს. ასე გაბევრებულან თურმანაულნი ბუნებრივი გამრავლების გზით. მაგრამ ზრდა სხვა გზითაც მომდინარეობდა.

გარათ მამის უფროსი გარა თურმანაული გამოჩენილი თავხევისბერი და გმირი მეომარი ყოფილა, რომელსაც მითხო და მაისტი ვაუტეხია, ულაშქრია ხევსურეთშიც და შატილში სახელმოხვეჭილი ვარდანი დაუმარცხებია. ამ თემს ზოგი ტყვეები შემატებია, ზოგი ამანათად მოსულა, ზოგიც მოყვანილნი შემოუერთებია. ასე გამრავლებულა მთლიანად გოგოლაურთ თემი, რომელშიც სხვადასხვა წარმოშობის კომლები შესულან. დავასახელებ ზოგიერთ მათგანს: მახაურნი — ტყვე დაღესტნიდან, კაკაბელნი — გარეკახეთიდან, ჩიტუანი — ოსეთიდან, წოწკურაულნი — ხევსურეთიდან (სოფ. ბლო), ხახონიც — ხევსურეთიდან (სოფ. გიორგწმიდა), მოკვერანი — გუდამაყრიდან, კოფანიც — გუდამაყრიდან, თაკვანი — ხევიდან, კაკუჩანიც — ხევიდან, კუწანი — მთათუშეთიდან, ყაყიჩანიც — მთათუშეთიდან და სხვა მრავალი (ფშავის 1964 წლის კომპლექ-

---

[40] ხომი, როგორც ზემოთ ითქვა, სოფელია, რომელიც მაღაროსკარის სასოფლო საბჭოში შედის და რომელშიც გოგოლაურთ თემის წევრები სახლობენ. მაგრამ ამ შემთხვევაში მთხრ. 98 წლის დავით ჭრელას ძე თურმანაულის მიერ ნახმარი ტერმინი ხ ო მ ი სემანტიკურად სიმრავლის აღმნიშვნელი უნდა იყოს. შდრ. საბასთან: „ჯ ო მ ი (4 მეფ. 23, 5)ჯომლი“, ხოლო „ჯ ო მ ლ ი მრავალ ვერსკელავი“.

[41] გადმოცემის მეორე ვარიანტით ეს ქალი ქერივი იყო (M[1], რვ. 26, გვ. 310).

სური ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურიდან M[1], რვ. 26, გვ. გვ. 311—312; რვ. 27, გვ. გვ. 313—318; 321—324).

აქვე აღვნიშნავ, რომ ხევსურეთიდან გოგოლაურთ თემში მოსული წოწკურაულო წინაპარი სათემო ხატის სახელით მუქუში დაუსახლებიათ. დროთა ვითარებაში წოწკურაულნი ცალკე თემად ჩამოყალიბებულან და სოფ. მუქუში თავიანთი სათემო ცენტრი მუქუს მოხარნადე ღვთისმშობლის ხატი შეუქმნიათ.

ყველაზე ადრე გოგოლაურთ სათემო წმინდა გიორგის ხატი გაჩენილა, ხოლო შემდეგ უფრო გვიან მეორე სათემო მთავარმოწამის ხატი დაარსებულა. პირველი ხატი უპირატესად თურმანაულების საზოგადოებრივ-საკულტო ცენტრი იყო, თუმცა იგივე გოგოლაურთ საერთო-სათემო ხატსაც წარმოადგენდა. ასევე მთავარმოწამის ხატი უპირატესად სულხანაანთი (რომელნიც ძირად სათურმანაულოს ეკუთვნოდნენ), თანდილაანთი და საერთოდ ხიშმუში მოსახლე გვარეებისა იყო (მათგან დგებოდნენ ამ ხატის ხევისბერები) და ამავე დროს მთელი გოგოლაურთ თემის ხატსაც შეადგენდა. ამ ორი სათემო ხატის გარდა, გოგოლაურთის თემს მრავალი სასოფლო ხატი გააჩნდა, როგორც სოფელ გოგოლაურთაში, ასევე სხვა სოფლებში, სადაც კი გოგოლაურთ თემის წევრები ცხოვრობდნენ.

გოგოლაურთ სათემო წმინდა გიორგის ხატის ნაგებობათა კომპლექსი ორგანაა მოთავსებული — ქმოდის გორზე და ნასოფლარ თურმანაულთაში.

გადმოცემით წმ. გიორგის ხატი პირველად ქმოდის გორზე დაარსებულა. შემდეგში ხატს აუყრია ქმოდის გორს ქვემოთ მდებარე სოფელი თურმანაულთა და მის ნახოლარებში თვით „დაბძანებულა“.

ქმოდის გორის წმ. გიორგის ხატი მდებარეობს ზღვის დონიდან 1880, 09 მ სიმაღლეზე. ხატის საერთო ფართობი სახარნადოებითურთ 52 ჰა-ს შეადგენდა.

ქმოდის გორზე ხატის კომპლექსი შემდეგ ნაგებობებს მოიცავს: წულის გასარევი კოშკი, საზარე, სასანთლე, საკურთხეველი, სათასე ანუ სასუფეველი, გალავანი, თეთრი ეიორგის კოშკი და გაურკვეველი დანიშნულების შენობის ნანგრევი.

წ უ ლ ი ს გ ა ს ა რ ე ვ ი კ ო შ კ ი, ა ნ უ წ მ. გ ი ო რ გ ი ს კ ო შ კ ი (ტაბ. 63. ა) ფიქალი ქვისგან მშრალი წყობით აგებული კვრივი ძეგლია, გეგმაში სწორკუთხოვანი ფორმის, ძირთან განიერი, საიდანაც იგი სიმაღლეზე თანდათან ვიწროდება და მთავრდება შვიდიარუსიან-სანაწვთებიანი პირამიდული სახურავით. სახურავს თავზე ადგია თეთრი, ფორებიანი და ხავსმოკიდებული სათაურას ქვა.

წმინდა გიორგის ხატში წულის გარევის წესი ძველად ამ კოშკთან სრულდებოდა. ზაფხულის დღეობა საღმურთობას გოგოლაურთ თემის ყოველი ოჯახი აქ მოიყვანდა თავის ახლად შეძენილ ვაჟიშვილს, ვიდრე ის ერთი წლისა გახდებოდა, თან მოაყოლებდა კურატს ან ჭედილას ბავშვის სახელზე დასაკლავად და აღნიშნულ წესს ხევისბერი შეასრულებდა (ტაბ. 68).

ქ მ ო დ ი ს წ მ ი ნ დ ა გ ი ო რ გ ი ს ს ა ზ ა რ ე (ტაბ. 63 ბ) სწორკუთხოვან ფუძეზე ოთხსვეტიანი შენობაა, ფიქალი ქვით ნაგები ძირითადად მშრალი წყობით, ხოლო ადგილ-ადგილ ლამ-კირით შემაგრებული. მის თაღოვან სვეტებზე დაყრდნობილია ათიარუსიან-სანაწვთებიანი პირამიდული სახურავი, რომლის ზედა სანაწვთეზე აღმართულია მთის ბროლის წაწვერილი სათაურა. შენობა გარედან კირითაა შელესილი. საზარეში ჩამოკიდებულია ზარი, რომლის ზედაპირ-

ზე ამოკაწრულია შემდეგი წარწერა: „წმინდაო გიორგი ჩვენ სამწყალობლოდ მოგვე შენი წყალობა ქ: ჩყლზ წელსა შემოგწირეს ეს ზარი ერთობლივ გოგოლაურებმა ჩვენ და ჩვენ(ნ)სა ბოლოს ბატონო[42].

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ჯვარ-ხატების ნაგებობათა კომპლექსში წარმოდგენილი საზარე ამ კომპლექსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. აღსანიშნავია, რომ იმ სახეობის ნაგებობა, რომელიც გამიზნულია ზარის ჩამოსაკიდებლად, ჩვენს მთიანეთში აღინიშნება სპეციალური ტერმინით საზარე, საზარე კოშკი, საზარე ნიში. ამავე დროს ჩვენ ვიცით, რომ ქრისტიანულ ეკლესიებთან არსებულ ზარის ჩამოსაკიდებელ ნაგებობებს სამრეკლო ეწოდება.

გ. ჩუბინაშვილი ქართულ ქრისტიანულ არქიტექტურაში გამოჰყოფს ორი ტიპის ნაგებობას, — ერთია მონუმენტური შენობა, რომელსაც ის „колокольня"-ს უწოდებს. ამ ტიპის колокольн-ები დამოწმებულია კახეთში XV—XVI საუკუნიდან, ხოლო ქართლში XIII საუკუნიდან[43]. გ. ჩუბინაშვილი აღნიშნავს, რომ საქართველოში ამ საუკუნეებზე ადრეც აგებდნენ ზარის ჩამოსაკიდებელ ნაგებობას, მაგრამ სხვა ტიპისას, რომელიც გვიან ხანებშიც განაგრძობდა არსებობას მაღალმხატვრული ხელოვნების სამრეკლოების გვერდითო. ნაგებობათა ამ მეორე ტიპს მკვლევარი უწოდებს „Древняя звонница"-ს. გ. ჩუბინაშვილის მიხედვით ეს ტიპი «представлял собой небольшие, совершенно открытые звонницы, которые строились на коньке кровли и вмещали, конечно, один колокол» და მიუთითებს, როგორც გადმონაშთზე ასეთი უძველესი звонница-სი, გრეხის მიძინების ტაძრის სასურავის კეხზე აგებულ звонница-ზე. ამგვარი звонниц-ები მკვლევარს მრავლად ჰქონია ნახული პატარა ეკლესიებზე კახეთში, აგრეთვე სომხეთშიც[44].

ჩვენ მიერ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ჯვარ-ხატებში ფიქსირებული ძირითადი სახის საზარეები ანუ საზარე კოშკების დიდი ნაწილი იმავე ტიპისაა, როგორიც გ. ჩუბინაშვილის მიერ დამოწმებული древние звонницы, ოღონდაც იმ განსხვავებით, რომ ეს საზარეები ცალკე ნაგებობებია. აქვე უნდა ითქვას, რომ ამ ძირითადი ტიპის საზარეებს გარდა, მთიანეთშივე დამოწმებული გვაქვს მისი სამი სხვა სახის ვარიანტი; ესენია: სამსვეტიანი, ორსვეტიანი და ცალსვეტიანი საზარეები. ოთხივე სახის ნაგებობათა აღმნიშვნელ ტერმინად მთიანეთში გამოყენებულია ტერმინი საზარე.

ამგვარად, აღნიშნული ორი სახის ნაგებობათათვის ქართულში ორი სხვადასხვა ტერმინი გვაქვს — სამრეკლო და საზარე. გაკვირვებას იწვევს ის გარემო-

---

[42] წარწერის ამ ადგილას ჩემი კონიექტურა ემყარება ამავე ხატის მეორე საზარეში მოთავსებულ ზარზე ანალოგიური წარწერის სათანადო ადგილს წაკითხვას. ამ უკანასკნელი წარწერის ბოლო წინადადება ასე იკითხება: „.... შემოგწირეთ ზარი ერთობლივ გოგოლაურთა... ჩვენ სამწყალობლოთა და ჩ ვ ე ნ ს ა ბ ო ლ ო ს ა შენი წყალობა მოგვე", ხოლო ჩვენი წარწერის ბოლო წინადადება შემონახულია შემდეგი სახით: „... შემოგწირეს ეს ზარი ერთობლივ გოგოლაურებმა ჩვენ და ჩვე საბელოს ბატონო". ორივე ზარის წარწერა დაახლოებით ერთი და იმავე თარიღისაა — 1837 („ჩყლზ") წელი და 1846 („ჩყმვ") წელი.

[43] გუდარეხის სამრეკლო XIII საუკუნის ბოლოსი — ნ. მარი ხანძთის სამრეკლოს ათარიღებს XII—XIII სს. (Н. М а р р , Дневник поездки в Шавшию и Кларджию, Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. VII, СПб., 1911, стр. 150).

[44] Г. Н. Ч у б и н а ш в и л и , Архитектура Кахетии. Исследование развития архитектуры в Восточной провинции Грузии в IV—XVIII вв., Текст, Тбилиси, 1959, стр. 510—511.

ება. რომ საქართველოს მთიანეთში ასე ფართოდ გავრცელებული ნაგებობა და მისი აღმნიშვნელი ტერმინი საზარე ანუ საზარე კოშკი არ მოიპოვება არც ერთ ქართულ ლექსიკონში დიალექტური ლექსიკონებისა და ხუროთმოძღვრული ლექსიკონის ჩართვით.

ქმოდის წმ. გიორგის საზარეს სამხრეთიდან აკრავს საკურთხეველი, ფშაურად ქ ა დ ა-პ ე ტ ი ს ს ა ჭ რ ე ლ ი ანუ ს ა ს უ ფ ე ვ ე ლ ი ფიქალი ქვისაგან მშრალად ნაგები ბაქანი, რომელსაც ზემოდან ადევს მოგრძო და უსწორმასწორო სიბრტყის სიპის ფილა.

საზარესა და საკურთხევლის მახლობლად სასანთლეა. იგი განსხვავდება აქამდე ჩვენთვის ცნობილი ამ სახელწოდებების ნაგებობებისაგან. მთიელთა არქიტექტურაში სასანთლე, თუ ის ცალკე ნაგებობაა და არა ნაგებობის კონსტრუქციული ნაწილი (მაგალითად, შენობის თახჩა, რომელშიც სანთლები ინთება ხოლმე). მშრალი წყობით ნაგები კვრივია, რომელსაც ერთ, იშვიათად ორ-სამ მხარეზე დატანებული აქვს შუკუმა. ამისგან განსხვავებით ქმოდის გორის სასანთლე (ტაბ. 63 ა) გეგმაში კვადრატული ფორმის სათავსოა, ორქანობიანი სახურავით: სათავსოს ცენტრში აღმართულია შუაბოძი, რომელსაც თავზე ეყრდნობა. სასანთლის მთავარი ფასადი სამხრეთის მხარეზეა. იქვე, კედლის მარჯვენა ნახევარში, ძირიდან ორი მეტრის სიმაღლეზე ვიდრე კედლის თავამდე (აქ უკვე ცერად) გაჭრილი კარის ღიობი, ამჟამად შენობას კარი აღარ აბია.

სასანთლის მთავარი ფასადის წინ, მისგან სამი-ოთხი მეტრის სიშორეზე მოთავსებულია სათასე (ტაბ. 63ა) — ნაგლეჯ ქვებზე დადებული დიდი უსწორმასწორო სიბრტყის სიპი. დღეობების დროს გარკვეულ მომენტებში სათასეზე ლუდით სავსე თასებს გაარიგებდნენ და ხევისბერნი ღვთისშვილთა „სადიდებოს“ წესს შეასრულებდნენ[45].

საზარისა და სასანთლის შორის ყორის გალავანია გავლებული.

ქმოდის გორის სახატო ნაგებობათა კომპლექსში შედის აგრეთვე თ ე თ რ ი გ ი ო რ გ ი ს კ ვ რ ი ვ ი, რომელიც წულის გასარევი კოშკიდან ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით, შემაღლებულ ბორცვზე მდებარეობს. იგი (ტაბ. 64 ა, ბ) მშრალად ნაგები კვრივია, რომელსაც ცალ მხარეს ძირიდან ერთი მეტრის სიმაღლეზე სასანთლე შუკუმი აქვს დატანებული, ხოლო თავზე ხუთიარუსიან-საწაწვთებიანი ორფერდა სახურავი ადგია. ნიში ერთი გვერდით ებჯინება გორს, სამი მხრიდან კი მას ყორის გალავანი არტყია.

გოგოლაურთ წმ. გიორგის თავხევისბერი, ამჟამად ღრმად მოხუცებული დავით თურმანაული (რომელსაც ჩვენ სახლში ვეწვიეთ, მას უკვე აღარ ძალუძს ხატში სიარული) გვიხსნის — თეთრი გიორგი აწყვერის თავს არის და ურბნისშია[46], აქ იმისი ნიშია. ქმოდის გორს ჰქონიათ შეყრილობა. აქ შეყრილან ღვთისშვილები და აქედან დანაწილებულან კოპალა, თეთრი გიორგი და სხვა ხატები.

---

[45] ფშაური სადიდებოს შესახებ და მისი ტექსტის ნიმუში იხ. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ნაკ. I, თბილისი, 1938, გვ. 7, 33.

[46] აწყვერის თავის თეთრი გიორგის ქვეშ ივარაუდება კახეთის აწყურის თეთრი გიორგის ეკლესია. რაც შეეხება მეორე დასახელებას იგი დღემდე ცნობილი არ არის. ლიტერატურაში ფიქსირებული ურბნისის ბაზილიკური ეკლესია წმ. სტეფანეს სახელობისაა, — იხ. საქართველოს სსრ კულტურის ძეგლები, აყვანილი სახელმწიფო დაცვაზე, თბილისი, 1959 წ, გვ. 111.

ქმოდის გორზე კიდევ ერთი შენობაა, უკვე შენობის ნაშთია, რომელიც მდებარეობს თეთრი გიორგისა და წმ. გიორგის ნაგებობებს შორის. ამ შენობის დანიშნულების დადგენა შეუძლებელი შეიქნა. დღეობაზე ქმოდის გორზე მყოფი „ხატის ქალის“ ცნობით იგი სალუდის ნანგრევია, ხოლო ხევისბერ პ. კუწაშვილის მიხედვით „ნათელ (ე. ი. თეთრი) გიორგის დარბაზის ნაშალია.

გოგოლაურთის ზემოაღნიშნულ ნასოფლარზე გაშენებული წმ. გიორგის ხატის მეორე კომპლექსი, მდებარეობს ზღვის დონიდან 1709 მ სიმაღლეზე. აქ ვრცელ ტერიტორიაზე ახალგაზრდა ხეებთან ერთად მრავალი ბებერი იფნისა და მუხის ხე დგას. ამ ხეებს შორის შემდეგი ნაგებობებია, ზოგი მათგანი ნანგრევების სახით მოღწეული: სასანთლე, ბეღელი, სადროშე, საზარე, დარბაზი და საბერო, კვრივი, საკულუხე, სალუდე, ხატის ცხვრის ფარეხი, კალო და მის წინ სასწვრის იფნი, მოშორებით— სადასტურო. სასანთლე კოშკი, კვლავ კვრივი, გალავანი და სანაკვეთრე ქვა.

ამ კომპლექსებიდან სასანთლე, ბეღელი. საზარე. დარბაზი და საკულუხე განლაგებულია ერთმანეთის მიყოლებით მთის პირად. ეს მთისპირი შვეულია და ადგილ-ადგილ ყორითაა შემაგრებული. ამ შვეული ფერდობით ისაზღვრება ჩრდილოეთის მხრიდან ღ ი ა ს ა ჯ ა რ ე. რომელიც გრძელი და ვიწრო ფორმის ხელოვნურ დავაკებას წარმოადგენს.

სასანთლე კოშკი (ტაბ 65) მცირე ზომის მართკუთხა ფორმის ყორის ძეგლია, რომელსაც აღმოსავლეთისა და დასავლეთის ჰსარეს ერთი მთლიანი გამჭოლავი შესასვლელი აქვს დატანებული, კოშკის თავზე სიპის ფილა, ხოლო ფილაზე ფიქალი ქვის ნაჭრები აწყვია.

ბეღელი (ტაბ. 65, ტაბ. 66) ქვა-კირით ნაგები და გარედან კირით შელესილი, გეგმაში კვადრატული ფორმის შენობაა, ათიარუსიან-სანაწვთებიანი პირამიდული სახურავით, რომელსაც თავზე მთის ბროლის სათაურა ადგია. დასავლეთის კედლის შუა ნაწილში გაჭრილია კარის ღიობი, რომელსაც აქვს ქვის ზღურბლი, ქუდი და ჯერ კიდევ შერჩენილი ხის ჩარჩო, მაღალზე გაჭრილ კარის ღიობთან მისასვლელად ქვის საფეხურებია აგებული. ბეღელს ჰქონია მაღალი სამთვლიანი ხის აკო, გადახურული ფიცრის სარქველით, რომელიც როგორც ჩანს, ფარავდა მის ცრუგუმბათოვან შიდა გადახურვას. ჩვენამდე მოღწეულია აკოს კოჭები და მისი სარქვლის რამდენიმე, ცულით ნათალი ფიცარი, რომელზეც ჩვენს იქ ყოფნის დროს ნიჩაბი იყო შემოდებული. ბეღლის იატაკი დაფენილია უსწორმასწორო ფიქალი ქვის ფილებით.

საზარე (ტაბ. 65, ტაბ. 67) შედგება ორი ნაწილისაგან — ოთხი სვეტისა და მათზე დაყრდნობილი გუმბათისაგან. სვეტები მუხისაა, გუმბათი შეკერილია თუნუქის ფურცლებისაგან თუნუქისავე ლურსმნებით; მისი ქვემო ნაწილი — ყელი, ცილინდრული ფორმისაა, ხოლო ზემო ნაწილი სფეროკონიული გუმბათისა, რომელსაც თავზე ლითონის ბუშტი აქვს დამაგრებული. გუმბათის ყელი ამოფანჯრულია და მასზე წვრილი ზარაკები ჰკიდია, ხოლო ზედა ნაწილს ამობურცული ორნამენტები ამკობს. საზარეში ზარია, რომელსაც შემდეგი სამსტრიქონიანი წარწერა აქვს: „ქ. შემოგწირეთ ზარი ერთობლივ გოგოლაურთა ქმოდის წმინდაო გიორგივ ჩვენ სამწყალობლოთა და ჩვენსა ბოლოსა შენ წყალობა მოგვე წელსა ჩყმვ-სა“.

სავსებით ანალოგიური საზარე ჩვენ დავაფიქსირეთ ხევსურეთში, ბარისახოს სასოფლო საბჭოს ერთ-ერთი სოფლის, კარწეულთის ჯვარში. გოგოლაურთ

წმ. გიორგის ხატის საზარეს მსგავსად, კაწალხევის ჯვარის საზარე შედგება ოთხი ხის სვეტისა და ამ სვეტებზე დამაგრებული ლითონის გუმბათისაგან. ეს გუმბათიც, პირველი საზაოის გუმბათის მსგავსად, ორნაწილედია — ქვედა ნაწილში (ყელი) მრგვალია და ამოფანჯრული, ზედა ნაწილში სფეროკონიული გუმბათისდამაგვარია, ამობურცული ორნამენტებით შემკული.

მსგავსი გუმბათი ფშავ-ხევსურეთის სხვა ჯვარ-ხატებშიც მოიპოვება. ასეთი გუმბათებია საზარე კოშკებზე მაგალითად, ფშავში: პირცეცხლის ხატში (ჭიჩო), კოტიის ხატში, დამასტურში, საკვირაოს ხატში, ლაშარის ჯვარში, ხოლო ხევსურეთში პირქუშის ჯვარში; მსგავსი გუმბათები ხევსურეთში უფრო ჭარბად მოიპოვება ფშავის მოსაზღვრე ხეობაში — ლიქოკში. აქ ისინი დავაფიქსირეთ ჭალაისოფლის შუბნურის ჯვარის საზარე კოშკზე, ამავე ჭალაისოფლის კოპალა კარატის ჯვარის საზარე კოშკზე და ამავე კოპალა კარატის ჯვარის დარბაზისა, საკოდისა და საბეროს საერთო ორქანობიანი სახურავის კეხზე ფასადის ნაპირთან დამაგრებული. ფშავის ზოგიერთ ხატებში საზარე კოშკებზე აღმართული ლითონის გუმბათი თავისი მოყვანილობით აღწერილი გუმბათის ზედა ნახევარს იმეორებს, იგი სფეროკონიულია და ჯვარით მთავრდება. ასეთია ლითონის გუმბათები ირემთკალოს საზარე კოშკზე, ჭიჩოს თამარის ხატის საზარეზე, თამარღელის ხატის საზარესა და ზოგიერთ სხვა საზარეებზე. მთიანეთის გარეთ ასეთივე გუმბათიანი საზარე დამოწმებულია ბოდავში, მის საკულტო ნაგებობათა შორის[47].

ჩამოთვლილი ლითონის გუმბათების შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ მათი მასალა — თუნუქი ფაბრიკულია, ტექნიკა და შემკულობა ქალაქში დამზადებულის შთაბეჭდილებას ტოვებს; ისინი თავისი ფორმითაც ფშავ-ხევსურეთისათვის უჩვეულო. ამგვარი გუმბათები უთუოდ ბოლო ხანებშია მთიანეთში შეტანილი ქალაქიდან, ვფიქრობ, არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ამგვარი გუმბათები შეტანილი უნდა იყოს ჩვენს მთიანეთში ქრისტიანობის გამავრცელებული საზოგადოების მიერ, როგორც ერთ-ერთი ღონისძიება მათში ქრისტიანობის „დანერგვისა“.

დარბაზი და საბერო (ტაბ. 65) ფიქალი ქვისგან მშრალი წყობით ნაგები, გეგმაში სწორკუთხოვანი მოხაზულობის შენობებია, რომლებიც ერთმანეთს უკავშირდება საერთო კედლით და ამ კედელში დატანებული კარის ღიობით.

საყურადღებოა, რომ ამასთან ერთად ეს ორი თვალი სხვადასხვა ტიპის ნაგებობაა, საბერო გრძელი, ხოლო დარბაზი განიერი ტიპისაა. მაგრამ დარბაზში შესასვლელი კარის ღიობი გრძელი დასავლეთის კედლის შუაზე კი არ მოდის რაც დამახასიათებელია განიერი ტიპის შენობისათვის, არამედ იგი გაჭრილია ცენტრიდან უფრო მარჯვნივ და რამდენადმე საბეროს კარის ღიობს უსწორდება. ამიტომ ამ საზოგადოებრივ-საკულტო შენობის კართან მიმსვლელს მხედველობის არეში თავიდანვე ექცეოდა როგორც დარბაზის დიდი ნაწილი, ისე საბეროსი მათი შიდამოწყობილობით.

სამწუხაროდ, ორივე შენობა ჩვენამდე მოღწეულია ძალზე დაზიანებული სახით. ადგილ-ადგილ მორღვეული აქვს კედლები, დარბაზის სახურავი მთლია-

---

[47] П. Уварова, Поездки в Пшавию, Хевсуретию и Сванетию, МАК, в. X, М., 1904, стр. 10, 53.

ნად ჩაქცეულია, საბეროსაგან შემონახულია მხოლოდ ნაწილი ორქანობიანი სახურავისა და ჭერისა. რაც მთავარია, კვალიც კი არ დარჩენილა იმისა, თუ სად იყო მოწყობილი კერა, სად, რომელ ადგილას მდებარეობდა საკურთხეველი, რომელ კედელში რა ადგილას რამდენი შუკუმა იყო დატანებული და საერთოდ როგორი შიდამოწყობილობა ახასიათებდა ამ შენობებს. თუმცა ამავე დროს არავითარი ნიშანი არ მოიპოვება იმისა, რომ აქ რაიმე სახის გადახვევა არსებულიყო ჩვენთვის ცნობილი შიდამოწყობილობისაგან, დარბაზ-საბეროს რომ ახასიათებდა.

საკულუხე (ტაბ. 68 ა, ბ) ზემოაღწერილი შენობების მსგავსად ფიქალი ქვისაგან მშრალი წყობითაა ნაგები, გეგმაში მართკუთხა ორქანობიანი სახურავით. შენობაში ცენტრის ხაზზე ორი ხის სვეტია — ერთი აღმოსავლეთის კედელთან და მეორე შუაში; შუა სვეტი შეყენებულია საძირის ქვაზე. მოკლე (აღმოსავლეთისა და დასავლეთის) კედლების ზედა მახვილკუთხა ნაწილის თავებზე და შუასვეტის საყბეურში გადებულია თავხე, თავხეზე გამაგრებულია „ფარღები“, (ნივნივები) რომლებზედაც გაწყობილია სახურავის სიპები. შენობას ჭერი არა აქვს, მის ფუნქციას ორქანობიანი სახურავი ითავსებს. გარედან დიდი ნაწილი ჩრდილოეთის და სამხრეთის კედლებისა, რომლებიც მიწაშია ამოყვანილი, მთელ მათ სიმაღლეზე გამაგრებულია ყორით.

საკულუხე მხართსაქცევი ტიპის შენობაა. მას სამხრეთის კედელში სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხესთან დატანებული აქვს კარის ღიობი, ზემო ნაწილში ოვალური ფორმის. კარი მუხისაა, მასიური ორი ფიცრისგან შეკრული ბასკებით; იგი იკეტება ხის კედით.

•ღია კარიდან ვხედავთ ამ კარის პირდაპირ ჩრდილოეთის კედელთან ქვის თაროს, რომელიც მის გვერდით კუთხეში და დასავლეთის კედელთან მოწყობილი ქვის „სკამების“ მსგავსია, კართან გამართულ კერას, მის მახლობლად კედელზე ჩამოკიდებულ საკიდელს (ნაჭას) და კერის გარშემო ხისა და ქვის საჯდომებს. ხოლო მარცხნით შემობრუნებულებს თვალში გვეცემა შუასვეტზე დამაგრებული ირმის წყვილი რქა და მათზე ჩამოკიდებული შეწირული საკადრისები, სამხრეთისა და ნაწილობრივ აღმოსავლეთის კედლების გასწვრივ გამწკრივებული ქვის „სკამები“. ამავე კედლებზე მოწყობილი ე. წ. სასანთლეები და ქადა-კვერის საჭრელი ანუ სასუფეველი, ხისა (ორი ცალი) და სიპის თაროები, რომლებზეც ამჟამად ხისა და ლითონის წვრილი ჭურჭელი აწყვია, მათ შორისაა ვერცხლის პატარა თასიც. შენობაში მრავლადაა სხვადასხვა ზომის ქილები, ბოთლები, ტოლჩა, ხის ყურიანი სასმისი, პატარა ლითონის ქვაბი, ხის კოდი, დიდი ხის ვარცლი, ლუდის საწყაო, ხის ციცხვი, ლანგარი, ფანდური და სხვ. მისთ.

ბოლო წლებში გოგოლაურთ წმ. გიორგის ხატის საკულუხე ერთადერთი შენობაა, სადაც დღეობების დროს და დღეობების წინ რამდენიმე დღისა თუ კვირის ეანმავლობაში საწმინდრად გასული ხატიონნი იმყოფებოდნენ. თავის დროზე საკულუხე ემსახურებოდა თავის პირდაპირ დანიშნულებას: მასში ინახებოდა ხატის ზვრებიდან მოტანილი ღვინო დღეობებზე სახმარად.

ხევისბერ დავით თურნაულის მიერ მოწოდებული ცნობით ამ ხატს ძველად კახეთში, სოფელ ხოდაშენში საკუთარი ზვრები ჰქონდა. დღეობა სერობა-საღმურთობისათვის გაგზავნილ მეკულუხეებს ხოდაშნის ზვრებიდან, უფრო სწორად, მარნიდან, რომელიც ზვრებში იყო აგებული, ხატში 60 ცხენის საპალნე

ღვინო[48] ამოჰქონდათ და ამ ღვინოს დღეობებში სახმარად საკულუხეში ინახავდნენო.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როცა ჯვარ-ხატებს ზვრები ჩამოერთვა, საკულუხეებმა თავისი პირდაპირი დანიშნულება დაჰკარგეს. სამაგიეროდ მაგალითად, გოგოლაურთ წმინდა გიორგის ხატში საკულუხეს დაეკისრა დარბაზის, საბეროს, საკოდისა და სადასტუროს ფუნქციები მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი შენობები ნანგრევებად იქცა. მიუხედავად ამისა მოსახლეობას კარგად ახსოვს, რომ ეს შენობა საკულუხეა. თუმცა მას დარბაზსაც უწოდებენ (ხევისბერ პ. კუწაშვილის თქმით „ეხლა საკულუხეს ვეტყვით დარბასიაო“).

ხევმონახსენებ ღია საჯარეს ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან ესაზღვრება ჯრქელი ტიპის ორთვლიანი შენობა (ტაბ. 69, ა, ბ), — ს ა ლ უ დ ე, რომელსაც წინა დიდი სათავსო უპირავს და იქვე ს ა კ ო დ ე ა — მეორე პატარა სათავსო. შენობა აგებულია მშრალი წყობით ფიქალი ქვისგან და დაფარულია ორკანობიანი სახურავით, რომელიც საკოდეში დარღვეულია. შენობის გადახურვა ჩვენთვის ნაცნობი კონსტრუქციისაა: სალუდეს ცენტრალურ ხაზზე აღმართულია საძირის ქვებზე დაყრდნობილი წინა ბოძი და შუა ბოძი; ბოძების საყბეურებსა და საპირისპირო მოკლე კედლების მახვილკუთხა თავებზე გადებულია თავხე, თავხეზე ფარდებია დამაგრებული და ფარდებს სიპები აფენია.

ყურადღებას იქცევს საკოდის უკანა კედლის მომრგვალებული კუთხეები, — თავისებურება, რომელსაც ჩვენ მთიანეთის საკულტო ცენტრების სხვა შენობებშიც ვხვდებით და რომელიც ჯვარ-ხატის არქიტექტურას რამდენადმე არქაულ იერს ანიჭებს. აღსანიშნავია აგრეთვე ის, რომ საკოდე (თუ ეს პატარა სათავსო მართლაც საკოდე იყო) ფშავის ხატებში იშვიათად გვხვდება. წინააღმდეგ ამისა ხევსურეთში საკოდე საკულტო ნაგებობათა აუცილებელი ელემენტია. აქ იგი დამოწმებული გვაქვს ორ ან სამმალიან საკულტო შენობებში. საკოდე ახლავს ან დარბაზს, ან სალუდეს, რომელსაც ხევსურეთში საქვაბე ეწოდება, ანდა სამივე თვალი — სალუდე, დარბაზი და საკოდე — ერთად, ერთ ჭერქვეშაა წარმოდგენილი.

გოგოლაურთ წმ. გიორგის ხატის სალუდე ორიენტირებულია სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთით. სამხრეთ-დასავლეთის კედელში მარცხენა კუთხესთან დატანებულია კარის ღიობი ცრუთაღისებური მოყვანილობის. მას აქვს ქვის ქუდი და ზღურბლი, რომელთა ფოსოებში ჩასმულია კარის საყუნწურები. კარი ფიცრისაა, ორნაწილედი. მეორე კარის ღიობი ერთმანეთთან აკავშირებს სალუდესა და საკოდეს.

სალუდის კედლებში დატანებულია რამდენიმე შუკუმა, საკოდეში კი ერთი. საკოდე ჩვენს იქ ყოფნაში 1964 წელს ცარიელი და გაპარტახებული ვიხილეთ, წინაალმდეგ სალუდისა.

სალუდის დასავლეთისა და აღმოსავლეთის კუთხეში აშენებულია ყორის საცეცხლურები. დიდი ზომის, შედარებით უკეთ შემონახულ დასავლეთის კუთხის საცეცხლურში ჩამოკიდებულია სპილენძის ფურცლებისაგან შეკერილი სალუდე ქვაბი[49]. იგი ყურებში გამობმული ჯაჭვით ჩამოკიდებულია ძელზე, რომე-

---

[48] დაკით თერმენაული გვიხსნის: ერთი სპალნე ექვს ჩაფ ღვინოს იტევს, ერთ ჩაფში ცხრა ჭელადაა, ერთი ჭელადა ორჩარეკიანია.

[49] ზოგან ფშაველებმა საცეცხლურს საქობე უწოდეს; ფიქსირებულია აგრეთვე ტერმინი საბუდარი, — სალუდე ქვაბის საბუდარი.

ლიც ერთი ბოლოთი კედელშია გამაგრებული, ხოლო მეორეთი საგანგებოდ აღმართული ბოძის საყბეურში. სალუდის აღმოსავლეთ-დასავლეთის კედლის გასწვრივ ძევს დიდი ზომის ისარნა, სპილენძის ფურცლებისაგან სპილენძისავე ლურსმნებით შეკერილი. ისარნაში მოთავსებულია დიდი საარაყე ქვაბი და სპილენძის ზარფუში. მახლობლად აწყვია სალუდე კედები, სისწვნის საწური, ჩხუტი და კოში. მეორე სალუდე ქვაბი, პირველთან შედარებით მცირე, დგას დანგრეული საცეცხლურის წინ; იგი ძალზე დაზიანებულია.

დავით თურმანაულის ცნობით დიდ სალუდე ქვაბში ცხრა კოდი ლუდი დუღდა, პატარა სალუდე ქვაბი კი ოთხკოდიანი იყო. შობა-ახალწელიწადს, საღმერთობას და სხვა დიდ დღეობებში ლუდს ცხრაკოდიან სალუდე ქვაბში ხარშავდნენ. ხვნის ნადში, მკის ნადში, საკალოოდ, აღებას, ამაღლებას და სხვა პატარა დღეობებში ოთხკოდიანი სალუდე ქვაბი დუღდა[50].

სალუდეს, როგორც აღვნიშნეთ, დასავლეთიდან ღია საჯარე საზღვრავს, აღმოსავლეთის მხრიდან კი მის გვერდით ხატის კალოა გამართული, ხ ა ტ ი ს კ ა ლ ო (ტაბ. 69 ბ) მოსწორებული, დატკეპნილი და ჩრდილოეთიდან სადაც მას მთის ფერდობი ემიჯნება, ყორით არის შემაგრებული.

კალოს თავზე ხატის ცხვრის ფარეხი ყოფილა. ამჟამად ამ ნაგებობის ადგილას, მთის ფერდობზე მხოლოდ ქვების გროვაღა მოიპოვება.

სასწვრის იფნი (ტაბ. 70) განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ბებერი იფნი, რომელიც ღია საჯარის წინ დგას და რომელზეც დაკიდებული სასწორით იწონებოდა გოგოლაურთ წმ. გიორგის ხატისათვის განკუთვნილი წინასწარ ნორმირებული წონის საკლავი, მატყლი, ყველი, რომელთა მიტანა ამ ხატის თემს ევალებოდა. ეს იფნი ცნობილია სასწვრის ხის სახელწოდებით.

მასთან დაკავშირებით აქვე მოგვყავს ხევისბერ პ. კუწაშვილის მონათხრობი ჩვენი დღიურიდან: „წმინდა გიორგის ხატს წელიწადში 18 დღეობა ჰქონდა და დაყოფილი იყო ვის რა უნდა მიეტანა — მატყლი, ყველი, თუ საკლავი უნდა დაეკლა. ესენი საჭირო წონისა უნდა მოტანილიყო. თუ ვთქვათ, საკლავს არ ყოფნიდა, სასოფლოს ანგარიში[51] უნდა გაესწორებინა, დაემატებინა ხორცი ან ფული. მოტანილს დასტურ-ჭევისბრები სასწვრის იფნზე ჩამოკიდებულ სასწორზე ასწონიდნენ სტილითა და ჩარექით, — გამოწონილი ქვებით. სტილი წონით ორასი გრამია, ჩარექი ორნახევარი გირვანქა“.

ვერც ერთი ხატის სტილსა და ჩარექს ფშავში ვერ მივაკვლიეთ. ხევსურული ჯვარის ე. წ. სტირი (სოფელ დათვისის ღვთისმშობლის ჯვარისა) ბურთისებრი მოყვანილობის ქვაა. რომლის ზედაპირზე ორი საპირისპირო მხრიდან ამოკვეთილია ჯვარის გამოსახულება.

ამას გარდა, 1965 წელს ეთნოგრაფიული ექსპედიციის მუშაობის დროს მთათუშეთში, სოფელ დართლოში, მის ერთ-ერთ ციხეში ვნახეთ შენახული კაპარჭი ფრთიანი ისრებით და რამდენიმე სხვადასხვა წონის სტილი, რომლებიც ჩვენ ციხის პატრონმა გვიძღვნა. ხოლო სოფელ ზემოომალოში, მარიამ წმინდის

---

[50] ამ ცნობას დავითმა დასძინა: „არაყი კიდევ სხვა იყო, არაყი ძღვენში მაჟქონდათ. სოფლის სეფისკვერიც მაჟქონდა წმიდისა, საკმეელიც. ჩვენ ლუდს ვასმევდით, იმათ ხინკალი, კეცეული, ქადა ხორცისა მაჟქონდათ. სირცხვილი იყო თუ არ მაიტანჯნენ“.

[51] თაებევისბრის დ. თურმანაულის განმარტებით „საკლავი სასოფლო იყო (თემის), ყველა სოფელს მოუდიოდა რიგით ხან სამი, ხან ორი, ხან ერთი საკლავი და სოფელშიც კომლეურად რიგულობდნენ“.

ხატის საკურთხეველთან. — წმინდა ფიჭვის ხესთან, სადაც ხატის სახელზე მსხვერპლის შეწირვა ხდებოდა, ჩვენ მოვიპოვეთ (და ზემოაღნიშნულ საგნებთან ერთად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს ჩავაბარეთ) ხატის ქვა — დიდი, სუსტად დამუშავებული საწონი ქვა, რომელიც 31 კგ, 600 გ იწონის. იმავე 1965 წელს მთა-თუშეთის ეთნოგრაფიულმა ექსპედიციამ ნახა ხორცის საწონი ხატის ქვა 5 კგ წონისა სოფ. ხისოს ხახას წმ. გიორგის ხატში და მეორე ხორცის საწონი ქვა, ე. წ. ლიტრიანი („ვიტყვით: ეს ამდენი ლიტრიანია") სოფელ ჩიგილაურთაში[52].

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ჯვარ-ხატების მსახურნი, ე. წ. ჯვარიონნი ანუ ხატიონნი მოვალენი იყვნენ „სიწმიდე" დაეცვათ. მათ არ შეეძლოთ ისეთ ადგილებში სიარული, რომლებიც „უწმინდური" ქალებისაგან იყო „დალახული": ბეჯოსაც ვერ ბამდნენ ქალის გამომცხვარს, თუ ის ხნიერი არ იქნებოდა. ფშავში დასტურ-ხევისბრებს სოფლად, თავ-თავის სახლებში ცხოვრებაც არ შეეძლოთ. ამიტომ ისინი წლობით ცხოვრობდნენ ხატში საგანგებოდ აგებულ შენობებში — ხევისბერი, როგორც ვიცით „ხევისბრის სახლში" ანუ საბეროში, ხოლო დასტურები სადასტუროში.

გოგოლაურთ წმ. გიორგის ხატის ს ა დ ა ს ტ უ რ ო (ტაბ. 64 გ.) ჩვეულებისამებრ ფიქალი ქვისაგან მშრალი წყობით ნაგები, გეგმაში მართკუთხა ფორმის შენობაა, ორმალიანი, მთავარი ფასადით ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს. აქ კედელში მარჯვენა კუთხესთან დატანებულია კარის ღიობი, რომლის პირდაპირ შენობის შიგნით მეორე კარის ღიობია წინა მალიდან მოდიდო უკანა მალაში შესასვლელად. იმავე ფასადის მარცხენა ნაწილი უჭირავს მცირე შენობას, რომელიც სადასტუროს კედელს ზურგად იყენებს. სადასტუროს სხვა სამი კედელი ამოშენებულია მიწაში. შენობის შიგნით კედლებში დატანებულია შუკუმები (სულ ოთხი შუკუმა).

ორივე ნაგებობა ძალზე დაზიანებულია, კედლები მორღვეული, სახურავი ჩაქცეული; სადასტუროს სახურავის ნაშალში მოჩანს გატეხილი შუაბოძი და კეზი, ერთ-ერთი კედლის გასწვრივ ჩარიგებული სიპის „სკამები", კარის ზღურბლი, წყვილი ამყოლი და კარის საკეტი ხის კედი.

სადასტუროდან სამხრეთ-დასავლეთით, მთის ფერდობზე დგას ს ა კ ვ ი რ ა ო ნ ი — ფიქალი ქვით მშრალად ნაგები მართკუთხი გეგმის შენობა, რომელიც ძირიდან ზემოთკენ თანდათან ვიწროვდება და მთავრდება მრავალიარუსიან-სანაწვეთებიანი ორფერდა თავხურვით. ძეგლი სამი მხრიდან მიწაშია ნაგები ისე, რომ მთლიანად მიწის ზემოთ მხოლოდ სამხრეთის ფასადია. აქ მას კედელში დატანებული აქვს სანთლის დასანთები შუკუმა თავისი საშუბლეთი.

სასანთლე კოშკს ყორის გალავანი ჰქონია. ამჟამად მისი ნაშალიღაა აქა-იქ შემორჩენილი. თვით კოშკიც დაზიანებულია, — მისი თავხურვიდან ოთხი სანაწვეთებიანი იარუსია ჩვენამდე მოღწეული. დღეობა საღმერთობას, რომელსაც ჩვენი ექსპედიცია შეესწრო ამ ხატის შენობების ფიქსაციის დროს, ხევისბერმა სასანთლე კოშკთან სამსხვერპლო ცხვარი დაკლა შემწირველთა — მის გვერდით მყოფი სამი მამაკაცისა და მოშორებით მდგომი სამი მანდილოსანისა და გოგონას თანდასწრებით.

---

[52] სტილის, როგორც ხევსურული ხალხური საწონის შესახებ იხ. გ. ჩ ი ტ ა ი ა , ხევსურული სტილი (Miscellanea), საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. IV, თბილისი, 1928, გვ. 285.

საბეროს აღმოსავლეთით ს ა დ რ ო შ ე კ ო შ კ ი ა ძალზე დაზიანებული. მას შემორჩენილი აქვს შუკუმა, რომელშიც ჩვენი იქ ყოფნის დროს შედგმული იყო სამი პატარა თასი, და სიპის თარო ნაჩვრეტით. ამ ნაჩვრეტში მაგრდებოდა ხატის დროშის ტარი, როდესაც დიდ დღეობებში მედროშე ხევისბერი დროშას დარბაზიდან გარეთ „გამოაბძანებდა“ და სადროშე კოშკზე „დააბძანებდა“.

მუქუსკენ მიმავალ გზაზე, იქ, სადაც, გოგოლაურთ წმ. გიორგის ხატის ტერიტორია მთავრდება, მის საზღვართან ძევს დიდი ლოდი, რომელსაც ს ა ნ ა-კ ვ ე თ რ ე ქ ვა ეწოდება. ძველად მოკვეთილი კაცი ამ ქვას ვერ გადალახავდა.

2) ხეთანას მთავარმოწამის ხატი (სოფ. გოგოლაურთა)

მთავარმოწამის ხატი ღვთისმშობლის ხატისაგან გამოყოფილია ტერიტორიით, რომელსაც „ჯვართშუა“ ეწოდება. ხევისბერ პეტრე კუწაშვილის გადმოცემით „მთავარმოწამე ჯორციელი არ ყოფილა. ის თურმე ცით სვეტად ჩამოსულა და ჯერ გოგოლაურთის პირდაპირ მდებარე მასთალას დაარსებულა, — იქ ყოფილა მისი პირველი საბრძანისი. თუ ვინმეს ავნო, აღარც არგებსო. მთავარმოწამე მხოლოდ გოგოლაურთის ხატია. აქა გვაქვს: საზარე, ეკლესია, რომელსაც „მძიმე ადგილს“ ვეძახით. ჯვართანას გორზე ზევიდან რომ გადასცქერის გოგოლაურთას, მთავარმოწამის ნიშია, რომელსაც სასანთლე კოშკი ეწოდება. მას სანაწვთეები აქვს; ხეთანის სამრეკლო, მის ქვემოთ არის „ეკლესია“ ანუ მკვრივი, საკვირაო კოშკი, — მას დიდი წოწოლა ფორმის ქვა ადევს სიმაგრისათვის და სასანთლე აქვს; ხატის კალო საძნოარი, დროშის საბრძანისი დიდი სიპი, რომელიც გახვრეტილია, საჯარე, მის წინ კედელია სიმაგრისათვის, ამ ორ კედელს შუა (თავიდანვე არ ჰქონია გადახურვა) ადგილს „საჯარის შესავალი კარი“ ეწოდება. მას გაყვება საჯარე, შიგნით სამი ბოძით და კესით (თავხე); შუა ბოძს „დედა ბოძს“ ვეძახით. წინა ნაწილში არის კერა საკიდლით. კერიდან სამხრეთი მხარე არის მძიმე ადგილი, აქ ხევისბერი დაჯდებოდა, სხვა არავინ; აქედან გავდივართ მეორე თვალში, რომელსაც „სასანთლე დარბასი“ ეწოდება. ძველად აქ ღეკანოსი გადავიდოდა სანთლის მოსანთებად, „სასანთლე დარბასი“ გვიან შეერქვა, ადრე „საბეროს“ იტყოდნენ. საბეროდან კარია გაჭრილი მესამე თვალში გასასვლელად. ესეც საბერო იყო, ოღონდ ყველა განძი ხატისა აქ იყო დამალული, ამას „საბეროს მეორე თვალს“ ეტყოდნენ მოხუცები. ამის გარდა თას-განძი სადასტუროში ინახებოდა, კაკლის ძირში სოფლიდან ახლო. ეს სადასტურო ადრე ბანურად იყო დახურული. საერთოდ, ფშავში სადასტუროებს ადრე გადახურვა ბანური ჰქონდათ, მაგრამ შეიგნეს, რომ ფშავისათვის ბანიანი გადახურვა არ ვარგა, რადგანაც აქაური მიწა წყალს არ იკერს. ადრე ისე იყო, რომ საჯარეს მესამე თვალიდან (ე. ი. საბეროდან) ხუცესი პირდაპირ საზარეში გადადიოდა. საზარეს „ფეხებს“ (ოთხ სვეტს) „საზარის კულები“ ეწოდება. კულა ისე იყო, როგორც ბოძი, ოღონდ ქვისა უნდა ყოფილიყო. საცხოვრებელ სახლში რომ იყოს ასეთი, მაინც კულა ეწოდება, ე. ი. კულა — გასამაგრებელია, ქვის სვეტია კედელში ან კედლიდან ცალკე მდგომი.

ყველაზე მძიმე ადგილს ხატში კვრივი ეწოდება ფშავში. მაგალითად, წმინდა გიორგის კვრივთან (სოფ. გოგოლაურთაში) ხუცესი მიდის მხოლოდ მაშინ, როცა ბალღი — გაყავთ ხატში და იქ სამი წლის ჭედილას ან სამი წლის კურეტს დაკ-

ლავდნენ. ამ წესს ეწოდებოდა „გასამყვანლო". გოგოლაურებს, რომლებიც მთავარმოწამის ყმები არიან, მაინც წმინდა გიორგის ხატში უნდა გაეყვანათ თავისი პალი — ასე იყო თავიდან". ეს ცნობები ექსპედიციას მიაწოდა პეტრე კუწაშვილმა, რომელიც თავად ვერ ავიდა მთავარმოწამის ხატში.

მთავარმოწამის ხატის კომპლექსი „ჯვართშუას" დასავლეთიდან იწყება. მთელი კომპლექსი მთის ფერდზეა განლაგებული. პირველად შეგვხვდება კვრივი (ტაბ. 76), მშრალად ნაგები მართკუთხა ფორმის შენობა. მის წინ უამრავი ლოდები და სიპები ყრია. ეტყობა აქ შენობა ყოფილა ადრე. ახლა მისგან აღარაფერია გადარჩენილი და მისი დანიშნულებაც აღარ ახსოვთ. კვრივს ეკლესიას უწოდებენ. გადმოცემით ეს სახელი კოშკს გვიან შეარქვეს. თავიდანვე იგი ხალხის რწმენით მთავარმოწამის ერთ-ერთი დასაბრძანებელი იყო. კვრივის უკანა მხარეს მიდგმულია თავგადაფარებული ნიში — „სასანთლე".

კვრივის ზემოთ მდებარეობს ორფერდა ხუთსანაწვთიანი კოშკი — სასანთლე, რომლის სამხრეთ კედელში დიდი ზომის ღია ნიშია დატანებული. ამ ნიშში თერთმეტი ცალი თეთრი მთის ბროლის ქვა ძევს, სანთლის კვალი კი აღარ ჩანს. ნიშის თავზე მთლიანი სიპია გადებული. ფასადის მხარეს, კოშკის ზემო ნაწილში ოთხკუთხა ფორმის სიპია კედლიდან გამოწეული და მას თავზე თეთრი მთის ბროლის ქვა ადევს. დასავლეთის კედელში, სანაწვთეებს ქვემოთ ერთი პატარა ზომის ცარიელი ნიშია. შენობა მთლიანად ყრუა.

სასანთლე ანუ საკვირაო სიპებისაგან მშრალი წყობით კვრივად ნაგები კოშკია (ტაბ. 76). მას ზევიდან წაკვეთილი კონუსისებური და მომრგვალო ფორმის მაღალი ქვა ადევს და ჩრდილო-დასავლეთის მხარეს ნიში აქვს დაყოლებული. იგი წინ გახსნილია და შიგნით უამრავი სანთლის „ცრემლია".

ს ა ჯ ა რ ე (ტაბ. 82) ბეღლის დასავლეთით მდებარეობს, მისგან მოშორებით. საჯარის შესასვლელი დასავლეთის მხარეზეა; ფასადის მხარეს, კარის ორივე გვერდზე კედლებია ამოშენებული. მარცხენა კედელში ირმის რქები და ჩხირებია გარჭობილი. მარჯვენა კედელში კი ქვის სიპებია კედლიდან გამოწეული, რასაც თარო ეწოდება. შენობაში შესასვლელ ამ გადაუხურავ თვალს „საჯარეში შესასვლელი კარი" ეწოდება. საკუთრივ საჯარეში შესასვლელი კარის სივრცე სამი დიდი ხით არის გადაკეტილი.

საჯარეს ფარავს სიპებისაგან გაწყობილი ცალფერდა გადახურვა, დაქანებული ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. სახურავი ხის კოჭებს ეყრდნობა, შუაში აქვს თავხე, რომელიც საჯარის გრძივ ღერძზე განლაგებული სამი ხის სვეტის საყბეურებში გამაგრებული. შესასვლელის მალობლად, თავხეზე საცეცხლურის თავზე საკიდელია გამართული. აქვე კედელთან, სამხრეთის მხარეს, დაუჭრელი შეშის შარაგია. დასავლეთის კედელი შიგნიდან ოდნავ მომრგვალებულია. დასავლეთის კედლისა და სამხრეთის კედლის გასწვრივ ქვის საჯდომებია გამართული. ასეთივე ქვის საჯდომებია აღმოსავლეთის კედელთან. აქვე ძევს ძველი ხის ტაბლა (ზომა 97×27 სმ), რომლის ნაპირზე ოთხი განიერბოლოიანი ჯვარია გამოსახული. ტაბლა ძველია და მისი გახეთქილი ადგილები მავთულებითაა შეკეთებული. პეტრე კუწაშვილის განმარტებით, როცა ტაბლა უფეხოა, მაშინ მას ფშავში სუფრა ეწოდება. ტაბლა ყოველთვის ფეხიანი უნდა იყოს. აქვე კედელში გარჭობილია ორი ხის კოვზი და ხის ტარკოში (ზომა მისი ტარიანად 53 სმ, d 22 სმ). ჩრდილოეთის კედელში სასანთლე ნიშია სანთლის „ცრემლებით" და

ორი სასმისით. ერთი ამათგანი ყურიანია, მეორე მრგვალი ფორმისა; ორივეს ფშაურად სასმისები ეწოდება.

აღმოსავლეთის კედელში ერთი ცარიელი ნიშია დატანებული. აქვე ძევს ხის სამარილე (ტარიანად სიგრძით 27 სმ×8 სმ). აღმოსავლეთის კედელში კარია გაჭრილი საბეროში გასასვლელად. კარის ქუდი ხისაა, მის თავზე კი ორმხრივ გახსნილი ნიშია. საჯარეში გადებული თავხე საბეროშიც გადადის, სადაც ის ერთ სვეტს ეყრდნობა. სახურავი აქ თითქმის მთლიანად ჩაქცეულია. სამხრეთის კედელში ნიშია დატანებული. ნიშში შეწყობილია ხის ყუთი, ხუთი ცალი რუსული სამშაურიანი და აბაზიანი, რუსული ზარი და ცარიელი ალუმინის ჭურჭელი. აღმოსავლეთის კედელში საკომია გამოჭრილი, აქვე, ჩრდილოეთის კედელთან დგას დიდი სვეტი, ალბათ, ადრე სახურავს იჭერდა; მის ქვემოთ, კედელზე სანთლის „ცრემლია". სამხრეთ-დასავლეთის კუთხეში დგას დაღესტნური ნაკეთობის თუნუქის ჭურჭელი, მაღალყელიანი სურისებური ფორმისა. ჩრდილო-დასავლეთის კუთხეში კვრივად აწყობილია სიპების წყება, რომელიც დიდი სიპითაა გადახურული ზემოდან. ამას „სანთლის მოსანთები" ადგილი ეწოდება.

საბეროს ჩრდილოეთის კედელში დატანებული კარით გადავდივართ საუნჯე სათავსოში, სადაც თუნუქის დიდი, გრძელი ოთხკუთხედი ფორმის ცარიელი სკივრი აღმოჩნდა. აქვე თუნუქის თუნგი და ირმის რქებია.

საჯარის ჩრდილოეთის მხარეზე, ხუთიოდე მეტრის დაცილებით, დგას ორფერდა გადახურული რვასართულიანი ბ ე ღ ე ლ ი (ტაბ. 78, ტაბ. 79). იგი ქვა-კირითაა ნაგები. ბეღლის ფასადის მხარეს და მთლიანად შიგნიდან კირის ხსნარითაა შელესილი. ბეღლის კარი ხისაა, მასიური, ხის ლურსმნებით შეკერილი, მოთავსებულია სამხრეთის მხარეზე და ხის საკეტით იკეტება დასავლეთის კედლის მხრიდან. შესასვლელის წინ კედელში გამოწეული პატარა სიპია და ასევე შესასვლელის წინ, მის სიმაღლეზე სიპების წყობაა ზედ დიდი სიპით დაფარებული. ეს „ტომრების დასაწყობი ადგილებია".

ბეღელში შიგნიდან სახურავი ორფერდადაა აზიდული, ფერდებს შორის გადებულია სამი ხე — „შესანახად ინვენტარისა ან განძისა". ბეღელს აქვს ორი განყოფილება ანუ ორი „თვალი". ერთია — წმინდა პურის შესანახად, ხოლო მეორე — ქერისათვის. ქერის შესანახი თვალი ოდნავ დიდია. ორივეში სულ დაახლოებით ოც ფუთამდე ეტეოდა. ეს ორი თვალი ერთმანეთისაგან დიდი ზომის მთლიანი სიპითაა გაყოფილი.

საჯარის დასავლეთ მხარეზე, ოდნავ მოშორებით მდებარეობს ხატის კალო, რომლის ჩრიდილოეთის, დასავლეთისა და აღმოსავლეთის მხარე დაბალი კედლითაა ამოშენებული. მის მეოთხე მხარესაც ადრე კედელი ჰქონია, ე. ი. კალო წრიულად იყო შემოსაზღვრული, მაგრამ ამჟამად მეოთხე მხარეს კედელი მოშლილია.

კალოს ზევით, მის თავზე ყორით შემოვლებული ს ა ძ ნ ო ვ ა რ ი ა.

საჯარის ჩრდილო-დასავლეთის მხარეს მდებარეობს ს ა ზ ა რ ე (ტაბ. 83), ოთხ ფეხზე შეყენებული ქვა-კირით შელესილი „მსუბუქი" ნაგებობა, რომელსაც აგვირგვინებს ექვსსანაწვთიანი ოთხფერდა სახურავი. სახურავი მაღალი სიპის ქვით ბოლოვდება. საზარეში კიდია დიდი ზომის რუსული ფორმის ზარი რომლის ენაზე თეთრი საკადრისია შებმული. ზარზე იკითხება წარწერა: „ქ. შემომწირეთ ეს ზარი ჩვენ გოგოლაურებმა ხიშმოვლელთად ზენავალთა ჩვენო ბა-

ტონო მთავარმოწამე. ჩუენი და ჩუენი ჩამომავალთაგან ჯილდოდ მოძმე შენი წლოვა. ჩყლმწელს". ზარი ხის ძელზეა ჩამოკიდებული.

საზარე შემოღობილია ყორის გალავნით, იქვე გალავანში მოქცეულია დ ი დ ი ი ფ ნ ი (ტაბ. 81), რომლის ტოტებზე თერთმეტი თეთრი ფერის საკადრისია ჩამოკიდებული.

საჯარის კარის გვერდით მოწყობილია ს ა ს ა კ ლ ა ვ ე (ტაბ. 77), იგი წარპია მოთავსებული. მას ს ა ბ რ ძ ა ნ ი ს ი ეწოდება. სიპი მიწაშია ჩასმული, შუაგული მრგვლად ამოჭრილი აქვს, ამჟამად ერთ მხარეს მოტეხილია.

საჯარის კარის გვერდით მოწყობილია ს ა ს ა კ ლ ა ვ ე (ტაბ. 77), იგი წარმოადგენს მცირე სიპებისაგან აღმართულ ყორეს და ზედ დიდი ზომის (120×92 სმ) სიპით გადახურულ ამაღლებას.

ზემოაღწერილი კომპლექსის გალავანი საჯარესთან იკვრება და მთავრდება სასაკლავის მოპირდაპირე მხარეს მდებარე ორსართულიანი ნიშნით (ამას „საკომი" ან „თახჩა" ეწოდება), რომელსაც თავზე ოთხკუთხის ფორმის სიპი ადევს, გალავანს ბევრ ადგილას იფნები დაყვება.

საჯარის წინ, გალავნის გარეთ, ორი ორმოსებრი ღრუა ბარგის დასაწყობი „ბოსულთათვის".

ს ა ლ უ დ ე (ტაბ. 84) მდებარეობს საჯარის სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს. იგი წარმოადგენს მოგრძო მართკუთხა ფორმის მშრალი წყობით ნაგებ შენობას, რომელსაც ორქანობიანი სახურავი აქვს. ამჟამად მისი სახურავი თითქმის მთლიანად ჩანგრეულია და სიპები იატაკზეა ჩამოყრილი. შესასვლელი კარი, რომელიც აღმოსავლეთის მხარეს ყოფილა, ამჟამად მთლიანად მოშლილია. სალუდეს თავხეს ორივე ფერდზე დაჰყვება ორ-ორი „ჭერი", რომლებზედაც კავებია გადებული.

სალუდეს შიგნით დასავლეთის კედლის მთელი სიგრძის გაყოლებაზე დგას ხის „ისარნა", მასზე კი დამტვრეული გეჯას („გეჯა — ხის ჭურჭელია, რომლიდანაც ისარნაში ლუდი გადადის") ნაწილია მოთავსებული. სამხრეთ დასავლეთის კუთხეში ქვის თაროა გამართული, დასავლეთის კედლის შუაში კი საკომია (ნიში): შუა ბოძის მახლობლად ძევს გადაბრუნებული სალუდე ქვაბი, რომელიც სპილენძის ფურცლებისაგანაა შეკერილი. სამხრეთის კედლის წინ კი — მისი „საბუდარია" — ქვაბის ჩასადგმელი ადგილი, მშრალად ქვით ამოშენებული. მეორე სალუდე ქვაბი მოთავსებულია ჩრდილოეთის კედელთან. ეს ქვაბი უფრო დიდი ზომისაა, ვიდრე პირველი, და მთავარმოწამეს ეკუთვნის, პირველი კი — ღვთისმშობლის ხატისაა. საქვაბე საზიარო იყო ამ ორი ხატისა.

ბ) სასოფლო ხატები

1) დედაღვთისმშობლის ხატი, სოფ. გოგოლაურთა (ნასოფლ. თურმანაულთა)

წმ. გიორგის სათემო ხატს სამხრეთიდან ესაზღვრება დ ე დ ა ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს სახელობის ხატი. ამ ხატს ხევისბრები ლოცვა-ვედრების დროს შემდეგი ეპითეტით მიმართავდნენ: „დედა ღვთისმშობელო, ღვთის პირის მეღვინეო!" აქ, ამ ხატში ახალგაზრდა ხეებს შორის, ჯაგნარით შემოსილ ადგილებში შეინიშნება

შენობების ნაშალი, ამათგან შედარებით სრული სახით შემორჩენილია ერთადერთი ნაგებობა, ე. წ. ხ ა ხ მ ა ტ ი ს ნ ი შ ი (ტაბ. 73). ჩვეულებისამებრ ყორით ნაგები კოშკი, რომელსაც ფასადის მხარეს დატანებული აქვს სასანთლე შუკუმა. ნიში ხახმატის დროშის საბრძანისია. ხახმატის დროშა გვერდიგვერდ მოყვებოდა წმ. გიორგის დროშას ამ სათემო ხატის დღეობებში სათანადო რიტუალის შესრულების დროს.

გარდა ამ დროშის საბრძანისი ნიშისა, დედაღვთისმშობლის ხატში დგას ბებერი იფნის ხე, რომლის ტოტზე ჰკიდია ქართული ზარი ენაზე გამობმული ვიწრო საკადრისით (ტაბ. 72). ზარს აქვს შემდეგი წარწერა: ქ.: ჩვენ:. მიწიობლიძემ... გაბრიელ პატამ. ზალ. გორჯსპიმ. და გარსევან. გვაკეთებინეთ. წმიდის კვირიკესთვინ. და. წმიდისნიკოლოზისათვის. ვინც. მიპარ. ზარი. ესე. არ-ჯკალსს. ისიმც. რისხვს.

დედაღვთისმშობლის ეს ს ა ზ ა რ ე ი ფ ნ ი — 1963 წელს ჩვენ მიერ ადგილზე ფიქსირებული ლეგენდის თანახმად და აგრეთვე ხალხური რწმენის შესაბამისად, არც ხელოვნურად დარეულია და არც თავისით ამოსული. „ერთ ღამეს ამოსულა ეგ იფნი — მოუჭრავის. მერე კიდე ამოსულა და მოუჭრავის. მესამედ რო ამოსულა, გამგეს უთქომ—აიყარენითო, და დედაღვთიშობელ დაარსებულა იმ გორზე გოგოლაურთაში". შინაარსით სავსებით იდენტური ლეგენდები ფართოდ არის გავრცელებული ფშავსა და ხევსურეთში. ამ ორი კუთხის ლეგენდები უკავშირდება, როგორც წესი, იმ ჯვარ-ხატებს, რომლებიც ძველ ნასოფლარებშია დაარსებული: ჩვეულებივ კერაში ამოდის ხე, მას მოჭრიან, ისევ ამოვა და კვლავ მოჭრიან. მესამედ რომ ამოვა, — ეს ნიშანია, რომ ხატი თუ ჯვარი სოფელს დაეპატრონა, სოფლელები უნდა აიყარონ და სხვავან გადასახლდნენ, რაც დაუყონებლივ სრულდება.

გოგოლაურთას წმ. გიორგისა და დედაღვთისმშობლის ხატების საზღვარზე პატარა წყაროსთან აგებულია ს ა თ ა უ რ ი ანუ ს ა ს უ ფ ე ვ ე ლ ი — ყორის კოშკი ოთხკუთხა ფორმის შუკუმათი ფასადის მხარეს (ტაბ. 74).

2) ღვთისმშობლის ხატი (სოფ. გოგოლაურთა)

ეს ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს სახელობის მეორე ხატი მდებარეობს სოფელ გოგოლაურთის დასავლეთით აზიდული ქერაულთის მთის ფერდობზე, ბებერი იფნების ტყეში. ხატის შენობათა კომპლექსი მოიცავს საბეროს და სასანთლეს, და ჯვართშუად წოდებული ადგილით ესაზღვრება მთავარმოწამის ხატს.

ს ა ბ ე რ ო (ტაბ. 87) გეგმაში მართკუთხა ფორმის მშრალი წყობით ნაგები შენობაა ორფერდა, სიპებიანი სახურავით, რომელსაც ზემოდან მთის ბროლის ქვა („ხატის ნიშანი") ადევს. მისი მთავარი ფასადი სამხრეთის მხარეზეა, კარის ღიობი დატანებულია ამავე სამხრეთის კედელში მარცხენა მხარეს; ღიობში ჩადგმულია კარის სათაური ხისა, მაგრამ თვით კარი მოხსნილია და ახლომახლო არსად ჩანს. კარის ფუნქცია დაკისრებული აქვს ორ გადაჯვარედინებულ ფიცარს და მათზე მოწყობილ სიპებს. საბეროს ჩრდილოეთისა და ნაწილობრივ აღმოსავლეთის და დასავლეთის კედლები შეჭრილია მთის ფერდობში ისე, რომ გარედან ჩრდილოეთის კედლის წყობა სრულიად არ ჩანს.

ბეღელში ცენტრალურ ადგილას აღმართულია მთავარი ბოძი, მის ზევით გადებული თავხე ჩადგმული და გამაგრებულია ბოძის საყბეურში, თავხეზე გა-

რიგებულია კოპები, რომლებსაც ზემოდან ფიქალი ქვები აფენია. ფასადის მოპირდაპირე ჩრდილოეთის მოკლე კედლისა და დასავლეთის კედლის მთელ სიგრძეზე ფიქალი ქვის საჯდომებია გამართული. ფასადის კედელში მარჯვნივ მოწყობილია პატარა თარო ანუ სიპედა, ხოლო ორ მოპირდაპირე ჩრდილოეთის მოკლე კედლისა და დასავლეთის კედლის მთელ სიგრძეზე ფიქალი ქვის საჯდომებია გამართული, ხოლო ორ მოპირდაპირე გრძელ კედელში დატანებულია თითო-თითო თახჩა. ამათგან აღმოსავლეთის თახჩის გვერდით კედელში ჩაყოლებული და მისი წყობიდან გადმოწეულია (კონსოლად) სიპის თარო — საკურთხეველი, რომელზეც სახატო დღეობებში თას-განძს გაამწკრივებდნენ, მათ ლუდით აავსებდნენ, სანთლებს დაანთებდნენ (თაროს დღემდე შემორჩენია „სანთლის ცრემლები") და თავხევისბერი სხვადასხვა რანგის ხევისბრებთან ერთად საღვთისმსახურო, ღმერთისა და ღვთისშვილების სადიდებო წესს ასრულებდა.

საბეროს ფასადის წინ მთის ფერდობზე სამ იარუსად გამართული არის ფიქალი ქვის საჯდომები. ამათგან ყველაზე მეტად ამაღლებულ ადგილზე და საბეროდან ყველაზე ახლოს თავხევისბრის საჯდომია.

საბეროს სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხესთან დასავლეთის კედელზე მიდგმულია ს ა ს ა ნ თ ლ ე (ტაბ. 87, ტაბ. 88), ყორით ნაგები, ფასადით აღმოსავლეთის მხარეს, სადაც მას დატანებული აქვს ორსართულიანი, ერთმანეთისაგან სიპით გამიჯნული დიდი ნიში.

ამ ორი ნაგებობის აღმოსავლეთით, მათგან მოშორებით კიდევ ორი ნაგებობის ნანგრევია, რომელთა შორის აქა-იქ კედლის წყობის ნაშთები შეიმჩნევა, იქვეა, გეგმაში მართკუთხა ფორმის, მშრალი წყობით ნაგები კ ვ რ ი ვ ი რომელიც, ხევისბერ პ. კუწაშვილის ცნობით, „ყველაზე მძიმე ადგილია" ამ ხატში.

ხსენებული ნანგრევების შესახებ მთხრობლებმა ვერაფერი გვითხრეს, რადგან ისინი დიდი ხნის ნაშალი ყოფილა.

3) ღვთისმშობლის ხატი ქერაულთ მთაზე

ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს ხ ა ტ ი მდებარეობს სოფ. გოგოლაურთას დასავლეთით აზიდულ ქერაულთას (მთის სახელია) დაქანებაზე, ბებერი იფნების ტყეში. ხატის კომპლექსი მოიცავს საბეროს და სასანთლეს, და „ჯვართშუად" წოდებული ადგილით ესაზღვრება სოფ. გოგოლაურთას მთავარმოწამის ხატს.

საბერო (ტაბ. 87, ტაბ. 88) წარმოადგენს მშრალად ნაგებ საძირკველში სწორკუთხა ფორმის შენობას ორფერდა, სანაწვთიანი გადახურვით, რომელსაც ზევიდან თეთრი ბროლის ქვა („ხატის ნიშანი") ადევს. შენობის მთავარი ფასადი სამხრეთის მხარეზეა, კარის ღიობი ამ მხარის მარცხნივაა. კარის ქუდი („საშუბლე") ხისაა, თვით კარები კი საბეროს არა აქვს და მათ მაგივრობას ორი გადაჯვარედინებული ფიცარი ასრულებს; მათზე კიდევ სიპებია მიწყობილი. საბეროს აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედელი თანდათან დაბლდება ჩრდილოეთის მიმართულებით, ხოლო ჩრდილოეთის მხრიდან გარეთა კედელი პირდაპირ მთის ფერდშია შეჭრილი.

ინტერიერში მთავარ ბოძს ზევით გადებულია თავხე. თავხეზე კოჭებია, რომლებზედაც სიპები აწყვია. ფასადის კედლის მარჯვნივ პატარა ზომის „სიპედაა" ანუ „თარო". აღმოსავლეთის კედელი ყრუა, ოღონდ ერთი ნიშია — „თახ-

ჩა“ (ღიას კი — „საკომი“ ეწოდება) დატანებული. თახჩის მარცხნიდან თას-განძის დასაწყობი სიპია კედელში ჩაყოლებული, ზედ სანთლის „ცრემლებით“. ჩრდილოეთის კედელი ყრუა, მის ძირში დასაჯდომად დიდი ზომის სიპებია გაწყობილი. დასავლეთის კედლის შუაში აგრეთვე ნიშია დაყოლებული. ის ამჟამად ცარიელია. დასავლეთის კედლის გასწვრივაც ქვის საჯდომი სიპებია დაწყობილი. ასევე დასაჯდომი სამი წყება (იარუსებად) ქვის სიპები გამართულია ნაგებობის ფასადის წინ. საბეროდან ყველაზე ახლოს, ყველაზე მეტად ამაღლებულ ადგილზე მიგვითითეს მთხრობლებმა, როგორც „ხევისბრის დასაჯდომ ადგილზე“.

საბეროს აღმოსავლეთის კედლის მხრიდან მიდგმულია ს ა ს ა ნ თ ლ ე (ტაბ. 87, ტაბ. 88), რომლის ფასადი აღმოსავლეთს გასცქერის; მას მიფარებული ჰქონდა დიდი სიპი, რომელიც ძნელად გადავწიეთ. ნიშში აღმოჩნდა უამრავი სანთლის „ცრემლები“.

ამ ორი ნაგებობის აღმოსავლეთით, მოშორებით, ორი დიდი ნაგებობის ნანგრევები ჩანს (აქა-იქ კედლის ნაშთები შეიმჩნევა). აქვეა სწორკუთხა ფორმის მშრალად ნაგები კ ვ რ ი ვ ი — ოდესღაც „ყველაზე მძიმე ადგილი“ ამ ხატში. ხსენებული ნანგრევების შესახებ მთხრობლებმა ვერაფერი გვითხრეს, დიდი ხნის ნაშალი ყოფილა.

4) მასთალას ხატი (სოფ. გოგოლაურთა, კადაჩლის გორის ძირი)

მ ა ს თ ა ლ ა გოგოლაურთას მთავარმოწამის პირდაპირ, არაგვის მარცხენა სანაპიროზე სოფ კადაჩლის ქვემოთ, სოფ. ბინდაურთას დასავლეთ მხარეზე, მაღლა ტყეში მდებარეობს. ტყე შერეულია, უფრო ფოთლოვანი, ძალიან დაბურული და ძნელად სავალი. პეტრე კუწაშვილის ცნობით „მასთალას სვეტის ანგელოზის ხატის“ კომპლექსში შედის: საზარე, სიპით გადახურული დარბაზი, ქვის გალავანი, ორი დიდი ქვევრი, ისეთი დიდი, რომ უღელი კამეჩი შიგ მობრუნდება; ქვევრები ხატიდან მოშორებითაა ველზე*. აქ კახეთიდან კულუხი მოდიოდა და სესხადაც აძლევდნენ.

„მასთალას ადრე ორი დღის საზნავი ჰქონია, მერე ტყემ დაიპირა; საჯარეც ჰქონია, ესეც ტყემ დაიპირა. მასთალას საკუთარი ცხენის მოსაძოვი ადგილი ჰქონია ადრე; გალავნით შემოსაზღვრული, მძიმე ადგილი იყო თავის დროზე. მთავარმოწამისათვის ყველაზე მძიმე ეგ იყო.

მასთალას წელიწადში ერთხელ ინთება სანთელი — მარიამობას. მასთალას საკუთრივ დიდი ვერხვის ტყე ეჭირა. რაც მთავარმოწამეში სეფისკვერი იკვლოდა, სულ მასთალას მიდიოდა. იქ მთავარმოწამე მასთალას სვეტის ანგელოზობით მოიხსენიება. ეს იყო მთავარი ადგილი, პირველად გოგოლაურთის მთავარმოწამე მასთალას დამჯდარა და მერე გადმოსულა გოგოლაურთის მხარეს“ (ჩაწერილია პ. კუწაშვილისაგან 1968 წ. 8 ივლისს, სოფ. გოგოლაურთაში).

დ ა რ ბ ა ს ი წარმოადგენს ორფერდასახურავიან მშრალი წყობით ნაგებ მართკუთხა ფორმის სიპი ქვით გადახურულ შენობას, რომელიც გარედან კირითაა შელესილი და გადახურულია ორქანობიანი სახურავით. მისი ფასადი ჩრდილოეთის მხარეზეა. კარი ხისაა ქვის ზღურბლით. იგი ხის ურდულით იკეტება.

---

* სამწუხაროდ, პ. კუწაშვილი მასთალაში ვერ წამოვიდა, რადგან იმ დღეს მის ხატში დღეობა იწყებოდა, ამიტომ ქვევრები უნახავი დაგვრჩა.

აჭამად კარი საყუნწურიდან ამოგდებულია და იქვე ძევს, კედი კი საკედურშია მოთავსებული. შუა ადგილზე სიპზე აღმართულია დედაბოძი, რომელიც თავხეს იჭერს. მასზე მოთავსებულია კავები, რომლებზედაც სიპები აწყვია. სამხრეთისა და დასავლეთის კედლებში პატარა ზომის ნიშებია დატანებული, აღმოსავლეთის კედელზე კი სანთლის „ცრემლებია“ და ეს მხარე შებოლილია. აღმოსავლეთის, სამხრეთის და დასავლეთის კედლების გასწვრივ სიპის საჯდომებია გაწყობილი.

ფასადის მხარეს, დარბასს ხელმარცხნივ მიდგმული აქვს ორსვეტიანი საზარე. მისი უკანა მხარე სწორი კედელია, წინა მხარე კი ორ სვეტს ებჯინება. მისი სახურავი ოთხფერდა, ხუთსანაწვთიანია. საზარე კირითაა შელესილი. საზარის გადახურვაც წინა მხარით ამ ორ სვეტს ეყრდნობა, უკანა მხარით კი დარბასის ფასადის კედელს. იმ ადგილს ქვემოთ, სადაც საზარის გადახურვა დარბასის ფასადში შეიჭრება, ძალზე პატარა ზომის შებოლილი და სანთლის „ცრემლიანი“ ნიშია მოთავსებული. შიგნით საზარის გადახურვა გვირგვინისებურადაა აზიდული, მის ბოლოზე ხეა გადებული და ზედ ჯაჭვით ძველებური ზარია ჩამოკიდებული. ზარი წარწერიანია „ქ. ჩიტოანთ ერთი მამის კაცსა და ქალს შეგვიწირამ ვოგოლაურის ხატში თავარმოწამეში 1872 წ“. ზარის ენაზე თეთრი თიკვია გამობმული.

საზარის საყრდენ ქვის ფეხზე, შიგნითა მხრიდან, ბათქაშზე დიდი ზომის ჯვარია გამოსახული, ასეთივე დიდი ზომის ჯვარი, ოღონდ პირდაპირ ქვაზე გამოჭრილია მარჯვენა სვეტზე. ამ უკანასკნელს ზევიდან თაღოვნად რკალი აქვს შემოვლებული, ხოლო ჯვარის ქვეშ კი რუსული „M“ის ფორმის ორნამენტი დაყვება მარჯვენა სვეტის დასავლეთის მხრიდან (საბეროს ფასადის მარჯვენა მხარეს, კედლის წყობაში დატანებულ დიდ ქვაზე მოჩანს ხელის სამი ანაბეჭდი, ერთი დიდი, მეორე უფრო მცირე და მესამე სულ პატარა ხელის ზომისა). მის ზემოთ სვეტში სარკმელისებური ცარიელი სივრცეა დატოვებული. აქვე გდია ჭიჩოში ნანახის მსგავსი საზარის თავიდან ჩამოვარდნილი კვერცხისებური დიდი ზომის ქვა.

დ ა რ ბ ა ს ი და ს ა ზ ა რ ე სამხრეთიდან (მთის მხარეს) ქვის გ ა ლ ა ვ ა ნ ი თ ა ა შემორტყმული. გალავნის გარეთ საკმაოდ დიდი სივრცეა ასევე ქვებით გარშემოვლებული. აქ შუა ადგილას, სიპებისაგან გაწყობილი დიდი ზომის ხევსურული სამწირველოს მსგავსი ამაღლებაა — „სასუფეველი“.

დარბასში ძველებური ფორმის ძალიან მძიმე ზარი დევს (ტაბ. 91). რომლის წარწერა ძალიან ძნელად იკითხება, ისიც ნაწილობრივ: „ქ. დიდებაი (მ) ვანესთლის მცემელს დიდაღო, ლაღიდას ღმერთის მშობეს შეიწღალეთ სული სულას სამოთხისა კარს. მე მისტუცია.

ზევით კი წერია: ქ ვი უეას ვი შო



5) მარიანგას ღვთისმშობლის ხატი (სოფ. გოგოლაურთა, მარიანგა)

მარიანგას ღვთისმშობლის ხატი დაარსებულია სოფელ ხიშმუს და მთავარმოწამის სოთემო ხატის დასავლეთით, ნაროულას ხევის მახლობლად მდებარე

.გორის თავზე, სადაც მარიანგად სახელდებული პატარა მოედანია. ხატის სახელწოდება ამ მთისა თუ მოედნის სახელიდან არის მიღებული. ხატის აღმოსავლეთი ნაწილი უტყეო, პირიმზითი ადგილია, დასავლეთი კი ე. წ. ნაროულას ჩრდილი, ტყიანია, — იქ ახალგაზრდა ხეებთან ერთად დაცულია ბებერი ეფნები და მუხები.

მარიანგას ღვთისმშობლის ხატის ერთადერთი შენობა ყორით ნაგები სასანთლე კოშკია, რომელიც მარიანგას მოედანზე მდებარეობს. არავითარი სხვა ნაგებობა ამ ხატს არ გააჩნია. მას არც საკუთარი (ივარაუდება: სამეურნეო დანიშნულების, ვ. ბ.) მიწები ჰქონია და არც დასტურ-ხევისბრები ჰყოლია. მარიანგას ღვთისმშობლის ხატის დღეობებში მთავარმოწამის დასტურ-ხევისბრები მოდიოდნენ, თან თავისი ხატიდან ლუდი მოჰქონდათ და ისინი იქაური ხატის საღვთისმსახურო წესებს ასრულებდნენ.

„მარიანგას ღვთისმშობლის ხატში ბევრი არც დღეობები იცოდნენ. მისი მთავარი დღეობა მარიამობა იყო. ამ დროს ამ ხატში მოდიოდნენ სოფელ გოგოლაურთის მცხოვრებნი და ზოგჯერ ამ სოფლიდან გათხოვილი ქალ-დისწული, და ყველა მათ თავ-თავისი ოჯახიდან შესაწირავად მოჰქონდათ ფ უ რ თ ნ ა თ ა ვ ა რ ი ქადა, ბოთლი არაყი და, ვისაც წინასწარ შესახელებული ჰყავდა, ზვარაც მოჰყავდა. ამ ხატობას მარიანგაში მოდიოდა ის იშვიათი პირიც, რომელსაც სოფელ გოგოლაურთაში ჰყავდა ნაყიდი ძროხა ან გაზრდილი ხბო და წინასწარ შესახელებული: „თუ ეს ხბო გამეზრდება და ხბოს გამიჩენს, პირველ ხბოს (ე. ი. ზვარას) მარიანგაში დავკლავ და ფურთნათავრის ქადას მოვიტანო“. ეს წესი იმიტომ უნდა შესრულებულიყო, რომ ხალხის რწმენით „ხბო იქაური ადგილისდედის სამფლობელოდან იყო წამოყვანილი და ყველა ადგილისდედა ასეთ რამეებს თვალყურს ადევნებდა. მისი ადგილიდან წაყვანილი პირუტყვის ნათავარს თუ აქვე არ შესწირავდნენ, ძროხა ხეირს ვერ ნახავდა; ან რძეს არ მოიწველიდა, ან ხბოს არ მოიწოვებდა, ან ხბო მოუკვდებოდა, ან თვითონ მოკვდებოდა. ამიტომ იქვე ამსახურებდნენ ძროხის ხბონათავარს, სადაურიც იყო ძროხა. მარიანგას ეს შესაწირავები („ასეთები“) უფრო მარიანობას მოუდიოდა. რადგან მაშინ იყო ამ სალოცავში მთავარი დღეობა. ამ დროს საშუალებაც ჰქონდა ხალხს ქადების გამოცხობისა. ზვარა კი მაშინვე მოჰყავდათ, როცა ხბოს ოთხი ან ხუთი კვირა გაუხდებოდა. დაუძახებდნენ მთავარმოწამის ჯევისბერს, ის დაკლავდა; ზვარას პატრონს ცოტა სასმელიც ექნებოდა მოტანილი და დალევდნენ. ხბოს ერთ მხარს, ე. ი. ბეჭს ჯევისბერს მისცემდნენ, ხბოს თავსაც მასვე მისცემდნენ და დანარჩენი (პატრონს) შინ მიქონდა“ (M[1], 83, რვ. 3, გვ. 35—36; რვ. 27; გვ. 320—321).

6) ბზიანას ხატი (სოფ. მაღაროსკარი)

მაღაროსკარის სასოფლო საბჭოს მოსახლეობის უმრავლესობა („აქაური ხალხი“) ეადმოსახლებულია გოგოლაურთიდან. მაღაროსკარის ხეობაზე მობინადრე ხალხს დღესაც საგოგოლაუროს ეძახიან. სოფელ მაღაროსკარში ახლაც მოსახლეობენ შემდეგი „ქვეგვარები“ (ე. ი. საგოგოლაუროს თემს შიგნით წარმოშობილი და განვითარებული ნათესაურ-სოციალურ ჯგუფები, ე. წ. სახლისკაცები, ხევს. მამა-საძმოები, და გვარები, ვ. ბ.): თანდილანი, უფროსანი, ჯანანი,

გიჟანი, კაკაბელნი, წელანი, მუშტანი და თურმანაულნი. ყველა ესენი ეყმობოდნენ ჯერ გოგოლაურთის წმ. გიორგის ხატს, ხოლო შემდეგ თავის სასოფლო ხატებს — ბზიანას ხატსა და ადგილისდედა ღვთისმშობელს. ზაფხულის დღეობებში აქაური მოსახლეობა ერთიანად მოდიოდა თავის მთავარ სათემო სალოცავში. მაგრამ თავის სოფლის ხატებსაც ემსახურებოდა (M[1], 83, რვ. 41, გვ. 491, 492),

ბზიანას ხატი მდებარეობს შუა სოფელში. მას მზიანა იმის გამო დაერქვა, მთხრობელთა თქმით, რომ ამ ხატში დღესაც მრავლად ხარობს ბზა. გაძნელდა იმის დადგენა, თუ ვისი სახელობისაა ბზიანას ხატი: ზოგი მას ბზიანას წმ. გიორგის ხატს უწოდებს, ზოგი კი თამარ მეფის სახელით მოიხსენიებს. გადმოცემით ამ ხატის ბზა თამარ მეფემ მოიტანა და ამ ხატში დარგო.

ბზიანას ხატი ამჟამად წარმოდგენილია ერთადერთი ნაგებობით — საზარე კოშკით, რომელიც ბზის ბუჩქების გვერდით, ვაკე ადგილას მდებარეობს. საზარე კოშკი (ტაბ. 75) ფიქალი ქვისაგან მშრალი წყობით ნაგები შენობაა. იგი შედგება ოთხი წახნაგოვანი სვეტისაგან, რომლებიც თავებში შეკრულია რკალისებური კამარებით, და ზემოდან ოთხიარუსოვან-სანაწვთებიანი ოთხფერდა სახურავი ხურავს. საზარეს ზარი არა აქვს და ამის წყალობით თავისუფლად მოჩანს ქვაში გამოყვანილი მისი პარალელურ-კუთხური წყობის გვირგვინი.

მოგვითხრობენ, რომ ბზიანას ხატს ადრე საბერო ჰქონია, ბეღელი, სალუდე და სხვა შენობები, რომლებიც დაქცეულია, და სახნავ-სათესი მიწებითაც მდიდარი ყოფილა; რომ ბზიანას ხატის მიწებზე ამჟამად „აშენებულია სოფლის საბჭოს, ფოსტის და კოოპერატივის შენობები, ქრისტიანული ეკლესია, საავადმყოფო, საგზაოს შენობა და საცხოვრებელი სახლები. ბზიანას მამულებს ხნავდა, მკიდა და ლეწავდა საგოგოლაუროს ხალხი. პურს ხევისბერს ჩაბარებდნენ და ის ხელმძღვანელობდა ხატის პურის ხარჯვას. მუდმივი დასტური ამ ხატში არ იყო; დასტურობა მორიგეობით მოუდიოდათ — ერთ დღეობას საგოგოლაუროს მოსახლეობიდან ორი კაცი დასტურობდა, მეორე დღეობას სხვა ორი კაცი იდასტურებდა და ასე შემდეგ.

7) ადგილისდედა ღვთისმშობლის ხატი (სოფ. მაღაროსკარი)

ბზიანას ხატის მახლობლად მდებარეობდა მეორე სასოფლო სალოცავი — ა დ გ ი ლ ი ს დ ე დ ა ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს ხ ა ტ ი. ამ ხატში ხარობდა მუხა, კირცხილა, იფნი, წიფელი და წვრილი ტყე. ხატის ტყე დაცული იყო; ბოლო დროსაც კი ხატთან ხეებს არავინ სჭრიდა.

ხატის ტყეში პატარა კოშკი იდგა და ადგილისდედა ღვთისმშობელს ამ კოშკთან ილოცავდნენ. ადგილისდედა ღვთისმშობლის ხატში სამ დღეობას იხდიდნენ: ამაღლებას, მარიამობას და გიორგობას. სამივე დღეობაზე ხატში მოსულ ხალხს გოგოლაურები ემსახურებოდნენ (M[1], 83, რვ. 41, გვ. 492—493; რვ. 43, გვ. 519, 520).

8) მაღაწლის წმ. გიორგის ხატი (სოფ. გომეწარი)[53]

გომეწარი მაღაროსკარის ხეობაშია. ამ სოფელშიც საგოგოლაუროს თემის ხალხი ცხოვრობდა. ამიტომ ფშავის ცენტრალურ ხატებთან ერთად მათი მთავარი საზოგადოებრივ-საკულტო ცენტრი გოგოლაურთის წმ. გიორგის სათემო ხატი იყო. ამათ გარდა, გომეწრელები ემსახურებოდნენ თავიანთ სასოფლო-ხატებს — მაღაწლის წმინდა გიორგის, კოპალას და ადგილისდედა ღვთისმშობელს. გომეწრელების მოვალეობას შეადგენდა მორიგეობით თითო ოჯახიდან თითო კაცის ერთი წლით დასტურად დადგომა და წლიურ სახატო დღეობებში ხევისბრებისა და ხატის მლოცველთა მომსახურება. ხევისბრები კი გომეწრელების გარკვეული „ქვეგვარიდან" გამოდიოდნენ, ხევისბერი ის იყო, ვისაც „ხატი ჭელს დაადებდა".

მაღაწლის წმინდა გიორგის ხატი მაღალ მთაზე „სუფევდა". მასთან მისასვლელი საცხენო გზა ე. წ. საზრუტუნასთან მთავრდებოდა. ამ სამთოს დღეობის შესახებ დაწვრილებით იხ. ქვემოთ.

9) კოპალას ხატი (სოფ. გომეწარი)

კოპალას ხატი გომეწრის მახლობლად მდებარეობდა, სოფლის აღმოსავლეთის მხარეს. აქ ხატის მოედანზე აგებული იყო დარბაზი, სალუდე, ბეღელი და საზარე. მიუთითებდნენ აგრეთვე ერთ ქვაზე, რომელიც თითქოს კოპალას და დევის გამოკრული ქვა იყო, რომელსაც „დევის ნაჭელარი" ეტყობოდა.

ამას გარდა კოპალას ხატის საკუთრებას შეადგენდა ტყე და მის ბოლოზე მდებარე სახარნადე მამული. ამ მამულის გომეწრელები ნადით ხნავდნენ და მკიდნენ. მომკილ ძნას დასტურები გალეწავდნენ და ქერის მოსავალს ბეღელთან მიზიდავდნენ, ხევისბერი ხელ-მხარს გაინათლავდა, ახალი მოსავლის მარცვლეულს ბეღელში შეიტანდა და აკოში დააბინავებდა.

კოპალას ხატის აღმოსავლეთით ერთი ნაციხარია, რომელსაც უკავშირდება შემდეგი გადმოცემა კოპალას ხატის გომეწარში დაარსების შესახებ: „ამ ნაციხარში ცხოვრობდნენ დევები, რომელთა შიშით იმ არემარეს არავინ ეკარებოდა. კოპალა მოვიდა დევებთან და საბრძოლველად გამოიწვია. დევები დაეთანხმნენ კოპალას ესროლათ საგმირო ქვა და ვინც აჯობებდა, გამარჯვება იმას დარჩებოდა.

კოპალამ სამი ადლით გადააჭარბა დევების მიერ გასროლილ ქვას. დევებმა გადაწყვიტეს მისი მოკვლა, მაგრამ კოპალამ, როგორც ღვთისშვილმა, მათი განზრახვა გაიგო და დევები დახოცა. მერე, სადაც ქვა გამოჭკრეს, იმ ადგილზე დაარსდა თვითონ და გაიხსნა კოპალას სამლოცველო ხატი.

დევების ნაჭერი მამულებიც თვითონ დაიჭირა. იმის მიდამოს, სადაც აქამდე ვერავინ ცხოვრობდა ამ დევთა ოჯახის შიშით, საგოგოლაუროს ხალხი დასახლ-

---

[53] 1962 წელს ჩვენი ექსპედიცია გომეწარს ეწვია ადგილობრივი ხატების შესასწავლად და მათთან დაკავშირებული გადმონაშთური მასალის მოსაპოვებლად. მაგრამ მიზანს ვერ მივაღწიეთ, რადგან გომეწრის სასოფლო ხატები კარგა ხნის დანგრეული აღმოჩნდა იმდენად, რომ მათი კვალიც კი თითქმის სავსებით გამქრალი იყო. ქვემოთ მომაქვს ცნობები მხოლოდ ადრე მოპოვებული საარქივო მასალებიდან.

და. გოგოლაურთიდან გადმოსახლებული ხალხი თავის გოგოლაურთის წმინდა გიორგის ხატის გარდა, კოპალას ხატის ყმები გახდა, მაგრამ მათი სათემო სალოცავი მაინც გოგოლაურთის წმინდა გიორგი დარჩა.

პოლო ხანს დევების ნაჭერ და შემდეგ კოპალასაგან დაჭერილ მამულში ქრისტიანული ეკლესია აუშენებიათ. ახლა ის კარგა ხნის გაუქმებულია და სკოლას უჭირავს.

კოპალას და მაღაწლის წმინდა გიორგის მოძმეთ უწოდებდნენ, მთავარი დღეობა მარიამობა მათ საერთო ჰქონდათ. მარიამობის დღისათვის კოპალაში მოამზადებდნენ ლუდს დასტურნი და იგივენი აფუვლებდნენ.

მარიამობის წინადღეს დასტურ-ჭევისბრები მოიყრიდნენ თავს კოპალას ხატში, მოანთებდნენ სანთლებს და გახსნიდნენ კოდს. ლუდს დალევდნენ და მოემზადებოდნენ წმინდა გიორგის ხატში მაღაწალს წასასვლელად. ააბამდნენ კოპალას დროშას და გამოუძღვებოდა მედროშე წმინდა გიორგის ხატისაკენ. კოპალაში ჯერ არაფერი წესი არ იყო შესრულებული. დროშას ჩამოუდგებოდნენ ბიჯში და გამოყვებოდნენ მამანი და მამათ დედანიც თან გამოყვებოდნენ. ცხენებით წაიღებდნენ ლუდს, გარეკავდნენ საკლავებს; სასოფლო საკლავს და მლოცავების საკლავებს ერთმანეთში გაურევდნენ და დილიდანვე გარეკავდნენ ახალგაზრდები, რომ ცხვრების სიარულით მთაზე ასვლა არ დაგვიანებულიყო. ჭევისბერი დროშით და მერე ხალხი ამოვიდოდნენ კარგა მაღლა, სადამდინაც შეიძლებოდა ცხენით სიარული. აქ ერთი დიდი ქვა იყო და კოპალის დროშა იქ იკიდებდა კოჭს. დროშას ამ საბძანიში მიაბძანებდნენ და ხალხიც დაისვენებდა. ცხენებს ბარგს მოხდიდნენ და საბალახოზე გაუშვებდნენ. ჭევისბერი სანთელს აანთებდა, ლუდიან თასს დასდგამდნენ და იგივე ჭევისბერი ადიდებდა ხატებს, კოპალას და მაღაწალ წმინდა გიორგის, მერე იმ თასს ჭევისბერივე გამოცლიდა და სხვებიც დალევდნენ, ასეთსავე სადიდებულოს და ყმათ საკვწყალობელოს.

სადაც დროშა კოჭს იკიდებდა, იმ ადგილს ჰქვიან საზრუტუნანი. კარგა დასვენების შემდეგ საზრუტუნადან ხალხი აიშლებოდა, აქამდე ცხენებით ამოტანილ ბარგს აიკიდებდნენ და წავიდოდნენ ზევით მაღაწლისაკენ; წინ ისევ გამოუძღვებოდა დროშა და იმას მლოცავი გამოჰყვებოდა. საღამო ხანზე ავიდოდნენ დასახელებულ ხატში.

აქ პირდაპირ წმინდა გიორგის კოშკთან მოვიდოდნენ, ფერჯისას დააბამდნენ და კოშკს გარს შემოუვლიდნენ. წმიდა გიორგის კოშკს რომ უვლიდნენ, ჭევისბერი დროშით ჭელში იდგა კვრივთან, დროშას არხევდა და დროშის ზარებს აწკარუნებდა. მესამედაც რომ შემოუვლიდნენ კოშკს, ყველანი ქუდებს მოიხდიდნენ, ფერჯისას დაშლიდნენ და კოშკის დასავლეთის მხარეს დადგებოდნენ პირკოშკისა და პირაღმოსავლეთისაკენ, იწერდნენ პირჯვარს და ეხვეწებოდნენ წმინდა გიორგის და კოპალას: გვიშველე და შენ ყმათ მარცხი და ზიანი მოაშორე, ამრავლე მათი კაცი და საქონი, კაცი შენდა ყმად და საქონი შენდა ზღვნადაო. ამის შემდგომ ჭევისბერი იტყოდა: „წყალობა ჩვენი სალოცავებისა, წყალობა! მოსულთა ყმათაცა და სხვა მლოცავთაცა, წყალობით მოგეგებონ ჩვენი სალოცავები! გამრავლოსთ კაციცა და გიმრავლოსთ საქონ-ნაქონიცა დალოცვილმა!“ ხალხი უპასუხებდა დაბალი ხმით: „თქვენისამც მწყალობნელია დალოცვილი ჩვენი სალოცავი“. მერე დასხდებოდა ხალხი, დაისვენებდნენ და ცოტ-ცოტას სასმელსაც დალევდნენ. მერე შეუდგებოდნენ საკლავე-

ბის დაკვლას. ბოლოს, როცა ლხინ-თამაშობით გულს იჯერებდნენ, ჭევისბერი დროშასთან მივიდოდა, დროშის წინ მუხლს მოიყრიდა და შეეხვეწებოდა თავის სალოცავს: „უშველე შენთ ყმათა და მიმყოლ-მომყოლთა! ნუ შეანანებ შენს ხვეწნა-ვედრებას და კვლავ უკეთესის გულით იმსახურენ შენნი ყმანი! და, თუ ჩემის უვიცობით რამეს გცოდავ და ჭსენება-დიდებას გაკლებდე, მეც მაპატიე და მარცხ-ზიანს ნურც შენთ ყმათ რამეს მოკერძებ და ნურც ჩემ თავ-ჯალაფობასაო“. ადგებოდა, დროშის ტარს აკოცებდა და იქვე დროშასთან გაჩერდებოდა და დაამწყალობნებდა ყმათ. აქ საკუთარი მისი სკამი იყო ქვისა. ამ სკამზე დაჯდებოდა ცოტა ხანს, ვიდრე მოიტანდნენ სადიდებულოს და დროშასთან დადგამდნენ ლუდით სავსე ვერცხლის თასს. მაშინ ადგებოდა, სანთელს აანთებდა, სასანთლეში დააკრავდა და კიდევ ადიდებდა წმინდა გიორგის და კოპალას, ამწყალობნებდა ისევ ყმათ საგოგოლაუროთ და მიმყოლ-მომყოლ ქალ-ქალიშვილს. ჭევისბრების მიერ სადიდებულოს დალევის შემდეგ დასტურებიც ასეთსავე სამწყალობნელს დალევდნეხ და მერე სხვებსაც ჩამოურიგებდნენ იმავე ვერცხლის თასით. ჭევისბერი დროშას ააბძანებდა და გაემართებოდა მარცხნიდან მარჯვნივ კოშკისათვის გარს შემოსასვლელად. ხალხი ფერჯისას დააბამდა და მოყვებოდნენ ჭევისბერს ფერჯისის სიმღერით. კოშკს სამჯერ შემოუვლიდნენ დროშით და ფერჯისით. მესამედ რომ მოვიდოდნენ დასავლეთის მხარეს, ყველანი ქუდმოხდილი შეეხვეწებოდნენ თავის სალოცავს: გვიშველე, ცოდვები გვაპატიე და ყველანი გაჭირვებიდან დაგვიხსენიო. ისევ დააბამდნენ ფერჯისას და დროშას ცოტა გზას ფერჯისის მღერით გამოაცილებდნენ. მერე დაიშლებოდნენ, აიკიდებდნენ თავ-თავის ბარგს და ჩამოვიდოდნენ ისევ საზრუტუნაში. აქ დროშა კვლავ კოჭს მოიკიდებდა, ხალხი შეისვენებდა, ჭევისბერი კიდევ ადიდებდა კოპალას და წმიდა გიორგის. სხვებიც გაიმეორებდნენ სადიდებელს. ჭევისბერი ისევ გაიდებდა მხარზე დროშას და გამოუძღვებოდა ხალხს. ჩამოვიდოდნენ ისევ კოპალას ხატში და ჭევისბერი მიაბძანებდა დროშას საბძანებელში.

ახლა მარტო კოპალას ხატობა იმართებოდა, დადგამდნენ სადიდებულოს სამ თას ლუდს, აანთებდნენ სანთელს და ჭევისბერი ადიდებდა გმირ კოპალას დევ-დედაბერთან მებრძოლს, ამწყალობნებდა ყმათ საგოგოლაუროს. ჭევისბერი და ორი დასტური გამოცლიდნენ ამ სადიდებულოს და დაურიგებდნენ ყველა იქ დამსწრეთ კოპალას სადიდებულოს და იმის ყმათ სამწყალობნოს. ჭევისბერი სანთელსაც აანთებდა ისევ საგოგოლაუროთ სამწყალობნელოდ და მერე დაისვენებდა.

სოფელი გომეწარი აქვე ახლოს იყო, მლოცავებს საკლავები აქ ჰყავდათ მიბარებული, წამოვიდოდნენ და ყველა მოიყვანდა თავ-თავის საკლავს. გაიმართებოდა საკლავების დაკვლა და სუფრების მზადება. აქ ტყე გვერდზე იყო და შეშა არ აკლდათ. მოიტანდნენ ხმელ შეშას და ყველა თავ-თავის ბინაში ხარშავდა ხორცს. სუფრებს გააწყობდნენ პურით, ხორცით, სასმელ-სალაღებლით, ქადებიც მოჰქონდათ ჩვეულებრივი წესით და თავ-თავის სუფრაზე თავის მოტანილ ქადების ნაჭრებსაც აწყობდნენ, დაუყახებდნენ ჭევისბრებს, ჭევისბერი ყველა სუფრაზე მივიდოდა. სუფრის პატრონი ეტყოდა ეს სუფრა ვისთვის იყო გამეტებული, ვისთვის უნდა შაედვა სახელი. ჭევისბერი ყანწს დაიჭერდა ხელში, ჯერ ადიდებდა თავის სალოცავებს და მერე მოიჭსენიებდა ის სულწმიდათ, რო-

მლებიც სუფრის პატრონმა დაუსახელა; არ დაივიწყებდნენ იმათთან ერთად უპატრონო მკვდრებსაც. რომელნიც აქ იყვნენ, შანდობას მოგველოდებოდნენ და ჩვენ ვერა ვვონობდეთო. სუფრა რომ დაილოცებოდა, ყველას მოიპატიჟებდნენ სუფრაზე და სმა-ჭამასა და მხიერულებაში ატარებდნენ დროს".

10) ადგილისდედა ღვთისმშობლის ხატი (სოფ. გომეწარი)

ადგილისდედა ღვთისმშობელს გომეწარში მარტო ნიში მოეპოვებოდა — კოპალას ხატთან იდგა ერთი პატარა კოშკი სასანთლე შუკუმით, რომელშიც კოპალას ხატის ხევისბერი სანთელს მოანათებდა, ადგილისდედა ღვთისმშობელს ახლენებდა და მასთან მისულებს დაამწყალობნებდა. ადგილისდედა ღვთისმშობლის ხატს ამ კოშკის გარდა, არც შენობები ჰქონდა, არც დროშა და არც მამული გააჩნდა, ხოლო ღვთისმსახურებას აქ კოპალას დასტურხევისბრები ასრულებდნენ. როცა კოპალას ხატობა იქნებოდა, ღვთისმშობელის კოშკთანაც მაშინ აანთებდნენ სანთელს, მოჰყავდათ სოფლელებს ზვარა და მოჰქონდათ ფურთნათავრის ან ფურთსამხვეწრო ქადა-სადიდებულო. ადგილისდედა ღვთისმშობლის ხატს არც საკუთარი ყმანი გააჩნდა (M[1], 83, რვ. 41, გვ. 494—500, 504—506).

11) ადგილისდედა ღვთისმშობლის ხატი (სოფ. ყოფჩა)

ყოფჩაში ცხოვრობდნენ ნაყეურების გვარის ხალხი, რომლებიც გოგოლაურთ თემს ეკუთვნოდნენ და მათი სათემო ხატი გოგოლაურთის წმინდა გიორგი იყო. წულის და რძლის ხატში გაყვანა, წულის სანთელის დანთების წესი და სხვა ასეთები გოგოლაურთაში უნდა შეესრულებინათ. დანარჩენი წვრილმანი დღეობები კი სასოფლო ხატებში იცოდნენ — ყოფჩის ადგილისდედა ღვთისმშობლისა და საყდარას წმინდა გიორგის ხატებში. ამ ხატებს მხოლოდ ნაყეურები ემსახურებოდნენ დასტურებითაც და ხევისბრობითაც. სოფელში სხვა გვარისა არც იყო ვინმე და იქ არცვინ შორეული მლოცავი მივიდოდა, გარდა ქალ-ქალიშვილებისა. დასტურობა მორიგეობით იყო, ერთი წლით. ხევისბრებს კი თვითონ ხატი დაიჭერდა მომიზეზებით. ადგილისდედა ღვთისმშობლის ხატში სადასტურო არ იყო და არც დასტურები ცხოვრობდნენ სადმე სხვაგან, თავის ოჯახის გარეთ. მაგრამ წმიდობდნენ კი ისინიც თავისი დასტურობის ერთი წლის მანძილზე, ნალახ ბოსელ-ბოსლიკარს განსაკუთრებით ერიდებოდნენ.

ყოფჩის ადგილისდედა ღვთისმშობლის ხატი მოთავსებული იყო სოფლის დასავლეთის მხარეს. ამ ხატში აგებული ყოფილა მხოლოდ სალუდე და დარბაზი. არც საზარე და არც სხვა რამ შენობა იქ არ არსებულა. ხატს არც სანადოები ჰქონია.

12) საყდარას წმ. გიორგის ხატი (სოფ. ყოფჩა)

საყდარას წმინდა გიორგის ხატი ნახევარი ვერსით იყო დაშორებული ადგილისდედა ღვთისმშობლის ხატიდან. ხატს ეჭირა პატარა ველი, რომელიც გარშემორტყმული იყო დაბურული ტყით, ველზე იდგა ყორით აგებული კოშკი

საყდარას წმინდა გიორგის სახელზე. ხატის ტყეში ხარობდა მუხა, წიფელი, ცაცხვი, იფნი, თელა და სხვა ჯიშის ხეები.

ყოფჩელებმა წელიწადში ორი მთავარი ხატობა იცოდნენ — ამაღლება და გიორგობა. დანარჩენ ხატობებშიც აყენებდნენ მცირე რიგს, — სანთლის მონთება, თუ ვინმე მოვიდოდა მლოცავი, მათი საკლავის დაკვლა, ქადის გაჭრა და სხვა. დასტურ-ჭევისბრები, ამ ორი დღეობის გარდა, მუდმივად ხატში არ იყვნენ.

ამაღლებას, ადგილისდედა ღვთისმშობლის ხატში ახალი დასტურები დგებოდნენ. რადგან, როგორც ითქვა, ადგილისდედა ღვთისმშობელს სანადოები არ ჰქონდა, ლუდის დასამზადებლად სოფელზე კრეფდნენ ქერს, — თითო დღეობისათვის კომლზე სამ ლიტრას. ამ ქერს დასტურს აბარებდნენ და ის დააფორებდა, დაფქვავდა და ადუღებდა ლუდს. სვე დასტურისა იხარჯებოდა და (მას) არც უჭირდა სვის შოვნა, რადგან იგი ყველას სოფელში თავთავისთვის მოყავდა.

თას-განძი რომელიც მცირე რაოდენობით გააჩნდათ, ორჯელ მოჰქონდათ ხატში: ამაღლებას და გიორგობას. სხვა ხატობების დროს თას-განძი სამალავში იყო დაცული (M[1], 83, რვ. 40, გვ. 485—487; 489—490).

V. წოწკურაულთ თემი

ა) მოხარნადე ღვთისმშობლის სათემო ხატი (სოფ. მუქუ)

მუქუ სოფელ გოგოლაურთას ეკვრის ჩრდილო-აღმოსავლეთიდან. ჩვენ ზემოთ გოგოლაურთ სათემო ხატთან დაკავშირებით აღვნიშნეთ, რომ გადმოცემით მუქუ და მოკვერათკარი, რომელზეც ქვემოთ მოგვიხდება შეჩერება, თავდაპირველად გოგოლაურების საკუთრებაში ყოფილა. თავისი თემის გასაძლიერებლად გოგოლაურებს ხევსურეთიდან ბლოელი გიგაური მოუყვანიათ. მუქუში დასახლებულ გიგაურს წოწკურა რქმევია სახელად და ამ სახელიდან იმის შთამომავლობას წოწკურაულნი დაერქვა[54].

წოწკურაულთ სათემო ხატი მ უ ქ უ ს მ ო ხ ა რ ნ ა დ ე ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ე ლ ი ყ ო. წოწკურაულების თემს ეკუთვნოდნენ, მუქუელების გარდა, ნოჯას, ფიქვიანის, არბაჩხანის მოსახლეობა და, ვგონებ, აგრეთვე პანკისისა და ბოჭორმას გვერდით მდებარე ომარაულის მცხოვრებნი, რომლებიც მუქუდან იყვნენ ამ სოფლებში გადასახლებული. ამდენად, მუქუელებთან ერთად, ჩამოთვლილ სოფლებში მცხოვრებნი მუქუს მოხარნადე ღვთისმშობლის ხატს ემსახურებოდნენ, როგორც ამ ხატის ყმანი.

მუქუს მოხარნადე ღვთისმშობლის ხატი მდებარეობს სოფლის გვერდზე მთის დავაკებაზე, სადაც იფნები და ერთი ძირი ქორაფის ხე ხარობს. ამ ხატის ხეებს საერთო სახელად ხემხვივანნი ეწოდება. იფნების უმრავლესობა ხელოვნური ნარჯავებია; ხოლო ფორაქის ხეზე შემონახული გადმოცემა ხემხვივანთა ხელოვნურად დარგვის ერთ-ერთ კონკრეტულ მიზეზს გვაცნობს, — ეს ხე ვინმე ავადმყოფი წოწკურაულის სამადლოდ დაურგავთ და უხარებიათო.

---

[54] მოგვითხრო დაეით თურმანაულმა 1963 წელს.

ხემხვივანთ შორის ე. წ. ხატის ბუსნოზე, ერთ მოზრდილ ქვასთან საგანძე ადგილი გვიჩვენეს: „აქ — გვითხრა ხევისბერმა, დიდი განძეულობა არის დამარხული, ეს ძველთაგან ვიცი: იმ ქვას ნიშნულობა აქვს — მომრგვალებული, ჩამოთლილია. ძველისძველი საგანძე ადგილია, იმის ქვეშ მიწაში დიდი ნივთეულობა უნდა ინახებოდესო.

სოფლის მხარეს ხატს ყორის გალავანი აქვს შემოვლებული. ხევისბრის ცნობით ახალი ეკლესია რომ აუშენებიათ, ეს გალავანი მაშინ აუგიათ. უწინდელ დროში კი თვითონ ხატი გორზე ყოფილა დაარსებული.

იქ. განაგრძობს მთხრობელი — მიწაში ჩავარდნილი ადგილებია, მთელი ეს არემარე დევკერპების ნასოფლარია; ხატმა დახოცა ისინი და თავად დაიჭირა ეს ადგილები. ამ ნასოფლარში გოგოლაურთ ციხე არის აგებული.

ერთი მღვდელი იყო მაღაროსკარიდან, მოკვდა, ის ჩვენ ხატს არემონტებდა, — ერთი ქვა გადავაბრუნე და ალვისტანი ვნახე, ისევ სიპი გადავაფარეო.

ალვისტანი სხვაა, დროშა სხვა — გვასწავლის ხევისბერი. მუქუს ღვთისმშობლის ხატში დროშა ერთია. ფშაურ დროშას თავში ჯვარი უკეთდება და საკადრისები. ბაღდადები აქვს ჩამოკიდებული. დროშას შეწირული ფულებიც აქვს საკადრისებში გამოკრული; ხალხი რომ მოდის, სწირავენ ფულს და ამ შეკრულებით ვინახავთ საკადრისებს. ჩვენებურ დროშას თავზე ჯერ ბურთვი და ზემოდან ჯვარი აქვს. ზანზალაკი დროშის ზარია, სამზე მეტი არ შეიძლება. შუბისთავიან დროშები ძველი დროინდელებია. დროშის ტარსაც ჩვენ ვეტყვით ალვისტანიო. დროშის ალვისტანი უფრო სუფთაა, როცა ცაცხვისაა. მაგრამ იფნისაც იციან, იფნიც სუფთა ხეა, მაგრამ სისუფთავით ცაცხვი კი ჯობია. მნიშვნელობა არა აქვს თუ რამდენი საკადრისია დროშაზე, — სამზე ნაკლები კი არ იქნება; უფრო ცხრამდე არის ხოლმე. საკადრისები დროშაზე ზოგი ზემოთ ებმება, ზოგი ქვემოთ.

ალვისტანს რომ ეტყოდნენ ძველად, ის ოქროსი იყო, პატარა, მხრებზე ბრილიანტებიანი ბეჭდები ჰქონდა შებმული. ალვისტანი თავკევისბერს ეჭირა, მეორე ჰევისბერს კი კელში დროშა ჰქონდა. ეს ალვისტანი სამღვდელოებამ გაიტაცა“.

ჩემს შეკითხვაზე თუ რას ეძახიან ფშავლები ხატისკარს, ხევისბერმა მიპასუხა: „ხატში რომ ამოხვალ, ხატს რომ მიადგები, აი ეს არის ხ ა ტ ი ს კ ა რ ი; ხატისკარი, ხატის მიდამო რომ არის, აი იმის სახელია“.

ხატის გალავანში, ახალი ეკლესიის მახლობლად მდებარეობს დარბაზი ანუ საბერო (ტაბ. X 92), ჩვეულებრივი ხევსურული ჯვარის დარბაზის მსგავსი შენობა. გეგმაში მართკუთხა ფორმისაა, ფიქალი ქვისგან მშრალი წყობით ნაგები, რომელსაც ორქანობიანი სადა სახურავი ჰქონია. ამჟამად სახურავი ჩაქცეულია, კედლებიც ძალზე დაზიანებული და ნაწილობრივ დანგრეული. მიუხედავად ამისა კარგად შემონახულია შუაცეცხლი, მარცხენა გრძელი კედლის გასწვრივ გარიგებული ქვის სკამები და მოპირდაპირე კედლის პირად დიდ ნაწილზე გამართული ხის მერხი.

ეს გრძელი ტიპის შენობა ორიენტირებულია სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით. დასავლეთ-სამხრეთის მოკლე კედლის მარცხენა კუთხეში დატანებული კარის ღიობიდან კარგად მოჩანს, როგორც ზემოაღნიშნული კერა, ხის მერხი და ქვის სკამების მწკრივი, ისე საპირისპირო მოკლე კედლის მარჯვენა კუთხის მახლობლად, ჩრდილო-აღმოსავლეთის კედელში გვერ-

დიგვერდს დატანებული წყვილი შუკუმი, რომელთაგან ერთი სასანთლეა (რომელსაც ხევისბრის რწმუნებით, სამწირველოს ხევსურები ეძახიან), მეორე მასზე დაფენილი განიერი სიპით თასების საბრძანისია.

ხევისბრების ბეწინა გოგოლაურისა და პეტრე კუწაშვილის ცნობით დიდ სახატო დღეობებში ერიონნი დარბაზის კარის მახლობლად დგებოდნენ ისინი დარბაზში ვერ დასხდებოდნენ. კერის გარშემო და კერის უკანა ფართობი, რომელსაც მძიმე ადგილი ეწოდებოდა, ხევისბრებისა და წლის ბერებს ანუ დასტურებს ეჭირათ. ამ დროს წოწკურაულების სანთლები სათასეებში დაინთებოდა ხოლმე, გოგოლაურები კი თავიანთ სანთლებს დარბაზის გარეთ სასანთლეზე ანთებდნენ.

ამ დიდ დღეობებზე მლოცველები ხატში წინა საღამოს მოვიდოდნენ, თავთავის სახლებიდან თან გამოიყოლებდნენ საკლავს და სანთელ-საწირს, ქადის კვრებს და ხატის კარზე ღამეს ათევდნენ. დილით, ადრიანად კოდი გაიხსნებოდა; ჯერ უნდა კოდი გახსნილიყო და მერე საკლავები დაეკლათ, როცა მზე მთის წვერს მოადგებოდა, სასანთლეში სანთლები ინთებოდა, მოიტანდნენ დარბაზში ლუდს, თასების საბრძანისში ლუდით სავსე თასებს გაარიგებდნენ. კერის ახლო თასების საბრძანისთან ხევისბრები დადგებოდნენ, ჯერ თავხევისბერი, მერე სხვები ლუდით ახსენებდნენ და გაადიდებდნენ ხატებს, ხოლო შემდეგ ქადები დაიჭრებოდა.

დარბაზის გვერდით დგას ს ა ლ უ დ ე (ტაბ. 92), მას დარბაზის მსგავსად გეგმაში მართკუთხა ფორმის (თუმცა მას შიგნიდან უსწორმასწორო მომრგვალებული კუთხეები აქვს), ფიქალი ქვისაგან მშრალი წყობით ნაგები შენობაა, რომელსაც ორქანობიანი სახურავი ჰქონია; სახურავი ჩაქცეულია და კედლებიც დარღვეული. მარცხენა მხარეს შენობას შეყენებული აქვს საყრდენი ყორე.

ისევე, როგორც დარბაზი, ეს გრძელი ტიპის შენობა ორიენტირებულია სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთით. მას კარის ღიობი დატანებული აქვს აღმოსავლეთ-სამხრეთის კედლის შუაში, რაც იშვიათად გვხვდება.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საკულტო არქიტექტურისათვის დამახასიათებელი ჩანს ის, რომ აქ კარის ღიობი დატანებულია არა კედლის ცენტრალურ ადგილას, არამედ მისგან მეტნაკლები დაშორებით.

კარის ღიობის მახლობლად მარცხენა კუთხეში მოწყობილია საცეცხლური ანუ ქვაბის საბუდარი და იქვე დგას ძალზე დაზიანებული სალუდე ქვაბი (რომელშიც თავის დროზე 5—6 ფუთი ქერისგან ლუდი ეხარშებოდა), მეორე კუთხესთან და გრძელი კედლის გაყოლებაზე ხის ისარნაა, ისიც ძალზე დაზიანებული. — ამჟამად მისგან მცირე ნაწილიღა გადარჩენილა; მარცხენა გრძელ კედელში დატანებულია შუკუმა და მის ძირში კედლის პირად რამდენიმე ქვა ძევს საჯდომებად. ადრე ამ კედლის გასწვრივ ხის მერხი მდგარა. აქვე ყოფილა ხის კოში ლუდის ამოსაღებად და ჩისავე ჩხუტა — ტუჩიანი და ტარიანი საწყაო ჭურჭელი, რომელშიც ერთი ფუთი ლუდი ჩადიოდა.

ხუთი დღის წინ დღეობამდე დასტურები ლუდს მოადუღებდნენ, გადაასხამდნენ კოდებში და მას სამი დღის განმავლობაში აფუვლებდნენ. კოდი მთლიანი ხისა იყო.

რადგან მუქუს ხატში სადასტურო არ ყოფილა, დასტურები სალუდეში იძინებდნენ.

ს ა ს ა კ ლ ა ვ ე. დარბაზისკარის წინ, ბუსნოზე ამოსულ ხის ძირში სასაკლავე ანუ სასაკლაო ადგილია. აქ კურატებს და ჭედილებს შესწირავდნენ. მათ კისრიდან საკადრისებს და ფერად ნაჭრებს მოხსნიდნენ, იქვე ხეზე ჩამოკიდებდნენ და შეწირულ მსხვერპლს მხოლოდ ამის შემდეგ დაკლავდნენ.

ვინაიდან მუქუს ხატში კვრივი არ იყო, ბალღის (ბიჭის) გაყვანა აქ, მსხლის ხესთან იცოდნენ და გ ა ს ა მ ყ ვ ა ნ ლ ო მსხვერპლსაც ამ ხის ძირში სასაკლაოზე დაკლავდნენ.

ქალების გასამყვანლო კი ეკლესიის ქვემოთ იყო, სასანთლესთან ანუ სამწირველო სიპთან. ქალები იქ მივიდოდნენ, გასამყვანლო სანთელსაც იქ სასანთლეზე დაანთებდნენ, ხევისბერი ქალს სამჯერ წაღმა შეაბრუნებდა და ქადებს გაუსერავდა.

კვრივი გოგოლაურთ წმ. გიორგის ხატში იყო. კვრივში ვერავინ ვერ მივიდოდა, მის სიახლოვეს გავლასაც კი ერიდებოდნენ, — მძიმე ადგილიაო. თუ ძალიან არ გაუჭირდებოდა კაცს, ისე აქ მისვლას — რაც უნდა დიდი მოწმინდარი ყოფილიყო, მას მაინც ვერ კადრებდა.

ბავშვი კვრივთან უნდა მიეყვანათ და მიებარებინათ. თუ პატარა იყო, მაშინ ხევისბერი ბავშვს სამჯერ ხელში აიყვანდა; ხევსურების მსგავსად ბავშვის მიწაზე დაგორება აქ არ იცოდნენ.

გოგოლაურთ წმინდა გიორგის კვრივში ბავშვს თურმანაულნიც აბარებდნენ და თანდილანიც, გოგოლაურთ თემიდან ყველა მისი წევრი.

გალავნის შიგნით, ახალი ეკლესიის გვერდზე და დარბაზის მახლობლად მდებარეობს ღ ი ა ს ა ჯ ა რ ე (ტაბ. 92) — პატარა ვაკე ადგილი მრგვლად შემოწყობილი საჯდომი ქვებით და იქვე მიწაში ღრმად ჩამჯდარი გრძელი ქვით, რომელსაც ს ა ს ი ძ ო ქ ვ ა ეწოდება.

მუქუს დედაღვთისმშობლის ხატში მთავარი დღეობა მარიამობა იყო. ამ დღეს მუქუს ხატობაზე ახალი სიძეები ეწვეოდნენ. საჯარეზე მისულ სიძეს წოწკურაულები სასიძო ქვაზე „დააყუდებდნენ“, — სიძე ამ ქვას სიგრძეზე გადააწვებოდა და ხელებს მაგრა შემოაჭდობდა ქვას. მისცვივდებოდნენ ვაჟები, ახალგაზრდობა, ზოგი სიძეს ორივე ხელით წელში მიებმებოდა, ზოგი ფეხებით დაითრევდა, სხვები გამეტებით სცემდნენ სასირცხვილო ადგილას და ყველანი ცდილობდნენ სიძე ქვიდან აეგლეჯათ, ის კი თავგამეტებით ქვას ებღაუჭებოდა. ეს არქაული თავისი თავდაპირველი მნიშვნელობით რიტუალი ბოლოვდებოდა იმით, რომ სიძეს სასიძო ქვას ააგლეჯდნენ ხოლმე[55].

ხატის გალავნის გარეთ, სანადოების მახლობლად დგას პ ო ტ ი ს ბ ე ღ ე ლ ი (ტაბ. 93, ტაბ. 94). იგი გეგმაში კვადრატული ფორმისაა, ქვა-კირით ნაგებია და კირით შელესილი. ბეღელს აქვს რვაიარუსიან-სანაწვთებიანი პირამიდული სახურავი, რომელსაც თავზე მთის ბროლის მრგვალი სათაურის ქვა ადევს. სახურავი ჭერის ფუნქციას ითავსებს და ბეღლის შიგნიდან ოთხკუთხოვანი პარალელური წყობის გვირგვინისებური მოყვანილობისაა. ბეღელს სამხრეთ-აღმოსავლეთის კედელში, მიწიდან საკმაო სიმაღლეზე დატანებული აქვს კარის ღიობი, რომლის ზღურბლი, ქუდი და საშუბლე გრძელი სიპის ქვებია. სქელი ხის კარი, რომელიც ამჟამად ღიობს აღარ აბია. იკეტებოდა და იღებოდა გარედან — შენობის მთავარი ფასადის კედელში დატანებული საკედურში გვერდიდან გაყრილი კედის მოძრაობის, მისი შეწევ-გამოწევის საშუალებით.

[55] შდრ. ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ფშავი, გვ. 141.

ხევისბერი პ. კუწაშვილი გვიამბობს: „ფშავის ხატებში რომ პურის ბეღლებია, იმათი აშენების მომსწრე არავინ მოიპოვება. ძველები იტყოდნენ — ბეღლის მასალას, მეტადრე ქვას, ნადით მოიტანდნენ და ოსტატს დააყენებდნენ, ის აშენებდაო. სანაწვთე სიპები კი ჯორებით არის მთიდან ჩამოტანილიო. მართლაც თუ დააკვირდები, თითონ ნახავ, რომ ასეთი მაგარი სიპები ახლომახლო არსად მოიპოვება, შორს მთებში იცის, ეს მთის სიპია, თეთრი ქვა არის, აქაური სიპი კი უფრო რბილია. სანაწვთეები ამ სიპებს იმიტომ ჰქვიან, რომ სანაწვთეში წყალი ვერ შეაღწევს, სანაწვთიან სახურავში წყლის ნაწვთების გაჟონვა არ შეიძლება“.

ხ ა ტ ი ს კ ა ლ ო (ტაბ. 92) საპურე ბეღლის გვერდზეა, ბებერი იფნის ძირში — აქ იფნთან მოდიოდა ძნა, იმას კალოზე გაშლიდნენ და ხარებით ლეწავდნენ — ხარებს ფეხებით ალეწინებდნენ. კალო ჩვეულებისამებრ მრგვლად მოსწორებული და დატკეპნილი პატარა მოედანია, რომლის გარშემო ქვებია ჩაყრილი იმ მიზნით, რომ ლეწვის დროს ხარები კალოს ნაპირს ვერ გადასულიყვნენ და პური ვეღარ გადაეფანტათ.

კალოს გვერდით, იფნებს შორის აგებული ყოფილა ხ ა ტ ი ს ხ ა რ ბ ა კ ი (ტაბ. 92), რომელიც ჩვენამდე ნანგრევების სახითღა არის მოღწეული. ხატის ხარბაკის არსებობა მიგვანიშნებს იმაზე, რომ მუქუს მოხარნადე ღვთისმშობლის ხატს ოდესღაც საკუთარი ხარები ჰყოლია.

ხატს აღმოსავლეთით სოფლის ძველი და ახალი სასაფლაოა და სასაფლაოს ხ ა ტ ი ს ს ა ნ ა დ ო ე ბ ი ებმის.

მუქუს სათემო ხატის სანადოებთან დაკავშირებით და ამ სანადოების დამუშავების შესახებ ადგილობრივი მთხრობლებისაგან შემდეგი ცნობები მოვიპოვეთ:

ყველა ღვთისმშობლის ხატს ფშავში არ ჰქონდა თავისი სახნავ-სათესი მიწები, არც ისეთი შენობები, როგორიცაა სალუდე, საბერო და მისთ. და არც საკუთარი დასტურ-ხევისბრები გააჩნდა. მაგრამ ფშავისხევში მუქუს და უკანაფშავის მოხარნადე ღვთისმშობლის ხატებს, ივრის ხეობაში ბაჩლის მოხარნადე ღვთისმშობლის ხატს თავისი ჰქონდა როგორც სახნავ-სათესი, ისე საბერო, სალუდე, საზარე, ბეღელი, საღვინე ანუ მარანი და სხვ., და საკუთარი დასტურ-ხევისბრებიც ჰყავდა. სწორედ ამიტომ ეწოდებოდა ამ ადგილისდედა. ღვთისმშობლის ხატებს მოხარნადე; მათ მამულებს ნადით და საკუთარი მუშა საქონლით მეთემეები ამუშავებდნენ.

ფშაველების ძველი რწმენით, მოხარნადე ღვთისმშობლის ხატები მათი სათემო ღვთისმშობლების სხვა ხატებზე მაღლა იდგნენ. მოხარნადე ღვთისმშობლებზე ძლიერი, მათი წარმოდგენით, მხოლოდ საკვირაო, ლაშარის ჯვარი და თამარის ხატი იყვნენ.

„მუქუს ხთიშობელს ჰქონდა საკუთარი მამულები თავისი საარსებო ადგილის აღმოსავლეთ მხარეს და მათ ხატის სანადოები ეწოდებოდა. აგრეთვე ჰქონდა მამული ხოდაშენში, კახეთში თელავის რაიონში, სადაც ვენახი იყო გაშენებული. ჰყავდა თავისი მეზვრე, ჰქონდა თავისივე მარანი, სადაც პატარა კოშკიც იდგა დროშის საბძანი. მეკულუხე რომ მოვიდოდა, დროშა ამ კოშკთან დაბძანდებოდა, აქვე მოსული მეზღვნის საკლავებიც კოშკთან იხოცებოდა. მამულებს ამუშავებდა სოფელი და სხვა სოფლებიდან მათი განაყრებიც მოდი-

ოდნენ და ეხმარებოდნენ მკაში; ხვნაში მოხმარება გადასულებისათვის ძნელი-იყო, რადგან შორს იყვნენ და ხარების მოყვანა უჭირდათ".

ისინი გამოანგარიშებით ხნავდნენ ისეთ დროს, რომ მარიამობას სამკალი-ყოფილიყო; რადგან მუქუში მთავარი დღეობა მარიამობა იყო, უმრავლესობა-სალოცავად იქ მაშინ მიდიოდა და მისული მლოცავნი ხოდაბუნებსაც მომკიდ-ნენ, თუ ამინდი ხელს არ შეუშლიდა და მეტად ცუდი დარები არ იყო. ნაყევ-რალების, ანუ ხოდაბუნების მომკისათვის ცალკე იყო დამზადებული ლუდი და ნადისათვის საკლავებსაც ცალკე კლავდნენ. მომკილ ძნებს დასტურები დაეპა-ტრონებოდნენ, მათ თვითონ ააგებდნენ და ამის შემდეგაც უვლიდნენ, რომ არ დაშლილიყო და არ დამპალიყო. შემოდგომაზე ისევ დასტურები მოზიდავდნენ ძნას კალოზე, გაშლიდნენ მას და გალეწავდნენ, ხოლო ბზეს თავიანთ საქო-ნელს აჭმევდნენ. ერთ-ერთი დასტური ხელმხარს გაინათლავდა და საპურე ბე-ღელში პურს დააბინავებდა. ეს ბეღელი დღესაც დაუზიანებელია, მაგრამ შიგ-პური აღარ ინახება, რადგან ხალხი აღარ ამუშავებს ყანებს ნადით, ყველა თავ-თავისთვის ხნავს და საჭირო დროს პურს თავ-თავის ოჯახებიდან ხარჯავს.

მთხრობლის მოსწრებაში ხატს „წმინდა", ე. ი. ხორბლის პური, ცოტა-ჰქონდა და იმას სახლებში ინახავდნენ; „წმინდა" სეფისკვრისათვის იხმარებოდა-დიდ დღეობებში, მაგრამ მაშინაც იშვიათად მოეპოვებოდა ხატს „წმინდისგან" ვამომცხვარი სეფისკვერები.

ამჟამად მუქუში წოწკურაულები აღარ ცხოვრობენ. ამ ათიოდე წლის-წინ აქედან ხეობაში გადასახლებულა უკანასკნელი 2—3 კომლი წოწკურაუ-ლი. ამაზე უფრო ადრე, მას შემდეგ, რაც წოწკურაულთ მოსახლეობა შეთხელ-და მუქუში, იქ გოგოლაურების ოჯახები გადმოსახლდნენ. ამავე დროს გოგო-ლაურთ სათემო წმ. გიორგის ხევისბრები მუქუს მოხარნადე ღვთისმშობლის ხა-ტშიც ხევისბრობდნენ. მაშინ უკვე მუქუს ამ სათემო ხატს თავისი მამულები-აღარ გააჩნდა და სადღეობო ლუდის გამოსახდელად საჭირო ქერი კომლებზე-თანაბარი რაოდენობით გროვდებოდა. ამას ერთვოდა ის შესაწირავები, რომ-ლებიც თავის სათემო ხატში წოწკურაულებს მოჰქონდათ. სხვადასხვა სოფლებ-ში მოსახლე წოწკურაულები სულ ბოლო დრომდე დადიოდნენ მუქუს მოხარნა-დე ღვთისმშობლის ხატში, განსაკუთრებით მის ზაფხულის დღეობებზე.

მუქუს დედაღვთისმშობლის ხატს თავის „საარსოს" ბოლოს საკუთარი წყარო ჰქონდა, რომელსაც ხ ა ტ ი ს წ ყ ა რ ო ს ეძახდნენ. ამჟამად ეს წყარო-დანაგვიანებული და დამშრალია.

ვიდრე ხატში მივიდოდეთ, აღმართი რომ ათავდება, პატარა შენობის ნან-გრევია, რომელსაც „ძველი ეკლესია" ეწოდება. ძველი ეკლესიიდან შემონახუ-ლია მხოლოდ კედლები; სახურავი მთლიანად მორღვეულია. შენობა იმდენად-პატარაა, რომ შიგ 5—6 კაცი ერთად ძლივს მოთავსდება. მის გარშემო ძველი-და ახალი სასაფლაოა.

ხატის ტერიტორიაზე გალავნის შიგნით აგებულია ღვთისმშობლის სახე-ლობის ახალი ეკლესია. ამ ეკლესიაში დაცულია სამღვდელოების სამოსი და-ზოგიერთი საეკლესიო ნივთი. ხევისბრების ცნობით, ეს ეკლესია აქაურ-ძღვდელს. გვარად წოწკურაულს აუშენებია. იმის შთამომავლობას საერთო სა-ხელად მღვდლიანი შეერქვაო.

წოწკურაულებს მუქუში სათემო ხატისა და ამ ეკლესიების გარდა ს ა მ თ ო-ს ა ლ ო ცა ვ ი ჰქონდათ. წმინდა გიორგის სახელობის ეს სალოცავი მდებარე-

ობს სოფლის ზემოთ. მთის მწვერვალის გადაღმა, ე. წ. არყოვნის თავზე. აქ ეს ხატი წარმოდგენილი იყო ყორით ნაგები პატარა სასაზოლე კოშკით[56].

ბ) ხონეს მთავარანგელოზის სასოფლო ხატი (სოფ. მოკვერათკარი)

ხონეს მთავარანგელოზის ხატი მუქუს გვერდით მთის ფერდობზე მოკვერათკარში მდებარეობს. მოკვერათკარი სოფლის სახელწოდებაა, სადაც ერთი გვარის ხალხი— მოკვერანი სახლობდნენ. მოკვერანი ხონეს მთავარანგელოზის ხატის უნჯნი ყმანი იყვნენ. ამიტომ მათ საზოგადოებრივ-საკულტო ცენტრს მეორე სახელად მოკვერათ მთავარანგელოზის ხატი ეწოდებოდა.

გადმოცემით მოკვერათ წინაპარი გოგოლაურთ წმინდა გიორგის ხატს, რომელსაც მოკვერათკარის ტერიტორია ეკუთვნოდა, უკანაფშავიდან მოუყვანია. მართლაც უკანაფშავის თემის ერთ-ერთი დასახლებული პუნქტის — ვაკისოფლის გვარებს შორის ბოლო დრომდე მოკვერანიც იხსენიებიან. უკანასკნელი მოკვერათ ოჯახი ამ სოფლიდან (ვაკისოფლიდან) სოფელ საქობეში გადასახლებულა; ხოლო მოკვერათკარში მცხოვრები უკანასკნელი ოჯახი აქედან ივრის ფშავის სოფელ ტუშურებთან მდებარე ჯიჯეთში გადასულა საცხოვრებლად.

არსებობს გადმოცემის მეორე ვარიანტიც, რომლის მიხედვით მოკვერათ წინაპარი, რომელიც გოგოლაურთ წმინდა გიორგის ხატმა თავის მიწაწყალზე დაასახლა, ძირად, ე. ი. წარმოშობით, გუდამაყრელი იყო.

სოფელი მოკვერათკარი და მისი ხატი დიდი ხნის მიტოვებული ჩანს. აქ, ბეღლის გარდა, ყველა შენობა ნანგრევებადაა ქცეული.

მოკვერათ მთავარანგელოზის ხატის ბეღელი, თუმცაღა მცირე მოცულობით გამოირჩევა — მეტად პატარა და დაბალია, მაგრამ იგი დიდად მნიშვნელოვანია იმის გამო, რომ თავისი აღნაგობის მიხედვით მეორე მაგალითია ჩვენ მიერ ფიქსირებული ოთხი მაგალითიდან ფშავში ხევსურული ტიპის ბეღლის არსებობისა. პირველი მაგალითი ჩვენ ვნახეთ ზემოთ გოგოლაურთის მთავარ-მოწამის ხატში.

მ ო კ ვ ე რ ა თ ხ ა ტ ი ს ბ ე ღ ე ლ ი (ტაბ. 95, ტაბ. 96) გეგმაში მოგრძო მართკუთხა ფორმის შენობაა ლამკირით ნაგები, კირით შელესილი და სამიარუსიან-სანაწვთებიანი ორფერდა სახურავით გადახურული. სახურავს შიგნიდან აქვს თავხე და საგვერდულები. ყურადღებას იქცევს აგრეთვე ამ ბეღლის სახურავის სანაწვეთეები. ისინი ჩვეულებრივზე უფრო დიდებია, მათ დაქანებაც მეტი აქვთ და ამის გამო უკეთ ასრულებენ თავის პირდაპირ დანიშნულებას.

შენობა ორიენტირებულია სამხრეთიდან ჩრდილოეთით. სამხრეთის კედლის ცენტრში დატანებული კარის ღიობი თავში ოვალური ფორმისაა. მას ზღურბლად ერთიმეორეზე დაწყობილი ორი გრძელი სიპი აქვს. არანაკლებ გრძელი სიპი, ჩაშენებული კედლის წყობაში, კარის საშუბლეა. კარი, რომელიც ამჟამად ბეღელს არ გააჩნია, გარედან იკეტებოდა ფასადის კედელში დატანებული საკედეში გვერდიდან გაყრილი კედით. ბეღელი ყორის გალავნითაა შემოზღუდული.

---

[56] ხევისბრის მონათხრობი ჩვენ შევავსეთ სათანადო ცნობებით უფრო ადრე მოპოვებული მასალებიდან (M^1, 83, რვ. 25, გვ. 290—291).

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ ხონეს მთავარანგელოზის ხატის ბეღელს ახასიათებს ზოგიერთი თავისებურება (თავხე, საგვერდულები, დიდი ზომის სანაწვთეები), იგი თავისი აღნაგობით (მოგრძო გეგმისა, მრავალიარუსიან-სანაწვთებიანი ორფერდა სახურავით) ხევსურული ბეღლის ტიპისაა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფშავში ჩვენ მიერ დამოწმებულია არა მარტო ხევსურული ტიპის ბეღელი, არაშედ. როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, შუალედი, ფშაურ და ხევსურულ ბეღლებს შორის გარდამავალი ფორმის ბეღლებიც (მათურისა და ჭიჩოს ხატებში). ფუნქციითაც ისინი სამეურნეო შენობებია და არა საზოგადოებრივ-საკულტო ხევსურული ბეღლებისგვარად.

ხონეს ანუ მოკვერათ ხატის სხვა შენობები, როგორც ზემოთაც ითქვა, ნანგრევებადაა ქცეული. მაგრამ მიუხედავად ამისა, რიგი ნაშთების მიხედვით შეიძლება შენობის ნაშალის დანიშნულება იქნეს გარკვეული. პირველ ყოვლისა, აქ კარგად შეიმჩნევა ყ ო რ ი ს გ ა ლ ა ვ ა ნ ი, რომლითაც ხატი ჩრდილოეთიდან ყოფილა შემოზღუდული. ერთ-ერთი შენობის ნაშალი, უთუოდ, დარბაზი უნდა იყოს. მის გვერდით დარანია, სადაც, უეჭველია, განძი ინახებოდა ხოლმე. გარდა ამისა ნანგრევებს შორის აშკარად გამოიყოფა სასანთლე კოშკი, დაფარებული საჯარის ნაშთები, ხარბაკი და კალო. სხვა ნანგრევები უნდა იყოს ნაწილობრივ სახატო ნაგებობათა ნაშთები, ხოლო დანარჩენი სოფლის ნახოლარებია და მათ შორის ციხის კედლების ნაშთი.

VI. ზურაბაულთ თემი

ა) მთავარანგელოზის სათემო ხატი (სოფ. მათურა)

ზურაბაულნი შეადგენენ ფშავის ერთ-ერთ თემს, რომელიც თავიდან და შემდეგშიც მოსახლეობდა ძირითათად მათურაში, მდინარე მათურულას გაღმა-გამოღმა. ამ თემს, სათემო მთავარანგელოზის ხატის გარდა, ჰქონდა სამთო სალოცავები. ხოლო საკუთრივ მათურლებს მათურაში — სასოფლო ხატები.

ზურაბაულთ თემის მთავარანგელოზის ხატს მათურის მთავარანგელოზის ხატსაც უწოდებდნენ იმის გამო, რომ ეს ხატი ზურაბაულთ თემის ძირითად ადგილსამყოფელში, მათურაში მდებარეობდა. ცნობილია აგრეთვე ამ ხატის სხვა სახელწოდებაც: ჯიკურთის მთავარანგელოზის ხატი.

ზურაბაულთ სათემო მთავარანგელოზის ხატი მდებარეობს მათურას ამჟამად დასახელებულ პუნქტებიდან — სოფელ ქუჯასა და წითელაურთაგან აღმოსავლეთით მაღალ გორზე. იგი შედგება შემდეგი ნაგებობებისაგან: საბერო ანუ სადასტურო, საზარე, ციხეები, საკვირაო, ბეღელი, დაფარებული საჯარე (ანუ ხევისბრის საჯარე), სალუდე, კვრივი და დარბაზი.

სოფლიდან ხატის მისასვლელი პირველი ნაგებობა ს ა დ ა ს ტ უ რ ო ა ნ უ ს ა ბ ე რ ო ა (ტაბ. 97) — გეგმაში გრძელი მართკუთხა ფორმის, ჩვეულებისამებრ ფიქალი ქვისაგან მშრალი წყობით ნაგები შენობა, რომელიც ორიენტირებულია სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით.

ამ საბეროს სახით ფშავის სატაძრო არქიტექტურაში პირველადაა მეგარონის ტიპის შენობა, ანუ ე. წ. ტაძარი ანტებში; საბეროს გრძივი კედლები წინაა წამოზიდული (ანტები) და სამხრეთ-დასავლეთის მხარეს ქმნიან შენობის წინ-

გარდას, დ ა რ ი ფ ა ნ ს (პორტიკი). წინგარდის კიდეზე თავისუფლად დგას საძირის ქვაზე შეყენებული ორი ხის სვეტი. შენობა წარმოდგენილია ორი სხვადასხვა ფორმის სახურავით. მის ცენტრალურ ნაგებობას, საკუთრივ სადასტუროს აქვს ბრტყელი ჭერი და ყარტით დაფარებული ორქანობიანი სახურავი. ხოლო წინგარდა დაფარებულია კრამიტით გაწყობილი ცალფერდა სახურავით, რომელიც დამრეცია ფასადის მხარეს და აქ სვეტის საყბეურებში ჩამჯდარ კოჭს ემყარება.

ასევე ორგვარი, და ამასთანავე მათურის საბეროს მსგავსი ფორმის სახურავით ხასიათდება ერთ-ერთი ხევსურული ჯვარის ტაძარი ანტებში, სახელდობრ, დარბაზი სოფელ ბაცალიგოს პირქუშის ჯვარისა, რომელიც ხევსურეთის ყველაზე მრავალრიცხოვანი საგვარეულოს — საარაბულოს უძველესი განშტოების, ჩუჩაყეურთა საზოგადოებრივ-საკულტო ცენტრი იყო. პირქუშის ჯვარის დარბაზსაც ბრტყელი ჭერი და სადა, ორქანობიანი სახურავი აქვს, ხოლო მის დარიფანს ცალფერდა, ფასადისაკენ დაქანებული სახურავი აქვს.

მათურის ხატის საბეროში თვალნათლივ ვლინდება მარტივი ხერხი, რომლითაც ანგარიში გაეწია თავის დროზე მის სამშენებლო არეს. ადგილობრივ რელიეფთან შეფარდებით (ფერდობი ადგილი) საბეროს მიწური იატაკი და გრძივი კედლები ორ სიბრტყეზეა მოცემული: წინგარდა ოთხი ქვის საფეხურით დაბლაა საბეროზე და ანტებიც ამის შესაბამი სიმაღლისაა.

წინგარდა წინიდან ქვის ყორითაა შემოზღუდული. ამ ადგილს ხევისბერის საჯარე ეწოდება, ამ საჯარეში მისასვლელად ქვის კიბეა გამართული.

წინგარდას ჩრდილო-აღმოსავლეთის კედელში მცირე ნიშია დატანებული, მასში სანთლის ნაღვენთები და მცირე ზომის ხის ასტამია ნაღვენთების ასაფხეკად. აქვე კედლის ძირთან ქვის კერაა, რომლის ზემოთ რკინის საკიდელი ჰკიდია. აქვეა კედელში გარჭობილი რკინის შამფური. წინგარდას ამავე კედელში საკომოა მოწყობილი, ამჟამად ამოთლილი ქვებით.

წინგარდადან ხუთსაფეხურიანი ქვის კიბით მიმსვლელი შედის სადასტუროს სათავსოში. კარის ღიობი მცირე ზომისაა. წინგარდას სამხრეთის კედლის გასწვრივ, კარისგან მარცხნივ და მარჯვნივ ქვის მერხებია გამართული. მერხებზე მოთავსებულია: კაკაჩუნა (პურის ამოსაღები კეციდან), ბოთლები, ჩრაქვი, დიდი ზომის ხის კოში (ლუდისათვის) და ხის ყუთი, რომელშიც მოთავსებულია კიდევ ერთი დიდი კოში და ბოთლები. ამავე კედლის კარის თავზე ჯიხვის რქებია ჩამოკიდებული, ხოლო მის გვერდით კედელში გარჭობილ ხის ჩხირზე „ალამი" (საკადრისი) ჰკიდია. საყურადღებოა, რომ აქვე ხის მარგილზე ჰკიდია სანთლისაგან გაკეთებული რგოლი, ხოლო რგოლებზე აბრეშუმის ზონრით მიბმულია საკადრისი. ამავე კედლის გაყოლებით ორი ირმის რქაა ჩამოკიდებული. ხოლო რქებზე საკადრისები, სანთლის რგოლები და შუაში მძივებია ჩამობმული.

დასავლეთის კედლის გაყოლებაზე მცირე ზომის ქვის საჯდომია გამართული — კედლის წყობიდან კონსოლად წინ წამოწეული სიპი, აქვე იატაკზე ხორცის საკეპი იარაღი და ხის ურია მოთავსებული. ამავე კედლის თაღჩაში თიხის ქოთანი დგას. აქვეა სალუდე კოდი, რომლის თავზე ხის გეჯა ძევს, ხოლო მასზე ორი გრძელი სუფრაა მოთავსებული. ამის მახლობლად არყის გამოსახდელი ქვაბი დგას თავისი ზარფუშით და ჩიკა — ხის სამფეხა სკამი.

სადასტუროს სათავსოში, როგორც გეგმა უჩვენებს (ტაბ. 97) დასავლეთის

კედელთან დგას ხის კოდები ლუდისათვის, არაყის გამოსახდელი ქვაბი და ზარ-ფუში, აღმოსავლეთის კედელთან კიდობანი, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხეში ბუხარია გამართული.

ს ა ზ ა რ ე (ტაბ. 98, 99) ნაგებია კირით და მშრალად მართკუთხა ფუძეზე. აქვს რვაიარუსიან-სანაწვთებიანი პირამიდული სახურავი, რომელსაც თავზე მრგვალი სათაურა ადევს. მისი შიდა გადახურვა შეისრული ფორმისაა, კარის ღიობი სამხრეთის კედელშია დატანებული; კარი ხისაა, ზემოთა ნაწილში ოვალური ფორმისა. კარის თავზეა ნიში, ნიშში ორი ხარის რქა და ორი რუსული ზარაკია მოთავსებული. აქვეა კარის საკეტი ურდულის სამოძრაო კედელში დატანებული ხვრელები.

შენობის შიგნით ჩრდილოეთის კუთხეში ძევს დიდი რუსული ზარი უწარწერო. აქვე ამავე კედელთან ქვით ნაშენი განჯინის მსგავსი ნაგებობაა, რომელშიც დროებით ინახავდნენ საკადრისებს. ამის თავზე კედელშივე ნიშია, რომელშიც ორი პატარა ზარი და რკინის ჩანგალია მოთავსებული. ნიშის ზემოთ თაროა, ხოლო თაროზე ცხვრის რქა ძევს. ერთ მხარეზე ეს კედელი შეღრმავებულია და იქ გამართულია ორი თარო. ამათგან ერთზე ორი რუსული ხატი და ხის ჩარჩოს ნაწილებია შეწყობილი, ხოლო ქვემოთ თაროზე ერთი დიდი ქვა ძევს. ამავე კედლის გაყოლებაზე ჭერში დამაგრებულია ხის დირე, რომელზედაც კიდია დიდი რუსული ზარი, 1880 წლით დათარიღებული; ზარის ენაზე გამობმულია საკადრისები. იატაკზე არა აწყვია რა. შემდეგ კედელში ორი დიდი ოვალური ფორმის საკომეა.

გარედან შენობის აღმოსავლეთის კედელთან უსისხლო მსხვერპლის შესაწირი და სანთლის დასანთები სიპია, აქვეა დროშის „დასაბრძანებელი" ფილა. სიპის ზემოთ ორი ნიშია: მარჯვენა სასანთლეა, მასში 10 და 20-კაპიკიანებია შეწირული; ამ ნიშს სიპი აქვს აფარებული. მარცხენა ნიშიც სასანთლეა, მასში აწყვია: სპილენძის პატარა თასი, ექვსი პატარა რუსული ზარი, სანთლისგან ჩამოქნილი ზარი და ცხოველის ძვლის ნატეხი.

ამავე ნაგებობის აღმოსავლეთის ფასადის მხარეზე, მის წინ გრძელი ქვის ღია საჯარეა გამართული.

საზარედან ჩრდილო-აღმოსავლეთით ორი დიდი ციხე კოშკის ნაშალია (ტაბ. 100; ტაბ. 101).

ამათგან სამხრეთ-აღმოსავლეთის საკვირაოა — სასანთლე კოშკი. იგი მშრალად ნაგები კვადრატული ნაგებობაა, რომელსაც დასავლეთის მხარეზე დატანებული აქვს ნიში.

საკვირაოს ზემოთ, ჩრდილო-აღმოსავლეთით ს ა პ უ რ ე ბ ე ღ ე ლ ი ა — ქვაკირით ნაგები შენობა, რომელიც თავისი კონსტრუქციით ხევსურულსა და ფშაურ ბეღლებს შორის გარდამავალი სახისაა (ტაბ 102, ტაბ. 103) ფშაური ბეღლის მსგავსად იგი არა მარტო მარცვლეულის სათავსოა. იგი გეგმაში კვადრატული ფორმისაა. ამასთან ერთად მას ქვაში გამოყვანილი ხევსურული ბეღლისდაგვარი ორფერდა, მრავალ-(აქ რვა) იარუსიანი-სანაწვთებიანი სახურავი და შეისრული ფორმის შიდა გადახურვა აქვს.

ამ საპურე ბეღლის კარი დატანებულია აღმოსავლეთის კედელში, იგი ხისაა, იკეტება ხის ურდულით. კარის თავზე ბრტყელი სიპის საშუბლე აქვს, ბეღლის წინ ლოდები გამოყენებულია საჯდომად.

ბეღლიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს ს ა მ ნ ა თ ე ო (ტაბ. 104);

რომელშიც ხევისბრები იმყოფებიან თევის კვირას, ახალწელიწადს (ახალწლის შაბათიდან მომდევნო სამშაბათ საღამომდე). შენობა მშრალადაა ნაგები და ორფერდა სახურავით დაფარებული, რომელიც ამჟამად ნაწილობრივ ჩაქცეულია.

კარის ღიობი გაჭრილია სამხრეთის კედელში მარცხენა კუთხის მახლობლად. შენობაში ხის მერხები კედლებშია დატანებული, ცენტრში ხის კულაა აღმართული და მის მახლობლად დგას ხის სვეტი, რომელზედაც ირმის რქებია (წყვილი) დამაგრებული. ირმის და ჯიხვის რქები სვეტის ძირთანაც აწყვია სამხრეთ-დასავლეთის კედელში ორი ნიშია. სამნათეოს მახლობლად დ ა რ ბ ა ზ ი ს ნაშალია, რომლის ფასადი გვიჩვენებს რომ მას ჰქონია ხუთიარუსიან-სანაწვთებიანი ორფერდა სახურავი. ამის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ნაგებობა თავისი კონსტრუქციით ხევსურული (სალოცავი) ბეღლის მსგავსი უნდა ყოფილიყო.

დარბაზისა და სამნათეოს მახლობლად ს ა ლ უ დ ე ა (ტაბ. 105—107) მშრალად ნაგები და ორფერდა სახურავით გადახურული შენობა, ნახევრად დანგრეული. მისი კარის სამხრეთის კედელშია, მარცხენა კუთხის მახლობლად. ნაგებობის შიგნით აღმოსავლეთის კედელთან მოთავსებულია სპილენძის სახორცე ქვაბი, ამის გვერდით ხის კოდი, ქვის საჯდომები, ყუთი და ხის სარეველა. დასავლეთის კედლის გასწვრივ დგას ხის ორი კოდი, მეორე ხის სარეველა, სპილენძის სალუდე ქვაბი, ტაბლა ყანწით. ჩრდილოეთის კედელთან ხის სვეტია, ხოლო სათავსოს ცენტრში ქვებისგან აგებული კერა, მის ზემოთ ასაყარი და მასზე ჩამოკიდებულია რკინის საკიდელი.

ზემოთ აღწერილი ნაგებობებიდან დარბაზი, სამნათეო, სალუდე, ბეღელი და აგრეთვე სასანთლე კოშკი და ჯიხურთის კალო მოქცეულია ცალკე ყორის გალავნის შიგნით. გარდა ამისა უნდა აღინიშნოს, რომ გალავნით შემოზღუდულია: ცალკე სადასტურო, ცალკე კვრივი — ციხე და ორი შენობის ნაშალი. დასასრულ, ამავე ხატში მის აღმოსავლეთის მხარეს მიქელის წმინდა გიორგის სასანთლეა. ხოლო ჯიხურთის საზარეს მახლობლად იფნებთან ორი სასაკლაო, ერთი ხარებისათვის, მეორე ცხვრებისათვის განკუთვნილი.

ამ ნაგებობიდან სამხრეთ-დასავლეთით, ქვემოთ 100—150 მ დაშორებით ღვთისმშობლის სახელობის კვრივის ნაშალია, ხოლო მისგან დასავლეთით იფნის ქვეშ ღვთისმშობლის ხატი.

ბ) სასოფლო ხატები

სასოფლო ხატები ამ თემში წარმოდგენილია ღვთისმშობლის სახელობის სამი ხატით.

1) მ ა რ ი ა მ წ მ ი ნ დ ა დ ე დ ა ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ე ლ ი, რომელსაც აქვს მხოლოდ ერთი სასანთლე ვანხევის მახლობლად.

2) დ ე დ ა ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს ხ ა ტ ი რომელსაც გააჩნია ციხე — კვრივი და ხატისგან დაჭერილი ნასახლარის ნანგრევი, სადაც, გადმოცემით, მათურაში პირველად დასახლებული ხუციანთ გვარის კაცი ცხოვრობდა. ამ ნაგებობის გარშემო ყორის გალავანია. ამ გალავნის გარეთ დგას დედაღვთისმშობლის სასანთლე კოშკი.

3) ვაკის დედა ღვთისმშობელი, ჭალისოფლის მახლობლად. მას აქვს საკანთლე და დარბაზი, რომელიც ბოლო ხანებში სალუდედ უქცევიათ.

გარდა ამისა თემს ორი სამთო სალოცავი ჰქონდა.

4) მათურის ანუ საყაჭის მთის წვერზე საყაჭის სვეტისანგელოზისსასანთლე კოშკი.

5) არყოვნის მთაზე არყოვნის თავის წმინდაგიორგის სასანთლე კოშკი.

ზურაბაულთ სათემო მთავარანგელოზის ხატის საბრძანისში მათურაში ზურაბაულთ თემის შემდეგი გვარებია დამოწმებული: ხუციშვილები, თათარაშვილები, წითელაურები, ხიბლაშვილები, ბაჩუაშვილები და თალაურები. ამავე თემის წევრები 3—4 კომლად ბინადრობდნენ მათურის თემის შემდეგ სოფლებში: წითელაურთას, ჭალისოფელში, ქუჯასა, ჭეჭყეთსა, ბახიასა, ჩხუბასა, მაღაჩში, მუჯასა და ბოროლაში და აგრეთვე სამთო ადგილას — საყაჭეზე.

მათურლების სათემო ხატში თავხევისბრობა ზურაბაულთ თემიდან ხუციანთ გვარს მოუდიოდა. დანარჩენი ხევისბრები — მეზარე, მედროშე და სხვა ყველა გვარიდან შეიძლებოდა ყოფილიყვნენ. ასევე დასტურებიც ყველა გვარიდან ერთნაირად დგებოდნენ ერთი წლით.

„მათურის მრავარანგელოზში მოსული ხევისბერი პირველად ცხრა საკლავით ინათლავდა ჯელ-მჯარს. ის ხევისბრად მივიდოდა დიდი ყოყმანის შემდეგ. მკითხავები და ჯელწმინდა კაცები ადრიდანვე ურჩევდნენ ჭევისბრად მისვლას. ან თუ ავად ხდებოდა, ან ოჯახის საქმე არ მოუდიოდა კარგად, — დაუავადმყოფდებოდა ოჯახში ვინმე, ან ფათერაკი რამე შეემთხვეოდა, ან პირუტყვი უზარალდებოდა, ასეთს ურჩევდნენ ჭევისბრად მისვლას. თუ მას მამითაც მოუდიოდა ჭევისბრობა, ის თავს არიდებდა და არ მიდიოდა ჭევისბრად, იქნება ხატს არ უნდივარო და როგორ მივიდეო. თან ისიც აშინებდა: ვაი თუ წესრიგი ვერ შევასრულე და მაშინ ხომ სულ გამათავებს მთავარანგელოზიო. ბოლოს რომ საქმე გაუჭირდებოდა, ან ძილში, სიზმარში რამე დაუწყებდა მოლანდებას, ან ისევ ავად გახდებოდა, რომ მეტი გზა აღარ იყო, გულს გაუმართლებდა (ფშავლები „გულის გამართლებას“ უწოდებენ და ხევსურები „გულის გამართვას“, როცა აღთქმას დასდებდნენ ხატის წინაშე, რომ ამა და ამ სამსახურს შევასრულებო, პატარა ჯოხს დაუჭდევდნენ. ჭდის ამოგდებაში ხატს ეხვეწებოდნენ „ოღონდ მიშველე და თავსა ვდებ და შევასრულებო“. ხევსურები „ჭკდეს“ უწოდებენ და ფშავლები „ჭდეს“), — ჭდეს ამოაგდებდა და იტყოდა: „დიდება ძალსა შენსა, დიდო მთავარო ანგელოზო, ეს ჭდე ნიშანი იყოს იმისი, რომ შენთან სამსახურის ღირსიც არა ვარ და მაინც თავსა ვდებ შენი სამსახურისათვისა, შენი სახელის ჭირიმე“. წაიღებდა ამ ჭდეს და ხატში გადაგდებდა. აქედან შეუდგებოდა მზადებას საკევისბროდ. აღარ გაივლიდა ნალაკში, აღარას მიხეელავდა უწმიდურს, რაც ხატის წესით იკრძალებოდა და სხვ. ამ დღიდან პირველი დღეობა რომ მოვიდოდა, მივიდოდა ხატში, მიიტანდა ქადა-საწირავებს და იმდენ საკლავს, რამდენის შესაძლებლობა ჰქონდა. შეიძლება ჰქონოდა შესაძლებლობა, რომ ცხრავე საკლავი ერთბაშად მიეყვანა, მაგრამ საკევისბრო ხალხი შინამოსაქმე ხალხი იყო და იშვიათად ჰქონდათ ასეთი შესაძლებლობა. იყო მეცხვარე მომთაბარე ხალხი, რომლებსაც შეძლება ჰქონდა, მაგრამ მათ ხატი რატომღაც კევისბრად არ მიიყვანდა. ისინი შორიდან

ზღვნობდნენ და სანთლობდნენ. ერთი სიტყვით, რამდენადაც შეეძლო, პირველ მისვლაზე დაკლავდა და დანარჩენი შეიძლებოდა დრო და დრო მიეყვანა. როცა შესაძლებლობა ექნებოდა. ხოლოთ აუცილებლივ სავალდებულო იყო ცხრით ჭელ-მჯრის ნათვლა.

ასე და ამრიგად რამდენ საკლავსაც მოიყვანდა, იმდენსავე წამოაყენებდნენ სასაკლაოზე. ახალმიმსვლელი ჭევისბერიც აქ დადგებოდა, წინასწარ გაბანილ-გასუფთავებული და ახლად პირგაპარსული (ხატი თმაწვერიანობას კრძალავდა). თავჭევისბერი ხელში დაიჭერდა შიშველ ხანჯალს ან დანას და შეუდგებოდა დიდებათ და ჩაურთავდა: „უშველე შენს ყმასა, შენს სამსახურზე თავდადებულსა (სახელი), მოსულა შენი სახელისა და ძალის საჯსენებ-სადიდებლადა, შენის ძალითა და სახელით დაეხმარე, ხალიზი მიეცი და ბალინჯი აშორე, ნუ შაანებ შენს სამსახურს, შენის სახელის ჭირიმე. ჯორციელია, დალოცვილო მთავარო-ანგელოზო, თავისი უცოდინარობით ბევრს რასმე გცოდავს და შენ შეუნდევ, დალოცვილო, უცოდინარობით შენაცოდარი. უშველე მაგის თავ-ჯალაფობასა, ჯაცსა და საქონსა. დღეიდანა შენი ჭელდებულია და დასდევ ჭელი, დალოცვილო, და დაიჭსენ ყველა სატანჯელიდანა. დიდება ძალასა და სახელსა შენსა". ასე ამ ლოცვას ნელის ხმით და მუდარის კილოთი ამბობდა და ამის შემდეგ გამოსჭრიდა ყელს საკლავებს.

საკლავების სისხლი იქვე თასში გროვდებოდა, რომელსაც ს ა ს ი ს ხ ლ ე ერქვა. ჭევისბერი ამ სისხლს ხელებზეც უ წ ე ვ დ ა ახალ ჭევისბრებს და გულ-ზეც. მერე დაამწყალობნებდა: „გწყალობდეს ჩვენი სალოცავი, ნუ შეგანანოს სამსახურიო" და სხვა. ასევე წყნარის ხმით წყალობას ეტყოდნენ სხვა იქ მყოფ-ნიც. ახალ ჭევისბერს სადიდებელი ზედაშე ექნებოდა მოტანილი, თუ იშოვა — ღვინო, თუ არა და — არაყი. დაასხამდნენ და ისევ თავჭევისბერს მიაწვდიდნენ ყანწს. ის მოულოცავდა სახატო სამსახურს და უსურვებდა პირნათლად ყოფნას ხატის და ხალხის წინაშე, და გამოცლიდა ყანწს. ჭევისბრის დალოცვას გაიმე-ორებდნენ ყველა იქ მყოფნი, უსურვებდნენ ახალ ჭევისბერს ჯანმრთელობას, სახატო და სახალხო საქმეში თავდადებულობას და ყველანი გამოცლიდნენ მის სამწყალობნოს და მთავარანგელოზის სადიდებელს. საკლავებს გაატყავებდნენ, თითო მხარი და ტყავი ხატში რჩებოდა, დანარჩენს სახლში გზავნიდა. ერთი საკ-ლავის ხორცს კი მოხარშავდა და ხატიონთ სუფრას გაუგდებდა (გაუშლიდა). სუფრას შენდობას ეტყოდნენ წინა ჭევისბრებისათვის და იმ სულწმინდათათ-ვის, რომლებიც ახალმოსულ ჭევისბერს ჭელს უმართავდეს თავის საქმიანობა-ში. ამის შემდეგ, მას ხატის დავალებით ერთ-ერთი საქმე ჩაბარდებოდა და შე-უდგებოდა თავის მოვალეობის ასრულებას".

„დასტურები დგებოდნენ მარიანობას, ე. ი. იცვლებოდნენ ძველი დასტუ-რები ახლით. მოუდიოდათ მორიგეობით, მაგრამ აქედან დიდი ხნის გადასული ხალხიც იყო ბარში და, როცა ხატი მოამიზეზებდა, იგინი მოვიდოდნენ სამარია-ნობოდ და აქაურ რიგით დასტურს სცვლიდნენ. მოსული დასტური ერთ წე-ლიწადს აქ რჩებოდა და ცხოვრობდა სადასტუროში. საარსებოდ სოფელიც ხელს უწყობდა და სახატო ქონებიდანაც ეხმარებოდნენ. ხატიდანაც შემოსავა-ლი ჰქონდა ტყავ-ხორცი რაც ხატობიდან ხატობამდინ ყოფნიდა. შეშას თვითონ ამზადებდნენ ზამთრისათვის. ხელსაქმობა არ ეკრძალებოდათ, ამზადებდნენ სა-ბლებს (თოკი), ცხრილებს, ცხავებს და ყიდნენ პურ-საჭამანდზე. აგრეთვე დღი-ურად მუშაობის უფლებაც ჰქონდათ, ხოლო თუ ოფლი მოუვიდოდა და დას-

ველდებოდა, ოფლისაგან გაუბანელი ხატში ვერ მოვიდოდა, რადგან ხატი კრთება ოფლის სულზე. თუ ბარიდან არავინ მოვიდოდა, აქაური მორიგეობა გრძელდებოდა. დასტური დგებოდა ყველა გვარიდან. ჭევისბერებს ზეპირად ახსოვდა ვინ ვის შემდეგ იყო დასტურად და ისევ ისე მოაყოლებდნენ.

წელიწადში იყო ორი დასტური და ყველა დღეობაში ესენი ამზადებდნენ ლუდს რამდენი რომელ დღეობაშიც იყო დაწესებული. სხვა წესრიგსაც იცავდნენ ისინი. მაგალითად: სადასტუროს ბან-კრის მოვლა, სისუფთავის დაცვა ხატში, ჭირნახულის მოვლა-პატრონობა და სხვა მრავალი. პირველ დამდგომი დასტური მარიანობას დილით მოიყვანდნენ ორ-ორ საკლავს (ლუდი მარიანობას ისევ ძველ დასტურთაგან იყო დამზადებული), თითო საკლავი ჭელ-მკრის სანათლი და თითო შესალოცი, აგრეთვე ძველი გადამდგომი დასტურნიც მოიყვანდნენ თითო გამოსამლოცველო საკლავს.

მარიანობას მედროშე ააბამდა დროშას, მესანთლე სანთელს მოანთებდა და მეზარე დარეკდა ზარს. დროშა მთავარანგელოზში წელიწადში სამჯერ გამოდიოდა: ათენგენას, მარიანობას და წელწადს. დანარჩენ დღეობებში დროშა არ გამოდიოდა. ეს ყველაფერი სრულდებოდა მზემოსვლის დროს. მეზარე რომ ზარს დარეკდა, მედროშე ააბძანებდა დროშას და დროშის წკარუნით გამოვიდოდა დარბაზიდან. დარბაზის და სადასტუროს კარებზე გაივლ-გამოივლიდა დროშით და მიაბძანებდა დროშის საბრძან კვრივთან. აქ მიიტანდნენ სადიდებელს და ადიდებდნენ მთავარანგელოზს. ასეთ სადიდებელს ყველა დალევდა.

მერე მოვიდოდა თავკევისბერი და შეუდგებოდა დასტურთ გამოლოცვა-შელოცვას. მარჯვნივ დააყენებდნენ ძველ ორ დასტურს და მარცხნივ ორს ახალ დამდგომ დასტურს. წამოაყენებდნენ გამოსამლოცველო საკლავებს და დაკლავდნენ. ამის შემდეგ მარცხენა მხარეზე გადმოდგებოდნენ ძველი დასტურნი და ახლები მარჯვენა მხარეზე გადავიდოდნენ. კევისბერი პირველად ჭელ-მკრის სანათლის სისხლს უწევდა, მერე წამოაყენებდნენ და დაკლავდნენ შესამლოცველო საკლავებს. ხორცი იგზავნებოდა პატრონების სახლში და მკარ-ტყავი აქ რჩებოდა. აგრეთვე ამოაცლიდნენ გულ-ღვიძლს და შეწვავდნენ მწვადად. „ღვიძლი ალითაო“ — იტყოდნენ ფშავლები. ღვიძლს პირდაპირ დასდებდნენ ცეცხლის ალზე და ისე შესწვავდნენ, ცეცხლის ალი ყველა ხორცს აძლევს ცუდ გემოს, „გაალავს“, ღვიძლს არავითარ გემოს არ მისცემს და ამჯობინებდნენ ალზე შეწვას, მწვადებს მოართმევდნენ კევისბრებს და თან ლუდსაც დააყოლებენ. რადგან ლუდი ძველ დასტურთაგან იყო დამზადებული, ისინი ამ ხატობაში ისევ მონაწილეობდნენ დარბაზში, მხოლოთ ახალ დასტურთ გადააბარებდნენ სახატო განძს და სხვადასხვა ქონებას და უპირატესობა ამათ ხელში გადადიოდა. ისინი უძღვებოდნენ მოსულ-წასულ ხალხს და სხვა.

მოიყვანდა სოფელი სასოფლო საკლავს და დასხდებოდნენ სადასტუროს ეარზე. ქალებიც მოვიდოდნენ და ხატთანით მოშორებით თავის საჯარეში დასხდებოდნენ. ამ ადგილს ერქვა „დ ე დ ა კ ა ც ე ბ ი ს ს ა ჯ ა რ ე“. დედაკაცებს მოჰქონდა ქადა-საწირი და სასმელი არაყი ბოთლებით და სანთელი ჩამოუჭკნობელი. ქადები მთავარანგელოზში არ იჭრებოდა.

აქვე ახლო ღვთისმშობელი იყო და ქადების დამჭრელი ჭევისბერი იქ იყო. ქადას ვინც მოიტანდა, ბავშვების ხელით გამოგზავნიდნენ ღვთისმშობელში და ჭევისბერი დასჭრიდა, დანას დაუსვამდა და იტყოდა: „წმიდაო ადგილის დე-

დაო ხთიშობელო, შენ უშველე შენთ მეხვეწურთა (სახელი ვისიც ქადა იყო), მაგათ თავჯალაფობასა, კაცს და საქონსა! შენთვის სამსახური არ დაუყრავ და შენ შენს წყალობას ნუ დააკლებ". გამოსჭრიდა მეოთხედს და სამ წილს პატრონს დაუბრუნებდა, სადიდებულოსაც დაასხამდა, დაილოცებოდა და გაუგზავნიდა ხატში მთავარანგელოზში მყოფ დასტურ-ჭევისბრებს. საწირავებსაც მთავარანგელოზის ხატში გაგზავნიდა და ქადის მეოთხედებსაც. როცა ყველანი მოქუჩდებოდნენ და ქადა-საწირავების მოტანა მოთავდებოდა, ქადის დამჭრელი ჭევისბერიც წამოვიდოდა მთავარანგელოზის ხატში.

ეს ქადები იყო სავალდებულო ხატში მოსატანად, და თუ ფურთნათავარი უნდოდათ, სხვა ქადა უნდა მოეტანათ კიდევ. ხატში რაც ქადის მეოთხედები რჩებოდა, ამ მეოთხედებს კიდევ ჭრიდნენ შუაზე, ის ნახევარი კი ნამდვილად ხატიონებს რჩებოდა და ნახევარს კი ურიგებდნენ ისევ ხალხს ხორცის და საწირავთ-პურის ჩამორიგების დროს. ამის შემდეგ იმართებოდა მოსული მლოცავების საკლავების დაკვლა (აქაური ჭევისბერი ერთი ფუნჩია ხუციშვილი ძალიან მოლექსე და სიტყვამოსწრებული კაცი იყო და სულ მღეროდა და ალექსებდა მოსულებს. მისი ლექსები მრავალია ფშავში). მარიანობა ერთ დღეს არის და საღამოზე დაიშლებოდა მლოცავი. შორიელებიც სოფელში გადავიდოდნენ, რადგან მათურის ჭალაზე ცუდი გზები იყო და ღამე სიარული არ შეიძლებოდა. ახალი დასტურნი ახალ ჩაბარებულ განძს წაიღებდნენ სათანადო ადგილზე. მედროშეც დროშას დარბაზში მიაბძანებდა და დახრიდა. მერე ჭევისბრები გაინაწილებდნენ ტყავ-მჭარს, ქადებისა და საწირავთ ნაწილებს და წავიდ-წამოვიდოდნენ. დასტურნი რჩებოდნენ სადასტუროში".

„ლიტანიის წინა საღამოს იყვნენ „თევანი". ლიტანია ყველგან ჰქვიან ახალწელ ღამეს, მაგრამ აქ მათურაში ამ ახალწლის კიდევ წინა ღამეს ყოფილა „თევანი". ასეთი სახელწოდება სხვაგან არ გვხვდება, მხოლოდ ქრისტე'მობიდან ახალწლამდე (ქრისტიდან წელწდამდინ") თევის კვირა ყველგან ყოფილა. თევის საღამოს დაიკვლება თიკანი (სხვათა შორის მთხრობელმა თქვა: თიკანი აქ წელიწადში ორჯერ იკვლისო. ერთხელ თევა საღამოს და ერთხელ კვირიჯვრობის სწორზე ჭაკმატის ჯვარისათვის იკვლებაო). თიკანის ხორცს მოხარშავდნენ და ხელზე არიგებდნენ. თევის ღამეს, ვისაც კი ხატში მოსვლა შეუძლია, ქუდიანი ყველა მოვა. ყველას მოაქვს სანთელ-საწირი და არაყი. საკლავი როგორც ვთქვით, მარტო თიკანი იკვლოდა ამ საღამოს და სხვა არაფერი.

დასტურ-ჭევისბერებიც მოვლენ ხალხთან. ხალხი სალუდეში ათევდა ღამეს და ხატის მსახურნიც იქ მოვიდოდნენ, ხოლოთ დარბაზს ყველანი თავს ვერ დაანებებდნენ, რადგან იქ განძიც იდო და არც შეიძლეოდა იქ სულ უკაცოდ დარჩენა, რადგან ასეთს ხატი კრძალავდა. ამ ღამეს აქ დიდი მხიარულობა, მღერა-თამაშობა იმართებოდა. ლუდსაც იმდენს მისცემდნენ ხატიონები, რამდენის დალევასაც შესძლებდნენ და არაყიც ბევრი იყო ხალხის მოტანილი. დასტურ-ჭევისბრები რიგრიგობით გამოდიოდნენ ხალხთან და ზოგები კი დარბაზში რჩებოდნენ.

„ლიტანიობას წულადობილნი[57] ყველანი აქ (მთავარანგელოზის ხატში) გათევდნენ ღამეს. სანთელს რომ ჩამოქნიდნენ, დასჭრიდნენ ერთი ჭელის და-

[57] ფშავ-ხევსურეთის სხვა ხატებში ამ საღამოს სოფლიდან მოსულ ხალხს მეკვლეთ ეძახოდნენ, მათურას მთავარანგელოზის ხატში კი მათ წულადობილნი ერქვა.

დების სიგრძეზე. დაითვლიდნენ რამდენნი იყვნენ წულადობილნი და იმდენ საათელს აანთებდნენ. ჭევისბერი იტყოდა დიდებათ: „დიდება შენდა ღმერთო მაღალო, ცისა და ქვეყნის გამჩენო, დიდება შენდა კვირავ ძალიან-მადლიანო, დიდება და გამარჯვება შენდა ჩვენო სალოცაო დიღო მთავარო ანგელოზო, მათურის ბატონ-პატრონო! შენ უშველე შენთ ყმათა, დღეს შენს კარზე მოსულთა წულადობილთა. ნელი მშვიდობისა დაუყენე წულსა და წულის აკვანს, უმატე ახალი ნელი მშვიდობიანი და ღალიან-ბარაქიანი გამოუცვალე შენის სახელის ჭირიმე". დანარჩენი დიდებაც ჩვეულებრივ ბოლოვდებოდა და დამთავრებისას ეტყოდა: „გწყალობდესთ, წულადობილნო, გწყალობდესთ ჩვენი სალოცავი". ისინიც ერთიმეორეს ეტყოდნენ: „გწყალობდესთ დალოცვილი, გწყალობდესთ". სასოფლო საკლავის ხორციც მოიხარშებოდა და სახლიდან მოტანილ მარილიან ხორცსაც შესწვავდნენ მწვადებად, დასჭრიდნენ საწირავებს და დააწყობდნენ გრძელ ფიცარზე. ხორცსაც დაანაწილებდნენ წვრილ ნაჭრებად და გაამზადებდნენ სუფრას.

სუფრაზე დააკრავდნენ სამ ფეკ სანთელს და ჭევისბერი სახელს შაზდებდა სუფრას იმათთვის, ვინც შარშან წულადობილში იყო და წელს ვეღარ დაესწრო. აგრეთვე მოიგონებდნენ უპატრონო მკვდრებსაც, რომლებიც ამ სუფრას მოღბრუნავდნენ, შანდობას ელოდებოდნენ და ჩვენ ვერ ვგონობდეთ. შესანდობარ ყანწს ყველანი გამოსცლიდნენ და მოუსხდებოდნენ სუფრას.

ღამე რომ გატყდებოდა და თენებას დაიწყებდა, მედროშე ჭევისბერი გამოვიდოდა დარბაზიდან. ქუდმოხდილი მივიდოდა დროშასთან, პირჯვრის წერით მუხლს მოიყრიდა და აკოცებდა დროშის ტარს: „დალოცვილო ჩვენო სალოცაო, შემოძახილზე ნუ შემისაწყინდები შენ უშველე შენთ ყმათა მათურელთა და წელი მშვიდობისა დაუყენე". შემდეგ დროშას ააბძანებდა და დროშის ზარს დააწკარუნებდა. წამოვიდოდა და სალუდის კარზე მოვიდოდა, სადაც წულადობილნი იყვნენ. სალუდის კარზე დროშის წკარუნით გაივლ-გამოივლიდა და კარებიდან მოშორებით დადგებოდა. დროშის ხმაზე წულადობილნი ადგებოდნენ ფეხზე და პირჯვარს იწერდნენ. მედროშე შეაღებდა სალუდის კარს და ხმაამოუღებლად ისევ შორს დადგებოდა. დროშის ტარს დაბლა დააყენებდა წინ. წულადობილთაგან ერთი კაცი გამოვიდოდა, რომელიც წინასწარ არჩეული ყავდათ წულადობილთ სოფელში მეკვლედ გასაგზავნად. გამოსული კაცი მივიდოდა და მიულოცავდა მედროშეს ახალი წლის გამოცვლას და მედროშეც უპასუხებდა. წულადობილნი ისევ სალუდეში იყვნენ.

ჭევისბერი შევიდოდა დარბაზში, გამოიტანდა ერთ მჭარ-გვერდს საკლავისას და ერთ ჭმიადს და მისცემდა მეკვლეს. მეკვლე წავიდოდა სოფელში და წასულს ჭევისბერი ეტყოდა: „წყალობა და ანგელოზის კეალი გამოგაყოლოს ჩვენმა სალოცავმა". მერე ისევ ჭევისბერი შეუგორებდა წულადობილთ გოგას. გოგას შეგორების შემდეგ ქუდმოხდილნი გამოვიდოდნენ ყველანი, გამოვიდოდნენ დარბაზიდანაც დასტურ-ჭევისბრები და მიულოცავდნენ ერთიმეორეს ახალ წელს. მედროშე დროშას თავის ადგილზე მიაბრძანებდა და ზევით წავიდოდა, წაიღებდა თან ერთ ჭელადას ან არაყს, ან ლუდს. იქ ადგილი დანიშნულია საამისოდ და მედროშე დანიშნულ ადგილზე დადგებოდა. წულადობილნი მოემზადებოდნენ დ ო ღ შ ი გასაქცევად, ვისაც გაქცევა შეეძლო. მეზარე ზარს დარეკდა ნელ-ნელა და მესამედ რომ დაჰკრავდა, დოლის ხალხი გაიქცეოდა აღმართზე, სადაც მედროშე ჭევისბერი იდგა. ვინც წინ მივიდოდა, ეს სასმლიანი ხე-

ლადა მაინ იყო. დანარჩენებს დოღი არ ჰქონდათ, აქ არას დალევდნენ, ჩამოვიდოდნენ და დროშასთან დალევდნენ. მერე დარბაზის კარზე იმართებოდა სმა და მღერა-თამაშობა მანამდინ, ვიდრე არ მოვიდოდა სოფელში გაგზავნილი მეკვლე.

მეკვლე გოგას ერთ ოჯახში შეაგორებდა, მაგრამ ეს მთლიანი სოფლის მეკვლე იყო (ზოგიერთ სოფელში მეკვლე ყველა კომლებს შემოუვლიდა და ყველას სათითაოდ შეუგორებდა გოგას, მაგრამ მათურაში ასე არ ყოფილა). გოგას რომ მესამედ შეაგორებდა, გადასდგამდა ფეხს ზღურბლზე და იტყოდა: „ფეხი ჩემი კვალი ანგელოზის“ და მიულოცავდნენ ერთი-მეორეს ახალ წელს. დაჯდებოდა მეკვლე ცოტა ხანს, დაპატიჟებდნენ სასმელ-საჭმელზე, მაგრამ დიდხანს არ დაიგვიანებდა, რადგან ხატში წულადობილნი იმის მოსვლას ელოდებოდნენ, და მანამ ისინი (წულადობილნი) არ მოვიდოდნენ და ყველა ოჯახს არ მიუკვლევდნენ, სოფელში გარეთ ვერავინ გამოვიდოდა. მეკვლე რომ დაბრუნდებოდა ამ ოჯახიდან ხატში, გაატანდნენ ხინკლით, თაფლ-ერბოთი, მწვადით და თხილ-კაკლით გაწყობილ სუფრას. მეკვლე ხატში მიიტანდა და ეს სუფრა დაილოცებოდა დარბაზში ამ სუფრის პატრონის მიცვალებულთათვის და სჭამდნენ დასტურ-ჭევისბრები. მერე დააბამდნენ ფერჭისას დარბაზის კარში და წამოვიდოდნენ ფერჭისით სოფლისაკენ.

„წელწადში“ ექვსი დღის განმავლობაში გადაბმული იყო ერთნაირი წესით ხატობები. ყოველდღე ლუდი, ხატში მისვლა, ლხინ-მხიარულება და სხვ. სოფელიც ამ ერთი კვირის განმავლობაში მოსაკითხით მოუდიოდნენ ხატიონებს. ყველას მიქონდა ხინკალი, კეცეული და არაყი. ხატის მსახურნიც ლუდით და ხორცით უმასპინძლდებოდნენ არაყის და სუფრის მომტანს. წყალკურთხევას ხალხიც საბოლოოდ მოიტანდა მოსაკითხს ვისაც აკლდა და საღამოზე ხატის მსახურნიც გამოილოცავდნენ“.

„მათურის მთავარანგელოზის ხატს ჰქონდა ჯვართ ბოლოზე დასავლეთ მხარეს ნაყევრალები, იგივე სანადოები. სანადოებს ამუშავებდა სოფელი. იცოდნენ ნადი ლუდით. ხვნა-თესვის საქმესაც და სახატო და სხვა საქმეებსაც მართავდა თავკევისბერი. იგი წინასწარ გამოუცხადებდა სოფელს: „ამა და ამ დღეს მოხანით სანადო“. აგრეთვე მომკას და სხვა. როცა მოკვნას გამოუცხადებდა, ყველანი დანიშნულ დღეს ადრე მივიდოდნენ ჭარ-გუთნით სანადო მამულში. ხარებს გუთან მომბულს ისე დააყენებდნენ, რომ მარჯვენა ხარი კვალში ყოფილიყო: დააყენებდნენ ისე, რომ მამული დაახლოებით ერთიმეორეს თანაბარი ყოფილიყო ამა თუ იმ ჭარ-კაცის მოსახნავი.

ამ დროს თავკევისბერი ჯერ ხატში სანთელს დაანთებდა და შეახვეწებდა ყმათ და იმათ ჭარ-გუთანს და მერე მოვიდოდა ჭარნადში მოიხდიდა ქუდს, დადგებოდა მზის ამოსაკედისაკენ, დაიწერდა პირჯვარს და დაამწყალობნებდა ყმათ და ჭარ-გუთანს: „წყალობა ჩვენი სალოცავისა, წყალობა მათურელნო, წყალობა მოგცესთ ჩვენმა სალოცავმა დიდმა მთავარანგელოზმა თქვენს თავჯალაფობასა და თქვენს ჭარ-გუთანსა, ნამეტნავად გწყალობდესთ სახატო და სახალხო საქმეში თავდადებულთა, სოფელში თავმდაბალთა და ნამუსიანთა, სოფლის მტერ-ორგულთან ამაყთა, სახატო საქმეში ადრე და ხალისიანად მომსვლელთა და გვიან წამსვლელთა“. გუთნისდედები და მათი დამხმარეები ქუდმოხდილნივე იდგნენ ჭევისბრის დამწყალობნების დროს და, ის რომ დამწყალობნებას მორჩებოდა, ესენიც უპასუხებდნენ: „თქვენიცამც მწყალობელია და თქვენის თავჯალაფობისა“. მერე მოვიდოდა ჭევისბერი იმ გუთანთან, რომელიც მამულის ბო-

ლოზე იდგა და საიდანაც იწყებოდა მამულის გაკვალვა, დაიჭერდა გუთნის ჯელთ (აქ გუთანი ფშაური აჩაჩა იყო), თვითონ ამ ჯარების გუთნისდედა ჭარებს წინ გაუძღვებოდა და გაიკვალავდნენ მამულს. გაკვალვის დროს ჯევისბერი იტყოდა ხმამაღლა: „ღმერთო და ჩვენო სალოცაო მათურის მცველო მფარველო მთავარო ანგელოზო, თქვენა სწყალობდეთ მათურის თემსა, წლის მოსავალი ღალიან-ბარაქიანი მოგვარეთ, მაგათ ჭირნახულსა და კაც-საქონსა მარცხი და ზიანი მოაშორეთ". ამნაირად ერთხელ გაატარებდნენ აჩაჩას, მოაბრუნებდნენ, გამოატარებდნენ და მესამედ რომ მოაბრუნებდნენ, ჯევისბერი გუთანს გაუშვებდა და ყველანი გაიკვალავდნენ მამულს. გაკვალვისას ყველანი ხმამაღლა იტყოდნენ: „ღმერთო და ჩვენო სალოცაო, გვიშველეთ და წლის მოსავალი ღალიან-ბარაქიანი მოგვგვარეთ. მშვიდობიანი წელი დაგვიყენეთ და ჩვენს ნაშვრალ-ნამუშევარს ჯვარი დაგვიწერეთ". ასეთი სიტყვებით შეუდგებოდნენ ხვნას. ნადისათვის ლუდიც ჰქონდათ დამზადებული. მოიტანდნენ მამულში ლუდს, ერთი ჭართდარეკვის შემდეგ დაისვენებდნენ, ერთად მოგროვდებოდნენ და დალევდნენ ლუდს.

როგორც ვთქვით ხარების დასვენება ყოველთვის და ყველგან ერთნაირად იცოდნენ: მარჯვენა ხარი უნდა მდგარიყო კვალში და მარცხენა — კვალის თავზე. დასტური ჯელ-მჭარს ინათლავდა და ბეღლიდან გამოიტანდა სათესლე ქერს. მიიტანდა სანადო მამულში, ჯევისბერიც ამ დროს აქ იყო და თესლს ის თესავდა. თესლის თესვის დროს ქუდმოხდილი იყო, ქერი გუდაში ეყარა და მარცხენა მხარზე ჰქონდა დაკიდებული, მარჯვენა ხელით ამოჰქონდა და ისე თესავდა. დასტურები მოუბამდნენ ფარცხს და დაფარავდნენ. ფარვას რომ მორჩებოდნენ, ჯევისბერი დაფარულ მამულში სამ ადგილას ჯვარს გააკეთებდა, გახაზავდა მიწას შეყრილი ხელის ოითებით და იტყოდა: „ღმერთო და ჩვენო სალოცაო მთავარანგელოზო, დასწერეთ ჯვარი ამ კარისა და კაცის ნაშრომსა და მოიყვანეთ კარგი მოსავალი. თუ რამე ციდან ზიანი ეხედვებოდეს, შენ ორგულ მუხანათთ ჭირნახულზე გადაიტანე და შენ ყმათ მაშვრალ-ნამუშევარი ზარალისაგან დაიკსენი, შენი სახელის ჭირიმე ჩვენო სალოცავო". — მიწაში დაარჭობდნენ ტოტიან ჯოხს და ზედ დაკიდებდნენ ბალახის ძირებს ქერის თავთავების მსგავსად და იტყოდნენ: „ასეთ გრძელსამც თავთავს დაისხამო". ამის შემდეგ სოფელი მოხნულ მამულს თავს დაანებებდა და დაპატრონდებოდნენ დასტურები, ისინი იცავდნენ პირუტყვისაგან და სხვ. ნადის ხარებს გაუშვებდნენ და გაგზავნიდნენ შინ. თვითონ კი ხატში მივიდოდნენ და სვამდნენ ლუდს. აქვე უნდა ითქვას, რომ ერთი სასოფლო საკლავი დილითვე დაიკვლოდა ხატში და ამის ხორცს მოხარშავდნენ და ჭარგაშვების შემდეგ გუთნისდედებს გაუშლიდნენ სუფრას. ამასობაში შემოღამდებოდა და დაეთხოვებოდნენ ხატს, მოიყრიდნენ მუხლს, პირჯვარს იწერდნენ და ეხვეწებოდნენ მოსავლის კარგ მოყვანას და უცოდინარობით შეცოდებების პატიებას და წავიდ-წამოვიდოდნენ შინ. ბოლომდე რჩებოდნენ დასტურ-ჯევისბრები და მერე ისინიც წამოვიდოდნენ. ხორცთან პური იყო საწირავებისა, რომელიც ყველას მოჰქონდა. ამ ხორცის სუფრას კი შენდობას ეტყოდნენ იმ მიცვალებულთათვის, რომელნიც ერთგულნი იყვნენ სახატო და სახალხო საქმისათვის და ახლა აღარ არიან.

როგორც აღინიშნა, ამის შემდეგ დასტურები უვლიდნენ, ყანის პირა სათიბეებსაც და ყამირებსაც დასტურები ინახავდნენ და ისინი თიბდნენ. ყანა რომ სამკალად მოვიდოდა, ჯევისბერი მოიწვევდა სოფელს და დაუნიშნავდა მკის

დღეს. ხატის ყანების მკა უფრო ხშირ შემთხვევაში შაბათობით იცოდნენ. შაბათს დილით მოვიდოდა ხალხი და დაიწყებდნენ მკას. აქ მკა ყოველთვის ნამგლით იცოდნენ (ხევსურეთში ხშირ შემთხვევაში ხელით, უნამგლოდ მკიან ყანებს, გარდა სვილისა), ზოგნი მკიდნენ და ზოგნი კონავდნენ. დასტურ-ქევისბრები კი ხატში მოვიდოდნენ, სანთელს მაანთებდნენ, საკლავს დაკლავდნენ და ყოველივე ამის შესრულების დროს ახვეწებდნენ მათურის თემს მთავარანგელოზის ყმათ. საკლავის ხორცს მოსახარშად გაამზადებდნენ ხატიონნი. მერე წამოიღებდნენ ნადში, დადგამდნენ ლუდიან კოკას და ყველა მომკლებს მოიწვევდნენ ლუდთან. კარგა ხანს დაისვენებდნენ და დალევდნენ. მერე ერთბაშად შეუდგებოდნენ მკას. მკაში ქალებიც ღებულობდნენ მონაწილობას, უფრო მომკილი ძნის მკონავებად, ისეთი ქალები, რომელთაც ბოსლიდან (ბოსელი ფშავლურია და სამრელო ხევსურული) შემოსვლის შემდეგ სამი დღე უკვე გათავებული ჰქონდათ და მეოთხე დღეზე იყვნენ გადასული, ანდა მოახლოებული არ იყო მათი ბოსელში გასვლის დრო. ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს მომკლები და მკონავები. თუ ხელეულები მეტი დაგროვდებოდა და მკონავები (მათ დაკონვას) ვერ ასწრებდნენ, მომკლები დაიწყებდნენ დაცინვით მღერას „დაბევრდა ჭელეულები, აღარა კონეულები". თუ ჭელეულები აღარ იყო და მკონავები ასწრებდნენ, ახლა მკონავები უმღეროდნენ და დასცინოდნენ „დაბევრდა კონეულები, აღარა ჭელეულებიო".

სამკალს რომ გაათავებდნენ, ძნის დაქუჩებას მიეშველებოდნენ დასტურებს და „წერაად" ააგებდნენ. წერა იყო ხუთი ძნა: ძირებით მიწაზე დააყუდებდნენ და თავთავები ერთმანეთზე იყო მიყრდნობილი ოთხი ძნისა, მეხუთე ძნას გადასტეხდნენ და თავთავებს ზემოდან წამოაფარებდნენ, რომ თუ წვიმა მოვიდოდა, ის ძნა დაიფარავდა სხვა ძნების თავთავებს დასველებისაგან. ძნა იცოდნენ ერთი ხელეულისა, რამდენსაც მკის დროს კაცი მარცხენა ხელში მოათავსებდა მომკილ ყანას. წერაად აგებდნენ იმიტომ, რომ ასე დაყუდებული სინედლისაგან ადვილად გამოშრებოდა და მერე დასტურები გადასჭუთლავებდნენ ერთი კვირის შემდეგ, თუ გამოშრებოდა — უფრო ადრე და თუ უდარობა იყო — უფრო გვიანაც. ჭუთულა თვლით არ იყო, რამდენიმე წერას მიიტანდნენ ერთად და ერთ ძნას დასდგამდნენ დაახლოებით სამი ან ოთხი ტვირთის გამომავალს. მერე როცა ძნის მოტანის დრო იქნებოდა, ისევ მიეშველებოდნენ, შეაბამდნენ ხარს და მარხილით მიათრევდნენ.

სოფლის კაცი ხატის კალოზე ვერ გაივლიდა, კალოსთან ახლო მიიტანდნენ ძნას და იქიდან კალოზე ხატის დასტურ-მსახურთ გადაჰქონდათ და მუჭლის ძნებს დგამდნენ ხატის კალოს გვერდზე (მუჭლის ძნას უწოდებდნენ ფშავლები დიდ ძირს ძნისას, რომელზედაც ერთი კაცი ზედ იდგა, მეორე ძნას აწვდიდა, და ვინც ზედ იდგა, ის აგებდა (ასეთ ძნას ხევსურულად „სერკვი" ჰქვიან). შემოდგომაზე დაზამთრების პირზე, დასტურები ჭელმჭარს ინათლავდნენ და გალეწავდნენ ძნას. ხატის ძნის ლეწვაში ისეთი ფეხსაცმელი უნდა ჩაეცვათ, რომლითაც სხვაგან არ ევლოთ. თუ სადმე კალოდან შორს გავლა დასჭირდებოდათ, იმ ფეხსაცმელს გაიხდიდნენ, იქ დააწყობდნენ კალოსთან და გარეთ სასიარულო ფეხსაცმელს ჩაიცვამდნენ, როცა მოვიდოდნენ ისევ კალოზე, სახმარ ფეხსაცმელს გამოიცვლიდნენ და იმით მუშაობდნენ კალოზე. ჭელმჭარნანათლი და წმიდად მყოფი დასტურები პურსაც თვითონ ყრიდნენ ბეღელში. ლეწვის დროს ჭევისბერი ყოველ დილა-საღამოს მივიდოდა და სანთელს ანთებდა ხატში, სა-

კალოს ირგვ მორჩებოდნენ, ჩალა დასტურებს მიჰქონდა, ღალა ჩაყრილი ბეღელი დაიკეტებოდა და გასაღები დასტურთ ხელში იყო.

ფ უ ტ კ ა რ ი თავისი ჰყავდა მთავარანგელოზს, იმას დასტურები უვლიდნენ და თევის კვირასა და წელწადში იყენებდნენ თაფლს და ხანდახან ზედაშედაც აკეთებდნენ თაფლწყალს, როცა ლუდი არ ჰქონდათ. არყი არ შეიძლებოდა ზედაშედ. ე. ი. ხატის გასადიდებლად. თუ არც ლუდი ჰქონდათ, არც თაფლი, არც ღვინო, მაშინ პურის „გურგოლას" (პურის გულის რგოლებს) ჩაყრიდნენ წყალში და იმას ხმარობდნენ ზედაშედ".

„ათენგენას მთავარანგელოზის მლოცავნი ავიდოდნენ ს ა ყ ა ჭ ი ს ს ვ ე ტ ი ს ა ნ გ ე ლ ო ზ ი ს ხ ა ტ შ ი (საყაჭე ადგილის სახელია.) ამ მაღალ მთაზე კ ო შ კ ი კიდევ უფრო მაღლა გორაკზე იდგა. მის ბოლოზე კარგა მოზრდილი, ბალახიანი მ ო ე დ ა ნ ი იყო და ხალხი აქ ბინავდებოდა. ათენგენას დღეობა პირველად აქ იწყებოდა.

ხუთშაბათ დღეს მთავარანგელოზის დროშას ააბამდნენ, ლუდის კოდს გახსნიდნენ, ჩაასხამდნენ ტიკებში და დროშის წინამძღოლობით გაემართებოდნენ საყაჭის წვერისაკენ. საყაჭეზე მისულები ცოტას დაისვენებდნენ და შემდეგ შეუდგებოდნენ საკლავების დაკვლას. ქვაბები თავ-თავისთვის მათურიდან ჰქონდათ წამოღებული და შეშად დეკას ხმარობდნენ, რადგან ამ მთაზე ტყე არ არის. დროშას მიაბრძანებდნენ დროშის საბრძანად აშენებულ კოშკზე და საკლავეც აქვე იყო და სასანთლეც. იკვლოდა სასოფლო ბატკანი. ამ ბატკნის შემდეგ უნდა დაეკლათ ერთი თიკანი, რომელსაც კევისბერი მარცხენა ჭელით გამოსჭრიდა ყელს. იქვე დიდი ქარაფი კლდე იყო და ჭელუკუღმე იქ გადააგდებდა. თიკანი იქ გაუტყავებელი დარჩებოდა, როგორც ეშმაკთად შეწირული. იქვე კლავდნენ ცხვრის ნათავარს ბატკანს, ე. ი. დოლის თავს, რომელიც ფარაში პირველად გაჩნდებოდა.

სანთლის მონთების და საკლავების დაკვლის დროს მედროშეს დროშა წინ ეყუდა. ნელ-ნელა აქეთ-იქით აქანებდა და ზარს აწკრიალებდა. კევისბერი, თავის მოვალეობას ასრულებდა, იკვლებოდა საკლავები, ტყავდებოდა და პატრონები შეუდგებოდნენ ხორცის მოხარშვას.

იმავე ათენგენას მლოცავნი, საყაჭიას სვეტიდან მთავარანგელოზის ხატში ჩამოსულნი, ორშაბათს ისევ მოემზადებოდნენ მთაზე წასასვლელად, ამჯერად მიქელის სახელობის ეკლესიის სალოცავში. ეს ნაგებობა ნამდვილ ეკლესიას გავდა, მაგრამ ძალიან პატარა იყო. მას საზარე ჰქონდა, რომელშიც ზარი ეკიდა. აქ იმართებოდა დიდი საუკეთესო მხედრების მონაწილეობით. ასვლისთანავე მხედრები შეუდგებოდნენ ცხენების მომზადებას. მოუჭერდნენ უნაგირს გარსაკრებს, გაიხდიდნენ ქალბნებს და წინდიანები, უქუდო-უსარტყლოები დადგებოდნენ ცხენების გვერდზე. თავჭევისბერი საზარისაკენ გაემართებოდა, ამ დროს მხედრები სწრაფად ცხენებზე შესხდებოდნენ და მწკრივად დადგებოდნენ პირაღმოსავლეთისაკენ. მედროშე ზართან დიდის მოკრძალებით მივიდოდა, ჯერ „მუხლზე დაჯდებოდა", დაიწერდა პირჯვარს და იტყოდა:

„დიდიო ბატონო მიქელ ეკლესიის ძალაო, შენ გევედრები, შემინდევ, რომ მე შენ წმინდა ადგილზე ზარ-საზარესთან ულირსი ჯორციელი მოვდივარ. ბევრ რამეს გცოდავ ჩემის ჯორციელობითა და უვიცობითა და შენ დიდი ხარ ხვთისნასახი და მაპატიე, მიშველე. უშველე შენთ ყმათაცა მათურელთა. დაიკსენ ისინი

ყველა მწარე საქმისა და საგნისაგანა. უშველე მკედართაცა, დღეს დაწესებული წესის შამსრულებელთა და ნურა მარცხსა და ზიანს მიაყენებ. დიდებულო მიქეელ ეკლესიის ძალაო, შეგიძლია, თუ რამე მარცხი და ზიანი ეხედვებოდეს, შენ ორგულ მუხანათთაზე გადაიტანო, შენის სახელისა და ძალის ჭირიმე", ამ ლოცავა-შეძახილს რომ დაამთავრებდა, ადგებოდა და სამჯერ ზარს შემოჰკრავდა. ყველა დარეკვაზე პირჯვარს დაიწერდა და ახვეწებდა მკედართ. მესამედ რომ ჩამორეკდა ზარს, ცხენებს გააჭენებდნენ აღმოსავლეთისაკენ. მწკრივზე იდგნენ ამ პატარა ეკლესიის წინ. იქ აღმოსავლეთ მხარეს ადგილი იყო დანიშნული პატარა კოშკით და იქ ყველანი ჩამოვიდოდნენ ცხენებიდან და დადგებოდნენ ახლა პირით ხატისაკენ. ჭევისბერი გახყურებდა და როცა ყველანი მიიკრიფებოდნენ და შეისვენებდნენ, მერე ის გაიმეორებდა ზარის დარეკას. პირველად რომ დარეკდა, ცხენებზე შესხდებოდნენ, მეორედ დარეკაზე გამწკრივდებოდნენ და მესამეზე — გამოაჭენებდნენ რაც ძალი და ღონე ჰქონდათ. ისინი რომ გაშორბოდნენ, ხევისბერი იმათ მოსვლამდინ გამუდმებულად რეკდა ზარს და ამწყალობნებდა მკედრებს, რომ არ დაზიანებულიყვნენ.

მოსულებს ხალხი შეეგებებოდა და კიჟინით გამარჯვებას ეუბნებოდნენ ცხენ-მკედრებს. როცა უკანასკნელი ცხენიც მოვიდოდა და მკედარი ცხენიდან ჩამოხტებოდა, ჭევისბერიც შეაჩერებდა ზარის რეკას და კიდევ დაამწყალობნებდა. მერე მუხლს მოიყრიდა, საზარეს აკოცებდა და წამოვიდოდა უკან. მოვიდოდა მკედრებთან და წინ მოსულ ცხენ-მკედარს მოულოცავდა გამარჯვებას და სამ თუნგ ლუდს დაუსხამდა საკუთრად მას. დაასხმენ თასში ლუდს და ჭევისბერი დალოცავს, შენდობას იტყვის იმ მკედრებისათვის, ვინც წინათ აქ ყოფილან დოღში და ახლა აღარ არიან. ასეთ შესანდობარს აქვე ყველანი დალევდნენ, მერე მხედრები ცალკე დასხდებოდნენ, თუ ვინმეს სურდა, სხვებსაც მიიპატიჟებდნენ.

სამშაბათ დილას ჭევისბერი დარეკდა ზარს და მთელი მლოცავი ზარის ქმაზე ფეხზე ადგებოდა, კაცი და დედაკაცი ყველა პირჯვარს იწერდა და ეხვეწებოდნენ მთავარანგელოზს. შუადღის დროს, როცა აქ ყველა წესი შესრულდებოდა, მედროშე დროშას ააბძანებდა და ერთ ადგილას ეკლესიის წინ შუა მოედანზე გაჩერდებოდა დროშით. ხალხი დააბამდა ფერჯისას, ფერჯისის სიმღერით უვლიდნენ გარშემო დროშას. ჭევისბერი დროშას აწკარუნებდა, ერთი კაცი კიდევ სხვა იდგა ფერჯისის შუაში და მომღერლებს ლუდს ასმევდა იმის შესანდობრად, ვის სახელზეც სიმღერას მღეროდნენ. სიმღერა რომ მოთავდებოდა, ფერჯისა დაიშლებოდა, მედროშე მხარზე დროშას გაიდებდა, წინ გამოუძღვებოდა ხალხს და ჩამოვიდოდნენ ბარში.

აქ მათურის ჭევზე იყო მ ა რ ი ა მ წ მ ი დ ი ს ხ ა ტ ი და ამ ხატში ჩამოვიდოდა მლოცავიც და დროშაც. დროშას დააბრძანებდნენ. სოფელი სასოფლო საკლავს აქ არ კლავდა. დედაკაცებს მოჰქონდათ ქადა-საწირნი და სადიდებულო; საკლავებიც იმისი იკვლოდა, ვისაც შეთქმული ჰქონდა.

აქაც ფერჯისას დააბამდნენ და მღეროდნენ საგმირო საფერჯისო სიმღერებს. ფერჯისა რომ დაიშლებოდა, ჭევისბერი დროშით წინ გაუძღვებოდა ხალხს, მლოცავებს და წამოვიდოდნენ მთავარანგელოზში".

გარდა მთავარი ხატისა, მათურლებს ჰყავდათ მეორეხარისხოვანი სალოცავები, რომლებიც ერთიანად ყველა გვარის სალოცავები იყვნენ და რომელთაც

მთავარანგელოზის დასტურ-ჯევისბრები ემსახურებოდნენ. ღვთისმშობელი აქ სამ-ოთხ ადგილას იყო.

მთავარანგელოზის ახლოს ერთი ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ე ლ ი ა, სადაც პატარა კ ვ რ ი ვ ი და კვრივთან ერთი იფნი იდგა. ამ ხატს სხვა არაფერი (შდრ. გვ. 120) გააჩნდა.

ღვთისმშობელი კიდევ არყოვნის თავსაც იყო, სადაც მარტო კვრივი იდგა. არყოვნის თავი, გამოღმა, მათურის ზემოთ არის. აქ დღეობებიდან მარტო ათენგენობა იცოდნენ.

მარიამ წმიდის ანუ მარიამ დედოფლის ადგილისდედის ხატი მათურის ხევზე იყო. აქ ფშავის არაგვის სათავეა და პატარა მდინარე მოედინება, რომელსაც მათურულა ეწოდება.

მათურაში იყო განსაკუთრებული წესი ხატში რძლის გაყვანისა. სხვა ხატებში და სოფლებში არ იყო საამისოდ დანიშნული ცალკე ხატობა, რომელიც უნდა ხატობა ყოფილიყო (რძლებს ხატში) მაშინ გაიყვანდნენ.

მათურაში კი ამისათვის ერთი დღე იყო დანიშნული.

„ათენგენას რომ საყაჟის წვერიდან მარიამ წმიდაში ჩამოვიდოდნენ, მთავარანგელოზის ხატის დროშას მიაბძანებდნენ თავის კუთვნილ ადგილზე. ამ დროს პატარძლები და პატარა ქალები გასაყვანად აქ ელოდებოდნენ.

სხვა სახატო წესის შესრულების შემდეგ, ჯევისბერი — იგივე მედროშე, დროშას ააბძანებდა და მოვიდოდა წყლის პირზე, დაჯდებოდა ქვაზე და ააწკარუნებდა დროშას. პატარძალს დროშასთან ახლო წყალში ჩააყენებდა ვინმე მოხუცი დედაკაცი. ხევისბერი-მედროშე იტყოდა: „დალოცვილო მარიამ წმიდაო ხთიშობელო, შენ გევედრებით შენნი საყმოსნი კაცნიცა და დედაკაცნიცა, შენ უშველე (რძლის სახელს იტყოდა) შენს კარზე მოსულ რძალსა, შენ აბედიანე და ნუ შაანებ შენს კარზე თავის წესით მოსვლასა და ხვეწნა-ვედრებას. ჩაუდევ წილი შენთ ყმათაში წულითა და წულის აკავნითა, შენთვის თავის წესი არ დაუყრავ და შენს წყალობას ნუ დააკლებ, შენი სახელის ჭირიმე“. ჯევისბერი როცა ლოცვას დაამთავრებდა, ახლა მოხუცი დედაკაცი დაუწყებდა ვედრებას ამავე ღვთისმშობელს, თხოვდა პატარძლის ბედიანობას, წულის ა კ ა ვ ნ ი ა ნ ობ ა ს და სხვა, სამჯერ ჩააწვენდა წყალში და გამოიყვანდა წყლის პირზე. ჯევისბერი დროშას ააბრძანებდა, კიდევ დაამწყალობნებდა და მიაბრძანებდა დროშას თავის საბრძანისში“.

„მათურჯევს წმიდა მარიამ დედუფალს ადგილისდედას უძველეს დროს ყავდა თავისი დასტურ-ჯევისბრები. ბოლოს იქაც აღარა ყავდა ასეთები. უკანასკნელად ქისტები თურმე დაეცნენ წელწად ღამეს, დასტურ-ჯევისბერები დახოცეს და თას-განძი წაუღიათ. ეს მომხდარა ისეთ უთოვლობის წელს, რომ წელწადში კიდევ მთაზე გადმოსასვლელი გზა შეკრული არ ყოფილა. დარბაზში მსხდარან თავისუფლად, რადგან აქ ზამთარში მტრის შიში არ იყო, მაგრამ, როგორც ვთქვით, მტრის გადმოსვლას ამინდმა შეუწყო ხელი და ზემოხსენებული დაცემა მოხდა. ამის შემდეგ იქ საკუთარი დასტურ-ჯევისბრები უკვე აღარა ყავდათ და იქაც მთავარანგელოზის ჯევისბერები და დასტურები ემსახურებოდნენ. მარიამ წმიდა დედოფლის სალოცავი ისეთ ვიწრო და სოფლიდან დაშორებულ ადგილზეა, რომ იქ მომხდარ ამბავს სოფელი მეორე დღემდე ვერ გაიგებდა. ამიტომ იყო იქ საშიში ხალხისა და თას-განძის ყოფნა“.

„ვაჟის გაყვანა ხდებოდა მისი მამის მთავარ სალოცავში, ე. ი. სათემო სა-

ლოცავში. პირველად გასაყვან წულს მიაყოლებდნენ წულის ფულს, ვერცხლის ერთი მანეთიდან სამ მანეთამდე, ერთ-საკლავს, სანთელს, ქადას და სასმელს. ჭევისბერი ახალშემომატებული წულის სამხვეწროდ ჯერ საკლავს დაკლავდა. ამ დროს ბავშვი ვისმე თავისიანს ეჭირა ხელში მზის ამოსაკედისაკენ. ჭევისბერი რომ დიდებათ დაამთავრებდა, საკლავს დაკლავდა და ამწყალობნებდა ახალშემომატებულ წულს. მერე სანთელს აანთებდა წულისავე სამწყალობნოდ და დააკრავდა სასანთლეში, მოვიდოდა დროშასთან ახლო (ეს ყველა დღეობაში შეიძლებოდა როცა დროშა გარეთ იყო), მიიყვანდა ბავშვსაც, წულის ფულს და ბავშვს ორივეს ხელში დაიჭერდა, სამჯერ აიყვანდა წულს მაღლა და სამჯერ დაბლა დაუშვებდა. სამჯერვე მიწაზე მუხლით დასვამდა. რამდენადაც მოახერხებდა მის მუხლებზე დასმას, და იტყოდა: „დალოცვილო ჩვენო სალოცავო, შენთ საყმოთ შემოემატა ეს წული (სახელი წულისა), შენ იყმე და გაზარდე, გამოიყვანე კარგი კაცი, იმსახურე სხვათ ყმათთან ერთადა, გამოიყვანე ბედიან-იღბლიანი, ნუვის თვალსა და გულს მორევ. შენდ წესი არ დაუყრავ და შენს წყალობას ნუ დააკლებ, შენი სახელის ჭირიმე“. ამ ლოცვის შემდეგ ბავშვს გადასცემდა მისიანებს და ფული წულისა მას რჩებოდა. ბავშვის პატრონი ახალი წულის სადღეგრძელოს თავისი არაყიდან ყველას დაალევინებდა. ქადასაც დასჭრიდნენ და ყველა იქ მყოფებზე დაარიგებდნენ ნაჭრებს. საკლავის ტყავმჭარი ხატის მსახურთ რჩებოდა და დანარჩენი ხორცი შინ მიჰქონდა წულის პატრონს“.

„ქ რ ი ს ტ ე ც ერთ დღეს არის ხატობა. დილით ხატში მივიდოდნენ ჭევისბრები, დასტურნი მუდმივად ხატში იყვნენ და ყველანი თავ-თავის საქმეს მოაწესრიგებდნენ. ლუდის გახსნის შემდეგ ადიდებდნენ მთავარანგელოზს, დროშას მედროშე დაამზადებდა დარეკდნენ ზარსაც.

ზარის ხმაზე სოფლელები სოფელში ფეხზე ადგებოდნენ, პირჯვარს დაიწერდნენ და იტყოდნენ: „დიდება ძალსა შენსა დიდო მთავარანგელოზო, შენ უშველე შენთ ყმათა“. სოფელში ყველა ადრე ადგებოდა ხინკლისათვის ხორცს დაჭკეფდა და შეუდგებოდა ხინკლის კეთებას. ყველა ცდილობდა, რომ ერთიმეორეზე კარგი ხინკალი გაეკეთებინა და სხვაზე ადრეც მიეტანა ხატში დასტურ-ჭევისბერებისათვის.

ზარის დარეკის შემდეგ სოფლელები დაიწყებდნენ მოდენას მოსაკითხი. როგორც ვთქვით, ყველას მოჰქონდა მოხარშული ხინკალი და არაყი. თუ ოჯახში კაცი იყო — კაცი მოიტანდა, თუ ქალი იყო და კაცი არ ჰყავდა — ქალებიც მოიტანდნენ. ხატის მსახურნი მოსულს მიეგებებოდნენ და ეტყოდნენ: „წყალობა ხატისა“. ისიც უპასუხებდა: „თქვენისამც მწყალობელია“. ჩამოართმევდნენ ხინკალს და არაყს და შეიტანდნენ ხატში. ქალი რომ მოსაკითხს მოიტანდა, ხატში ვერ დაუძახებდა. ამიტომ ხატის მსახურნი თვალყურით იყვნენ, რომ ქალს არ დასჭირებოდა სიცივეში დიდხანს გაჩერება. მოტანილ ხინკალს ერთ-ერთი ჭევისბერი სახელს შაზდებდა ხინკლის მომტანის მიცვალებულთათვის და უპატრონო მკვდრებისათვის — ვინც შენდობას მოელოდებოდეს და ვერა ვგონობდეთო“, იტყოდა ჭევისბერი, ჭამდნენ ხინკალს, არაყსაც დალევდნენ და, რაც ხინკალი დარჩებოდა, ისევ უბრუნებდნენ პატრონს იმავე სუფრით, რითაც მოიტანა. არაყი თუ ვერ დალიეს, იქ ხატში ჩაასხამდნენ ჭურჭელში და არაყის ჭურჭელს ლუდით უვსებდნენ. სუფრის მომტანსაც ლუდს დაალევინებდნენ და

გაისტუმრებდნენ. ამის შემდეგ დაკლავდნენ სასოფლო საკლავს. ხატობა იყო ერთ დღეს და საღამოზე წავიდ-წამოვიდოდა ხალხი.

აქამდინ, ქრისტემდე მთავარანგელოზის ხატში მარტო დასტურნი იყვნენ, ახლა კი ჭევისბრებიც ხატში რჩებოდნენ წელწადგადაყრამდინ. დარბაზის კარებს დახურავდნენ და ჭევისბერებიც ცხოვრობდნენ დასტურებთან სადასტუროში. თუ ბევრნი იყვნენ და ადგილი არ იქნებოდა საკმარი, იმ შემთხვევაში სალუდეში დაანთებდნენ ცეცხლს. სოფელი რიგრიგობით უზიდავდა მოსაკითხს სადილ-ვახშმად. თითო ხელადა არაყს, ან ხინკალს, ან კეცეულს, ან ხორცს, თუ ჰქონდათ თაფლსაც მიუტანდნენ. ფუტკარი თავისიც ჰყავდა მთავარანგელოზს, რასაც დასტურები უელიდნენ და თევის კვირასა და წელწადში იყენებდნენ თაფლს და ხანდახან ზედაშედაც აკეთებდნენ თაფლწყალს, როცა ლუდი არ ჰქონდათ. ისინიც ნაქრისტალი ლუდით და ხორცით სცემდნენ პატივს მოსაკითხის მომტანს.

ამ თევის კვირას ერთთავად სმა იყო ხატში. ქრისტეში შემოსული ხორცის ნაწილი ჰქონდათ ხატიონებს შენახული. ამ ხორცს ყოველდღე ხარშავდნენ, სუფრას გამართავდნენ და ყოველდღე შენდობას ეუბნებოდნენ უპატრონო მკვდრებს და ძველ ჭევისბერებს „რომლებიც იყვნენ და აღარ არიან“. ასე გაივლიდა თევის კვირა. ლიტანიის წინა საღამოს იყვნენ თევანი.

ჯორცის შაბათს დილით ხატის მსახურნი მოვიდოდნენ ადრიანად. ლუდი დაეზადებული ჰქონდათ წინასწარ (ხოლო), რომ მოვლენ, ყველაფერს მოემზადებდნენ სოფლის მოსვლამდინ. მერე მოვიდოდა სოფელიც და მოიყვანდა სასოფლო საკლავს. სასოფლო საკლავს რომ დაკლავდნენ, იმის სისხლს სასისხლეში ჩააყენებდნენ. შაკონავდნენ სამს თოვლის კომიჭს (შეკრავდნენ თოვლის გუნდებს), შაღებავდნენ სისხლით წითლად და ჭევისბერი ამ კომიჭებს მიარტყამდა გალავნის გარედან გალავნის შიგნით მდგომ კოშკს (კვრივს). აქ ორი კვრივი იდგა და გარშემო გალავანი ჰქონდა შემორტყმული. ეს თოვლის კომიჭები უნდა მიერტყა ბოლოში მდგომი კვრივისათვის, რომელიც გალავანთან უფრო ახლო იყო. კომიჭის მირტყმის დროს ახვეწებდა მათურის თემს. თითოს მირტყმაზე პირჯვარს დაიწერდა და იტყოდა: „მათურის მთავარო ანგელოზო, უშველე მათურის თემსა, ბევრი ჯორცის შაბათი მშვიდობისა ალოცვინე შენთ ყმათა, შენის ძალისა და სახელის ჭირიმე“. ამ ხატობაში ჭევისბერიც ერთი საკლავით ჭელმკარს ინათლავდა. მის ხორცს სახლში გაგზავნიდა, ხოლო სასოფლო საკლავის ხორცს მოხარშავდნენ და (ის) სოფელს დაურიგდებოდა“.

„ყველაფერი არის ხორცის შაბათის სწორ შაბათს, დიდი მარხვის შემოსვლის წინა ღღეს. ამ ღღეს ჭევისბრები და დასტურები მივიდოდნენ ხატში და ანთებდნენ სანთელს, ლუდი ჰქონდათ შენახული ხორცის შაბათიდან. ყველიერის შაბათს ლუდი არ მზადდებოდა, შენახული ლუდით ადიდებდნენ ხატსაც და შენდობასაც ამაზე ეუბნებოდნენ. ლუდსაც გახსნიდნენ და ადიდებდნენ თავის სალოცავს, მერე დალოცავდნენ სოფლის მიცვალებულთ. მოვიდოდა სოფლის ხალხიც. ხნიერი ხალხი დაღამებამდინ აქ იქნებოდა. ახალგაზრდები ბ ე რ ა კ ა-ში წასასვლელად მოემზადებოდნენ. მოამზადებდნენ ერთ ბ ე რ ა კ ა ს და ერთ პ ა პ ა ს.

საღამომდინ მხიარულობდნენ და შემოღამებაზე დაიშლებოდნენ ხატიდანაც ხალხს მსახურნი გამოილოცავდნენ და წამოვიდოდნენ. წამომსვლელნი დასტურთ გარდა“.

„ხატობა კვირისჯვრობა იყო აკვსების (აღდგომის) სწორს კვირას. ამ დღისათვის მზადდებოდა ლუდი. კვირას დილით მოვიდოდნენ ქევისბრები ხატში: დასტურნი მუდამ იქ, სადასტუროში ცხოვრობდნენ. ყველამ იცოდა თავისი საქმე და სოფლის მოსვლამდინ წესრიგში მოიყვანდნენ ყველაფერს.

ქევისბრები სოფლის მოსვლის შემდეგ, ყველა აჩქარებდა თავის საქმეს. წამოაყენებდნენ სასოფლო საკლავს და კურეტს. წამოაყენებდნენ სასაკლაოში და ქევისბერი შეუსახელებდა წყაროსთაულს. ახვეწებდნენ ყმათ, კურეტს დაკლავდნენ, გაატყავებდნენ და ხორცს სოფელი გაიყოფდა. ტყავიც სოფელს უნაწილდებოდა შოლტებად (ეს კურეტი ნაყიდი იყო სოფლის ფასით). თავი და კურეტის მხარი ხატის მსახურთ რჩებოდა. სასოფლო საკლავის ხორცი კი მოიხარშებოდა და სოფლელებს დაურიგდებოდა ხელზე.“

„კვირისჯვრობის სწორს კვირას არის ჭაჭმატიონთ დღეობა. ლუდს მოამზადებდნენ დასტურნი და აფუვლებდნენ სალუდეში. სოფელი მოიყვანდა ერთს სასოფლო თიკანს (თიკანზე საკლავი არ ითქმება, საკლავი არის: ცხვარი, ბატკანი, ბედილა, მაწოვარი ხბოც საკლავად ითვლებოდა). თიკნის ხორცი მოიხარშებოდა, სუფრა გაკეთდებოდა, ჭაჭმატის ჯვარის ძველი ქევისბრებისათვის „შასდებდნენ სახელს“, რომლებიც ახლა ცოცხლები აღარ არიან“. ამნაირად ერთ დღეს გრძელდებოდა საღამომდინ სმა და მხიარულება და საღამოზე გამოილოცავდნენ“ (M[1], 83, რვ. 35, გვ. გვ. 429; 429—430; რვ. 36, გვ. გვ. 431—434; 434—437; 437—440; 441—442; 442; რვ. 37, გვ. გვ. 443; 443, 444—446, 447, 450; 450—451, 454; რვ. 38, გვ. გვ. 456; 457; 458; 465; 466; 458; 459; 460—464, 465; 466; რვ. 39, გვ. გვ. 467—468; 470—471).

VII. ბაბიდაურთ თემი

ა) სახუთმეტო ძელისანგელოზის სათემო ხატი (სოფ. ხოშარა)

ვინაიდან ეს ხატი ხოშარაშია, მას ხოშარის სახუთმეტო ძელისანგელოზსაც უწოდებენ. ხოშარის წმინდა გიორგის ხატი მდებარეობს ზღვის დონიდან 1595 მეტრის სიმაღლეზე და მოიცავდა ნაყევრალების ჩათვლით 10 ჰა ფართობს.

სახუთმეტო ძელისანგელოზის ხატის კომპლექსში შედის შემდეგი ობიექტები: საზარე, დარბაზი, სასანთლე, დაფარებული საჯარე, გაურკვეველი ფუნქციის მქონე სამი თვალი ნაგებობა, ნაგებობის ნაშალი, ქვისაგან აგებული გრძელი სკამი, საბერო გალავნით, ისევ ჩაქცეული ნაგებობანი, ღია საჯარე, საკურთხეველი, რომელსაც იმედა ხოშურაულმა უწოდა ტახტი და განმარტა — ტახტსაც ვეძახით და ქადა-პურის გასაჭრელსაც, სახუთმეტოს კვრივი, ახალი სადასტურო, სამანი, საკოდე — ნაშალი, მეორე საკურთხეველი სასაკლავე, „დეკანოზის წყალი“, საზარე და სასანთლე კოშკის კარზე, სადასტურო — საზიარო ძელისანგელოზის და თამარ მეფის ხატებისა, ბეღელი — საზიარო ძელისანგელოზისა და თამარ მეფისა, კალო — საზიარო ძელისანგელოზისა და თამარ მეფისა, კვრივი.

ხოშარის ძელის ხატის სამთო სალოცავი იყო მთის წვერზე — სამება „იქ პეტრე-პავლობას მიყავთ ბალღები „მისაბარებლათ“, სანამ გაიყვანდნენ, ისინი მონათლული უნდა ყოფილიყვნენ“.

ამ ხატის დაფარებული საჯარე, საზარე და დარბაზი მდებარეობს მთის

დავაკებაზე სოფლიდან აღმოსავლეთით. ამავე ხაზზე დასავლეთიდან-აღმოსავლეთის მიმართულებით სამთვლიანი შენობაა.

დარბაზი (ტაბ. 117) წარმოადგენს სწორკუთხა ფორმის ნაგებობის ნაშთს; შემონახულია მისი ორი კედელი, ჩრდილოეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთისა; ჩრდილო-აღმოსავლეთის კედელში კარია გაჭრილი მეორე თვალში (სასანთლე?) გასასვლელი, პირველი თვალის აღმოსავლეთის კედელი მეორე თვალის კედელს წარმოადგენს; აღმოსავლეთით მესამე თვალის კედლის ნაშთებია დარჩენილი და ასევეა სამხრეთ მხარეზეც.

სასანთლეში შესასვლელი კარი სამხრეთის მხრიდანაა. მესამე თვალი აგრეთვე სწორკუთხა ფორმის შენობაა მაღალი კედლებით, ჩრდილოეთის კედელში ნიშია დატანებული; შესავალი სამხრეთის მხრიდანაა; შუა ადგილზე კულას მსგავსადაა ქვის წყობა, აღმოსავლეთის კედლიდან გამოშვებულია ფიქალის საჯდომები, ასეთივე ქვის სკამები ჩრდილოეთის კედელთანაცაა. სამხრეთ-აღმოსავლეთის კედლის კუთხეში ირმის რქებია დაწყობილი. მესამე თვალი უკავშირდება აღმოსავლეთის კედელში დატანებული შესავლით პატარა სწორკუთხა ფორმის ნაგებობას, რომელსაც სხვა გამოსავალი კარი არ უჩანს. მეოთხე თვალს ჩრდილოეთის მხრიდან აქვს კარი მეხუთე ნაგებობაში შესასვლელად, რომელიც მესამე და მეოთხე ნაგებობას აკრავს ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან. მეხუთე თვალი წარმოადგენს გრძელი ოთხკუთხა ფორმის ნაგებობას უსწორო ჩრდილოეთის კედლით. მესამე და მეხუთე თვალს აკავშირებს საერთო, უჩვეულოდ სქელი კედელი. მეხუთე თვალის ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლები ცენტრისაკენ აზიდულია, რაც როგორც ვიცით, იმაზე მიუთითებს, რომ შენობა ორფერდა სახურავიანი იყო. შენობაში მრავლადაა ამოსული ხეები და სხვა მცენარეები. მეოთხე და მესამე ნაგებობაში მოჩანს ჩაქცეული ჭერის, კერძოდ ნიენიების ნაშთი, გადახურვის ფიქალი ქვების ფენიდან. ჩამოთვლილ შენობათა კომპლექსი გარშემორტყმულია ბებერი და ახალგაზრდა იფნის ხეებით.

რამდენიმე ნაბიჯზე მდებარეობს ცალკე ერთი თვალი ნაგებობა — საბერო (ტაბ. 108), საკმაოდ კარგად შემონახული, მცირე ზომის, მიწაში ჩაფლული კედლებით. მესამე თვალის სამხრეთის კედელთან, გარეთა მხრიდან ქვის მოგრძო საჯდომებია გამართული. აქ მდგომ ბებერი იფნის ტოტებზე ჩამოკიდებულია თეთრი საკადრისები.

ცალკე მდებარე პატარა ნაგებობა — საბერო, შემოზღუდულია ყორის გალავნით და დაჩრდილული იფნის ხეებით, რომლებზედაც საკადრისებია ჩამოკიდებული, აქვეა გეგმაში მოგრძო სწორკუთხედი ნაგებობა, ვიწრო კარითა და სქელი კედლებით (კედლები მიწაშია) ხუთსიპერდიანი ორფერდა სახურავით; მის თავზე მთის ბროლის ქვებია დალაგებული. სამხრეთის ფასადის წარკვნა მხარეს წინ გამოზიდული ბრტყელი ფიქალის ქვაა, თარო, უთუოდ ოსების დასადგმელად. შენობის დასავლეთის მხარეს მშრალად ნაგები შენობაა ნაწილობრივ ჩაქცეული, ფასადის წინ დატკეპნილი ადგილია. აღმოსავლეთ მხარეს, გალავანს შიგნით, დიდი ზომის ქვები ძევს.

„საქობე ზემოთაა, სახუთმეტოს თავისი სალუდე არ ჰქონდა. თამარ მეფისა და სახუთმეტოს სალუდე ერთი იყო. საქობეს სალუდეს ვეძახით. იქაა ქვაბი, ისარნა. საჯარეში გარშემო საჯდომები იყო. მე მოვესწარი: კულუხი არ ვიცოდით, ზარები არ გვქონდა.

ლ ა შ ა რ ი ს ჯ ვ ა რ ი ს ნ ი შ ი ზევითაა, 60 მეტრი იქნება აქედან. საჯარეს წინ რომ დიდი ქვაა, ქადა-პურების საკურთხევლად არის განკუთვნილი.

თ ა მ ა რ ი ს კ ა ლ ო მდებარეობს ადგილას, რომელსაც იფნიანი ჰქვია, სახუთმეტოს ჩრდილო-დასავლეთის მხარეზე, მთის დაფერდებაზე. ზევით არის კერიები სახუთმეტოსი, ჰერე აქ სოფელი ყოფილა, გაბიდოურები მდგარან და სახუთმეტოს აუყრია ესენი. ამ ადგილას აფშინაანთ ნასახლარებს ვეძახით და გადაასახლა სხვაგან, მერე იქიდანაც აუყრია თამარს და ახლანდელ ხოშარაში დაუსახლებია. თავისად მოუნდომებია თამარს ეს ადგილი და იმისად აუყრია".

თ ა მ ა რ ი ს ხ ა ტ ი ს ს ა დ ა ს ტ უ რ ო ჭერხოიანი, ორსართულიანი ყოფილა, ფშაური დიდი სახლისნაირი. ახლა სართულები აღარ არის, ჩანგრეულია. ირგვლივ აქვს ყორის გალავანი, შუაში კულაა, რომელზედაც თავხე და კოჭები ჰქონია დამაგრებული. მისი მთავარი ფასადი სამხრეთის მხარეზეა. კარგადაა შემორჩენილი შენობის ჩრდილოეთი ნაწილი; „მესამე სართულიც გამივია, საბძლურად იყო დაფარებული. პირველი სართული საწყობად გამოიყენებოდა.

დასტურები თითო წლობით იყვნენ; ორ-ორი დგებოდნენ და თითო წელი აქ ცხოვრობდნენ. ეს თამარ მეფის დასტურები იყვნენ. ახადსაც იყო თამარ მეფის სადასტურო.

აქ იყო ერთი თავჭევისბერი. დანარჩენები იყვნენ დასტურები. ესენი ლუდს ადუღებდნენ.

სადასტუროს დასავლეთით რომ ნაშალია, ეს არის უკანასკნელი სადასტურო. ჯერ დიდი სადასტურო ყოფილა, მერე ხალხი რომ დაცოტავდა, შეუპატარაავებიათ. ჩემსობას დაშლილი იყო. ხოდაბურები ამის ზევითაა, კალოზე ზემოთ. სალუდეც შიგ შემოდის.

ეს სალუდე საზიაროა თამარის და სახუთმეტოსი. ისინი მოდე-მოძმენი იყვნენ.

მოსავალი რომ მოუდიოდა (იმ ყანებს ნაყევრალებსაც ეძახიან და ხოდაბურებსაც. ქერი ითესებოდა), ლუდს გამოვხდიდით, სათესლეს შევინახავდით (ტაბ. 110 ბ).

ბეღელი საზიაროა თამარისა, ლაშარისა და სახუთმეტოსი. ორ აქაურს და ორ ახადის დასტურს შეჰქონდათ პური. კალოში ულეწავთ იმათ პური. ახადში ჰქონიათ მამულები, თვითონ თამარში სადასტურო არ ყოფილა. დასტურობა წილყრით იყო.

თამარში დასტურობა ჩვენ მოგვიდიოდა. თამარის და სახუთმეტოს ფულს დასტურები ინახავდნენ". სალუდე სახუთმეტოსი და თამარის საზიაროა. აქვეა საკოდე. სალუდეს კარი აღმოსავლეთის მხარეზეა; ჩრდილოეთ კედელთან გამართულ ქვაწყობში სპილენძის ფურცლებისაგან ნაკერი, შედარებით პატარა ზომის ქვაბია, პატარა დღეობებისათვისა განკუთვნილი. მეორე დიდი ქვაბი დღეობისათვისაა, ის 3-კოდიანია (კოდი — 10 ლიტრას იტევს, ლიტრა — 4 კილოს); 3-კოდიანი ქვაბი ასევე სპილენძის ფურცლებისაგანაა შეკერილი სპილენძის ლურსმნებით. დასავლეთის კედელთან დგას ხის ისარნა, შეკერილი სპილენძის ფურცლებით. დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ კედლები აწვერილია, შუაში დედაბოძია. დედაბოძს ეყრდნობა კეზი, რომელზედაც ფარდები ანუ კავები (ნივნივები) აწყვია, ხოლო ამ უკანასკნელებს ზემოდან სიპე-

ბი აფარია (ი. ხოშურაულს აგონდება: „ამ სიპებს შეგვაწერდნენ, უნდა მოგვეტანა: თუ არ შევასრულებდი, არ შემიშვებდნენ ხატში, მომიკვეთავდნენ“).

სალუდის სამხრეთის კედელში საკომია, დასავლეთის კედლის გასწვრივ აღმართულ ხეზე ჩამოკიდებულია დიდი ზომის ჯაჭვი.

საქობის აღმოსავლეთ მხარეზე არის მიდგმული საკოდე, ჩაქცეულია ამჟამად. მის წინ საქობის კარია. ჩრდილოეთის მხარეზე იფნის ქვეშ ნაშალია.

სალუდის ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეზე დედაღვთისმშობლის ხატია, ორფერდა სახურავიანი შენობა. პირველად რომ ძროხას ხბო (ზვარა) გაუჩნდება, აქ მოყავთ, შესწირავენ და მერე მის ხორცს თვითონ ოჯახი მოიხმარს. შენობა ამჟამად ჩაქცეულია, მის სამხრეთის კედელთან კუთხეში ქადა-პურის დასაწყობია. აღმოსავლეთის კედელთან ქვის სიპია — თასების დასადგმელი და ზემოთ სასანთლე ნიში. კარი ხისაა, ძველი. შენობის დასავლეთის მხარეზე გარედან დევს სიპი ქადა-პურის დასაწყობი, ხოლო მის დასავლეთით მდებარე ქვა სასაკლავეა. მთავარი ფასადი შენობისა სამხრეთის მხარეზეა. აქ კედელში გარჯობილ ძელზე ჩამოკიდებულია ზარი წარწერით:

I სტრ. ქ ესე ზარხოდაბუნის ანგელოზის ხატსა
II „ შავწირეთ ხელერთიანად მთისა და ბარისა
III „ ხოშარელ გაბიდოური კოჟლი ნადირა
IV „ ფოცხარავური იმათი თავობაში მოტანილი
V „ ამის მამტანი ბობღია და ჭუჭა და პაპაი
VI „ ქკს უქგ.

ზარის გვერდზე იმავე კედლიდან გამოშვერილ მეორე ძელზე ირმის რქა ჰკიდია. იქვე ხატისკარზე ამოსულია ბებერი იფნი, რომელზეც შებმულია ოთორი საკადრისები. ხატისკარი ნაგლეჯი ქვით ამაღლებულ და გამაგრებულ ბაქანს წარმოადგენს. ზემოაღნიშნულ დანგრეულ შენობათა კომპლექსის გასწვრივ გორაკზე სახუთმეტოს კვრივია, რომელსაც ფასადზე ნიში აქვს დატანებული. იმედა ხოშურაულის თქმით, ეს ნიში საბუთად არის იმისა, რომ ხალხი აყარესო აქედან. მახლობლად წყაროა ე. წ. დ ე კ ა ნ ო ზ ი ს წ ყ ა ლ ი, რომელშიც დასტური უნდა განბანილიყო წელიწადში ერთხელ.

აქედან აღმოსავლეთის მიმართულებით, გორაკზე, რომელსაც კოშკისკარი ჰქვია, მოთავსებულია ექვსიარუსიან-სანაწვთებიანი ოთხფერდა სახურავის მქონე საზარე. საზარეს ხის ძელზე ჯაჭვით ჩამოკიდებულია დიდი ზარი წარწერით: „წმიდაო გიორგივ ლაშარის ჯვარო კოშკის ანგელოზო შეწოგწირეთ ჩვენ ერთობლივ გოგოლათა ქჩყ წელსა“. ზარის ენაზე ჭრელი საკადრისებია გამობმული.

საზარეს გვერდით სასანთლე კოშკია, რომლის მთავარი ფასადი დასავლეთის მხარეზეა. ამ მხარეს მას დატანებული აქვს ნიში. ნიში სანთლებისაგან გაბოლილია და სავსეა სანთლის ნამწვრებითა და ნაღვენთით. წინ ქვის სკამებია „ხალხის დასაჯდომი“, მთის ფერდობზე გამართული ორ იარუსად

კ ვ რ ი ვ ი. სასანთლეს ჩრდილოეთის მხარეზე მდებარე კვრივი დაშლილია ამჟამად. ირგვლივ, საერთოდ ძალიან ბევრია ხატის ნაშალი ნაგებობანი.

ბ ე ღ ე ლ ი. სასანთლე კოშკის აღმოსავლეთის მხარეს არის შვიდიარუსიან-სანაწვთებიანი ოთხფერდა სახურავით გადახურული ბეღელი, რომლის მთავარი ფასადი სამხრეთის მხარეზეა. მას კარი მუხისა აქვს, ჩარჩოშია ჩასმული.

და კედით იკეტება გარედან. შიგნით შენობა დაბალთაღიანია. მოტკეპნილ ბეღლის კარზე დაგებულია სიპები (სიპებს აქ საკარეს ეძახიან).

ზემოთ, ღელის თამარ მეფის ხატის აღწერისას ითქვა, რომ „თამარ მეფის ხატს სოფელი, რომელშიც გაბიდაურები ცხოვრობდნენ, აუყრია და გაბიდაურები ყველანი გადასახლებულან ჯოშარაში, ხოლო მათი მამულები დარჩა ხატს სანადოებად და ხოდაბუნებად“.

ბ) სასოფლო ხატები

1) დედაღვთისმშობლის ხატი (სოფ. ხოშარა)

დედაღვთისმშობლის ხატი, რომელსაც ხოდაბუნის ანგელოზის სახელითაც მოიხსენიებენ, მდებარეობს სოფელ ხოშარის ჩრდილოეთ ნაწილში. ხატი მოიცავს ე. წ. დ ა რ ბ ა ზ ს (ტაბ. 117) — დიდი თლილი ქვებისაგან მშრალი წყობით ნაგები, გეგმაში მართკუთხა ფორმის შენობას, რომელსაც ორქანობიანი სახურავი ჰქონია. ამჟამად შენობიდან გადარჩენილია მთავარი ფასადის კედელი. კედელში გაჭრილი კარის ღიობი ზემო ნაწილში ოვალური ფორმისაა. მას აქვს ხის კარი, ხისავე ლურსმნებით შეკრული. იგი გვერდიდან ურდულით („საკედით“) იკეტება.

კარის სიახლოვეს კედელში გამაგრებულ ძელზე ჯაჭვით ზარი ჰკიდია. ზარს აქვს ქართული წარწერა, რომელიც ასე იკითხება: „ქ ესე ზარხოდაბუნის ანგელოზის ხატსა შევწირეთ ხელერთიანად მთისა და ბარისა ხოშარელ გაბიღოური კოჭლი ნადირა ფოცხარავური იმათი თავობაში მოტანილი ამის მომტანი ბობღია და ჭუჭა და პაპაი ქკს უეგ“. ზარის გვერდზე იმავე კედელში გამაგრებულ მეორე ძელზე ირმის რქა ჰკიდია. იქვე დგას ბებერი იფნი, რომელზეც შებმულია თეთრი საკადრისები.

ფასადის წინ ხელოვნურად შექმნილია ხატის წინგარდა, — ნაგლეჯი ქვის ნაყარით ამოვსებული, ამაღლებული და გამაგრებული ბაქანი. ბაქანზე კედელთან „ქადა-პურის გასაჭრელი“ სიპია და მახლობლად დაგებულია მეორე „სასაკლავე სიპი“, სადაც ზვარას შეწირავ ხდებოდა. როცა უშობელა მოიგებდა, ბის პირველ ხბოს დედაღვთისმშობლის ხატში მოიყვანდნენ და ოჯახის ბარაქისა და კეთილდღეობისათვის დააკვლევინებდნენ.

2) თამარ მეფის ნიში (სოფ. ხოშარა, „კოშკის კარი“)

სოფელ ხოშარის თავზე, მის ჩრდილო-დასავლეთის მხარეს გაშენებულია თამარ მეფის სადასტურო (ტაბ. 109 ა, ბ). იგი წარმოადგენს მშრალად ნაგები ქვის ღობით უზარმაზარი ტერიტორიის შემოსაზღვრულ ზღუდეს, რომლის შიგნით მოქცეულია დიდი ზომის თლილი ქვით ნაგები სადასტურო (სადასტურო ეწოდება როგორც თვით ამ შენობას, ისე მთლიანად გალავნით შემოსაზღვრულ არეს). ამჟამად სადასტურო მთლიანად ჩაქცეულია. სადასტუროს დასავლეთის მხარეს „თამარ მეფის უნჯის შესანახი“ შენობა მდგარა ახლა მისი ნანგრევებიღა ჩანს. ამ შენობიდან ცოტა მაღლა დგას დიდი კაკლის ხე, „თ ა მ ა რ ი ს კ ა კ ა ლ ი“. საუნჯის წინ მოჩანს „საუნჯის კარი“, რომელიც სოფელ ხოშარას გადაჰყურებს. საუნჯე სადასტუროს შენობისაგან ყორის ზღუდითაა გამოყოფილი.

საუნჯესა და სადასტუროს შორის ორი დიდი მთლიანად ჩაქცეული შენობის ორი კედელიღა მოჩანს. სადასტუროს თავზე უზარმაზარი იფნი დგას. სადასტუროს შუაში დიდი კულაა აღმართული, გარშემო მიდამოები მაღალი ბალახითა და ჭინჭრითაა ამოვსებული.

სადასტუროს ჩრდილოეთით, მთის აღმოსავლეთისაკენ მდებარეობს სალუდე ანუ საქობე (ტაბ. 112). იგი თამარ მეფისა და სახუთმეტო ძელისანგელოზის საზიარო სალუდეა. ძელისანგელოზის ხატს საკუთარი სალუდე არ ჰქონია. ეს საზიარო სალუდე წარმოადგენს სიპებით გადახურული ორფერდა სახურავის მქონე ნაგებობას, რომლის ფასადი ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეზეა. სალუდის წინა მხარე ჩაქცეულია, შემორჩენილია მხოლოდ ფართო შესასვლელი. საქობეში შესასვლელის წინ სიპებია ჩამოყრილი; საქობის კარები ჩამოხსნილია. შენობის ცენტრში დგას დედაბოძი, რომელიც კეზს იჭერს. დასავლეთის კედელთან მთელ სიგრძეზე გადებულია ხის მორი საკიდლებით. ამავე კედლის გასწვრივ ხის ისარნაა მოთავსებული. ჩრდილოეთის კედელთან გამართულია მაღალი — „საქვაბე ბუდე“ სიპებისაგან აწყობილი და შიგ მოთავსებულია დიდი ზომის სპილენძის ფურცლებისაგან შეკერილი ქვაბი. მეორე დიდი ზომის სპილენძის ქვაბი აღმოსავლეთის კედელთან გდია. სახურავი ნაწილობრივ ჩაქცეულია.

საქობის ზემოთ კვრივის ნანგრევია, მას ზევიდან დიდი იფნი ადგას, თეთრი საკადრისებით.

3) წელაურთ ჯვარნი, ტიკაის წყალთან

როგორც ამ ჯვარის სახელწოდებიდან ჩანს, იგი წელაურების საზოგადოებრივ-საკულტო ცენტრი ყოფილა. ეს ჯვარი მდებარეობს სოფელ ხოშარის აღმოსავლეთით ტიკაის წყალთან და ამჟამად მოიცავს ბეღელს, მის მახლობლად ორი შენობის ნანგრევს და მათ ქვემოთ დიდ მოედანს.

ბეღელი (ტაბ. 116 ა) კვადრატული ფორმის მშრალად ნაგები, შიგნიდან და გარედან კირით შელესილი შენობაა. მას აქვს რვაიარუსიან-სანაწვეთებიანი პირამიდული სახურავი, რომელიც მთის ბროლის გრძელი სათაურათი მთავრდება. სახურავს შიგნიდან გლეხის დარბაზის გვირგვინის მსგავსი მოყვანილობა აქვს. შესასვლელი კარი დატანებულია სამხრეთის კედელში. იგი ხისაა, იკეტება ურდულით. შიგნიდან სამი მხრით კედლებიდან კონსოლად გამოწეულია ორ-ორი ფიქალის ფილი. გვირგვინის ქვემოთ კედლებში ძელია გამაგრებული. ბეღელი ერთთვალიანია.

VIII. ჰიჩოლეთ თემი

ა) თამარ მეფის, პირცეცხლისა, თავადი მთავარანგელოზისა და დედაღვთისმშობლის სათემო ხატები (სოფ. ჰიჩო)

1) თამარ მეფის ხატი

ადრე ჭიჩოში, მთხრობელთა გადმოცემით, 60 კომლი ცხოვრობდა, მაგრამ „მტრიანობამ“ ხალხი დააცოტავა. ლეკები ეცემოდნენ ფშავს და ტუვეებს ერეკებოდნენ. უკანასკნელად ერთი ტუვე ქალი ჭიჩოდან მახაჩკალაში

წაუყვანიათ და იქ გაუთხოვებიათ. იმ ქალის ვაჟების შვილებმა, აბდულამ და ზაქარამ, ამ რამდენიმე წლის წინათ ხევიბერს პეტრე კუწაშვილს ჭედილა დააკლევინეს და არაყიც მოიტანეს, — „ჩვენი ბებო აქაური ქალი იყო და ჩვენ აქ უნდა ვილოცოთო“.

ჭიჩოელთ სათემო სალოცავი ოთხი კომპლექსის სახით წარმოგვიდგება. ერთია, თამარ მეფის ხატის კომპლექსი, მეორეა, პირცეცხლის ხატის კომპლექსი, მესამე — ჭიჩოს მთავარანგელოზის ხატისა და მეოთხე — ღვთისმშობლის ხატისა.

თამარ მეფის ხატის კომპლექსი მდებარეობს სოფლის გვერდით, სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს მთის აყოლებაზე. დანარჩენი სამი სათემო ხატის კომპლექსები მოთავსებულია სოფლიდან ჩრდილო-დასავლეთით ჯვართღელის გაღმა, სადაც მათ ეს ჯვართღელე ანუ ჭიჩოჭევა ჩამოუდით.

თამარ მეფის ხატის კომპლექსის ნაგებობებს, თამარ დედოფლის წყაროს და თამარის ნაყევრალებს ეჭირა დაახლოებით 20 ჰა. ვამბობთ დაახლოებით, ვინაიდან ზუსტი ციფრის მიღება ვერ მოხერხდა შემდეგი გარემოების გამო. უკანასკნელი წლების მანძილზე ხატის მიწები არ მუშავდებოდა. ამის მიზეზი უმთავრესად ის იყო, რომ სოფელი ჭიჩო სავსებით დაცარიელდა. 1964 წელს ჭიჩოში ერთი მოხუცი ქალიღა ცხოვრობდა. ამჟამად კი (1968 წ.) ისიც აერილა აქედან და გოგოლაურთაში გადასულა. სოფლის მიტოვებული და დაუმუშავებელი ადგილები, მათ შორის თამარის ხატის ნაყევრალები ხშირი ახალგაზრდა ტყით დაიფარა. ასეთ პირობებში გაგვიძნელდა მთლიანი ტერიტორიის ტოპოგრაფიული გეგმის შედგენა. ზემოაღნიშნული საერთო ფართობიდან ზუსტი ტოპოგრაფიული გადაღება მოხერხდა მხოლოდ 7,2 ჰა რაოდენობით.

სადასტურო (ტაბ. 118) თამარ მეფისა მდებარეობს სოფლიდან დასავლეთის მხარეს, ზღვის დონიდან 1650,5 მ სიმაღლეზე. იგი წარმოადგენს მოგრძო მართკუთხა ფორმის ნაგებობას, რომლის ფასადი და შესასვლელი კარი ჩრდილოეთის მხარეზეა. კედლები ლამ-კირითაა ამოყვანილი. შიგნიდან დასავლეთის კედელში დატანებულია ოთხკუთხა ფორმის ნიში. ჩვენი მთხრობლის იმედა ხოშურაულის თქმით, ეს ნიში სასანთლე არ უნდა იყოს, რადგან სადასტუროში სასანთლე არ იქნებოდაო. შენობის სახურავი ჩაქცეულია. უკანასკნელად იგი ყარტით ყოფილა გადახურული. ადრე ბანი ჰქონია. შემდეგ საბძლურად გადაუხურავთ. შენობის კარს საკედი აქვს დატანებული.

სადასტუროში დასტურები ცხოვრობდნენ წლობით. დასტურობა ჭიჩოელებს (ისევე, როგორც ქართველი მთიელების სხვა თემებს) რიგით მოუდიოდათ, საჭმელი მათთვის (დასტურებისათვის) თავ-თავის სახლიდან მოჰქონდათ. სადასტუროს ირგვლივ თამარ მეფის ხატის მფლობელობაში მყოფი სახნავი მიწებია.

სადასტუროს მახლობლად მდებარეობს საზარე (ტაბ. 118) — ქვა-კირით ნაგები თავისებური კონსტრუქციის კოშკი. მისი მთავარი ფასადი ჩრდილოეთის მხარეზეა. აქ საზარეს ორი სვეტი აქვს, ხოლო სამხრეთის მხარეს ერთიანი კედელი გააჩნია.

საზარეს სახურავი ხუთიარუსიან-სანაწვთებიანი პირამიდული ფორმისაა, რომელიც შიგნიდან გლეხის დარბაზის გვირგვინს გვაგონებს, ოღონდ იგი ქვაშია გამოყვანილი და შედარებით პრიმიტიულია. სახურავის თავზე წამო-

ცმულია სპილენძის გუმბათი, რომლის განაკვეთს ისრული თაღის მოხაზულობა აქვს. გუმბათი წვერში სპილენძის ჯვარით მთავრდება. საზარეში ზარი ჰკიდია. ზარის ენაზე საკადრისი აქვს გამობმული, ხოლო თვით ზარზე ორსტრიქონიანი წარწერაა შემდეგი შინაარსისა: „შემოგწირეთ ესე ზარი ჩვენ ფშაველთ სულ ერთობლივ თემთა ჩვენ სამწყალობელსათ შენი წყალობა“, მეორე სტრიქონზე: „მოგვე ბატონ თამარ ნეფეო“, ისევ პირველ სტრიქონზე: „ქჩყლგ წელსა მაისისა დღესა“.

საზარის წინ ქადა-პურის საჭრელი და ხევისბრის საჯდომი სიპებია სხვადასხვა ზომისა (ტაბ. 118).

საზარისაგან მცირე მანძილით დაშორებულია საბერო ანუ დარბაზი (ჩვენი ინფორმატორის იმედას თქმით: „ეგენი ერთია“). საბერო ფიქალი ქვისგან ლამით ნაგები მართკუთხა ფორმის შენობაა, ორქანობიანი სახურავით გადახურული და ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიმართული. ჩრდილოეთის კედელში გაკრილი კარი ხისაა, სამხრეთის, აღმოსავლეთის და დასავლეთის კედლები მიწაშია ჩასმული. შენობის სახურავი ერთ ნაწილში ჩაქცეულია. ჩვენამდე შემონახულია შუაბოძი, თავხე, კავები და საგვერდულები. ნაგებობის ერთ კუთხეში დიდი ზომის ნიშია დატანებული. ხატისკარის წინ მიწა დატკეპნილია.

უკანასკნელი ოთხი ობიექტი ზღვის დონიდან 1790 მ სიმაღლეზე მდებარეობს.

თამარის ხატის კალო და ბეღელი ზღვის დონიდან 1829,07 მ სიმაღლეზეა. — ეს ორი ნაგებობა ერთმანეთის მახლობლად მდებარეობს.

ბეღლიდან ჩრდილო-დასავლეთის მხარეს ხატის კალოა (ტაბ. 119). სამხრეთ-დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან მას აკრავს დაბალი ყორის კედელი. თამარ მეფის სახნავების დიდი ნაწილი ხატის ხოდაბუნი იყო. და ამ ხოდაბუნებს ნაყევრალებად ანაწილებდნენ — თითო კომლი თითო ნაყევრალს ამუშავებდა.

კალოს ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეზე თამარის ხატის ბეღელია (ტაბ. 120) — ქვა-კირით ნაგები შენობა, პირამიდული ფორმის ათიარუსიან-სანაწვეებიანი სახურავით, რომელსაც ზემოდან ადევს მთის ბროლის სათაურა. მისი კარი ჩრდილოეთის მხარეზეა. იმედას ცნობით „კარის ზემოთ გამოშვერილი სიპი, რომელიც საკარეს ფარავს, სანაწვეთე კარის თავია“. ფასადის მარცხენა მხარეს კონსოლად გამოწეული დიდი სიპი „ტომრების საკიდელია“. სახურავის შიდა ხედი გლეხის სახლის გვირგვინის მსგავსია. სამხრეთის კედელი ჩაქცეულია. აკოს ფიცრები იატაკზე ყრია. ბეღლის კარი ხისაა, ორკარედი, ხის ლურსმნებით და ხის კოტებით შეკრული. ბეღლის დასავლეთის კედელზე არის წარწერა: „ქჩყმდ მე ალიზბარმა“ და ქვევით ქვაზე: „ეს ებ ბეღელი თამარ ნეფისა პ ნ“.

ს ა ლ უ დ ე (ტაბ. 121 ა) თამარის ხატისა მდებარეობს ბეღლიდან ჩრდილო-დასავლეთ მხარეზე, ზღვის დონიდან 1710,00 მ სიმაღლეზე. მისი ფასადი და კარი დასავლეთის მხარეზეა. სალუდე წარმოადგენს მართკუთხა ფორმის გრძელ ნაგებობას, რომელსაც ორფერდა სახურავი აქვს. შიგნით შუა ბოძზე თავხეა გადებული, რომელზედაც სამხრეთის მხარეს ნივნივებია გაწყობილი; მათ ამაგრებს თავხის პარალელურად გადებული ორი გვერდითი ხე — საგვერ-

დული. საქვაბის სახურავის ჩრდილოეთი ნაწილი ჩაქცეულია. დასავლეთის კედელში დატანებულია ნიში, რომელზედაც დგას სპილენძის თუნგი (2 ცალი — ტაბ. 121 ბ). სამხრეთის კედელთან მოთავსებულია დიდი ზომის ორი სპილენძის ისარნა (სპილენძის ფირფიტებისაგან ნაკერი). კედელზე გამოშვერილ ხეზე „წნელებია“ რგოლებად დაწნული კედებისათვის (4 ცალი), საგვერდულებზე დაკიდებულია საწნეხები (5 ცალი).

საქვაბეზე ძევს სისწვნის საწურავი ხისა, ხის საწყაო (ლუდისთვის ლიტრიანი = 4-კგ ლუდს); იქვეა სარეველი და ხის ფოცხი, ორი კედი და ზედ შეკრული წნელები, ხის კოში. სამხრეთ-აღმოსავლეთის კედლის კუთხეში აგებულია მშრალად ზემოხსენებული საქვაბე, რომელშიც ჩაშენებულია დიდი სალუდე ქვაბი ოვალური მოყვანილობისა (პირის d უდრის 69 სმ). ქვაბი ჯაჭვზეა ჩამოკიდებული, რომელიც საგვერდულებზეა დამაგრებული. ქვაბს აქვს სპილენძის დიდი „ყურშატები“. ჩრდილო-აღმოსავლეთის კედლის კუთხეში ღრმა ნიშია „თასების სამალავი“.

2) პირცეცხლის ხატი

პირცეცხლის ხატის კომპლექსი ზღვის დონიდან 1675, 14 მ სიმაღლეზეა, მას „ზემო ხატი“ ეწოდება იმიტომ, რომ სოფლის დასავლეთით მთაზე მდებარეობს იმდენად მაღალზე, რომ თავად მთავარანგელოზის ხატს თავზე დაჰყურებს. პირცეცხლზე ამბობენ: პირიდან ცეცხლი სდიოდა, არა სდომებია რომ ჭიჩოხევას ედინა აქაო. ადგილობრივ შეკრებილი მასალებით იგი ხორციელი ხატია. ხევისბრები მას ასე მოიხსენიებდნენ: „პირცეცხლო, ყაწიმ მშვენიერო“.

პირცეცხლის ხატის კომპლექსი შემდეგ ნაგებობებს მოიცავს: სადასტურო, სამანი. წმინდა ბლის ხე თეთრი თიკვებით (საკადრისებით), ხოლო გალავანში — სასანთლე კოშკი, საზარე, საბერო, სასანთლე, დაფარებული საჯარე, სასუფეველი, სასაკლავენი.

სადასტურო მოთავსებულია მთავარი გალავნის გარეთ, სადაც მას შემოვლებული ჰქონია საკუთარი ყორის გალავანი. იგი ამჟამად დაშლილია. შემორჩენილია მხოლოდ კედლები. სადასტუროს დასავლეთის, აღმოსავლეთის, და სამხრეთის კედლები მიწაში ყოფილა ამოყვანილი. სამხრეთის კედელში სათასე მოჩანს. სადასტუროს კარის ღიობი სამხრეთ-აღმოსავლეთის კედელშია. შენობას ორქანობიანი სახურავი ჰქონია. ამჟამად შიგ უამრავი ხეა ამოსული.

პირცეცხლის ხატში შესასვლელის მახლობლად მიწაში ჩაყუდებულია სამანი. თუ რაზეა ეს სამანი ჩაგდებული, ვერ დავადგინეთ.

იქვე მთავარ გალავანში „გადასაკდომთან“ დგას თ ე თ რ ი ბ ლ ი ს ხ ე, რომელზეც თეთრი თიკვებია (საკადრისები) ჩამოკიდებული.

კვლავ მთავარი გალავნის „გადასაკდომთან“, მაგრამ უკვე ამ გალავნის შიგნით, სასანთლეა (ტაბ. 123ა, ბ). იგი ფიქალი ქვისაგან მშრალი წყობით აგებული კოშკია წაკვეთილი კონუსისდაგვარი ფორმისა, რომელიც მთავარი ფასადით აღმოსავლეთს გადაჰყურებს. სასანთლე ორსართულედია. მისი ქვედა სართული სასანთლე თახჩაა, სადაც უამრავი სანთლის „ცრემლია“ დაღვრი-

ლი და თეთრეულია — ვერცხლის აბაზიანი და სამშაურიანი მონეტები, ჩაყრილი. ზემოთ თაროში პატარა შიბებიანი (ძინანქრიანი) ჯვარი ძევს და იქვე კედელთან აღმართულია თითბრის ჯვარი, რომლის თავის სიმაღლეს თითქმის უსწორდება რკინის წყვილი ზარაკი. უკანასკნელი წვრილი თიკვებით ჩამოკიდებულია სასანთლის თავთან წყობიდან გარეთ გამოწეული ფიქალის სოლზე. ამ თითბრის ჯვარს ინფორმატორმა „გუმბათიანი ჯვარი“ უწოდა.

სასანთლე კოშკიდან ცოტა მოშორებით მთავარი გალავნით შემოზღუდულ ხატის სიღრმეში თეთრი თიკვებით შემკულ მეორე წმ. თეთრი ბლის ხესთან საზარე კოშკია (ტაბ. 124, ტაბ. 125). (ჩვენი ექსპედიციის მთხრობელებიდან ერთადერთი პ. კუწაშვილია, რომელმაც საზარეს ნაცვლად ტერმინი სამრეკლო იხმარა და თან დასძინა: „ამ სამრეკლოს ახლა უმართებულოდ საზარეს ეძახიანო“). საზარე ქვა-კირით ნაგები და კირით შელესილია. იგი დაფუძნებულია კვადრატული ფორმის კვარცხლბეკზე. კვარცხლბეკს აღმოსავლეთის მხრიდან აქვს ექვსი მაღალი საფეხური ზემოთ, ზარებთან მისასვლელად. აათავებთ ამ საფეხურებს და გადადიხართ საშუბლე ქვაზე, რომელიც დაგებულია კვარცხლბეკის თავზე. აქ კვარცხლბეკის ოთხივ კუთხიდან აღმართულია ქვის მრგვალი მასიური სვეტები.

ეს სვეტები ერთმანეთთან დაკავშირებული და შეკრული არიან ერთიმეორეზე დაგებული სხვადასხვა სიგრძისა და სისქის ფილების წყობით, რომელზეც აგებულია შვიდიარუსიან-სანაწვთებიანი პირამიდული ფორმის სახურავი. სახურავის ზედა ნაწილში გამაგრებულია საზარის კეზი ხისა, რომელზეც ჩამოკიდებულია სამი ზარი (ტაბ. 126). თითოეული ზარის ენაზე გამობმულია მრავალი თეთრი ჭრელი საკადრისი. საზარეს ამშვენებს აგრეთვე ირმის რქები, რომლებიც საშუბლე ქვაზე აწყვია. საზარესთან მიწაზე ძევს ოდესღაც მისი სანაწვთიანი სახურავის წვერზე აღმართული სიპის სათაურა, რომელიც ჩასმულია ზარისებური და ბურთისებური ფორმის „კოშკში“. ამ კოშკზე რკინის ხვეულებია სილამაზისათვის დამაგრებული. ამგვარად მოწყობილ სათაურას ხატიონთ ენაზე ჯვარ-გუმბათი ეწოდება.

საზარის გვერდით მეორე სასანთლეა (ტაბ. 124) — ფიქალი ქვისაგან მშრალი წყობით ნაგები დაბალი კოშკი სამსანაწვთიანი ოთხფერდა სახურავით და მთავარი ფასადით სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს. ამ ფასადის მხარეს კედლის წყობაში ჩაშენებულია და წინ, წყობის გარეთ გამოსული სიპი, ე. წ. ბარძიმთ საბრძანისი. სასანთლეს თავზე ბურთი — მრგვალი ქვა ადევს, „როგორც ნიშანი ხატისა“.

საზარეს დაბალი კედლით უკავშირდება საბერო (ტაბ. 127, ტაბ. 128, ტაბ. 129 ბ), სადაც, ინფორმატორის განცხადების თანახმად, ხევისბრები დგებოდნენ. საბეროს მახლობლად ბებერი, სამბუდიანი ცაცხვი დგას. შენობა მშრალი წყობითაა ნაგები. იგი გადახურული ყოფილა ორქანობიანი სახურავით, რომელიც ახლა ნაწილობრივ ჩაქცეულია. ჩვენამდე შემონახულია შუაბოძი და კეზი. შენობის ფასადი ჩრდილოეთის მხარეზეა. მისი კარი ზემო ნაწილში შეისრულია: იგი ხისაა, სამი წყება ხის ლურსმნებით შეკრული; იკეტება ხის საკედით. კარს აქვს ქვის ქუდი (საშუბლე) და ზღურბლი.

შიგნიდან შენობის სახურავს ხის კავი იჭერს, კავები კეზზეა დამაგრებული. საბეროს ცენტრში საძირის ქვაზე შეყენებულია ხის სვეტი — დ ე დ ა-

ბ ო ძ ი. სვეტის ორივე მხარეს შენობის გრძივ ღერძზე ორი ცალი ს ა ა ლ ე თ ხ ე ა. ერთ მათგანზე საკიდელია მოწყობილი. სამხრეთ-დასავლეთის კედლის კუთხეში მოთავსებულია ტ რ ა პ ე ზ ი ანუ თ ა ს ე ბ ი ს ს ა ბ რ ძ ა ნ ი ს ი (// ბ ა რ ძ ი მ თ ს ა ბ რ ძ ა ნ ი ს ი). საბრძანისზე აწყვია ოთხი თასი. იქვე დგას სპილენძის მაღალფეხიანი შანდალი და სპილენძისავე ლ ე გ უ შ ი — დიდი ზომის თუნგი. ამათ მახლობლად ძევს სპილენძის ქვაბი საკიდლით. საბრძანისის მთელი არე სანთლის „ცრემლებითაა" მოფენილი. საბრძანისის თაროს მარჯვენა მხრიდან ჰორიზონტალურად ადგია ს ა ნ თ ლ ი ს ს ა ფ ა რ ი სიპი. ხოლო მის გვერდით კონსოლად გამოწეული სიპია სანთლის გასარიგებლად. სამხრეთის კედლის ცენტრში მიწიდან მცირე სიმაღლეზე არის „ჯამ-კოვზის და სხვა ბარგის დასაწყობი", ხოლო მის ზემოთ, კედელშივე პატარა თახჩაა, რომელშიც სანთლებს ინახავდნენ. დასავლეთის კედელში კუთხესთან დიდი თახჩაა კედელშივე დატანებული — კერძის შესანახავად. ასეთივე დანიშნულებისაა დასავლეთის კედელში დატანებული სხვა თახჩები.

დასავლეთის კედლის გაყოლებაზე კედლის წყობიდან კონსოლებად გამოწეული სიპის სკამებია, მათ შორის თავხევისბრის სკამი, რომელზედაც დადებულია ხის გათლილი ფიცარი. თავხევისბერი და სხვა ხევისბრები პირით აღმოსავლეთისაკენ, ამომავალი მზისაკენ უხდა დამსხდარიყვნენ. მსგავსივე, ოღონდ ხის საჯდომები მოწყობილია სამხრეთის კედელთან.

საბეროს გარეთ მის მახლობლად ჭედილების სასაკლაოა — დიდი სიპი. ჭედილების დასაკლავი გალავნის გარეთაა მოთავსებული. იქვეა სასუფეველიც — „ქადა-პურის დასაჭრელი სიპი".

საბეროდან შორიახლო მდებარეობს საჯარე (ტაბ. 129ა). „ეს სახალხო საჯარეა მლოცველებისათვის", მას „მლოცავთ საჯარეს" ან „დარბაზს" უწოდებენო, განგვიმარტა მთხრობელმა.

საჯარეს წინ კურატების დასაკლავი მინდორია. კურატებს ცალკე ხოცავდნენ.

საჯარე ანუ დარბასი წარმოადგენს მშრალად ნაგებსა და ორფერდად გადახურულ შენობას. მისი მთავარი ფასადი აღმოსავლეთის მხარესაა (ფასადს აქ წინა კედელი ჰქვია), იქ კარის ღიობია შეისრული ფორმის. კარი აღარსად ჩანს, დარჩენილია მხოლოდ საჩარჩოო ადგილი კარისა; ღიობის თავზე, საშუბლეს ზემოთ (საშუბლე გარედან ქვისაა, შიგნიდან კი — ხისა) გამოწეული სიპია, რომელსაც კარის თავი ეწოდება. „თუ კარების გაღება იყო საჭირო, კარის თავზე დადებდნენ რამეს სანამ შევიდოდნენ". ამას გარდა, ფასადის მხარეს კედელში დატანებულია სამი ცალი საკლავის ჩამოსაკიდებელი სიპები. სახურავი ამჟამად თითქმის მთლიანად ჩაქცეულია. დარჩენილია მხოლოდ დედაბოძი, კეზი და აქა-იქ გადახურვის ნაწილები. სამ კედელში მოწყობილია თახჩები. ჩრდილოეთის კედელში, კუთხესთან დიდი ნიშია — „თას-განძის შესანახი ადგილი". ამ დიდი ნიშის გვერდით არის ე. წ. ტრაპეზი ანუ ბარძიმთ საბრძანისი — დიდი სიპი იმავე ჩრდილოეთის კედლიდან კონსოლად გამოწეული. დასავლეთის კედლის ქვემოთ ნაწილში სამი თახჩაა და ერთიც, ცოტა მოზრდილი, კედლის ზემო ნაწილში დატანებული.

საჯარეს სამხრეთით, გარედან მიდგმული აქვს დიდი ზომის (სიგრძე — 91 სმ, სიგანე — 86 სმ) სიპი, რომელსაც სასუფეველი ეწოდება. აქ იდება მლოც-

ველთაკან მოტანილი ქადა-კვერები, რომლებიც აქვე იჭრება. აქ იდგმებოდა თასები. აქვე სახელის დადება იცოდნენ სეფისკვერზე და ქადებზე ხევისბრეგისათვის.

ჰ) დედაღვთისმშობლისა და თავად მთავარანგელოზის ხატები

დედაღვთისმშობლის ხატის კომპლექსი მდებარეობს სოფლიდან სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, უზარმაზარი ცაცხვის ხეების ტყეში, ზღვის დონიდან 1594 მ სიმაღლეზე.

აქაა (ტაბ. 137ა, ბ) მაღალი, სწორკუთხა ფორმის შენობა, ორქანობიანი სახურავით. სახურავის თავზე დაყოლებულია მთის ბროლის ქვები. შენობის სამხრეთ-აღმოსავლეთის კედელი ოდნავ გამოზნექილია. შიგნიდან ორ მოპირდაპირე კედლებს შორის (სამხრეთ-აღმოსავლეთისა და დასავლეთისა) გადებულია ხე, რომელიც შუა ადგილას კეზთან სწორი ძელითაა დაკავშირებული. კეზსა და კედლებს შუა გაწყობილია კავები და კავებზე დაგებულია სახურავის სიპები. შენობას უჭირავს 4,8 კვ მ ფართი და 3 მ სიმაღლისაა.

შენობაში შესასვლელი დაბალი 2 ვიწრო კარი სამხრეთ-დასავლეთის მხარეზეა. ამ ოთხკუთხა ფორმის შესასვლელის ჩარჩო (ტაბ. 133 ა, ბ) საინტერესოდაა ჭდის ტექნიკით დაჭრელებული სწორი და ვიწრო ოთხკუთხედების არშიით. შენობაში მოსახვედრად შესასვლელიდან ქვემოთ ჩამავალი ხის კიბეა. შენობის შიგნით ჩრდილო-აღმოსავლეთის კედელთან დგას ხის მაგიდა, ტრაპეზი, რომელზეც უამრავი სანთლის ნაღვენთებია.

ამ შენობის გვერდით ორი დიდი კვრივის ნაშალია. სამივე ნაგებობა ყორის გალავნითაა შემოზღუდული. აღწერილ შენობას ძალზე წააგავს მისგან ჩრდილოეთით, გალავნის გარეთ მდებარე მეორე სათავსო (ტაბ. 134 ა, ბ). ისიც ფიქალი ქვისაგან მშრალი წყობითაა ნაგები. მასაც კარი მაღალზე აქვს დატანებული. აქაც ძირს „ჩასაჯდომია". მისი სახურავიც ორფერდაა, ოღონდ ხუთსანაწვთიანი. პირველ ნაგებობასთან შედარებით ეს ნაგებობა უფრო მცირეა.

ამ ორი ნაგებობის შესახებ ჩვენი ინფორმატორი, უკანა ფშავის სოფლის საბჭოს მდივნის მამა, უგემურ თვარელაშვილი, რომელიც ჩვენს ექსპედიციას ახლდა 1963 წელს, მოგვითხრობდა, რომ „ეს ორი ნაგებობა ძალიან ძველია და მეტად საკვირველი; ესენი ეკლესიებიაო". უნდა აღვნიშნოთ, რომ მართლაც, ეს ორი შენობა ყველა ნიშნის მიხედვით ეკლესიის ფუნქციებს ასრულებდა, მაგრამ თავისი აღნაგობით არც ბაზილიკის ტიპისაა და არც სიონისა. სინამდვილეში ჩვენს მთაში სიპერდიან-სანაწვთებიანი სახურავის მქონე ნაგებობა ჩვეულებრივ ბეღელი-ტაძრებია. ამასთან ერთად უნდა ითქვას, რომ მეორე მთხრობელმა, პეტრე კუწაშვილმა, 1968 წელს პირველ ნაგებობას უწოდა დარბაზი, რომელშიც „ხატიონთ არ ეცხოვრებოდათ და რომელიც ყოველთვის დაკეტილი იყოო". ამ შენობის სახურავი 1968 წელს უკვე ჩაქცეული აღმოჩნდა. მეორე ნაგებობა იმავე მთხრობლის თქმით სახორაგეა, სადაც თავხევისბერი თავის წილ ხორაგს ინახავდაო. პ. კუწაშვილს კარგად ახსოვს, რომ ამ „სახორაგის" კარზე უკანასკნელ ხევისბერს უზარმაზარი ბოქლომი ჰქონდა დადებული — თავისი წვლილი პურისა და საკლავის მარაგის შესანახავად.

ამით ირკვევა, რომ ნაგებობები, რომლებიც თავდაპირველად საქრისტი-

ანო სამლოცველოები იყო, შემდეგში გამოუყენებიათ ქართველ მთიელთა წარმართულ ხუროთმოძღვრებაში ცნობილ „დარბაზად“ და „სახორაგედ“.

ამ ორი ნაგებობის ოდნავ მოშორებით მდებარეობს ღვთისმშობლისა და მთავარანგელოზის საკულუხო. იგი წარმოადგენს ამჟამად ჩაქცეულ ორფერდა-გადახურვიან შენობას. მისი შესავალი კარი აღმოსავლეთის მხარეზეა. კახეთი-დან მოტანილი ღვინო და ლუდი კოდებში აქ ინახებოდა. ამჟამად მხოლოდ კედლებიღაა შემონახული.

საკულუხოს გვერდით დგას მთავარანგელოზის ხატის საჯარე (ტაბ. 130). მისი სახურავი მთლად ჩაქცეულია. იგი ორფერდა ყოფილა. შენობა მშრალად ნაგებია სიპი ქვებისაგან. შესასვლელი აღმოსავლეთის მხარეს აქვს. ხის კარი მთლად დამპალა და ჩამოვარდნილა. შესასვლელთან დიდი იფნი დგას. იფნზე თეთრი საკადრისებია ჩამოკიდებული. ჩამოქცეულ სახურავზე ირმის რქები აწყვია.

საჯარის დასავლეთის მხარეს პირცეცხლის, მთავარანგელოზისა და დედა-ღვთისმშობლის საერთო სალუდე ანუ საქობეა. იგი წარმოადგენს მშრალად ნაგებ შენობას, ორფერდა სახურავით და განიერი შესასვლელით. შენობა ნა-ხევრად ჩაქცეულია. მისი კარები ჩამოვარდნილია და შენობის შიგნით აგდია. სალუდის შუაში დგას დედაბოძი ქობის საკიდი კეზით და საკიდლით. იქვეა მოთავსებული ორი დიდი სპილენძის სალუდე ქვაბი და ერთი ზარი.

სალუდის მარცხნივ, ფასადის მხრიდან დიდი ზომის სიპია — დასტურების სკამი.

საქობის გვერდით დგას დარბასი, საბერო ანუ საჯარე (ტაბ. 130, ტაბ. 131). იგი საქობესთან გაერთიანებულია პატარა კედლით. ეს „ხევისბერის დარ-ბასია“ ასევე ორფერდა გადახურვით, შეისრული კარის ღიობით ჩრდილოეთის მხრიდან, რომელსაც (ღიობს) ხის კარი აქვს ჩამოკიდებული. ფასადის მხა-რეს მარჯვენა კუთხესთან, კედლიდან გამოწეულ სიპზე ჯაჭვით ჩამოკიდე-ბულია დიდი ზომის ზარი წარწერით. წარწერის ამოკითხვა ვერ მოხერხდა. ასოები წაშლილია ბევრ ადგილას. გაირკვა მხოლოდ, რომ ეს ზარი ხატს შე-მოსწირა ხოშარელმა კაცმა. სიპი, რომელზედაც ზარია ჩამოკიდებული, ზევიდან უფრო დიდი სიპითაა დაფარებული. მის წინ მარცხენა მხარეს არის ხევისბერთ დასაჯდომი სიპი. საჯარე ადრე ორთვლიანი შენობა ყოფილა, — წინ დარბასით, უკან კი ხევისბერთ საცხოვრებელი თვალით. ამჟამად იგი სულ ერთიანად ჩაქცეულია.

სალუდის მარცხნივ დგას სადასტურო, ანუ „დასტურების საცხოვრებე-ლი დარბასი“. ამჟამად მისგან კედლებიღაა შემორჩენილი. შენობის კარი ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეზე ჩანს.

მთავარანგელოზის საზარე მდებარეობს უფრო მაღლა, დარბას-საქობი-დან ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით. ის წარმოადგენს კვრივად ნაგებ მართკუთხა ფორმის შენობას, რომლის მთავარი ფასადი აღმოსავლეთის მხა-რეზეა. ზარი ჩამოკიდებულია ფასადის კედლის თავზე გამაგრებულ ძელზე. იქვე ორი გვერდითი ხეა გაწყობილი, — მთხრობლის თქმით იმისათვის, „რომ ზარი შემოკვრის დროს აქეთ-იქით არ წავიდეს. აქ მძიმე ადგილია, ნან-გრევებიც ბევრია, ეს დიდი ხატია“. საზარის სამხრეთის კედელში დატანებუ-

ლია ბრტყელი ქვა „ხევისბრის ქუდის დასადები“, იქვე დევს „ხატის ბროლის ქვა“.

ფასადის მოპირდაპირე მხარეზე სასანთლე ნიშია (ტაბ. 132 ა, ბ) სანთლის „ცრემლებით“. მის ზემოთ კედელში ჩადებული იყო ფშანტალა — ფშვნადი ქვისაგან გამოთლილი სასანთლე, ჭიქისებურად ოდნავ ჩაღრმავებული, სამი სანთლის ჩასადგმელად. თვით სასანთლე კოშკი ორფერდადაა გადახურული, ზეციდან სიპებად მთის ბროლის ქვები ადევს. დასავლეთის კედელი იქ, სადაც სასანთლეა, მიწა რომ არ ჩაიყაროს მის გასამაგრებლად კედელია ამოყვანილი.

ჭიჩოს სამი უკანასკნელი ხატის (პირცეცხლის, დედაღვთისმშობლისა და თავად მთავარანგელოზის) საზღვარზე მდებარეობს ამ ხატების საზიარო ბეღელი (ტაბ. 135, ტაბ. 136). იგი ქვა-კირით არის ნაგები, ამასთანავე ხევისბერ პ. კუწაშვილის რწმუნებით, „ეს კირი ძველებურია, რას ურევდნენ ამ კირს დღეს აღარავინ იცის. ზოგი ამბობს — კვერცხსაო“. აღმოსავლეთის მხარეს მთავარი ფასადის კედელზე კირით გამოსახულია ჯვარი. იქვე კედელში დატანებულ კარის ღიობს აქვს სიპის საშუბლე და ხის კარი, რომელიც გვერდიდან კედით იკეტება.

ჭიჩოს საზიარო ბეღელი თავისი კონსტრუქციით ხევსურული ბეღლის ტიპისაა. ამ უკანასკნელის მსგავსად, იგი გეგმაში მართკუთხა ფორმისაა და მის ორ მოკლე კედელს — მთავარი ფასადისას და მოპირდაპირე კედლებს ახასიათებს ზედა მახვილკუთხა ნაწილი, ე. წ. წვეტურა (щипец). ამ ფორმის კედლების შესაბამისად ბეღელი დაფარებულია ორქანობიანი, მაგრამ არა სადა, არამედ შვიდიარუსიან-სანაწვეთებიანი სახურავით; ხოლო მისი ჭერი შეისრული ფორმისაა.

ამავე დროს ეს საზიარო ბეღელი თავისი ფუნქციით ფშაური ბეღლებისდაგვარად ხატის პურეულის საცავი ნაგებობაა. ბეღელში ჩაშენებულია ოთხი ამბარი. მათი გვერდითი ფიცრები ნარიმანდიან სვეტშია ჩასმული. ზემოთა ნაწილში ამბრის სვეტი გამაგრებულია გარანდული ფიცრებით. ჩრდილოეთით ამბარში ძევს სპილენძის კოში და ორი სპილენძის თუნგი. აქვეა ქატოს ნარჩენი.

თავად მთავარანგელოზის ხატსა და პირცეცხლის ხატს ერთად 15 ჰა ფართობი ეჭირა.

ჭიჩოს სათემო სალოცავის სამთოებია თეკლესია და მთაწმინდა.

„სამთო სალოცავით ეკლესია ჭიჩოს სოფლის დასავლეთ მხარეს მაღალ მთაზე იყო. იქ ერთი პატარა კოშკია, სადაც ილოცავდნენ თეკლეს. ამ სალოცავს ერქვა თეკლესია. ამ თეკლესიას გოგოლაურთის მხარეზე ჰქონდა სათიბი. თეკლესია ისეთ გორზე იყო, რომ თითქმის მიჯნაც იყო ჭიჩოელ-გოგოლაურთი, ხოლო, როგორც ვთქვით, სათიბი მთელი გოგოლაურთის მხარეს იყო. ხატის ბოლოზე და აღმოსავლეთ მხარეზე ჭიჩოვლების საჯნავი და ზევით საძოვარი ადგილები იყო...

აქ ნათქვამია, რომ გოგოლაურთაკე მხარეზე მთები ჰქონდა ჭიჩოველებს. ეს მთები მათ თვითონ არ სჭირდებოდა და აქედან ვერც წაიღებდნენ თივას ჭიჩოში. ამიტომ გოგოლაურები ქირაობდნენ სათიბებს და აძლევდნენ საკლა-

ცებს. ეს საკლავები იკვლოდა დღეობებში პირცეცხლში და ერთს საკლავს თეკლესიაშიც კლავდნენ.

მარიანობას პირცეცხლის ხატის მსახურნი დროშითა და სასმლით ადიოდნენ ამ სამთო სალოცავში. სასოფლო საკლავი მიჰყავდათ და დღეობობდნენ. თეკლესიაში ადიოდნენ ხატის მსახურთ გარდა ის მლოცველები, რომელთაც რამეზე შეთქმული ჰქონდათ.

მეორე სამთო სალოცავი მთაწმიდაა. მთაწმიდა არის სულ მაღალი მთა, მისრიანთ და ჭიჩოელთ ზევით, სულ მაღალი მწვერვალია. თითქმის იქ თოვლი მკათათვეშიც არის და მარიამობის თვეში ახალსაც ჩამოსთოვს. როგორც გადმოგვცემენ, აქ ყოფილა ერთი ბერი, ზამთარ და ზაფხულს იქ უცხოვრია. ჰქონია პატარა სამლოცველო ეკლესიის მსგავსი და თვითონაც თურმე შიგ ცხოვრობდა. მისი სამლოცველოს ხეები და ფიცრები ისევ არისო უთქვამს ბიჭუა ხარაშვილს. ფიცრებიც და ხეებიც ისეთი წითელია, როგორც ცხვირთ სისხლიო. პური ამ ბერს ალბათ ზაფხულში მიჰქონდა სამყოფიო, თორემ იქ ზამთარში მისვლა ყოვლად შეუძლებელიაო. იქ ერთი ქვევრი ყოფილა, არ ვიცით წყალი ეკნებოდა შიგ, თუ ღვინო. იმისი სახელი დავიწყებულია. დავიწყებულია სალოცავის მფარველი ანგელოზის სახელიც, ხოლო მთაწმიდას ეძახიან და იმ ბერის ნადგომში კაცის მისვლა არ შეიძლებაო“.

სოფელ ჭიჩოს ძველი მოსახლეობიდან „ჩოლაურები აქედან არიან გადასული გომბორის მხარეზე. ჭამიათ ერთი ნაწილი გომბორშია, ხოლო მეორე — ომარაულში. ელყიანნი — პანკისის მხარეში გადავიდნენ, ჯღუთანნი 60 კომლი ყოფილან და სულ წასულან ქედში. ფეტვიანნი იორისაკენ წავიდნენ. მინდოდაურებიც ყოფილან წინათ, ქეშიკანიც; ჩაქიანთ ნასახლარიც ბევრია აქა. ხაზინანიც აქაურები იყვნენ, ბევრ მათგანს დახოცვია შვილები და აქვე დალეულან. თავბერაულნი იყვნენ ამანათად მოსული ხევსურები. ქეშიკანი აქედან არტანში არიან, იორზე გადასახლებული.

ჭიჩოში მცხოვრები გვარებიდან ორი კაცი დგებოდა დასტურად ერთი წლის ვადით. ისინი სადასტუროში ცხოვრობდნენ და წმიდობდნენ. არ გაივლიდნენ ნალახში, არ ჭამდნენ სხვის გამომცხვარ პურს, სასმლის დასალევადაც კი თავის საკუთარი ყანწი ჰქონდათ. მიცვალებულის ხარჯში, მიცვალებულისათვის ნალოც სასმელ-საჭმელს არ სვამდნენ და არა ჭამდნენ. წყაროებზე ტანს ხშირად იბანდნენ და ყოველ დღეობებში კელმჯარს ინათლავდნენ, მუშაობაში ოფლის მოდენა ეკრძალებოდათ, რადგან ხატი ოფლს კრთებაო. სალოცავების სანადოებს ამუშავებდნენ ნადითვე. ძნას დასტურნი ლეწავდნენ, პურს დასტურები ინახავდნენ და დღეობებში ხარჯავდნენ განსაზღვრული რაოდენობით. პირცეცხლი თურმე იყო მეტად მკაცრი და ყველას ეშინოდა მისი. ამავე დროს მას დახმარებაც შეეძლო და ხსნა თავის ყმისა ავადმყოფობისა და ხიფათისაგან“ (მთხრობელი საბედა კუწაშვილისა).

აღწერილ საკულტო შენობებთან დაკავშირებით ადგილზე შემდეგი მოგვითხრეს: „სოფლის დასავლეთით არის ჯვართა ანუ ხატნი, იმის ზემოთ, ჯვარიღელვა. იქ ხალხი ჯარდება, ბინები იქვე აქვთ. ხატის ხოდაბუნებს ნაყევრალებს ვეძახით. ხატის ტყე, ჯვართ რომ ეძახიან, იქაა, სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს, სადაც თამარის ნიშია, იმ ადგილას თამარ დედუფლის წყალია, იქვეა სადასტურო და ბეღელი. ხევისბერი ჩოლაგაური იყო მოდენილო-

ბით: წინათ კი ელყიათ სიმონი იყო. ყველა ხატის ხევისბერნი აქ შეიყრებოდნენ ჭიჩის სადასტუროში, რადგან ყველა ხატის პირდაპირ იყო ჭიჩოს სადასტუროს.

IX. გოდერძაულთ თემი

ა) პირქუშის სათემო ხატი (სოფ. ახადი)

ახადის ხატის კომპლექსს შეადგენენ. თამარღელის ხატის სადასტურო. ორი კალო, პირქუშის ხატის სამჭედლო (იორზე), პირქუშის სასანთლე, სამანი, სასვენი. ბეღელი (საზიარო პირქუშისა და ღვთისმშობლის), სალუდე (აგრეთვე საზიარო), საკვირაო კოშკი, საჯარე (აგრეთვე საზიარო), საზარე პირქუშისა. საზარე ღვთისმშობლისა, საბერო, კვრივი, ქადა-პურის შესაწირი სიპი, გალავანი, დროშათ საბრძანი კოშკი, სასაკლავენი.

გაუმოცემით პირქუში პირველად დაარსებულა აონგორს, პირიქითს, ივრის კუდებში. აქაც ახადელი ხალხი მდგარა სამოცი კომლი. მერე ახადსაც მოვიდა და დაარსდაო.

ჩვენი ახადელი ინფორმატორი კ. გოდერძაული მოგვითხრობს: „აკადის მიწა-წყლის ბოლოს, არაგვის ამაყოლებაზე ტყეში ჩანს სადასტურო თამარღელისა და ორი კალო.

სათიბი იყო თამარისი. გასთიბდნენ და გაყიდდნენ, ფულს კევისბერს მისცემდნენ. ამ ფულს მოახმარებდნენ ხატს, თუ სახურავი ან რამე სხვა უნდოდა. მერე კულუხს მოიტანდნენ და საჯარიაში დასდგამდნენ; დასდგამდნენ საყეენოს. საყეენო პატარა იყო გაკეთებული, მრგვალი ვერცხლის ჯამი. შიგ ვერცხლის გროშებს ჩაყრიდნენ და დაასხამდნენ ღვინოს. ვისაც რამდენი ჰქონდა, (იმდენ) ფულს ჩაყრიდა. ქაღალდის ფულს კი თეთრ ნაჭერზე დადებდა. ამის შემდეგ იმას უფლება ჰქონდა დაელია საყეენოდან ღვინო.

სადასტუროში ორი დასტური ცხოვრობდა ზამთარ-ზაფხულ, ეგენი ამარაგებდნენ სახატოდ რაც უნდოდათ — პური იქნებოდა, თუ სხვა; ეგენი შეინახავდნენ ბეღელში. დასტურები გალეწავდნენ, მერე დაფქვავდნენ, შეინახავდნენ — ეს მთელი წლის მარაგი იყო. სოფელი მათ პატივს სცემდა, — ზოგი წინდას მიუტანდა, ზოგი ახალუხს. ესენი კიდევ აკეთებდნენ ქსლის მასალას, — ვინც დაავალებდა სოფელი, იმას უკეთებდნენ.

იქ იყო ორი კალო, თითო დასტური თითო კალოს უვლიდა. სარები სოფლისა იყო. ხატის კურატები მთას იქით იყო, იორზე; ცხვარიც იქ იყო“.

სადასტუროს[58] მდინარესთან დიდი სწორკუთხა ნაგებობაა, ჩაქცეული ჭერით. ახლა ტყეშია, ადრე იქ ტყე არ ყოფილა. ეს რამდენიმე წელია, რაც ჩაიქცაო, მოგვითხრო გოდერძაულმა და განაგრძო: „ჩვენ ჯერ გოდერძაულები ვიყავით. პაპას ერქვა გორელა. პირქუში თავდაპირველად იორზე ყოფილა, ხორციელი იყო, აქ, ზევით სამჭედლო ჰქონია, ყაწმი უკეთებია; აქ რომ წყაროა, იმ წყაროში უწრთავ. ღვთისშვილებში ჰქონია მონაწილეობა. ისეთი საქმე გააკეთა, რომ გახთიშვილებულა (ხორციელი რომ იყო, ავადმყოფებს

[58] სოფ. ბეღელი და ყალიები თამარ-ს სახელზე ახადლების მიერ ნაგები შენობებია. ახადლებს ნაგებობა ეკუთვნოდა თამარღელისთვის ნაყენარლები, რომელთა მოსავალი აღნიშნულ ბეღელში ინახებოდა. თამარის ხატისათვის.

არჩენდა); ყვარაშინ[59] ბეღელას ეძახიან, — პირქუშისაა: იქ მიუყვანენ ზვარას, კურატებს. მარტო ყმა კი არ მივა, არამედ ყველა. მისი დღეობა არის მარიამობა. წინათ (იქ) ნიდიოდა ყველა თემის ფშაველი და თუში — საქისტაურო (შუაფხო), ცაბაურთა, გოგოლაურთა. ჩვენ ციხეგორს ვლოცულობდით. პირქუში კოპალას მოძმე იყო; ამათ ორივემ დევები ამოხოცეს. პირქუში ხელოსანი ყოფილა; საქმე რაც იყო გასაკეთებელი — ქამარი შემოსარტყმელი, თუ სხვა რამ — ყაწიმი და ვერცხლი, სულ თავად უკეთებავ, ოქრომჭედელი ყოფილა".

პირქუშის ხატი ხის ძირშია. იქ სასანთლე ნიშია, იქვეა ღვთისმშობლის ხატიც. ხატის ჩრდილოეთ მხარეზე ჩადგმულია პატარა სამანი, რომლის იქით, ხატისაკენ უწმინდურ ქალებს ეკრძალებათ მისვლა. ხატის ჩრდილოეთით არის სასვენი. ხატის სამხრეთით მოთავსებულია დიდგუები. იმ ადგილს სადაც ხატია, მთლიანად ქვია ჯვარისთავი. დიდგუბეებთან ქალები ვერ ნიდიოდნენ. კალო ზევით არის. სადასტურო იყო აქაც და თამარ ნეფისა კი თამარ ნეფის საყდართან. წლობით იყვნენ იქ (დასტურები). იქვე მამულებია თამარ ნეფისა. ბეღელი აქ ორივე ხატისა საერთოა. სალუდე ჩაქცეულია, პირქუშისაც არის და ღვთისმშობლისაც, საზიაროდ ორი ქვაბია იქი; ერთში 9 ფუთი ქერი დუღდა. წნიდისაგან ქადა-კვერეებს და კეცეულებს ვაცხობდით. ქალწული ქალები იყვნენ აქ, ახალგაზრდა ქალიშვილები. ხალხის არჩეული იყვნენ ესენი, 14—15 წლისანი. ამათ ეყოლებოდათ ვინმე ვინც ასწავლიდა, ბებია ან სხვა დედაკაცები. აქ არჩეული ქალწული ხუთ-ათი იქნებოდა, რომელიც შორიგეობდა.

დღეობაში თავს მოიყრიდნენ ახალგაზრდები, მოხუცები, ვისაც ფეხზე დგომა შეეძლო. ახმეტიდან მოიტანდნენ კულუხს, ხილს და მხიარულობდნენ. ეს ახალგაზრდა ქალები როცა დღეობა მოდიოდა, მხიარულობდნენ და ეხმარებოდნენ ხატში.

აქ ეს დღეობები ვიცოდით: თავი დღეობა, აღდგომა ამაღლება, კვირიაობა (აღდგომის სწორზე), — კვირიაობას საკვირაოში მოდის ბევრი ხალხი; კვირიჯვრობა, სერობა-საღმერთობა (კიდევ ათენგობა ქვია უკანაფშავში), მარიანობა, გიორგობა, შობა, ახალწელიწადი. ქალწული ქალები რომ ვთქვათ, ყველანი მუშაობდნენ.

ეგ ბეღელი სავსე იყო. იქ ამბრები იყო, წმიდაც იყო იქ და ქერიც. ესლა ბეღლის კედლები დაუწვიათ და აღარ არის შიგ პურეული.

დასტურობა რიგით იყო, თითო წელს ორი კაცი. აქ ადრე მაცხოვრებელი 100 კომლამდე იყო.

ქვემოთ რომ სადასტუროა, ის თამარ ნეფისაა. თუ კაცის მკვლელი იქნებოდა, იმას დასტურად ხატი არ დააყენებდა. ჩვენები კი აქ ჩადიოდნენ სადასტუროში, შეიძლებოდა რომ მეორე წელსაც იგივე დასტური აერჩიათ. ზამთარ-ზაფხულს აქ ატარებდა დასტური. აქ უნდა მოეტანათ მისთვის საჭმელიც და სასმელიც ერთი წელიწადი, სანამ დასტურობდა".

საქვაბეს დასავლეთიდან ეკერის დაფარებული საჯარე, რომლის ცენტრში კულაა. კულის აღმოსავლეთის მხარეს ხევისბრების სადგომი ყოფილა. „ამ ადგილას საჭევისბრო ჰქვია. კულას დასავლეთით რომ ადგილია, იმას კი საჯარე ეწოდება. ჭევისბრების მხარეს ჩვენი გადმოსვლა არ შეიძლებოდა. თუ

[59] ყვარას შესახებ იხ. ქვემოთ.

ჭევისბერი ეტყოდა. მარტო მაშინ. ჭევისბრებს სუფრა კი ცალკე ჰქონდათ საჭევისბროში. კულაში დასავლეთით (საჭევისბროს მხარეს) ორი ნიშია — ერთი სასანთლე და მეორე საუნჯის შესანახი. საჯარე საზიარო იყო ორივე ხატისა.

ერთი საზარე პირქუშისაა, ქვემოთ მეორე საზარეა, ის ღვთისმშობლისაა.

აქვეა ცალკე შენობა „დროშის შესანახი" ანუ საბერო, სადაც ჭევისბერი ცხოვრობდა. თუ შინ არ მოისურვებდა. ამას ჭევისბერის სახლსაც ეძახდნენ. ვისაც ჭევისბერი დაპატიჟებდა, მარტო იმას შეეძლო იმ სახლში შესვლა. იქ ჰქონდა გამართული ჭევისბერს ლოგინი, მოსდიოდა სოფლიდან საუკეთესო საჭმელი: აქ ჩასაცმელი ტანისამოსი ცალკე ჰქონდა; დაიბანდა და ისე მოვიდოდა".

სახევისბროს დასავლეთის მხარეს გალავანია. მის გარეთ კი ბილიკია „საჭევისბრო".

ქვემოთ პატარა საჯარე ყოფილა გაკეთებული, პირქუშისაა. ახლა ნაშალია.

ხევისბრის სახლის სამხრეთ-დასავლეთ მხარეზე არის კვრივი ეს შემნახავი იყო თასისა.

აქვეა ეს მეორე საზარე ღვთისმშობლისა.

ექვსსანაწვთიანი სასანთლეს მარცხნივ ქადა-პურის საწყობი სიპია, სადაც სოფლიდან მოტანილ ქადა-პურს აწყობდნენ. საზარეცა და სასანთლეც — ორივე, გალავანშია მოქცეული.

დასავლეთის მხარეზე, ქვევით არის ნიშიანი კოშკი, — ეს არის დროშათ საბძანი. აქვე ქადა-პურსაც აწყობდნენ. აქ იტყოდა ჭევისბერი დიდებას და დროშას დაბძანებდა — ეს ღთიშობლისაა, პირველად აქა ყოფილა აკადის ხატი და მერე რომ გადასახლდნენ იორზე, ყვარას ზემოთ, ბეღელას — იქ წაიღეს ამ ხატის ნიში.

ჩემ მოსწრებას აქ საყდარი იყო, დედაკაცებს ჯვარი უწერებავ. ღვთისმშობელი და პირქუში ერთმანეთის მოდე-მოძმენი არიან. ბავშვი ღვთისმშობელში გაგვყავდა და იორზეც, მარიანობას. ქალებს ღვთისმშობელში გავიყვანდით: ბიჭი კი გაგვყვანდა მთავარი ხატი სადაც იყო, ბეღელაში. აქ აკადში სერობას ვიცოდით ქალების და პატარძლების გაყვანა, იქ კი მარიანობას; იქ თურმე სულ ურემით უდენავ ხალხს.

ს ა ჯ ი — ათი-თორმეტი პური დაეტეოდა, ნაცარს დაყრიდნენ, გაახურებდნენ, ზედ ცომს დააკრავდნენ და გამოაცხობდნენ ქალწულები; კეცეულ საჯზე ცხვებოდა, მრგვალი იყო, გულიანი — ახალ ხაჭოსა და ყველს აურევდნენ ერთმანეთში გულად, ზოგი კი კარტოფილს ურევდა. მაგრამ ხატში კარტოფილი არ შეიძლებოდა. ქადები დიდი იყო, კვერები კი პატარები. ორივე ერბოიანი.

საკადრესები კურეტს რომ მოიყვანდნენ, იმისია.

სასაკლავენი ადგილს ჰქვია, სადაც ჭევისბერი საკლავს დაკლავს. ჯერ მოიჭსენიებს, რისთვისაა შეთქმული. დაიჭერს პატრონი თავის საკლავს და ჭევისბერი მოჭრის თავს. თუ სანათლავია, მაშინ საკლავის სისხლს შუბლზე წაუსვამს".

ხატის ტერიტორიაზეა ღვთისმშობლის საყდარი და სასაფლაო. საყდარში არის ტრაპეზი.

საკლაეების სახოცი სხვაგნით რომ მოდიოდნენ, იმათთვის წყლის გაღმაა, მეორე მხარეს.

ხატიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ მდებარეობს ხოშარის სახუთმეტოს ბეღელი.

„ჩვენ ასე ვიცოდით თქმა: ლაგვჩეგორის ანგელოზო, დედაო ღთიშობელო, შენ უშველე მიმდინარ-მომდინარსა მგზავრსა, მთის იქით გადამსვლელ-გადმომსელელსა. დალოცვილო მთაწმიდის წვერის ანგელოზო, შენც გაგიმარჯოს (ლაგვჩეს იქითაა, იქ ერთი ბერი ყოფილა ზამთარში), გაგიმარჯოთ მთაწმიდისა და ლაგვჩეგორის ანგელოზო. მოდე-მოძმენი რომელნიცა ხართ.

მანდ ხატობაა ამაღლების შაბათს. ,ახეთის ხალხი იქიდან გადმოდიოდა და იქ გაათევდნენ. თუ დოღი იცოდნენ, ყაბახს დასდგამდნენ, ცხვარს ან ფულს შეუსახელებდნენ და ვინც მოასწრებდა, იმისი იყო რასაც დასდგამდა მკვდრის პატრონი. ეს სერობას სცოდნიათ. ჩვენ სერობას ვიცით აქ ასვლა საკლაკით.

კომლების შესახებ ასეა. გოდერძაულები გადასულნი არიან შირაქში, საკობიანოში (ახეთი), ჩეკურაანთგორში (თიანეთის ახლოა, ერწოსთან სიონში). ხელაშვილი საერთო საგვარეულოა, ხელა ყოფილა ერთი მძლავრი და მერე დაიწერა გვარად. გორელაშვილებიც და ხელაშვილებიც გოდერძაულებია. ხელაშვილი იმიტომაა, რომ ხელა ერქვა კაცსა, ესეც გოდერძაული იყო. ეგ ხელაშვილები წავიდნენ, — ზოგი დაიხოცა, ზოგი ქედში ცხოვრობს, ლაფანყურში.

ჭორაშვილები შალიკაურნი არიან. ჭორიანები ყოფილან. კაცს რომ დაინახავდნენ, დაჭორავდნენ. შალიკაური კიდევ შავ კაც ყოფილა, ფინთი, ისი ყოფილა ურწმუნო, — არც და, არც ძმა, არც ნათესავი სწამებია. მე მოვესწარ როცა დიდ-ჯევისბრები სუფრას რომ გაშლიდნენ, ხელწმიდა კაცების შესანდობარს ვერცხლის თასებით დალევდნენ და შალიკაურზე კი იტყოდნენ — მოღალატეა სოფლისაო. ისინი არც გამრავლებული არიან, ისინი კინთაში არიან წასულნი, თიანეთის მახლობლად. ეს ხალხი მერე და მერე სულ სიღარიბეში მიდიოდა.

ბერიშვილებიც იყვნენ ნამდვილი გოდერძაულები. მაგათი ძველი გვარი ესაა, — ზოგი დაიხოცა, ზოგი წავიდა ახმეტის თავში, ინგეთს.

ჭრელაშვილებიც არიან გოდერძაულნი. ჭრელა-კულალაღაშვილები — ეგენი ბიძაშვილებია; ერთი ჭრელო და მეორე კულალაღა იყო. ამათი უფროსი ძმა იყო გეჯურა. ის გოდერძაულ გვარს ატარებდა. ეგ კულალაღას მამაა, ჯევ-ისბერი რომ იყო. ჭრელაშვილის მამა მგელუა იყო, კუპაჭიას ეძახდნენ, — ესეც გოდერძაული იყო გვარად. პატარა კაცი იყო, კუპაჭია იმაზე დაარქვეს.

ლომნიაშვილები ნამდვილი გოდერძაულები არ იყვნენ. წინაპარი მაგათი მოსულა აქ. ისინი უკანაფშავში ყოფილან გადასახლებულები. ესენი ამირანაშვილებია, მაგათი გვარი რაიბულანი ყოფილან. ლომნიაშვილების ძველი გვარი რაიბულაშვილი იყო. დაიხოცნენ ეგენი.

ძროხელაშვილები გოდერძაულები არიან. ჩვენი მკვიდრი ბიძაშვილებია; თიანეთის ახლოს არიან, ჩეკურაანთგორს. იმათი მოგვარეები, გორელაშვილები ქედში არიან. ზოგი ღარიბაშვილობით იწერება ძროხელაშვილებისა, ზოგი ბიძაშვილია ამათი. გორელა პაპაჩემი იყო და გვარი დარჩა გორელაშვილი.

ქერჩო (ელიზბარი) თავკევისბერი იყო ლაშარის ჯვარისა, ქერჩოს შვილზე თუ იტყოდნენ ქერჩოშვილი; ისე, სხვა არ გამიგონია. ქერჩო არაფერს ნიშნავს, ხალხის ჭორია.

ყველუკმელაშვილის ძირითადი გვარია გოდერძაული. აკადლები არიან, ბიძაშვილია. გვარეულია გორელაშვილისა, გოდერძაულობით იწერება.

ჩეკურაშვილები — ეგენ უკანაფშავში იყვნენ, არ არი გოდერძაული. ჩეკურათ ეძახდნენ, ეხლა აღარავინაა იქ. გადავიდნენ ფშაველში (კახეთი).

ბურკვაშვილები — საგოდერძაულოა ძირითადი გვარი, გადავიდნენ საკობიანოში (კახეთს), შეიძლება სხვაგანაც იყვნენ.

ბობღიაშვილები უკანაფშავშია, მარტო ერთი ქალია აქ, ნინო, — აქ დარჩა. მამა დაეღუპა, მისები გომბორს გადასახლდნენ, ეს აქ დარჩა.

მაჩურიშვილები გერად მოყოლილები იყვნენ. მათურიდან მოჰყვნენ მაჩურათ კაცს. გათავდნენ.

გოდერძაულები ძირად ირანიდან ყოფილან. თათარი გამოქცეული, გოდერძი ჰქვიენებიც და იმის გვარზე დაწერილან. მაშინ აქ არავინ ყოფილა ხალხი, მემრეა აშენებული ეს ხატები, გოდერძის მემრე.

პირქუში გოდერძაულებისაა. იორზე რომ არიან, აქედან რომ გადასახლდნენ იქ წაიღეს ხატი და მთავარი ხატი ახლა იქაა. ღთიშობლის ხატი აქაცაა, ყველგანაა. ლაშარის ნიში არ არის. პირდაპირ ლაშარში დავდივართ, თამარშიც. აქ თამარის ხატისა მხოლოდ სადასტურო გვაქვს და კალოები.

პირქუშსა და ღთიშობელში თავკევისბრად ყოფილა მარხა გოდერძაული. ჩვენ ახლოს კი არ იყო, ჩემ მამა-პაპათი; სხვა იყო. იმას მერე ჟულაკა იყო. მაჩურათ კაცს შვილები დახოცია, ჟულაკას არავინ დარჩენია. მაჩურის შვილს გაუზდია ეს ბალღი, მათურელი იყო ეს მაჩურა. დისწულებმა წაიყვანეს. მაჩურა ისეთი კაი კაცი, ისეთი ენა ჰქონია, კაი სიტყვა-პასუხიანი. ერთი ქალი ჰყოლია, ვაჟი არა. აღარავინ იყო იმისი მოსადეგარი და სხვა გვარიდან მოიყვანეს.

ჭევისბრები წინათვე ჭევისბრის სახლში დგებოდნენ, მარაგი უნდოდათ, შენა და სხვ. აქ უნდა ჰქონოდათ ყველაფერი. აქ იყვნენ ჭელწმიდა კაცები. ერთი იყო ხელაშვილი ზურაბი, ერთიც ელიზბარი — თავკევისბერი, მესამე იყო ბერიძე, მეოთხე შალიკაური ელიზბარი — ესენი იყვნენ თავკევისბრები, ესენი უბრძანებდნენ თანაშემწეებს — ესა და ეს გააკეთეო; წლის ბერები არ გამიგონია. დასტურებზე ვიტყოდით ლუდის მდუღეაო, ესენი დიასახლისებს დაუძახებდნენ, დაიხმარდნენ.

მეთასგანძეობა მთავარ ჭევისბერს ებარა. ცალკე მეთასგანძე არ იყო. თუ ის ავად იქნებოდა, ვისაც ენდომებოდა, იმას ეტყოდა. ხატის ფულიც თავკევისბერს ებარა, უნჯიც იმას ებარა. მედროშაე მთავარი თავკევისბერი იყო. თანაშემწედ იყო მესანთლე ხევისბერი. თუ მესანთლეს არ ეცალა, მაშინ ის იქნებოდა მესანთლე, ვისაც თავხევისბერი უბრძანებდა. სუფრას თანაშემწენი გააწყობდნენ. ამათ უცროსი ჭევისბერი ერქვა, — ესენი 3—4 მაინც იქნებოდნენ. პიროფლიანს ლაშარის ჯვარში იტყოდნენ. ყველა ხატში იცოდნენ მათი მოხსენიება, ეგენი გმირები იყვნენ“.

ციხეგორის კოშკი და ხატის კალო. სოფელში, მეკომურთა მახლობლად ციხეგორის კოშკია, გვერდით პირქუშისა და ღვთისმშობლის კალო. კალოს

მოპირდაპირე მხარეს ხატის ფერდობი ღვთისმშობლისა და პირქუშის ხატების ხოდაბუნებს უპირავს.

ბეღელი. ხოდაბუნების ბოლოს, ხატის მიწაზე მოთავსებულია ორივე ხატის ბეღელი, ქვა-კირით ნაგები, ცხრაიარუსიან-სანაწვთიანი, ოთხფერდა სახურავით, რომლის ფასადი დასავლეთის მხარეზეა, ჩვეულებისამებრ კარი მუხისაა, ხის ორი ლურსმნით შეკრული და საკედით დაკეტილი. შიგნით ბეღლის ჭერი წარმოადგენს დაბალ პრიმიტიულ გვირგვინს; ამბრებიდან მხოლოდ ერთი ძელიღა შემორჩენილა კედლებს შუა. იატაკზე მოსხმულია კირი მინდვრის თაგვების საწინააღმდეგოდ. ბეღლის კარზე ბრტყელი ფიქალი ქვები ყრია.

სალუდე. ბეღლის მახლობლად, სამხრეთის მხრიდან მწკრივად ჩარიგებულია შვიდი იფნის ხე, — უეჭველია, ხელოვნური ნარგავებია. ამათგან სამხრეთით რაღაც ნაგებობის ნაშთია. რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით მდებარეობს მოგრძო სწორკუთხა ფორმის ყორით ნაგები სალუდე. სამი მხრიდან მის გვერდები მიწაშია ჩასმული, ორფერდა ყოფილა, გადარჩენილა თავხის, გვერდითი ხისა და კოქების ნაწილი, აგრეთვე ნაშთი სანაწვთიანი გადახურვისა. სალუდეს კარი ჩრდილო-დასავლეთიდან აქვს. სამხრეთ-დასავლეთის კედლის კუთხე და სამხრეთის კედლის 3/4 უპირავს ყორის „საქობე"-საცეცხლურს, რომელშიც ჩასმულია უზარმაზარი სპილენძის ორი ქვაბი. ჩრდილოეთის კედელთან არის ისარნა, აგრეთვე სპილენძის ფურცლებით შეკერილი. სამხრეთ-დასავლეთის კედლის სალუდე შეერთებულია დაფარებულ საჯარესთან.

დ ა ფ ა რ ე ბ უ ლ ი ს ა ჯ ა რ ე გეგმაში სწორკუთხა ნაგებობაა, რომლის ცენტრში აგებულია კულა. საჯარის დასავლეთის ნაწილი კულამდე ხევისბრების მხარეა, მათი სადგომი, ხოლო აღმოსავლეთის მხარე საკუთრივ საჯარე ადგილია, რიგით მეთემეთა ჯარი აქ კულას ვერ გასცილდებოდა. კულაში დატანებულია ორი მცირე ზომის ნიში. მათგან ერთი სასანთლეა და მეორე თასების სათავსო. დასავლეთის კედელში, ჩრდილოეთის კედლის მახლობლად კარია გაჭრილი. მეორე კარი სამხერთის კედელშია, დასავლეთის კედლის კუთხესთან. აღნიშნულ კართან შიგნიდან სახორცე სიპია მოწყობილი. გარედან კარის მახლობლად კედლის ამავე წყობაში დატანებულ ქვაზე ამოკვეთილია სამი ჯვარი. იქვე, კედლის გასწვრივ ქვის სკამებია. მსგავსი სკამები ჩარიგებულია დაფარებულ საჯარეში, ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლების გასწვრივ.

სასანთლე კოშკი. საჯარის მახლობლად, მისგან სამხრეთის მხარეს პირქუშის ხატის სასანთლე კოშკია. სასანთლე კოშკს აქვს სამსართულიანი ნიშები. ზემო ნიშში საზედაშე ბოთლები აწყვია, შუათანაში ქადა-პურები, ქვემო ნიში სასანთლეა. კოშკს თავზე ირმის რქა ადევს.

საზარე. აღნიშნულ ნაგებობათა სამხრეთით საზარეა. საზარე ქვა-კირით ნაგებია. დაფუძნებულია ოთხ მრგვალ სვეტზე. სვეტები შეკრულია გვირგვინისებურად მოყვანილი თაღით. მის ქვეშ სვეტზე გადებულ ხეებზე ჩამოკიდებულია დიდი ზარი. ზარზე წარწერაა მხედრული ხელით: „ქ შემოგწირეთ ეს... ზარი ჩვენ ახადელთა სოფელმა თავარმოწამეს და ღვთისშობელსა მწარიას უფროსობაში გაკეთდა:... დავთასი და ხუმარასი: სოფლის: სამწყალობნოდ".

ს ა ხ ე ვ ის ბ რ ო, ხევისბრის სახლი მდებარეობს საზარე კოშკის სამხრეთით, დიდი სწორკუთხა ფორმის მშრალად ნაგები შენობაა, რომელიც ორფერდა სახურავით გადახურული უნდა ყოფილიყო. მისი კარის ღიობი დასავ-

ლეთის კედელშია. აღმოსავლეთის კედელში ოთხი ნიშია დატანებული. ერთში ჩვენ, იქ ყოფნის დროს ორი თასი იდგა. თავზე და შუაბოძი ჩანგრეულია. ქვის სკამები ჩანს სამხრეთის კედლის გასწვრივ, შესავლის მხარეზე, ქვის ყორითაა ნაგები სახევისბროს კარი, რომელსაც ყორის დაბალი გალავანი აქვს შემოვლებული. მახლობლად არის რაღაც შენობის ნაშალი.

კვრივი. სახევისბროს სამხრეთ-დასავლეთით კვრივია, ამ რიგის კოშკებისათვის საკმაოდ მოზრდილი ნაგებობა. კვრივის წყობაში აღმოსავლეთის მხარეს დიდი, სწორკუთხა სასანთლე თუ სათასე ნიშია ამოყვანილი. კვრივს ჰქონია მაღალი სანაწვთიანი თავხურვა, რომელზეც დროშას აყუდებდნენ.

ხატის წყარო და ხემხვივანნი. აღწერილ კომპლექსს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ხევი ესაზღვრება. მახლობლად ხატის წყაროა და იქვე პირქუშის ხატის სასანთლე კოშკი.

ხატის ნაგებობებს შორის კვლავ ხემხვივანთა რიგია, — თითოობით ერთიმეორის გვერდით ორ წყებად ჩამწკრივებულია იფნის ხეები.

საზარე. სამხრეთ-დასავლეთით საჯარედან ღვთისმშობლის ხატის საზარეა — მასიური სწორკუთხა ფუძეზე აღმართული სვეტებით, რომლებიც შეკრულია თაღით და ოთხფერდა ექვსიარუსიან-სანაწვთიანი სახურავით. სვეტებზე გამაგრებულია ძელი, რომელზედაც კიდია ზარი, შეწირული თეთრი პერანგით. ზარს აქვს შემდეგი წარწერა: „შემოგწირეთ ეს ზარი ჩვენ ერთობით სოფელმა ღვთისმშობელს ეკლელელისიასთვისთვინ სამწყალობნოთ აჯადელთ წელს ჩყლგ კულალაშვილს ბერის თომას“.

სამსხვერპლო, სასაკლაო, კერა. საზარეს დასავლეთ მხარეზე მდებარეობს ქადა-პურის საჭრელი სიპი (სიგრძე 1,67 მ საჯდომი ქვა — 80 სმ) და ხევისბრის საჯდომი ქვა. იქვე ხეზე ჩამოკიდებულია საკადრისები. გვერდით „კერაა“ (ორი სიპი, მათი სიგრძე 1,39 მ) ბოთლებისა და პურის დასაწყობი; ორი ნაბიჯის დაშორებით სასაკლაოა), სადაც იკვლება საკლავი.

ეკლესია და სასაფლაო. ჩრდილო-დასავლეთით არის სასაფლაო, საფლავის ქვები და ღვთისმშობლის ეკლესია, რომელიც ყორითაა ნაგები. მისი კარი დასავლეთის მხარეზეა. შიგ არის კანკელი. ეკლესიის სახურავი ორფერდა ყოფილა, ამჟამად ჩაქცეულია.

სასაკლაო და სამანი. ხატში ზემოთ გზასთან, საიდანაც შორეული მედღეობენი მოდიოდნენ, არის მათი სამსხვერპლოების საკლავ-სახოცი სიპი და სამანი იმის აღმნიშვნელი, რომ ქალს ამას იქით აღარ მიესვლება.

ბ) სასოფლო ხატები

1) ჭეხის ანგელოზი (სამთო საღოცავი).

სოფლის თავზე არის ბექი და ბექის თავზე ერთი პატარა კოშკია ჭეხის ანგელოზისა. აქ ტყე არ არის (M^1, 83, რვ. 43, გვ. 515).

2) ღვთისმშობლის ხატი (სოფ. ახადი).

ღვთისმშობელი აქვე სოფლის ბოლოშია, პირქუშის მარჯვეს. ღვთისმშობელი იგივე ადგილისდედაა. მასთან კოშკია, სადაც სწირავენ ფურთნაათვრის ქადას, ზვარას და სხვა (M^1, 83, რვ. 43, გვ. 515).

ა) კოტიას წმიდა გიორგის სათემო ხატი (წითელაურთა, კოტიას გორი)

წითელაურთის თემი შედგება სამი პატარა სოფლისაგან: ჭეშესი, ნაკვალესავისა და ქინოსაგან. აქ ძველიდანვე წითელაურები ცხოვრობდნენ, ამ საგვარეულოს შთამომავლობის განაყოფებიდან წარმომავლობენ შემდეგი გვარები: გულბათანი, იგივე გარანი, ჩოფანნი, ბაიდაურნი, მოკვერანი, გამიანი, ჭოლიკნი და ჩიანი.

წითელაურის სათემო კოტიას წმინდა გიორგის ხატი გაშენებულია მაღალ მთაზე 2370 მ სიმაღლეზე, სოფელ ჭეშედან ოთხიოდე კილომეტრის მანძილზე.

კოტიას კომპლექსში შედის სამნათეო (ტაბ. 141 ა, ტაბ. 145 ა, ბ, ტაბ. 146) — ორფერდა გადახურვის მქონე მშრალად ნაგები შენობა, რომლის ფასადი დასავლეთის მხარეზეა. ფასადის წინ მარცხენა მხარეს საჯდომი სიპებია გამართული, მარჯვენა მხარეს კი იწყება „აივნის" კედელი. სამნათეოს ჩრდილოეთის, სამხრეთის და აღმოსავლეთის კედლები გარეთა მხრიდან მიწაშია ჩამალული. შესასვლელის წინ ორი დიდი სიპი ქვა ძევს მიწაზე.

შიგნითა მხრიდან სამნათეო წარმოადგენს შესასვლელის მხარეს სწორკუთხა, ხოლო აღმოსავლეთის მხარეს აბსიდის ფორმის შენობას, რომლის ცენტრში კულაა აღმართული. კულის შუაში, კარის მხარეს გამოწეული სიპია, კულის თავზე კი თავხეა გადებული. თავხე ბოლოებით კარის თავსა და აბსიდის თავს ეყრდნობა. მასზე კეზებია გადებული, მათზე კი სიპი ქვებია დაწყობილი. კარის ზღურბლი ნახევარი მეტრით მაღალია მიწაყრილ იატაკზე. კარები ჩამოხსნილია და იქვე ძევს. აღმოსავლეთის კედელი აბსიდის ფორმისაა და თავხის ქვემოთ ამ კედელში ორი სარკმელია დატანებული, რომლებიც ერთმანეთისაგან სამი თლილი ქვითაა გაყოფილი. ამ სარკმლების ქვემოთ მიწაზე ორი სიპისაგან გაწყობილია ამაღლება. აბსიდის ორი მხარე უფრო სქელია, ვიდრე მოპირდაპირე სწორი კედლები (სამხრეთისა, ჩრდილოეთისა და დასავლეთისა) და მათგან გამოწვეულია. აბსიდის კედელში სარკმლებს ქვემოთ მიწა და ხის ძელებია დაყოლებული. საერთოდ ის მხარე, რომელიც კულის უკანაა და აბსიდით სრულდება, უფრო ამაღლებულია, ვიდრე იატაკი შესასვლელის წინ.

აბსიდის დასასრულიდან ჩრდილოეთის კედელი ყრუა ჩრდილოეთის კედლისა და აბსიდის ჩრდილოეთის მხარის ერთმანეთში გადასვლის ადგილზე მოთავსებულია სიპებისაგან აწყობილი დაბალი ნიში, დაახლოებით კედლის სიმაღლის ნახევარზე, რომლის წინა მხარე შესავალ კარს გასცქერის. სამხრეთის სწორ კედელში კარებია, რომელსაც აივნისებური ფორმის თავგადახსნილ სათავსოში გავყავართ. ეს აივანი გარეთა მხრიდან მთელ სიგრძეზე დაყვება სამხრეთის კედელს.

დარბაზის წინ მდებარეობს საზარე (ტაბ. 141 ა, ტაბ. 142), რომელიც წარმოადგენს მიწაში ჩასმულ სამ ხის ბოძზე ჩამოცმულ თუნუქის ფურცლებისაგან შეკერილ გუმბათს; მასზე ნახევარბუნია დაკბილული ნაპირებით და ჯვარი ორი ბურთულით. აქ ჯაჭვზე კიდია პატარა ზომის ძველებური ფორმის ზარი

წარწერით: „ქ შემოკწირე მე შ- ის დედამა თამარმა ზარი ესე შენ კოტიას ჯვარს ჩემი სული გებრალებოდეს“.

დარპაზის ანუ საშენთეოს და საზარის წინ მდებარეობს სასანთლე კოშკი (ტაბ. 143). რომელიც წარმოადგენს ქვა-კირით ნაშენ მართკუთხა ფორმის ნაგებობას ორფერდა ექვსსანაწვთიანი სახურავით. მისი ფასადი სამხრეთ-დასავლეთის მხარეზეა. შუა კედელში გამართულია სასანთლე ნიში. ნიშის ქვედა და ზედა სიპი ოდნავ წამოწეულია კედლიდან და შიგ სანთლის ცრემლებია შერჩენილი: იქვე ძევს ნიშის მისაფარებელი სიპი.

სასანთლის ცოტა ქვემოთ საბეროა (ტაბ. 143) მოთავსებული. ადრე ის წარმოადგენდა ორფერდა სახურავის მქონე მშრალად ნაგებ შენობას. მთავარი ფასადით ჩრდილო-დასავლეთის მხარეზე. ამჟამად ამ შენობიდან მხოლოდ კედლებია დარჩენილი. შესასვლელთან კარის თავზე ჯიხვის რქებია და მთის ბროლის ქვა ძევს. შიგნით შუა ადგილას თაღხისა და სხვა ხეების ნაწილები ყრია. ჩრდილო-აღმოსავლეთის კედლის კუთხეში ორი დიდი სიპია დაბანებული.

კომპლექსი გალავნითაა შემოსაზღვრული. გალავნის გარეთ, დასავლეთის მხრიდან პატარა სასანთლე კოშკი მდებარეობს. მისი ნიში დასავლეთს გადაჰყურებს. იგი სიპითაა მიფარებული. ნიშში აღმოჩნდა ერთი თეთრი საკადრისი და სამი ფეხი სანთელი თავისი ცრემლებით.

გადმოცემა მოგვითხრობს: „კოტიას წმინდა გიორგი რომ პირველად გადმოუშვია დამბადებელს და მოსულა ღვთისშვილთ ყრილობაზე, ღვთისშვილთ ის არ მიუღიათ. — შენ რის გამკეთებელი ხარ, რომ აქ მოხვედრო, უთქვიათ.

კოტიას წმინდა გიორგიმ მიუგო: მე დამბადებელმა ღმერთმა მომილოცა დიდ ჭირთან ბრძოლა და გადასხვავება. ჩემთ ყმათ შორის თუ ჭირი რაიმე გაჩნდება მე გადავასხვავებ, ღვთისა და ღვთისშვილთ ორგულ-მუხანათებზე გადავიტან და ერთგულ მლოცავთ დავეხმარებიო. უთხრეს ღვთისშვილთა: ვინა გყავს მოწამე. რომ დამბადებელმა ეგ მოგილოცა და დიდ ჭირთ გადაასხვავებ. რით დაგვიმტკიცებ, რომ შენ აქ მოგცა საარსო ადგილიო. კოტიას წმინდა გიორგიმ უპასუხა: მე როცა დამბადებელმა ეს მომილოცა, მაშინ იქ იყო გოგოლაურთის მთავარმოწამე და ის მიმოწმებსო. დაიბარეს ღვთისშვილებმა მთავარმოწამე და კითხეს: შენ რა იცი ამის შესახებო. მთავარმოწამემ უმოწმა: ამას როცა დამბადებელმა დიდ ჭირთან ბრძოლა მიულოცა და გამოუშვა, მაშინ მე იქ ვიყავიო. ღვთისშვილთ ერთხმად წარმოსთქვეს: „იდიდოს მთავარმოწამე, რომ ამაში დაგვარწმუნა!“. შემდეგ კოტიას წმინდა გიორგის მიუბრუნდნენ და უთხრეს: „იდიდოს შენი სახელიცა, რომ დამბადებელმა ეგეთი ძალა მოგანიჭა! შენ კოტიას მაღალ მთაზე დაარსდი და იქიდან, თუ რაიმე ჭირი გაჩნდა, იმას ებრძოლე, იქ უფრო წმიდად იქნები და ძალასა და დიდებას მოგემატებაო“. მას შემდეგ კოტიას წმ. გიორგი იქ, კოტიას მთაზე დაარსებულა. პირველად მარტო იქ იყო დაარსებული, მაგრამ ზამთარში, დიდ თოვლში ყმანი იქ ვერ მიდიოდნენ. ამიტომ კოტიას მარტო ერთხელ, ათენგენას წავიდოდნენ ბოლმე სალოცავად, ამასთანავე დიდძალი მლოცავი მიდიოდა. მოგვიანებით კოტიას ხატი მოძმე გახდა უკანა ფშავის წყაროსთავ წმიდა გიორგისა და ათენგენას უკანასკნელის დროშით მისი ყმანი და ხატის მსახურნი კოტიას მთაზე, კოტიას წმიდა გიორგის ხატში ადიოდნენ.

ათენგენა ჯერ წყაროსთაულში იმართებოდა, აქედან დაბრუნებული მლო-

ცავი კოტიაში წავიდოდა. წავიდოდნენ ისინი, ვისაც კოტიას სახელზე შეთქმული ყავდათ ზღვენი, კურატი თუ სხვა. წყაროსთაულის მლოცავი არცთუ ბევრი დარჩებოდა კოტიას წაუსვლელი. პირველად ფერჯისით გაემართებოდნენ წყაროსთავიდან და მერე დროშა გაუძღვებოდათ წინ და მლოცავიც თან გაყვებოდა. ამავე დროს ნაკვალესავის დროშასაც ააბძანებდნენ და იქიდანაც გაემართებოდნენ კოტიისაკენ ხატის მსახურნიც და, თუ ვინმე მლოცავი იყო, ისიც. კოტიას ხატში ისეთი კაცი არ წავიდოდა, რომ ან საკლავი არ მიეყვანა და ან სხვა შესაწირავი არ მიეტანა...

დროშები და ხალხი ავიდოდა კოტიას გორზე. ამ გორზე კარგა დიდი მოედანია, იქ ერთ პატარად ამაღლებულ გორაზე კოშკი იდგა და ამ კოშკში სასანთლე იყო მოწყობილი. მლოცავები მოედანზე ცხენებიდან ბარგს ჩამოხდიდნენ და თავ-თავისთვის ბინას დაიდებდნენ. ჭევისბრები დროშებს ერთმანეთს შეახვედრებდნენ, ერთი დროშის ჯვარს მეორის დროშის ჯვარს დაამთხვევდნენ კოცნის ნიშნად. ჭევისბრებიც ერთიმეორეს ჭელს ჩამოართმევდნენ და გადაკოცნიდნენ. დროშებს კოშკზე მიაბრძანებდნენ და დაამწყალობნებდნენ კოტიას წმიდა გიორგის ყმათ: „სწყალობდესთ კოტიას წმიდა გიორგი თავის ყმათა და მიმყოლ-მომყოლ მლოცავთა! ხთისაგან მოლოცვილი აქვს ძალა ღა გაშოროსთ. თავის ძალითა და შეძლებით ჭირი და სნეულება. ბევრი ყავს დალოცვილსა მტერი და მუხანათი. იმათზე გადაიტანოს თუ თქვენ რამე გეხედრებოდესთ". მერე პირველად სადიდებულო თასებს დასდგამდნენ სამსა, ლუდით აავსებდნენ, სანთელსაც აანთებდნენ სამფეჯს და ნაკვალესავის ხევისბერი ადიდებდა კოტიას წმიდა გიორგის, ამწყალობნებდა ყმათა და მიმყოლ-მომყოლ მლოცავთა. სადიდებულოს დასტურ-ჭევისბრები დალევდნენ და მერე იქ დამსწრეთ ყველას დაალევინებდნენ კოტიას წმიდა გიორგის სადიდებულოს და იმის ყმათ სამწყალობნელოს, აგრეთვე მიმყოლ-მომყოლ მეზღვნე მლოცავთ. მერე დაიწყებოდა მლოცავების საკლავების დაკვლა.

ღამეს უთევდნენ კოტიას და მეორე საღამო ხანზე ხალხი ცხენებს მოამზადებდა. შეკაზმავდნენ ცხენებს, ბარგებს აკიდებდნენ, დროშას ააბრძანებდნენ და გამოუძღვებოდა ჭევისბერი პირთაქვე. ხალხი ფერჯისას დაააბამდა და გადმოჰყვებოდნენ დროშას ფერჯისით. მანამდე ვაკე ადგილი იყო, ფერჯისით მოდიოდნენ და მერე დაიშლებოდა ფერჯისა.

მეორე საღამოს ჩამოვიდოდნენ კოტიის გორის სანახევროში ქრისტეწმიდაში. აქ ერთი პატარა კოშკი და მას ქ რ ი ს ტ ე წ მ ი დ ა ეწოდებოდა. აქ სხვა დღეობა არ იყო, მარტო კოტიიდან დაბრუნებული ხალხი შეისვენებდა, ჭევისბერი სანთელს მოანთებდა და სადიდებულოს დასდგამდნენ, ადიდებდნენ ქრისტე წმიდას

ქრისტე წმიდიდან წამოსული ხალხი თავ-თავისთვის წავიდ-წამოვიდოდა. ჭევისბერი ჯერ ჭეშეს წმიდა გიორგის ხატში ჩავიდოდა და სანთელს მოანთებდა. ხოლო აქედან ნაკვალესავს მიაშურებდა და აქაც სანთელს მოანთებდა. მერე ჩამოხსნიდა დროშას, შეინახავდა დროშის მასალებს და თვითონაც შინ წავიდოდა.

აქ კოტიას წმიდა გიორგის ხატში ჭევისბრობა მოუდიოდათ თემში შემავალ გვარებს. ერთი ხევისბერი ჩიათ მამიდან იყო, სახელად ქავთარა, რომელსაც ხატი პირად ელაპარაკებოდა. ამ ხატს ჰყავდა ორიათასი სული ცხვარი და მისი

მწყემსები. სწორედ იმ დროს იყო ქავთარა ჭევისბერი, როცა ხატს ასე ბევრი ცხვარი გაეჩინდა. ის ხშირად ცხვარში დადიოდა და ხელმძღვანელობას უწევდა წმიდა გიორგის ფარებს. მან წინასწარ იცოდა წმიდა გიორგი რომელ ღამეს მოვიდოდა ცხვრის დასათვალიერებლად. ქავთარას თქმით ხატი ღამე მოდიოდა და ათვალიერებდა თავის ცხვრის ფარებს. ქავთარა ხშირ შემთხვევაში ეტყოდა მწყემსებს: ამაღამ წმიდა გიორგი მოვა ცხვრის დასათვალიერებლად და ცხვარი რომ შემოფთხვეს, არ დაიკივლოთ, იცოდეთ ის წმიდა გიორგი იქნებაო. ეს ჭევისბერი ბოლოს პანკისში მოკვდა და მკვდარს ციდან სვეტი ედგა. ის რომ გაასვენეს დასასაფლავებლად, სვეტიც თან მიჰყვებოდა. საფლავში რომ ჩაასვენეს და მიწა მიაყარეს, სვეტი მაშინ გაქრა.

ერთხელ ქავთარა კოტიის გორს ყოფილა წმიდა გიორგის ცხვარში. მისულა, იქის, საზარესთან, დამჯდარა და დაუწყია ხატთან პირადად ლაპარაკი. ხან ნელა ესაუბრებოდა ხატსაო და ხანდახან კიდეც გაუჯავრდის ქავთარიო. ამ ღროს ქისტები ყოფილან გადმოსული ქავთარის მოსაკლავად და ცხვრის გასარეკად. საზარესთან ახლო ყოფილან ჩასაფრებული, რადგან სცოდნიათ, რომ ქავთარა საზარესთან ხშირად მიდიოდა. გადაუსხამთ ქისტებს თოფები ქავთარას მოსაკლავად. თურმე როცა დაღლიშნებდენ (დაუმიზნებდნენ) თოფს, ქავთარა გაქრებოდა, მოაშორებდნენ ლიშანს და ქავთარა იქვე იჯდა და ესაუბრებოდა ხატს. ეს რამდენჯერმე გაიმეორეს და ბოლოს, იგრძნეს, რომ ეს ვიღაც წმიდა კაცი იყო და შეშინებული ქისტები უკან დაბრუნდნენ, — ვერც ქავთარა მოკლეს და ვერც ცხვარი გალალეს.

კოტიას წმიდა გიორგის კახეთში, სოფელ ხოდაშენში ვენახი ჰქონდა და იქიდან კულუხი მოჰქონდათ. იმდენი ბევრი არ მოჰქონდათ, როგორც სხვა ხატებში მოდიოდა კულუხი, მაგრამ ორი ცხენის საპალნე მაინც მოჰქონდათ. იქ ხოდაშენში თავისი მეზვრე ჰყავდა და ის ამუშავებდა ვენახს. კულუხზე წამსვლელი ორი კაცი იყო სოფლის არჩევით. იქ მარანზე ნიში იყო და ამ ნიშთან დაკლავდნენ ერთს საკლავს. სხვა ხატებიდან დროშით მიდიოდა მეკულუხე, აქ კი ისე, უდროშოდ იგზავნებოდნენ. მოტანილი კულუხიდან საყეინოც იდგმებოდა" (M[1], 83, რვ. 32, გვ. 383—384, რვ. 42, გვ. 507—511).

ბ) სასოფლო ხატები

1) ქინოვაკის ჯვარი (სოფ. ქინო)

წითელაურთას მიმავალ გზაზე მდებარეობს სოფ. ქინო, სადაც გამიაშვილები ცხოვრობენ, ამათივე გვარის ხალხია ჩოფინაშვილი, მოკვერაშვილი, ბაჩანაშვილი.

სოფლის თავზე, მაღალ მთაზე ქინოვაკის ხატი მდებარეობს. კომპლექსში შედის საქობე, საპურე ბეღელი, სადაც კოტიას პური ინახებოდა. კოტიას სახნავები და საზარე აქ ჰქონდა. სულ ადრე ქინოში ბაჩანაშვილები ყოფილან, მერე გამიანი მოსულან და უკვე მერე დანარჩენები, ბევრნი კახეთში გადასახლდნენ საკობიანოში (ყვარლის რაიონში).

ქინოვაკის ხატი მდებარეობს სოფ. ქინოს დასავლეთით მაღალ ბორცვზე, რომელსაც ჩრდილოეთისა და დასავლეთის მხრიდან მაღალი კოტიის გორი გადასცქერის.

ბეღელი (ტაბ. 147 ა, ბ) ქინოვაკის ხატის ტერიტორიაზე ქვა-კირითაა ნაგები, ოთხფერდა შვიდსანაწვთიანი გადახურვით. მისი ფასადი სამხრეთის მხარეზეა, შესავალი კარის ჩარჩო ხისაა, შესასვლელის წინ მიწაზე დიდი სიპია გადებული. კარის თავზე ერთი სანაწვთე სიპია მოთავსებული. აღმოსავლეთის კედელზე შუა ადგილას თეთრი ქვა-კირით გამოყვანილი ჯვარის გამოსახულებაა. დანარჩენი გარეთა მხარეები სწორია. კარის ნახევარია (ხისა) შერჩენილი, კარი ურდულით იკეტებოდა. შიგნით ბეღელი ორთვლიანია, ერთმანეთისაგან ფიცრის კედლით გამოყოფილი. კარებისა და ორთვალს შორის კიდევ ერთი გრძელი „თვალია", I და II თვალთან მისასვლელი. I და II თვალს შუა ჩადგმულია ხეებისაგან შეკრული კედელი, რომელსაც იპერს ორი, შუაში ჩაღარული ხე. ერთი აღმართულია ჩრდილოეთის კედელთან იატაკიდან ვიდრე გვირგვინის გადახურვამდე. მეორე კი კარის წინაა და ზემო ნაწილით ებჯინება სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლების თავზე გადებულ ხეს. ამ უკანასკნელს ზემოთ, აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლების თავებზე გადებულია თავხე. ჰერი გვირგვინისებურადაა აზიდული და მოგრძო სიპით ბოლოვდება. აღმოსავლეთის კედელში ჩარჭობილია ორი ქვის სიპი, მათ ზემოთ კი ორი ხე ტომრების ჩამოსაკიდებლად. იატაკი ჯერ მიწაყრილია, ზედ სიპებია დაწყობილი და აქაიქ ხეები ყრია, ეტყობა კედლიდან ჩამოვარდნილი. ამჟამად ბეღელში საქონლის სადგომია.

ამ კომპლექსის მეორე შენობა (ტაბ. 147 ბ) — საზარეა, მდებარე ბეღლის ჩრდილო-დასავლეთით და წარმოადგენს კვრივად ნაშენ პატარა ნიშიან კოშკს (ნიში დასავლეთის მხარეზეა), რომლის თავზე ორი ხეა გარჭობილი ერთმანეთის პარალელურად, მათ თავზე მესამე ხეა გადებული და ზედ ჯაჭვით ზარია ჩამოკიდებული, ზარი ახალია და ზედ დიდი ძველი ენა აქვს ჩამოკიდებული, ორივე საყრდენი ხე გადაქცევაზეა. ნიში საკმაოდ ღრმაა, მაგრამ ცარიელი.

სალუდე ანუ საქობე (ტაბ. 147 ბ) მდებარეობს ბეღლის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს. საძირკველში ოთხკუთხა ფორმის შენობას ამჟამად შემორჩენილი აქვს ფასადის ნაწილი (სამხრეთის მხარე) და დანარჩენი კედლის ძირები. ფასადის მხარეზე კარის თავზე ორი ქვაა გადებული და ზედ თეთრი ბროლი ადევს. საქობის შუაში ვაშლის ხეა ამოსული. შენობა, ეტყობა ორფერდა იყო, რადგან ფასადიდან ჩრდილოეთის მიმართულებით შიგნით გდია უზარმაზარი დამპალი თავხე. ჩრდილოეთის კედელთან დიდი სალუდე ქვაბი დგას თავის საბუდარში, აქვე ყრია ორი სპილენძის დიდი ზომის თუნგი და სპილენძის საკიდლიანი ქვაბი. საქვაბის ჩრდილოეთ კედელთან გარეთა მხრიდან შუა ადგილზე მიდგმულია კვრივი კოშკი. ყველა კედელი მშრალი წყობითაა აყვანილი (სალუდე ქვაბის სიმაღლე 70 სმ) ჩრდილოეთის კედელში. შიგნიდან ნიშია დატანებული, რომელშიც დგას ცალფეხიანი ხის „თასი" და ბუნით დასრულებული ჯვარი. საინტერესოა სალუდე ქვაბის დეტალი: სახელურის ყურები ძალიან გრძელია და ლამაზად ორნამენტირებული.

ქინოვაკისაგან მოშორებით, კოტიასკენ მიმავალ გზაზე შეგვხვდა ნიშები 2170 მ სიმაღლეზე მდებარე, ყველანი კოტიის სასანთლეებია, ქინოვაკიდან წამოსულები აქ ათევენ ღამეს მედღეობენი.

სასანოლე ნიში კვრივადაა ნაგები, საძირკველში ფართო კოშკია, რომელიც ფასადით (ჩრდილო-დასავლეთის მხარეა) კოტიას გადაჰყურებს. სასანთლე

ნიშის კედლები მთლიანად შებოლილია. გადახურვა მოშლილია და ორი სანაწყეთელა შერჩა.

მის უკან მეორე ჩანგრეული სასანთლეა, ესეც კვრივად იყო ნაგები. ნიშის მოშორებით მესამე კოშკია, ესეც ასევე მშრალად ნაგებია კვრივად.

2) წმიდა გიორგის ხატი (სოფ. ჭეშე)

კოტიას წმ. გიორგის პირველ საარსოში კოტიას გორზე, როგორც ზემოთ ითქვა, ხსენებული ხატის ყმებს ზამთრის დღეობების გადახდა უჭირდათ ამ მთის დიდი სიმაღლისა და სოფლებიდან სიშორის გამო. ამიტომ, გადმოცემის თანახმად, კოტიას ხატი „გადმოსულა, სოფელ ჭეშეს „მოუკიდებია კოჭი“ და იქ დაარსებულა იმავე წმიდა გიორგის სახელით.

სოფელ ჭეშეში გაშენებულ ხატს ჰქონია დარბაზი, საზარე, სალუდე და საკუთარი დროშა. იქ ასრულებდნენ კოტიას წმ. გიორგის სახელობის წლიურ დღეობებს ყველას, გარდა ზაფხულის დღეობა ათენგენისა. დასტურობა და ხევისბრობა ჭეშეს ხატში ყველა გვარს მოუდიოდა. დასტურობა მორიგეობით ხდებოდა, ხევისბრად მიმსვლელს კი „ხატი მოიკითხავდა და დაასახელებდა თუ რომელი გვარისა უნდა ყოფილიყო“ (M[1], 83, რვ. 42, გვ. 507).

3) ღვთისმშობლის ხატი (სოფ. ნაკვალესავი)

სოფელ ნაკვალესავის ღვთისმშობლის ხატს, ჰქონდა დარბაზი, საზარე და ხატის დროშა; ხემხვივანნი მას არ გააჩნდა.

ამ ხატის აღმოსავლეთის მხარეს სანადოები ჰქონდა. სანადოებს ამუშავებდა სოფელი და ხვნაშიც და მკაშიც მომკილ ძნას დასტური დაეპატრონებოდა, გალეწავდა და პურსაც ის შეინახავდა. დასტური ხატს ჰყავდა ორი, ერთი წლის ვადით (M[1], 83, რვ. 42, გვ. 506—507).

XI უკანაფშაველთ თემი

1) გიორგი წყაროსთაულის სათემო ხატი (უკანაფშავი)

უკანაფშავი მდებარეობს ფშავის ხევის უკიდურეს აღმოსავლეთით, ფშავის არაგვის სათავეებში. ყველა მონაცემის მიხედვით ის ერთ-ერთი მძლავრი თემთაგანი იყო ფშავში. ამ თემში შედიოდა შემდეგი სოფლები: ვაკისოფელი, გოქცი, ბოთანა (ძველი ნასოფლარია), ელიაგზა, ჩალახევი და ჭიდალი. ამ სოფლებში განლაგებულია როგორც სათემო, ასევე სასოფლო ხატები, წარმოდგენილი რთული კომპლექსების სახით. აქვე ქრისტიანული ეკლესიის ნანგრევებსაც ვხვდებით.

გიორგი წყაროსთაულის ხატის კომპლექსი მდებარეობს იქ, სადაც ფშავის არაგვს მდინარე კაწალხევი უერთდება, ამ უკანასკნელის დასავლეთით, მთის ფერდობზე, ზღვის დონიდან 1696,68 მ სიმაღლეზე. მას 1,2 ჰა ფართობი სჭერია. სხვა სათემო და ცენტრალური ხატების მსგავსად, წყაროსთაულს გარს

ერტყა მთავარი გალავანი. ამ გალავნის ნაშთები კარგადაა შამონახული ხატის აღმოსავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთ-დასავლეთის საზღვრებზე. მთავარი გალავნის შიგნით რიგი შენობები თავ-თავისი ყორის გალავნით ყოფილა შემოვლებული.

მთავარი გალავნის გარეთ, მდინარის პირად ვიდრე მთის ძირამდე შეიმჩნევა ქვების ხელოვნური წყობა, რიცხვით ოთხი; ესენი უნდა იყოს სათემო ხატის მლოცველების ღია საჯარეები, სადაც მედღეობენი ზაფხულის დღეობებში დგებოდნენ. იქვეა ე. წ. მ ა დ ლ ი ს მ ო ს ა თ ხ ო ვ ი ქვები.

წყაროსთაულის ხატის ირგვლივ ბუნებრივი ტყეა, რომელშიც ირყის, ცაცხვის, ცირცელის, წნორის ხეები და თხილია, ადგილ-ადგილ მუხაც მოიპოვება, მაგრამ ეს ხე ბორბალოს მთის ძირში, სადაც წყაროსთაულია, კარგად ვერ გვარობს. ხატში კი, გალავნის შიგნით ხელოვნურად გაშენებული შეწირული ხეებია, ე. ი. ხემხვიანნი — იფნი და ცაცხვი.

პირველი შენობა, რომელიც ღია საჯარეებიდან მთის აღმართზე მდებარეობს სამხრეთის მხარეს, არის სალუდე, რომლის ფასადი მდინარეს გასცქერის (ტაბ. 148). შენობა გეგმაში მოგრძო სწორკუთხა ფორმისაა, ყორით ნაგები მშრალად. კარის ღიობი დატანებულია ფასადის მოკლე სამხრეთ კედელში. შენობის უკანა კედელი მთლიანად, ხოლო ორივე გვერდითი ნაწილობრივ მიწაშია ჩაფლული. სალუდის ცენტრის ღერძზე მშრალად ნაგები კულა დგას, რომლის თავზე თავხეა დაყრდნობილი. სახურავი ორფერდაა საგვერდული ხეებით, კოჭებითა და სიპებით გაწყობილი. საჩურავის ზურგზე აწყვია მთის ბროლის ქვები. ჭერი სახურავს იმეორებს შიგნიდან.

შენობაში კარის პირდაპირ აღმოსავლეთის კედელთან გამართულია საქვაბე-საცეცხლური ანუ ქვაბის საბუდარი. მასში ჩასმულია დიდი წოწოლა ლუდის სახარშავი ქვაბი, სპილენძის ფურცლებიდან შეკერილი. იგივე ქვაბი ყურების მეშვეობით ჩამოკიდებული ყოფილა საგვერდულ ხეზე. ამჟამად ეს ხე ჩამოვარდნილია.

კარის მახლობლად დასავლეთის კედელთან ძევს სპილენძის ისარნა, დაწურული სისწვნის დასაგროვებელი გრძელი ჭურჭელი. აქვეა ლუდის საწყაო ჩხუტი და ლუდის ხარშვის დროს სხვა საჭირო ხელსაწყო და სიპი ქვით მოწყობილი დიდი საჯდომები. შენობის აღმოსავლეთის კედელში შიგნიდან დატანებულია შუკუმი. სალუდე მთავარი გალავნის გარეთაა მოთავსებული. მას საკუთარი, ყორით ნაგები გალავანი აქვს. აქვე აღვნიშნავთ, რომ სალუდეს წყალი დასამხარზეა.

ზემოთ ამაღლებულ ადგილზე, დგას, ამჟამად სახურავჩაქცეული საკულუხე. მისი ფასადი ასევე სამხრეთისკენაა მიმართული, აგებული მშრალად, გეგმით წაგრძელებული სწორკუთხა ფორმისა, ჰქონია ორქანობიანი სახურავი. კარის ღიობი სამხრეთის ფასადის კედელშია დატანებული. კარის საკეტი, ჩანს, ბეღლისებურად ყოფილა მოწყობილი — კედლის ღრუში მოძრავად მოთავსებული კედის შემწეობით. ამავე შენობის აღმოსავლეთის კედელში შიგნიდან დატანებული ჰქონია პატარა შუკუმი. დარბაზის ცოტა ზევით მთის შეფენებაზე მდებარეობს საბერო. მისი სახურავიც მთლიანად ჩაქცეულია, მთავარი ფასადი სამხრეთის მხარეზეა; აქ კედელში გაჭრილ კარის ღიობს აღარ აქვს კარი, რომელიც თავის დროზე ბეღლისებურად კედით იკეტებოდა გარე-

დან. შენობის შიგნით ჩრდილოეთის კედელში, შუა ადგილას პატარა შუკუმია დატანებული.

საბეროს მახლობლად, მისგან აღმოსავლეთით დიდი იფნის ხეა, რომელზეც ჰკიდია თეთრი საკადრისები, მათ ყურებში გამოკრული თეთრი ფულებით, ზანზალაკები და ზარაკი. იფნის ძირში — სასაკლაო ადგილია.

კიდევ უფრო ზემოთ, მთის აყოლებაზე იფნებს შორის დგას ბ ე ღ ე ლ ი ყორის გალავნით გარს შემოვლებული (ტაბ. 149). იგი ჩვეულებრივი ფშაური ტიპის ბეღელია — გეგმაში კვადრატული ფორმისა, ქვაკირით ნაგები და კირით შელესილი, მაღალზე გაჭრილი კარის ღიობით სამხრეთის კედელში და პირამიდული შვიდიარუსიან-სანაწვთებიანი სახურავით, რომელიც შიგნიდან ითავსებს ჰერის ფუნქციას და ცრუგუმბათოვანი კონსტრუქციისაა. კარის სათაური (ბალავარი) და ზღურბლი მთლიანი სიპებია, კარი კი ხისაა, ხის ლურსმნებით შეკერილი. ბეღელში მის აღმოსავლეთის კედელთან ხის თაროზე ღვთისმშობლის ხატია დასვენებული.

ბეღელში შესავალი კარის საპირისპირო კედელთან, მის ძირში აღმოჩნდა ლაბარუმი ანუ „ჯვართ-ენის“[60] მიხედვით ალვისტანი[61]. ლაბარუმი ვერცხლისაა ოქროთი დაფერილი, იგი დაზიანებულია (ტაბ. 150). აღდგენილი სახით ლაბარუმი წარმოადგენს სამქიმიან ჯვარს, რომელსაც ქვემო ნაწილში აქვს ბუშტი და ტარი (ტაბ. 151). ლაბარუმის ჩონჩხი ხისაა, რომელზეც გადაკრულია ვერცხლის ფირფიტები. ფირფიტები დაჭრელებულია სხვადასხვა სახეებით; ერთი ნაწილი შემკობილია ცვარედი ტექნიკით. ლაბარუმის მარცხენა ტოტის კუთხეში (ტაბ. 152) გამოყვანილია ოვალურ ჩარჩოში ჩასმული ადამიანის სქემატური გამოსახულება შუბით ხელში, რომელიც გველეშაპს გმირავს. ამავე ტოტის ფირფიტაზე ზურგიდან (ტაბ. 153) მოთავსებულია ქართული მხედრული წარწერა, რომელიც ასე იკითხება:

1. თაღადო:. წყარო	თაღადო:. წყარო
2. სთაველ ო:. შე	სთაველ ო:. შე
3. იწ ყ ალ ე:. შენ	იწ ყ ალ ე:. შენ
4. ნი:. ერი: სწ ყ	ნი:. ერი:. სწ ყ
5. ალ ობ დი:.	ალ ობ დი:.
6. შ ე ⁻ თ ყ ლ ათ	შ ე ⁻ თ ყ ლ ათ
7. მესაზე ( ) სწ ყ ა	სწ ყ ა
8. ლ ობ დი:. შ	ლ ობ დი:. შ
9. ენ ს ა:. შ ე ვ	ენ ს ა:. შ ე ვ
10. ალ ეს ( ):. გ ო დ	დ რ ე ბ ე ლ ს ა:. გ ო დ
11. ერ (ა) ძ ის	ერ (ა) ძ ის

ვერტიკალურ ხაზზე: რაცა ერ ნ ა

აღნიშნული ტოტის აწვერილი ნაწილის ფირფიტაზე ზურგიდანვე გამოყვანილია ადამიანის ბიუსტი და გაურკვეველი ხაზოვანი ნიშნები. მსგავსი

---

[60] ჯვართ-ენის შესახებ იხ. ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ხევსურული თემის მმართველობის სისტემა, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XIII, 1952, გვ. 628; თ. ო ჩ ი ა უ რ ი, უძველესი ქართული სარწმუნოების ისტორიიდან, თბ., 1954, გვ. 128.

[61] ალვისტანი იხ. В. В. Б а р д а в е л и д з е, Земельные владения..., გვ. 99 თ. ო ჩ ი ა უ რ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 129.

ხაზოვანი სახეები და გაურკვეველი ნიშნები მოიპოვება ალვისტანის ქვედა ნაწილის ზურგზეც (ტაბ. 151). ალვისტანზე ზურგის მხრიდანვე რგოლებით დაკიდებულია ძეწკვები. ერთ მათგანზე მიბმულია ვერცხლის მილაკი, რომლის მხოლოდ ნაწილია შემორჩენილი. მილაკში ჩასმულია წკეპლა. ალვისტანს მოცილებული აქვს ვერცხლისავე ხვია მასში ჩასმული წკეპლათი. სავარაუდებელია, რომ ეს ხვია მეორე ძეწკვზე იყო მიბმული. მილაკი და ხვია შემონახულია ნაწილობრივ.

ალვისტანის ქვემო ნაწილის გაგრძელებას წარმოადგენს ტარი. მასთან ერთად მთლიანი ხისგან ვათლილი ტარის ზემო ნაწილზე ჩამოცმულია მდარე ვერცხლის ბუშტი ორნაწილედი, ერომანეთზე კავებით მიმაგრებული. ბუშტის ქვემოთ ხის ტარზე გადაკრულია ვერცხლის სადა ფირფიტები, რომელიც შემკული ყოფილა ნაწიბურზე გაყოლებული მოკლე ტეხილი ხაზების წვრილი აშიით, ტარს დიდ ნაწილზე ფირფიტები აკლია. ხის ტარის ქვემო წაწვერილი ნაწილი — ჩუნი, გადაკრულია მოკალული სპილენძით.

როგორც ზემოთ ითქვა, ლაბარუმი (ალვისტანი) დეფექტურია. მას მთლიანად აკლია როგორც შუბი თუ ჯვარის გამოსახულება ცენტრალურ არეში, ისევე მარჯვენა მხრის აწვერილი ნაწილი. აქვე აღვნიშნავთ, რომ ლაბარუმის შემკულობა შესრულებულია რეტალოპლასტიკის ტექნიკით. დაბოლოს, ლაბარუმის განაზომები შემდეგ ციფრობრივ მაჩვენებლებს მოიცავს. ტოტის საერთო სიგრძე 46 სმ, განი უდიდესი 7 სმ, უმცირესი 4 სმ, მარცხენა ანაწვერის სიმაღლე 18,5 სმ, მისი ძირის განი 6 სმ, ქვემოთ მხარის სიმაღლე ბუშტამდე 21 სმ, ბუშტის d 6 სმ, ტარის სიმაღლე ბუშტიდან ბოლომდე 44 სმ, მილაკის სიგრძე 14 სმ, ხვიას სიგრძე 14 სმ, ძეწკვის სიგრძე — ერთისა, 4,5 სმ, მეორის 9 სმ.

როგორც ლიტერატურული მონაცემებიდან ირკვევა, ეს ლაბარუმი და ორი სხვაგვარი, არქეოლოგ პროსკოვია უვაროვას უნახავს 1896 წელს, როდესაც ის იყო ფშავის ხეობაში. პრ. უვაროვა წერს, რომ ამ სამი ჯვარიდან ორი ლაშარის ჯვარს ეკუთვნოდა, ხოლო ერთი თამარ მეფის ხატს. რამდენადაც ჩვენ მიერ აღმოჩენილი ლაბარუმის წარწერა ადასტურებს, იგი გარკვევით ეკუთვნოდა უკანაფშავის სათემო ხატს წყაროსთაულის წმ. გიორგის, ხოლო დანარჩენი ორის შესახებ გადაჭრით არაფრის თქმა არ შეიძლება, რადგან ამ ხატის კუთვნილების წარწერების წაკითხვა ისევე, როგორც არც ამ ჯვრების ფიზიკური არსებობა ცნობილი არ არის.

რიგი ნიშნების მიხედვით უვაროვას მიერ პირველი ნომრის ქვეშ აღწერილი ჯვარი („Деревянный выносной крест") უდგება ჩვენს მიერ წყაროსთაულის ბეღელში რაპოვნ ლაბარუმს.

პროსკოვია უვაროვა ამ ჯვრებს ასე აგვიწერს: «Деревянный выносной крест, принадлежавший прежде святилищу Лашарис джвари, обитый серебряным листом с очень плохо выбитыми изображениями: внизу св. Георгия на коне, на середине и вверху — совершенно непонятные, по обеим сторонам святые, на оборотной стороне вверху — святой, на перекрытии три неразборчивых изображения и грузинская надпись. Крест равнобедренный, семивершковый.

Крест деревянный выносной на длинном древке, обитый чеканным серебром и заканчивающийся острием, окован он серебряным

позолоченным листом. Средина креста украшена круглым непонятным изображением, в котором подозреваю что-то языческое, на левом рукаве — богородица, вверху и внизу по два архангела или святых в стоячем положении с копьями в руках, на обороте грузинская надпись, рукава креста украшены частью обломанными привесками.

Крест равноосредненный шестивершковый на серебряном яблоке. Крест этот принадлежал также святилищу Лашарис-джвари, в котором и был изломан (правый рукав потерян) Зурабом Эристовым.

Крест маленький литой серебряный позолоченный, с изображением с одной стороны Распятия, а с другой Богоматери с младенцем, все концы креста на обеих сторонах украшены головками ни то херувимов, ни то луны и солнца. Крест имеет в вышину — $2^3/_4$ вершка, в ширину — $2^1/_2$ вершка. Крест этот, по моему мнению, не древний и с каким-то романским оттенком, оканчивается он внизу винтом, что указывает на то, что он составлял часть какого-нибудь предмета, по всему вероятию знамя»[62].

მას მოსდევს პროსკოვია უვაროვას შემდეგი ცნობა: «Священник уверял нас, что этот крест пожертвован описанному святилищу (ე. ი. თამარის ხატს, რომელიც ავტორმა აღნიშნული სამი ჯვარის აღწერამდე მოიხსენიებულა. ვ. ბ.) самой царицей Тамарой и в доказательство того, указывал на изображение Богоматери, смешивая, видимо, Богоматерь с великой грузинской царицей»[63].

არ შეიძლება აქვე არ მოვიგონოთ ვაჟა-ფშაველას წერილი, მოთავსებული 1915 წლის „სახალხო ფურცელში“ (№ 258) სათაურით „თამარის საფლავის გამო“, რომელსაც კავშირი უნდა ჰქონდეს ზემოთ მოხსენებულ ჯვრებთან. ვაჟა-ფშაველა აღნიშნავს, რომ მას შუაფხოს მრევლის მოძღვარმა ფარნაოზ ზაბახიძემ წყაროსთავის მონასტრის სიგელის საშუალებით ამ მონასტრის ნაგებობიდან 5—6 ადლის სიშორეზე მიაკვლია მიწაში ჩაფლულ სამ ჯვარს, რომელთაგან ერთი ლაშა გიორგისაგან ყოფილა შეწირული ლაშარის ჯვარისათვის, მეორე თამარის ხატისა და მესამე წყაროსათვისა[64].

უნდა შევნიშნოთ, რომ ეს სამი სალოცავი — ლაშარის, თამარისა და წყაროსთავისა ერთმანეთის მახლობლად მდებარეობენ ფშავის არაგვის ზემო წელში. ამჟამად ეს ნაგებობები შემონახულია უმთავრესად ნანგრევების სახით, როგორც ამას აქ თავ-თავის ადგილას მოტანილი ამ ძეგლთა აღწერილობა, არქიტექტურული განაზომები და ფოტოგადაღებები გვიჩვენებენ. ეს სალოცავები თავის დროზე წარმოადგენენ რთული ნაგებობების კომპლექსებს და ცენტრალური ადგილი ეჭირათ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სალოცავებს შორის.

ვაჟა-ფშაველა აღნიშნავს, რომ მან თვით ნახა ამ სამი ჯვარიდან ერთი — ლაშარის ჯვარი, რომელიც ფარნაოზ ზაბახიძეს გადაუცია თამარის ხატის ბერმონაზონ ილარიონისათვის, ხოლო ამ უკანასკნელს ეს ჯვარი იმის გამო, რომ დაზიანებულია, მიუტანია შესაკეთებლად ოქრომჭედელ დავით ჯანიაშვილისათვის მაღაროსკარში. მოგვყავს ვაჟა-ფშაველას სიტყვები: „ერთი ამ ჯვართაგანი,

---

[62] Графиня Уварова. Поездка в Пшавию, Хевсуретию и Сванетию, «Материалы по археологии Кавказа», т. X. Москва, 1904, стр. 13—14.

[63] იქვე.

[64] ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტ. V, პუბლიცისტიკა და ეთნოგრაფიული წერილები, თბილისი, 1961, გვ. 322.

სახელდობრ ლაშარის ჯვარი, მე ჩემის თვალით ვნახე. ეს ჯვარი ზაბახიძეს გადაეცა თამარ მეფის ბერის ილარიონისათვის. ეს ჯვარი იქნება თავის ტარიანად არშინნახევარი. ტარი ვერცხლით საუცხოოდ არის მოვარაყებული[65]. ჯვარი ვნახე მაღაროსკარში ოქრომჭედელ დავით ჯანიაშვილთან, სადაც ბერ-მონაზონ ილარიონს მოეტანა გასაკეთებლად, რადგანაც ტარი ჰქონდა მოტეხილი. უნდა მამა ილარიონს შევნიშნოთ, რომ მან ამ ჯვარის აქეთ-იქით ხურჯინით ზიდვაზე რომ ხელი აიღოს, ურიგო არ იქნება, სწორედ ამ ხურჯინის ბრალია, რომ ჯვარს ტარი მოსტყდა და გახდა მჭედლების საკეთებელ მასალად.

მე კარგად ვიცი, — განაგრძობს ვაჟა — რომ ამ ერთი კვირის წინათ ეს ჯვარი ბერმა ილარიონმა ჩამოიტანა ქალაქში ეპისკოპოს ანტონთან (საუცხოო ნიშანი აქვს ამ ჯვარს: მარჯვენა ტოტის ბოლო გახვრეტილი აქვს და ზედ ვერცხლის 6 გოჯის სიგრძე მათრახი ჰკიდია[66]). მე ასე ვფიქრობ, რომ ჯვარი თავის ადგილას უნდა იყოს და ვისაც იმის ნახვა სურს, მიბრძანდეს და ადგილობრივ ინახულოს. მამა ილარიონს შეიძლება მოსკოვიდან და პეტროგრადიდანაც მოუვიდეს რუსის ეპისკოპოსების და არქიელების ბრძანება, ლაშარის ჯვარი წამოიღე და თვალით გვაჩვენეო. მაშ იქაც უნდა გააქანოს? არა. მე, როგორც შვილი იმ თემისა, რომელსაც ჯვარი ეკუთვნის და მაშასადამე, სრული უფლების მქონებელი, მოვითხოვ, რომ ბერმა ილარიონმა ლაშარის ჯვარი თავის ადგილას მიიტანოს და დაასვენოს და აქეთ-იქით საჩვენებლად არ ატაროს, რადგან ამისთანა ნივთის მატარებელს ხიფათი თან სდევს"[67].

საინტერესოდ ირკვევა, რომ არც ეს ჯვრები და არც სიგელები და ისტორიული საბუთები, რომლებიც ხელთ ჰქონია მღვდელ ზაბახიძეს[68] დღემდე მიკვლეული არ არის.

ჩვენმა ექსპედიციამ, რომელიც უკანასკნელად 1964 წელს მუშაობდა ფშავში და რომელმაც დეტალურად შეისწავლა და აღწერა ფშავის ცენტრალური და სათემო ჯვარ-ხატები დ კერძოდ ლაშარის, თამარისა და წყაროსთაულის საკულტო ძეგლები, ვერ მიაკვლია ვერც ჯვრებსა და ვერც ისტორიულ საბუთებს, გარდა იმისა, რომ წყაროსთაული ხატის ნაგებობათა კომპლექსის ბეღელში იპოვა ლაბარუმი.

---

[65] შდრ. პროსკოვია უვაროვას აღწერილობას.

[66] შდრ. МАК, т. X. табл. II, 3.

[67] ვაჟა-ფშაველა, მითით. შრომა, გვ. 322—323. ჯერ კიდევ 1895 წელს პრ. უვაროვა წერდა: «В самом святилище («Гамарис-неше») в жилых помещениях и вообще на холме из более древних приношений ничего не сохранилось: имеются только рога и новейшие, медные колокольчики от жертвованных баранов, обстоятельство это объясняется тем, что в святилищах этих хозяйничают ныне и священики, которые, если судить по виденным нами экземплярам, ничем не интересуются, ничем не дорожат и далеко не соответствуют своему пастырскому назначению. Сопутствующий нам священник, Михаил Чхандзе, из местного прихода села Укапаншави, готов был отдать нам все, что мы не пожелали, и с удовольствием предложил одному из сопровождавших нас всадников медный колокольчик для его лошадей — МАК, X, стр. 13.

ასე ნიავდებოდა ისტორიული მნიშვნელობის მქონე საკულტო საგნები და ძველი ქართული ხელოვნების ნიმუშები.

[68] იხ. ფ. სხვიტორელი, თამარის საფლავი, გაზ. „სახალხო ფურცელი", 1915 წ. № 257; ვაჟა-ფშაველა, მითითებული წერილი.

ამ ექსკურსის შემდეგ დავუბრუნდეთ წყاროსთაულის ხატის კომპლექსის ნაგებობებს.

ზემოაღწერილი ბეღლიდან დასავლეთ მხარეს, მაღლობზე დგას ნაწილობრივ თავმორღვეული ციხე (ტაბ. 155 ბ). მას შემორჩენილი აქვს დაუზიანებლად მხოლოდ დასავლეთის კედელი. აქვე, ნანგრევებთან გდია, ალბათ, ციხის კედლის კუთვნილი გახვრეტილი ფიქალი, რომელსაც დროშის დასამაგრებლად იყენებდნენ ხოლმე. შიგნით ციხეს დატანებული ჰქონია ქვის საფეხურები. კარი უნდა ყოფილიყო გაჭრილი მდინარის მხარეს. ციხე გარშემოვლებული ყოფილა გალავნით. იგი დგას მდინარე არაგვისა და კაწალხევის შესართავთან. აქვე აღვნიშნავ, რომ ხევისბერის, 98 წლის დავით ჭრელას ძე თურმანაულის ცნობის მიხედვით „წყاროსთაული ნაციხვარი შეიძლება თავადისა (ე. ი. წყاროსთაულის წმინდა გიორგის ხატის) არ იყოს, რადგან ეს ციხე დიდებაში აო მოდის“-ო. წყاროსთაულის სადიდებლის დასაწყისი ტექსტი შემდეგია: „წყاროსთაველო, ფშავეთის თავო სათავეო“ (მთხრობელი დავით თურმანაული — მასალები 1964 წ. ფშავის ეთნოგრაფიული ექსპედიციისა).

ციხიდან სამხრეთ-დასავლეთის მხარეს, მთის ფერდობზე მდებარეობს საზარე, რომლის ზურგი მომრგვალებულია, ხოლო წინ ორი სწორკუთხა ფორმის სვეტი უდგას. მისი სახურავი ჩაქცეულია. ზურგსა და წინა სვეტზე გადებულ ძელზე ჰკიდია რუსული ხეობის ზარი წარწერით: „ქ. შემოგწირეთ შენიბით სოფელმა წყاროსთავს წმიდა გიორგის მარტს კთ უკა“. აქვე იატაკზე ძევს მეორე ზარი აგრეთვე ქართული წარწერით, რომელიც ასე იკითხება: „წყاროსთავს წმიდა გიორგისთვის ქჩყნა (1851 წ.) წელსა შვიდი თუმნის ზარი შემოგვიწირამს შენ სიოხიორის შვილიშვილთა ეს ზარი თავის სახლის სამწყალობლოთა და თავის კაცისა და ცხვრისადა მეცხვარისა და რომელნიცა არიან ამ ზარში წყალობა მიე“. ზარზე გამოსახულია ცხენზე მჯდომარე წმიდა გიორგი.

საზარის გვერდით არის მიწაში ღრმად ჩაჭრილი სწორკუთხოვანი ნაგებობა (ტაბ. 155 ბ) მშრალი წყობით ნაგები, ცალფერდა სახურავით, შესავალი კარით დასავლეთის მხარეს. სახურავისაგან მხოლოდ ერთი ცერად გადებული ხის კოჭი და სიპის ქვების წყებაღაა შერჩენილი. კარის თავი გამოყვანილია თაღისებურად.

ამ შენობის ქვემოთ გეგმაში გრძელი სწორკუთხა ფორმის ნაგებობაა, რომლის სახურავი მთლიანად ჩაქცეულია; შენობა ორადაა გაყოფილი. ამ შენობას სასანთლესა და ქადა-პურის საჭრელ ნაგებობას უწოდებს მთხრობელი. მის აღმოსავლეთ კედელში არის ნიში.

საზარის გვერდით სახურავჩაქცეული დიდი ნაგებობაა ძალიან მაღალი კედლებით. მის ფასადს ეკვრის სასანთლე ნიში. ეს ნაგებობა დარბაზი უნდა ყოფილიყო.

ხატის მამულები, მთხრობლის გადმოცემით: „ვაკისოფლის ზემოთ იყო, იქიდან მოჰქონდათ აქაურ ბეღელში ჭირნახული. წყاროსთაულს სოფ. ფშაველში ჰქონდა ვენახი. აქ საყეინოს დადგამდნენ, კულუხი მოჰქონდათ ათენგენობას. თითო კომლზე თითო ჩარექ კარაქს აიღებდნენ, იმას გაყიდდნენ და საყეინოს იმითი დგამდნენ. იქ კახეთში ხალხს ამუშავებდნენ, სალუდე აქ რომ არის, მთელი უკანაფშავის თემისაა. აქ იცოდნენ დღეობები: ათენგენა, ახალ-

წელი, გიორგობა, აღდგომა კვირაჯვარობას საკვირაო ნიშთან მიდიოდნენ აქაურები. მარიამობა აქ არ იციან, ვაკისოფელში ღვთისმშობელია და იქ იცოდნენ.

წყაროსთავის წმინდა გიორგის ხატში ათენგენას დაიდგმოდა საყეინო. საყეინოდ დასდგამდნენ ერთს დიდს ჩანახს სპილენძისას. ჩაასხამდნენ ღვინოს პირამდინ, ერთ კაცს დასვამდნენ საყეინოს გვერდზე და წამოჰკიდებდნენ ღვინიან ტიკს, ანთებდნენ სანთლებს და ქევისბერი დაილოცებოდა: „დიდება ძალასა ჩვენი სალოცავისასა, დიდება ღმერთსა და კვირას ძალიან-მადლიანსა. ღმერთმა და ჩვენმა სალოცავმა გაუმარჯოს ლაშარის ჯვრის პიროფლიანთა, რომელნიცა მტერს ებრძოდეს ლაშარის ჯვრის დროშის და სამშობლოს გულისადა, დაღალულნი და პიროფლიანნი პირწაღმა და პირნათლად დაიხოცნეს და მტერს ხერგი არ უჩვენეს. აქაც გამარჯვებულხი იყვნენ და თავის გრძელ ქვეყანაშიაც გამარჯვებული იყოს მათი სახელი. გაუმარჯოს!“ „ამინ“, დიძახებდა ქევისბერი და ყველანი ბანს მისცემდნენ. ქევისბერი წამოუწვებოდა ნადგომ ჩანახს, ხელს არ ახლებდა და ღვინოს დაეწაფებოდა. სხვები დაჰყურებდნენ და აქეზებდნენ, — ხმამაღლა გაჰკიოდნენ „გაუმარჯოს, გაუმარჯოს ლაშარის ჯვრის პიროფლიანთა! დალიე, დალიე, შაიშრო, შაიშრო!“ და სხვ. ვერცხლის ფულს ქევისბერიც ჩააგდებდა საყეინოში, რამდენის შესაძლებლობაც ჰქონდა. მერე დაიწყებოდა „საყეინოში შესვლა“. ყველანი „შედიოდნენ“ ფულით, ერთმანეთს პატიჟობდნენ. სხვის მაგივრ სხვა ჩაყრიდა ფულებს და დაპატიჟებდა — დალიეთო. ყველანი ახსენებდნენ, ე. ი. შენდობას იტყოდნენ ლაშარის ჯვრის პიროფლიანთათვის და რამდენიც შეეძლოთ დალევდნენ, რაც არ შეეძლოთ კიდევ აძალებდნენ. კაცი, რომელიც ტიკწამოკიდებული იჯდა, ღვინოს თანდათან უმატებდა საყეინოში. ტიკის პირი მოხსნილი ჰქონდა და ყოველ დალევაზე უმატებდა, რომ არ დანაკლულებულიყო. უფრო ვერცხლის ფულები იყო მიღებული, რომლებიც შიგ ღვინოში ჩაიყრებოდა, მაგრამ თუ ვერცხლის ფული არა ჰქონდათ საკმარი და შემოელეოდათ, მაშინ ქაღალდის ფულს საყეინოს გვერდზე დააწყობდნენ. საყეინო ყოველთვის მამაკაცებთან იყო, ქალები საყეინოს ვერ დალევდნენ ვერც ხატში და ვერც სოფელში. საყეინოს სმა რომ მოთავდებოდა, საბოლოოდ ისევ ქევისბერი გამოცლიდა და ფულებს ამოიღებდა, აქვე დათვლიდნენ და გადააბარებდნენ საგანძურს, ის სხვა სახატო ფულთან ერთად შეინახავდა და იყენებდნენ სხვადასხვა სახატო საქმეებისათვის, როცა დასჭირდებოდათ.

კულუხზე წასვლისას მეკულუხე როცა გაემზადებოდა, მედროშე ქევისბერი ქელმჭარს ინათლავდა ერთი საკლავით, მერე დროშას ააბამდა და მეკულუხეს დროშით გაუძღვებოდა წინ. რომ გათენდებოდა, ცოტას ისაუზმებდნენ, სანთელს მოანთებდნენ და ისევ გაუძღვებოდა დროშით მედროშე ქევისბერი. მატანში რომ ჩავიდოდნენ, დაიწყებდნენ ფშაურად მღერას და სიმღერით მივიდოდნენ წმინდა გიორგის მამულში, მღეროდნენ სასიმღეროს:

წმინდის გიორგის კარზედა,
ხე ალვაღ ამოსულაო,
წვერად მაუსხამს ყურძენი,
საჭმელად ჩამოსულაო,
მაგის ღუმელი ქალ-ვაჟი,
უდროოდ დაშაულაო.

ჩამოვიდოდნენ ცხენებიდან. აქვე ნიში და დროშის საბძანი კვრივი იყო, დროშას მიაბრძანებდნენ და დაისვენებდნენ, წმინდა გიორგის ხატიონთ მოსვლას მატანში ბევრი ხალხი გაიგებდა და მიდიოდნენ სასმლით, სუფრითა და სხვადასხვა შესაწირავით, ვისაც რა ჰქონდა შეთქმული. ზოგი მოიტანდა სადროშე ბაღდადს, ზოგი ვერცხლის ფულს, ვერცხლის სამკაულს და ზოგი საკლავს მოიყვანდა.

ხუთშაბათ დღეს აქ დარჩენილი კევისბრები და დასტურები მოიყრიდნენ თავს წყაროსთავს და მოამზადებდნენ ყველაფერს, რაც კი საჭიროა ხატობაში. დაამზადებდნენ სანთელს, მოიტანდნენ განთ, დარეცხდნენ და დაასუფთავებდნენ ხატის კარის მიდამოს. ამ დროს მოვიდოდა მეკულუხეც. დროშის ქმა შოროდანვე ჰოისმოდა და ქუდმოხდილი დასტურ-ქევისბრები ეზოში მიეგებებოდნენ. შემხვედრებს მედროშე დაამწყალობნებდა: „წყალობა, მგზავრისანგელოზისა. წყალობა“.. ისინიც უპასუხებდნენ: „გამარჯვებათ ხატ-კაციანად, მოგვიხვედით მშვიდობითა“, მედროშე პირდაპირ დროშის საბძანთან მივიდოდა და დაბძანებდა დროშას, თვითონ იქვე ახლოს ქვის სკამზე დაჯდებოდა. სხვები ცხენებს მოხდიდნენ საპალნეებს და მიიტანდნენ ღვინიან ტიკებს საკულუხოს კარზე.

წყაროსთავის წმინდა გიორგის ხატში ათენგეწას ლუდს არ ამზადებდნენ, მოჰქონდათ კულუხი და ღვინით დღეობობდნენ. კევისბერი წინასწარ გამოუცხადებდა წმიდა გიორგის ყმათ, დაუნიშნავდა დროს, დღეს, კულუხზე წასვლისას. ხალხი მოამზადებდა ცხენებს, ტიკებს ღვინისათვის, ჩაისხამდნენ ტიკში საგზაო არაყს, წაიყვანდნენ ორს საკლავს ხურჯინით და წავიდოდნენ.

ჩასვლა-ამოსვლის დღეები ისე ჰქონდათ გამოანგარიშებული, რომ ხუთშაბათს დღეს აქ უნდა მოსულიყვნენ წყაროსთავს. კულუხის ხალხი გადავიდოდა უკანაფშავის მთაზე ფუტკარაულზე. ერთ ღამეს ივრის კუდებში (ივრის სათავეებში) გაათევდნენ. სასმელ-საჭმელი თან მიჰქონდათ. ღამეს სადაც გაათევდნენ, იქ სანთელს აანთებდნენ და ეხვეწებოდნენ თავის სალოცავს წყაროსთაულს, რომ მშვიდობიანი მგზავრობა მიეცა მათთვის. სვამდნენ სასმელს და როცა ბილის დრო მოვიდოდა, რიგრიგობით იძინებდნენ, დანარჩენები ფხიზლად იყვნენ, რომ ქურდ-ყაჩაღს ან დროშა არ მოეპარა და ან — ცხენები. ცოტა შესაუზმების შემდეგ მეკულუხენი ჯერ თავის მოყვანილ საკლავს დაკლავდნენ, რომლითაც წმინდა გიორგის ყმათ ახვეწებდნენ მთლიანად. ამ დროს ხალხი ქუდმოხდილი იდგა დ პირჯვარს იწერდნენ. სასოფლო საკლავის შემდეგ მოიყვანდნენ სასაკლაოზე მეზღვნეების საკლავებს და თითოობით დაკლავდნენ მეზღვნის სამწყალობნელოდ. საკლავების დაკვლის შემდეგ დაიწყებოდა სანთელ-საწირის შესახელება. საკლავებს დაატყავებდნენ და მოხარშავდნენ ხორცს. ღვინო ადგილობრივ მცხოვრებლებს ბევრი მოჰქონდათ და თან საუკეთესო ხარისხისა. ზღვნობა და საწირავები რომ მოთავდებოდა, მერე გაიმართებოდა სუფრები. აქ ხორცს და პურს ხელზე არ არიგებდნენ, აქ იმართებოდა ბარული სუფრა და ვისაც რამდენი რა სურდა, საჭმელ-სასმელი იყო სუფრაზე, ღვინო, ხილი და სხვა. შემოღამებისას სანთლებს ანთებდნენ და მთელი ღამის განმავლობაში ატარებდნენ დროს სმაში და მხიარულებაში. ხოლო იყო გამოყოფილი კაცები, რომლებსაც ღვინით უნდა დაევსო ტიკები და საპალნეები გაემზადებინა. ტიკები იყო დიდ-დიდი, რომ ცხენი ორ ტიკს სა-

პალნედ აკიდებულს ძლივს ერეოდა. რომელიც ქვევრიდანაც უნდა ამოეღოთ ღვინო, იმ ქვევრის პირზე დააწყობდნენ საწირავთ, აანთებდნენ სანთლებს და ჭევისბერი, იგივე მედროშე, შეუსახელებდა ამ ქვევრ-მარანს თავის სალოცავს წყაროსთაულოს. ახვეწებდა ყმათ და თხოვდა მათ სიცრავლეს და ჯანმრთელობას. ყმათაში, სახატო საქმეზე ავადდებულთ უფრო ახვეწებდა და ამ ზედაშის მოყვანა-დამზადებაში მშრომელთ. მერე მოიხსენიებდა ვედრებით აქ მოსულ მეზღვნეებს და წმინდა გიორგის მლოცავთ. ზედაშე ამოღებული იყო ხელადით და ღვინიანი ჭიქა ჭევისბერს ხელში ეჭირა. მერე გამოცლიდა ჭიქას და ყველას დაალევინებდნენ წმინდა გიორგის ყმათ სამწყალობელს. ქვევრის გახსნის შემდეგ სასოფლო საკლავის ხორცის სუფრას გამართავდნენ და მიცვალებულებს მოიხსენიებდნენ, რომლებიც წინათ ყოფილან მეკულუხენი და დღეს ცოცხლები აღარ არიან. ასეთ შესანდობარსაც ყველა დალევდა. ამასობაში თენებაც მოიტანდა და ჭევისბერი მედროშე გაუძღვებოდა ლალისყურისაკენ. აქ გამზადებული საპალნეები და რამდენიმე კაცი დარჩებოდა, დანარჩენები ცხენებით და ტიკებით მივიდოდნენ ლალისყურის წმინდა გიორგის მარანში. ტიკები ღვინისათვის მიჰქონდათ იმიტომ, რომ ორივე ვენახის ღვინო უნდა წაეღოთ ზედაშეზ, განსაზღვრული რაოდენობის ნახევარი ერთგნიდან და ნახევარი მეორე მხრიდან. როგორც მატანში მისვლა და დახვედრა დაიწერა, ლალისყურშიც ამავე წესით შეხვდებოდნენ წმინდა გიორგის დროშას და ხატივნებს. აქაც იყო ზღვნები, სხვადასხვა შესაწირავი და გაშლილი სუფრები. თავის დაკლული საკლავის ხორცის სუფრასაც შენდობას ეტყოდნენ ძველ მეკულუხეთათვის, რომელნიც ახლა აღარ არიან. საპალნეები ღამით გამზადდებოდა და დილიანად დროშის წინ გაძღოლით დაბრუნდებოდნენ უკან. ღვინო, რაც ხატში უნდა მოეტანათ, ეს გაუხსნელად მოჰქონდათ, რომ ხელს არ ახლებდნენ ამ ტიკების ღვინოს დასალევად. ხოლო ცალკე ტიკებით მოჰქონდათ იმდენი ღვინო, რომ გზაში შემხვედრთანაც ყოფნოდათ, თვითონაც ამას სვამდნენ და წყაროსთავს კიდევ მოყვებოდათ სახარჯო ღვინო იმდენი, რომ შემხვედრ ხალხს კიდევ დაალევინებდნენ მანამ კულუხის ღვინო გაიხსნებოდა. ასეთი სიარულით მოვიდოდნენ ისევ მატანში, თავის მარანზე ცოტას შეისვენებდნენ, დროშასაც თავის საბძანებელში მიაბძანებდსენ და ისაუზმებდნენ პურ-ღვინით. მერე აჰკიდებდნენ ცხენებზე ღვინის საპალნეებს და წამოვიდოდნენ უკანაფშავისაკენ.

წმინდა გიორგის სანადოები არა ჰქონდა, ხოლო ჰქონდა მამულები და ვენახები კახეთში მეფეებისაგან მიცემული. როცა თათრებს ებრძოდნენ ჩვენი ძველები, მაშინ წყაროსთაულის დროშასაც უვლია იქა და ხალხსაც საბრძოლველად. მტერი რო დაუმარცხებიათ, მეფეს შაუწირავს წყაროსთაულისათვის ერთი მამული ლალისყურში და ერთი ფშაველში. ფშაველში მარანიც იყო თავის ვენახში (ამისი ქაღალდი იყო მეფის მიერ მიცემული და მთხრობელმა ახლა არ იცის ის ქაღალდი სად არის, წინათ კი უნახავს) ვენახში ჰყავდათ თავისი, ე. ი. ხატის, არჩეული კაცები ჭევისბრებიდან, რომელთაც ებარა ვენახის და ქვევრ-მარანის მოვლა-პატრონობა. ერთი კაცი მუდმივად იქ ცხოვრობდა და დანარჩენები, როცა საჭირო იყო სამუშაო დროს მუშის დაჭერა და სხვა, მაგალითად ყურძნის დაკრეფა, იმ დროს მიეშველებოდნენ. ამ მარანზედაც იყო პატარა კოშკი ქვისაგან აშენებული და აქ ყველა სამუშაოს დაწყე-

ბის დროს საკლავი იკვლოდა წმიდა გიორგისათვის, ახვეწებდნენ ჯერ მთლიანად. ყმათა და მერე ყმათაში ერთგულ მუშას და თავდადებულს სახატო საქმეზე. რა ოქმა უნდა აქ ზედაშე ღვინოც გამოულევარი იყო და პატარა დღეობას გადაიხდიდნენ და გაიხსნებოდა სამეუაო.

ათენგენას აქ (წყაროსთავ წმინდა გიორგის ხატში) ლუდი არ მზადდებოდა. მოჰქონდა მარტო კულუხის ღვინო თავის ვენახებიდან. მამული და ვენახი წმინდა გიორგის. კახეთში ორგან ჰქონდა მატანში და ლალისყურში. აქ ჰყავდათ დაყენებული თავისი ხალხი ხელმძღვანელებად. ისინი თავკევისბრის დავალებებს ღებულობდნენ აქედან და მისი მიხედვით ამუშავებდნენ იქ ვენახს და მამულს.

მამულს და ვენახს თავისი შემოსავლიდან ჰქონდა იმდენი შესაძლებლობა, რომ საჭირო დროს მუშას ამუშავებდნენ და სწორდებოდნენ ნაშრომში. მევენახეობისა ფშაველებს არაფერი გაეგებოდათ და ამიტომ საჭირო იყო იქ ადგილობრივი ხალხის დაქირავება ვენახის მოსავლელად. გაზაფხულიდან შემოდგომამდინ ვენახს რაც კი სჭირდებოდა, ყველაფერს აკეთებდნენ დაქირავებული მუშებით. მარანი ჰქონდათ ლალისყურში და ღვინოს აქ აყენებდნენ. ამ მარანს კი პატრონობდა ერთ-ერთი კელწმინდა კაცი, წმინდა გიორგის ყმათაგანი. ის ზამთარ-ზაფხულ იქ იყო და პატრონობდა მას. აქ, კიდევ, წყაროსთავს. ცალკე აშენებული იყო საკულუხო პატარა სახლი, ე. ი. დარბაზის მსგავსი, სადაც მოტანილი ღვინო ინახებოდა".

„წყაროსთაულ წმინდა გიორგის ივრას კუდები (ივრის სათავეებში) ჰქონდათ საძოვარი მთები. ამ მთებს აქირავებდნენ მეცხვარე ხალხზე, რომლებსაც მოუდიოდა ზაფხულში შირაქიდან დაბრუნებული ცხვრის ფარები. აძოვებდნენ მთაზე და იხდიდნენ საბალახეს. ეს საბალახე ჩაბარდებოდა დასტურებს და ისინი ინახავდნენ მანამ დაკვლა არ დასჭირდებოდათ. ამისათვის შემნახველი იღებდა თავის შენახული ცხვრის ტყავს. საბალახეში იღებდნენ საუკეთესო ცხვრებს და ჭედილებს განსაზღვრული რაოდენობით. ეს ჭედილები და ცხვრები უნდა დაკლულიყო ზოგიერთ დღეობებში, რომლებიც დაწესებული რაოდენობით იკვლებოდა ამა თუ იმ დღეობაში. მაგალითად, ქრისტეს (შობას) დაკლავდნენ ერთ საუკეთესო ჭედილას, წელწაღში უნდა დაეკლათ სამი, რადგან წელწადი სამ დღეს იყო და თითო დღეს თითოს კლავდნენ. ხორცი იხარშებოდა და სოფელი ჭამდა, ტყავი კი, როგორც ზემოთ ვთქვით. ცხვრის შემნახველს მიჰქონდა".

„ლიტანია საღამოს დასტურები მიიყვანდნენ საბალახოდან მოყვანილ „საათეო" საკლავს. ვისაც რა შეეძლო ბოთლებით თავის არაყს მიიტანდნენ. როცა ხალხი მოგროვდებოდა, კევისბრები გამოვიდოდნენ და დაამწყალობნებდნენ მოსულ მეკვლეთ. ისინიც ქუდმოხდილნი ფეხზე ადგომით შეხვდებოდნენ და დამწყალობნებაზე უპასუხებდნენ: თქვენიცამც მწყალობელია და თქვენის თავჯალაფობისა. აქ დასტურები წამოაყენებდნენ სასაკლაოზე სათეო საკლავს. თავკევისბერი ხელში ხანჯალს დაიჭერდა, პირაღმოსავლეთისაკენ დადგებოდა და საკლავს შეუსახლებდა, ახვეწებდა ყმათ და სთხოვდა წყაროსთაულს თავის ყმათაში მშვიდობიანი წლის დადგომას, წულსა და წულის აკვნის მომატებას და სხვა ჩვეულებრივი შესახელება. საკლავს ან დასტური ან ერთ-ერთი კევისბერი დაუჭერდა ფეხებს და ჭევისბერი ყელს გამოსჭრიდა. საკლავის ფეხების დაჭერაც კი ერთ-ერთ ჭევისბერს ჰქონდა დავალებული. საკლა-

ვის დაკვლის შემდეგ ჭევისბერი კიდევ დაამწყალობნებდა. სანთელს მიართმევ-დნენ, სანთელსაც სამ ფეჯს აანთებდნენ და იქვე დააკრავდნენ სიპზე, რაც გამოყენებული იყო პურის, სასმელის ჭურჭლის, ხორცის და სხვადასხვა რამეების დასალაგებლად. ჭევისბერი კიდევ დაილოცებოდა მოკლე სიტყვებით და უსურვებდა წმინდა გიორგის ყმათ ბედნიერი ახალი წლის დადგომას და დალევდა სასმელს. მერე ყველა გაიმეორებდა ჭევისბერის დალოცვას და დალევდნენ თითო ჭიქა არაყს. ამ დაკლულ საკლავს გაატყავებდა ვინმე ახალგაზრდა დასტური, თუ ასეთი აქ არავინ იყო, ერთ-ერთი სოფლის ახალგაზრდა საოჯახოთ აიღებდა.

საკლავის დაკვლის შემდეგ ხალხი დარბაზში შევიდოდა. ცეცხლს აქ წინათვე დაანთებდნენ დასტურ-ჭევისბრები. შეშა დამზადებული იყო დასტურების მიერ ბლომად, რადგან ტყე აქ შორს არ არის. ხალხი დაიწყებდა სმასა და თავის პირით მღერას. საკლავი რომ დაკლეს, ამისი ხორცი მოიხარშებოდა, დასტურები მოხარშავდნენ. მოხარშულ ხორცს დაანაწილებდა ერთ-ერთი მათგანი ნაწილებად, დაჭრილ საწირავთ პურებსაც ხორცთან დააწყობდნენ, აანთებდნენ სანთელს, დაასხამდნენ სასმელს და თავჭევისბერს მისცემდნენ თასს ლუდიანს. იგი ახსენებდა დიდებით ჯერ ღმერთს, კვირას და მერე თავის სალოცავ წყაროსთავ წმინდა გიორგის. მერე დალოცავდა ამ სუფრასაც და სასმელსაც ძველ ჭევისბრებისათვის, რომელნიც იყვნენ და აღარ არიან. ხევისბერი შანდობას ეტყოდა ზემოხსენებულ სულებს ასე: „დიდება შენდა ღმერთო მაღალო, ცათა გამჩენო, კმელთა დამდგმელო, შენგან არს გაჩენილი ცაცა და ქვეყანაც, შენვე გააჩინე კაცნი, შენგან არიან ყველა ღვთისშვილნი და ანგელოზნი, შენ სახელს აკსენებენ და ადიდებენ წულნი წმინდანი. დიდება შენდა დიდო კვირავ ძალიან-მადლიანო, ხთის მაღლის მოკარვეო, კაცთა და ხვთის შუამდგომელო. დიდება შენდა დიდო წყაროსთავ წმინდაო გიორგიო, ჩვენო სალოცავო. ზედაშე და სადიდებულო შენია, შენ გადიდოს შენმა გამჩენმა ღმერთმა და შენ გაძრიელოს. ღმერთმა და ჩვენმა სალოცავმა მოიკსენივნეს ამ სანთელ-სუფრითა და ზედაშითა ის სულწმინდანი, რომელნიცა იყვნენ ამ ჩვენს სალოცავშია წინანი ჭევისბერნი, ემსახურებოდნენ ამ ჩვენსა სალოცავს და ასრულებდნენ მისგან დაწესებულ წესრიგსა — დღეს კი ისინი აღარ არიან, მათ დაკსომება ჩვენში კიდენ არის. კიდენა თუ ვინმე იყოს სულწმინდა, რომა ღირსი იყოს შანდობისა, მოგველოდებოდეს და ჩვენ ვერ ვიგონებდეთ, გაანათლოს იმათი სულიცა ჩვენმა სალოცავმა და მაღალმა ღმერთმა. სულის მადლმა და ხვთისამა და ჩვენმა სალოცავმა უშველოს ამ თემს და სოფელსა. წელი მშვიდობისა და მადლიან-ბარაქიანი დაუყენოს. სულებს შენდობა ჰქონდეს, ჩვენს სალოცავს დიდება და თქვენ ყველათ სიცოცხლე და დღეგრძელობა“. ამის შემდეგ ჭევისბერი გამოცლიდა თასს და ყველას დაალევინებდნენ ამავე თასით ასეთსავე შესანდობარს. ამ დროს რა თქმა უნდა დარბაზში დიდი ცეცხლი ენთო და ცეცხლთან ახლო დაწყობილი იყო ჩამოსაქნელი წულის სანთლები, ზედ გადახვეული ჩითები მოხსნილი ცალკე ეწყო და ერთ-ერთი ჭევისბერი ამ სანთლებს უვლიდა, ცეცხლთ ახლოს იჯდა და სანთლებს გვერდს უქცევდა, თან გამლხვალ გვერდებს სთლიდა დანით და ხელში ზელდა. ყველა სანთელი რომ გალხვეოდა და ჭევისბერი ჩამოსაქნელად მოამზადებდა, დაიწყებდნენ ჩამოქნას. ჩილას ერთი წვერით ჭერში მოაბამდნენ, ბოლოს ვინმე

სხვა დაიჭერდა და მესანთლე ჭევისბერი, გამლხვალ და ხელში აზელილ დარბილებულ სანთელს ჩამოქნიდა. ჩამოქნიდენ სულ რაც წულის სანთლად იყო მოტანილი და დასჭრიდნენ ერთი ხელის დადების სიგრძეზე. ამ დროს წინასწარვე არჩეული იყო ერთი ჭევისბერი, რომელსაც ევალებოდა წელწად დილას ვოკას შეგორება. ამ ჭევისბერს ეწოდებოდა „უფროსი მეკვლე". დღეს ის გაკაგებდა მეკვლეობის წესრიგს. ამას ირჩევდნენ თვითონ ჭევისბრები. ამ უფროს მეკვლეს დათვლილი ყავდა და იცოდა რამდენი წული იყო ამ თემში (წული: მამაკაცი აკავნის ბავშვებიანად). წულის რაოდენობის მიხედვით დაიოვლიდა წულის სანთელს და ამ ლიტანია ღამეს სამჯერ დაანთებდა, სამჯერვე იმ რაოდენობის სანთელს, რამდენიც წული ითვლებოდა აქ. დარბაზში გრძელი სიპი იყო თაროდ გაკეთებული და იმაზე მწკრივად დააკრავდნენ სანთელს. მერე მოუკიდებდნენ ცეცხლს და უფროსი მეკვლე დაილოცებოდა. ევედრებოდა წყაროსთაულს, ღმერთს და კვირას მშიდობის წლის დაყენებას, წულისა და წულის აკავნის მომატებას, საზიანო საქმისას მტერ-მუხანათზე გადაღებას. პირველად დაანთებდა პირველ ღამეს, მეორედ — შუაღამის დროს და მესამედ — თენების დროს.

უფროსი მეკვლე და დასტურ-ჭევისბრები ყველანი ღამეს ათევდნენ ელიაგზაში ხთიშობელში, სადაც განსაკუთრებით მათთვის იყო აქ დარბაზი. ხსენებული მეკვლეც აქ ათევდა ღამეს და დილით წავიდოდა თენებაზე წმინდა გიორგის დარბაზში, სადაც მეკვლენი იყვნენ უკანაფშავის თემისა ყველანი. ჭევისბერი ე. ი. არჩეული მეკვლე რომ მივიდოდა, უკვე დღე-ღამე ირჩეოდა ე. ი. თენებას იწყებდა, მივიდოდა საზარესთან, მუხლს მოიყრიდა და წმინდა გიორგის ევედრებ-ეხვეწებოდა ახალი მშვიდობიანი წლის დაყენებას, ახვეწებდა წმინდა გიორგის ყმათ და თხოვდა მათთვის მშვიდობას და კაც-საქონლის განრავლებას. მერე ადგებოდა, პირჯვარს დაიწერდა, ფეხებზე ქალამნებს გაიხდიდა და წინდებიანი დიდის მოხათრებით მივიდოდა ზართან. კიდევ პირჯვარს იწერდა და თხოვდა პატიებას თუ რამე ჩემის უვიცობით გცოდეო. მერე ზარს სამჯერ ჩამორეკდა, კიდევ მოიყრიდა მუხლს და წამოვიდოდა დარბაზისაკენ. მეკვლენი ზარის ქმაზე ყველანი ფეხზე ადგებოდნენ, ქუდებს მოიხდიდნენ და ევედრებოდნენ თავის სალოცავ წმინდა გიორგის ახალი, მშვიდობიანი და ღალიან-ბარაქიანი წელი დაგვიყენეო.

ჭევისბერი რომ დარბაზის კარებთან მივიდოდა, შიგნიდან გოგას გამოუტანდნენ და მისცემდნენ ხელში. ამ დროს იყო სრული სიჩუმე, მარტო მეკვლის ხმა ისმოდა: „ღმერთო და ჩვენო სალოცავო წყაროსთავ წმინდაო გიორგიო, დიდო კვირავ ხთის მაღლის მოკარეეო, ხვთისა და კაცთა შუამდგომელო, უშველეთ წმინდა გიორგის ყმათა უკანაფშაველთ თემსა, ფეკი ჩემი იყოს და კვალი ანგელოზისა, წელი მშვიდობისა დაუყენეთ, თქვენს ხვეწნა-ვედრებას ნუ დაუკარგავთ, წულსა და წულის აკავანს უმატეთ, წლის მოსავალს ჯვარი დაუწერეთ დ ღალიან-ბარაქიანობას მოუმატეთ. თუ რამე ეხედვებოდეს მარცხი და ფათერაკი, თქვენს ორგულ მუხანათზე გადაიტანეთ თქვენის სახელის ჭირიშე". ამ ლოცვის დამთავრების შემდეგ გოგას გააგორებდა სამჯერ.

ზღურბლზე ფეჯს არ გადადგამდა მანამ სამჯერ არ მოუტანდნენ და არ გააგორებდა გოგას (ხევსურეთში სამეკვლეო ჰქვიან და ფშავში გოგა). მესამედ, რომ მეკვლე გააგორებდა, ფეხსაც გადასდგამდა ზღურბლზე და იტყოდა: „ფე-

ჯი ჩემი კვალი ანგელოზისა. შემოვდგი ფეჯი, გწყალობდესოო ღმერთი და ჩვენი სალოცავი წყაროსთავ წმინდა გიორგი. მოგილოცავთ ახალი წლის გამოცვლას, ბედნიერი წელი დაგიყენოსთ წულით და წულის აკავნით, კაცით და საქონლით, წელი მადლიანი, ღალიან-ბარაქიანი და მშვიდობიანი მოგინიჭოსთ ჩვენმა სალოცავმა“. მეკვლე როცა ამ სიტყვებით ულოცავდა, აქედანაც ყველანი ასეთივე მოლოცვით პასუხობდნენ. მოლოცვის შემდეგ მოიყვანდნენ საკლავებს. ჭევისბერები საკლავებს შეუსახელებდნენ და ჩვეულებრივ ყელებს გამოსჭრიდნენ.

აქ, უკანაფშავის თემში, კიდევ იყო ერთი ხთიშობელი ვაკის სოფლის ზემოთ, ხთიშობელ ციხის ანგელოზი. ამ ხთიშობელშიც იყვნენ დასტურ-ჭევისბრები. დილას, როცა სამეკვლეოს შეგორების დრო მოვიდოდა. აქაური მეკვლეც წავიდოდა და შეაგორებდა წყაროსთავს მეკვლეთან გოგას. მესამე გოგას თვით წყაროსთავისას შეაგორებდნენ, ხოლოთ ამათში უფროსი მეკვლე ერთი იყო (აქ უფროსი მეკვლე ყველა მეკვლეების ქუდებს მოაგროვებდა და არევ-დარევდა ერთმანეთში, დაიფარებდნენ ნაბადს, მივიდოდა ეს უფროსივე მეკვლე ქუდმოხდილი, ეკედრებოდა წყაროსთაულს, რომელიც ღირსი იყოს, სოფლის მეკვლეობა იმას არგინეთო. ნაბდის ქვეშიდან გამოიტანდა სამ ქუდს. პირველი ქუდის პატრონს ერგებოდა ელიაგზის სოფელში მეკვლეობა, მეორე — ჭიდალში და მესამეს — ვაკისოფელსა და გიქციში. მეკვლეებს მოულოცავდა: „ღირსი ხარ და ღირსად გცნო ჩვენმა სალოცავმა, მრავალს დაესწარი მეკვლეობას, ნუ შაგანანოს დალოცვილმა, შენი ფეკი იყოს თემისა და სოფლისათვის და კვალი წმინდა ანგელოზისა“. მინარგენ სოფლებში გაისტუმრებდნენ სამივე მეკვლეს და ამ დროს მეზარე სამჯერ კიდევ ჩამორეკდა ზარს. ზარის ჭმაზე ყველანი პირჯვარს იწერდნენ და მეკვლეები სოფლებისაკენ მიეშურებოდნენ.

წელწადს ხატში ჭევისბერს მორთავდნენ ჭემწიფედ, გამართავდნენ ჯოხზე სახუმარო ალამს. როცა სოფელი სოფელს დალაშქრავდა. ჭემწიფე გამოეგებებოდა ალმით და თავის ამალით. სოფელში მოსული ვინმე ხნიერი დედაკაცი იქნებოდა; თუ ასეთი ხნიერი დედაკაცი არავინ იყო ამ დროს აქ, ასეთ შემთხვევაში კაციც შეიძლებოდა მოხუცებული, უფრო კი ასეთ ხუმრობის დროს ცდილობდნენ დედაკაცი ვინმე გამოსულიყო. დედაკაცი გამოვიდოდა ფალავნად და ეტყოდა: ჩვენ ყველამ რად უნდა ვიომოთ, გამოიყვანეთ თქვენი ჭემწიფე, მე შევებმი მას, თუ დავამარცხე, ჩვენია გამარჯვება და თუ ის დამამარცხებს, თქვენა ხართ გამარჯვებულიო. ჭემწიფე დათანხმდებოდა და გამოვიდოდა საბრძოლველად, მაგრამ ყოველთვის დაამარცხებდა დედაკაცი, წაიქცევდა, სხვები მივარდებოდნენ და დროშას წაართმევდნენ. მერე ზოგებს ტყვედ დაიჭერდნენ და აღარ უშვებდნენ მანამ საფასს არ მოატანინებდნენ, — ლუდს და არაყს. ჭემწიფის საჭსარი იყო ერთი კოკა ლუდი. უფრო ნაკლები იყო უბრალო მებრძოლის საჭსარი (კოკა თულუხია სპილენძისა. როგორც ხევსურეთში ჩხუტით წყავენ და საზღვრავენ ლუდს, ფშავში იმის მაგიერ კოკა არის მიღებული). თუ ვერ მორიგდებოდნენ („მოშველდებოდნენ“) ტყვეების საჭსარზე, იმ შემთხვევაში სასამართლოს აირჩევდნენ და იმათ მიერ მისჯილ სასჯელს კი ყველა დათანხმდებოდა“.

„ჭორცის შაბათს, დილით მოვლენ ჭევისბრები ხატში და დასტურებიც. სოფელიც მოვა და მოიყვანდნენ თან სასოფლო საკლავს, რომელიც საბალა-

ხეში აკკანილი იყო. საძოვარი მთის ბალახის ქირა ინახებოდა დასტურთან (მოვლის ფასად ცხვრის შემნახველი თავის შენახული საკლავის ტყავს თვითონ წაიღებდა, გატყავებითაც თვითონ ის გაატყავებდა).

ამ დღეობაში ლუდი არ მზადდებოდა, ხოლოთ სახლიდან ყველას მოჰქონდა არაყი, ვისაც რამდენის შესაძლებლობა ჰქონდა. აგრეთვე მოჰქონდა ყველას ქადა-პურები. მოტანილ ქადა-პურს იქვე სიპზე ალაგებდნენ ერთიმეორეზე მიწყობით. როცა აღარ იყო მოსასვლელი ვინმე, მაშინ სანთლებსაც ჩამოქნიდნენ, დასჭრიდნენ თითო ხელის დადების სიგრძეზე, მოუკიდებდნენ ცეცხლს და დააკრავდნენ იქვე სიპზე და ჭევისბერი სანთლის ანთების წესზე შეუსახელებდა სანთელს და ავედრებდა ყძათ. ამ შესახელების და დამწყალობნების შემდეგ ჭევისბერი დასჭრიდა ქადებს. ქადის დამჭრელი ჭევისბერი სხვა იყო. ქადის დამჭრელი დაჭრის დროს იტყოდა: „დიდება შენდა წყაროსთავ წმინდაო გიორგიო, შენ უშველე შენს მეხვეწურსა (სახელი მომტანისა), მაგათ თავ-ჯალაფობასა, კაცსა და საქონსა, ნაშრომ-ნამაშვრალსა მადლი და ბარაქა დაუტანე! შინ მშვიდობა მიეც და ველთ გამარჯვება!“

ზღვენს გაატყავებდნენ, ერთ მჯარსა და ტყავს დასტურ-ჭევისბრებს დაუტოვებდნენ, დანარჩენ ხორცს შინ წაიღებდნენ, ან ერთ აბაზ ვეოცხლის ფულს ეისცემდნენ ტყავის საკსრად და ტყავსაც შინ წაიღებდა ზღვინის პატრონი. ამ დღეს აქ სუფრობა არ იმართებოდა, ხოლო სასოფლო საკლავის ხორცს და პურის ნაჭრებს ჩამოურიგებდნენ კელზე. ჭევისბერი ქადას ისე დასჭრიდა, რომ ერთი მეოთხედი უნდა გამოეკრა და ის ხატში რჩებოდა, სამი მეოთხედი პატრონს უბრუნდებოდა. ამ ქადას მეოთხედების ნაწილსაც წვრილწვრილ ნაჭრებად დასჭრიდნენ და პუროან და ხორცთან ერთად პატ-პატარა ნაჭერ ქადასაც მისცემდნენ“.

„წყაროსთავ წმინდა გიორგის ხატში აღვსებას ლუდი მზადდებოდა დასტურეთისაგან. დასტურ-ჭევისბრები ყველა თავ-თავის ძოვალეობას ასრულებდა, მაგალითურს განძი მიქონდა, მედროშე დროშას გამოაბძანებდა და სხვ. ესენი საღამოთითვე მოვიდოდნენ ხატში და ღამეს აქ გაათევდნენ. სანთელს ანთებდნენ და ლუდსაც გახსნიდნენ, ხოლოთ საჭმელი დილამდინ სამარხო ჰქონდათ. დილით რომ გათენდებოდა, მეზარე ზარს დარეკავდა, სანთელს მოანთებდნენ და ხალხიც თანდათან დაიწყებდა მოდენას.

სასოფლო საკლავს რომ დაკლავდნენ, ახვეწებდა ჭევისბერი მთელ უკანაფშავის თემს, თემში ხალხისათვის და ხატისათვის თავდადებულ კაცს. თხოვდა ხატს იმის ყმათ გამრავლებას, წულის, წულის აკავნის, კაც-საქონის და სხვ. (საკლავის დაკვლის და გატყავების წესი ვიცით, ამისი ტყავი ხატში რჩებოდა და ხორცი ხალხს ურიგდებოდა მოხარშული). ამ დღეობაშიც მოდიოდნენ ქალები და მოჰქონდათ განსაკუთრებით უფრო მეტად გულიანი ქადები. ამ ქადებს გახსაკუთრებული სახელი ეწოდებოდა: „სამგებრო ქადა“, ქადის დამჭრელ ჭევისბერს ეწოდებოდა „მზარეული“.

„ჭევისბრები იყვნენ ბევრნი. ყველას ებარა თავისი საკუთარი საქმე ხატისაგან ჩაბარებული. ამ ჩაბარებას ხატი გამოუცხადებდა მკითხავის პირით: ამა და ამ ჭევისბერს ვაბარებ ზარს და საკლავის დაკვლასაო (ეს ორივე ერთს ჭევისბერს უნდა შეესრულებინა). მეორე ჭევისბერს — ლალისყურის მამულის მოვლას, მესამეს — ფშაველში ვენახის და ქვევრ-მარანის პატრონობას,

მეოთხეს — ქადა-პურის დაჭრას, მეხუთეს — დარბას-სალუდეში სისუფთავის დაცვას, მეექვსეს — თას-განძთა მოვლა-პატრონობას, მის დარეცხა-დასუფთავებას. დათვლას, თავის დანიშნულ ადგილზე დაწყობა-ალაგებას და ხანდახან დამალვას სხვადასხვა ადგილებში მაშინ, როცა მტრის დაცემის შიში იყო. ხოლოთ როცა დაძალავდნენ თას-განძს, ეს სამ კაცს უნდა ცოდნოდა. მტრის დაცემის დროს ამ სამში ერთი მაინც გადარჩებოდა და არ დაიკარგებოდა თას-განძი. ასე ჭევისბერები აქ ბევრები იყვნენ და ყველას ჰქონდა თავისი საკუთარი საქმე. ასევე ჰქონდა ყველას თავ-თავისი სკამი ქვისა. ყველამ იცოდა სად ვისი ადგილი იყო და სხვა ადგილზე არ დაჯდებოდა. ამათში უფროს თავჭევისბრად ის ითვლებოდა, ვისაც ზარი და საკლავის დაკვლა ევალებოდა. მეტწილად იმის სიტყვას ემორჩილებოდნენ. სხვადასხვა სახატო საქმეზე, მას ეკითხებოდნენ და, თუ მისი ნებართვა არ იქნებოდა ისე არას გააკეთებდნენ. ხშირ შემთხვევაში ასეთი ხევისბრები მკითხავებიც იყვნენ უფრო სიზმრით. თუ ვისმე სამკითხაო რამე ექნებოდა, მასთან მიიტანდნენ სანთელს, ის დაახვევდა (ჩამოსაჭიელ სანთელს მიიტანდნენ და ის ჩამოქნიდა) და ერთ ღამეს ჩამოქნილ სანთელს თავის ლოგინის თავთით დააწყობდა (სამ ფეკ სანთელს) მეორე დილას სანთლებს დაანთებდა და, რაც იმ ღამეს ამ სანთლის პატრონისათვის სიზმარში მოიხილა (ნახა), სანთელის ანთების შემდეგ გამოუცხადებდა სანთლის პატრონს. ის თავჭევისბერი აწესრიგებდა ხატის ბრძანებით ვის რა უნდა ჩაბარებოდა სახატო საქმე. იგი დაავალებდა კახეთში წამსვლელებს რა უნდა გაეკეთათ ხატის მამულში ან ვენახში. ერთი სიტყვით ეს თავჭევისბერი წმინდა კაცად იყო მიღებული და თემიც ემორჩილებოდა მის სიტყვას. სათემო საკითხებში მის დაუსწრებლად არაფერი გადაწყდებოდა. სალაშქრო საქმეებსაც ის განაგებდა. ხოლო როცა სალაშქროდ მიდიოდნენ. ის დალოცავდა, დაამწყალობნებდა საკლავის დაკვლით წამსვლელებს, დროშას მედროშე ჭევისბერი ააბძანებდა და გაუძღვებოდა ლაშქარს. თუ ძალიან ხნიერი არ იქნებოდა, თავჭევისბერიც თან გაჰყვებოდა და მართავდა ლაშქრის მეზავრობას. თან გამარჯვება დამარცხების საკითხებზედაც მკითხაობდა სიზმრებით".

„ქრისტეს მოსული ჭევისბრები წელიწადის გადაყრამდინ იქ, წყაროსთავ წმინდა გიორგის ხატში რჩებოდნენ. ქრისტიდან წელიწადამდე ამ ერთ კვირას „ოევისკვირა ეწოდებოდა ჭევისბრები დღე და ღამე აქ იყვნენ. დილა-საღამოს სანთელს ანთებდნენ და თავის სალოცავს ახვეწებდნენ ყმათ. სოფელი რიგრიგობით უზიდავდა მათ „მოსაკითხს". ერთი ან ორი კომლი ერთ დღეს მოუტანდა ან დილა-საღამოთიც მიუტანდნენ: მოხარშულ ხინკალს, გამომცხვარ კეცეულს, ან ყაურმას, თაფლს, ერთ ხელადას ან მეტსაც არაყს და მთელ დღეს ქეიფობაში ატარებდნენ. მოსაკითხის მიმტანიც მთელი დღე მათთან იყო. ხატიონს ქრისტეს დამზადებული ლუდი ან თევის კვირასაც ჰქონდა გამოზოგვილი და მოსაკითხის მომტანს ამით უმასპინძლდებოდნენ. როცა მოტანილი ჭურჭელი არაყისაგან გამოიცლებოდა, ამავე ჭურჭელს ლუდით უვსებდნენ და ატანდნენ სახლში"

„ჭევისბრები წყაროსთავში ორი გვარიდან დგებოდნენ: ბობღიაშვილები და სოხურაშვილები. დასტურად წლობით დგებოდა ორი კაცი მორიგეობით — ეს მთლიანად უკანაფშავის თემში ყველა გვარიდან. უკანაფშავის თემი კიდეა

იყო დაყოფილი სამ თემად: ერთი თემი იყო ელიაგზა, მეორე თემი იყო ჭიდალი და მესამე თემი — ვაკის სოფელი და ვაკის სოფლის ცოტა ზემოთ სოფელი გოქცი (ამ ზემონათქვამ თემებს ერთად ერქვა უკანაფშავის თემი, ერთ-ერთი ფშავის თორმეტ თემთაგანი). ამ სამივე თემიდან ერთი წლის ვადით დგებოდა თითო თემში ორი დასტური — სულ ექვსი დასტური. ამ დასტურებს დაყოფილი ჰქონდათ დღეობები და დიდ დღეობებში (ე. ი. რამდენიმედღიან დღეობაში) კიდევ დღეები ჰქონდათ დანაწილებული. ახალი დასტური დგებოდა, ე. ი. დასტურები იცვლებოდნენ წელწადში. ახალდამდგომ ექვსივე დასტურს მიჰყავდათ ხატში შესალოცი თითო საკლავი და ძველ დასტურებს კი მიჰყავდათ გამოსალოცი თითო საკლავი. საკლავი თხის გარდა, ყველა შეიძლებოდა — ცხვარი, ჭედილა, თოხლი, ხბო, განურჩევლად მისი დედალ-მამლობისა. მიჰქონდათ თან ქადა-პურები, ქადა ხავიწიანი და პური (ჭმიადი), თან მიაყოლებდნენ საწირავთ (საწირავნია ეროი ჭმიადი და სამი მრგვალი პატარა პური, რომლის გულში ჩაჭდობილია ბერა თითი და ღრმად ჩაჭვაფული). ამ საწირავთა და ქადა-პურებს მოყვება სანთელი, რასაც შესახელების დროს ანთებენ და ახვეწებენ ქადა-პურის საწირავთ მომტანს. ეხვეწებიან: „წყაროსთავ წმინდა გიორგიო, უშველე შენთ მეხვეწურთა! ხალიზი მიეცი, ბალინჯი აშორე და წელიწადი მშვიდობისა დაუყენე!“... პირველად მარჯვენა მხარეზე დააყენებდნენ ძველ გადამდგომ დასტურთა, რომელთაც შეასრულეს წმინდა გიორგის მსახურად ერთი წელიწადი. როგორც ზემოთ, ჯერ ამათ ქადა-პურებზე ანთებდნენ სანთელს და ახვეწებდენ გადამდგომ დასტურთ, რომელთაც შეასრულეს თავისი მოვალეობა და თხოვენ წყაროსთაულს აპატიოს ის დანაშაული, რაც ამ ერთი წლის განმავლობაში თავისი უცოდინარობით სცოდეს ან ჟამს ან უჟამოსა. ყმა შეუცოდები არ იქნება და ბატონი შეუნდობელი. თხოვენ, რომ კვლავად უკეთესი გულით მიარგინოს წმინდა გიორგიმ თავისი სამსახური. საკლავებიც გადამდგომ დასტურთა დაიკვლებოდა პირველად და ამავე სახით გადამდგომ დასტურთ ახვეწებდნენ წყაროსთაულს. ამათი ქადა-პურის და საკლავის დაკვლის წესები რომ შესრულდებოდა, ახლა ახალ დამდგომ დასტურთ დააყენებდნენ მათ ადგილზე. ძველ დასტურთ მარცხენა მხარეს გამოაყენებდნენ, აანთებდნენ სამ-სამ ღერ სანთელს და შეუსახელებდნენ ქადა-პურებს ახალ დამდგომ დასტურთ სამწყალობნოდ. შემდეგ წამოაყენებდნენ ახალ დასტურთ მოყვანილ საკლავებს და ჭევისბერი შეუსახელებდა შესაწლოცაოდ. „დიდება შენდა ღმერთო მაღალო, ცისა და ქვეყნის გამჩენო, ჭმელეთის დამდგმელო, ჭორციელ-უჭორცოთ გამჩენო და იმასთან წესრიგის დამაარსებელო! დიდება შენდა კვირავ ძალიან-მადლიანო, ხთის მაღლის მოკარვეო! დიდება ძალსა და სახელსა შენსა წყაროსთავ წმინდაო გიორგიო! შენთვის სამსახური მოუყვანია შენის წესის მიხედვითა ახალ დამდგომ დასტურთა, მსახურთა. მოსულან შენს სამსახურებლად და დაწესებული წესის შესასრულებლადა. შეიწყნარენ და ჰიიღენ, დიდო წყაროსთავ წმინდაო გიორგიო, შენდა სამსახურებლადა! ხალიზი მიეცი და ბალინჯი საქმე აშორე, შენი სახელის ჭირიმე. თუ რაიმე საზიანო საქმე ეხედვებოდეს ამათ კაცსა, საქონსა, მოაშორე შენის ძალითა და დიდებითა, დალოცვილო წმინდა გიორგიო! ბევრი გყავ ორგული და მოღალატე და მაგათად დახედვებული მავნე საზიანო საქმე შენს ორგულ მოღალატეზე გადაიღე და მაგათ სახლ-ჯალაფობას, კაცსა და საქონს

მოაშორე! თუ რამე თავის უცოდინარობით გცოდონ ამ მომავალ წლის განმავლობაშია, შანაცოდვარი და შანაწყინარი შეუნდევ, შენის სახელის ჭირიმე, შანაწყინარზე ნურას საზიანო საქმეს მიაყენებ, ზღვნითა და სანთლით შაიხვეწენ და გადააკდევინე თავისი უგუნურობით შანაცოდვარი საქმე! თუ რამე ჩემის უვიცობით შენს ქსენებასა და დიდებას აკლდებოდეს, დალოცვილო წმინდაო გიორგი, მაპატიე და შამინდევ და შენთ ახალ დამდგომ დასტურთაცა შენს წყალობას ნუ დააკლებ!“ შესახელება რომ დამთავრდებოდა, დასტურები თავ-თავის საკლავს დაიჭერდნენ და ჭევისბერი ყელებს გამოსჭრიდა საკლავებს (ხევსურეთში საკლავის დაკვლა სხვანაირად იცოდნენ: ყელში წვერით გაუყრიდნენ ხანჯარს ან დანას (ურსას) და შიგნიდან გარეთ გასჭრიდნენ ყელს, ფშავში კი ყელში პირდაპირ გამოუსვამდნენ გარედან ხანჯალს, მერე გადასტეხდნენ, ე. ი. დაარტყამდნენ და გადასჭრიდენ ხანჯლით კისრის ძვალს). მერე კიდევ დაამწყალობნებდნენ: „წყალობით იყოს თქვენს თავზე დალოცვილი წყაროსთავ წმინდა გიორგი, შეიწიროს თქვენი შენაზღვენი, ნურა ავი და ურიგო მოგცესთ, თქვენთვის დახედვებული საავო საქმე თავის მუხანათ ორგულთაზე გადაიღოს და თქვენ უსაწყინოდ შეგინახოსთ!“ ჭევისბერი ამ სიტყვებს ძალიან ნელის და ტკბილის ხმით ეუბნება (ხევსურეთში ყველანი ხმამაღლა ყვირიან დამწყალობნების დროს, რომ ვერ გაარჩევ ვინ რა სიტყვებს ამბობს; იქ მყოფნი ყველანი ერთად ამწყალობნებენ. ფშავში კი მარტო ჭევისბერი ძლივს გასაგონი ტკბილი ხმით ამწყალობნებს). თითო-ოროლა ჭევისბერი და დასტური თუ ჩაურთავდა სიტყვებს: „წყალობით იყოს თქვენზედა ჩვენი სალოცავი“ (ხევსურეთში კი განურჩევლად დასტურ-ჭევისბერისა და ერისგანისა მოსულ სტუმრებიანად ყველანი ხმამაღლა ყვირილით ამწყალობნებდნენ). დამწყალობებული დასტურნიც ნელის ხმითვე უპასუხებდნენ: „თქვენიცამც მწყალობნელია დალოცვილი წყაროსთავ წმინდა გიორგი, ჩვენი სალოცავი“. საკლავების დაკვლის შემდეგ დადგამდნენ ან ლუდიან ჭურჭელს, ან ღვინოს დაასხამდნენ პატარა ყანწში, მისცემდნენ ჭევისბერს, სანთელს აანთებდნენ და იქვე დააკრავდნენ რამეზე და დაილოცვებოდა ჭევისბერი: „აბა გაემარჯოს ჩვენს სალოცავს წყაროსთავ წმინდა გიორგისა! გაემარჯოს კვირას ძალიან-მადლიანსა. ხთის მაღლის მოკარვესა! გაემარჯოს დიდს ლაშარის ჯვარსა! თამარ ნეფესა! და ყველა ხთიშვილთა და ყველა ანგელოზთა! (აქ ბევრ ხთიშვილებს დაასახელებდა ჭევისბერი ფშავში და ხევსურეთში, რისიც კი სახელი იცოდა, ბოლოს მაინც კი ჩაურთავდა „ფშავ-ჭევსურეთის სალოცავებს“). წყალობით იყვნენ თქვენს ახალ დამდგომ წყაროსთავ წმინდა გიორგის დასტურთაზედა ყველა ანგელოზნი და ყველა ხთისშვილნი! ავი და ზიანი გაშოროსთ, მშვიდობა და კეთილი საქმე მოგინიჭონთ, დაგეხმარონთ დალოცვილნი ველთაცა და შინაცა, კაცსაცა და კვლავად უკეთესის გულით შეგახვედროსთ დალოცვილმა თავის სამსახურსა! გიმატოსთ წულსა, წულის აკავანსა, უშველოს თქვენს კაცსა და საქონს, წელი მშვიდობისა და ღალიან-ბარაქიანი დაგიყენოსთ დალოცვილმა ჩვენმა სალოცავმა! ნაჯსენებ-ნადიდებ ანგელოზთ და ღვთისშვილთ დიდება ჰქონდეს და თქვენ იმათ წყალობა ნუ ვოგაკლდესთ!“. ჭევისბერი ამას რომ დაილოცვებოდა, სასმელს დალევდა, ახლა ყველა იქ

მყოფთ ჩამოურიგებდნენ სასმელს ამავე ყანწით და ყველანი გაიმეორებდნენ ამ სახის დალოცვას, მხოლოდ ასე ვრცლად არა, ყველანი დალევდნენ სასმელს და მერე დასხდებოდნენ. საკლავებს პატრონები გაატყავებდნენ, (საკლავის თავსა, ერთ მჯარსა და ტყავს დასტურ-ხევისბრებს გაუწირავდნენ და დანარჩენ ხორცს შინ გაგზავნიდნენ), გულ-ღვიძლს, ფილტვებს და თირკმელებს აქ მოხარშავდნენ, ან შესწვავდნენ და ყველანი ჭამდნენ. საკლავის პატრონს, თუ თავის საკლავის გატყავების დრო არ ქონდა და მის მაგიერ სხვა ვინმე გაატყავებდა, ის აიღებდა „საორახოთ" (გულ-ღვიძლს, ფილტვებს და თირკმელებს ყველას ერთად „საორახო"-ნი ჰქვიან) და — საორახონი ეკუთვნის საკლავის გამტყავებელს.

ახალ დამდგომი დასტურები ჭევისბრებისაგან წინასწარ გაფრთხილებულნი იქნებოდნენ და წელწდისათვის დაამზადებდნენ ლუდს შემდეგის წესით: დასტურნი თავ-თავის თემში აკრეფდნენ „საწულადოს" თითო ლიტრა ფქვილს ფორისას და თითო ლიტრა სვეს იმდენს, რამდენიც ქუდიანი (წული) იყო კომლში. ყველა კომლი თავის ოჯახში რამდენიც წული ჰყავდა, იმდენ ფქვილს და სვეს იხდიდა ლიტრით (ლიტრაში ჩადის თორმეტი გირვანქა ქერის ფქვილი). ელიაგზის დასტურნი ელიაგზაში შეაგროვებდნენ საწულადოს და დაამზადებდნენ ლუდს, ჭიდელნი-ჭიდალში და ვაკისოფელი და გოქცი ერთ თემად ითვლებოდნენ და აქაური დასტურნი აქ შეაგროვებდნენ საწულადოს და ადუღებდნენ ლუდს. ამ ლუდს სამივე თემის დასტურნი ცალ-ცალკე დააყენებდნენ.

წელწადი წყაროსთაულში სამ დღეს იცოდნენ; თითო დღეს თითო თემის დასტურთ დამზადებულ ლუდს გამოიტანდნენ ხალხში და ხატშიც იმავე დასტურის ლუდის ხარჯზე იყო დღეობა, მეორე დღეს მეორე დასტურთ ლუდი იხარჯებოდა და მესამე დღეს — მესამე დასტურებისა. ამას აწესრიგებდა თავ-ჭევისბერი. დუღილის დროსაც დღეგამოშვებით ადუღებდნენ ლუდს. თავჭევისბერი დაავალებდა ვინ რომელ დღეს გაუძღვებოდა თავის ნადუღარი ლუდით ხალხსა და ხატს" (M[1], 83, რვ. 32, გვ. 384—394; რვ. 33, გვ. 395—404, 406; რვ. 34, გვ. 406; 407; 409; 414; რვ. 35, გვ. 420).

ს ა თ ე მ ო ს ა მ თ ო ს ა ლ ო ც ა ვ ი მ ა რ ი ა მ წ მ ი ნ დ ა. უკანაფშაველთ სათემო სამთო სალოცავია ე. წ. მარიამ წმინდა, რომელიც იქვე, მაღალ წვერზე მდებარეობს. იქ იხდიან მარიამობას. ამ დროს მარიამ წმინდას სალოცავში დღეობა მარიამობა იცოდნენ. დღეობაზე მიდიოდა ქალი და კაცი, ყველა და იქ თავის სალოცავს შვილიერებას შესთხოვდნენ.

გარდა ამისა, თემის ყოველი კომლი ყოველ წელიწადს ამ ხატში ციკანს მიიყვანდა, ხატის სახელზე დაკლავდა და მთიდან ძირს დააგორებდა. ეს იყო ჭექა-ქუხილის საწინააღმდეგო შესაწირავი. ჭექა-ქუხილის ღვთაებრივ ძალას ეევედრებოდნენ გვალვისაგან და სეტყვისაგან დაცვას.

ბ) სასოფლო ხატები

1) მოხარნადე ღვთისმშობლის ხატი (ვაკისოფელი)

ვაკისოფლის მცხოვრებთა რიცხვი — ადგილობრივ ინფორმატორთა ცნობით, ძველად 90 კომლი ყოფილა და ამიტომ აქ რამდენიმე ხატია და ქრისტიანული სამლოცველოც არის. მართლაც ვაკისოფლის თავზე გაშენებულია

მოხარნადე ღვთისმშობლის ხატი, ამ ხატსა და სოფელს შუა დგას ქრისტიანული ეკლესია თავისი სამრეკლოთი, სოფლის დასახლებულ ნაწილს დასავლეთიდან აკრავს ადგილისდედის ხატი და მახლობლად კვირაცხოვლის ხატი ყოფილა. ახლო წარსულში ამ ხატებსა და სახატო მიწებს, ე. წ. სანადოებს (რომლებიც შემდეგში ნაყევრალებად აქციეს) სოფლის ტერიტორიის ფარგლებში 10,5 ჰა ფართობი ეჭირა. ამათგან ყველაზე მეტი ფართობი მოხარნადე ღვთისმშობლის ხატს ეკუთვნოდა (ტაბ. 156).

ეს ხატი სამი სოფლის საზოგადოებრივ-საკულტო ცენტრი იყო, ვაკისოფლისა, გოქცისა და ელიაგზისა. მოხარნადე ღვთისმშობლის ხატი შემდეგი ნაგებობებისაგან შედგება: ორი ბეღელი (ხისა და ქვის), ზემო და ქვემო კალო, სალუდე, საბერო, საჯარე, დარბაზი, საზარე საუნჯე, სასანთლე და რამდენიმე გაურკვეველი დანიშნულების მთელი და ნაშალი შენობა. ჩამოთვლილი ნაგებობები, გარდა სამეურნეო დანიშნულების სათავსოებისა, ყორის გალავნით არის გარემოცული.

ამგვარად, გალავნის გარეთ, ხატის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში, რომელიც სოფელს ზემოდან დასცქერის, მოთავსებულია კალოები, ბეღლები და სალუდე.

ზემო და ქვემო კალო, როგორც მათი ეს სახელწოდებაც უჩვენებს, ერთიმეორის ზემოთაა მოწყობილი მთის ფერდობის ორ სხვადასხვა დონეზე. აქ (ტაბ. 157) მიწის ნიადაგი მოსწორებულია და ნაპირზე სამი მხრიდან ქვა-ღორღით არის შემოწყობილი იმ მიზნით, რომ საქონელი ლეწვის დროს კალოს არ გადაცდენოდა და ხატის პურის ახალი მოსავალი არ მიმოეფანტა.

ხის ბეღელი (ტაბ. 157, ტაბ, 158), რომელიც სრულიად უცნობია სხვაგან აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ჯვარ-ხატებში, ისევე კარგი ცოდნით არის ნაკეთები, როგორც ფშავის ხატებში ესოდენ გავრცელებული ქვითკირის ბეღლები. იგი გეგმაში კვადრატული ფორმისაა. მისი ფიცრული კედლები ერთიმეორეში ჭედვით არის ჩასმული. ბეღელი შედგმულია ოთხ ცალ ქვის ბოკონზე, მეხუთე დამხმარე ბოკონი ხისაა. ეს უკანასკნელი შეყენებული აქვს ჩრდილოეთის კედელს შუა ადგილას. აქ იგი იღებს შენობის შიგნით ამავე კედლის პირად აღმართული სვეტის, მის თავზე გაწყობილი კეზისა და გადახურვის გარკვეული ნაწილის დატვირთვას. ბეღელს აქვს ორქანობიანი სახურავი კეზზე გამართული კავებით, ფარდებით (ანუ ჭერებით) და სიპებით. სოფლის მხარეს მიმართულ სამხრეთის ფასადს ამკობს გარეთა ნივნივების პირზე დაჭრელებულ ტალღისებური ორნამენტის არშია. ოთხკუთხა ფორმის კარის ღიობი გაჭრილია დასავლეთის კედელში. ხის ბეღელში ძველად ხატის ხორბალს („წმინდას") ინახავდნენ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხის ბეღლის ბოკონებზე შედგმა და ამით მისი ამაღლება და დაშორება მიწის ზედაპირიდან, უეჭველია ნაკარნახევი უნდა ყოფილიყო პურეულის უკეთ დაცვის საჭიროებით მინდვრის მღრღნელებისაგან.

ხის ბეღლის გვერდით, სამხრეთის მხარეზე დგას ქვის ბეღელი (ტაბ. 157, ტაბ. 159 ა, ბ), რომელსაც სხვანაირად — მისი დანიშნულებისდა შესაბამისად, ქერის ბეღელი ეწოდება. ესაა ქვითკირით ნაგები და კირით შელესილი, გეგმით კვადრატული მოხაზულობის შენობა. მას ამშვენებს ცხრაიარუსიან-სანაწვეთებიანი პირამიდული სახურავი, რომელსაც თავზე მთის ბროლის სათაურა ადევს. ბეღლის ჩრდილოეთის მხარე მიწაშია ჩაფლული. კარის ღიობი დატა-

ნებული აქვს დასავლეთის ფასადის ცენტრიდან ოდნავ მარცხნივ; იგი ოვალურია ზემო ნაწილში, ხოლო კარის ზღურბლი ფიქალი ქვაა.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ ეს ნაგებობა გარედან ფშაური ბეღლების ტიპური ნიმუშია, მაგრამ შინაგანი კონსტრუქციით და გეგმარებით იგი უნიკალური ძეგლია ქართულ სატაძრო არქიტექტურაში.

ჩვეულებრივ ფშაური ხატის ბეღელში მას შემდეგ, რაც მისი მშენებლობა საბოლოოდ დამთავრებული იყო, აგებდნენ ფიცრებისაგან მაღალი ყუთის მსგავს ორ-სამ თვალ სათავსოს და მათში ცალ-ცალკე ათავსებდნენ ხატის ახალი ჩოსაკლიდან მიღებულსა და წინასწარ დახარისხებულ მარცვლეულს.

სხვაგვარი ვითარება ვლინდება ვაკისოფლის ბეღელთან დაკავშირებით. ამ ბეღლის შინაგანი სივრცე თავიდანვე, მისი მშენებლობის პროცესშივე ყოფილა დაყოფილი, როგორც ამას ძეგლზე დაკვირვება გვიჩვენებს. საქმე იმაშია, რომ აქ აღმოსავლეთის კედლის შუა ნაწილიდან ბეღელში გამოდის და დასავლეთისაკენ მიემართება ქვითკირის კედელი, რომლის სიგრძე 1,20 მ შეადგენს. იგი ბეღლის კაპიტალური გარე კედლების თანადროული ჩანს. ამ გამტიხრავი კედლის წყალობით ბეღელში ორი თვალი სათავსოა — ერთი ჩრდილო-აღმოსავლეთით და მეორე სამხრეთ-აღმოსავლეთით. ამგვარად, თითოეული მათგანი სამი მხრიდან ისაზღვრება კაპიტალური კედლებით, ხოლო მათი მეოთხე — დასავლეთის მხარე ღიადაა დატოვებული. თვლების ამგვარად მოწყობა, ვიმეორებ ისევე, როგორც ბეღლის ჭერის კონსტრუქცია ამ ნაგებობის მშენებლობის დროს უნდა განხორციელებულიყო.

განსაკუთრებით საყურადღებოა ბეღლის ჭერის გაფორმება. იგი საკმაოდ დაბალია და შედგება, თუმცაღა პრიმიტიული წყობის გვირგვინებისაგან, მაგრამ აქ ოთხი გვირგვინია და არა ერთი, როგორც ეს არის ხოლმე ყველა სხვა სატაძრო ფშაურ ბეღელში. ამასთან ერთად, ეს ბეღელი შესანიშნავია გვირგვინების გაფორმებაში გამოყენებული მასალისა და ტექნიკური ხერხის თვალსაზრისით.

გვირგვინები განლაგებულია შემდეგნაირად (ტაბ. 157): თითო-თითო გვირგვინი ადგია ზემოაღნიშნულ ორ სათავსოს და დანარჩენი ორი მოწყობილია ამ სათავსოების პარალელურად ჩრდილო-დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის მხარეს.

სათავსოების გვირგვინები სამ მხარეს კაპიტალურ კედლებზეა ნაგები, ხოლო მეოთხე მხარე აშენებულია ხის კოჭზე, რომელიც, მიიმართება ჩრდილო-სამხრეთის ღერძზე და გამაგრებულია სამ კაპიტალურ კედელზე, რაც შეეხება დანარჩენ ორ გვირგვინს, ისინი ორ კაპიტალურ კედელსა და ორ ხის კოჭს ემყარება. ერთი ამათგან ზემოთ დასახელებული კოჭია, ხოლო მეორე დასავლეთისა და შუა კედლებს შორის გამაგრებული ხის კოჭი.

ამგვარად, აქ ქვის გვირგვინების მშენებლობაში გამოყენებულია არა მარტო ქვის მასალა, არამედ მასთან ერთად მზიდავ ელემენტად ხის კოჭები გვევლინება მაშინ, როდესაც ტიპურ ქვის ბეღელში გვირგვინი მთლიანად ქვისაა, ხოლო ბისაში, როგორიცაა ე. წ. გლეხის დარბაზი — ხისა.

ამის შემდეგ ჩვენთვის ნათელი უნდა იყოს, რომ პირველი მშენებელი ამგვარი ბეღლისა არა მარტო კარგად იცნობს, როგორც ხის, ისე ქვის გვირგვინებიან ნაგებობებს, არამედ თავისუფლად სარგებლობს ორივე მასალით და აგებს საკულტო ბეღლის ახალ სახეობას — მრავალგვირგვინიან ბეღელს.

დროთა ვითარებაში მრავალგვირგვინიანი ბეღელი ქართულ სატაძრო არქიტექტურაში, ფეხმოკიდებული თვალსაჩინო ძეგლი უნდა ყოფილიყო, თუკი მისმა გადმონაშთმა ჩვენამდე მიაღწია, თუნდაც ერთეულის სახით. ვფიქრობთ, გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ ამ ჩვენი ვარაუდის სისწორე და უეჭველობა მომავალში არქეოლოგიურმა განათხარმა მასალამაც დაადასტუროს.

ბეღლების მახლობლად ორი ჩაქცეული შენობაა. ამათგან დიდი შენობა, ვგონებ, საბერო უნდა ყოფილიყო.

ამ ჩაქცეული შენობების სამხრეთით მოთავსებულია სალუდე (ტაბ. 161 ა, ბ) — ფიქალი ქვისაგან მშრალი წყობით ნაგები მართკუთხა ფორმის შენობა, ორქანობიანი სადა სახურავით და დასავლეთის კედელში სამხრეთ-დასავლეთის კუთხესთან დატანებული კარის ღიობით.

სალუდე ტიპოლოგიურად მხართსაქცევი შენობაა. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, იგი მდებარეობს ხატის მთავარი გალავნის გარეთ. აქ სალუდე აგებულია ისე, რომ მისი მთავარი განფენილობა ხატისკარის წინაა მოქცეული. აძავე დროს შენობაში შესასვლელი კარი გრძელი კედლის ბოლოზეა და არა ერთ-ერთი კედლის შუა ადგილას. ამის წყალობით შენობაში შესული კაცი სალუდის კუთხეში აღმოჩნდება. აქ მან აუცილებლად უნდა მხარი იბრუნოს და პირშექცევით იწყოს სვლა მოპირდაპირე მოკლე კედლისაკენ, რომ მიუახლოვდეს შენობის სიღრმეში განლაგებულ სალუდის ინვენტარსა და შიდამოწყობილობას.

საყურადღებოა, რომ შიდა ფართობის იმ თავისებურ თვლებად დაყოფის სპეციფიკურ წესსა და ჩვევას, რომელიც ამავე საზოგადოებრივ-საკულტო ცენტრის ქვითკირის ბეღელში დავამოწმეთ, ჩვენ ამ მხართსაქცევი ტიპის სალუდეშიც ვნახულობთ. როგორც აღნიშნულ ბეღელში, ისე ამ სალუდეში (შდრ. ტაბ. 161 ბ). ა) აღმოსავლეთის კედლიდან დასავლეთისაკენ გავლებულია მოკლე ყორის ტიხარი, რომელიც ორივე სათავსოს ფართობის ნახევარს ორ თვალად ყოფს. ამასთანავე ბ) ორივე სათავსოში თითოეული თვალი კედლებით ისაზღვრება მხოლოდ სამი მხრიდან — ჩრდილოეთის, აღმოსავლეთისა და სამხრეთისა, ხოლო მეოთხე — დასავლეთის მხარე, მათ ღიად აქვთ დატოვებული და გ) ქვითკირის ბეღლისდაგვარად, მხარსაქცევ სალუდის თვლების მომიჯნავე დასავლეთის ნაწილი ერთიანი ფართობის მომცველია.

ამ უკანასკნელი გარემოების, ე. ი. სათავსოს ფართობის დაუნაწევრებლობის, ერთიანობის გამო საკმარისია ჩვენს მხართსაქცევი ტიპის შენობაში შესულმა კაცმა (ნაბიჯის გადაუდგმელად) მხოლოდ პირი იქციოს შენობის სიღრმისკენ, რომ მას თვალთახედვაში მოექცეს მოპირდაპირე კედლის მარცხენა კუთხეში აგებული „ქვაბის საბუდარი“ შიგ ჩადგმული სალუდე ქვაბით, აღმოსავლეთის კედელში დატანებული ორი შუკუმი, რომელთაგან ერთში სამი ცალი პატარა სპილენძის თასი დგას, და ამავე კედლის გასწვრივ მოთავსებული ისარნა, რომელიც, სალუდე ქვაბის მსგავსად, სპილენძის ფურცლებისაგანაა შეკერილი სპილენძისავე ლურსმნებით.

დაბოლოს, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სალუდის სახურავის დიდი ნაწილი ჩაქცეულია და ჩვენამდე მისგან, თავხესთან ერთად, საგვერდულებიღა შემონახულა.

ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილ ისეთ ნაგებობებში შენიშნული ცალკეული ელემენტების დამთხვევა, როგორიცაა მხართსაქცევი ტიპის სალუდე და მრავალგვირგვინიანი ბეღელი, ეჭვს გარეშეა, მშენებლობის ტექნიკური ხერხების ტრადიციის დიდ ხანგრძლივობაზე მიუთითებს.

მთავარი გალავნის გასწვრივ ჩრდილოეთის მხარეს ბებერი იფნის ხეებია. ამ იფნების მახლობლად გალავნის შიგნით ერთ მწკრივად დგას სამი შენობა: საზარე, საჯარე და საუნჯე.

ძველი სვეტებიანი საზარე (ტაბ. 160) ამჟამად თავმორღვეულია და სვეტებს შორის გადებულ ძელზე ზარია ჩამოკიდებული.

საზარე ყორის კედლით დაკავშირებულია საუნჯესთან. ადრე აქ, საზარესა და საუნჯეს შორის საჯარე მდგარა. დროთა ვითარებაში საჯარე დანგრეულა. აღნიშნული ყორის კედელი (ტაბ. 160 ა, ბ), რომელშიც ჩრდილოეთის მხრიდან ოთხკუთხი ფორმის წყვილი ნიშია დატანებული, ამ საჯარის ნაშთს წარმოადგენს.

საუნჯე მშრალი წყობით ნაგები, გეგმაში კვადრატული მოხაზულობის შენობაა. მას ჰქონია შუაბოძი და თავხესა და ნივნივებზე სიპი ქვით გაწყობილი სადა, ორქანობიანი სახურავი; რომელიც ამჟამად ჩაქცეულია. ნაგებობის კედლებიც მეტწილად დაშლილია. ჩვენამდე შემონახულა მთავარი ფასადი ჩრდილოეთის მხარეს, სადაც კედელში ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხესთან გაჭრილ და ხის ჩარჩოში ჩასმული კარის ღიობია. იმავე (ჩრდილოეთის) კედელს შიგნიდან ორ წყებად თაროები ჩასდევს; იქვე ჰკიდია შუაცეცხლის ჯაჭვი, ხოლო მოპირდაპირე (სამხრეთის) კედელში დატანებულია ორი შუკუმი.

საუნჯის ჩრდილო-დასავლეთით დგას დარბაზი (ტაბ. 162), ჩვეულებისამებრ მშრალი წყობით ნაგები, გეგმაში მართკუთხა ფორმის შენობა, რომელსაც ორქანობიანი სახურავი უნდა ჰქონოდა, როგორც ამას გვაფიქრებინებს შენობაში ჩაწოლილი სახურავის ნაშთები. ნაგებობის შიგნით, სამხრეთის კედლის მახლობლად აღმართულია კულა (იგივე ლომი); იქვე დიდი მორია, რომელიც, უთუოდ, დედაბოძი უნდა ყოფილიყო. დარბაზის კარი ჩრდილოეთის მხარეზეა, კედელის შუა ნაწილიდან ოდნავ დაცილებული; მისი ზღურბლი ქვისაა, იქვე კართან, შენობის შიგნით საკურთხეველია (ე. წ. სასუფეველი) — მაგიდის მსგავსი ამაღლება ყორისგან აგებული; ოთხივე კედლის გასწვრივ ქვის სკამებია მოწყობილი. დაბოლოს, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარად მოწყობილი დარბაზის ცენტრალურ ადგილას, უეჭველია, კერა უნდა ყოფილიყო. ჩვენ მას ვერ ვხედავთ იმის გამო, რომ შენობაში ჩაწოლილი სახურავი, მის მიწურ იატაკს მთლიანად ფარავს.

აღწერილი ნაგებობის გეგმარება და მისი ინტერიერი ნათელყოფს, რომ ეს შენობა საქართველოს მთიანეთის სატაძრო ხუროთმოძღვრებაში ფართოდ გავრცელებული გრძელი ტიპის დარბაზების თვალსაჩინო რიმუშია.

დარბაზის სამხრეთის კედელი გარედან ყორითაა გამაგრებული. ყორეს ნიში აქვს დატანებული. იქვე, დარბაზის სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეში, გარედანვე მოწყობილია ს ა მ ა ლ ა ვ ი. ამ სამალავში ჩადგმულია (1964 წ.) სპილენძის ქვაბი თავისი სახურავით. დათვალიერების დროს ამ ქვაბში არაფერი არ აღმოჩნდა გარდა იმისა, რომ მის სახურავზე სინი იდო.

დარბაზსა და საზარეს შუა დგას დიდი იფნის ხე, რომელზეც საკადრისები

ჰკიდია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ ხის ძირში ე. წ. სასაკლაოა სამსხვერპლო, სადაც შესაწირავი საკლავი იკვლოდა.

დარბაზიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს ნაშალი შენობაა. ამ შენობის ჩრდილოეთის კედელთან სიპებისაგან გამართული საცეცხლურია და იქვე ნახშირის ნამთიცაა. ეს შენობა, შესაძლებელია, სადასტურო ყოფილიყო.

ამ ნაშალი შენობის დასავლეთით მდებარეობს სასანთლე — მკვრივად ნაგები კოშკი, აღმოსავლეთის მხარეს დატანებული დიდი ზომის სასანთლე ნიშით და თავზე ბრტყლად დაწყობილი სიპებით.

სასანთლე კოშკიდან რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით, ხატის ტერიტორიის ჩრდილო-დასავლეთის საზღვართან ბეღლის მსგავსი ნაგებობაა, რომელიც გარშემოვლებულია საკუთარი ყორის გალავნით. შენობა გეგმაში კვადრატული ფორმისაა და ხატის ბეღლებისაგან განსხვავებით მშრალი წყობითაა ნაგები. მას აქვს ჩრდილოეთის მხარეს მაღალზე გაჭრილი და ხის ჩარჩოში ჩასმული კარის ღიობი, ხის ზღურბლი, ექვსიარუსიან-სანაწვთებიანი პირამიდული სახურავი, ცრუთაღოვანი შიდა გადახურვა, რომელსაც ნაწილობრივ ფარავს შენობაში ჩაშენებული ხის აკო და მისი ჭერი, და დასავლეთის კედელში დატანებული ღრმა ნიში.

თუ ანალოგიით შეიძლება რაიმე ვამტკიცოთ, მაშინ ეს ნაგებობა სახორაგე უნდა ყოფილიყო, ვინაიდან მას ყველა სხვა ნაგებობაზე მეტი მსგავსება (ბეღლის შემდეგ) სახორაგესთან უჩანს, მაგალითად, ჭიჩოს ღვთისმშობლის ხატის სახორაგესთან (შრდ. ტაბ. 162), ამ ხატის თავკევისბრის ხორაგი რომ ინახებოდა.

2) ადგილისდედა ღვთისმშობლის ხატი (ვაკისოფელი)

ვაკისოფლის ადგილისდედა ღვთისმშობელი საკუთრივ ამ სოფლის ხატია. იგი მდებარეობს სოფლის თავში, მის დასავლეთის მხარეზე. ხატის კომპლექსს შეადგენს შემდეგი ნაგებობები: დედაღვთისმშობლის კოშკი, საჯარე, საზარე, სასანთლე, საქვაბე და გალავანი.

დედაღვთისმშობლის კოშკი (ტაბ. 163) მსხვილი ფლეთილი ქვებისაგან მშრალი წყობით ნაგები კოშკისებური მაღალი შენობაა. მისი მთავარი ფასადი აღმოსავლეთის მხარეზეა. აქ კედელში გაჭრილია მიწიდან 1,5 მ სიმაღლეზე განიერი კარის ღიობი, რომელიც ხის ჩარჩოშია ჩასმული. ამ შესასვლელთან გარედან ხე ყოფილა გადებული — ამჟამად იგი ჩამოვარდნილია. კოშკის სახურავი ექვსიარუსიან-სანაწვთებიანი ოთხწახნაგოვანი პირამიდის ფორმისაა, რომელსაც სათაურად მთის ბროლის ქვა ადევს; ხოლო ჭერი გლეხის დარბაზისათვის მახასიათებელი გვირგვინის მსგავსად არის მოყვანილი. კოშკი სამხრეთის კედელში გარეთა მხრიდან დიდი ზომის ნიშია დატანებული. ამ ნიშის შიდა გადახურვაც გვირგვინისებური მოყვანილობისაა.

კოშკის მახლობლად დგას დაფარებული საჯარე (ტაბ. 164) — გეგმაში მართკუთხა ფორმის ნაგებობა, რომელსაც თავხესა და ნივნივებზე ფიქალი ქვით გაწყობილი ორქანობიანი სახურავი ჰქონია. ამჟამად შენობა ძალზე დაზიანებულია, კედლები მორღვეული აქვს და სახურავიც შენობის შიგნითაა ჩაქცეული.

საჯარის გვერდით საზარეა აგრეთვე აალზე დაზიანებული. ამ ნაგებობიდან ჩვენამდე მოღწეულია მხოლოდ ორი სვეტი, მათ თავებზე გადებული ძელით, რომელზეც ზარია ჩამოკიდებული.

საზარეს ემიჯნება სასანთლე კოშკი ყორით ნაგები პატარა შენობა ოთხკუთხა ფორმის ნიშითა და ბრტყელი სახურავით.

ზემოაღნიშნული შენობების სამხრეთით აგებული ყოფილა ს ა ლ უ დ ე ამჟამად იგი მთლიანად ჩაქცეულია. მისგან გადარჩენილი სალუდე ქვაბი შენობაშია დატოვებული, სადაც მას სახურავიდან ჩამოვარდნილი სიპები ფარავს.

ადგილისდედა ღვთისმშობელის ხატის შენობები ყორის გალავნით ყოფილა გარშემოვლებული. ამჟამად საკმაოდ მკაფიოდ მოჩანს მისი ნაშთები.

სოფლის დასახლებულ პუნქტსა და მოხარნადე ღვთისმშობლის ხატს შორის მდებარეობს საკმაოდ დიდი, ამჟამად თავმოღღეული ეკლესია და სამრეკლო. იგი მხოლოდ გაბარიტით გამოირჩევა იმ საზარეებისაგან, რომელთაც ჩვენ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სატაძრო არქიტექტურაში ვამოწმებთ. სამრეკლო შედგება ოთხკუთხა ბაქნისა, მის კუთხეებში აღმართული ოთხი სვეტისა და სვეტებზე აგებული ოთხწახნაგოვანი ფორმის ექვსიარუსიან-სანაწვთებიანი სახურავით, რომლის თავზე მთის ბროლის სათაურაა აღმართული, სამრეკლოში ზარია ჩამოკიდებული (ტაბ. 165 ა).

ეს ქრისტიანული ძეგლი ადგილობრივთა ცნობით დიდი ხანია რაც გაუქმებულია (M[1], 83, რვ. 35 გვ. 429).

3) ადგილისდედა ციხისანგელოზის ხატი (სოფ. ელიაგზა)

ელიაგზას ადგილისდედა-ციხისანგელოზი სასოფლო ხატი იყო. ელიაგზაში ადრე სამი გვარი მოსახლეობდა — ბობღიაშვილები, მამიაურნი და სოხურაშვილები. ციხისანგელოზი ადგილისდედა სამივე გვარის საერთო ხატი იყო. ეს ხატი მდებარეობდა სოფელ ელიაგზას დასავლეთით. ხატს ჰქონდა საკუთარი დარბაზი, სალუდე და პურისდედა (ანუ ბეღელი).

ამჟამად სამივე შენობა დანგრეულია. ახლა ელიაგზის ხატი, ამ ნანგრევების გარდა, წარმოდგენილია კვრივად ნაგები სასანთლე კოშკით, რომელსაც აღმოსავლეთის მხარეს სასანთლე ნიში აქვს დატანებული და გარშემო ყორის გალავანი არტყია.

ТРАДИЦИОННЫЕ ОБЩЕСТВЕННО-КУЛЬТОВЫЕ ПАМЯТНИКИ ГОРНОЙ ВОСТОЧНОЙ ГРУЗИИ

Резюме

Автор данной публикации начала собирание и изучение религиозных пережитков грузинского народа с 1929 г. На протяжении ряда лет были выявлены ценные материалы, анализ которых дал возможность установить существование у грузин-горцев в отдаленном прошлом двух пантеонов божеств — пантеон периода разложения первобытнообщинного строя и пантеон раннеклассовой ступени общественного разви-

тия. Однако вплоть до 1962 года культовые памятники изучались лишь спорадически. С 1962 года под руководством автора приступили к их изучению планомерно, систематически, по широкой программе. В комплексных экспедициях помимо этнографов принимали участие архитекторы, топографы, художники, фото и кинематографисты. Экспедиции работали в Хевсуретии в 1962, 1963, 1968 гг., Пшави в 1963, 1968 гг., Тушети в 1965; 1966, Хеви, в Северной Осетии и Ингушетии в 1965 г., Мтиулет-Гудамакари в 1967, 1968 гг.

Работа проводилась комплексно-интенсивным методом, причем с целью сплошного обследования экспедиция стремилась охватить все памятники и их остатки во всех местах, в том числе в самых труднодоступных. Экспедиция, помимо обычных средств транспорта, пользовалась и вертолетом.

В настоящее время собран богатый материал, содержащий: 1924 машинописных листа дневниковых записей, архитектурные обмеры (планы, разрезы, фасады, интерьеры, ситуационные и генеральные планы и др.) более 700 памятников, топографические съемки 50 объектов, 20 художественных пейзажей и множество фотоснимков и кинолент.

Издание корпуса «Традиционные общественно-культовые памятники горной Восточной Грузии» планируется в трех томах. В первых двух томах — публикация памятников с детальным их описанием и подробными комментариями, а в третьем — исследование.

Первый том содержит публикацию пшавских материалов и вводную статью. Здесь же даны итоги некоторых сугубо предварительных исследований.

В горной части Восточной Грузии сохранявшиеся в силу глубокой традиции общественно-культовые сооружения подразделяются на два основных типа. Первый тип — дарбази, представленный в виде храма в ант и его разновидностей без ант, с открытым очагом в центре, нередко со столбами близ очага и некоторыми другими подробностями, относится к древнейшему типу мегарона. Этот тип на грузинской почве, судя по археологическим данным, своими корнями уходит к началу и первой половине III тысячелетия до н. э.

Второй тип — это бегели с его двумя разновидностями. Бегели, культовые столбообразные сооружения, равно как и горнотушинские надземные склепы имеют параллели как в севернокавказских культовых памятниках и в склеповых сооружениях, датируемых по находимым в них вещам самое ранее III—II вв. до н. э., так и в малоазийских гробницах IV—III вв. до н. э. Здесь, на юго-восточном побережье Черного моря, как и в Восточной Грузии и на Северном Кавказе техника возведения свода совершенно одинакова.

Однако проблема происхождения ложного свода не может считаться решенной. В ее решении Кавказ, как и Малая Азия, признаны сыграть важную роль. На Кавказе эта проблема усложняется тем обстоятельством, что здесь ложный свод сопровождает «чешуйчато»-ступенчатая крыша, являющаяся оригинальной особенностью этого типа кавказских сооружений.

Следует особо отметить, что бегели в грузинском языке — весьма древний термин. Он имеется в древних названиях обрядовых хороводных песен (корбегел, беглискрули). Находит он отражение и в мифологии в качестве имени дива Бегела. По лингвистическим данным, он восходит к эпохе грузино-занской языковой общности.

V. V. BARDAVELIDZE

TRADITIONAL SOCIO-RELIGIOUS MONUMENTS OF THE GEORGIAN MOUNTAINOUS EASTERN GEORGIA

Summary

Buildings for the purpose of communal worship in the mountaineous regions of Georgia started to be recorded by us from 1929 onwards. At the same time research was done on other religious survivals of all kinds. Erom 1962 however, we concentrated our attention on these buildings exclusively. Under our supervision were organised expeditions of a complex nature and intensive work was done in Khevsureti (1962, 1963, 1968), Pshavi (1963, 1968), Tusheti (1965, 1966), Khevi, North, Ossetia and Ingusheti (1965) and Mtiuli-Gudamakari (1967, 1968). The results of these expeditions are of great scientific value (1,624 diary pages; measurements for more than 700 architectural items; 5 toponomical maps; and about 20 etchings as well as many photographs.

We plan to publish in three volumes the work done on these centres of communal religious activity in the Eastern Georgian mountains. In the first two volumes the material itself will be published with corresponding commentaries but the third volume will be devoted purely to analysis. The first volume includes the socio-religious cultic centres of Pshavi in their entirety, since it is in that region that these centres appeared to be the best preserved.

***

The buildings for communal religious purposes of the Eastern Georgian highlands may be grouped into two main types: the first type is a Darbazi—a temple form with an open hearth in the centre, often with pillars near the fire—place. Some other items are found, the details of which are derived from the most ancient type of megaron. This type in Georgia, according to archaeological data can be traced to the beginning of the Third Millenium B. C.. Another type is the Begeli and its two varieties. Both begeli, box-shaped buildings for religious purposes, as well as highland Tushinian surface crypts, have their equivalents both in Northern Caucasian religious monuments and vault structures dated not earlier than the IIIrd—IInd c. B. C. and in the sepulchres of Asia Minor of the IVth—IIIrd c. B. C.. Here in the South—Eastern Black Sea region as well as in Eastern Georgia and Northern Caucasus the technique of vault masonry is absolutely identical. But the problem of the origin of the „false vault" is far from being solved, and in this the data from the Caucasus and Asia Minor may play an important role. In the Caucasus the problem is rather complicated by the fact that the 'false vault' here is accompanied by step-scale tiling which is a particular feature of this type of structure in the Caucasus. It should also be noted that the term 'begeli' is very ancient and goes back to the times of Georgian-Zan linguistic community.

ტაბულების სია

1ა. ლაშარის ჯვარი. ტოპოგრაფიული გეგმა, 1964.

ბ. ლაშარის ჯვარი. გენგეგმა, 1947 წ.

2. ლაშარის ჯვარი. ჯალაბუარის ჯაჭვი (ჯალამბარი), 1968 წ.

3. ლაშარის ჯვარი (მარცხნიდან მარჯვნივ) ზემოთ. 1) სამსხვერპლო ორმო, 2) ა, ბ. სასანთლე, ჩრდილოეთის, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფასადები, 3) საკურთხეველი, 4) მთავარი გალავანი, 5) საზარე, 1964 წ.

4. ლაშარის ჯვარი. სასანთლე, აღმოსავლეთის ფასადი და საკურთხეველი, 1968 წ.

5. ლაშარის ჯვარი. სასანთლე, დასავლეთის ფასადი, 1968 წ.

6. ლაშარის ჯვარი. სამსხვერპლო, 1968 წ.

7. ლაშარის ჯვარი. 1) დაფარებული საჯარე, 2) გალავანი, 3) საზარე-მარანი, 4) საკურთხეველი, 5) საბეჭო, 1947 წ.

8. ლაშარის ჯვარი. საზარე-მარანი, — სამხრეთის ფასადი, ჭრილი, დაფარებული საჯარის გეგმა, ჭრილი, 1964 წ.

9. ლაშარის ჯვარი. დაფარებული საჯარის გადახურვის დეტალი, 1964 წ.

10. ლაშარის ჯვარი. საზარე, 1968 წ.

11. ლაშარის ჯვარი. საზარის ინტერიერი — ტაბლა და საზედაშე ჭურჭელი. ჯვარის დროშები, 1968 წ.

12. ლაშარის ჯვარი. კერანი, 1964 წ.

13. ლაშარის ჯვარი. თილისძის სამანი, 1964 წ.

14. ლაშარის ჯვარი. საზარე-მარანი, 1964 წ.

15 ლაშარის ჯვარი. საზარე-მარანი, 1968 წ.

16. ლაშარის ჯვარი. 1) საბერო — გეგმა, ჭრილი, 2) საბეჭოს „სკამები" ქვისა, 3) საკურთხეველი, 4) საბეროს კარი, 1964 წ.

17. ლაშარის ჯვარი. საბეროს გადახურვის დეტალი, 1964 წ.

18. ლაშარის ჯვარი. საბეჭოს ქორედი საკურთხეველი: ქვემოთ — სასანთლე და ქადა-კვერის საწირი, ზემოთ — სათასე, 1968 წ.

19. ლაშარის ჯვარი. ეკლესია, გეგმა, ფასადი, ჭრილები, 1964 წ.

20. საკვირაო. სიტუაციური გეგმა, 1951 წ.

21. თამარღელის ხატი. ტოპოგრაფიული გეგმა, 1964 წ.

22. თამარღელის ხატი. გენგეგმა, 1951 წ.

23. თამარღელის ხატი. საზარე და საუნჯე, 1964, წ.

24. თამარღელის ხატი. ძველი ეკლესია, 1951 წ.

25. თამარღელის ხატი. ბეღელი, 1964 წ.

26. თამარღელის ხატი, სალუდე, 1964 წ.

27. მათურხეევი. დამასტურის ხატი, — გენგეგმა; სალუდე, — ფასადი და გეგმა, 1964 წ.

28. მათურხეევი. დამასტურის ხატი. საზარე და სასანთლე — ფასადი და გეგმა, 1964 წ.

29. მათურხეევი. დამასტურის ხატი, პ. უვაროვას მიხედვით (Поэздка в Пшавию, Хевсуретию и Сванетию, МАК, М., 1904 г., 1968 г.

30 მათურხეევი. დამასტურის ხატი, ნაშალი, 1968 წ.

31. სოფ. შუაფხო. იახსრის ხატი, ტოპოგრაფიული გეგმა, 1964 წ.

32. სოფ. შუაფხო. იახსრის ხატი. სასანთლე კოშკი, ადგილისდედა ღვთისმშობლის ხატისა, 1964 წ.

33. შუაფხო. იახსრის ხატი. ადგილისდედა ღვთისმშობლის ხატი, სასანთლე, აღმოსავლეთის-ფხარე, 1964 წ.

34ა. სოფ. შუაფხო. იახსრის ხატი. სალუდე, 1964 წ.

ბ. სოფ. შუაფხო. იახსრის ხატი. სალუდე, 1964 წ.

35ა. სოფ. შუაფხო. იახსრის ხატი. სალუდე, ინტერიერი, 1964 წ.

ბ. სოფ. შუაფხო. იახსრის ხატი. სალუდე, ხატის უნჯი. 1964 წ.

36ა. შუაფხო. იახსრის ხატი. საზარე კოშკი, ფოტო პროფ. რენე შმერლინგისა, 1955 წ.

ბ. სოფ. შუაფხო. იახსრის ხატი. საზარე კოშკი. 1) გეგმა, 2) ჭრილი, 3) ფასადი. 1964 წ.

37ა. შუაფხო. იახსრის ხატი. 1) საზარე კოშკი — სამხრეთისა და დასავლეთის ფასადები, 3) საბერო ანუ დარბაზი — ჭრილი, 4) სასანთლე კოშკი, — ფასადი, 1964 წ.

ბ. სოფ. შუაფხო. იახსრის ხატი. 1) საზარე, 2) საკულუხე, 3) საბერო ანუ დარბაზი, 4) სასანთლე კოშკი, გეგმები. 1964 წ

38ა. სოფ. შუაფხო. იახსრის ხატი. ლამარის კოშკი, მთავარანგელოზის კოშკი, 1) გეგმები 2) ჭრილები, 3) ჩრდილოეთის ფასადები, 1964 წ.

ბ. სოფ. შუაფხო. იახსრის ხატის მარანი, თავხევისბრის სახლი და აკო. 1964 წ.

39. უძილაურთა. კოპალას ხატი. ტოპოგრაფიული გეგმა, 1964 წ.

40ა. უძილაურთა. კოპალას ხატი, სვეტი და საყეენო, 1964 წ.

ბ. უძილაურთა. კოპალას ხატი. საყეენო, 1964 წ.

41ა. უძილაურთა. კოპალას ხატი, დარბაზი, სამხრეთის ფასადი, ძველი საზარე, აღმოსავლეთის ფასადი, თავხევისბრის ყავარჯნის თავი, 1964 წ.

ბ. უძილაურთა კოპალას ხატი, დარბაზისკარი, დარბაზი, ძველი და ახალი საზარე კოშკები და საბერო — გეგმები და ჭრილები, 1964 წ.

42ა. უძილაურთა. კოპალას ხატი. სალუდე, მარანი — გეგმები, 1964 წ.

ბ. უძილაურთა. კოპალას ხატი. სალუდე, მარანი — ჭრილები. 1964 წ.

43ა. უძილაურთა. კოპალას ხატი. ბეღელი, 1964 წ.

ბ. უძილაურთა. კოპალას ხატი. ბეღელი — გეგმა, ჭრილი, 1964 წ.

44. უძილაურთა. კოპალას ხატი. ბეღელი, ცრუგუმბათი, ხედი ქვემოდან, 1964 წ.

45. უძილაურთა. კოპალას ხატი. ა) სალოცავი, ბ) კალო, გ) სიპის ბეღელი — გეგმა, ჭრილი, 1964 წ.

46. უძილაურთა. საკვირაო. ა) სადროშე კოშკი, ბ) სასანთლე კოშკი, ფასადები, გეგმები, 1964 წ.

47. უძილაურთა. საკვირაო. სასანთლე კოშკი, 1964 წ.

48ა. უძილაურთა. სამთო სალოცავი ირემთკალო. გენგეგმა, საზარე — დასავლეთის ფასადი, სასანთლე კოშკი — აღმოსავლეთის ფასადი, 1964 წ.

ბ. უძილაურთა სამთო სალოცავი ირემთკალო, საზარე და სასანთლე კოშკები, 1964 წ.

გ. უძილაურთა. სამთო სალოცავი ირემთკალო, საზარე და სასანთლე კოშკები, 1964 წ.

49. უძილაურთა. სამთო სალოცავი ირემთკალო, სადოღე, 1964 წ.

50ა. კოპალას ხატი კართანაში. ზღუდე სასანთლით, 1962 წ.

ბ. კოპალას ხატი კართანაში. „გაქვავებული ავთანდილი", 1962 წ.

გ. კოპალას ხატი კართანაში. „კოპალას ნალახტარი კლდე", მდ. კოპალაურასთან, 1962 წ.

51ა. ცაბაურთა. მთავარანგელოზის ხატი. „ღუნხეევს მაბურთალი ანგელოზის" სასანთლე კოშკისა, გაურკვეველი დანიშნულების შენობისა და გალავნის ნაშალის ფასადები და გეგმები, 1964 წ.

ბ. ცაბაურთა. მთავარანგელოზის ხატი. „ღუნხეევს მაბურთალი ანგელოზის" საზარე კოშკი, გაურკვეველი დანიშნულების შენობის ნაშალი და გალავანი, — გენგეგმა, 1964 წ.

52ა. ცაბაურთა. მთავარანგელოზის ხატი. „ღუნხეევს მაბურთალი ანგელოზის"—საზარე და გალავანი, 1964 წ.

ბ. ცაბაურთა. მთავარანგელოზის ხატი. „ღუნხეევს მაბურთალი ანგელოზის" საზარე კოშკი— გეგმა, ჩრდილოეთისა და სამხრეთის ფასადები და ხედი ა-ა, 1964 წ.

53. ცაბაურთა. ადგილისდედა ღვთისმშობლის ხატი. სასანთლე — 1. გეგმა, 2, ფასადი, 3. ჭრილი, 4. „ლაჰურის ქუდი" — საყეენო, 1964 წ.

54ა. ცაბაურთა. ადგილისდედა ღვთისმშობლის ხატი. საბერო და საზარე. ჭრილები, ფასადები, 1964 წ.

ბ. ცაბაურთა. ადგილისდედა ღვთისმშობლის ხატი. საზარესა და საბეროს ხედები, 1964 წ.

55ა. ცაბაურთა. მთავარანგელოზის ხატი ბეღლისკარზე. ბეღელი, — აღმოსავლეთის ფასადი, გეგმა, ჭრილი და დეტალები, 1964 წ.

ბ. ცაბაურთა. მთავარანგელოზის ხატი ბეღლისკარზე. ბეღელი—მთავარი (აღმოსავლეთის) ფასადი, 1964 წ.

56. ცაბაურთა. მთავარანგელოზის ხატი ბეღლისკარზე, ბეღელი — საერთო ხედი, 1964 წ.

57ა. ცაბაურთა. მთავარანგელოზის ხატი ბეღლისკარზე. ა. დარბაზი,

ბ. ცაბაურთა. მთავარანგელოზის ხატი ბეღლისკარზე. გაურკვეველი დანიშნულების შენობა— გეგმა, ჭრილები, 1964 წ.

58. ცაბაურთა. მთავარანგელოზის ხატი ბეღლის კარზე, საზარე, 1964 წ.

59. ცაბაურთა. მთავარანგელოზის ხატი ბეღლისკარზე. ა) დაფარებული საჯარე, ბ) სალედე,— გეგმები, ჭრილები, 1964 წ.

60ა. ცაბაურთა. ადგილისდედა ღვთისმშობლის ხატი. საბერო და საზარე, გეგმა, 1964 წ.

ბ. ცაბაურთა. ადგილისდედა ღვთისმშობლის ხატი. საზარესა და საბეროს ხედები. 1964 წ.

61. მიგრიაულთა. წმ. გიორგის ხატი. ბეღელი, საზარე, სალედე, — ჭრილები და გეგმები, 1962 წ.

62ა. მიგრიაულთა. წმ. გიორგის ხატი, ბეღელი, 1962 წ.

ბ. მიგრიაულთა. წმ. გიორგის ხატი. საზარე, 1962.

63ა. გოგოლაურთა. ქმოდისგორი. წმ. გიორგის ხატი. წულის გასარეკი კოშკი—დასავლეთისა და სამხრეთის ფასადები; სასანთლე, — ფასადი, გეგმა; სათასე, 1964 წ.

ბ. გოგოლაურთა. ქმოდისგორი, წმ. გიორგის ხატი. საზარე-ჭრილი, დასავლეთის ფასადი გეგმა, 1964 წ.

64ა. გოგოლაურთა. ქმოდისგორი. წმ. გიორგის ხატი. თეთრი გიორგის კერიები, 1964 წ.

ბ. გოგოლაურთა. ქმოდისგორი. წმ. გიორგის ხატი, — თეთრი გიორგის ნიში, 1968 წ. (ფოტო გია დავითაშვილისა).

გ. გოგოლაურთა. ნასოფლარი თურმანაულთა. წმ. გიორგის ხატი. კერიები; სადასტერო, — გეგმა და ჭრილი, 1968 წ.

65. გოგოლაურთა. ნასოფლარი თურმანაულთა. წმ. გიორგის ხატი. სასანთლე ბეღელი, საზარე, დარბაზი, დარბაზი და საბერო, — ფასადები, ჭრილები და გეგმები, 1964 წ.

66. გოგოლაურთა. ნასოფლარი თურმანაულთა. წმ. გიორგის ხატი. ბეღელი, 1968 წ.

67. გოგოლაურთა. ნასოფლარი თურმანაულთა. წმ. გიორგის ხატი. საზარე, 1968 წ.

68ა. გოგოლაურთა. ნასოფლარი თურმანაულთა. წმ. გიორგის ხატი. საკულუხე, — ფასადი, გეგმა, ჭრილი, 1947 წ.

ბ. გოგოლაურთა. წმ. გიორგის ხატი. საკულუხე — დასავლეთისა და სამხრეთის ფასადები, გეგმა, ჭრილი, 1964 წ.

69ა. გოგოლაურთა. ნასოფლარი თურმანაულთა. წმ. გიორგის ხატი. ა. ისარნა და საარაყე ქვაბი.

ბ. გოგოლაურთა. ნასოფლარი თურმანაულთა. წმ. გიორგის ხატი. სალედე და კალო — გეგმა, ფასადი, ჭრილი. 1964 წ.

70. გოგოლაურთა. ნასოფლარი თურმანაულთა. წმ. გიორგის ხატი. სასწვრის იფნი, 1968 წ.

71ა. გოგოლაურთა. კახისწყალთან. დედაღვთისმშობლის ხატი. სანაწვთიანი კერიები, 1968 წ.

ბ. გოგოლაურთა. კახისწყალთან დედაღვთისმშობლის ხატი. სანაწვთებიანი კერიები და დაფარული საჯარე (ნაშალი), ფასადი და გეგმა, 1964 წ.

72. გოგოლაურთა. კახისწყალთან. დედაღვთისმშობლის ხატი. საზარე იფნი ზარით, 1968 წ.

73. გოგოლაურთა. კახისწყალთან. დედაღვთისმშობლის ხატი. ხახმატის ნიში, 1968 წ.

74. გოგოლაურთა. კახისწყალთან. დედაღვთისმშობლის ხატი. სასანთლე კოშკი, 1968 წ.

75. სოფ. მაღაროსკარი. ბზიანას წმ. გიორგის ხატი. საზარე — ფასადი, გეგმა, ჭრილი, 1962 წ.

76. გოგოლაურთა. ხეთანას მთავარმოწამის ხატი. 1. საკვირაო, — საკვირაოს ფასადები და გეგმა, 2. ეკლესია, — ფასადები და გეგმა, 1964 წ.

77. გოგოლაურთა. ხეთანას მთავარმოწამის ხატი. სასაკლაო, 1968 წ.

78. გოგოლაურთა. ხეთანას მთავარმოწამის ხატი. ბეღელი, 1968 წ.

79. გოგოლაურთა. ხეთანას მთავარმოწამის ხატი. ბეღელი, — ფასადები, ჭრილები, გეგმა, 1964 წ.

80. გოგოლაურთა. ხეთანას მთავარმოწამის ხატი. წმინდა ხე, 1968 წ.

81. გოგოლაურთა. ხეთანას მთავარმოწამის ხატი. იფნი შეწირული საკადრისებით და საკლავის რქებით, 1968. წ.

82. გოგოლაურთა. ხეთანას მთავარმოწამის ხატი. საჯარის კარი, საჯარე, საბერო ანუ დარბაზი — გეგმა და ჭრილი, 1964 წ.

83. გოგოლაურთა. ხეთანას მთავარმოწამის ხატი. საბერო და საზარე, — გენგეგმა, ფასადი, გეგმა, ჭრილი, 1964 წ.

84. გოგოლაურთა. ხეთანას მთავარმოწამის ხატი. სალუდე, — ჭრილები, გეგმა, 1964 წ.

85. გოგოლაურთა. ხეთანას მთავარმოწამის ხატი. საზარე, — გენგეგმა, გეგმა, ფასადები, ჭრილი, 1964 წ.

86. გოგოლაურთა. ხეთანას მთავარმოწამის ხატი. სასანთლე კოშკები, — ფასადები, გეგმები, ჭრილი, 1964 წ.

87 გოგოლაურთა. ღვთისმშობლის ხატი ქერაულთის მთაზე. საბერო და სასანთლე, — გენგეგმა, გეგმა, ჭრილი, ფასადები, 1964 წ.

88. გოგოლაურთა. ღვთისმშობლის ხატი ქერაულთას მთაზე, საბერო და სასანთლე, 1968 წ.

89. გოგოლაურთა. მასთალის ხატი. საბერო, — ფასადი, 1968 წ.

90. გოგოლაურთა. მასთალის ხატი. საზარის სვეტი, 1968 წ.

91. გოგოლაურთა. მასთალის ხატი, მთავარმოწამის ზარი, 1968 წ.

92. მუქუ. მოხარნადე ღვთისმშობლის ხატი. დარბაზი, სალუდე, ხარბაკი და საჯარე, — ფასადები, გეგმები, ჭრილი, 1963 წ.

93. მუქუ. მოხარნადე ღვთისმშობლის ხატი. ბეღელი, 1963 წ.

94. მუქუ. მოხარნადე ღვთისმშობლის ხატი. ბეღელი, 1963 წ.

95. მუქუ. ხონეს მთავარანგელოზის ხატი. ბეღელი, 1963 წ.

96. მუქუ. ხონეს მთავარანგელოზის ხატი. ბეღელი, 1963 წ.

97. მათურა. მთავარანგელოზის ხატი. სადასტურო, საბერო—ფასადი, გეგმა, ჭრილი 1964 წ.

98. მათურა. ჯიხურთის მთავარანგელოზის ხატი. საზარე, — ფასადები, გეგმა, ჭრილი, 1964 წ.

99. მათურა. ჯიხურთის მთავარანგელოზის ხატი. საზარე, 1968 წ.

100. მათურა. მთავარანგელოზის ხატი. ყვრიეი, ციხის ნაშალი, ფასადები, გეგმა, 1964 წ.

101. მათურა. მთავარანგელოზის ხატი. ციხის ნაშალი, 1968 წ.

102. მათურა. მთავარანგელოზის ხატი. ბეღელი, ფასადი, გეგმა, ჭრილი, 1964 წ.

103. მათურა. მთავარანგელოზის ხატი, ბეღელი, 1968 წ.

104. მათურა. მთავარანგელოზის ხატი. დარბაზი ანუ სამნათეო (საჯარე), 1964 წ.

105. მათურა. მთავარანგელოზის ხატი. სალუდე, — ფასადი, გეგმა, 1964 წ.

106. მათურა. მთავარანგელოზის ხატი. სალუდე, — ინტერიერი, 1964 წ.

107. მათურა. მთავარანგელოზის ხატი. სალუდე, 1968 წ.

108. ხოშარა. სახუთმეტო ძელის ანგელოზის ხატი. საბერო, —გეგმა, ფასადი, ჭრილი, 1968 წ.

109ა. ხოშარა. თამარ მეფის ხატი. ძველი სადასტურო.

ბ. ხოშარა. თამარ მეფის ხატი. ძველი სადასტურო, გეგმა, ჭრილი, 1964 წ. და სადასტურო გეგმა, 1968 წ.

110ა. ხოშარა. თამარ მეფის ხატი. ძველი სადასტურო.

ბ. ხოშარა. თამარ მეფის ხატი. ა) სადასტურო, ბ) კალო, — გეგმა, ფასადი, ჭრილი, 1964 წ.

111. ხოშარა. სახუთმეტო ძელის ანგელოზის ხატი. საჯარე, 1968 წ.

112. ხოშარა. სახუთმეტო ძელის ანგელოზის ხატი. სალუდე, — გეგმა, ჭრილები, 1968 წ.

113. ხოშარა. კოშკისკარი, — სასანთლე. 1968 წ.

114. ხოშარა. ფიჭვთანა. ლაშარის ჯვარი, საზარე, სასანთლე, საჯარე, ფასადები, გეგმები, 1964 წ.

115. ხოშარა. ფიჭვთანა. ლაშარის ჯვარი, ბეღელი, 1968 წ.

116. ა. ხოშარა, ა. ფიჭვთანა. ლაშარის ჯვარი.

ბ. ცაბაურთ ჯვარი ტიკის წყალთან, 1968 წ.

117. ხოშარა. დედაღვთისმშობლის ხატი. დარბაზის ნაშალი, — ფასადი, გეგმა, ჭრილი, 1968 წ.

118. ჭიჩო. თამარ მეფის ხატი. საზარე, ქადა-პურის საკრელი, სადასტურო, ფასადები, გეგმები, ჭრილები, 1964 წ.

119. ჭიჩო. თამარ მეფის ხატი, კალო, — გეგმა, ჭრილი, 1964 წ.

120. ჭიჩო. თამარ მეფის ბეღელი, 1964 წ.

121ა. ჭიჩო. პირცეცხლის ხატისა, თავადი მთავარანგელოზის ხატისა და დედაღვთისმშობლის ხატის საერთო 1) სადასტურო, 2) სალუდე, 3) დარბაზი—გეგმები, 1964 წ.

ბ. ჭიჩო. ისარნა (2 ც.) თამარმეფის ხატის სალუდიდან, 1964 წ.

122. ჭიჩო. პირცეცხლის ხატისკარი. თიკვებიანი სამანი, 1968 წ.

123ა. ჭიჩო. პირცეცხლის ხატი. სასანთლე კოშკი, 1968 წ.

ბ. ჭიჩო. პირცეცხლის ხატი. სასანთლე კოშკი, 1. გეგმა, 2. ფასადი, 3. ჭრილი, 1964 წ.

124. ჭიჩო. პირცეცხლის ხატი. საზარე და სასანთლე, 1964 წ.

125. ჭიჩო. პირცეცხლის ხატი. საზარე, 1968 წ.

126. ჭიჩო. პირცეცხლის ხატი. საზარე, ზარები საკაურისებით, 1968 წ.

127. ჭიჩო. პირცეცხლის ხატი. სასანთლე და საბერო, 1968 წ.

128. ჭიჩო. პირცეცხლის ხატი. „თასების საბრძანისი" საბეროში, 1968 წ.

129ა. ჭიჩო. პირცეცხლის ხატი. ა. საჯარე, 1968 წ. ბ. საბერო ანუ

ბ. ჭიჩო. პირცეცხლის ხატი. საბერო — გეგმა, ჭრილი, კარი, 1964 წ.

130. ჭიჩო. თავადი მთავარანგელოზის ხატი. დარბაზი და საჯარე, — გეგმები, ფასადები, ჭრილები, 1968 წ.

131. ჭიჩო. მთავარანგელოზის ხატი. დარბაზი და საზარე, 1968 წ.

132ა. ჭიჩო. თავადი მთავარანგელოზის ხატი, სასანთლე, 1968 წ.

ბ. ჭიჩო. თავადი მთავარანგელოზის ხატი. ა. სასანთლე, — ფასადები, გეგმა, 1964 წ.

133ა. ჭიჩო. დედაღვთისმშობლის ხატი. დარბაზი, 1964 წ.

ბ. ჭიჩო. დედაღვთისმშობლის ხატი. დარბაზი. 1964 წ.

134ა. ჭიჩო. დედაღვთისმშობლის ხატი. სახორაგე, 1968 წ.

ბ. ჭიჩო, დედაღვთისმშობლის ხატი. სახორაგე. ფასადი, გეგმა, ჭრილი, 1964 წ.

135. ჭიჩო. პირცეცხლის ხატისა, თავადი მთავარანგელოზის ხატისა და დედაღვთისმშობლის ხატის ბეღელი, 1968 წ.

136. ჭიჩო. პირცეცხლის ხატისა, თავადი მთავარანგელოზის ხატისა და დედაღვთისმშობლის ხატის საერთო ბეღელი, — გეგმა, ფასადი, ჭრილი, 1964 წ.

137. ახადი. პირქუშის ხატი. ა) საზარე, ბ) საზარის ფასადი, ჭრილი, გეგმა, 1964 წ.

138ა. ახადი. დედა ღვთისმშობლის ხატი. ა. საზარე, 1964 წ.

ბ. ახადი. დედაღვთისმშობლის ხატი. საზარე და სასანთლე, — ფასადები, გეგმა, სიტუაციური გეგმა. 1964 წ.

139. ახადი. დედაღვთისმშობლის ხატისა და პირქუშის ხატის საზიარო ბეღელი, გეგმა, ფასადები, ჭრილი, 1964 წ.

140ა. ახადი. პირქუშის ხატისა და დედაღვთისმშობლის ხატის საერთო 1) დაფარებული საჯარე, 2) სალუდე, 3) სასანთლე, — გეგმა და ჭრილი, 1964 წ.

ბ. ახადი. პირქუშის ხატი. ა) სასანთლე კოშკი, ბ) თავხელისბრის სახლი, 1964 წ.

141ა. წითელაურთა. კოტიას ხატი. სიტუაციური გეგმა, 1968 წ.

ბ. წითელაურთა. კოტიას ხატი, — საერთო ხედი, 1968 წ.

142. წითელაურთა. კოტიას ხატი. საზარე, 1968 წ.

143. წითელაურთა. კოტიას ხატი. კვრიეი, სასანთლე კოშკი, საბერო, — ფასადები, ჭრილები, გეგმები, 1968 წ.

144. წითელაურთა. კოტიას ხატი. კვრიეი, 1968 წ.

145ა. წითელაურთა. კოტიას ხატი. დარბაზი (ანუ სამნათეო), 1968 წ.

ბ. წითელაურთა. კოტიას ხატი. დარბაზი ანუ სამნათეო, გეგმა, ფასადი, ჭრილები, 1968 წ.

146. წითელაურთა. კოტიას ხატი. სამნათეოს აბსიდა, 1968 წ.

147ა. წითელაურთა. ქინოვაკის ხატი. კოტიას ხატის ბეღელი, 1968 წ.

ბ. წითელაურთა. ქინოვაკის ხატი. ბეღელი, საზარე, სალუდე, 1968 წ.

148ა. უკანაფშავი. გიორგი წყاროსთაულის ხატი. სალუდე, 1964 წ.

ბ. უკანაფშავი. გიორგი წყاროსთაულის ხატი. სალუდე და ბეღელი, — ფასადები, გეგმები, ჭრილები, 1964 წ.

149. უკანაფშავი. გიორგი წყاროსთაულის ხატი. ბეღელი, 1968 წ.

150. უკანაფშავი. გიორგი წყاროსთაულის ხატი. ალვისტანი (ლაბარუმი), 1964 წ.

151. უკანაფშავი. გიორგი წყاროსთაულის ხატი. ალვისტანი (ლაბარუმი), ა. ზედაპირი, ბ. ზერგი. 1964 წ.

152. უკანაფშავი. გიორგი წყاროსთაულის ხატი. ალვისტანი (ლაბარუმი), — ფრაგმენტი, ზედაპირი, 1964 წ.

153. უკანაფშავი. გიორგი წყاროსთაულის ხატი. ალვისტანი (ლაბარუმი), ფრაგმენტი, ზერგი, 1964 წ.

154. უკანაფშავი. გიორგი წყاროსთაულის ხატი. ალვისტანი (ლაბარუმი), აღდგენილი არქ. მ. კაკაბაძის მიერ, 1964 წ.

155ა. უკანაფშავი. გიორგი წყاროსთაულის ხატი. საზარე, 1968 წ.

ბ. უკანაფშავი. გიორგი წყاროსთაულის ხატი. გენგეგმა, — 1) დარბაზი, 2) დაფარებული საჯარე. 3) საკულუხე, 4) საზარე და სასანთლე, 5) ციხე, 6) ხახმატის ჯვარის სახორაგე. 1964 წ.

ბ. უკანაფშავი. გიორგი წყاროსთაულის ხატი. 1) დაფარებული საჯარე, — ჭრილი, 2) ციხე. — ფასადი, 1964 წ.

156. უკანაფშავი. ვაკისოფელი. მოხარნადე ღვთისმშობლის ხატი. ტოპოგრაფიული გეგმა, 1964 წ.

157. უკანაფშავი. ვაკისოფელი. მოხარნადე ღვთისმშობლის ხატი. ქვის ბეღელი, ხის ბეღელი, ზემო კალო, ქვემო კალო, ფასადები, გეგმები, ჭრილები, 1964 წ.

158. უკანაფშავი. ვაკისოფელი. მოხარნადე ღვთისმშობლის ხატი. ხის ბეღელი, — ჩრდილოეთის ფასადი, 1968 წ.

159ა. უკანაფშავი. ვაკისოფელი. მოხარნადე ღვთისმშობლის ხატი. ქვის ბეღელი გალავნისგარეთ, 1968 წ.

ბ. უკანაფშავი. ვაკისოფელი. მოხარნადე ღვთისმშობლის ხატი. ქვის ბეღელი, 1968 წ.

160ა. უკანაფშავი. ვაკისოფელი. მოხარ ნადე ღვთისმშობლის ხატი. საჯარის კედლის ნაშთი, 1968 წ.

ბ. უკანაფშავი. ვაკისოფელი. მოხარნადე ღვთისმშობლის ხატი. საჯარე და საზარე, — ფასადი, გეგმა, 1964 წ.

161ა. უკანაფშავი. ვაკისოფელი. მოხარნადე ღვთისმშობლის ხატი. სალუდე, — ნაშალი, 1968 წ.

ბ. უკანაფშავი. ვაკისოფელი. მოხარნადე ღვთისმშობლის ხატი, სალუდე, — გეგმა, ჭრილი, 1964 წ.

162ა. უკანაფშავი. ვაკისოფელი. მოხარნადე ღვთისმშობლის ხატი. დარბაზი, — გეგმა, ჭრილი, დეტალები, 1964 წ.

ბ. უკანაფშავი. ვაკისოფელი. მოხარნადე ღვთისმშობლის ხატი. სახორაგე, — ფასადი, გეგმა, ჭრილი, 1964 წ.

163. უკანაფშავი. ვაკისოფელი. ადგილისდედა ღვთისმშობლის ხატი. სასანთლე კოშკი, 1968 წ.

164. უკანაფშავი. ვაკისოფელი. ეკლესია და სამრეკლო, 1968 წ.

165ა. მაღაროსკარი. სოფ. კუჭეკა. მთავარანგელოზის ხატი. საზარე, 1962 წ.

ბ. მაღაროსკარი. სოფ. კუჭეკა. მთავარანგელოზის ხატი, სალუდე, ნაშალი, 1962 წ.

ПЕРЕЧЕНЬ ТАБЛИЦ

1а. Лашарис джвари. Топографический план, 1964 г.

б. Лашарис джвари. Генплан, 1947 г.

2. Лашарис джвари. Цепь Джалабаури (джаламбари), 1968 г.

3. Лашарис ждвари (слева направо) вверху 1) жертвенная яма (самсхверпло ормо), 2) а, б. башня для возжигания свечей (сасантле), северный, восточный и западный фасады, 3) Алтарь (сакуртхевели), 4) Главная каменная ограда (галавани), 5) Звонница (сазаре), 1964 г.

4. Лашарис джвари. Башня для возжигания свечей (сасантле). Восточный фасад и алтарь, 1968 г.

5. Лашарис джвари, светильник (сасантле), западный фасад, 1968 г.

6. Лашарис джвари, Жертвенник, 1968 г.

7. Лашарис джвари. 1) Перекрытое помещение для общинников (саджаре), 2) Каменная ограда (галавани), 3) Звонница-винохранилище (сазаре-марани), 4) Алтарь, 5) Прилегающее к хати специальное сооружение, где собирался совет для решения особо трудных и важных дел, касающихся населения общин (сабчо), 1947 г.

8. Лашарис джвари. Звонница-винохранилище (сазаре-марани) южный фасад, разрез, план перекрытого помещения для общинников (саджаре) — разрез, 1964 г.

9. Лашарис джвари, деталь перекрытия помещения для общинников (саджаре), 1964г.

10. Лашарис джвари. Звонница (сазаре), 1968 г.

11. Лашарис джвари. Интериер звонницы (сазаре), трапезный столик (табла) и сосуд для предназначенного богу вина (зедаше), знамена (дрошеби) святилища, 1968 г.

12. Лашарис джвари, очаг (керани), 1964 г.

13. Лашарис джвари. Памятный столб (самани) Тилисдзе, 1964 г.

14. Лашарис джвари. Звонница-винохранилище (сазаре-марани), 1964 г.

15. Лашарис джвари. Звонница-винохранилище (сазаре-марани), 1968 г.

16. Лашарис джвари. 1. Помещение для священнослужителей (саберо) — план, разрез. 2. Каменные «стулья» в саберо. 3. Алтарь, 4. Врата саберо, 1964 г.

17. Лашарис джвари. Деталь перекрытия мопещения для священнослужителей (саберо), 1964 г.

18. Лашарис джвари. Ступенчатый алтарь в саберо, внизу башня для возжигания свечей (сасантле кошки) и возложения ритуальных печений и хлебов (када-кверис саципи), вверху место для хранения кубков (сатасе), 1968 г.

19. Лашарис джвари. Церковь, план, фасад, разрезы, 1964 г.

20. Саквирао (башенка божества Квира). Ситуационный план, 1951 г.

21. Тамаргелис хати. Топографический план, 1964 г.

22. Тамаргелис хати. Генплан, 1951 г.

23. Тамаргелис хати. Звонница (сазаре) и казнохранилище (саундже), 1964 г.

24. Тамаргелис хати. Старая церковь, 1951 г.

25. Тамаргелис хати. Житница или амбар (бегели), 1964 г.

26. Тамаргелис хати. Пивоварня (салуде), 1964 г.

27. Матурхеви. Дамастурис хати — генплан; пивоварня (салуде), фасад и план, 1964г.

28. Матурхеви. Дамастурис хати. Звонница (сазаре) и башня для возжигания свечей (сасантле) — фасад и план, 1964 г.

29. Матурхеви. Дамастурис хати, по П. Уваровой (Поездка в Пшавию, Хевсуретию и Сванетию, МАК, М., 1904 г.), 1968 г.

30. Матурхеви. Дамастурис хати, развалины, 1968 г.

31. сел. Шуапхо. Иахсрис хати, топографический план, 1964 г.

32. сел. Шуапхо. Иахсрис хати, Башня для возжигания свечей относящаяся к Адгилисседа Гвтисмшоблис хати, 1964 г.

33. сел. Шуапхо. Иахсрис хати. Адгилисседа Гвтисмшоблис хати, светильник (сасантле), восточная сторона, 1964 г.

34а. сел. Шуапхо. Иахсрис хати, пивоварня (салуде), 1964 г.

б. сел. Шуапхо. Иахсрис хати, Пивоварня (салуде), 1964 г.

35а. сел. Шуапхо. Иахсрис хати. Пивоварня, интерьер, 1964 г.

б. сел. Шуапхо. Иахсрис хати. Пивоварня (салуде), казна (унджи), светильник, 1964г.

36а. сел. Шуапхо. Иахсрис хати. Башня-звонница (сазаре) фото проф. Р. Шмерлинг, 1955 г.

б. сел. Шуапхо. Иахсрис хати. Башня-звонница, 1) план, 2) разрез, 3) фасад, 1964 г.

37а. сел. Шуапхо. Иахсрис хати. 1) башня-звонница-южный и западный фасады, 2) помещение для священнослужителей и административного персонала хати (саберо и дарбази) разрез, 3) башня для возжигания свечей (сасантле кошки), фасад, 1964 г.

б. сел. Шуапхо. Иахсрис хати. 1) Звонница (сазаре), 2) Винохранилище (сакулухе), 3) Помещение для священнослужителей и административного персонала, святилище (саберо или дарбазы) 4) Башня для возжигания свечей (сасантле кошки). Планы, 1964 г.

38а. сел. Шуапхо. Иахсрис хати. Лашарис кошки (башня Лашари), 1) Генплан, 2) Разрезы, 3) Северные фасады, 1964 г.

б. сел. Шуапхо. Винохранилище (марани) Иахсрис хати. Дом главного священнослужителя (помещение тавхевисбери), 1964 г.

39. Удзилаурта. Копалас хати. Топографический план, 1964 г.

40а. Удзилаурта. Копалас хати. Столб и ритуальный чан (сакеено), 1964 г.

б. Удзилаурта. Копалас хати. Ритуальный чан (сакеено), 1964 г.

41а. Удзилаурта. Копалас хати. Главное святилище (дарбази), южный фасад. Старая звонница, восточный фасад, навершие жезла главного священнослужителя, 1964 г.

б. Удзилаурта. Копалас хати. Врата главного святилища (дарбази), главное святилище (Дарбази, старая и новая башни-звонницы и помещения для священнослужителей и административного персонала хати (саберо) — планы и разрезы, 1964 г.

42а. Удзилаурта. Копалас хати. Пивоварня, винохранилище — планы, 1964 г.

б. Удзилаурта. Копалас хати. Пивоварня, винохранилище — разрезы, 1964 г.

43а. Удзилаурта. Копалас хати, Житница (бегели), 1964 г.

б. Удзилаурта. Копалас хати. Житница (бегели) — план, разрез, 1964 г.

44. Удзилаурта. Копалас хати. Житница (бегели), ложный свод, вид снизу, 1964.

45. Удзилаурта. Копалас хати. а) молельня (салоцави), б) гумно, г) житница (бегели) план, разрез, 1964 г.

46. Удзилаурта. Саквирао. а) Башня для знамени (сздроше кошки), б) Башня для возжигания свечей, фасады, планы, 1964 г.

47. Удзилаурта. Саквирао. Башня для возжигания свечей, 1964 г.

48а. Удзилаурта. Святилище Копала на вершине Иремткало. Генплан, звонница — западный фасад, башня для возжигания свечей — восточный фасад, 1964 г.

б. Удзилаурта. Святилище Копала на вершине Иремткало. Башня-звонница и башня для возжигания свечей, 1964 г.

в. Удзилаурта. Святилище Копала на вершине Иремткало. Башня-звонница и башня для возжигания свечей, 1964.

49. Удзилаурта. Святилище Копала на вершине Иремткало. Место для скачек (садоге), 1964 г.

50а. Копалас хати в Картана. Ограждение с местом для возжигания свечей, 1962 г.

б. Копалас хати в Картана. «Окаменевший Автандил».

г. Копалас хати в Картана. «Скала со следом удара плетью Копала» у р. Копалауры, 1962 г.

51а. Цабаурта. Мтаварангелозис хати. Фасады и планы развалин стены, зданий неопределенного назначения и башни для возжигания свечей святилища под названием «В Гунхеви играющий в мяч ангел» (Гунхевс мабуртали, ангелози), 1964 г.

б. Цабаурта. Мтаварангелозис хати. Башня-звонница «Гунхевс мабуртали ангелози» Развалины зданий неопределенного назначения и каменная ограда (галавани), генплан 1964 г.

52б. Цабаурта. Мтаварангелозис хати. Звонница и ограждения «Гунхевс мабуртали ангелози», 1964 г.

б. Цабаурта. Мтаварангелозис хати. Башня-звонница «Гунхевс мабуртали ангелози» — план, северный и южный фасады и вид а-а, 1964 г.

53. Цабаурта. Адгилисдеда Гвтисмшоблис хати, светильник (сасантле) — 1) план, 2) фасад, 3) разрез, 4) Ритуальный сосуд «Мисюрка Гачаури» (сакеено), 1964 г.

54а. Цабаурта. Адгилисдеда Гвтисмшоблис хати. Помещение для священнослужителей (саберо) и звонница (сазаре). Разрезы, фасады, 1964 г.

б. Цабаурта. Адгилисдеда Гвтисмшоблис хати. Виды на звонницу (сазаре) и помещение для священнослужителей (саберо), 1964 г.

55а. Цабаурта. Мтаварангелозис хати. У врат житницы (бегели), житница (бегели) — восточный фасад, план, разрез и детали, 1964 г.

б. Цабаурта. Мтаварангелозис хати у врат житницы (бегели). Житница (бегели) — главный (восточный) фасад, 1964 г.

56. Цабаурта. Мтаварангелозис хати у врат житницы (бегели), Житница (бегели) — общий вид, 1964 г.

57а. Цабаурта. Мтаварангелозис хати у врат житницы (бегели), главное святилище (дарбази), 1964 г.

б. Цабаурта. Мтаварангелозис хати у врат житницы (бегели), помещение неопределенного назначения — план, разрезы, 1964 г.

58. Цабаурта. Мтаварангелозис хати у врат житницы (бегели), Звонница (сазаре), 1964 г.

59. Цабаурта. Мтаварангелозис хати у врат житницы (бегели). а) Перекрытое помещение для общинников (саджаре); б) пивоварня (салуде) — планы, разрезы, 1964 г.

60а. Цабаурта. Адгилисдеда Гвтисмшоблис хати. Помещение для священнослужителей (саберо) и звонница (сазаре), план, 1964 г.

б. Цабаурта. Адгилисдеда Гвтисмшоблис хати. Виды на помещение для священнослужителей (саберо) и на звонницу. 1964 г.

61. Мигриаулта. Цминда Гиоргис хати. Житница (бегели), звонница, пивоварня — разрезы и планы, 1962 г.

62а. Мигриаулта. Цминда Гиоргис хати. Житница (бегели), 1962 г.

б. Мигриаулта. Цминда Гиоргис хати. Звонница, 1962 г.

63а. Гоголаурта. Кмодисгори, Цмида Гиоргис хати. Башня, где свершался древний обряд над ребенком до истечения года со дня его рождения и тем самым ребенка приобщали к общинному божеству, после чего малыш становился под покровительство общинного божества (цулис гасареви кошки); светильник (сасантле), — фасады, план; место для кубков (сатао), 1964 г.

б. Гоголаурта. Кмодисгори. Цмида Гиоргис хати. Звонница—разрез, план западного фасада, 1964 г.

64а. Гоголаурта. Кмодисгори. Цмида Гиоргис хати. Тайник для хранения реликвии (квриви), 1964 г.

б. Гоголаурта. Кмодисгори. Цмида Гиоргис хати, — Башенка (Тетри Гиоргис ниши), 1968, фото Г. Давиташвили.

г. Гоголаурта. Селище Турманаулта. Цмида Гиоргис хати. Тайник для хранения реликвии (квриви), помещении специально для экономов хати (садастуро), — план и разрез, 1968 г.

65. Гоголаурта. Селище Турманаулта. Цмида Гиоргис хати. Башня для возжигания свечей, звонница, главное светилище (дарбази), дарбази и помещение для священнослужителей (саберо), — фасады, разрезы и планы, 1964 г.

66. Гоголаурта. Селище Турманаулта. Цмида Гиоргис хати. Житница (бегели), 1968 г.

67. Гоголаурта. Селище Турманаулта. Цмида Гиоргис хати. Звонница, 1968 г.

68а. Гоголаурта. Селище Турманаулта. Цмида Гиоргис хати. Винохранилище (сакулухе) — фасад, план, разрез, 1947 г.

б. Гоголаурта. Цмида Гиоргис хати. Винохранилище (сакулухе) — западный и южный фасады, план, разрез, 1964 г.

69а. Гоголаурта. Селище Турманаулта. Цмида Гиоргис хати. а. Длинное корыто (исарна), куда стекает пиво, налитое в мешки и котел для самогона (сааракe кваби).

б. Гоголаурта. Селище Турманаулта, Цмида Гиоргис хати. Пивоварня (салуде) и гумно (кало) — план, фасад, разрез, 1964 г.

70. Гоголаурта. Селище Турманаулта. Цмида Гиоргис хати. Ясень с весами (сасцврис ипни), 1968 г.

71а. Гоголаурта. У Кахисцкали. Дедагвтисмшоблис хати. Тайник со ступенчатым перекрытием, (санацвтиани квриви), 1968 г.

71б. Гоголаурта. Дедагвтисмшоблис хати у Кахисцкали, тайник со ступенчатой (санацвтиани квриви) и перекрытое помещение для общинников (саджаре) — (развалины), фасад и план, 1964 г.

72. Гоголаурта. У Кахисцкали. Дедагвтисмшоблис хати. Ясень — звонница, 1968 г.

73. Гоголаурта. У Кахисцкали. Дедагвтисмшоблис хати. Молельня Хахмати, 1968 г.

74. Гоголаурта. У Кахисцкали. Дедагвтисмшоблис хати. Башня для возжигания свечей, 1968 г.

75. сел. Магароскари. Бзиана Цминда Гиоргис хати. Звонница — фасад, план, разрез, 1962 г.

76. Гоголаурта. Хетанис Мтавармоцамис хати 1) Саквирао. Фасад и план, 2) Церковь фасады и план, 1964г.

77. Гоголаурта. Хетанис Мтавармоцамис хати. Жертвенник, 1968г.

78. Гоголаурта. Хетанис Мтавармоцамис хати. Житница (бегели), 1968г.

79. Гоголаурта. Хетанис Мтавармоцамис хати. Житница (бегели) — фасады, разрезы план, 1964г.

80. Гоголаурта. Хетанис Мтавармоцамис хати, Священное дерево, 1968г.

81. Гоголаурта. Хетанис Мтавармоцамис хати. Ясень с пожерствованными лоскутками (сакадрисеби) и рогами жертвенного животного, 1968г.

82. Гоголаурта. Хетанис Мтавармоцамис хати. Врата помещения для общинников (саджарискари), помещение для общинников (саджаре), центральное святилище (саберо или дарбази) — план и разрез, 1964г.

83. Гоголаурта. Хетанис Мтавармоцамис хати, центральное культовое сооружение (саберо) и звонница (сазаре) — генплан, фасад, план, разрез, 1964г.

84. Гоголаурта. Хетанис Мтавармоцамис хати. Пивоварня (салуде) — разрезы, план, 1964г.

85. Гоголаурта. Хетанис Мтавармоцамис хати, звонница (сазаре) — генплан, план, фасады, разрез, 1964г.

86. Гоголаурта. Хетанис Мтавармоцамис хати. Башни для возжигания свечей (сасантле кошкеби) — фасады, планы, разрез, 1964г.

87. Гоголаурта. Хвтисмшоблис хати на горе Кераулта. Помещение для священнослужителей (саберо) и светильник (сасантле), генплан, план, разрез, фасады, 1964г.

88. Гоголаурта. Хвтисмшоблис хати на горе Кераулта. Помещение для священнослужителей (саберо) и светильник (сасантле), 1968г.

89. Гоголаурта. Масталас хати. Помещение для священнослужитедей (саберо)—фасад, 1968г.

90. Гоголаурта. Масталас хати. Столб-звонница, 1968г.

91. Гоголаурта. Масталас хати. Колокол Мтавармоцаме, 1968г.

92. Муку. Мохарнаде Гвтисмшоблис хати. Главное святилище (дарбази), пивоварня (салуде), хлев для зимнего содержания крупного рогатого скота (сахарбаке) и помещение для общинников (саджаре) — фасады, планы, разрез, 1963г.

93. Муку. Мохарнаде Гвтисмшоблис хати. Житница (бегели), 1963г.

94. Муку. Мохарнаде Гвтисмшоблис хати. Житница (бегели), 1963г.

95. Муку. Хонес Мтаварангелозис хати, житница (бегели), 1963г.

96. Муку. Хонес Мтаварангелозис хати, Житница (бегели), 1963г.

97. Матура. Мтаварангелозис хати. Помещение для экономов хати (садастуро). Помещение для священнослужителей (саберо) — фасад, план, разрез, 1964г.

98. Матура. Джихуртас Мтаварангелозис хати. Звонница (сазаре) — фасады, план, разрезы, 1964г.

99. Матура. Джихуртас Мтаварангелозис хати. Звонница (сазаре), 1968г.

100. Матура. Мтаварангелозис хати. Тайник (квриви), развалины крепост, фасады, план, 1964г.

101. Матура. Мтаварангелозис хати. Развалины крепости, 1968г.

102. Матура. Мтаварангелозис хати. Житница (бегели), фасад, разрез, 1964г.

103. Матура. Мтаварангелозис хати, Житница (бегели), 1968 г.

104. Матура. Мтаварангелозис хати. Центральнсе святилище (дарбази или самнатео, саджаре), 1964г.

105. Матура. Мтаварангелозис хати. Пивоварня (салуде) — фасад, план, 1964г.

106. Матура. Мтаварангелозис хати. Пивоварня (салуде) — интерьер, 1964г.

107. Матура. Мтаварангелозис хати. Пивоварня (салуде), 1968г.

108. Хошара. Сахутмето дзелис ангелозис хати. Помещение для священнослужителей (саберо) — план, фасад, разрез, 1968г.

109а. Хошара. Тамар мепис хати. Старое помещение для экономов хати (садастуро).

б. Хошара. Тамар мепис хати. Старое помещение для экономов хати (садастуро), план, разрез, 1964г. и план садастуро, 1968г.

110а. Хошара. Тамар мепис хати. Старое помещение для экономов хати (садастуро), 1968г.

б. Хошара. Тамар мепис хати. а) Помещение для экономов святилища (садастуро), б) гумно — план, фасад, разрез, 1964г.

111. Хошара. Сахутмето дзелис ангелозис хати. Помещение для общинников (саджаре), 1968 г.

112. Хошара. Сахутмето дзелис ангелозис хати. Пивоварня (салуде) — план, разрезы, 1968г.

113. Хошара. Врата башни (кошкис кари), светильник, (сасантле), 1968г.

114. Хошара. Пичвтана. Лашарис джвари. Помещение для общинников (саджаре), фасады, планы, 1964г.

115. Хошара. Пичвтана. Лашарис джвари. Житница (бегели), 1968г.

116а. Хошара. Пичвтана. Лашарис джвари. Житница (бегели), 1964г.

б. Цабаурт джвари у Тикаисцкали, 1968г.

117. Хошара. Дедагвтисмшоблис хати. Развалины центрального святилища (дарбази) — фасад, план, разрез, 1968г.

118. Чичо. Тамар мепис хати. Звонница, Место для посвящения ритуальных хлебов (када-кверис сачрели), помещение для экономов (садастуро), Фасады, планы, разрезы, 1964г.

119. Чичо. Тамар мепис хати, Гумно-план, разрез, 1964г.

120. Чичо. Тамар мепис хати. Житница (бегели), 1964г.

121а. Чичо, принадлежащие Пирцецхлис хати, Тавади Мтаварангелозис хати и Дедахвтисмшоблис хати. Общие. 1) Помещение для экономов хати (садастуро), 2) Пивоварня (салуде), 3) Центральное святилище (дарбази), — планы, 1964г.

б. Чичо. Длинное корыто исарна для стекания пива, налитого в мешки — 2 шт. из пивоварни (салуде) Тамар мепис хати, 1964г.

122. Чичо. Врата Пирцецхлис хати. Памятный столб (самани), «с сыновьями» (тиквебиани самани), 1968г.

123а. Чичо. Пирцецхлис хати. Башня для возжигания свечей, 1968г.

б. Чичо. Пирцецхлис хати. Башня для возжигания свечей 1. План, 2. Фасад, 3. Разрез, 1964г.

124. Чичо. Пирцецхлис хати. Звонница святильник (сасантле), 1964г.

125. Чичо. Пирцецхлис хати. Звонница. 1968г.

126. Чичо. Пирцецхлис хати. Звонница колокола с лоскутками (сакадриси), 1968г.

127. Чичо. Пирцецхлис хати. Светильник и помещение для священнослужителей (саберо), 1968г.

128. Чичо. Пирцецхлис хати. Место для возложения кубков (сатасе) в помещении для священнослужителей (саберо), 1968г.

129а. Чичо. Пирцецхлис хати. Помещение для общинников (саджаре), 1968г.

б. Чичо. Пирцецхлис хати. Помещение для священнослужителей (саберо) — план, разрез, дверь, 1964г.

130. Чичо. Тавади Мтаварангелозис хати. Центральное святилище (дарбази) и помещение для общинников (саджаре), планы, фасады, разрезы, 1968 г.

131. Чичо. Мтаварангелозис хати. Центральное святилище (дарбази) и звонница (сазаре), 1968 г.

132а. Чичо. Тавади Мгаварангелозис хати, светильник (сасантле), 1968 г.

б. Чичо. Тавади Мтаварангелозис хати. а. Светильник (сасантле) — фасады, план, 1964 г.

133а. Чичо. Дедагвтисмшоблис хати. Центральное святилище (дарбази), 1964 г.

б. Чичо. Дедагвтисмшоблис хати. Центральное святилище (дарбази), 1964 г.

134а. Чичо. Дедагвтисмшоблис хати. Кладовая (сахораге), 1968 г.

б. Чичо. Дедагвтисмшоблис хати. Кладовая (сахораге), фасад, план, разрез, 1964 г.

135. Чичо. Житница (бегели) Пирцецхлис хати, Тавади Мтаварангелозис хати и Дедагвтисмшоблис хати, 1968 г.

136. Чичо. Общая житница (бегели), Пирцецхлис хати, Тавади Мтаварангелозис хати и Дедагвтисмшоблис хати, план, фасад, разрез, 1964 г.

137. Ахади. Пиркушис хати. а) Звонница, б) Фасад звонницы, разрез, план, 1964 г.

138а. Ахади. Дедагвтисмшоблис хати, а. Звонница, 1964 г.

б. Ахади. Дедагвтисмшоблис хати. Звонница и светильник (сасантле) — фасады, план, ситуационный план, 1964 г.

139. Ахади. Общая житница (бегели) Дедагвтисмшоблис хати и Пиркушис хати, план, фасады, разрез, 1964 г.

140а. Ахади. Общие для Пиркушис хати и Дедагвтисмшоблис хати. 1) Перекрытое помещение для общинников (саджаре), 2) Пивоварня (салуде), 3) Светильник (сасантле)— план и разрез, 1964 г.

б. Ахади. Пиркушис хати. а) Башня для возжигания свечей (сасантле кошки), б) Дом главного священнослужителя (тавхевисбери), 1964 г.

141а. Цителаурта. Котнас хати. Ситуационный план, 1968 г.

б. Цителаурта. Котнас хати, — общий вид, 1968 г.

142. Цителаурта. Котнас хати. Звонница (сазаре), 1968 г.

143. Цителаурта. Котнас хати. Тайник (квриви), башня для возжигания свечей (сасантле кошки). Помещение для священнослужителей (саберо) — фасады, разрезы, планы, 1968 г.

144. Цителаурта. Котнас хати. Тайник (квриви), 1968 г.

145а. Цителаурта. Котнас хати. Центральное святилище (дарбази или самнатео), 1968 г.

б. Цителаурта. Котнас хати. Центральное святилище (дарбази, или самнатео), план, фасад, разрезы, 1968 г.

146. Цителаурта. Котнас хати. Абсида центрального святилища (самнатео), 1968 г.

147а. Цителаурта. Киновакис хати. Житница (бегели) при Котнас хати. 1968 г.

б. Цителаурта. Киновакис хати. Житница (бегели), звонница (сазаре), пивоварня (салуде), 1968 г.

148а. Уканапшави. Гиорги Цкаростаулис хати. Пивоварня (салуде), 1964 г.

б. Уканапшави. Гиорги Цкаростаулис хати. Пивоварня (салуде) и житница (бегели) — фасады, планы, разрезы, 1964 г.

149. Уканапшави. Гиорги Цкаростаулис хати. Житница (бегели), 1968 г.

150. Уканапшави. Гиорги Цкаростаулис хати. Знамя (алвистани), 1964 г.

151. Уканапшави. Гиорги Цкаростаулис хати. Знамя (алвистани). а. Аверс и б. Реверс, 1964 г.

152. Уканапшави. Гиорги Цкаростаулис хати. Знамя (алвистани) — фрагмент, аверс, 1964 г.

153. Уканапшави. Гиорги Цкаростаулис хати. Знамя (алвистани), фрагмент, реверс, 1964 г.

154. Уканапшави. Гиорги Цкаростаулис хати. Знамя (алвистани). Восст. арх. М. Какабадзе, 1964 г.

155а. Уканапшави. Гиорги Цкаростаулис хати. Звонница (сазаре), 1968 г.

б. Уканапшави. Гиорги Цкаростаулис хати, генплан. 1) Центральное святилище (дарбази), 2) Перекрытое помещение для общинников (саджаре), 3) винохранилище (сакулухе), 4) звонница (сазаре) и светильня (сасантле), 5) Крепость (цихе) 6) Кладовая (сахораге) Хахматис джвари, 1964 г.

г. Уканапшави. Гиорги Цкаростаулис хати. 1) Перекрытое помещение для общинников (саджаре) — разрез, 2) крепость (цихе) — фасад, 1964 г.

156 Уканапшави. Вакисопели. Мохарнаде Гвтисмшоблис хати. Топографический план, 1964 г.

157. Уканапшави. Вакисопели. Мохарнаде Гвтисмшоблис хати. Житница (бегели) каменная, житница (бегели) деревянная, верхнее гумно (кало), нижнее гумно (кало), фасады, планы, разрезы, 1964 г.

158. Уканапшави. Вакисопели. Мохарнаде Гвтисмшоблис хати. Житница (бегели) деревянная. Северный фасад, 1968 г.

159а. Уканапшави. Вакисопели. Мохарнаде Гвтисмшоблис хати. Житница (бегели), каменная, 1968 г.

б. Уканапшави. Вакисопели. Мохарнаде Гвтисмшоблис хати. Житница (бегели) каменная, 1968 г.

160а. Уканапшави, Вакисопели, Мохарнаде Гвтисмшоблис хати. Остатки стены помещения для общинников (саджаре), 1968 г.

б. Уканапшави. Вакисопели. Мохарнаде Гвтисмшоблис хати. Помещение для общинников (саджаре) и звонница (сазаре), фасад, план, 1964 г.

161а. Уканапшави. Вакисопели. Мохарнаде Гвтисмшоблис хати. Пивоварня (салуде) — развалины, 1968 г.

б. Уканапшави. Вакисопели, Мохарнаде Гвтисмшоблис хати. Пивоварня (салуде) план, разрез, 1964 г.

162а. Уканапшави. Вакисопели. Мохарнаде Гвтисмшоблис хати. Центральное святилище (дарбази) — план, разрез, детали, 1964 г.

б. Уканапшави, Вакисопели, Мохарнаде Гвтисмшоблис хати. Кладовая (сахораге) — фасад, план, разрез, 1964 г.

163. Уканапшави. Вакисопели. Адгилисдеда Гвтисмшоблис хати. Башня для возжигания свечей (сасантле кошки), 1968 г.

164. Уканапшави. Вакисопели. Церковь и колокольня, 1968 г.

165а. Магароскари, сел. Кучеча. Мтаварангелозис хати. Звонница (сазаре), 1962 г.

б. Магароскари, сел. Кучеча. Мтаварангелозис хати. Пивоварня (салуде), развалины, 1962 г.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შ ე ს ა ვ ა ლ ი 3
ა. ფ შ ა ვ ი ს ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი ხ ა ტ ე ბ ი 21
1. ლაშარის ჯვარი 21
2. საკვირაო 51
3. თამარღელის ხატი 54
4. დამასტური, წმ. გიორგის ხატი 60
ბ. ს ა თ ე მ ო დ ა ს ა ს ო ფ ლ ო ხ ა ტ ე ბ ი 63

1. ქ ი ს ტ ა უ რ თ თ ე მ ი 63

ა) იახსრის სათემო ხატი (სოფ. შუაფხო) 63
ბ) სასოფლო ხატები 74
1) მოხარნადე ანგელოზის ხატი (სოფ. თხილიანა) 74
2) იახსრის ხატი (სოფ. ვანხევი) 75
3) კარატის და იახსარ-კარატის ნიშები (სოფ. არახიჯა) 75
4) ღვთისმშობლის ხატი (სოფ. ნეძიხი) 76

II. უ ძ ი ლ ა უ რ თ თ ე მ ი 77

ა) კოპალას სათემო ხატი (სოფ. უძილაურთა) 77
ბ) სასოფლო ხატები 89
1) საკვირაო (სოფ. უძილაურთა) 89
2) სამთო სალოცავი, ირემთკალო 90
3) კოპალას ხატი (კართანა) 92
4) ლაშარის ჯვრის ნიში-მარანი და საზედაშე ქვეერები (სოფ. ბაზალეთი) 96

III. გ ო გ ო ჭ უ რ თ თ ე მ ი 97

ა) მთავარანგელოზის სათემო ხატი (სოფ. ცაბაურთა) 97
ბ) სასოფლო ხატები 104
1) კვირიას კოშკი (სოფ. ცაბაურთა) 104
2) ადგილსდედა ღვთისმშობლის ხატი (სოფ. ცაბაურთა) 104
3) ხიან ღვთისმშობლის ხატი (სოფ. ცაბაურთა) 106
4) ღვთისმშობლის ხატი (სოფ. ბეტისჩიდილი) 106
5) ღვთისმშობლის ხატი (სოფ. ქუთხი) 108
6) თამარ მეფის ხატი (სოფ. აფშო) 109
7) ლაშარის ჯვარი (სოფ. აფშო) 109
8) ფშარაოს წმ. გიორგის ხატი (სოფ. აფშო) 110
9) ღვთისმშობლის ხატი (სოფ. ჩარგალი) 110
10) ლაშარის ჯვარის ნიში (სოფ. ჩარგალი) 111
11) თამარ მეფის ნიში (სოფ. ჩარგალი) 112
12) მთავარანგელოზის ხატი (სოფ. მიგრიაულთა) 112

IV. გ ო გ ო ლ ა უ რ თ თ ე მ ი 114

ა) წმ. გიორგისა და მთავარმოწამის სათემო ხატები (სოფ. გოგოლაურთა) . 114
1) წმ. გიორგის ხატი 114

2) ხეთანას მთავარმოწამის ხატი (სოფ. გოგოლაურთა) 127
ბ) სასოფლო ხატები 130
1) დედაღვთისმშობლის ხატი, სოფ. გოგოლაურთა (ნასოფლ. თერმანაულთა) . . . 130
2) ღვთისმშობლის ხატი (სოფ. გოგოლაურთა) 131
3) ღვთისმშობლის ხატი ქერაულთ მთაზე 132
4) მასთალას ხატი (სოფ. გოგოლაურთა, კადაჩლის გორის ძირი) 133
5) მარიანგას ღვთისმშობლის ხატი (სოფ. გოგოლაურთა, მარიანგა) 134
6) ბზიანას ხატი (სოფ. მაღაროსკარი) 135
7) ადგილისდედა ღვთისმშობლის ხატი (სოფ. მაღაროსკარი) 136
8) მაღაწლის წმ. გიორგის ხატი (სოფ. გომეწარი) 137
9) კოპალას ხატი (სოფ. გომეწარი) 137
10) ადგილისდედა ღვთისმშობლის ხატი (სოფ. გომეწარი) 140
11) ადგილისდედა ღვთისმშობლის ხატი (სოფ. ყოფჩა) 140
12) საყდარას წმ. გიორგის ხატი (სოფ. ყოფჩა) 140

V. წ ო წ ქ ი ა ნ ა ულ თ თ ე მ ი 141

ა) მოხარნადე ღვთისმშობლის სათემო ხატი (სოფ. მუქუ) 141
ბ) ხონეს მთავარანგელოზის სასოფლო ხატი (სოფ. მოკვერანეკარი) 147

VI. ზ ე ო ბ ა ულ თ თ ე მ ი 148

ა) მთავარანგელოზის სათემო ხატი (სოფ. მათურა) 148
ბ)სასოფლო'ხატები' 151
1) მარიამ წმინდა დედაღვთისმშობლის ხატი (სოფ. ვანხეევი) 151
2) დედაღვთისმშობლის ხატი (სოფ. მათურა) 151
3) ვაკის დედაღვთისმშობლის ხატი (სოფ. ჭალისოფელი) 152
4) საყაქის სვეტის ანგელოზის სასანთლე კოშკი, საყაქის მთის წვერი 152
5) არყოვნის თავის წმინდა გიორგის სასანთლე კოშკი, არყოვნის მთა 152

VII. გ ა ბ ი დ ა ურ თ თ ე მ ი 165

ა) სახუთმეტო ძელისანგელოზის სათემო ხატი (სოფ. ხოშარა) 165
ბ) სასოფლო ხატები 169
1) დედაღვთისმშობლის ხატი (სოფ. ხოშარა) 169
2) თამარ მეფის ნიში (სოფ. ხოშარა, „კოშკის კარი“) 169
3) წელაურთ ჯვარნი ტიკაის წყალთან 170

VIII. ჭ ი ჩ ო ე ლ თ თ ე მ ი 170

ა) თამარ მეფის, პირცეცხლისა, თავადი მთავარანგელოზისა და დედაღვთისმშობლის სათემო ხატები (სოფ. ჭიჩო) 170
1) თამარ მეფის ხატი 170
2) პირცეცხლის ხატი 173
3) დედა ღვთისმშობლისა და თავად მთავარანგელოზის ხატები 176

IX. გ ო დ ე რ ძ ა ულ თ თ ე მ ი 180

ა) პირქუშის სათემო ხატი (სოფ. ახადი) 180
ბ) სასოფლო ხატები 186
1) ჭეხის ანგელოზი (სამთო სალოცავი) 186
2) ღვთისმშობლის ხატი (სოფ. ახადი) 186

X. წ ი თ ე ლ ა ურ თ თ ე მ ი 187

ა) კოტიას წმინდა გიორგის სათემო ხატი (წითელაურთა, კოტიას გორი) 187
ბ) სასოფლო ხატები 190
1) ქინოვაკის ჯვარი (სოფ. ქინო) 190
2) წმ. გიორგის ხატი (სოფ. ჭეშე) 192
3) ღვთისმშობლის ხატი (სოფ. ნაკვალესავი) 192

XI. უკანაფშაველთ თემი 192
ა) გიორგი წყაროსთაულის სათემო ხატი (უკანაფშავი) 192
ბ) სასოფლო ხატები 210
1) მოხარნადე ღვთისმშობლის ხატი (ვაკისოფელი) 210
2) ადგილსდედა ღვთისმშობლის ხატი (ვაკისოფელი) 215
3) ადგილსდედა ციხისანგელოზის ხატი (სოფ. ელიაგზა) 216
Традиционные общественно-культовые памятники горной Восточной Грузии. Резюме 216
Traditional socio-religious monuments of the georgian mountainos Eastern Georgia. Summary 218
ტაბულების სია 219
Перечень таблиц 224
ტაბულები

СОДЕРЖАНИЕ

Введение 3

А. Пшавские центральные святилища 21

1. Лашарис джвари 21
2. Саквирао 51
3. Тамарисгелис святилища 54
4. Дамастури, святилище св. Георгия 60

В. Общинные и сельские святилища 63

I. Община Кистаура 63

а) Общинное святилище Иахсари (сел. Шуапхо) 63
б) Сельские святилища 74
1) Святилище мохарнаде ангелози (сел. Тхилиана) 74
2) Святилище Иахсари (сел. Ванхеви) 75
3) Молельня Карате и Иахсар-Карате (сел. Арахиджа) 75
4) Святилища богоматери (сел. Недзихи) 76

II. Община Удзилаурта 77

а) Общинное святилище Копала (сел. Удзилаурта) 77
б) Сельские святилища 89
1) Святилище Саквирао (сел. Удзилаурта) 89
2) Высокогорная молельня Иремткало 90
3) Святилище Копала (местность Картана) 92
4) Молельня-марани (винохранилище (сел. Базалети) 96

III. Община Гогочурта 97

а) Общинное святилище Мтаварангелози (сел. Цабаурта) 97
б) Сельские святилища 104
1) Кошки Квирна (сел. Цабаурта) 104
2) Святилище Адгилисдеда Хвтисмшобели (сел. Цабаурта) 104
3) Святилище Хиан Хвтисмшобели (сел. Цабаурта) 106
4) Святилище Хвтисмшобели (сел. Бетисчдили) 106
5) Святилище Хвтисмшобели (сел. Кутхи) 108
6) Святилище Тамар мепе (сел. Апшо) 109
7) Святилище Лашарис джвари (сел. Апшо) 109
8) Святилище Пшарос цминда Гиорги (сел. Апшо) 110
9) Святилище Хвтисмшобели (сел. Чаргали) 110
10) Молельня Лашарис джвари (сел. Чаргали) 111
11) Молельня Лашарис джвари (сел. Чаргали) 112
12) Святилище Мтаварангелози (сел. Мигриаулта) 112

IV. Община Гоголаурта 114

а) Общинное святилище св. Георгия и Архангела (сел. Гоголаурта) . 114
1) Святилища св. Георгия 114
2) Святилища Архангела хетаца 127

б) Сельские святилища 130

1) Святилище Дедахвтисмшобели (Селище Турманаулта) 130
2) Святилище Хвтисмшобели (сел. Гоголаурта) 131
3) Святилище Хвтисмшобели, на горе Кераулта 132
4) Святилище Мастала (сел. Гоголаурта у подножья горы Кадачали) 133
5) Святилище Марианги хвтисмшобели (сел. Гоголаурта, Марианга) 134
6) Святилище Бзиана (сел. Магароскари) 135
7) Святилище Адгилисседа Хвтисмшобели (сел. Магароскари) 136
8) Святилище Магацлис Цминда Гиорги (сел. Гомецари) 137
9) Святилище Копала (сел. Гомецари) 137
10) Святилище Адгилисседа Хвтисмшобели (сел. Гомецари) 140
11) Святилище Адгилисседа Хвтисмшобели (сел. Копча) 140
12) Святилище Сакдарас Цминда Гиорги (сел. Копча) 140

V. Община Цоцкулаурта 141

а) Общинное святилище Мохарнаде Хвтисмшобели (сел. Муку) 141
б) Сельское святилище Хонес Мтаварангелози (сел. Мокверашкари) 147

VI. Община Зурабаулта 148

а) Общинное святилище Мтаварангелози (сел. Матура) 148
б) Сельские святилища 151
1) Святилище Марнам Цминда Дедахвтисмшобели (сел. Ванхеви) 151
2) Святилище Дедахвтисмшобели (сел. Матура) 151
3) Святилище вакис Хвтисмшобели (сел. Чалис-сопели) 152
4) Башня-столп Сакачис светис ангелози (Вершина горы сакаче) 152
5) Башня-столп Аркованского святого георгия (гора Арковани) 152

VII. Община Габиджаурта 165

а) Общинное святилище Сахутмето дзелис ангелози (сел. Хошара) 165
б) Сельские святилища 169
1) Святилище Дедахвтисмшобели (сел. Хошара) 169
2) Святилище Тамар мепе (сел. Хошара, Кошкискари) 169
3) Святилище Целаурт джвари (у ручья Тикаисцкали) 170

VIII. Община Чичоелта 170

а) Общинные святилища: Тамар мепе, Пирцецкли, Тавади Мтаварангелози и Дедахвтисмшобели 170

1) Святилище Тамар мепе (сел. Чичо) 170
2) Святилище Пирцецкли (сел. Чичо) 173
3) Святилище Дедахвтисмшобели и Тавади мтаварангелози (сел. Чичо) . . . 176

IX. Община Годердзаулта 180

а) Общинное святилище Пиркуши (сел. Ахади) 180
б) Сельские святилища 186
1) Дчехис ангелози (горная молельня) 186
2) Святилища Хвтисмшобели (сел. Ахади) 186

X. Община Цителаурта 187
а) Общинное святилище Котия (гора Котия) 187
б) Сельские святилища 190
1) Святилища Киноваке (сел. Кино) 190
2) Святилище Цминда Гиорги (сел. Чеше) 192
3) Святилище Хвтисмшобели (сел. Наквалесави) 192

XI. Община Уканапшавели 192
а) Общинное святилище Гиорги Цкаростаули (сел. Уканапшави) 192
б) Сельские святилища 210
1) Святилище Мохарнаде Хвтисмшобели (сел. Вакисопели) 210
2) Святилище Адгилисдеда Хвтисмшобели (сел. Вакисопели) 215
3) Святилище Адгилисдеда Цихисангелози (сел. Элиагза) 216

Традиционные общественно-культовые памятники горной Восточной Грузии. Резюме 216
Traditional socio-religious monuments of the georgian mountaions Eastern Georgia. Summary 218
Перечень таблиц 224
Таблицы

CONTENTS

Introduction 3

A. The main Khatis of Pshavi* *Khati-Sanctuary 21

1. Lasharis Djvari 21
2. Sakvirao 51
3. Tamar Ghelis Khati 54
4. Damasturi. Saint George's Khati 60

B. Tribal and Village Khatis 63

I. Kistaurt Tribe 63

a) Iakhsris Tribal Khati, at Shuapkho village 63
b) Village Khatis 74
1. Mokharnade Angelozis Khati, at Tkhiliana Village 74
2. Iakhsris Khati, at Vankhevi Village 75
3. Karates and Iakhsar-Karates alcoves, at Arakhidja Village 75
4. Ghvtismshoblis Khati, at Nedzikhi Village* *Ghvtismshobeli-Theotokos, Mother of God 76

II. Udzilauri Tribe 77

a) Kopalas Tribal Khati, at Udzilaurta Village 77
b) Village Khatis 89
1. Sakvirao, at Udzilaurta Village 89
2. Samto Salotsavi, Iremtkalo 90
3. Kopalas Khati, Kartana 92
4. Lasharis Djvaris Nishi-Marani and Sazedashe Kvevrebi, at Bazaleti Village . . 96

III. Gogochaurt Tribe 97

a) Mtavar Angelozis Tribal Khati, at Tsabaurta village 97
b) Village Khatebi 104
1) Kvirias Koshki, at Tsabaurta village 104
2) Adgilisdeda Ghvtismshoblis Khati, at Tsabaurta village 104
3) Khian Ghvtismshoblis Khati, at Tsabaurta village 106
4) Ghvtismshoblis Khati, at Betischdili village 106
5) Ghvtismshoblis Khati, at Kutkhi village 108
6) Tamar Mepis Khati, at Apsho village 109
7) Lasharis Djvari, at Apsho village 109
8) Psharaos Saint George's Khati, at Apsho village . . . 110
9) Ghvtismshoblis Khati, at Chargali village 110
10) Lasharis Djvaris Nishi, at Chargali village 111
11) Tamar Mepis Nishi, at Chargali village 112
12) Mtavarangelozis Khati, at Migriaulta village 112

IV. Gogolaurt Tribe 114

a) Saint George and Great Martyr (Mtavarmotsamis) Tribal Khatis, at Gogolaurta village 114
1. Saint George Khati 114
2. Khetanis Mtavarmotsamis Khati 127
b) Village Khatis 130
1. Dedaghvtismshoblis Khati, at Gogolaurta village (site of Turmanaulta village) . 130
2. Ghvtismshoblis Khati, Gogolaurta village 131
3. Ghvtismshoblis Khati on Kerault Mountain 132
4. Mastalas Khati, at Gogolaurta village (Kadachlis Goris Dziri) 133
5. Mariangas Ghvtismshoblis Khati, at Gogolaurta village (Marianga) 134
6. Bzianis Khati, at Magharoskari village 135
7. Adgilisdeda Ghvtismshoblis Khati, at Magharoskari village 136
8. Maghatslis Saint George Khati, at Gometsari village 137
9. Kopalas Khati, at Gometsari village 137
10. Adgilisdeda Ghvtismshoblis Khati, at Gometsari village . 140
11. Adgilisdeda Ghvtismshoblis Khati, at Qopra village Qopra 140
12. Saqdaros Saint George Khati, at Qopra village 140

V. Tsotskurault Tribe 141

a) Mokharnade Ghvtismshoblis Tribal Khati, at Muku village 141
b) Khones Mtavarangelozis Tribal Khati, at Mokveratkari village 147

VI. Tulabault Tribe 148

a) Mtavarangelozis Tribal Khati, at Matura village 148
b) Village Khatis 151
1. Mariamtsminda Dedaghvtismshoblis Khati, at Vankhevi village . . 151
2. Dedaghvtismshoblis Khati, at Matura village 151
3. Vakis Dedaghvtismshoblis Khati, at Tchalisopeli village 152
4. Saqatchis Svetis Angelozis Sasantle Koshki, Maturis also known as Saqatchis, Mtis Tsveri 152
5. Arqovnis Tavis Saint George Sasantle Koshki, on Arqovnis Mountain 152

VII. Gabidourt Tribe 165

a) Sakhutmeto Dzelis Angelozis Tribal Khati, at Khoshara village 165
b) Village Khatis 169
1. Dedaghvtismshoblis Khati, at Khoshara village 169
2. Tamar Mepis Nishi, at Khoshara village, Koshkis Kari 169
3. Tselaurt Djvarni Tkais Tsqaltan 170

VIII. Tchichoelt Tribe 170

a) Tamar Mepis, Pirtsetskhlisa, Tavadi Mtavarangelozisa and Dedaghvtismshoblis Tribal Khatis, at Tchicho village 170
1) Tamar Mepis Khati 170
2) Pirtsetskhlis Khati 173
3) Dedaghvtismshoblis and Tavad Mtavarangelozis Khatis 176

IX. Goderdzault Tribe 180

a) Pirkushis Tribal Khati, at Akhadi village 180
b) Village Khatis 186
1) Tchekhis Angelozi (Samto Salotsavi) 185
2) Ghvtismshoblis Khati, at Akhadi village 186

X. Tsitelaurt Tribe 187

a) Kotais Tribal Khati, Tsitelaurta, Kotias gori 187
b) Village Khatis 190
1) Kinovakis Djvari, at Kino village 190
2) Saint George Khati, at Tcheshe village 192
3) Ghvtismshoblis Khati, at Nakvalesavi village 192

XI. Ukanapshavelt Tribe 192

a) Giorgi Tsqarostaulis Tribal Khati, Ukanapshavi 192
b) Village Khatis 210
1. Mokharnade Chvtismshoblis Khati, a Vakissopeli 210
2. Adgilisdeda Ghvtismshoblis Khati, Vakissopeli 215
3. Adgilisdeda Tsikhis Angelozis Khati, Eliagze village 216

Traditional socio-religious monumants of the georgian mountains Eastern Georgian
Summary 218
List of Tables 224
Tables . . . . . .



ა



1. დაბურავებული საჭადრ
2. საბერნი
3. საყურთხეველი ჩქადა-
ყვარეს ხაჭირი და საფასე
4 საზარე-მარანი
5. შენობის ნანგრევი
6. ეკლესია
7. ბერძენთის საფერი
8. დარბაზი
9. ნაშანი
10. ნაზარე
11. სასანოლე
12. საყურთხეველი
13. სასაფლაო
14 ლია საჭარეული
15. ოფნის ხე
16. სილოდ
17. საყენო

1947ج

ბ

ტაბულა 2

ტაბულა 3



ტაბელი 4

ცხრილი 6

1
2
3
4
5

ნახატი 8



ტაბელა 10

ტაბულა 12



ტაბულა 14





ციხის ეზოს ნაგებობა
1964 წ

ფასადი
1
2
3
4

ტაბულა 17



ტაბულა 20



ტაბელი 22





ტაბელა 24



ტაბელი 26







[illegible]

[illegible]





ტაბულა 30

ტაბულა 31



ტაბული 32

ტაბულა 33





ა

ბ


ა
ბ
გ
დ



ა



ბ

ტაბელა 38





ტაბულა 39



ა



ბ



ა



ბ

ტაბელა 42



ჭრილი a-a



ჭრილი в-в


ბეჭედი


ფასადი

ტაბელი 44

ზესქა
ქონური

ტაბულა 46



ტაბულა 47

ტაბულა 48









ტერიტ.

ა









ბ









ტაბელა 50





ბ

ტაპელა 58



ტაბელა 60



ა



ბ

ტაბულა 61

8



9



ა



ბ



ბ

ტაბულა 65

ტაბული 65





ა



ბ



გ

ტაბელა 70

ა



ბ

ტაბელი 74

ფასადი

ჭრილი

ბაზილიკა



ტაბულა 83

T
T'
T
T'



ტაბულა 86






ფასადი
ჭრილი
0
1
2
ძირითადი



ბაზალტი 1:20



ტაბლეტი 1:15

ბაზალტი 1:25

ტაბულა 102









ნიკოლაძეები

ნიკოლაძეები

ა



ბ

ა

ბ

ა

ბ





გ

ბაზილიკა
ნაგებობა ბ-ბ
ნაგებობა ბ-ბ
ნაგებობა ბ-ბ
0 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 20 30 40 50 60 70 80 90 100 200 300 400 500 600 700 800 900 1000

ტაბული 114



ბეგმ.
ფასადი
საზაარე
ბეგმ


0 50 100 200 300 400 500
1968 წ



ჯიჩი, თეკაკრ - კეფი ეკლი

ჭრილი



ბეჭდი





ა



ბ

ა



ბ

ტ

ტაბელი 124



ა

ბ







გ

ტაბული 130



ა





ბ

ა



ბ


2
1

ა



ბ


ფასადური ფასადი


სამხრეთის ფასადი


სიტყვაცოცხი ტაძარი

ტაბულა 140



ა







ბ


1960 წ.

ტაბულა 142



ა

სოფელი ქიდო. ეკლესიის სეი







ბ



ა



ბ







ტაბულა 154





ტაბული 156



ა

ბ

ტაბული 160



ა



ბ



ა



ბ



ა

ბ

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

გადაეცა წარმოებას 21.7. 1973; ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/XII-73 წ;
ხელმძღვანელობით ფერადი ბეჭდვის სტამბაში,
თბილისი, პლეხანოვის პრ. № 50.

რედაქტორი გ. ჩ ი ტ ა ი ა
გამომცემლობის რედაქტორი ელ. ქ ა ჯ ა ი ა
მხატვარი თ. ა ლ ა ე ვ ერ დ ა შ ვ ი ლ ი
გარეკანისა და სუპერის მხატვარი გ. ნ ა დ ი რ ა ძ ე
ტექრედაქტორი ლ. ჯ ვ ე ბ ე ნ ა ვ ა
კორექტორი ე. ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი

გადაეცა წარმოებას 21.7. 1973; ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/XII-73 წ;
ქაღალდის ზომა 70×108 1/16; ქაღალდი № 1; ნაბეჭდი თაბახი 36,05;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 31,84;

უე 01208; ტირაჟი 2000; შეკვეთა № 1791;

ფასი 3 მან. 20 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, 380060, ул. Кутузова, 19

Вера Варденовна Бардавелидзе

შეცდომების გასწორება

გამოსაშვებ ცნობებში ზემოდან მე-3 სტრიქონი უნდა იკითხებოდეს ასე: კლიშეები დამზადდა და ტაბულები დაიბეჭდა გ. გოგიჩაიშვილის

შემჩნეულ შეცდომათა გასწორება

გვ.	სტრიქონი		დაბეჭდილია	უნდა იყოს
	ზემ.	ქვ.		
6	11	—	1965 წ. ხევში	1966 წ. ხევში
6	21	—	რ. სეხიშვილმა,	რ. ცუხიშვილმა,
6	—	13	დასახლებელი	დასახლებული
19	—	11	არსდება	არ ხდება
55	12	—	ხოშურაულის	ხოშარაულის
57	17	—	ორხფერდა	ოთხფერდა
75	7	—	ბოწმაოელ	მოწმაოელ
89	8	—	ერისთავან,	ერისგანთავან
89	—	2	и графическое	и обрядовое графическое
106	—	10	ცაბურეთიდან	ცაბაურთიდან
121	—	9	სფეროკონიული	სფერიულკონუსური
122	4	—	სფეროკონიული	სფერიულკონუსური
130	6	—	საჯარის კარის გვერდით, მოწყობილია ს ა ს ა კ ლ ა ვ ე (ტაბ. 77), იგი წარ-	საჯარის დასავლეთ მხარეს, კალოსა და საჯარეს შუა, დროშის დასასვენი სი-
151	17	—	კარის	კარი
199	—	4	წეერად	წვერად
201	4	—	წყაროსთაულოს	წყაროსთაულს
219	4	—	ჯალაბუარის	ჯალაბაურის